ნ.ა.კუნი



გამომცემლობა «განათლება» თბილისი•1965

A
88 — 3
Კ 904

მთარგმნელი ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ
რედაქტორი დოც. ᲝᲗᲐᲠ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
მხატვარი ᲐᲜᲓᲠᲝ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

წინასიტყვაობა

ამ წიგნის ავტორი, განსვენებული პროფესორი ნ. ა. კუნი * ძველი ბერძნული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საბჭოთა ისტორიკოსია. წიგნში მოთხრობილია ბერძნული მითების (თქმულებანი ფანტასტიკურ არსებათა: ღმერთების, გმირებისა და ურჩხულების შესახებ, რომლებიც უხსოვარი დროიდან ვითომდა ცხოვრობდნენ საბერძნეთსა და მის ახლო მდებარე ქვეყნებში) შინაარსი. ძველი საბერძნეთის მცხოვრებთა შეგნებაში ლეგენდარული ღვთაებანი გამოხატავდნენ ბუნების სხვადასხვა ძალებს. ბერძნული მითები მოგვითხრობენ ზებუნებრივი ძალით, სიმამაცითა და მოხერხებით დაჯილდოებულ ადამიან-გმირთა, უფრო ხშირად — სხვადასხვა ღმერთებისა და ქალღმერთების შვილთა თავგადასავლისა და გმირობის შესახებ. შემდგომ ეს ლეგენდები ბერძნებისაგან რომაელებმაც გადმოიღეს. ისინი გაერთიანებული არიან „ძველი ბერძნული მითოლოგიის“ საერთო სახელწოდებით.

ამ ძველ თქმულებათა საფუძველზე შეიქმნა დიდი ეპიკური პოემები. მათ შორის ყველაზე პოპულარულია უსინათლო მომღერლის ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“. პირველი შეიცავს ბერძნების მიერ ტროას წინააღმდეგ წარმოებული ომის მეათე წლის ზოგიერთ ეპიზოდს, ხოლო მეორე—გმირ ოდისევსის თავგადასავალს, იმ ეპოქის ბერძნებისათვის ნაკლებად ცნობილ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთის ზღაპრულ რაიონებში და მის მშვიდობიანად დაბრუნებას ითაკის მშობლიურ კუნძულზე.

ჰომეროსის პოემის გმირები — აქილევსი, ოდისევსი, ჰექტორი, აგამემნონი, მენელაოსი, აიაქსი, ანდრომაქე, პენელოპე, ელენე — მეტად პოპულარულნი იყვნენ მთელ საბერძნეთში.

---

* გარდაიცვალა 1940 წლის 28 დეკემბერს.

ჰომეროსის ლექსები ზეპირად გადადიოდა თაობიდან თაობაზე. დაბოლოს ძვ. წ. VI საუკუნეში ათენში ისინი ჩაიწერეს და აქციეს წერილობით ლიტერატურულ ძეგლებად. მათ ასწავლიდნენ ძველი სებერძნეთის ყველა სკოლაში, შემდგომ იმ ელინისტური სახელმწიფოების სკოლებში, რომლებიც ბერძენმა დამპყრობლებმა შექმნეს აზიაში, და, ბოლოს, რომის იმპერიაში არსებულ უმეტეს სასწავლებლებში.

ჰომეროსის ეპიკური პოემების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აღნიშნა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV საუკუნეში მცხოვრებმა ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა-იდეალისტმა პლატონმა, რომელიც წერდა, რომ „ამ პოეტმა (ჰომეროსმა) აღზარდა ელადა". მაგრამ მიუხედავად ჰომეროსის უდიდესი პოპულარობისა, მისი ბიოგრაფია და დაბადების ადგილიც კი უცნობი იყო. ძველ საბერძნეთში შვიდი ქალაქი თვლიდა თავის თავს ჰომეროსის სამშობლოდ. ბიოგრაფიული ცნობების უქონლობამ აიძულა ძველი ბერძნული ისტორიისა და ლიტერატურის ზოგიერთი მკვლევარი ეჭვის ქვეშ დაეყენებინა ჰომეროსის პიროვნების ისტორიული რეალობა. მრავალი ისტორიკოსი და არქეოლოგი თვით ქალაქ ტროას ისტორიულ არსებობასაც კი უარყოფდა.

მაგრამ XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის საინტერესო არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადასტურეს ზოგიერთ ლეგენდებში აღნიშნული მთელი რიგი ფაქტები. ამასთანავე არქეოლოგების ქრონოლოგიური გაანგარიშებანი და ძველი ბერძნული მითოლოგიის ცნობები ერთმანეთს უახლოვდებიან.

ჰომეროსის პოემების „ილიადასა" და „ოდისეას" გარდა მრავალი მითიური თქმულება ღვთაებათა შესახებ მოთხრობილია ძვ. წ. V საუკუნეში მცხოვრებ ათენის დრამატურგების ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, რომაელი პოეტების ვირგილიუსის, ოვიდიუსისა და სხვათა ნაწარმოებებში.

მითიური ღვთაებებისა და გმირების სახეებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს შემდგომი დროის მწერლების, მხატვრებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებებშიც. ბერძნული მითოლოგიიდან ნასესხებ სიუჟეტებზე წერდნენ შექსპირი, შილერი, მითოლოგიური პერსონაჟები მრავალგზის არიან მოხსენებული ი. კრილოვის იგავ-არაკებში, გ. დერჟავინის, ვ. ჟუკოვსკის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის ლექსებში.

ბერძნული მითოლოგიის თემებზე შექმნილია სახვითი ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებები. თანამედროვე ასტრონომიაში მზის სისტემის ყველა პლანეტის, მრავალი უძრავი ვარსკვლავისა და მთელი თანავარსკვლავედების სახელები აღებულია ანტიკური, უმთავრესად ძველი ბერძნული მითოლოგიიდან.

ჩვენ თვითონ ხშირად ვხმარობთ ძველი ბერძნული მითოლოგიიდან ნასესხებ სახელებს, გამოთქმებს, მეტაფორებს. ზოგს არც კი შეუძლია ზუსტად ახსნას მათი პირვანდელი აზრი, რადგან არ იცნობს ძველ ბერძნულ მითოლოგიას.

ამრიგად, ძველი ბერძნული მითების შინარსიის გაცნობა აფართოებს ჩვენი ცოდნის არეს. მითოლოგიის ცოდნა აუცილებელია ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის დისციპლინების (ფერწერის ისტორია და თეორია, მუსიკის ისტორია) მასწავლებელთათვის, შესაფერისი სპეციალობების სტუდენტებისა და უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის.

ნ. ა. კუნის წიგნის ქართული გამოცემის მომზადებისას გამომცემლობამ საჭიროდ სცნო ნაშრომის საერთო სტრუქტურის შენარჩუნებასთან ერთად რამდენადმე შეემცირებინა მისი მოცულობა. წიგნის პირველი ნაწილი თარგმნილია უკლებლივ. მეორე ნაწილიდან აღებულია მთლიანად „არგონავტების", „აგამემნონი და მისი შვილის ორესტესა" და თებეს ციკლი. დანარჩენი მასალა შეკვეცილია. ქართულ გამოცემას დართული აქვს მითოლოგიური ლექსიკონი, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას უფრო ნათლად გაერკვეს მითებისა და ლეგენდების შინაარსში.

ნ. ა. კუნის წიგნი ამ სახით ძირითადად წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელთათვის. მათ შეუძლიათ გამოიყენონ იგი არა მარტო გაკვეთილებისათვის მომზადების დროს, არამედ თვით გაკვეთილზეც, განსაკუთრებით კი ისტორიის შემსწავლელთა წრეების მეცადინეობაზე, წრეებში საკითხავად ყველაზე მოხერხებულია მითები პრომეთეს, ჰერაკლეს, არგონავტების, აგამემნონის, ოიდიპოსის შესახებ.

ნ. ა. კუნის წიგნის წაკითხვა სარგებლობას მოუტანს უფროსი კლასების მოსწავლეებსაც.

ძველი ბერძნული მითები და საქართველო

ეს წიგნი ძველი საბერძნეთის მითების კრებულია. მითი (მითოს) ძველი ბერძნული სიტყვაა და იგი აღნიშნავდა „სიტყვას", „საუბარს", „ზღაპარს". მითი თქმულებებია ღმერთებისა, გმირთა და ფანტასტურ არსებათა შესახებ. მითების ერთობლიობას, მათ კრებულს კი მითოლოგია ეწოდება. მითოლოგია (სიტყვიდან მითოს+ლოგია) ამავე დროს ამ თქმულებათა შემსწავლელი მეცნიერების დარგია.

მითი მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე უფრო უძველესი ფორმაა. მითოლოგია ხალხური შემოქმედების ნაყოფია და ამასთან აუცილებლად კოლექტიური შემოქმედებისა, რამდენადაც იგი აზრთა ხანგრძლივი ურთიერთობის საფუძველზეა აღმოცენებული.

მითი ადამიანთა საზოგადოების განვითარების სულ ადრინდელ ეტაპზეა წარმოშობილი, სწორედ მაშინ, როდესაც იქმნებოდა ადამიანთა პირველი რელიგიური წარმოდგენები.

ბევრი რამ იყო უძველესი ადამიანისათვის იდუმალი და შეუცნობელი, ამასთან შიშის მომგვრელიც: სტიქიური უბედურება — წვიმა და სეტყვა, გვალვა და წყალდიდობა, მიწისძვრა, მოუსავლიანობა, ეპიდემია, ბუნების ცალკეული მოვლენები — ელვა და მისი თანმხლები ჭექა-ქუხილი; უამრავი უსულო საგანიც კი — უჩვეულო მოყვანილობის ხე, აშრიალებული ფოთლებით, მოჭრის დროს საოცარი ხმის გამომცემი (დღემდე შემორჩა სხვადასხვა ხალხებს ასეთი გამოთქმები: მძინარე ტყე, მტირალი ტირიფი და სხვ.), და ბოლოს ბევრი რამ პირადი ცხოვრებიდანაც კი—ძილი თუ სიზმარი, სიკვდილი... ყველაფერი ეს უხილავი ღმერთების ნება-სურვილის გამოვლინებად მიაჩნდათ ძველ ხალხებს. ამიტომაც პირველყოფილი ადამიანი მითში ცდილობდა ბუნების მრავალრიცხოვანი მოვლენების ახსნას, სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოებათა შეცნობას, ადამიანისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების წარმოდგენას. ამიტომაც აქვს უძველესი მითების მეცნიერულ შესწავლას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით კაცობრიობის ისტორიის ადრინ-

დელი ეტაპების აღსადგენად. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს დეტალურადაა ნაჩვენები თუ როგორაა მითებში ასახული ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, როგორიცაა მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლა, პირველყოფილ-გვაროვნულ საზოგადოებაში კლასებისა და პირველი სახელმწიფოების ჩასახვა და სხვ. უძველეს მითებში ასახულია ისეთი დიდმნიშვნელოვანი მომენტები კაცობრიობის ისტორიაში, როგორიცაა ცეცხლის გაჩენა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგების წარმოშობა, მეტალურგიისა და მიწისმოქმედების პროგრესი, ვაჭართა და მოგზაურთა შორეული მოგზაურობანი უცხო ქვეყნებში.

უძველეს ხალხთა მითებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უკავია ძველ ბერძნულ მითოლოგიას *. ძველი ბერძნული მითიც აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვიერების წიაღშია წარმოშობილი იმ შორეულ ეპოქაში, როდესაც ადამიანი აღმერთებდა ბუნების ძალებს. ადამიანთა რელიგიური წარმოდგენების ეს უძველესი ეტაპი ყველაზე უფრო ნათლად სწორედ ბერძნულ მითებში აისახა. ძველი ელადის (ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები თავის ქვეყანას) თქმულებებში ღმერთები განასახიერებენ ბუნების ძალებს, მოვლენებს, სტიქიას. მთელი ბუნება ძველ ბერძენს წარმოედგინა ცოცხალ სამყაროდ, სადაც სახლობდნენ უკვდავი ღმერთები, ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებული გმირები (ნახევარღმერთები, უკვდავი ღმერთისა და მოკვდავი ადამიანის ნაშიერნი), ფანტასტიკური არსებანი.

ძველ ბერძენთა წარმოდგენით, სამყარო შემოსაზღვრული იყო ვრცელი მდინარით, რომელსაც ოკეანეს უწოდებდნენ. ოკეანეს აღმოსავლეთით ყოველ დილით ამოდის მზე— ღმერთი ჰელიოსი, ხოლო დასავლეთით (იმავე დროს) ჩადის მთვარე — ქალღმერთი სელენე. ზღვის სიღრმეში ცხოვრობს ზღვათა მეუფე და გამგებელი — დიდი ღმერთი პოსეიდონი, ხოლო მთელ სამყაროს განაგებს ზევსი — ყველა ღმერთებისა და ადამიანების მამამთავარი და მბრძანებელი. იგი ყოვლისშემძლეა. ზევსი განაგებს ცასა და ციურ მოვლენებს. იგია ჭექა-ქუხილის ღმერთი—ზევსი ელვისა და მეხის მფრქვეველი. მისი სურვილისამებრ იკრიბება ღრუბელი ცაზე, იგი უგზავნის ადამიანებს წვიმას, მისი ბრძანებით მოძრაობს ქარი. იგი განაგებს ამქვეყნად წელიწადის დროთა მონაცვლეობას

---

* ანტიკური მითოლოგიის რაობისა და ძირითადი საკითხების შესახებ იხ. ს. გ. უ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1950; О. М. Фрейденберг, Поэтика сюжета и жанра, Л., 1936; М. С. Альтман, Греческая миф ология, Л., 1937; С. И. Радциг, Античная мифология. Очерк античных мифов в освещении современной науки, М.-Л., 1933; Я. Э. Голосовкер, Сказания о титанах, М., 1955; А. Ф. Лосев, Античная мифология в ее историческом развитии, М., 1957; И. Тренчени-Вальдапфель, Мифология, перевод с венгерского, М., 1959.

ვლეობას. ზევსმა დაამყარა ქვეყნად საზოგადოებრივი წესრიგი და დაუწესა ადამიანებს კანონები. ადამიანთა ბედი ზევსის ნებას ემორჩილება. ოლიმპოს მთიდან უგზავნის იგი ადამიანებს წყალობასა და რისხვას. ზევსის მეუღლეა ქალღმერთი ჰერა — მოსავლიანობის მფარველი. ზევსისა და ჰერას შეუღლება ძველ ბერძენთა წარმოდგენაში ანსახიერებდა მზისა და წვიმის კავშირს, აგრე აუცილებელს დედამიწის განაყოფიერებისა და მოსავლიანობისათვის. იქნებ ამიტომაც ჰერა ქორწინების ქალღმერთიც იყო და აგრეთვე მშობელ ქალთა მფარველადაც ითვლებოდა. ძველ ბერძენთა მიერ შექმნილ მითოლოგიურ სახეებს მკითხველი თვითონვე გაეცნობა ამ წიგნში და ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მაგრამ ბერძნული მითოლოგიური სახეების შესახებ საუბრისას არ შეიძლება ხაზი არ გაესვას მათ გარკვეულ კანონზომიერებას, ლოგიკურობას. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ნაჩვენები, რომ ზოგიერთი ბერძნული მითოლოგიური სახეები მეტნაკლებად ასახავენ გარკვეულ ისტორიულ ფაქტებს. ასე მაგალითად, ძველ ბერძენთა წარმოდგენით დედამიწას (მიწას) განასახიერებს ქალღმერთი გეა (ძველ ბერძნულ ენაზე გეა ნიშნავს მიწას). მისი ქალიშვილია თემიდა — კანონიერებისა და მართლმსაჯულების ქალღმერთი. მკვლევარნი ამ ორ მითოლოგიურ სახეს შორის გარკვეულ კანონზომიერებას ხედავენ: მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობასთან დაკავშირებით მიწათსარგებლობის უფლების მოწესრიგება მოითხოვდა კანონისა და მართლმსაჯულების შექმნასო.

მთელ რიგ მითებში თავისებური ასახვა ჰპოვა უძველეს ხალხთა შორის ფართოდ გავრცელებულმა ბუნების კულტმა. ამ თვალსაზრისით მსოფლიო მითოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მომხიბლავ მითადაა მიჩნეული ძველი ბერძნული თქმულება ნიმფა ექოს შესახებ (ეს მითი წიგნში დაკავშირებულია მითთან ნარცისის შესახებ). მშვენიერი ნიმფა ექო ქალღმერთმა ჰერამ დასაჯა. ამიერიდან ექოს მხოლოდ მასთან მოსაუბრის მიერ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვის გამეორება შეეძლო... და აი, ექოს შეუყვარდა სახემშვენიერი ჭაბუკი ნარცისი. ვერ შესძლო ექომ თავისი უნუგეშო სიყვარულის განდობა. უარყო იგი ნარცისმა. მარტოდ ცხოვრობდა ამიერიდან უკაცრიელ და მიუვალ გამოქვაბულში ექო და მძიმედ განიცდიდა თავის სიყვარულს. ჩამოხმა იგი და მხოლოდ ძვლები და უწინდელი ხმა-ღა შერჩენოდა. დაბოლოს, ძვლებიც ქვად იქცნენ, მაგრამ დარჩა ექოს ხმა. ვერავინ ხედავს მას უდაბურს ტყეებსა და მაღალ მთებში, მაგრამ ყველას ესმის მისი ხმა...

ასე აისახა მითში ძველი საბერძნეთის მთიანი ხეობებისათვის დამახასიათებელი ექო. საინტერესოა, რომ ძველ ბერძნულ ხუროთმოძღვრებაში აგრეთვე ხშირადაა გამოყენებული ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი რეზონანსი: ოლიმპიაში, საბერძნეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, იყო თურმე საგანგებოდ აგებული ტალანი, სადაც ერთხელ

ნათქვამი სიტყვა შვიდჯერ მეორდებოდა და ამ ნაგებობას ოლიმპიის მცხოვრებნი „ექოს“ ეძახდნენ.

ასე, ძველი ელადის ყოველ კუთხეს, მის ყოველ კუნჭულს, მდინარესა თუ წყაროს, ხესა თუ სულ უმნიშვნელო ბუჩქსაც კი ჰქონდა თავისი მითოლოგიური ახსნა, მითიური წარსული. ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის „დიალოგებში“ ერთი ასეთი მონათხრობია: ...ფილოსოფოსი სოკრატე და მისი ახალგაზრდა მეგობარი ფედროსი მდ. ილისის ნაპირზე სეირნობდნენ, და ბოლოს ერთი მაღალი ჭადრის ჩრდილქვეშ შეისვენეს. ფედროსი შეეკითხა: „აქ სადღაც, ილისის მახლობლად ხომ არაა ის ადგილი, საიდანაც, როგორც ამბობენ, ბორეასმა გაიტაცა ორითია?“ *. სოკრატე პასუხობს: „ამბობენ, რომ აქაა“. მაშინ ფედროსი განაგრძობს: „...ალბათ სწორედ ეს ადგილია! აქ ხომ წყალი ასეთი მომხიბლავია, სუფთა და გამჭვირვალე; ალბათ სწორედ აქ თამაშობდნენ ქალწულნი“... სოკრატე პასუხობს: „არა, ის უფრო ქვემოთკენაა, აქედან ორისამი სტადიონის ** დაშორებით, იქ სადაც არტემიდეს ტაძრისაკენ გადასასვლელია. იქაა ვგონებ ბორეასის სახელზე აგებული რაღაც სამსხვერპლო. მართლაც რომ ბრწყინვალე ადგილია! ამ ჭადრის ძირში მოჩუხჩუხე წყაროც რა შესანიშნავია! ქალწულთა გამოსახულებებისა და ქანდაკებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ იგი ღვთაება აქელოესადმი უნდა იყოს მიძღვნილი...“ ამ დიალოგში შესანიშნავადაა ასახული მთელი მითოლოგიური სამოსელი ძველი ბერძენის ყოველდღიური ცხოვრებისა.

მითი, როგორც ითქვა, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნაყოფია. მაგრამ იგი იქცა ბერძნული მხატვრული შემოქმედების შთაგონების წყაროდ. ამიტომაცაა, რომ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე აღმოცენებული ანტიკური მითოლოგია და ლიტერატურა თითქმის ორი ათეული საუკუნის მანძილზე ცხოველ გავლენას ახდენდა შემდგომი ხანის ეპოსის, ლირიკისა და თეატრის განვითარებაზე. უკვე ძველადვე ბერძნული საისტორიო მწერლობა (პირველ რიგში კი, ჰეროდოტე) მითოლოგიის ფუძემდებლად ძველი ელადის ორ უდიდეს მწერალს ჰომეროსსა და ჰესიოდეს მიიჩნევდა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მითი გაცილებით ადრეა წარმოშობილი.

თანამედროვე მეცნიერება ჰომეროსისა და ჰესიოდეს დამსახურებად თვლის იმას, რომ მათ შეიცნეს მითის (განსაკუთრებით, მისი მრავალრიცხოვანი ვარიანტების) მნიშვნელობა პოეზიისათვის და იგი გასაოცარი მხატვრული ალღოთი და ოსტატობით გამოიყენეს და ამორფული, რამდენადმე ჩამოუყალიბებელი და ზოგჯერ ბუნდოვანი ზეპირი თქმულებებისა და გადმოცემების საფუძველზე შექმნეს მაღალმხატვრული პოე-

---

* იგულისხმება ქარის ღმერთის ბორეასის მიერ ათენის ლეგენდარული მეფის ერეხთევსის ქალიშვილის ორითიას მოტაცება.

** სტადიონი 177 მეტრს უდრის.

ტური ნაწარმოებები. ანტიკური ლიტერატურის ისტორიამ იცის არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები, რომელსაც საფუძვლად სწორედ მითიური სიუჟეტი უდევს საფუძვლად.

ძველი ბერძნული მითოლოგიის მიერ შექმნილი სახეები დაედო საფუძვლად ბერძენ ხელოვანთა შემოქმედებას. მითოლოგიურ სიუჟეტებზეა აგებული ანტიკური ქანდაკებისა და ფერწერის უდიდესი ნაწარმოებები. გავიხსენოთ თუნდაც ოლიმპოელი ზევსისა და პართენონის ტაძართა რელიეფები; მირონის, პოლიკლეტის, ფიდიასის, პრაქსიტელეს, პითაგორე რეგინელის, სკოპასის თუ სხვა უცნობ ოსტატთა ქანდაკებანი, ჰოლიგნოტის ფერწერული ტილოები, აგრე დიდებული ბერძნული კერამიკული ფერწერა და სხვ. ანტიკური მითოლოგიის თემებზე ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს რენესანსის ეპოქის უდიდესი ხელოვანნიც (რაფაელი, მიქელ-ანჯელო, ტიციანი).

ანტიკური მითოლოგიის ცხოველმყოფელი გავლენა კარგად იგრძნობა ჩვენ დღევანდელ აზროვნებასა და მეტყველებაში. თვითეული ჩვენთაგანი ხშირად ხმარობს ისეთ გამოთქმებს, თუ ცალკეულ სიტყვებს, როგორიცაა „ცილობის ვაშლი", „აქილევსის ქუსლი", „არიადნეს ძაფი", ლაბირინტი, ჰერკულესი, ტიტანი, გიგანტი და მრავალი სხვ. ყველა ისინი ხომ ანტიკური, მითოლოგიური „წარმოშობისაა"! იმავე დროს ეს ფაქტი მჭევრმეტყველი მოწმობაა იმისა თუ რამდენიმე ათეული საუკუნეების წინ შექმნილი მითიური სახე დღემდე როგორ შემორჩა ადამიანთა გონებას, მაგრამ ამჯერად უკვე როგორც ერთგვარი ალეგორია, უფრო სწორად, უდიდესი ძალის, სიზუსტისა თუ წარმოსახვის მქონე ხატოვანი თქმა.

ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველ ბერძნულ მითოლოგიაში გარკვეული და თავისებური ასახვა ჰპოვა ძველი საბერძნეთის კულტურულმა და ეკონომიურმა ურთიერთობამ ქართულ-კავკასიურ სამყაროსთან. შეიქმნა მთელი რიგი მითებისა, თუ ცალკეული მითოლოგიური სახეებისა და სიუჟეტებისა, რომლებიც ქართულ-კავკასიურ სამყაროსთან არიან დაკავშირებული: ამორძალები, მეომარ ქალთა მითიური ტომი, ძველ ბერძენთა წარმოდგენით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლეობდა მდ. თერმოდონტის (აწინდელი თერმე-ჩაის) მახლობლად. ბერძენ გმირებს პოლიდევკესა და კასტორს (დიოსკურებს) თითქოს კოლხთა ქვეყანაში დაუარსებიათ ქალაქი დიოსკურია. კავკასიონის ქედზე იყო მიჯაჭვული ბერძენთა გმირი პრომეთე. მეტად საინტერესოა რომ ძველ საქართველოში ასევე უძველესი ხანიდან ფართოდ იყო გავრცელებული პრომეთეს შესახებ ბერძნული თქმულების მსგავსი მითი კავკასიონის მთებზე მიჯაჭვული ამირანის შესახებ. ბერძნულსა და ქართულ თქმულებას ბევრი რამ აქვთ ერთმანეთთან საერთო. დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ორი თქმულების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, მითი ამირან- პრომეთეს შესა-

ხებ ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ნიადაგზეა აღმოცენებული, სხვანი ამ ორი თქმულების ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოშობას ვარაუდობენ, რამდენადაც მეტნაკლებად მსგავსი თქმულებანი სხვა სალხთა ფოლკლორშიც მოიძებნებაო (შეადარეთ აფხაზური აბრსკილ, სომხური მჰერ). არსებობს მოსაზრება აგრეთვე ამ მითების ერთი საერთო წყაროდან წარმომავლობის შესახებ. ამირანისა და პრომეთეს მითის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი საკმაოდ რთულია, მით უფრო, რომ საუკუნეების მანძილზე ამ თქმულებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. განსაკუთრებით ეს ითქმის ბერძნულ თქმულებაზე პრომეთეს შესახებ, სადაც ბევრი რამ პოეტური ფანტაზიის სამოსელშია გადმოცემული. მაინც იმდენად ძლიერია საერთო ელემენტები ბერძნულ და ქართულ მითებს შორის, რომ თუ ეს ორი მითი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაა თავის დროზე წარმოშობილი, შემდგომში მაინც, ბერძნულ და ქართულ ტომებს შორის ცხოველი ურთიერთობის დროს, მითების საბოლოოდ ჩამოყალიბებაში ურთიერთ გავლენა უგულველსაყოფი არ უნდა იყოს.

ძალზე საინტერესოა რომ: თვით ბერძნები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ პრომეთე სწორედ კოლხეთში კავკასიონის ქედზე იყო მიჯაჭვული. ბერძენი ისტორიკოსის აპიანეს (დაახლ. ახ. წ. 90—170 წწ.) ცნობით, რომაელმა სარდალმა პომპეუსმა კოლხეთში ლაშქრობისას „მოიარა კოლხები არგონავტთა, დიოსკურებისა და ჰერაკლეს აქ ყოფნის ამბების შესატყობად და განსაკუთრებით კი უნდოდა ენახა ტანჯვის ადგილები, რადგან ამბობდნენ, პრომეთე კავკასიონის მთაზე იყო“... („მითრიდატეს ომები“, 103). კიდევ უფრო მრავალმეტყველია ცნობა იმპერატორ ადრიანეს მოხელე ფლაბიუს არიანესი, რომელმაც ახ. წ. 134 წ. კოლხეთში იმოგზაურა. იგი გადმოგვცემს: „ჩვენ კავკასიონის ერთი მწვერვალი გვიჩვენეს, სტრობილს უწოდებდნენ სახელად, რომელზედაც მითიური გადმოცემით, ზევსის ბრძანებით ჰეფესტოს მიერ პრომეთე იყო მიჯაჭვული...“, ხოლო ახ. წ. II—III საუკუნის მწერალი ფილოსტრატე II გვამცნობს, რომ პრომეთეს შესახებ მსგავსი მითი კავკასიაშიც იყო გავრცელებული: „კავკასიის მთის შესახებ ბარბაროსები ისეთსავე თქმულებას ჰყვებიან, როგორსაც ელინები მღერიან მასზე: რომ იქ მიჯაჭვულ იქნა პრომეთე კაცთმოყვარეობის გამო და რომ მეორე ჰერაკლემ, — და არა თებელმა, — ვერ აიტანა ეს და ისრით განგმირა ფრინველი, რომელიც პრომეთეს შიგნეულს ჯიჯგნიდა. ზოგიერთები ამბობენ, რომ იგი მიჯაჭვული იყო გამოქვაბულში, რომელსაც მთის ძირში აჩვენებენ...“

მოტანილი ამონაწერებიდან კარგად ჩანს, რომ კოლხეთში კარგად იყო ცნობილი ბერძნული მითი პრომეთეს შესახებ, მაგრამ იმავე დროს ბერძნებაც იცოდნენ ანალოგიური შინაარსის ადგილობრივი თქმულება.

ბერძნულ მითოლოგიაში ძველ საქართველოსთან ურთიერთობა ყველაზე უფრო

ნათლად აისახა თქმულებაში არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის შესახებ (ამ მითის შინაარსი იხ. წიგნის II ნაწილში *).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს დადგენილად ითვლება, რომ არგონავტების შესახებ ბერძნული მითის არსებითი და ძირითადი ბირთვი ჯერ კიდევ ჰომეროსის წინადროინდელ პოეზიაში ცალკეული სიმღერების სახით იყო დამუშავებული. აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის „ოდისეაში" იხსენიებიან მეფე აიეტი ** (X, 137. XII, 70), აია ქვეყანა *** (X, 135; XI, 70; XII, 2), არგონავტების წინამძღოლი იასონი (XII, 72), პელიასი (XI, 256) — თესალიის მეფე, რომელმაც გადმოცემის თანახმად იასონს კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა დაავალა; აგრეთვე, არგონავტთა შესახებ ბერძნული თქმულების სხვა პერსონაჟები: კრეთევსი (არგონავტთა წინამძღოლის იასონის პაპა), ეასონი (იასონის მამა), ფერეტი, ამითაონი (XI, 254) და ბოლოს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა და მნიშვნელოვანი: „მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა, ყველასათვის სანუკვარმა არგომ, აიეტისაგან მომავალმა გასცურა პლანქტებში ****. ალბათ იმასაც მაშინვე მიახეთქებდა იქ უზარმაზარ კლდეებს, მაგრამ ჰერამ გაატარა, რადგან იასონი უყვარდა" (XII, 70-72).

ანტიკური ტრადიციის (ჰეროდოტე, ერატოსთენე, ევსევი კესარელი) თანახმად, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაც იზიარებს, არგონავტების ლაშქრობა წინ უსწრებდა ტროას ომს (აღსანიშნავია, რომ არგონავტთა შორის არიან ტროას ომის მონაწილეთა მამები და პაპები). ტროას ომის თარიღის შესახებ დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ცხოველი სხვადასხვაობაა. უმრავლესობა მაინც იმ აზრისაა, რომ ტროას ომი მოხდა ძვ. წ. XIII ს. დასასრულს. მაშასადამე, არგონავტთა მოგზაურობა კოლხეთში ამაზე უწინარეს უნდა განხორციელებულიყო. როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ერთი რამ მაინც სავსებით აშკარაა: არგონავტების შესახებ ბერძნული თქმულების უძველესსა და პირვანდელ ვერსიებში აისახა ბერძენ-აქაველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. საინტერესოა, რომ

---

* მითი არგონავტების შესახებ ქართულ ენაზე იხ. აგრეთვე: აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა (ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო აკაკი ურუშაძემ) თბ., 1948; აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

** აიეტი კოლხეთის ლეგენდარული მეფეა. საინტერესოა ბერძენი მწერლის სტრაბონის ცნობა: „რომ კოლხეთზე მეფობდა აიეტი, სარწმუნოდაა მიჩნეული; აქაურებში ეს სახელი ადგილობრივია" (I, 2, 31), ხოლო ახ. წ. VI ს. კოლხეთის ისტორიაში კარგადაა ცნობილი ისტორიული პიროვნება, მეკვრმეტყველებით ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ეიეტი ერქვა.

*** აია ანტიკურ მწერალთა ცნობებით კოლხეთის უძველესი სახელწოდებაა.

**** პლანქტები ანუ ჰომეროსის შემდგომი ხანის ანტიკურ მწერალთა სიმპლეგადები ან კიანები, როგორც ფიქრობენ, ბოსფორიდან შავ ზღვაში შესასვლელთანაა საგულვებელი.

თვით ბერძნებს მითის თანახმად, პლანქტების გაცურვა შავ ზღვაში ნაოსნობის დასაწყისადაც მიაჩნდათ.

ამასთან ერთად მითში არგონავტების შესახებ აისახა ისტორიული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში არსებული მსხვილი ტომობრივი გაერთიანება, რომელიც ძველ აღმოსავლურ წყაროებში „კოლხას" სახელით იყო ცნობილი. ეს ის ხანაა, როდესაც ჩვენში განვითარების ახალ და მაღალ საფეხურზე ადის სპილენძ-ბრინჯაოს კულტურა, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი „კოლხური კულტურის" სახელით, მითში მოხსენებული ფოლადის სახვნელი, სპილენძის ჩლიქებიანი ხარები და სხვ. მისთანანი მკვლევარებს კოლხური სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურების ანარეკლად მიაჩნიათ.

მითი არგონავტების შესახებ ძალზე პოპულარული იყო საბერძნეთში უფრო გვიანაც ძვ. წ. VIII საუკუნიდან მოკიდებული ანტიკური პერიოდის მთელ სიგრძეზე და მის მერმეც. ეს ფაქტი თავისთავად ანტიკური სამყაროსა და ძველ საქართველოს შორის არსებული მჭიდრო და ცხოველი ურთიერთობის ანარეკლია. მაინც საკითხავია რით აიხსნება ამ მითის ასეთი არაჩვეულებრივი პოპულარობა ბერძენთა შორის? ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ბერძნული მითები, როგორც წესი, მოგვითხრობენ ძველ ელინთა არაჩვეულებრივ საგმირო საქმეებზე (ძლევამოსილი ლაშქრობები, უცხო ქვეყნების დაპყრობა, მდიდარი ნადავლის მოხვეჭა, ქალაქების დაარსება). თუ კარგად დავუკვირდებით მითის შინაარსს, დავინახავთ, რომ კოლხეთში არგონავტებს მაინცდამაინც საარაკო გმირობა არ ჩაუდენიათ. მითის მიხედვით ხომ კარგად ჩანს, რომ კოლხთა მეფის ასული მედეა რომ არა, არგონავტები და მათი წინამძღოლი იასონი ვერც აიეტის პირობას შეასრულებდნენ, ვერც ოქროს საწმისს მოიტაცებდნენ და ვერც სამშობლოში დაბრუნდებოდნენ მშვიდობიანად. კიდევ მეტი, არგონავტებმა ვერაგულად მოკლეს კოლხი უფლისწული აფსირტე! და მიუხედავად ყოველივე ამისა, ძველ ბერძნულ საგმირო ეპოსში არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა ტროას ომის შემდეგ ყველაზე უფრო სახელგანთქმული ამბავია.

მეტად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ქართველმა მეცნიერმა პროფ. სერგი ჯიქიამ: სახელწოდება „არგონავტები" შესაძლოა ნიშნავდა არა გემ „არგოზე" მოგზაურთ, არამედ მოგზაურთ „არგის" ქვეყანაში, სადაც (მ)არგალნი ცხოვრობდნენო. ამ თვალსაზრისით „არგ" კოლხეთის უძველესი ქართული სახელწოდების „ეგრისის" ექვივალენტადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, კოლხეთის მითიური მეფის აიეტის შვილები და შვილიშვილები კოლხეთის ქალაქების ეპონიმებად არიან მიჩნეული: აფსირტე ქალაქ აფსაროსისა (თანამედროვე გონიო ბათუმის მახლობლად), კიტისორე ქალაქ ქუთაისისა, არგოსი კი ეგრისის

ეთნარქ-ეპონიმად ივარაუდება... და საინტერესოა, რომ მითიური არგონავტიკის ერთ-ერთი უძველესი ვერსიის თანახმად, რომელიც ძვ. წ. V ს. ბერძენ მწერალ ფერეკიდეს-თანაა შემონახული, „არგო" ხომალდის მშენებელი სწორედ აიეტის შვილიშვილი, ფრიქსესა და აიეტის ასულის ქალკიოპეს ვაჟი, არგოსია. საფიქრებელია, რომ მითი არგონავტების შესახებ მიზნად ისახავდა აგრეთვე მდიდარი და ძლიერი კოლხეთის განდიდებას, ამ შორეული და მშვენიერი, თუმც იდუმალი ქვეყნის შესახებ ცნობების გავრცელებას ანტიკურ სამყაროში.

ძველ ბერძენთა წარმოდგენით კოლხეთი ოქროთი მდიდარი ქვეყანაა. ამ თვალ-საზრისით საინტერესოა „კოლხეთში დაკრძალულ აიეტზე" შედგენილი ეპიტაფია, რო-მელიც არისტოტელეს მიეწერება: „ოქროთი მდიდარი კოლხების მეუფე აიეტი ღმერ-თების ყოვლისმძლე სვემ აქ გააპატიოსნა". ამრიგად, ბერძნები კოლხეთს იმავე ეპი-თეტით იხსენიებენ, როგორც ჰომეროსი აღწერდა მიკენს, ხოლო მიკენის ძლიერება და სიმდიდრე ახლა ფართოდაა ილუსტრირებული არქეოლოგ შლიმანის საყოველთაოდ ცნობილი გათხრებით.

ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობით: „(კოლხეთში)... მდინარეებს ჩამო-აქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით აგ-როვებენ. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავზე..." (XI, 2, 19). ხოლო II საუკუნის მწერლის აპიანეს ცნობით: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკა-დულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელ-მატყლიან ცხვრის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც" („მითრიდატეს ომები", 103). ანა-ლოგიური შინაარსის ცნობები სხვა მწერლებსაც მოეპოვებათ. მაგრამ ყველაზე საინტე-რესო და ფრიად მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბერძენ მწერალთა მიერ ზემოაღწერილი ოქროს მოპოვების წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა სვანეთში, ე. ი. ის-ტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის ცნობით: „ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს წყალში ჩაჰფენდენ და სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცნა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული: ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გადაივლიდა, სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა, რადგანაც ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ ქვიშა ზევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის". განსაზღვრუ-ლი დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და „ოქროს კენჭებს" გადმოჰყრიდნენ.

ვფიქრობთ, ძნელია მოიძებნოს სხვა უფრო ნათელი დადასტურება ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებისა კოლხეთის შესახებ, იმ ცნობებისა, რომელნიც ცდილობდნენ განე-

მარტათ მითის წარმოშობა ოქროს საწმისის შესახებ. დავუმატებთ მხოლოდ, რომ სვანეთში ასეთი გადმოცემაა შემონახული: — თითქოს ლეშხვარაზე მდგარა ორსართულიანი ტაძარი. მიწისქვეშა ქვედა სართულში ოქროს განძეულობა ინახებოდა. აქვე იყო ოქროს ჯაჭვით დაბმული ოქროს ვერძი...

როგორც ჩანს, ძველ კოლხეთს ოქროთი მდიდარი ქვეყნის სახელი მოუხვეჭა აგრეთვე ძველი კოლხი ოსტატების მიერ შექმნილმა მაღალმხატვრულმა ნაწარმმა. კოლხ ოქრომჭედელთა ნაკეთობანი კარგა ხანია უკვე იპყრობენ სპეციალისტთა ფართო წრეების ყურადღებას. აქ საკმარისი იქნება გავიხსენოთ, რომ 1961 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით) ძველი კოლხეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში — ვანში გათხარა ძვ. წ. V საუკუნის ერთი სამარხი, სადაც 1000-ზე მეტი (!) ოქროს ნივთი იპოვეს არქეოლოგებმა. მათ შორის იყო, მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული მრავალფეროვანი სამაჯურები, ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, დიადემა, ხატისუღელი, ფიალები და მრავალი სხვ. ძველი კოლხეთის არქეოლოგიური მონაპოვარიც აგრეთვე საკმაოდ მჭევრმეტყველი ილუსტრაციაა ანტიკურ მწერალთა ცნობებისა კოლხეთის, როგორც ოქროთი მდიდარი (ოქროს საწმისის) ქვეყნის შესახებ. ძველ ბერძენ მწერალთა ცნობები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფენ, რომ ელინური მითი ოქროს საწმისის შესახებ გარკვეული რეალური ვითარების ამსახველი იყო. აკი ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი წერდა კიდეც: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა (კოლხეთი) ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონისა... და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე... (მითები) მოგვითხრობენ ამ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძისაგან შედგება, რაც იყო მიზეზი ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობისა".

ძველი ელადის მითები პირველად ამ სამი ათეული წლის წინ იქნა გადმოქართულებული აწ განსვენებულ მიქაბერიძის მიერ. მაშინ ეს წიგნები დიდი ინტერესითა და გატაცებით იკითხებოდა. დღეს ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. პროფ. ნ. კუნის წიგნის გამოცემა ქართულ ენაზე უთუოდ ხელს შეუწყობს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესებას ძველი ელადის მითებით და მის შემდგომ კი ელინური პოეზიით, ხელოვნებით, კულტურით. პროფ. ნ. კუნის ამ წიგნში მითები ძველ ბერძენ და რომაელ მწერალთა (ჰომეროსი, ჰესიოდე, ესქილე, სოფოკლე, აპოლონიოს

როდოსელი, ოვიდიუსი) ნაწარმოებების მიხედვითაა მოთხრობილი. ამიტომ ბუნებრივია მათ პირვანდელი ფოლკლორული სახე რამდენადმე დაკარგული აქვთ და ბერძნული მითი პოეტური სამოსელითაა გადმოცემული. პროფ. ნ. კუნის ამჯერად ქართულ ენაზე გამოცემული წიგნი არაა ელინური მითების სრული კრებული (ქართულ გამოცემაში გამომცემლობის მიერ გამოტოვებულია ტროას ციკლი): მთელი რიგი მითებისა (სრულიად გასაგები მიზეზების გამო) პროფ. ნ. კუნის წიგნში შეტანილი არაა, მათ შორის ციკლი უძველესი მითებისა ტიტანების შესახებ. მაგრამ ეს ოდანავადაც ვერ დაამცირებს პროფ. ნ. კუნის წიგნის ღირსებასა და მნიშვნელობას. ელინური და მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოლოგიის ცნობილ ძეგლთა სრულად გადმოქართულება მომავლის საპატიო ამოცანაა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ოთ. ლოლთქიფანიძე

ნაწილი პირველი



ღმერთები და ადამიანები

სამყაროსა და ღმერთების წარმოშობა

მითები ღმერთებისა და მათი ბრძოლების შესახებ გიგანტებთან და ტიტანებთან ძირითადად მოთხრობილია ჰესიოდეს პოემის „თეოგონიას" („ღმერთების წარმოშობა") მიხედვით. ზოგიერთი თქმულება გადმოღებულია ჰომეროსის პოემების „ილიადასა" და „ოდისეადან" და რომაელი პოეტის ოვიდიუსის პოემიდან „მეტამორფოზები".

თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ მარადიული, უსაზღვრო, ბნელი ქაოსი: მასში იყო ქვეყნიერების სიცოცხლის წყარო. ყოველივე, მთელი სამყარო და უკვდავი ღმერთებიც, უსაზღვრო ქაოსიდან წარმოიშვა. ქაოსიდან წარმოიშვა ქალღმერთი დედამიწა — გეა; ფართოდ გადაიშალა იგი ძალუმი, სიცოცხლის მომნიჭებელი ყოველისათვის, რაც მასზე ცოცხლობს და იზრდება. შორს, მიწის ქვეშ კი, ისე შორს, როგორადაც შორსაა ჩვენგან უკიდეგანო, ნათელი ცა, განუზომელ სიღრმეში დაიბადა პირქუში ტარტაროსი — საზარელი ქვესკნელი, სავსე მარადიული წყვდიადით. ქაოსიდანვე, სიცოცხლის წყაროდან, იშვა დიადი ძალა, ყოვლის გამაცოცხლებელი სიყვარული — ეროსი. დაიწყო ქვეყნიერების შექმნა. უსაზღვრო ქაოსმა შვა მარადიული წყვდიადი — ერებოსი და ბნელი ღამე ნიუქსი. ღამისა და წყვდიადისაგან წარმოიშვნენ მარადიული შუქი—ეთერი და სიხარულის მომგვრელი, ნათელი დღე—ჰემერა. სინათლე მოეფინა მთელს ქვეყნიერებას და დაიწყო დღისა და ღამის ცვლა.

ყოვლისშემძლე კურთხეულმა დედამიწამ შვა უნაპირო ლურჯი ცა—ურანოსი, და გადაიშალა ზეცა. ამაყად აღიმართნენ ცისაკენ მიწის შვილები—მაღალი მთები და ფართოდ გადაიშალა მარად მღელვარე ზღვა. მშობელმა დედამიწამ შვა ზეცა, მთები და ზღვა, და არა ჰყავდათ მათ მშობელი მამა.

ურანოსი—ცა გამეფდა ქვეყნიერებაზე და ცოლად შეირთო ბარაქიანი დედამიწა. ექვსი ასული და ექვსი ვაჟიშვილი—ძალუმი, მრისხანე ტიტანები ეყოლათ ურანოსსა და გეას. მათმა შვილმა, ტიტანმა ოკეანემ, უნაპირო მდინარე-

სავით რომ ეკლება გარშემო მთელს დედამიწას, და ქალღმერთმა ტეთიდამ შვეს ქვეყნად ყველა მდინარე, ზღვისკენ რომ მიაგორებენ თავიანთ ტალღებს, და ზღვის ქალღმერთები—ოკეანიდები. ხოლო ტიტანმა ჰიპერიონმა და თეიამ ქვეყანას მისცეს შვილები: მზე—ჰელიოსი, მთვარე—სელენე და წითლად შეფაკლული აისი—ვარდისფერთითება ეოსი (ავრორა). ასტრეასა და ეროსისაგან წარმოიშვა ყველა ვარსკვლავი, ღამის ბნელ ცაზე რომ ციმციმებს, და ყველა ქარი: ჩრდილოეთის მძვინვარე ქარი ბორეასი, აღმოსავლეთის—ევროსი, სამხრეთის ნესტიანი ქარი — ნოტოსი და დასავლეთის მოალერსე ნიავი — ზეფირი, წვიმით სავსე ღრუბლებს რომ მიერეკება.

ტიტანების გარდა ყოვლისშემძლე დედამიწამ შვა სამი ბუმბერაზი—კიკლოპი თითო თვალით შუბლზე, და მთასავით უზარმაზარი სამი ორმოცდაათთავიანი ბუმბერაზი—ასხელიანები (ჰეკატონქეირები), ასე წოდებულნი იმის გამო. რომ ყოველ მათგანს ასი ხელი ჰქონდა. მათს სიძლიერეს ვერავინ აღუდგება წინ, უსაზღვროა მათი სტიქიური ღონე.

ურანოსმა შეიძულა თავისი შვილები — ტიტანები, დაამწყვდია ქალღმერთ დედამიწის წიაღში და დღის სინათლეზე გამოსვლა აუკრძალა. იტანჯებოდა მათი დედა მიწა, ამძიმებდა მის წიაღში დაფარული საშინელი ტვირთი. მოიწვია მიწამ თავისი შვილები—ტიტანები, და დაარწმუნა, აღმდგარიყვნენ მამის ურანოსის წინააღმდეგ, მაგრამ ტიტანებს ეშინოდათ და მამაზე ხელის აღმართვას ვერ ბედავდნენ. მხოლოდ უმცროსმა, ცბიერმა კრონოსმა, ეშმაკობით დაამხო თავისი მამა და წაართვა ძალაუფლება.

ქალღმერთმა ღამემ კრონოსის დასასჯელად გააჩინა საზარელ ღვთაებათა მთელი დასი: თანატოსი—სიკვდილი, ერიდა—განხეთქილება, აპატუ — სიცრუე. კერი — განადგურება, ჰიპნოსი — ძილი, ბნელი, მძიმე მოჩვენებათა მთელი გუნდით, რომელთაც არ იციან შებრალება, ნემესიდა — შურისძიება დანაშაულისათვის და ბევრი სხვა. საშინელება, განხეთქილება, სიცრუე, ბრძოლა და უბედურება მოიტანეს ამ ღმერთებმა ქვეყნად, სადაც მამისეულ ტახტს განაგებდა კრონოსი.

ზ ე ვ ს ი

ღ ა ბ ა ღ ე ბ ა

კრონოსი არ იყო დარწმუნებული, რომ ძალაუფლებას სამუდამოდ შეინარჩუნებდა. ეშინოდა მის წინააღმდეგაც არ ამხედრებულიყვნენ შვილები და არ გაეწირათ ისეთივე ხვედრისათვის, როგორიც თვითონ განუმზადა თავის მამა

ურანოსს. კრონოსს ეშინოდა საკუთარი შვილებისა და უბრძანა თავის ცოლს რეას, ახალშობილი შვილები მყისვე მომგვარეო. კრონოსი შეუბრალებლად ყლაპავდა მათ. რეას თავზარს სცემდა შვილების ბედი. კრონოსმა უკვე გადაყლაპა ხუთი შვილი: ჰესტია, დემეტრე, ჰერა, აიდოსი (ჰადესი) და პოსეიდონი.

რეას არ უნდოდა თავისი უკანასკნელი შვილის დაღუპვაც ეხილა. თავისი მშობლების, ურანოს — ცისა და გეა — დედამიწის რჩევით განერიდა იქაურობას და კუნძულ კრეტაზე, ღრმა გამოქვაბულში გააჩინა უმცროსი შვილი ზევსი. რეამ ამ გამოქვაბულში დაუმალა შვილი სასტიკ მამას, მის მაგიერ კი არტახებში გახვეული გრძელი ქვა გადააყლაპა. კრონოსს აზრადაც არ მოსვლია, რომ ცოლმა მოატყუა.

ზევსი კრეტაზე იზრდებოდა. ნიმფები ადრასტეა და იდეა თავს ევლებოდნენ პატარა ზევსს, ღვთაებრივი თხის ამალთეას რძით კვებავდნენ. ფუტკრებს პატარა ზევსისათვის მაღალი მთის დიქტისის ფერდობებიდან თაფლი მოჰქონდათ. გამოქვაბულის შესასვლელთან კი ახალგაზრდა კურეტები ფარებზე მახვილებს სცემდნენ, როცა ზევსი ტიროდა, რათა ყრმის ტირილი კრონოსს არ გაეგონა და ზევსს თავისი და-ძმების ხვედრი არ გაეზიარებინა.

ზევსი ამხობს კრონოსს. ოლიმპოს ღმერთების ბრძოლა ტიტანებთან

გაიზარდა და დავაჟკაცდა მშვენიერი და უძლეველი ღმერთი ზევსი. აუმხედრდა თავის მამას და აიძულა ისევ დაებრუნებინა ქვეყნად მის მიერ გადაყლაპული შვილები. ერთიმეორის მიყოლებით გადმოაფრქვია კრონოსმა ბაგეებიდან თავისი მშვენიერი და სხივნათელი შვილები — ღმერთები, რომელთაც მყისვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს კრონოსსა და ტიტანებს სამყაროზე ბატონობისათვის.

საზარელი და შეუპოვარი იყო ეს ბრძოლა. კრონოსის შვილები ოლიმპოს მაღალ მთაზე გამაგრდნენ. მათ მიემხრო ზოგიერთი ტიტანიც, პირველად — ტიტანი ოკეანე, მისი ცოლი სტიქსი და შვილები — გულმოდგინება, ძლიერება და გამარჯვება. სახიფათო იყო ეს ბრძოლა ოლიმპიელი ღმერთებისათვის. მათი მოწინააღმდეგეები იყვნენ ძალუმი და მრისხანე ტიტანები. მაგრამ ზევსის საშველად გამოეშურნენ კიკლოპები და გამოჰედეს მეხი და ელვა. ღვთაებრივი მარჯვენით სტყორცნიდა მათ ზევსი ტიტანებს. ათი წელი გრძელდებოდა ბრძოლა, მაგრამ გამარჯვების სასწორი არ იხრებოდა არც ერთ და არც მეორე მხარეს. დაბოლოს, ზევსმა გადაწყვიტა მიწისქვეშეთიდან ამოეშვა ასჰელიანი

ბუმბერაზები ჰეკატონქეირები და დახმარება ეთხოვა მათთვის. გამოვიდნენ ისინი მიწის წიაღიდან საშინელნი, მთებივით უზარმაზარნი და მყისვე ბრძოლაში ჩაებნენ,—მთელ კლდეებს გლეჯდნენ მთებიდან და შეუბრალებლად სტყორცნიდნენ ტიტანებს. ასობით კლდე ქროლვით წამოვიდა ოლიმპოს წინააღმდეგ სალაშქროდ აღმდგარ ტიტანებზე, კვნესოდა მიწა, გრიალი სძრავდა ჰაერს, ირგვლივ ყველაფერი ირყეოდა. თვით ტარტაროსიც კი ძრწოდა ამ ბრძოლისაგან. ერთიმეორის მიყოლებით ტყორცნიდა ზევსი ცეცხლოვან ელვასა და გამაყრუებელ მგრგვინავ მეხებს. ცეცხლი მოედო მთელ დედამიწას, ადუღდნენ ზღვები. სქელ სუდარასავით გადაეფარა ყოველივეს ბოლი და სიმყრალე.

დაბოლოს, შედრკნენ ძალოვანი ტიტანები. გატყდა მათი ძალა, დამარცხდნენ სასტიკ ბრძოლაში. ოლიმპოელებმა ისინი შებოჭეს და გასტყორცნეს ტარტაროსში, მარადიულ წყვდიადში. ტარტაროსის შეურყეველ სპილენძის ჭიშკრებში მცველებად დადგნენ ასხელიანი ჰეკატონქეირები და ფხიზლად დარაჯობენ, რომ ხელახლა არ აიხსნან და თავი არ დააღწიონ ტარტაროსს ძალუმმა ტიტანებმა. დასრულდა ქვეყნად ტიტანთა ბატონობა.

ზევსის ბრძოლა ჯითონთან

მაგრამ ბრძოლა ამით არ დასრულებულა. გეა-დედამიწა შესწყრა ოლიმპოელ ზევსს იმის გამო, რომ ასე სასტიკად მოექცა მის დამარცხებულ შვილებს—ტიტანებს; შეეუღლა პირქუშ ტარტაროსს და გააჩინა საშინელი ასთავიანი ურჩხული ტითონი. მიწის წიაღიდან აღიმართა უზარმაზარი, დრაკონის თავებიანი ტითონი და ველური ღრიალით შეარყია ჰაერი. ამ ღრიალში ერთდროულად ისმოდა ძაღლის ყეფა, ადამიანის ხმები, გაშმაგებული ხარის ბღავილი, ლომის ბრდღვინვა. მძაფრი ცეცხლოვანი ენები ბობოქრობდა ტითონის გარშემო, მისი მძიმე ნაბიჯების ყოველ გადადგმაზე დედამიწა ირყეოდა. ღმერთები შედრკნენ. მაგრამ მეხთამტყორცნელი ზევსი გაბედულად შეება ურჩხულს და გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ისევ გამოკრთა ელვა ზევსის ხელიდან, ისევ გაისმა მეხთა ქუხილი, მიწა და ცის თაღი ერთიანად ირყეოდნენ. ისევ კაშკაშა ცეცხლად აგიზგიზდა დედამიწა, როგორც ტიტანებთან ბრძოლის დროს. ზღვები დუღდებოდნენ ტითონის მიახლოებაზეც კი. ასობით ცეცხლოვანი ელვის ისარი ცვიოდა ზევსის ხელიდან. გეგონებოდათ, მათი ცეცხლისაგან თვით ჰაერი იწვის და ჰეკა-ქუხილის კუპრისფერი ღრუბლებიც იწვიანო. ზევსმა ტითონის ასივე თავი ფერფლად აქცია. ტითონი დედამიწაზე დაეცა. მისი ბილწი სხეულიდან ისეთი ცხელი ოხშივარი ამოდიოდა, რომ გარშემო ყველაფერი დნებოდა. ზევსმა ასწია

ტითონის სხეული და ბნელ ტარტაროსში გადასტყორცნა, ისევ იქ, სადაც იშვა. მაგრამ არც იქ ისვენებს ტითონი და ემუქრება ღმერთებსა და ყოველ ცოცხალ არსებას, იწვევს ქარიშხლებს... მისგან ეყოლა გველქალა ექიდნას სახარელი ორთავიანი ძაღლი ორთროსი, ჯოჯოხეთის ძაღლი კერბერი, ლერნეს ჰიდრა და ქიმერა. ხშირად არყევს ტითონი დედამიწას.

ოლიმპოს ღმერთებმა დაამარცხეს თავისი მოწინააღმდეგენი. ვეღარავინ აღუდგებოდა ამიერიდან მათს ძალაუფლებას. ახლა კი შეეძლოთ თავისუფლად განეგოთ ქვეყნიერება. მათ შორის უძლიერესმა, მეხთამტყორცნელმა ზევსმა დაისაკუთრა ცა, პოსეიდონმა — ზღვა, ჰადესმა — მიწისქვეშეთი, მიცვალებულთა სულების სამყარო, დედამიწა კი საერთო გამგებლობაში დარჩა. თუმცა ასე დაინაწილეს კრონოსის შვილებმა ძალაუფლება სამყაროზე, მაგრამ მაინც უზენაესი მეუფეა ცის მბრძანებელი ზევსი. ის განაგებს ღმერთებსა და ადამიანებს, მის ხელთ არის მთელი სამყარო.

ოღიმპო

მაღალსა და ნათელ ოლიმპოზე ბატონობს ღმერთების დასით გარემოცული ზევსი, იქვეა მისი მეუღლე ჰერა, ოქროსკულულებიანი აპოლონი და მისი და არტემიდე, ოქროს აფროდიტე, ზევსის ძალუმი ასული ათენა და მრავალი სხვა ღმერთი. სამი მშვენიერი ორა გუშაგობს მაღალ ოლიმპოს მისასვლელს, და მაღლა სწევს ჭიშკრების დამხშობ სქელ ღრუბელს, როცა ღმერთები დედამიწაზე ჩამოდიან ან ზევსის ნათელ სამყოფელში ამაღლდებიან ხოლმე. მაღლა, ოლიმპოს თავზე, ფართოდ გადაშლილა ლურჯი, უძირო ცა და უხვად აფრქვევს ოქროს ნათელს. ზევსის სამეფოში არასდროს არ წვიმს, არც თოვს და მარად ნათელი, სიხარულის მომგვრელი ზაფხულია. დაბლა კი, ბოლქვებად ირევიან ღრუბლები და დროდადრო ფარავენ შორეულ დედამიწას. იქ დედამიწაზე, გაზაფხულსა და ზაფხულს ცვლიან შემოდგომა და ზამთარი, სიხარული და მხიარულება იცვლება დარდითა და უბედურებით. მართალია, ღმერთებმაც იციან დარდი, მაგრამ ღმერთების დარდი წარმავალია, და ოლიმპოზე სწრაფად ისადგურებს სიხარული.

ნადიმობენ ღმერთები ზევსის შვილის ჰეფესტოს მიერ აშენებულ ოქროს სასახლეში. ღმერთების მბრძანებელი ზევსი იქ თავის მაღალ ოქროს ტახტზე ზის. სიდიადითა და ძალაუფლების ამაყი, მშვიდი შეგნებით სუნთქავს მისი ვაჟკაცური, ღვთაებრივად მშვენიერი სახე. მის ტახტთან დგას მშვიდობის ქალღმერთი ეირენე და ზევსის განუყრელი თანამგზავრი, გამარჯვების

ფრთოსანი ქალღმერთი ნიკე. აი, შემოდის მშვენიერი, დიდებული ქალღმერთი ჰერა, ზევსის მეუღლე. ზევსი პატივსა სცემს თავის მეუღლეს. ქორწინების მფარველი ქალღმერთი ჰერა ოლიმპოს ღმერთებს შორის საყოველთაო პატივისცემით არის გარემოცული. როცა თავისი მშვენიერებითა და ბრწყინვალე სამოსელით გამორჩეული დიდებული ჰერა სანადიმო დარბაზში შემოდის, ყველა ღმერთი ფეხზე დგება და თავს მდაბლად ხრის მეხთამტყორცნელი ზევსის მეუღლის წინაშე. ის კი, ზვიადი თავისი ძლიერებით, ოქროს ტახტისკენ მიემართება და მორჭმით ჯდება ღმერთებისა და ადამიანთა მბრძანებლის — ზევსის გვერდით. ჰერას ტახტთან დგას მისი რჩეული შიკრიკი, ცისარტყელას ქალღმერთი, მსუბუქფრთიანი ირიდა, მარად რომ მზად არის ცისარტყელას ფრთებით გაეშუროს დედამიწის უშორეს კუთხეებში ჰერას ბრძანებების შესასრულებლად.

ნადიმობენ ღმერთები. ზევსის ასულს ახალგაზრდა ჰებეს და ტროას მეფის ვაჟს განიმედს, ზევსის რჩეულსა და საყვარელ ყმაწვილს, მისი ნებით უკვდავყოფილს, მათთვის მოაქვთ ამბროსია და ნექტარი — ღმერთების საჭმელ-სასმელი. მშვენიერი ქარიტები და მუზები ცეკვა-სიმღერით ატკბობენ მონადიმეთ. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი უვლიან ფერხულს. ღმერთები კი ტკბებიან მათი მსუბუქი მოძრაობითა და საოცარი, მარადიული მშვენიერებით. მხიარულება ემატება ოლიმპოელთა ნადიმს. აქ წყვეტენ ღმერთები უმნიშვნელოვანეს საქმეებს, აქ ადგენენ ქვეყნიერებისა და ადამიანთა ბედს.

ზევსი ოლიმპოდან უგზავნის ადამიანებს თავის საჩუქრებს და ადგენს დედამიწაზე წესრიგსა და კანონ-წესებს. ზევსის ხელთ არის ადამიანთა ბედი, ბედნიერება და უბედურება, სიკეთე და ბოროტება, სიკვდილი და სიცოცხლე—ყოველი მის ხელთ არის... ზევსის სასახლის ჭიშკართან ორი დიდი ჭურჭელი დგას: ერთ მათგანში სიკეთის ძღვენია, მეორეში — ბოროტების. ზევსი იღებს ორსავე ჭურჭლიდან სიკეთესა და ბოროტებას და უგზავნის ადამიანებს. ვაი იმ ადამიანს, რომელსაც მეხთამტყორცნელი მხოლოდ ბოროტების საწყაულიდან გაუგზავნის საჩუქრებს. ვაი, მასაც, ვინც არღვევს დედამიწაზე ზევსის მიერ დაწესებულ წესრიგს და არ იცავს მის კანონებს. მრისხანედ შეიკრავს ხშირ წარბებს კრონოსის შვილი, შავი ღრუბლები დაფარავენ მაშინვე ცას. განრისხდება დიდი ზევსი, და აეშლება თავზე თმები, თვალები კი მოუთმენლობის ცეცხლით აენთება. მოიქნევს მარჯვენას — იქუხებს მეხი, ისარი გადასერავს ცას, გაიკიაფებს ელვა, და შეირყევა მაღალი ოლიმპო.

მარტო ზევსი როდი იცავს კანონებს. მის ტახტთან დგას კანონთა დამცველი თემიდა. თემიდა მეხთამტყორცნელის ბრძანებით იწვევს ნათელ ოლიმპოზე

ღმერთების საბჭოს, ხოლო დედამიწაზე სახალხო კრებას. ამავე დროს, თვალყურს ადევნებს, რომ არ ირღვეოდეს დედამიწაზე წესი და კანონი. ოლიმპოზეა ზევსის ასული ქალღმერთი დიკეც, მართლმსაჯულების მეთვალყურე. სასტიკად სჯის ზევსი უსამართლო მოსამართლეებს, როცა დიკე მოახსენებს ხოლმე. რომ არ ასრულებენ ზევსის მიერ დადგენილ კანონებს. ქალღმერთი დიკე — სიმართლის დამცველი და სიცრუის დაუძინებელი მტერია.

ზევსი იცავს წესიერებასა და სამართალს სამყაროში და ადამიანებს ბედნიერებასა და უბედურებას უგზავნის. თუმცა ადამიანებს ბედნიერებასა თუ უბედურებას ზევსი უგზავნის, ადამიანთა ბედს მაინც ნათელ ოლიმპოზე მცხოვრები ბედისწერის შეუბრალებელი ქალღმერთები — მოირები განაგებენ. თვით ზევსის ბედიც მათ ხელთაა. ბედისწერა განაგებს ღმერთებსაც და მოკვდავთაც. ვერავინ გაექცევა უწყალო ბედისწერას. არ არსებობს ისეთი ძალა, ისეთი ძალაუფლება, რომელიც ოდნავ მაინც შეცვლიდა თუნდაც რაიმეს იმაში, რაც წინასწარ უწერიათ ღმერთებსა და ადამიანებს. მორჩილად თავის დახრა ჰმართებს ყველას ბედისწერის წინაშე. მხოლოდ მოირებმა იციან ბედისწერის ნებასურვილი. მოირა კლოთო ადამიანის სიცოცხლის ძაფს ართავს და განსაზღვრავს მისი სიცოცხლის ხანგრძლიობას: გაწყდება ძაფი და დასრულდება სიცოცხლე. ლაქესისი არც კი უყურებს, ისე ამოიღებს წილს, რომელიც ადამიანს უნდა შეხვდეს ცხოვრებაში. არავის არ შეუძლია მოირების მიერ განსაზღვრული ბედის შეცვლა, რადგან მესამე მოირა ატროპოსი გრძელ გორგალზე ახვევს ყველაფერს, რაც მისმა დებმა ადამიანს დაუდგინეს. ხოლო რაც შეტანილია ბედისწერის გრძელ გორგალში, ის გარდუვალია. ულმობელნი არიან დიადი, სასტიკი მოირები.

ოლიმპოზე არის კიდევ ერთი ბედისწერის ქალღმერთი, — ესაა ბედნიერებისა და კეთილდღეობის ქალღმერთი ტიხე. სიუხვის რქიდან, იმ ღვთაებრივი თხის ამალთეას რქიდან, რომელმაც გამოკვება თვით ზევსი, ის უხვად აფრქვევს სიკეთეს ადამიანებისთვის, და ბედნიერია ის, ვინც თავისი ცხოვრების გზაზე შეხვდება კეთილდღეობის ქალღმერთ ტიხეს, მაგრამ რა იშვიათად ხდება ეს. და რა უბედურია ის ადამიანი, ვისაც ზურგს აქცევს ტიხე, ახლახან რომ ანიჭებდა თავის წყალობას მას!

ასე ბატონობს ოლიმპოზე ღმერთების დასით გარემოცული ღმერთებისა და ადამიანების დიადი მეუფე — ზევსი, წესრიგისა და სამართლის დამცველი მთელს ქვეყნიერებაზე.

პოსეიდონი და ზღვის ღვთაებანი

ზღვის ღრმა უფსკრულში დგას მეხთამტყორცნელი ზევსის დიადი ძმის, მიწისმრყეველის — პოსეიდონის საარაკო სასახლე. პოსეიდონი ზღვებზე მბრძანებლობს და ზღვის ტალღები ემორჩილებიან მრისხანე სამთითით შეიარაღებული მისი ხელის თვით მცირეოდენ მოძრაობასაც კი. იქ, ზღვის სიღრმეში პოსეიდონთან ერთად ცხოვრობს მისი მეუღლე, ზღვის გრძნეული ბერიკაცის ნერევსის ასული, მშვენიერი ამფიტრიტე, რომელიც ზღვის სიღრმეთა დიდმა მბრძანებელმა პოსეიდონმა მამას მოსტაცა. ერთხელ პოსეიდონმა შემთხვევით ნახა, როგორ უძღვებოდა ამფიტრიტე თავისი დების — ნერეიდების ფერხულს კუნძულ ნაქსოსის სანაპიროზე. ზღვის ღმერთი დაატყვევა ამფიტრიტეს სიმშვენიერემ, და პოსეიდონმა განიზრახა მისი გატაცება თავისი ეტლით. მაგრამ ამფიტრიტემ თავი შეაფარა ტიტან ატლანტს, რომელსაც თავისი მხრებით უკავია ცის თაღი. დიდხანს ამაოდ ეძებდა პოსეიდონი ნერევსის მშვენიერ ასულს, მაგრამ ვერსად იპოვა. ბოლოს დელფინმა ასწავლა მისი თავშესაფარი. ამ სამსახურისათვის პოსეიდონმა დელფინი ციურ თანავარსკვლავედებს შორის მოათავსა. პოსეიდონმა მოსტაცა ატლანტს ნერევსის მშვენიერი ასული და ცოლად შეირთო.

იმ დროიდან ამფიტრიტე თავის მეუღლე პოსეიდონთან ერთად ცხოვრობს წყალქვეშა სასახლეში. შორს, სასახლის ზემოთ, ზღვის ტალღები ხმაურობენ. ზღვის ღვთაებათა გუნდი ეხვევა პოსეიდონს და მორჩილად ასრულებს მის ნებასურვილს. მათ შორის არის პოსეიდონის შვილი ტრიტონი, ნიჟარის ბუკის ქუხილით რომ იწვევს სასტიკ ქარიშხლებს. ღვთაებებს შორის არიან ამფიტრიტეს მშვენიერი დები—ნერეიდებიც. პოსეიდონი მბრძანებლობს ზღვებზე. როდესაც საოცარი რაშები მის ეტლს მღელვარე ზღვაზე მიაქროლებენ, მარად დაუცხრომელი ტალღები უკან იხევენ და გზას უთმობენ მეუფე პოსეიდონს. მშვენიერებით თვით ზევსის სწორი ღმერთი უკიდეგანო ზღვას სერავს, გარშემო კი დელფინები თამაშობენ, თევზები მოცურავენ ზღვათა სიღრმიდან და მის ეტლს ერტყმიან. ხოლო როცა პოსეიდონი თავის მრისხანე სამთითს ზღვას დაჰკრავს ქაფის თეთრი თხემებით დაფარული ბუმბერაზი მთების მსგავსი, მძლავრი ტალღები ატორტმანდებიან და ზღვაზე სასტიკი ქარიშხალი აბობოქრდება. ხმაურით ეხეთქებიან მაშინ ზღვის ზვირთები სანაპიროზე აღმართულ სალ კლდეებს და მიწას არყევენ. მაგრამ საკმარისია პოსეიდონმა თავისი სამთითი ტალღებზე გაშალოს, და ზვირთები მაშინვე მშვიდდებიან. ქარიშხალი მიყისვე ჩადგება, ზღვა კვლავ წყნარდება, სარკესავით სწორდება და ოდნავ გასაგონი შრიალით ელამუნება ნაპირებს ლურჯი, უკიდეგანო ოკეანე.

მრავალი ღვთაება ახლავს ზევსის დიდ ძმას პოსეიდონს. მათ შორისაა ზღვის გრძნეული ბერიკაცი ნერევსი, მომავლის ყველა იდუმალების მცოდნე და მენცარი. ნერევსისათვის უცხოა სიცრუე. მხოლოდ სიმართლეს ამცნობს ღმერთებსა და ადამიანებს. ბრძნულ რჩევებს იძლევა გრძნეული ბერიკაცი. ორმოცდაათი მშვენიერი ასული ჰყავს ნერევსს. მბიარულად თამაშობენ ნორჩი ნერეიდები ზღვის ტალღებში და ელვარებენ ღვთაებრივი სილამაზით. ხელიხელჩაკიდებულნი ამოდიან ზღვის უფსკრულებიდან, დამწკრივდებიან და ხმელეთისაკენ მომავალი მოლივლივე ტალღების ალერსიან შრიალში უვლიან ფერხულს. სანაპირო კლდეების გამოძახილი იმეორებს მათი ნაზი სიმღერის ხმას, ზღვის წყნარ დუდუნს რომ მოაგაცს. ნერეიდები მფარველობენ ზღვაოსნებს და ზრუნავენ მათი ცურვის ბედნიერი დასრულებისათვის.

ზღვის ღვთაებებს შორისაა მოხუცი პროტევსიც, ზღვაცავით რომ იცვლის სახეს და თავისი სურვილისამებრ იქცევა სხვადასხვა ცხოველად და ურჩხულად. ისიც გრძნეული ღმერთია, ადამიანმა რაიმე ხერხი უნდა იხმაროს, რომ მოულოდნელად წაადგეს თავს, შეიპყროს და აიძულოს პროტევსი გაუმხილოს მომავლის საიდუმლოება. მიწისმრყეველი პოსეიდონის სხვა მხლებელთა შორისაა აგრეთვე, გლავკე, მეთევზეთა და მეზღვაურთა მფარველი. ისიც წინასწარმეტყველია. გლავკე ხშირად ამოსულა ხოლმე ზღვის სიღრმიდან ზედაპირზე და ბრძნული რჩევები მიუცია მოკვდავთათვის. უძლეველნი არიან ზღვის ღმერთები, დიდია მათი ძალაუფლება, მაგრამ უზენაესი მბრძანებელი კი მაინც ზევსის დიდი ძმა პოსეიდონია.

ყველა ზღვასა და ხმელეთს გარშემო ევლება ჭაღარა ოკეანე — ღმერთიტიტანი, დიდებითა და პატივით თვით ზევსის ტოლი. ოკეანე ცხოვრობს შორს ქვეყნიერების საზღვრებიდან და მის გულს არ აღელვებს მიწიერი საქმეები. სამი ათასი ვაჟი—მდინარეთა ღმერთები და სამი ათასი ასული — ოკეანიდები. წყაროებისა და ნაკადულების ქალღმერთები ჰყავს ოკეანეს. დიდი ღმერთის ოკეანის ვაჟიშვილები და ქალიშვილები თავიანთი დაუშრეტელი უკვდავების წყლით კეთილდღეობასა და სიხარულს ანიჭებენ მოკვდავთ, ასულდგმულებენ ჭიწასა და ყველა ცოცხალ არსებას.

პირქუშ ჰადესის (აღუჯონის) სამეფო

ღრმა მიწისქვეშეთში მეფობს ზევსის ულმობელი, პირქუში ძმა ჰადესი. წყვდიადითა და საშინელებითაა აღსავსე მისი საბრძანებელი. არასდროს არ აღწევს იქ მოელვარე მზის სიხარულის მომნიჭებელი სხივი. უძირო უფსკრუ-

ლებში ეშვება გზა დედამიწიდან ჰადესის ნაღვლიან სამეფოში. იქ მოედინებიან პირქუში მდინარეები, იქვე მოსჩქეფს ყოვლის გამყინავი წმინდა მდინარე სტიქსი, რომელსაც თვით ღმერთები ფიცულობენ.

ჰადესის სამეფოში მიარღვევენ ტალღებს მდინარეები კოციტოსი და აქერონტი. ნაღვლიანი, გულსაკლავი გოდებით შეძრავენ ხოლმე მიცვალებულთა სულები მათ პირქუშ სანაპიროებს. მიწისქვეშა სამეფოში ჭავლებად მიედინება, აგრეთვე, ლეთას ნაკადი, რომელიც სულებს ავიწყებს ყოველივე მიწიერს. ასფოდელოსის ფერმკრთალი ყვავილებით დაფარულ ჰადესის სამეფოს პირქუშ ველებზე მიცვალებულთა ლანდები დაეხეტებიან და დაუსრულებლად უჩივიან თავის უსიხარულო ცხოვრებას, რომელსაც არ ახლავს სიხარული, სინათლე და რაიმე სურვილი. წყნარად გაისმის მათი, ძლივს გასაგონი, შემოდგომის ქარის მიერ დევნილი დამჭკნარი ფოთლების შრიალის მსგავსი კვნესა. ვერავინ დაბრუნდება უკან ამ კაეშნის სამეფოდან. მის გამოსასვლელს ფხიზლად

ჰადესის სამეფო. შუაში სხედან ჰადესი და პერსეფონე, მარჯვნივ ოდნავ ქვეით — მსაჯულები ტრიპტოლემოსი, ვაკე და მინოსი, მათ ზევით რესი და მირტილე, მოსამართლეთა ქვეშ სამი დანაიდა, მათ მარცხნივ ქალღმერთი ურჩხულზე და ჰერაკლე, რომელიც იმორჩილებს კერბერს. ჰერაკლესაგან მარცხნივ გამოსახულია ღმერთი ჰერმესი და სიზიფე, ლოდზე ერინეა. ერინეას თავს ზემოთ დიოსკურები და ორფევსი, მათ ზემოთ ჰერაკლიდები და მეგარე (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

დარაჯობს ჯოჯოხეთის სამთავიანი ძაღლი კერბერი, რომელსაც ყელზე მრისხანედ მოსისინე გველები ეხვევიან. მიცვალებულთა სულების გადამყვანი მკაცრი მოხუცი ქარონი, აქერონტის მღვრიე ტალღებში აღარავის აბრუნებს უკან,— იქ სადაც სიცოცხლის მზე კაშკაშებს. მარად უსიხარულო არსებობისათვის არიან განწირულნი ჰადესის პირქუშ სამეფოში მიცვალებულთა სულები.

აი, ამ სამეფოში, სადაც არ აღწევს არც შუქი, არც მიწიერი ცხოვრების სიხარული და დარდი, ჭირი და ვარამი, მბრძანებლობს ზევსის ძმა ჰადესი. ჰადესი თავის მეუღლე პერსეფონესთან ერთად ზის ოქროს ტახტზე. მათ ემსახურებიან შურისძიების შეუბრალებელი ქალღმერთი ერინიები. შეუბრალებელნი და მრისხანენი გველებითა და შოლტებით სჯიან დამნაშავეებს; არ აძლევენ წუთიერ მოსვენებას და სინდისის ქეჯნით აწამებენ. ვერავინ დაეშალება მათ, — ყველგან პოულობენ ისინი თავის მსხვერპლს.

ჰადესის ტახტთან სხედან მიცვალებულთა სამეფოს მსაჯულნი — მინოსი და რადამანთე. იქვე, ტახტთან, დგას სიკვდილის ღმერთი თანატოსი, ხელში მახვილით, შავი მოსასხამითა და უზარმაზარი შავი ფრთებით. სამარის სუსხი ჰქრის ამ ფრთებიდან, როცა თანატოსი მომაკვდავის სარეცელთან მოფრინდება ხოლმე, რათა მახვილით მოჭვეთოს თმის კულული და სული ამოჰხადოს. თანატოსს ახლავს პირქუში კერების გუნდი, ფრთაგაშლილნი რომ დაჰქრიან ბრძოლის ველზე. კერები ზეიმობენ, როცა განგმირული გმირები ეცემიან. სისხლივით წითელი ბაგეებით ეწაფებიან ჭრილობებს, ხარბად სვამენ ცხელ სისხლს და დაცემულთა სხეულიდან სულს იტაცებენ.

აქვე, ჰადესის ტახტთანაა ძილის მშვენიერი, ახალგაზრდა ღმერთი ჰიპნოსი. უჩუმრად რომ დატრიალებს დედამიწას ყაყაჩოებით ხელში და რქიდან ძილისმომგვრელ სასმელს ასხურებს; ნაზად ეხება თავისი ჯადოსნური კვერთხით ადამიანთა თვალებს, წყნარად უხუჭავს ქუთუთოებს და მოკვდავთ ტკბილ ძილს გვრის. ძლიერია ღმერთი ჰიპნოსი, წინააღმდეგობას ვერ უწევენ მას ვერც მოკვდავნი, ვერც ღმერთები, ვერც თვით მეხთამტყორცნელი ზევსი: მასაც უხუჭავს მრისხანე თვალებს ჰიპნოს- და ღრმა ძილით აძინებს.

ჰადესის პირქუშ სამეფოში დაჰქრიან, აგრეთვე, სიზმრის ღმერთებიც. ზოგი მათგანი გრძნეულსა და სასიამოვნო სიზმრებს უვლენს მძინარეს. მაგრამ, არიან ღმერთები, რომლებიც საზარელი, მძიმე სიზმრებით აშინებენ და ტანჯავენ ადამიანებს. არიან მაცდური სიზმრების ღმერთებიც, რომლებიც აცდენენ ხოლმე და ხშირად ღუპავენ კიდეც ადამიანს.

ულმობელი ჰადესის სამეფო აღსავსეა წყვდიადითა და საშინელებებით: ბნელში დაეხეტება სახედრისფეხებიანი ემპუსას ზარდამცემი მოჩვენება. ეს-

ჰადესის მიწისქვეშა სამეფოში მდინარე აქერონტზე მიცვალებულთა სულების გადამყვანი ქარონი; მის წინ დგას ორი ლანდი, მათ თავს ზევით მიცვალებულთა ფრთოსანი ლანდების პატარა გამოსახულებანი (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

პუსა უკუნეთ ღამეში ადამიანებს განმარტოებულ ადგილზე გაიტყუებს ხოლმე, მთელს სისხლს ამოსწოვს და მერე კი ჯერ კიდევ მთრთოლვარე სხეულს შთანთქავს. იქვე დაეხეტება საზარელი ლამია. იგი ღამით შეიპარება ხოლმე ბედნიერი დედების საწოლში და ბავშვებს იპარავს, რათა მათი სისხლით მოიკლას წყურვილი. ყველა მოჩვენებასა და ურჩხულს მბრძანებლობს დიდი ქალღმერთი ჰეკატე. მას სამი თავი და სამი ტანი აქვს, უმთვარო ღამეში სრულ წყვდიადში დაეხეტება ჰეკატე გზებსა და სასაფლაოებზე, საშინელი ამალისა და სტიქსის ძაღლების თანხლებით, შემზარავსა და მძიმე სიზმრებს გზავნის დედამიწაზე და ღუპავს ადამიანებს. ჰეკატეს უხმობენ თანაშემწედ ჯადოქრობაში, მაგრამ იგია ერთადერთი თანაშემწე ჯადოქრობის წინააღმდეგაც მათთვის, ვინც მას თაყვანსა სცემს და სამი გზის გასაყარზე მსხვერპლად სწირავს ძაღლს.

საშინელია ჰადესის სამეფო, და სძულთ იგი ადამიანებს.

ჰერა

დიდი ქალღმერთი ჰერა, ეგიდის მპყრობელი ზევსის მეუღლე, მფარველობს ქორწინებას და იცავს საქორწინო კავშირთა სიწმინდესა და სიმტკიცეს. ჰერა უგზავნის ცოლ-ქმარს მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს და იცავს დედებს მშობიარობის დროს.

მას შემდეგ, რაც ზევსის მიერ დამარცხებულმა კრონოსმა მისი და-ძმები უკანვე ამოაფრქვია, დიდი ქალღმერთი ჰერა მისმა დედამ რეამ ქვეყნიერების კიდეში მიჰგვარა ჭაღარა ოკეანეს. იქ ჰერას ზრდიდა ქალღმერთი თეტიდა. დიდხანს ცხოვრობდა ჰერა ოლიმპოდან მოშორებით, სიწყნარესა და სიმშვიდეში. დიდმა მეხთამტყორცნელმა ზევსმა ნახა, შეუყვარდა და მოსტაცა იგი თეტიდას. ღმერთებმა ღირსეული ქორწილი გადაუხადეს ზევსსა და ჰერას. ირისმა და ქარიტებმა მდიდრული სამოსით დაამშვენეს ჰერა, და როცა ღმერთებისა და ადამიანების დიდი მეუფის ზევსის გვერდით ოქროს ტახტზე იჯდა, ოლიმპოს ღმერთთა გუნდში თვალს იტაცებდა თავისი ნორჩი, დიდებული მშვენიერებით. ყველა ღმერთმა საჩუქარი მიართვა მბრძანებელ ჰერას. ქალღმერთმა დედამიწა-გეამ ჰერას თავისი წიაღიდან საჩუქრად ამოუზარდა საკვირველი ოქროსნაყოფიანი ვაშლის ხე, ბუნება და არსი ყოველი ადიდებდა ჰერასა და მეუფე ზევსს.

ჰერა მეფობს მაღალ ოლიმპოზე. თავისი მეუღლის ზევსის მსგავსად განაგებს მეხსა და ელვას, მისი ბრძანებით შავი წვიმის ღრუბლები ფარავენ ცას, ხელის დაქნევით იწვევს იგი მრისხანე ქარიშხლებს.

მშვენიერია ჰერა, ხარისთვალება, შროშნისხელება, მისი ციური გვირგვინიდან საკვირველი კულულები ეშვებიან, ძალაუფლებითა და მშვიდი სიდიადითაა გაცისკროვნებული მისი თვალები. ღმერთები პატივს სცემენ ჰერას, პატივსა სცემს მეუღლე, ღრუბელთა გამფანტველი ზევსიც, და ხშირად ეთათბირება, რჩევას ეკითხება. მაგრამ ხშირია ზევსსა და ჰერას შორის უსიამოვნებაც. ხშირად ედავება ხოლმე ჰერა ზევსს ღმერთების საბჭოზე. მაშინ განრისხდება ხოლმე მეხთამტყორცნელი და ცოლს დასჯით ემუქრება. ამ დროს ჰერა ჩუმდება, რისხვას გულში იკლავს. ახსოვს როგორ დასაჯა ერთხელ ზევსმა შოლტის ცემით, მეორედ კი შეკრა და ოქროს ჯაჭვით დაჰკიდა ცასა და დედამიწას შორის, თან ორივე ფეხზე მძიმე გრდემლები მიაბა.

ძლიერია ჰერა, ვერც ერთი ქალღმერთი ვერ გაუტოლდება ძალაუფლებით, წარმტაცია იგი, დიდებულ, თვით ათენას ხელით მოქსოვილ, ერძილ მდიდრულ სამოსელში გამოწყობილი რომ დაეშვება ხოლმე ოლიმპოდან ეტ-

ლით, რომელშიც ორი უკვდავი რაშია შებმული. ეტლი მთლიანად ვერცხლისაა, ბაჯაღლო ოქროს თვლები და მოციმციმე სპილენძის მანები აქვს. იქ, სადაც ჰერა გაივლის დედამიწაზე ნელსურნელება იფრქვევა. ყველაფერი ცოცხალი ქედს იხრის ოლიმპოს დიადი დედოფლის წინაშე.

ი ო

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

ბევრ წყენას ითმენს ჰერა ზევსისაგან. ასე მოხდა მაშინაც, როცა ზევსმა მშვენიერი იო შეიყვარა და იგი ძროხად აქცია, თავისი ცოლის ჰერასაგან რომ დაეფარა. მაგრამ ამით მეხთამტყორცნელმა მაინც ვერ იხსნა იო. ჰერამ დაინახა ქაოქათა ძროხა და ზევსს სთხოვა მაჩუქეო. ზევსმა უარი ვერ უთხრა. ჰერა დაეპატრონა იოს და დარაჯად მიუჩინა ასთვალა არგუსი. იტანჯებოდა საცოდავი იო, ვერავის ანდობდა თავის კაეშანს. ძროხად ქცეულმა დაკარგა მეტყველება. იოს დარაჯობდა არგუსი, რომელიც არასდროს არ იძინებდა, ვერსად ემალებოდა იო ფხიზელ გუშაგს. ზევსი ხედავდა მის ტანჯვას, ამიტომ უხმო თავის შვილს ჰერმესს და იოს მოტაცება დაავალა.

სწრაფად გაჩნდა ჰერმესი იმ მთის მწვერვალზე, სადაც ასთვალიანი გუშაგი დარაჯობდა იოს. ტკბილი სიტყვებით ჩააძინა არგუსი. როგორც კი მან ასივე თვალი მოხუჭა, ჰერმესმა იშიშვლა მრუდე ხმალი და არგუსს თავი მოჰკვეთა. იო განთავისუფლდა. მაგრამ ვერც ამით იხსნა ზევსმა იო ჰერას რისხვისაგან. ქალღმერთმა იოს საშინელი კრაზანა მიუჩინა. თავისი საზარელი ისრით კრაზანა ქვეყნიდან ქვეყანაში ერეკებოდა ტანჯვისაგან გაოგნებულ უბედურ იოს. ვერსად პოულობდა იგი სიმშვიდეს. გაშმაგებით გარბოდა სულ წინ და წინ, ხოლო კრაზანა კი კვალდაკვალ მისდევდა, ყოველ წამს აცხრებოდა და სხეულში ნესტარს ასობდა. კრაზანის ნესტარი შხამავდა იოს, წვავდა, როგორც გავარვარებული რკინა. სად არ ირბინა იომ, რომელი ქვეყნები არ მოიარა. მრავალი ხეტიალის შემდეგ, მან უკიდურეს ჩრდილოეთში, სკვითების ქვეყანაში იმ კლდეს მიაღწია, რომელზედაც მიჯაჭვული იყო ტიტანი პრომეთე. პრომეთემ უწინასწარმეტყველა უბედურ ქალს, რომ მხოლოდ ეგვიპტეში მოეღებოდა ბოლო მის ტანჯვას. კრაზანის მიერ დევნილი იო იქით გაეშურა. ბევრი ტანჯვა გამოსცადა, მრავალ დაბრკოლებას შეხვდა, ვიდრე ეგვიპტეს მიაღწევდა. იქ, ნაყოფიერი ნილოსის სანაპიროებზე, ზევსმა იოს უწინდელი სახე დაუბრუნა და მას ეყოლა შვილი ეპაფე. ეს იყო ეგვიპტის პირველი მეფე და მამამთავარი გმირთა დიდი თაობისა, რომელსაც ეკუთვნოდა საბერძნეთის უდიდესი გმირი ჰერაკლე.

ა პ ო ლ ო ნ ი
დ ა ბ ა დ ე ბ ა

სინათლის ღმერთი, ოქროს კულულებიანი აპოლონი, კუნძულ დელოსზე დაიბადა. მის დედას ლეტოს, ქალღმერთ ჰერას რისხვით გაწამებულს, ვერსად ეპოვა თავშესაფარი. ჰერას მიერ წარგზავნილ დრაკონ პითონისაგან დევნილი ბოლოს დელოსზე დაიმალა. ეს კუნძული იმ დროს მღელვარე ზღვის ტალღებში დაცურავდა. როგორც კი ლეტომ დელოსზე ფეხი შედგა, ზღვის უფსკრულიდან ტალღების უზარმაზარი სვეტები აღიმართნენ და ეს უდაბური კუნძული ერთ ადგილზე შეაჩერეს. იმ დღიდან მოკიდებული დღემდე ურყევად დგას იქ, სადაც პირველად შეჩერდა. დელოსის გარშემო ბობოქრობდა ზღვა, ნაღვლიანად აზიდულიყვნენ გაშიშვლებული კლდეები, მცენარეების ნასახიც არსად იყო. მხოლოდ ზღვის თოლიები პოულობდნენ თავშესაფარს ამ კუნძულზე და თავიანთი მწუხარე ძახილით აყრუებდნენ კლდეებს.

მაგრამ აი, დაიბადა სინათლის ღმერთი აპოლონი, და ყოველივეს ცხოველმყოფელი სინათლის სხივები მოეფინა. ოქროსფრად აციმციმდნენ დელოსის კლდეები. გარშემო ყველაფერი აყვავდა, აელვარდა: ზღვის ნაპირზე აღმარ-

გველი პითონი სდევნის ლეტოსა და მის შვილებს აპოლონსა და არტემიდეს (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

თული კლდეები, კინთოს მთა, ზღვა და ხეობები, ხმამაღლა უძღვნიდნენ ქებათა-ქებას ახალშობილ ღმერთს, დელოსზე თავმოყრილი ქალღმერთები კი ამბროსიასა და ნექტარს აწვდიდნენ მას. ქალღმერთებთან ერთად ზეიმობდა მთელი ბუნება.

აპოლონის ბრძოლა პითონთან და დელფოს ორაკულის დაარსება

ახალგაზრდა, სხივნათელმა აპოლონმა ცაში გაინავარდა. ხელში ხმატკბილი კითარა ეკავა, მხარზე ვერცხლის მშვილდი ჰქონდა გადაგდებული. ოქროს ისრები ხმამაღლა წკრიალებდნენ მის კაპარჭში. ამაყად, ზეიმით მიჰქროდა აპოლონი ცისა და მიწის შუა, განადგურებით ემუქრებოდა ყოველსავე ბოროტს, წყვდიადის ყოველ ნაშიერს. იქით იჩქაროდა, სადაც ცხოვრობდა საზარელი პითონი, ასე შეუბრალებლად რომ სდევნიდა მის დედა ლეტოს. აპოლონს შური უნდა ეძია პითონზე ყველა იმ ბოროტებისათვის, რაც მის მშობელს მიაყენა.

აპოლონმა სწრაფად მიაღწია პირქუშ ხეობას, — პითონის ბუნაგს. გარშემო აღმართულიყო კლდეები, რომელთა მწვერვალები ცას სწვდებოდა. წყვდიადი მეფობდა ხეობაში. მის ძირზე უსწრაფესად მიჰქროდა ქაფისგან გაჭაღარავებული მთის მდინარე, ხოლო ზემოთ ნისლი ირეოდა. საშინელი პითონი თავისი ბუნაგიდან გამოცურდა. მისი უზარმაზარი ფორეჯებიანი ტანი კლდეებს შორის ურიცხვ რგოლებად იკლაკნებოდა. მთები და კლდეები იდრიკებოდნენ მისი სხეული სიმძიმისაგან და ადგილიდან იძროდნენ. გამძვინვარებული პითონი ყველაფერს აპარტახებდა, სიკვდილს თესავდა გარშემო. გარბოდნენ შეძრწუნებული ნიმფები, ყოველი ცოცხალი არსება გაურბოდა ურჩხულს. პითონი ყალყზე შედგა, ძალუმი, მძვინვარე, საზარელი ხახა დააღო და უკვე მზად იყო ოქროსკულულებიანი აპოლონის გადასაყლაპად. გაისმა ვერცხლის მშვილდის ლარის წკრიალი, ნაპერწკალივით გაიელვა ჰაერში აუცდენელმა ოქროს ისარმა, მას მიჰყვა მეორე, მერე მესამე. აპოლონმა სეტყვასავით დაატეხა პითონს ოქროს ისრები. განგმირული დაეცა დედამიწაზე უსულო დრაკონი. ხმამაღლა გაისმა პითონის მძლეველის, ოქროსკულულებიანი აპოლონის გამარჯვების საზეიმო სიმღერა (პეანი) და ღმერთს კითარის ოქროს სიმებმა მისცეს ბანი.

აპოლონმა იმ ადგილას, სადაც აღმართულია დელფები პითონი მიწაში ჩამარხა და დელფოს ტაძარი და ორაკული დააარსა, რათა ადამიანებისათვის წინასწარ ეუწყებინა თავის მამის, ზევსის ნება.

აპოლონმა მაღალი სანაპიროდან შორს ზღვაში კრეტელ მეზღვაურთა ხომალდი შენიშნა. მაშინ მან დელფინის სახე მიიღო, ლურჯ ზღვაში გადაეშვა,

ხომალდს დაეწია და ზღვის ტალღებიდან სხივნათელი ვარსკვლავის სახით გემბანზე აფრინდა. აპოლონმა ხომალდი ქალაქ კრისოს ნავსაყუდელში მიიყვანა და კრეტელ მეზღვაურებს ოქროს კითარის დაკვრით დელფოს ნაყოფიერი ველებისაკენ გაუძღვა. კრეტელი ზღვაოსნები მან თავისი ტაძრის პირველ ქურუმებად აქცია.

ᲓᲐᲤᲜᲐ

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

ნათელმა, მხიარულმა ღმერთმა აპოლონმა ნაღველიც იცის, და აი, მასაც ეწვია უბედურება. პითონის დამარცხების შემდეგ მალე იგემა დარდი. როცა გამარჯვებით გაამაყებული აპოლონი თავისი ისრებით განგმირულ ურჩხულს ადგა თავზე, თვალი მოჰკრა გვერდით მდგომ სიყვარულის ჭაბუკ ღმერთს ეროსს, ოქროს მშვილდს რომ ეზიდებოდა. აპოლონმა სიცილით უთხრა.

— რად გინდა, ჭაბუკო ასეთი მრისხანე იარაღი? გამგმირავი ოქროს ისრების ტყორცნა, რომელთა შემწეობითაც ეს-ეს არის ბოლო მოვუღე პითონს, მე მომანდე. ხომ არ გინდა დიდებით გამიტოლდე, მოისარს? ან იქნებ ჩემზე მეტი სახელის მოხვეჭასაც ფიქრობ?

განაწყენებულმა ეროსმა ამაყად უპასუხა აპოლონს:

— შენი ისრები, ფებ აპოლონ, მიზანს არ სცდებიან, ყველას ჭრიან, მაგრამ ჩემი ისარი დაგჭრის შენ.

ეროსმა ოქროს ფრთები შეარხია და ელვის სისწრაფით აფრინდა მაღალ პარნასზე. იქ კაპარჭიდან ორი ისარი ამოიღო: ერთი გულის დამჭრელი და სიყვარულის გამომწვევი ისარი აპოლონს ესროლა და გულში დაჭრა, მეორე კი— სიყვარულის მკვლელი, გულზე დაასო მდინარის ღმერთის პენეევსის ასულს ნიმფა დაფნას.

ერთხელ აპოლონი მშვენიერ დაფნას შეხვდა და შეიყვარა. მაგრამ, როგორც კი ოქროსკულულებიანი აპოლონი დაინახა, დაფნა ქარზე უსწრაფესად გაიქცა. აკი ეროსის სიყვარულის მკვლელმა ისარმა, მას გული განუგმირა. გაქცეულ დაფნას კვალდაკვალ მიჰყვა ვერცხლისმშვილდიანი ღმერთი.

— შეჩერდი, მშვენიერო ნიმფავ, — შესთხოვდა აპოლონი. — რისთვის გამირბიხარ, თითქოს კრავი იყო და მგელი აგდევნებოდეს? არწივის დევნილი მტრედივით მიჰქრიხარ! მე ხომ შენი მტერი არა ვარ! შეხედე, ფეხები კვრინჩხის ეკლებით დაისერე. ო, მომიცადე, შეჩერდი! მე ხომ აპოლონი ვარ, მეხთამტყორცნელ ზევსის შვილი და არა უბრალო მოკვდავი მწყემსი.

მაგრამ სულ უფრო სწრაფად გარბოდა მშვენიერი დაფნა. ფრთაშესხმუ-

ლივით სწრაფად მისდევს აპოლონი. აი, დაუახლოვდა კიდეც. სადაცაა დაეწევა! დაფნა უკვე გრძნობს მის სუნთქვას. ძალ-ღონე ღალატობს. დაფნამ ხელები აღაპყრო და თავის მამას პენეუსს შეეეედრა:

— მამაჩემო პენეუს, დამეხმარე! მიწავ თან ჩამიტანე! ო, მიშველეთ, მომაშორეთ ეს სახე, მხოლოდ ტანჯვას რომ მაყენებს!

როგორც კი წარმოსთქვა ვედრება, მყისვე კიდურები გაუშეშდა, ქერქმა დაუფარა ნაზი სხეული, თმა ფოთლებად ექცა, ხოლო ცაში აღმართული ხელები ტოტებად. დიდხანს იდგა ნაღვლიანი აპოლონი დაფნის წინ, და ბოლოს წარმოსთქვა:

— დაე, მხოლოდ შენი ტოტების გვირგვინი მიმკობდეს თავს. დე, ამიერიდან შენი ფოთლებით ამკობდნენ ჩემს კითარას, ჩემს კაპარჭს. დე, ნურასოდეს ნუ დაჭკნება, დაფნავ, სიმწვანე შენი. იყავ მარად მწვანე!

დაფნამ კი აპოლონის პასუხად წყნარად შეაშრიალა თავისი ხშირი ფოთლები, და თითქოს თანხმობის ნიშნად მწვანე კენწერო დახარა.

ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘ ᲐᲓᲛᲔᲢᲔᲡᲗᲐᲜ

აპოლონი უნდა განწმენდილიყო ცოდვისაგან, პითონის სისხლი რომ დაღვარა. თვითონაც ხომ წმენდს ადამიანებს, რომელთაც მკვლელობა ჩაიდინეს. ზეევსის გადაწყვეტილებით იგი მშვენიერსა და კეთილშობილ მეფე ადმეტეს ესტუმრა თესალიაში. აქ მეფის ჯოგებს მწყემსავდა და ამით ინანიებდა თავის ცოდვებს. როცა აპოლონი საძოვრებზე ლერწმის სალამურზე ან თავის კითარაზე უკრავდა, გარეული მხეცები ტყეებიდან გამოდიოდნენ და სიმთა ᲛᲘᲦᲔᲠᲘᲗ მოჯადოებულნი უსმენდნენ. ავაზები და მძვინვარე ლომები აღარ ერჩოდნენ ჯოგებს.. ირმები და არჩვები გროვდებოდნენ სალამურის ხმაზე. მშვიდობა და სიხარული მეფობდა გარშემო. კეთილდღეობამ დაისადგურა ადმეტეს სასახლეში. არავის არ ჰქონდა ასეთი უხვი ნაყოფი. მთელს თესალიაში, არავის ჰყავდა მისებრ ქებული ცხენები და ჯოგები. ყოველივე ეს ოქროსთმიანმა აპოლონმა მისცა. აპოლონი დაეხმარა ადმეტეს იოლკოსის მეფის პელიასის ასულის ალკესტიდას ცოლად შერთვაშიც. პელიასს გადაწყვეტილი ჰქონდა, ქალიშვილი მიეთხოვებინა მისთვის, ვინც დათვსა და ლომს ეტლში ერთად შეაბამდა. მაშინ აპოლონმა თავის მეგობარ ადმეტეს დაუძლეველი ძალა მიანიჭა და მეფემ ეგზომ ძნელი ამოცანა შეასრულა. აპოლონი ადმეტეს რვა წელი ემსახურა და თავისი სამსახურით ცოდვა რომ გამოისყიდა დელფოში დაბრუნდა.

გაზაფხულსა და ზაფხულს აპოლონი დელფოს მიდამოებში ატარებს. ხოლო

როცა შემოდგომა დგება, ყვავილები ჭკნებიან და ხეებზე ფოთლები ყვითლდებიან, როცა ცივი ზამთარი ახლოვდება და პარნასის მწვერვალს თოვლი ფარავს, აპოლონი თავის თეთრ გედებშებმულ ეტლში ჯდება და მიეშურება ჰიპერბორეელთა ქვეყანაში, მარადიული გაზაფხულის მხარეში, სადაც ზამთარი არ იცის. ზამთრის თვეებს იქ ატარებს, ხოლო როცა დელფოში ყველაფერი აყვავდება, როცა გაზაფხულის მაცოცხლებელი სუნთქვა ყვავილებს გაშლის და კრისის ხეობას ჭრელ ფიანდაზად აქცევს, ოქროსკულულებიანი აპოლონიც თავისი თეთრი ჰაეროვანი გედებით დელფოს უბრუნდება და ადამიანებს მეხთამტყორცნელი ზევსის ნება-სურვილს უწინასწარმეტყველებს. მაშინ დელფოს მხარეში ზეიმით აღნიშნავენ აპოლონის დაბრუნებას ჰიპერბორეელების ქვეყნიდან. ღმერთი აპოლონი მთელ გაზაფხულსა და ზაფხულს აქ ატარებს, დროგამოშვებით კი თავის მშობლიურ დელოსსაც ნახულობს, სადაც, აგრეთვე, დიდებული ტაძარი აქვს.

აპოლონი და მუზები

ტყიანი ჰელიკონის კალთებზე, იქ სადაც ჰიპოკრენის წმინდა წყაროს წყლები იდუმლად დუდუნებენ, და მაღალ პარნასზე, კასტალის ანკარა წყაროა, გაზაფხულობით და ზაფხულობით აპოლონი ცხრა მუზის ფერხულს მიუძღვის.

ახალგაზრდა, მშვენიერი მუზები, ზევსისა და მნემოსინეს ასულნი, აპოლონის მუდმივი თანამგზავრნი არიან. აპოლონი წინამძღოლობს მათ ფერხულს და მათ სიმღერას თავისი ოქროს კითარის სიმთა ჟღერას აყოლებს. დაფნით დამშვენებული დიდებულად თავაწეული მიუძღვის წინ მუზების ქოროს, და უკან მიჰყვება ყველა ცხრა მუზა: კალიოპე—ეპიკური პოეზიის მუზა, ევტერპე — ლირიკის მუზა, ერატო — სატრფიალო სიმღერების მუზა, მელპომენე — ტრაგედიის მუზა, თალეია — კომედიის მუზა, ტერპსიქორე — ცეკვის მუზა, კლიო — ისტორიის მუზა, ურანია — ასტრონომიის მუზა და პოლიიმნია — წმინდა საგალობელთა მუზა. ზეიმით ჭუხს მათი ქორო, და მთელი ბუნება მონუსხულივით უსმენს მათს ღვთაებრივ სიმღერას.

როცა აპოლონი მუზების თანხლებით ნათელ ოლიმპოზე ღმერთების დასში გამოჩნდება და მისი კითარის ხმასთან შეხმატკბილებული მუზების სიმღერა აჟღერდება, მაშინ ოლიმპოზე სრული დუმილი ისადგურებს. თვით არესი ივიწყებს სისხლისმღვრელი ომების ხმაურს, აღარ ტყორცნის ელვის ენებს ღრუბელთა გამფანტავი ზევსი, ღმერთები ივიწყებენ განხეთქილებებს, მშვიდობა და სიწყნარე ისადგურებს ოლიმპოზე. თვით ზევსის არწივი დაბლა უშვებს ძალუმ ფრთებს და ხუჭავს ფხიზელ თვალებს, აღარ გაისმის მისი მრისხანე

ყიპყიპი, მშვიდად თვლემს იგი ზევსის კვერთხზე. როცა აპოლონი მხიარულად გაჰკრავს ღვთაებრივ თითებს ოქროს კითარის სიმებს, მაშინ ღმერთების სანადიმო დარბაზში ნათელი, მოციმციმე ფერხული დაიძვრის. მუზები, ქარიტები, მარად ნორჩი აფროდიტე, არესი და ჰერმესი — ყველა მონაწილეობს მხიარულ ფერხულში; ხოლო სულ თავში რონინით მიდის ასოვანი, დიდებული ქალწული, აპოლონის და ოქროსფერი ნათელი სხივებით გარემოცული არტემიდე. ცეკვავენ ნორჩი ღმერთები აპოლონის კითარის ხმაზე.

ალოეის ვაჟები

სასტიკია შორსმტყორცნელი აპოლონი, თუ განრისხდა არ იციან შებრალება მისმა ოქროს ისრებმა. მრავალი განგმირეს ამ ისრებმა. მათ დაღუპეს ალოეის ვაჟები, რომლებიც გაამაყებულნი იყვნენ საკუთარი ძალით და არავისი მორჩილება არ ისურვეს. მათ ადრეულ სიყმაწვილეში განითქვეს სახელი თავიანთი უზარმაზარი ტანადობით, უსაზღვრო ღონითა და სიმამაცით. ჯერ კიდევ ყმაწვილები იყვნენ ოტი და ეფიალტე, როცა ოლიმპოს ღმერთებს მუქარა შეუთვალეს:

— ო, გვაცალეთ, ოღონდ გვაცალეთ ჩვენი ზებუნებრივი ძალის გაფურჩქვნა და დავაქკაცება, ერთმანეთზე დავაყუდებთ ოლიმპოს, პელიონისა და ოსის მთებს, ცაში ამოვალთ და ჰერასა და არტემიდეს მოგტაცებთ ოლიმპოელებოო.

ასე, ტიტანების მსგავსად, ემუქრებოდნენ ოლიმპოელებს ალოეის ურჩი შვილები. და ალბათ, სისრულეშიც მოიყვანდნენ თავიანთ მუქარას, ხომ შებოჭეს კიდეც ომის მრისხანე ღმერთი არესი, მთელი ცამეტი თვე იტანჯებოდა იგი სპილენძის დილეგში, და კიდევ დიდხანს იქნებოდა ბნელში გამოკეტილი ომით ვაუმაძღარი არესი, რომ უკვე ძალღონეგამოლეული ღმერთ ჰერმესს არ გაეტაცა. უძლეველნი იყვნენ ოტი და ეფიალტე. აპოლონმა ვერ აიტანა მათი მუქარა. მოზიდა ღმერთმა თავისი შორსმტყორცნელი ვერცხლის მშვილდი, ცეცხლის ნაპერწკლებივით გაიელვეს ჰაერში ბისმა ოქროს ისრებმა და ოტი და ეფიალტე განგმირულნი დაეცნენ.

მ ა რ ს ი ა ს ი

სასტიკად დასაჯა აპოლონმა ფრიგიელი სატირი მარსიასიც იმისათვის, რომ მასთან მუსიკაში პაექრობა გაბედა. კითარედმა აპოლონმა ასეთი კადნიერება ვერ აიტანა. ერთხელ, ფრიგიის ველებზე ხეტიალისას, მარსიასმა იპოვა ლერწმის

ბუსტი (ვატიკანის მუზეუმი)

ჰერა (ძვ. წ. III საუკ.)

აპოლონი

არტემიდე

ნიკე
(მარმარილო.
ძვ. წ. III საუკ-
ლუური, პარიზი)

ათენა და მარსიასი (მ ი რ ო ნ ი. რ ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა).

სალამური. ქალღმერთ ათენას გადაეგდო, როცა შენიშნა, რომ მისივე გამოგონილ სალამურზე დაკვრა ღვთაებრივად ლამაზ სახეს უმახინჯებდა. ათენამ დაწყევლა თავისი გამოგონება და ბრძანა:

— სასტიკად დაისაჯოს ის, ვინც ამ სალამურს აიღებსო.

მარსიასმა სულაც არ იცოდა, რა ბრძანა ათენამ, აიღო სალამური და მალე

ისე კარგად ისწავლა დაკვრა, რომ ყველა გატაცებით უსმენდა მის უბრალო მუსიკას. მარსიასი გაამაყდა და თვით მუსიკის მფარველი აპოლონი გამოიწვია შეჯიბრში.

აპოლონმა გამოწვევა მიიღო და შეჯიბრზე მოვიდა გრძელ მდიდრულ ქლამიდში გამოწყობილი, დაფნის გვირგვინითა და ოქროს კითარით.

რა უბადრუკი ჩანდა დიდებული, მშვენიერი აპოლონის წინაშე ტყეებისა და ველების მცხოვრები მარსიასი, თავისი საცოდავი ლერწმის სალამურით! განა შეეძლო სალამურიდან ისეთი ხმების გამოწვევა, როგორიც მუზების წინამძღოლი აპოლონის კითარის ოქროს სიმებიდან იფრქვეოდა! აპოლონმა გაიმარჯვა. გამოწვევით განრისხებულმა აპოლონმა ბრძანა მარსიასი ხელებით დაეკიდათ და ცოცხლად გაეძროთ მისთვის ტყავი. ასე ძვირად დაუჯდა მარსიასს თავისი სითამამე.

მარსიასის ტყავი ფრიგიაში კელენის გამოქვაბულში დაჰკიდეს და როგორც შემდეგ ამბობდნენ, ყოველთვის, როგორც კი გამოქვაბულს ფრიგიული ლერწმის სალამურის ხმა მისწვდებოდა, ისე ირხეოდა, თითქოს ცეკვავსო, ხოლო კითარის დიდებული ხმის გაგონებაზე უძრავი რჩებოდა.

ასკლეპიოსი

(ესკულაპი)

მარტოოდენ შურისმაძიებელი როდია აპოლონი, მხოლოდ სიკვდილს როდი თესავს თავისი ოქროს ისრებით, ავადმყოფებსაც მკურნალობს და არჩენს. მისი შვილი ასკლეპიოსი კი—ექიმებისა და საექიმო ხელოვნების ღმერთია. ბრძენმა კენტავრმა ქირონმა აღზარდა ასკლეპიოსი პელიონის კალთებზე. მისი ხელმძღვანელობით ასკლეპიოსი ისეთი დახელოვნებული ექიმი გახდა, რომ თავის მასწავლებელ ქირონსაც კი გადააჭარბა. ასკლეპიოსი არა მარტო კურნავდა ყველა სნეულებას, არამედ მიცვალებულებსაც კი უბრუნებდა სიცოცხლეს. ამით განარისხა მიცვალებულთა სამეფოს მბრძანებელი ჰადესი და მეხთამტყორცნელი ზევსი, რადგან მან დედამიწაზე ზევსის მიერ დადგენილი კანონი და წესი დაარღვია! განრისხებულმა ზევსმა სტყორცნა ელვა და განგმირა ასკლეპიოსი. მაგრამ ადამიანებმა აპოლონის შვილი გააღმერთეს, როგორც ღმერთი-მკურნალი. მის სახელზე მრავალი ტაძარი ააგეს და მათ შორისაა ასკლეპიოსის სახელგანთქმული ტაძარი ეპიდავრში.

აპოლონს მთელს საბერძნეთში სცემდნენ თაყვანს. ბერძნები მას თაყვანს სცემდნენ, როგორც სინათლის ღმერთს; ღმერთს, რომელიც ადამიანს დაღვ-

რილი სისხლის უწმიდურებისაგან წმენდს; როგორც ღმერთს, რომელიც თავისი მამის, ზევსის ნებას უწინასწარმეტყველებს ადამიანებს; როგორც დამსჯელს, სნეულებათა გამგზავნსა და განმკურნებელს. ჭაბუკი ბერძნები მას თაყვანსა სცემდნენ, როგორც თავიანთ მფარველს. აპოლონი მეზღვაურთა მფარველიცაა, ეხმარება მათ ახალშენების დაარსებასა და ქალაქების აშენებაში. მუზების წინამძღოლი აპოლონ-კითარედი განსაკუთრებით მფარველობს მხატვრებს, პოეტებს, მომღერლებს და მუსიკოსებს. ბერძენთა საყოველთაო თაყვანისცემის მიხედვით აპოლონი თვით მეხთამტყორცნელ ზევსს უტოლდება.

ა რ ტ ე მ ი დ ე

მარად ნორჩი, მშვენიერი ქალღმერთი არტემიდე კუნძულ დელოსზე დაიბადა, თავის ძმასთან, ოქროსკულულებიან აპოლონთან ერთად. აპოლონი და არტემიდე ტყუპები არიან. უგულითადესი სიყვარული, უმტკიცესი მეგობრობა აკავშირებს და-ძმას. მათ უსაზღვროდ უყვართ თავიანთი დედა ლეტო.

ყველას და ყველაფერს ანიჭებს სიცოცხლეს არტემიდე. ყველაფრისათვის ზრუნავს, რაც დედამიწაზე სულდგმულობს, რაც მიწაზე ველ-მინდვრებზე თუ ტყეებში იზრდება. გარეული ნადირებისთვისაც ზრუნავს, შინაურ ცხოველთა ჯოგებისთვისაც და ადამიანებისთვისაც. მისი წყალობით იზრდება ბალახი, ყვავილები და ხეები, ის ლოცავს დაბადებას, ქორწილსა და ცოლქმრულ კავშირს. მდიდარ შესაწირავს უძღვნიან ბერძენი ქალები ზევსის სახელოვან ასულ არტემიდეს, ცოლ-ქმრობის დამლოცველსა და ქორწინებაში ბედნიერების მომნიჭებელს, სნეულებათა შემყრელსა და განმკურნებელს.

მარად ახალგაზრდა, მზიან დღესავით მშვენიერი ქალღმერთი არტემიდე მხარზე გადაკიდებული მშვილდითა და კაპარჭით, მონადირის შუბით ხელში, მხიარულად ნადირობს ჩრდილოვან ტყეებსა და მზით გასხივოსნებულ ველებზე. ნიმფების დასი მხიარული ყივილ-ხივილით დაჰყვება თან, ის კი, დიდებულ მოკლე სანადირო სამოსელში გამოწყობილი, მხოლოდ მუხლებამდე რომ სწვდება, სწრაფად დაჰქრის მთების ტყიან ფერდობებზე. მიზანს არ სცილდება მისი ისარი, მას თავს ვერ დააღწევს ვერც მფრთხალი ირემი, ვერც მშიშარა შველი, ვერც გააფთრებული ტახი, ლელიანში მიმალული. არტემიდეს კვალდაკვალ მიჰყვებიან თანამგზავრი ნიმფები. მხიარული სიცილი, ძაღლების ყეფა, ყვირილი და ყივილ-ხივილი გაისმის შორეულ მთებში, და მთის ხმამაღალი გამოძახილი აძლევს მათ ბანს. ხოლო როცა ქალღმერთი ნადირობით დაიღლება, ნიმფების თანხლებით გაეშურება დელფოში, საყვარელ ძმას ისართამტყორცნელ აპო-

ლონს ესტუმრება და იქ ისვენებს. აპოლონის ოქროს კითარის ღვთაებრივი ბგერების ხმაზე მიუძღვის მუზებისა და ნიმფების ფერხულს. არტემიდე მუდამ ფერხულის თავშია, საროს ტანის, მშვენიერი, სილამაზით ყველა მუზასა და ნიმფას აღემატება, მთელი თავითაც უფრო მაღალია ყველა მათგანზე. არტემიდეს უყვარს დასვენება საამოდ გრილ, მწვანით დაფარულ მღვიმეებშიც, სადაც მოკვდავთა მზერა ვერ აღწევს. და ვაი მას, ვინც ამ დროს სიმშვიდეს დაურღვევს! ასე დაიღუპა აქტეონი, თებეს მეფის კადმოსის ასულ ავტონოეს ვაჟი.

ა ქ ტ ე ო ნ ი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

ერთხელ აქტეონი თავისი მეგობრების თანხლებით კითერონის ტყეებში ნადირობდა. ცხელი შუადღე დადგა. დაღლილ-დაქანცული მონადირეები დასასვენებლად ხშირი ტყის ჩრდილში ჩამოსხდნენ, ახალგაზრდა აქტეონი კი გამოეყო მათ და სიგრილის საძებნელად კითერონის ხეობას მიაშურა. მალე ქალღმერთ არტემიდეს წილხვდომილ გარგაფიის მწვანე, აყვავებულ ხეობაში აღმოჩნდა. ხეობას ტოტებგაშლილი ჭადრები, მურტები და სოჭები ამშვენებდნენ. მუქი ისრებივით აზიდულიყვნენ ტანწერწეტი კვიპაროსები, ხოლო მწვანე ბალახი ყვავილებით აპრელებულიყო. ხეობაში ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა. ყველგან სიწყნარე, სიმშვიდე და სიგრილე სუფევდა. მთის ფრიალო ფერდობზე აქტეონმა ერთიანად მწვანით დაფარული წარმტაცი მღვიმე ნახა. მაშინვე ამ მღვიმისაკენ გაეშურა; აბა რა იცოდა, თუ ამ ადგილას ხშირად ისვენებდა ზეესის ასული არტემიდე!

როცა აქტეონი გამოქვაბულს მიუახლოვდა, არტემიდე იქ ახალი შესული იყო. მშვილდ-ისარი ერთ-ერთ ნიმფას გადასცა და ტანის დასაბანად გაემზადა. ნიმფებმა სანდლები გახადეს, თმა შეუკრეს და ის-ის იყო ნაკადულზე ჩასვლა უნდოდათ წყლის მოსატანად, როცა გამოქვაბულში აქტეონი გამოჩნდა. მღვიმეში შემოსული აქტეონი რომ დაინახეს, ნიმფებმა ხმამაღლა შეჰკივლეს. მაშინვე გარს შემოეხვივნენ არტემიდეს. სურდათ დაეფარათ მოკვდავის მზერისაგან. მსგავსად იმისა, ამომავალი მზე ღრუბლებს პორფირისფრად რომ აღანთებს, ქალღმერთს სახე რისხვის ცეცხლით აელეწა, ბრაზმა გაიელვა მის თვალებში, და კიდევ უფრო დამშვენდა. განრისხდა არტემიდე აქტეონმა რომ დაარღვია მისი სიმშვიდე. განრისხდა და უბედური აქტეონი მშვენიერ ირმად აქცია.

აქტეონს თავზე ქორბუდა რქები გამოესხა. ხელები და ფეხები ირმის

ფეხებად ექცა, კისერი დაუგრძელდა, ყურები წვეტიანი გაუხდა, მთელი ტანი ლაქებიანი ბეწვით დაეფარა. მფრთხალი ირემი ფეხაკრეფით გაიქცა. ხედავს აქტეონი თავის გამოსახულებას ნაკადულში, სურს შესძახოს: „ვაიმე!“ — მაგრამ აღარ აქვს მეტყველების უნარი. ცრემლების ღვარი გადმოსკდა ირმის თვალთაგან. მხოლოდ ადამიანის გონება შერჩა. რა ქნას? საით გაიქცეს?

აქტეონის ძაღლებმა ირმის კვალს მიაგნეს. თავიანთი პატრონი ვერ იცნეს და გაშმაგებული ყეფით დაედევნენ. კითერონის ველებსა და ხეობებში, მთათა ფრიალოებზე, ტყეებსა და ღრეებში ქარის მსგავსად მიჰქროდა მშვენიერი ირემი, ქორბუდა რქები ზურგზე ჰქონდა გადაგდებული და ისე გაურბოდა ყეფით დადევნებული ძაღლების ხროვას. სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ძაღლები. აი, წამოეწივნენ კიდეც, და ბასრი კბილებით ჩააფრინდნენ უბედურ ირემ-აქტეონს. აქტეონს სურს დაიყვიროს: „ო, შემიბრალეთ! ეს ჩემ მე ვარ თქვენი აქტეონი, თქვენი პატრონიო!“ — მაგრამ მხოლოდ კვნესა ამოდის ირმის მკერდიდან, და ამ კვნესაში ადამიანის ხმა ისმის. მუხლებზე დაემხო ირემი-აქტეონი. დარდი, ელდა და ვედრება ჩანს მის თვალებში. გარდუვალია დაღუპვა, — ნაწილ-ნაწილად გლეჯენ მის სხეულს გამძვინვარებული ძაღლები.

გამოჩნდნენ აქტეონის მეგობრებიც. ისინი წუხდნენ, რომ ასეთ ბედნიერ ნადირობაში თან არ ახლავთ აქტეონი. საკვირველი ირემი დაიპირეს ძაღლებმა. რა იცოდნენ აქტეონის ამხანაგებმა, ვინ არის ეს ირემი!

ასე დაიღუპა აქტეონი, ერთადერთი მოკვდავი, რომელმაც მეხთამტყორცნელ ზევსისა და ლეტოს ასულის ციური სილამაზე იხილა, იქის გამო, რომ ქალღმერთ არტემიდეს სიმშვიდე დაურღვია.

ათენა-პალადა

დაბადება

თვით ზევსმა შვა ქალღმერთი ათენა-პალადა. მეხთამტყორცნელმა იცოდა, რომ გონიერების ქალღმერთს მეტიდას ეყოლებოდა ორი შვილი: ასული ათენა და არაჩვეულებრივი ძალისა და გონების ვაჟი. ბედისწერის ქალღმერთმა მოირებმა ზევსს გაანდეს საიდუმლო: რომ ქალღმერთ მეტიდას ვაჟი მას ტახტიდან გადმოაგდებს და სამყაროზე ძალაუფლებას წაართმევს. შეეშინდა დიდ ზევსს. თავიდან რომ აერიდებინა ულმობელი ბედი, რასაც მოირები უქადდნენ, ზევსმა ქალღმერთი ტკბილი სიტყვებით ჩააძინა და გადაყლაპა. მეტიდამ ვერ მოასწრო

ათენას დაბადება. გავიდა ხანი და ზევსმა საშინელი თავის ტკივილი იგრძნო. იხმო თავისი შვილი ჰეფესტო და უბრძანა მისთვის თავი ორად გაეპო, რათა ეხსნა აუტანელი ტკივილისა და ხმაურისაგან, ტვინს რომ ურყევდა. მოიქნია ჰეფესტომ ნაჯახი, ძალუმი დაკვრით ზევსს ორად გაუპო თავის ქალა, ისე რომ ზიანი არ მიუყენებია და მეხთამტყორცნელი ზევსის თავიდან დღის სინათლეზე ამოფრინდა უძლეველი მეომარი, ქალღმერთი ათენა-პალადა, სრული საბრძოლო აღჭურვილობით, მოციმციმე მუზარადით, ფარითა და ხმლით ხელში მოევლინა ოლიმპოს ღმერთებს. მრისხანედ შეარხია მოელვარე შუბი. მისი საბრძოლო ყიჟინა ქუხილით გაჰყვა ცის შორეულ თაღს, და თვით საძირკველამდე შეარყია ნათელი ოლიმპო. დიდებული, მშვენიერი ათენა ღმერთების წინაშე იდგა. მისი ცისფერი თვალები ღვთაებრივი სიბრძნით ღვიოდნენ, თვითონ კი ერთიანად ციმციმებდა საოცარი, ციური, ძალუმი მშვენიერებით. ადიდებდნენ ღმერთები მამა-ზევსის თავიდან შობილ მის საყვარელ ასულს, ქალაქთა მფარველს, სიბრძნის და ცოდნის ქალღმერთს, უძლეველ მეომარს ათენა-პალადას.

ათენა მფარველობს საბერძნეთის გმირებს, აძლევს სიბრძნით სავსე რჩევებს და ეხმარება, მძლეთამძლე, საფრთხეში მყოფ მეომრებს. იცავს ქალაქებს, სიმაგრეებსა და მათ კედლებს. ანიჭებს ადამიანებს სიბრძნეს და ცოდნას, ასწავლის ადამიანებს ხელობასა და ხელოვნებას. ბერძენი ქალიშვილებიც თაყვანსა სცემენ ათენას იმისთვის, რომ ხელსაქმეს ასწავლის. ვერც ერთი ღმერთი და მოკვდავთაგანი ვერ გაუწევს ათენას მეტოქეობას ქსოვის ხელოვნებაში. ყველამ იცის რა სახიფათოა მასთან პაექრობა; იციან, რა ძვირად დაუჯდა იდმონის ასულს არაქნეს სურვილი — ქსოვის ხელოვნებაში ათენასათვის გადაეჯარბებინა.

ა რ ა ქ ნ ე

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

მთელს ლიდიაში გაითქვა სახელი არაქნემ თავისი ხელოვნებით. ხშირად იკრიბებოდნენ მასთან ნიმფები ტმოლის მთის კალთებიდან და ოქროსქვიშნარიან პაქტოლას სანაპიროებიდან, რათა მისი მუშაობის ცქერით დამტკბარიყვნენ. არაქნე ნისლის მსგავსი ძაფებისაგან ჰაერივით გამჭვირვალე ქსოვილებს ქსოვდა. ამაყობდა იმით, რომ არ ჰყავდა ქვეყნად ტოლი ქსოვის ხელოვნებაში. ერთხელ შესძახა:

— მოვიდეს თუნდაც თვით ათენა-პალადა, შემეჯიბროს! ვერ დამამარცხებს, არ მეშინია ქალღმერთისა.

და აი, ქალღმერთი ათენაც, წელში მოკეცილი და კვერთხზე დაყრდნობილი ჭაღარა დედაბრის სახით მოევლინა არაქნეს და უთხრა:

— მარტო ჭირი როდი მოაქვს სიბერეს, არაქნე. წლებს მოაქვთ გამოცდილებაც. დაიჯერე ჩემი რჩევა: ეცადე შენი ხელოვნებით მარტო მოკვდავთ გადააჭარბო. ნუ გამოიწვევ ქალღმერთს შეჯიბრებაში. მორჩილად სთხოვე მოგიტევოს კადნიერი სიტყვები. ვინც ეკედრება, მიუტევებს ხოლმე ქალღმერთი.

არაქნემ თხელი ნაქსოვი ხელიდან გაუშვა. თვალები რისხვით აენთო. თავის ხელოვნებაში დაჯერებულმა გაბედულად მიუგო:

— რა უგნური ხარ, დედაბერო. ჩანს, სიბერემ ჭკუა გამოგილია. ასეთი დარიგება შენს რძლებსა და ასულებს მიეცი, მე კი გამეცალე. თვითონ შემიძლია მივცე რჩევა ჩემს თავს. როგორც ვთქვი, ისე იქნება. რატომ არ მოდის ათენა, რატომ არ სურს ჩემთან შეჯიბრი?

— აქა ვარ, არაქნე! — შესძახა ათენამ და თავისი ნამდვილი სახე მიიღო.

ნიმფებმა და ლიდიელმა ქალებმა მდაბლად თავი დახარეს ზევსის საყვარელი ასულის წინაშე და ქება-დიდება უძღვნეს. მხოლოდ არაქნე დუმდა. ალიონზე ცეცხლისფრად რომ აელვარდება აღმოსავლეთი, როცა ცის თაღზე ფრთამოელვარე ვარდისფერბეჭდიანი განთიადი-ეოსი შეიფრთხიალებს ხოლმე, ისე აელეწა რისხვით სახე ქალღმერთ ათენას. არაქნე თავის გადაწყვეტილებას არ იცვლის, უწინდებურად დაჟინებით სურს ათენასთან შეჯიბრი. ვერ გრძნობს რა მალე ელის დაღუპვა.

შეჯიბრი დაიწყო. დიდმა ქალღმერთმა ათენამ საფენზე ამოქარგა ათენის დიდებული აკროპოლისი, და გამოსახა თავისი დავა პოსეიდონთან ატიკაზე ბატონობისათვის. ამ დავას ესწრება ოლიმპოს თორმეტი ნათელი ღმერთი, მათ შორის მსაჯულად ზის მეხთამტყორცნელი ზევსი, მისი მშობელი მამა. მაღლა აღუმართავს დედამიწის შემარყეველ პოსეიდონს თავისი სამთითი, კლდისათვის დაუკრავს და უნაყოფო კლდის ნაპრალიდან მლაშე წყარო მოვარდნილა. მუზარადიან ათენას ხელში ფარი უჭირავს და ეგიდა წამოუსხამს. ესაა შუბი დაუკრავს მიწისათვის, და იმ ადგილას წმინდა ზეთისხილის ხე ამოსულა. ღმერთებმა გამარჯვება ათენას მიულოცეს, მისი საჩუქარი უფრო სასარგებლოდ ჩათვალეს ატიკისათვის. ნაპირებზე ამოქარგულ სურათებზე ათენამ გამოხატა, თუ რა მკაცრად სჯიან ღმერთები მოკვდავთ ურჩობისა და ამპარტავნობისათვის. საფენის გარშემო ათენამ ზეთისხილის ფოთლების გვირგვინი მოქარგა.

არაქნემ კი თავის ნახელავზე ღმერთების ცხოვრება წარმოსახა, ამასთან უჩვენა ისიც, თუ რა სუსტნი არიან ისინი, როცა ადამიანური ვნებები შეიპ-

ყრობთ. საფენის გარშემო კი სუროთი დაწნული ყვავილების გვირგვინი ამოქარგა. სრულყოფის უმაღლესი ნიმუში იყო არაქნეს ნამუშევარი და სილამაზით არ ჩამოუვარდებოდა ათენას ნახელავს, მაგრამ მის გამოსახულებებში აშკარად ჩანდა ღმერთების მიმართ უპატივცემულობა, სიძულვილიც კი. საშინლად განრისხდა ათენა, დაუხია არაქნეს ნახელავი და მაქო თავში დაკრა. უბედურმა არაქნემ ვერ აიტანა სირცხვილი, დაგრიხა ჩაწარი, გაუკეთა მარყუჟი და თავი ჩამოიხრჩო. ათენამ არაქნე მარყუჟიდან გამოხსნა და უთხრა:

— იცოცხლე, ურჩო. მაგრამ მარად დაკიდული იყავი და მარად ქსოვე, ეს სასჯელი გაჰყვება შენს შთამომავლობასაც სამარადისოდ.

ათენამ არაქნეს ჯადოსნური ბალახის წვენი აპკურა. მყისვე შეიკუმშა ქალის სხეული, თავზე ხშირი თმა დაუცვივდა, და ანაზდეულად ობობად იქცა. იმ დღიდან ჰკიდია ობობა-არაქნე თავის ქსელში და ქსოვს ისე, როგორც სიცოცხლეში ქსოვდა.

ჰერმესი

არკადიაში, კილენის მთის გამოქვაბულში დაიბადა ზევსისა და მაიას ვაჟი ღმერთი ჰერმესი, ღმერთების შიკრიკი. ფეხზე ფრთოსანი სანდლებითა და ხელში კადუცეუმით ფიქრზე უსწრაფესად მიფრინავს ოლიმპოდან ქვეყნიერების უშორესი კუთხე-კუნჭულებისაკენ, ზევსის დავალებათა შესასრულებლად. ჰერმესი გზათა მფარველია და მისდამი მიძღვნილი ჰერმები შეიძლება ნახოთ მთელი საბერძნეთის გზებსა და გზაჯვარედინებზე, სახლებისა და სასახლეების შესასვლელებთან. ჰერმესი მფარველობს მგზავრებსა და მოგზაურებს ვიდრე ცოცხლობენ, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულთა სულებს თვით მიუძღვის ჰადესის პირქუშ სამეფოში. ჰერმესი — გზათა და მგზავრთა, ვაჭრობისა და სავაჭრო ურთიერთობათა მფარველი ღმერთია. მისი წყალობით მოაქვს ვაჭრობას მოგება და მისი წყალობით მდიდრდებიან ადამიანები. ჰერმესმა გამოიგონა ზომა-წონა, რიცხვები და ანბანი, და ეს ყოველივე ასწავლა ადამიანებს. იგია წინასწარმეტყველებისა და. ამავე დროს, მოხერხიბის, ეშმაკობისა და სიცრუის ღმერთი. ვერავინ აღემატება სიმარჯვეში, ეშმაკობასა და ქურდობაშიც კი, რადგან ჰერმესი არაჩვეულებრივად მარდი ქურდია. ერთხელ მან ღმერთების მეუფეს ზევსს ხუმრობით მოჰპარა ღვთაებრივი სკიპტრა, პოსეიდონს — სამთითი, აპოლონს — ოქროს ისრები და მშვილდი, არესს კი — მახვილი.

ჰერმესი იპოვიებს აპოლონის ძროხებს

ძლივს მოასწრო ახალშობილმა ჰერმესმა თვალის გახელა კილენის გრილ გამოქვაბულში, რომ უკვე ჩაიფიქრა პირველი ოინი: განიზრახა ძროხები მოეპარა ვერცხლისმშვილდა აპოლონისათვის, რომელიც ამ დროს მაკედონიაში, პიერიის ხეობაში ღმერთების ჯოგებს მწყემსავდა. უჩუმრად, დედას რომ არ შეენიშნა, არტახებიდან გამოძვრა, აკვნიდან გადმოხტა და გამოქვაბულის გასასველელისაკენ გაემართა. იქვე, გამოქვაბულთან კუ შენიშნა, დაიჭირა და მისი ბაკნისა და სამი ტოტისაგან პირველი ლირა დაამზადა. ზედ ტკბილხმოვანი სიმები გააბა. მერე ჩუმად შებრუნდა გამოქვაბულში, ლირა შეუმჩნევლად თავის აკვანში შეინახა, თვითონ კი ქარზე უსწრაფესად პიერიის ხეობას მიაშურა. იქ აპოლონის ჯოგიდან თხუთმეტი ძროხა გაიტაცა, ფეხებზე კვალის დასაკარგავად ლერწამი და ტოტები მიაბა და სწრაფად გარეკა პელოპონესის მიმართულებით. ღვიან საღამოს როცა ძროხებს ბეოტიაში მიერეკებოდა ჰერმესმა ვენახში მომუშავე მოხუცი დაინახა.

— ერთი ძროხა მომიძღვნია, მოხუცო, — უთხრა ჰერმესმა, — წაიყვანე, ოღონდ ნურავის ეტყვი, რომ ამ გზაზე ძროხები მიმყავდა.

უხვი საჩუქრით გახარებულმა ბერიკაცმა ჰერმესს სიტყვა მისცა, კაცისშვილს არ ვეტყვი, თუ საით გარეკე ძროხებიო. ჰერმესმა თავი დაიარხეინა და გზა განაგრძო. მაგრამ ცოტა რომ გაიარა, მოხუცის გამოცდა მოინდომა — აბა, თუ არის სიტყვის პატრონიო. ძროხები ტყეში დამალა, სახე შეიცვალა და უკან დაბრუნდა, ბერიკაცს ჰკითხა:

— ერთი მითხარი, აქ ერთი ყმაწვილი ძროხებს ხომ არ მიერეკებოდა? თუ მეტყვი, საით წაიყვანა, ხარსა და ძროხას მოგცემ.

დიდხანს ყოყმანი არ დაუწყია მოხუცს, ძალიან უნდოდა კიდევ ერთი ხარისა და ძროხის შოვნა, და მაშინვე უჩვენა თუ საით გარეკა ყმაწვილმა ძროხები. საშინლად განრისხდა ჰერმესი მოხუცმა მიცემული სიტყვა რომ გატეხა, და ბრაზმორეულმა იგი მუნჯ კლდედ აქცია, რათა სამარადისოდ დადუმებულს ხსომებოდა, რომ საჭიროა პირობის დაცვა.

შემდეგ ჰერმესი სწრაფად დაბრუნდა ძროხებთან და გზა განაგრძო. ბოლოს პილოსში მივიდა, ორი ძროხა ღმერთებს შესწირა მსხვერპლად, შემდეგ მსხვერპლშეწირვის კვალი მოსპო, დანარჩენი ძროხები გამოქვაბულში დამალა, ამასთან ისინი უკუღმა შეიყვანა, რათა მდევარი შებრუნებულ კვალს დაებნია.

ყოველივე ამის შემდეგ ჰერმესი გულდამშვიდებული დაბრუნდა დედა მაიას გამოქვაბულში. წყნარად დაწვა თავის აკვანში და არტახებში გაეხვია.

მაგრამ მაიამ შენიშნა შვილის წასვლა და ყრმას უსაყვედურა:

— ცუდი საქმე განიზრახე, შვილო. რისთვის მოიპარე აპოლონის ძროხები? განრისხდება. ხომ იცი, რა ულმობელია მრისხანების ჟამს აპოლონი? განა მისი აუცდენელი ისრებისა არ გეშინია?

— არ მეშინია აპოლონისა, — მიუგო დედას ჰერმესმა. — იჯავროს, რამდენიც უნდა. თუ შენს ან ჩემს განაწყენებას მოიწადინებს, სამაგიეროს გადავუხდი, მთელს მის სალოცავს გავძარცვავ დელფოში, მოვპარავ ყველა სამფეხს, ოქრო-ვერცხლსა და სამოსელს.

აპოლონმა კი უკვე შენიშნა ქურდობა და მოპარული ძროხების კვალზე წავიდა. ვერსად ვერ პოულობდა. ბოლოს გრძნეულმა ფრინველმა პილოსში ჩაიყვანა, მაგრამ ვერც იქ იპოვნა თავისი ძროხები ოქროსკულულებიანმა აპოლონმა. იმ გამოქვაბულში კი, სადაც ძროხები იყვნენ გადამალული, აპოლონი არც კი შესულა, — კვალი ხომ გამოქვაბულიდან გამოდიოდა.

ბოლოს, ხანგრძლივი, უშედეგო ძებნის შემდეგ მაიას მღვიმეშიც შეიხედა. აპოლონის მოახლოება რომ იგრძნო, ჰერმესი კიდევ უფრო ღრმად ჩაწვა თავის აკვანში და უფრო მჭიდროდ შემოიხვია არტახები. გაჯავრებული აპოლონი მღვიმეში შევიდა და ნახა, ჰერმესი უცოდველი ბატკანივით წევს არტახებში. აპოლონმა იცოდა რა საქმის ჩამდენიც იყო და უსაყვედურა ძროხების მოპარვა, თან მოსთხოვა, უკან დამიბრუნეო. მაგრამ ჰერმესი ყველაფერზე უარს ამბობდა. გადათქვა, არავითარი ძროხები არ მომიპარავს, არც მიფიქრია და არც ვიცი სად არიან შენი ძროხებიო.

— გამიგონე, ბიჭუნავ! — შესძახა განრისხებულმა აპოლონმა, — იცოდე, პირქუშ ტარტაროსში გადაგტყორცნი და ვეღარ გიშველის ვერც დედა, ვერც მამა, თუ მოპარულ ძროხებს არ დამიბრუნებ.

— ო, ლეტოს ძევ! — მიუგო ჰერმესმა. — არ მინახავს, არც სხვისაგან გამიგონია შენი ძროხების ამბავი. განა ამისთვის მცალია ახლა? სულ სხვა საქმე და საზრუნავი მაქვს. მხოლოდ ძილზე, დედის რძეზე და ჩემს არტახებზე ვფიქრობ, რა დროის ჩემი ქურდობაა, პირზე რძე არ შემშრობია! არა ვფიცავ, არც კი მინახავს შენი ძროხების ქურდი.

დიდხანს ბრაზობდა აპოლონი, მაგრამ ცბიერ, მოხერხებულ ჰერმესთან ვერაფერს გახდა. ბოლოს ოქროსთმიანმა ღმერთმა არტახებიდან ამოიყვანა ჰერმესი და აიძულა ზევსთან გაჰყოლოდა, რომ ღმერთების მბრძანებელს გადაეწყვიტა მათი დავა. ორივე ღმერთი ოლიმპოზე გამოცხადდა. ძალიან იკატუნებდა თავს ჰერმესი, ბევრს ეშმაკობდა, მაგრამ ზევსმა თავისი გაიტანა და უბრძანა აპოლონისათვის მოპარული ძროხები დაებრუნებინა.

პირდაპირ ოლიმპოდან წაიყვანა ჰერმესმა აპოლონი, თან კუს ბაკნისაგან გაკეთებული ლირა წაიღო. პილოსში გადამალული ძროხები უჩვენა. ვიდრე აპოლონს გამოქვაბულიდან ძროხები გამოპყავდა, ჰერმესი იქვე ლოდზე ჩამოჯდა და ლირა ააჟღერა. საკვირველმა ხმებმა გამოაცოცხლეს ხეობა და ზღვის ქვიშიანი ნაპირი. განცვიფრებულმა აპოლონმა აღტაცებით მიაპყრო სმენა ჰერმესის ჯადოსნურ სიმთა ჟღერას. ისე მოიხიბლა, რომ ჰერმესს ლირაში მოპარული ძროხები მისცა, ხოლო ჰერმესმა ლირის ნაცვლად სალამური გამოიგონა ნაქურდალი ძროხების მწყემსვის დროს რომ არ მოსწყენოდა. საბერძნეთის მწყემსებმა ეს საკრავი ძლიერ შეიყვარეს.

მოხერხებული, მკვირცხლი, ფეხმარდი ჰერმესი, ზევსისა და მაიას მშვენიერი ვაჟიშვილი, აზრივით სწრაფად მსრბოლი ჭაბუკი ღმერთი, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ იჩინა თავი ეშმაკობითა და მოხერხებით, იმავე დროს ახალგაზრდული ძალის განსახიერებად ითვლებოდა. პალესტრებში ყველგან ჰისი ქანდაკებები იდგა. ჰერმესი ახალგაზრდა ძძლეოსანთა ღმერთია. მას მოუხმობდნენ საშველად ჭიდაობასა და სწრაფ სირბილში შეჯიბრების წინ.

ვინ არ სცემდა თაყვანს ჰერმესს ძველ საბერძნეთში: მგზავრი, ორატორი. ვაჭარი, მძლეოსანი და, ასე გასინჯეთ, ქურდიც კი.

არესი, აფროდიტე, ეროსი, ჰიმენე

ა რ ე ს ი

ომის ღმერთი, მძვინვარე არესი — მეხთამტყორცნელ ზევსისა და ჰერას შვილია. ზევსს არ უყვარს არესი. ხშირად ეუბნება შვილს, ოლიმპოს ღმერთებს შორის ყველაზე მეტად შენ მძულხარო. ზევსს არ უყვარს არესი სისასტიკისა და სისხლისმღვრელობისათვის. მისი ღვიძლი შვილი რომ არ ყოფილიყო, ადრევე გადასტყორცნიდა პირქუშ ტარტაროსში, იქ, სადაც ტიტანები იტანჯებიან. არესის გულს მხოლოდ სასტიკი ბრძოლები ახალისებენ. მოელვარე იარაღით მძიმედ აღჭურვილი, უზარმაზარი ფარით ხელში დაჰქრის მძვინვარე ღმერთი იარაღის ჟღარუნში, მახვილთა ჩახაჩუხში, კვნესასა და გმინვაში, თავგანწირულ მებრძოლთა შორის. კვალდაკვალ დაჰყვებიან შვილები: დეიმოსი და ფობოსი — ელდა და შიში, მათ გვერდითაა — განხეთქილების ქალღმერთი ერიდა და მკვლელობათა მთესველი ქალღმერთი ენიიო. ქუხს და ბობოქრობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ველი. ზეიმობს არესი. კვნესით ეცემიან მეომრები. ხარობს არესი, როცა თავისი საშინელი მახვილით რომელსამე მებრძოლს განგმირავს და დაცემული მეომრის ჭრილობიდან ცხელი სისხლი

მოსჩქეფს. განურჩევლად მუსრავს მარჯვნივ და მარცხნივ. სხეულთა გროვა დგას მრისხანე ღმერთის გარშემო.

მკაცრია, მძვინვარე, დაუნდობელი არესი, მაგრამ გამარჯვება მუდამ როდია მისი თანამგზავრი. ხშირად უხდება ბრძოლის ველზე პირველობის დათმობა ზევსის მებრძოლი ასულის ათენა-პალადასათვის. ათენა არესს ამარცხებს ხოლმე სიბრძნითა და ძალის მშვიდი შეგნებით. ზოგჯერ არესთან სასტიკ ბრძოლაში მოკვდავი გმირებიც იმარჯვებენ, მეტადრე თუ მათ თვალნათელი ათენა-პალადა ეხმარება. ტროას კედლებთან არესი სპილენძის შუბით დაჭრა გმირმა დიომედემ. ეს მოხდა ათენას ნებითა და თანადგომით. თვით ათენამ წარმართა შუბი. ბერძენთა და ტროელთა ჯარები შეძრა დაჭრილი ღმერთის ბაზარელმა ყვირილმა, ქუხილით რომ დაუარა მებრძოლთა წყობას. თითქოს მრისხანე ბრძოლაში ჩაბმულმა ათასობით მეომარმა ერთბაშად შეჰყვირაო, ისე დაიღრიალა ტკივილისაგან სპილენძის აბჯრით მოსილმა არესმა. ელდის ცახცახმა აიტანა ბერძნები და ტროელები, ხოლო მძვინვარე არესი, მრუმე ღრუბლით შემოგარული და ერთიანად სისხლში მოსვრილი ღმერთი, მამა-ზევსისაკენ გაეშურა ათენაზე საჩივლელად. მაგრამ ზევსმა არ უსმინა. არ უყვარს შვილი, რომლის სიამოვნებას მხოლოდ შუღლი, განხეთქილება, ბრძოლა და მკვლელობა შეადგენს.

არესის დასახმარებლად მისი მშვენიერი ცოლი, ქალღმერთთა შორის ულამაზესი აფროდიტეც რომ მოვიდეს, ათენასთან პირისპირ შეტაკებაში გამარჯვებული მაინც მეხთამტყორცნელი ზევსის საყვარელი ასული ათენა გამოდის. მებრძოლი ათენა ერთი დარტყმით ძირსა სცემს სიყვარულის უმშვენიერეს ქალღმერთ აფროდიტეს, თვალცრემლიანი ბრუნდება მაღალ ოლიმპოზე მარად ახალგაზრდა, საოცრად ტურფა ქალღმერთი. კვალდაკვალ კი მიჰყვება ათენას საზეიმო სიცილი და დამცინავი სიტყვები.

აფროდიტე

განაზებულ, ქარაფშუტა ქალღმერთ აფროდიტეს საქმე როდია სისხლიან ბრძოლაში ჩარევა. აფროდიტე ღმერთებისა და ადამიანების გულებში სიყვარულის ცეცხლს ანთებს. ამ ძალის წყალობით ბატონობს ქვეყნიერებაზე.

არავის არ შეუძლია თავი დააღწიოს მის ძალაუფლებას, თვით ღმერთებიც კი უძლურნი არიან. მხოლოდ მეომარი ათენა, ჰესტია და არტემიდე არ ემორჩილებიან მის ძლიერებას. მაღალი, სიროს ტანის, პირმშვენიერი აფროდიტე, მომხიბლავ თავზე გვირგვინივით რომ ადგას მსუბუქ ტალღებად დახვეული

ოქროსფერი თმა, — ღვთაებრივი სილამაზისა და უჭკნობი ახალგაზრდობის განსახიერებაა. როდესაც მშვენიერების შუქმოციმციმე ქალღმერთი, სურნელოვან სამოსელში გამოწყობილი, სადმე მიდის, მზე უფრო კაშკაშებს, ყვავილები უფრო მდიდრულად იფურჩქნებიან; გარეული ნადირები მორბიან ულრან ტყეთა სიღრმეებიდან და ალერსით ეგებებიან; გუნდ-გუნდად ეხვევიან ფრინველები; ლომები, ავაზები და დათვები მოკრძალებით ეალერსებიან მას. მშეიდად დასეირნობს ნადირთა შორის აფროდიტე, გაამაყებული თავისი სხივოსანი სილამაზით. ორები და ქარიტები, სილამაზისა და გრაციის ქალღმერთები, თან დაჰყვებიან და ემსახურებიან მას. მდიდრულ სამოსელს აცმევენ, ოქროს თმებს უვარცხნიან, მოციმციმე ჯიღით უმკობენ თავს.

ურანოსის ასული აფროდიტე, კუნძულ კითერესთან, ზღვის ტალღების თოვლისფერი პერიდან იშვა. მსუბუქმა, მოალერსე სიომ გარიყა კუნძულ კვიპროსზე. იქ ზღვის ქაფიდან გამოსულ მშვენიერ აფროდიტეს გარს შემოხვევნენ ახალგაზრდა ორები. სიყვარულის ქალღმერთი მაშინვე შემოსეს ოქრომკედით ნაქარგი მშვენიერი სამოსით და თავზე ნაზსურნელოვანი ყვავილების გვირგვინი დაადგეს. სადაც კი აფროდიტე ფეხს დადგამდა, ყველგან უცხო ყვავილები იფურჩქნებოდა, ჰაერი ნელსურნელებით ივსებოდა. ეროსმა და ჰიმეროტმა მშვენიერი ქალღმერთი ოლიმპოზე აიყვანეს. ღმერთებმა ხმამაღალი სალამი უძღვნეს. მას შემდეგ მუდამ მაღალ ოლიმპოზე ღმერთებს შორის ცხოვრობს ოქროს აფროდიტე, მარად ნორჩი, ღმერთებს შორის უმშვენიერესი ქალღმერთი.

პიგმალიონი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

აფროდიტე ბედნიერებას ანიჭებს მას, ვინც ერთგულად ემსახურება. ასე მიანიჭა ბედნიერება პიგმალიონს, დიდ კვიპროსელ მხატვარს. პიგმალიონს არ უყვარდა ქალები, ცხოვრობდა განმარტოებით, გაურბოდა ქორწინებას. ერთხელ პიგმალიონმა სპილოს მოელვარე ძვლისაგან არაჩვეულებრივი სილამაზის ქალიშვილის ქანდაკება შექმნა. სულდგმულივით იდგა ეს ქანდაკება ოსტატის სახელოსნოში. გეგონებოდათ სუნთქავს, სადაცაა ამოძრავდება, გაივლის და ამეტყველდებაო. საათობით შესცქეროდა მხატვარი თავის ქმნილებას და ბოლოს შეიყვარა საკუთარი ხელით გამოკვეთილი ქანდაკება. მისთვის საჩუქრად მოჰქონდა ძვირფასი მძივები, სამაჯურები და საყურეები, აცმევდა ძვირფას სამოსს, თავს ყვავილთა გვირგვინებით უმკობდა და ხშირად ჩასჩურჩულებდა:

— ო, შენ რომ ცოცხალი ყოფილიყავი, რომ შეგძლებოდა ჩემი სიტყვებისათვის პასუხის გაცემა, ო, რა ბედნიერი ვიქნებოდი!

მაგრამ ქანდაკება მუნჯი იყო.

დადგა აფროდიტეს პატივსაცემად გამართული სადღესასწაულო დღეები. პიგმალიონმა სიყვარულის ქალღმერთს რქებმოოქრილი თეთრი დეკეული უძღვნა, ხელები გაიშვირა ქალღმერთისაკენ და ლოცვა-ვედრებით შეჰღაღადა:

— ო, მარადიულო ღმერთებო და შენ, ოქროსკულულებიანო აფროდიტე! თუ შეგიძლიათ მისცეთ ყველაფერი თქვენს მავედრებელს, მაშ მარგუნეთ მეც ცოლი, ეგზომ ლამაზი, როგორიც ჩემი ხელით გამოქანდაკებული ქალიშვილია. პიგმალიონმა ღმერთებს ვერ შეჰბედა იმის თხოვნა, რომ ქანდაკებისათვის სული შთაებერათ. ეშინოდა, ვაი თუ ასეთი კადნიერი თხოვნით ოლიმპოს ღმერთები განვარისხოო. თვალის მომჭრელად აელვარდა სამსხვერპლო ცეცხლი სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს გამოსახულების წინ. ამით ქალღმერთმა თითქოს ანიშნა პიგმალიონს, რომ ღმერთებმა შეისმინეს მისი ვედრება.

მხატვარი შინ დაბრუნდა, ქანდაკებასთან მივიდა და, ჰოი ბედნიერებავ! ჰოი, სიხარულო! ქანდაკება გაცოცხლდა! გული უძგერს, თვალებში სიცოცხლის შუქი უდგას. ასე აჩუქა ქალღმერთმა აფროდიტემ პიგმალიონს მშვენიერი მეუღლე.

ნარცისი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

მაგრამ ვინც თაყვანს არა სცემს ოქროს აფროდიტეს, ვინც მის ძღვენს უარყოფს, ვინც მის ძალაუფლებას ეწინააღმდეგება, მას სიყვარულის ქალღმერთი შეუბრალებლად სჯის. ასე დაისაჯა მდინარის ღმერთ კეფისისა და ნიმფა ლავრიონას მშვენიერი, მაგრამ ცივი და ამაყი ვაჟი ნარცისი. ნარცისს არავინ უყვარდა საკუთარი თავის გარდა, მხოლოდ საკუთარ თავს თვლიდა სიყვარულის ღირსად.

ერთხელ, როცა ერთ უსიერ ტყეში ნადირობისას გზა აებნა, იგი ნიმფა ექომ დაინახა. ნიმფას არ შეეძლო ნარცისთან დალაპარაკება. მძიმე ტვირთად აწვა ქალღმერთ ჰერას ნებით დატეხილი სასჯელი: დუმილი ებრძანა ნიმფა ექოს, და პასუხის გაცემაც აეკრძალა სხვაგვარად, თუ არ კითხვების გამეორებით. მხოლოდ უკანასკნელი სიტყვების გამეორების ნება ეძლეოდა. აღფრთოვანებული შესცქეროდა ექო მშვენიერსა და საროს ტანიან ჭაბუკს ტყის სიღრმიდან, ხშირ ფოთლებში მიმალული. ნარცისმა მიმოიხედა, აღარ იცოდა საით წასულიყო და შესძახა:

— ჰეი, მანდა ვინმე არის?

— არის! — გაისმა ხმამაღლა ექოს პასუხი.

— აქ მოდი! — უხმო ნარცისმა.

— მოდი! — მიუგო ექომ.

გაოცებული იცქირება მშვენიერი ჭაბუკი აქეთ-იქით არავინ ჩანს. ამით გაკვირვებულმა ისევ დაიყვირა:

— აქეთ, ჩქარა ჩემთან!

გახარებულმა ექომ უპასუხა:

— ჩემთან!

ხელებგაწვდილი მიეშურება ნიმფა ტყიდან ნარცისის შესახვედრად, მაგრამ განრისხებით ჰკრა ხელი მშვენიერმა ჭაბუკმა. სასწრაფოდ გაერიდა ნიმფას და უსიერი ტყის სიღრმეში მიიმალა.

გაუვალ ტევრს შეაფარა თავი უარყოფილმა ნიმფამ. ნარცისის სიყვარულისაგან იტანჯება, არავის ეჩვენება და მხოლოდ ნაღვლიანი გამოძახილით აძლევს პასუხს ყველა შეძახილს უბედური ექო.

ნარცისი კი უწინდებურად გულზვიადი, თავის თავში შეყვარებული დარჩა. ყველას სიყვარულს უარყოფდა. მრავალი ნიმფა გააუბედურა მისმა უარმა და ქედმაღლობამ. ერთხელ მის მიერ უარყოფილმა ერთმა ნიმფამ შესძახა:

— შენც შეიყვარე ვინმე, ნარცის! და დე, ნუ გიპასუხებს სიყვარულით ის, ვისაც შეიყვარებ!

ნიმფას ნატვრა აუსრულდა. განრისხდა ქალღმერთი აფროდიტე, რადგან ნარცისი ასე უარყოფდა მის ძღვენს, და განიზრახა მკაცრად დაესაჯა კადნიერი ჭაბუკი. ერთხელ გაზაფხულზე, ნადირობის დროს, ნარცისი ცივ წყაროსთან მივიდა და წყურვილის მოსაკლავად დაიხარა. ჯერ არასოდეს არ შეხებოდა ამ წყაროს წყალს არც მწყემსი, არც გარეული თხა, ერთი მოტეხილი ტოტიც არ დაცემულიყო მის ანკარა ტალღებზე, ქორფა ყვავილის ფურცელიც არ ჩაუგდია ნიავქარს მის სუფთა და გამჭვირვალე წყალში. როგორც სარკეში, ისე ირეკლებოდა ამ წყაროს წყალში ყველაფერი: ბუჩქები, ნაპირზე რომ იზრდებოდნენ, წერწეტი კვიპაროსები, ლურჯი ცა. ნარცისი იდაყვებით ქვებზე დაეყრდნო, დაიხარა და მთელი თავისი მშვენიერებით გამოჩნდა წყალში. აი, აქ უწია აფროდიტეს სასჯელმა. განცვიფრებული შესცქერის თავის, საკუთარ გამოსახულებას წყაროს წყალში და ძლიერი, დაუძლეველი სიყვარული ეუფლება. სიყვარულით აღსავსე თვალებით შეჰხარის თავის სახეს, უხმობს, უძახის, სურს მიიტყუოს, ხელს უწვდის, დაბლა სწევს სახეს და ცდილობს აკოცოს საკუთარ პირს, მაგრამ მხოლოდ წყაროს ცივსა და გამჭვირვალე წყალს ჰკოც-

ნის, ყველაფერი დაივიწყა ნარცისმა. წყაროს არ სცილდება, თვალმოუშორებლივ შეჰხარის თავის თავს. არ ჭამს, არ სვამს, არ სძინავს. დაბოლოა, სრულიად სასოწარკვეთილი იწვდის ორსავე ხელს თავისი გამოსახულებისაკენ და სასოწარკვეთილი ამბობს:

— ო, ვინ დატანჯულა ეგზომ სასტიკად! ჩვენ გვაშორებს არა ცხრა მთა, არამედ მხოლოდ წყლის პატარა ზოლი, და მაინც არ შეგვიძლია ერთად ყოფნა, ამოდი წყლიდან!

ჩაფიქრდა თავისი გამოსახულების შემყურე ნარცისი. უეცრად საშინელმა აზრმა გაუელვა, და ზედ წყალზე დახრილმა საკუთარ გამოსახულებას ჩასჩურჩულა:

— ჰოი უბედურებავ, მეშინია. საკუთარი თავი ხომ არ შევიყვარე? შენ — ეს ხომ მე ვარ! საკუთარი სახე შემყვარებია. ვგრძნობ, ცოტა სიცოცხლეღა დამრჩენია. ძლივს მოვასწარი გაფურჩქნა და უკვე პირქუშ ჰადესში, ჩრდილთა სამეფოში უნდა ჩავიდე. სიკვდილი არ მაშინებს. სიკვდილი ბოლოს მოუღებს სიყვარულის ტანჯვას.

ნარცისს ძალ-ღონე ეცლება, ფერი მისდის და გრძნობს სიკვდილის მოახლოებას, მაგრამ მაინც არ შეუძლია თვალი მოსწყვიტოს თავის გამოსახულებას. ტირის ნარცისი. მისი ცხელი ცრემლი ღაპა-ღუპით ცვივა წყაროს წყალში. წყლის სარკესავით კრიალა ზედაპირზე წრეები გაიშალა და გაქრა მშვენიერი გამოსახულება. ელდანაკრავმა ნარცისმა შესძახა:

— ო, სადა ხარ? დაბრუნდი! დარჩი! ნუ მიმატოვებ, ეს ხომ სისასტიკეა! ო, ნება მომეცი, გიყურო მაინც!

მაგრამ აი, ისევ დაწყნარდა წყალი, ისევ გამოჩნდა გამოსახულება, ისევ თვალის მოუშორებლად შესცქერის ნარცისი. დნება ისე, როგორც ყვავილთა ფურცლებზე დაკიდული ნამი მზის მცხუნვარე სხივებზე. ხედავს უბედური ნიმფა ექოც, როგორ იტანჯება ნარცისი. უწინდებურად უყვარს და მისი ტანჯვის შემყურეს ტკივილისაგან გული ეკუმშება.

— ო, ვაი! — იძახის ნარცისი.

— ო, ვაი! — იმეორებს ექო.

დაბოლოს, გაწამებული, მისუსტებული ნარცისი ერთხელ კიდევ ჩახედავს წყალში თავის გამოსახულებას და შესძახებს:

— მშვიდობით!

და კიდევ უფრო წყნარად, ოდნავ გასაგონად გაისმის ნიმფა ექოს გამოძახილი:

— მშვიდობით!



პოსეიდონი
(ბრინჯაო. ძვ. წ. V საუკ. 60-იანი წლები. ათენის ეროვნული მუზეუმი)

აფროდიტე
ქნიდელი

„ტროლიტეს დაბადება“ (ძვ. წ. V ს-უკ.)



მძინარე ეროსი
(მეტროპოლიტენის
მუზეუმი)

ჰერმესი და
დიონისე
(პრაქსიტელე)

ნარცისმა თავი დახარა, წყაროს პირას მობიბინე მწვანე ბალახში ჩარგო და ორივე თვალში სიკვდილის ბინდი ჩაუდგა. მოკვდა ნარცისი. ტიროდნენ ტყეში ახალგაზრდა ნიმფები და ტიროდა ექოც. ნიმფებმა ნარცისს საფლავი გაუთხარეს, მაგრამ როდესაც მისი სხეულის წასაღებად მოვიდნენ, ვეღარ იპოვეს. იმ ადგილას, სადაც ნარცისს თავი დაეხარა, ამოსულიყო მშვენიერი თეთრი სურნელოვანი ყვავილი — სიკვდილის ყვავილი.

ამ ყვავილს ნარგიზს ეძახიან.

ადონისი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

მაგრამ სიყვარულის ქალღმერთმა, ასე რომ დასაჯა ნარცისი, თვითონაც გამოსცადა სიყვარულის ტანჯვა, და თავისი რჩეულის ადონისის დატირება მოუხდა. აფროდიტეს გატაცებით შეუყვარდა კვიპროსის მეფის ვაჟი, ადონისი. არც ერთ მოკვდავს არ შეეძლო გატოლებოდა მას სილამაზით, თვით ოლიმპოს ღმერთებზე უფრო მშვენიერი იყო იგი. მისთვის დაივიწყა აფროდიტემ პატმოსიც და აყვავებული კითერეც. მისთვის ადონისი თვით ნათელ ოლიმპოზე უფრო საყვარელი გახდა. მთელს დროს მასთან ატარებდა. მასთან ნადირობდა კვიპროსის ტყეებსა და მთებში, ქალწულ არტემიდესავით. აფროდიტემ დაივიწყა ოქროს სამკაულები, თავისი სილამაზე. მცხუნვარე მზესა და ავდარში ნადირობდა კურდღლებზე, მფრთხალ ირმებსა და არჩვებზე, მაგრამ მრისხანე ლომებსა და ტახებზე ნადირობას კი გაურბოდა. ადონისსაც სთხოვდა, მოერიდე ლომებზე, დათვებსა და ტახებზე ნადირობას, უბედურება არ შეგემთხვასო. იშვიათად ტოვებდა მეფისწულს, ხოლო როცა ტოვებდა, დაბარებდა, არ დაივიწყო ჩემი თხოვნაო.

ერთხელ, აფროდიტეს 'არყოფნაში ნადირობისას ადონისის ძაღლებმა უზარმაზარი ტახის სუნი იკრეს. ააგდეს ნადირი და გაშმაგებული ყეფით დაედევნენ. ადონისს ახარებდა ასეთი მდიდარი ნადავლი და ვერ გრძნობდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ნადირობა. სულ უფრო ახლო გაისმის ძაღლების ყეფა, აი ბუჩქებში უზარმაზარი ტახი გამოჩნდა. ადონისმა უკვე დააპირა გამძვინვარებული ტახის შუბით განგმირვა, მაგრამ ანაზდეულად ტახი ეცა თავისი უზარმაზარი ეშვებით და აფროდიტეს სატრფოს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ამ საშინელი ჭრილობისაგან ადონისი დაიღუპა.

როგორც კი შეიტყო ადონისის დაღუპვა, განუსაზღვრელი კაეშნით აღსავსე ქალღმერთი თვითონ გაემართა კვიპროსის მთებში საყვარელი ჭაბუკის გვამის

საძებნელად. მთის ფრიალოებსა და პირქუშ ხეობებში, ხრამებსა და უძირო უფსკრულთა კიდეებს შორის დაეხეტებოდა აფროდიტე. წვეტიანმა ქვებმა და ეკლებმა დაუსერეს ფეხები ქალღმერთს, სისხლის ნაკვალევი რჩებოდა ყველგან, სადაც ქალღმერთმა გაიარა. ბოლოს აფროდიტემ იპოვა ადონისის გვამი. მწარედ დასტიროდა უდროოდ დაღუპულ მშვენიერ ჭაბუკს. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალღმერთმა ადონისის სისხლიდან ნაზი ანემონის ყვავილის გაზრდა ბრძანა. ხოლო ყველგან, სადაც კი ქალღმერთის დაჭრილ-დასერილი ფეხებიდან გამონადენი სისხლი დაეწვეთა, აფროდიტეს სისხლივით წითელი, მშვენიერი ვარდი გაიფურჩქნა. შეიბრალა მაღალმა ზევსმა-მეხთამტყორცნელმა დამწუხრებული სიყვარულის ქალღმერთი. თავის ძმა ჰადესსა და მის ცოლ პერსეფონეს უბრძანა აჩრდილთა პირქუშ სამეფოდან ყოველწლიურად გამოეშვათ ადონისი დედამიწაზე. მას შემდეგ ადონისი ნახევარი წელი ჰადესის სამეფოშია, ნახევარ წელს კი ქალღმერთ აფროდიტესთან ატარებს. მთელი ბუნება ზეიმობს, როცა დედამიწაზე ბრუნდება ოქროს აფროდიტეს სატრფო მშვენიერი ჭაბუკი ადონისი.

ეროსი

მშვენიერი აფროდიტე მთელს ქვეყნიერებაზე ბატონობს. მას, ზევსის მსგავსად, თავისი შიკრიკი ჰყავს, მისი საშუალებით ასრულებს თავის ნებასურვილს. ეს შიკრიკია მისი ვაჟი — ეროსი, მზიარული, ცელქი, ცბიერი, ზოგჯერ კი სასტიკი ყმაწვილი. ნიავქარივით სწრაფი და მსუბუქი ეროსი თავისი მშვენიერი ოქროს ფრთების რხევით დანავარდობს დედამიწის თავზე, ზღვებსა და კუნძულებს ევლება, ხელში პატარა ოქროს მშვილდი უჭირავს, მხარზე კი კაპარჭით ისრები ჰკიდია. ვერავინ ვერ დააღწევს თავს ამ ოქროს ისრებს. მიზანს არ ააცილებს ეროსი. როგორც მოისრე, თვით ისართმტყორცნელ ოქროსკულულებიან აპოლონს არ ჩამოუვარდება. როცა ისარს მიზანში ახვედრებს, თვალები სიხარულისაგან უციმციმებს, საზეიმო იერით უკან გადაიგდებს ხუჭუჭთმიან თავს და ხმამაღლა იცინის.

ეროსის ისრები სიხარულსა და ბედნიერებას დაატარებენ, მაგრამ ხშირად დარდი, სიყვარულის ტანჯვა და დაღუპვაც კი მოაქვთ. თვით ოქროსთმიან აპოლონს, თვით ღრუბელთამდევნელ ზევსს დიდი ტანჯვა მიაყენეს ამ ისრებმა.

ზევსმა იცოდა, რამდენ უბედურებას მოიტანდა ქვეყნად აფროდიტეს ვაჟი, ამიტომ დაბადებისთანავე მისი დაღუპვა მოიწადინა, მაგრამ განა დედა დაუშვებდა ამას? შვილი გაუვალ ტყეში დამალა, და იქ, უსიერ ტევრში, ყრმა თავი-

ანთი რძით გამოკვებეს ძუ ლომებმა. ორი ძუ ლომის რძით გაზრდილი ახალგაზრდა, მშვენიერი ეროსი მთელს ქვეყნიერებაზე დანავარდობს და თავისი ისრებით ხან ბედნიერება მოაქვს, ხან უბედურება, ხან სიკეთე, ხან ბოროტება.

ჰიმენე

კიდევ ერთი თანაშემწე და თანამგზავრი ჰყავს აფროდიტეს. ესაა ქორწინების ახალგაზრდა ღმერთი ჰიმენე, თავისი თეთრი ქათქათა ფრთებით რომ მიუძღვის ყოველ საქორწინო მსვლელობას. თვალის მომჭრელად გიზგიზებს მისი საქორწინო ჩირაღდანი. ქალწულთა ქოროები მოუხმობენ ქორწილში ჰიმენეს, ევედრებიან დალოცოს ქორწინება და ბედნიერება მიანიჭოს ახლად შეუღლებულთ.

ჰეფესტო

ჰეფესტო, ზევსისა და ჰერას შვილი, ცეცხლის ღმერთი, ღმერთი — მჭედელი, რომელსაც ვერავინ შეედრება სამჭედლო ხელოვნებაში, ნათელ ოლიმპოზე დაიბადა. დაბადებიდან სუსტი და კოჭლი ბავშვი იყო. განრისხდა დიდებული ჰერა, როცა ქალღმერთებმა ულამაზო, სუსტი ბავშვი უჩვენეს, ხელი წაავლო შვილს და ოლიმპოდან შორეულ დედამიწაზე გადაისროლა.

დიდხანს მიჰქროდა ჰაერში უბედური ყრმა და ბოლოს უნაპირო ოკეანეში ჩავარდა. ზღვის ქალღმერთებმა — დიდი ოკეანის ასულმა ევრინომემ და ზღვის გრძნეული ბერიკაცის ნერევსის ასულმა თეტიდამ შეიბრალეს ბავშვი. ზღვაში ჩავარდნილი პატარა ჰეფესტო ამოიყვანეს, ჭაღარა ოკეანის წყალთა სიღრმეში წაიყვანეს და იქ ლაჟვარდოვან გამოქვაბულში გაზარდეს. კოჭლი და ულამაზო გაიზარდა ჰეფესტო, მაგრამ ძალუმი ხელები, ფართო მკერდი და ძარღვმაგარი კისერი ჰქონდა. რა საოცარი ოსტატი გამოდგა თავის სამჭედლო ხელობაში! თავის აღმზრდელებს ევრინომესა და თეტიდას ოქროსა და ვერცხლის მრავალი ძვირფასი სამკაული გამოუჭედა.

ჰეფესტო დიდხანს იმარხავდა გულში წყენას თავისი დედის, ქალღმერთ ჰერას მიმართ და ბოლოს განიზრახა სამაგიერო მიეზღო მისთვის ოლიმპოდან გადმოგდებისათვის. ჰეფესტომ არაჩვეულებრივი სილამაზის ოქროს ტახტი გააკეთა და ოლიმპოზე გაუგზავნა დედას საჩუქრად. აღტაცებული დარჩა მეხთამტყორცნელი ზევსის მეუღლე, ეგზომ დიდებული საჩუქრით. ჭეშმარიტად. მხოლოდ ღმერთებისა და ადამიანების დედოფალი უნდა მჯდარიყო ასე არა-

ჩვეულებრივად ლამაზ ტახტზე. მაგრამ — ო, საშინელებავ! როგორც კი ჰერა სავარძელში ჩაჯდა, მყისვე დაუძლეველმა ბორკილებმა შებოჭეს და სავარძელს მიაჯაჭვეს. ღმერთები დასახმარებლად მივარდნენ, მაგრამ ამაოდ. არავის შეეძლო დედოფალ ჰერას გამოხსნა. ქალღმერთები მიხვდნენ, რომ მხოლოდ ამ სავარძლის მჭედელს, თვითონ ჰეფესტოს შეეძლო თავისი დიადი დედის განთავისუფლება.

მაშინვე ღმერთებმა თავისი შიკრიკი ჰერმესი გაგზავნეს მჭედელი ღმერთის მოსაყვანად. ნიავქარივით გადაუქროლა ჰერმესმა ზღვებსა და ქვეყნებს და ოკეანის სანაპიროს, ქვეყნიერების კიდეს მიაშურა. ელვის სისწრაფით გადასერა ზღვა და ხმელეთი და მივიდა იმ გამოქვაბულში, სადაც ჰეფესტო მუშაობდა. დიდხანს სთხოვდა ჰეფესტოს გაჰყოლოდა მაღალ ოლიმპოზე, გაეთავისუფლებინა დედოფალი ჰერა, მაგრამ გადაჭრით უარობდა ღმერთი-მჭედელი: კარგად ახსოვდა წყენა, დედამისმა რომ მიაყენა. არ გასჭრა ჰერმესის ხვეწნა-მუდარამ. მაშინ მის დასახმარებლად ღვინის მხიარული ღმერთი დიონისე გამოეშურა. ხმამაღალი სიცილით მოართვა ჰეფესტოს ნელსურნელოვანი ღვინით სავსე ფიალა, მერე მეორე, შემდეგ კიდევ და კიდევ. დათვრა ჰეფესტო, ახლა ადვილად წაიყვანდით, საითაც ინებებდით. ღვინის ღმერთმა აჯობა ჰეფესტოს. დიონისემ და ჰერმესმა ჰეფესტო სახედარზე შესვეს და ოლიმპოსაკენ წაიყვანეს. იჯდა ღვთაებრივი მჭედელი სახედარზე და ირწეოდა. გარშემო მხიარული მენადები დანავარდობდნენ, ხელში ტირსები ეკავათ. სასაცილოდ ხტოდნენ შეზარხოშებული სატირები. გიზგიზებდნენ ჩირაღდნები, ხმამაღლა გაისმოდა ბობღანთა ჟღერა, სიცილი, დაირების ხმაური. წინ მიუძღოდათ დიდი ღმერთი დიონისე, ვაზის გვირგვინით თავზე და ტირსით ხელში, მხიარულად მიდიოდა მთელი გუნდი. ბოლოს ოლიმპოსაც მიაღწიეს. ჰეფესტომ თვალის დახამხამებაში გაათავისუფლა თავისი დედა. შეზარხოშებულმა წყენა დაივიწყა.

ჰეფესტო ოლიმპოზე დარჩა. ღმერთებს დიდებული ოქროს სასახლეები დაუდგა. თავისთვისაც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან საუცხოო სასახლე აიშენა და ამ სასახლეში ცხოვრობს თავის ცოლთან, გრაციისა და სილამაზის ქალღმერთ, მშვენიერ და თავაზიან ქარიტთან ერთად.

ამავე სასახლეშია ჰეფესტოს სამჭედლო. დროის მეტ ნაწილს ჰეფესტო თავის სასწაულებით აღსავსე სამჭედლოში ატარებს. შუაში დგას უზარმაზარი გრდემლი, კუთხეში ქურა, მოგიზგიზე ცეცხლი და საბერველი. საოცარი რამ არის ეს საბერველი — არ სჭირდება ხელის შეხება, იგი ჰეფესტოს სიტყვას ემორჩილება. იტყვის — ამუშავდება საბერველი, გაჩაღდება ცეცხლი ქურაზე და ავარდება მოელვარე ალი. გაოფლილი, მტვრისა და მჭვარტლისაგან ერთია-

ნად გაშავებული ღმერთი ჰეფესტო თავდაუზოგავად მუშაობს თავის სამქედ-ლოში. საოცარ ქმნილებებს — შეუდარებელი სიმტკიცის იარაღს, ოქრო-ვერცხ-ლის სამკაულებს, ჯამებსა და ფიალებს, სამფეხებს, ოქროს თვლებით ცოცხ-ლებივით რომ დაგორავენ — ჭედავს აქ ჰეფესტო.

ჰეფესტო მუშაობას რომ დაამთავრებს, ნელსურნელოვან აბანოში განიბა-ნება ოფლისა და მტვარტლისაგან და თავისი სუსტი ფეხებით, კოჭლობითა და რწევით მიეშურება ღმერთების ნადიმზე, თავის მამასთან, მეხთამტყორცნელ ზევსთან. ალერსიანი, გულკეთილი ჰეფესტო ხშირად წყვეტს ჰერასა და ზევსს შორის გამართულ დავას. ღმერთები სიცილს ვერ იკავებენ, როდესაც სუსტ ფე-ხებზე შემდგარი ჰეფესტო კოჭლობით უვლის გარშემო მაგიდას და ოლიმპოე-ლებს ფიალებში ნექტარს უსხამს... სიცილში ღმერთები ივიწყებენ უთანხმო-ებას.

მაგრამ ღმერთ ჰეფესტოს განრისხებაც შეუძლია. ბევრმა გამოსცადა მისი ცეცხლის ძალა და უზარმაზარი უროს საშინელი, ძალუმი დაკვრა. თვით ქსანთისა და სიმოისის აზვირთებული ტალღები დაამშვიდა ტროა თან ჰეფეს-ტომ თავისი ცეცხლით. მრისხანე ჰეფესტო თავისი უროთი უნგრევდა გვერდებს ძალუმ ტიტანებსაც.

დიდია ცეცხლის ღმერთი, ღვთაებრივი მჭედელი ჰეფესტო, — სითბოსა და სიხარულს ანიჭებს ადამიანებს, ალერსიანი და გულკეთილია, მაგრამ სასტიკად სჯის მას, ვინც განარისხებს.

დემეტრე და პერსეფონე

ძლევამოსილია დიდი ქალღმერთი დემეტრე. ის ანიჭებს მიწას ნაყოფიერე-ბას, და მისი კეთილისმყოფელი ძალა რომ არა, არც დაბურულ ტყეებში გაიზრ-დებოდა რამე, არც ველ-მინდვრებში, არც პოხიერ ყანებში.

ჰადესის მიერ პერსეფონეს გაჯაცება

დიდ ქალღმერთ დემეტრეს ჰყავდა ახალგაზრდა, მშვენიერი ასული პერსე-ფონე. პერსეფონეს მამა იყო თვით კრონოსის დიდი შვილი, მეხთამტყორცნელი ზევსი. ერთხელ მშვენიერი პერსეფონე თავისი მეგობრების, ოკეანიდების თანხლებით უზრუნველად ნებივრობდა ნისოს აყვავებულ ხეობაში. მსუბუქ-ფრთიან პეპელასავით დაფარფატებდა დემეტრეს მომხიბლავი ასული ყვავილი-დან ყვავილზე. კრეფდა ქორფა ვარდებს, სურნელოვან იებს, ქათქათა შროშა-

ნებსა და წითელ სუმბულებს. უდარდელად ნებივრობდა პერსეფონე და არ იცოდა, რა ბედი განუმზადა მამა ზევსმა. არ ფიქრობდა პერსეფონე იმაზე, რომ მალე ველარ იხილავდა მზის ცხოველ სხივებს, მალე ველარ დატკბებოდა მშვენიერ ყვავილთა ცქერითა და მათი დამათრობელი სურნელებით. ზევსმა მისი თავი ცოლად აღუთქვა თავის პირქუშ ძმას ჰადესს, მიცვალებულთა სულებისა და აჩრდილთა სამეფოს მბრძანებელს, მასთან უნდა ეცხოვრა ანელ მიწისქვეშეთში, უსაშველო წყვდიადში, სამხრეთის მცხუნვარე მზის ელვარებას მოკლებულს.

ჰადესი შესცქერის, როგორ ნებივრობს ნისოს ველზე პერსეფონე, და მაშინვე მისი გატაცება განიზრახა. მიწის ქალღმერთს გეას სთხოვა ამოეზარდა არაჩვეულებრივი სილამაზის ყვავილი. დაეთანხმა ქალღმერთი გეა, და ნისოს ველზე საკვირველი ყვავილი ამოვიდა. მისი დამათრობელი სურნელება ყოველ მხარეს მოეფინა. პერსეფონემ დაინახა ეს ყვავილი. აი, წაეტაკნა და ხელი წაავლო ნაზ ღეროს. აი, მოწყვიტა კიდეც ყვავილი და უეცრად მიწა გაირღვა, შავმა ცხენებმა ზედაპირზე ამოაგრიალეს ოქროს ეტლი, რომელშიაც იჯდა მიცვალებულთა აჩრდილების სამეფოს მბრძანებელი, პირქუში ჰადესი. მან სტაცა ხელი ნორჩ პერსეფონეს, ეტლში ჩაისვა და თვალის უსწრაფესად გააქროლა მიწის წიაღში. მხოლოდ ერთი შეკივლება მოასწრო პერსეფონემ. შორს გაისმა დემეტრეს ახალგაზრდა ასულის კივილი. ზღვათა წიაღსაც მისწვდა და ნათელ ოლიმპოსაც. არავის უხილავს, როგორ გაიტაცა პირქუშმა ჰადესმა პერსეფონე, მხოლოდ მზემ — ღმერთმა ჰელიოსმა შეასწრო თვალი.

ქალღმერთმა დემეტრემ გაიგონა პერსეფონეს კივილი. სწრაფად გაეშურა ნისოს ველისაკენ, ყველგან დაეძებდა ასულს, ეკითხებოდა მის მეგობარ ოკეანიდებს, მაგრამ იგი არ ჩანდა. ოკეანიდებმა თვალი ვერ შეასწრეს, სად დაიკარგა პერსეფონე.

ერთადერთი ქალიშვილის დაკარგვით გამოწვეულმა დარდმა დაისადგურა დემეტრეს გულში. ცხრა დღედაღამე დაეხეტებოდა შავად მოსილი დიდი ქალღმერთი დემეტრე დედამიწაზე, არაფერი არ გაეგებოდა, არაფერს არ გრძნობდა, არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ მდუღარე ცრემლს აფრქვევდა. ყველგან დაეძებდა პერსეფონეს, ყველას სთხოვდა შველას, მაგრამ არავის შეეძლო მისი დარდის შემსუბუქება. ბოლოს, მეათე დღეს, მზის ღმერთს ჰელიოსს ესტუმრა და თვალცრემლიანი შეევედრა:

— ო, სხივნათელო ჰელიოს! შენ ოქროს ეტლით უელი მაღალ ცაზე ზღვასა და ხმელეთს, ყველაფერს ხედავ, არაფერი გამოეპარება შენს სხივოსან მზერას. თუ ცოტაოდენი სიბრალული მაინც გაქვს უბედური დედისა, მითხარი

სად არის ჩემი ასული პერსეფონე, მითხარი სად ვეძიო! მე გავიგონე მისი ძახილი, ასული მომტაცეს. მითხარი ვინ მომტაცა. სად არ ვეძიე, მაგრამ ვერსად ვიპოვნე.

სხივოსანმა ჰელიოსმა უპასუხა:

— დიდო ქალღმერთო, ხომ იცი, რაოდენ პატივსა გცემ, ხომ ხედავ, როგორ ვდარდობ შენს მწუხარებას რომ ვუყურებ. იცოდე, დიდმა ღრუბელთმფანტველმა ზევსმა შენი ასული ცოლად მისცა თავის პირქუშ ძმას, ქვესკნელის მპრძანებელ ჰადესს. ჰადესმა გაიტაცა პერსეფონე და თავის საშინელ სამეფოში წაიყვანა. დასძლიე შენი მძიმე კაეშანი, ქალღმერთო. შენი ასულის ქმარი ხომ დიდია, შენი პერსეფონე დიდი ზევსის უძლეველი ძმის მეუღლე გახდა.

კიდევ უფრო შეწუხდა ქალღმერთი დემეტრე. განრისხდა მეხთამტყორცნელ ზევსზე იმის გამო, რომ მისი თანხმობაც კი არ უთხოვია, ისე მისცა ცოლად ჰადესს პერსეფონე. მიატოვა ნათელი ოლიმპო, მიატოვა ღმერთები, უბრალო მოკვდავის სახე მიიღო, ძაძებით შეიმოსა, დაეხეტებოდა მოკვდავთა შორის და ცხარე ცრემლს აფრქვევდა.

შეწყდა დედამიწაზე ყველაფრის ზრდა. ხეებზე ფოთლები დაჭკნა და დაცვივდა. ტყეები გაშიშვლდა. ბალახმა ფერი დაკარგა, ყვავილების ჭრელი ფურცელაკები დაჭკნენ. აღარ ხარობდა ბაღში ნაყოფი, დაჭკნა მწვანე ვენახი, აღარ მწიფდებოდა მძიმე, წვნიანი მტევნები. ადრე ნოყიერი ყანები დაცარიელდა. ღერი ბალახიც არ იზრდებოდა, არც მოსავალი მოდიოდა. ჩავიდა სიცოცხლე დედამიწაზე. ყველგან შიმშილი მძვინვარებდა, კვნესა და ტირილი გაისმოდა. დაღუპვა ელოდა ადამიანთა მოდგმას. მაგრამ არას ხედავდა, არა ესმოდა რა დემეტრეს, საყვარელი ასულის ბედზე დანაღვლიანებულს.

ბოლოს დემეტრე ქალაქ ელევსინში მივიდა. იქ, ქალაქის კედლებთან, „ქალწულთა ჭის“ გვერდით, ზეთისხილის ჩრდილში „კაეშნის ქვაზე“ ჩამოჯდა. უძრავად იჯდა დემეტრე, ქანდაკების მსგავსი. მუქი სამოსის მძიმე კალთები მიწაზე სცემდა. თავი დაეხარა, თვალთაგან კი ერთიმეორის მიყოლებით მოგორავდნენ ცხელი ცრემლები და მკერდზე ეცემოდნენ. დიდხანს იჯდა ამ ყოფაში დემეტრე, მარტოდმარტო, უნუგეშო.

ელევსინის მეფის კელეოსის ასულნი გაკვირვებული დარჩნენ, წყაროსთან მჯდარი მოტირალი შაოსანი ქალი რომ დაინახეს, მივიდნენ და თანაგრძნობით გამოჰკითხეს, რა დარდი მოგწოლიაო. მაგრამ ქალღმერთმა დემეტრემ თავისი ვინაობა არ გაუმხილა. უთხრა რომ დეო მქვია, კრეტიდანა ვარ წარმოშობით, ავაზაკებმა გამიტაცეს, მაგრამ გამოვექეცი და ელევსინთან მოვედიო. დემეტრემ ქალიშვილებს სთხოვა, მათი მამის კელეოსის სახლში შეეყვანათ და დათანხმდა

მოსამსახურედ დადგომოდა. ბავშვების აღზრდასა და კელეოსის სასახლეში მუშაობას კისრულობდა. კელეოსის ქალიშვილებმა დემეტრე თავიანთ დედა მეტანეირასთან მიიყვანეს.

კელეოსის ასულებმა რა იცოდნენ, რომ სასახლეში დიდი ქალღმერთი შეჰყავდათ! მაგრამ როდესაც სასახლეში შედიოდა, დემეტრე თავით შეეხო კარის ზედა ნაწილს. და ერთბაშად მთელი სასახლე მოციმციმე შუქმა ვაციისკროვნა. დედოფალი მეტანეირა ქალღმერთს შეეგება, მიხვდა, რომ უბრალო მოკვდავი არ მოუყვანიათ სასახლეში მის ქალიშვილებს. მდაბლად დაუკრა თავი უცნობ ქალს დიასახლისმა და სთხოვა სადედოფლო ტახტზე დამჯდარიყო. დემეტრემ უარი თქვა. უბრალო მოახლის სკამზე დაჯდა, უწინდებურად განურჩეველი ყველაფრის მიმართ, რაც მის გარშემო ხდებოდა. მეტანეირას მოსამსახურე ქალმა კი, მხიარულმა იამბემ, უცნობი ქალის ღრმა ნაღველი რომ დაინახა, მისი გამხიარულება სცადა. ხალისიანად ემსახურებოდა მას და თავის დედოფალ მეტანეირას. ხმამაღლა იცინოდა და მხიარულად ხუმრობდა. პირველად გაიღიმა დემეტრემ მას შემდეგ, რაც პირქუშმა ჰადესმა ასული მოსტაცა, პირველად იგემა საჭმელი.

დემეტრე კელეოსთან დარჩა და მისი ვაჟის დემოფონტის აღზრდას შეუდგა. ქალღმერთმა გადაწყვიტა დემოფონტისათვის უკვდავება მიენიჭებინა. ყმაწვილი ღვთაებრივ მკერდთან, საკუთარ მუხლებზე ეკავა. ბავშვი ქალღმერთის უკვდავ ამონასუნთქს ისუნთქავდა. დემეტრე ამბროსიას უსვამდა ტანზე, ხოლო ღამით, როდესაც ელევსინის სასახლეში ყველას ეძინა, არტახებში ახვევდა და გახურებულ ღუმელში აწვენდა. მაგრამ დემოფონტმა უკვდავება ვერ მიიღო. ერთხელ მეტანეირამ დაინახა ანთებულ ღუმელში მწოლი თავისი შვილი, საშინლად შეეშინდა და დემეტრეს შეევედრა, ამას ნუ იზამო. დემეტრე განრისხდა, გამოიღო ანთებული ღუმელიდან ყრმა და დედას უთხრა:

— ო, უგუნურო! მე მინდოდა უკვდავება მიმენიჭებინა შენი შვილისათვის, უწყლვადი გამეხადა. იცოდე, მე ვარ დემეტრე, უკვდავთა და მოკვდავთათვის ძალისა და სიხარულის მომნიჭებელი.

დემეტრემ გაუმხილა კელეოსსა და მეტანეირას ვინც არის, და ქალღმერთის ჩვეულებრივი სახე მიიღო. ღვთაებრივი შუქი მოეფინა მეფე კელეოსის სამყოფელს. იდგა ქალღმერთი დემეტრე, დიდებული და მშვენიერი, ოქროსფერი თმა მხრებზე ეფინებოდა, თვალებში ღვთაებრივი სიბრძნის ცეცხლი უგიზგიზებდა, მისი სამოსი ნელსურნელებას აფრქვევდა. მუხლი მოიყარეს მის წინაშე მეტანეირამ და მისმა მეუღლემ.

ქალღმერთმა დემეტრემ ბრძანა მისთვის ელევსინში ტაძრის აგება, კალი-

ქოროს წყაროსთან, და საცხოვრებლად ამ ტაძარში დარჩა. ამ ტაძარში დემეტრემ თვითონ დააწესა დღესასწაულები.

საყვარელ ასულზე დარდი არ ასვენებდა დემეტრეს, არც ზევსის მიმართ თავისი რისხვა დავიწყებია. უწინდებურად უნაყოფო იყო დედამიწა. სულ უფრო ძლიერდებოდა შიმშილი, რადგან მიწის მუშაკნი ამაოდ თესავდნენ — ყანებში ერთი მარცვალიც არ ამოდიოდა; ტყუილად ეზიდებოდნენ მიწათმოქმედის ხარები ხნულში მძიმე გუთანს — უნაყოფო და ფუჭი იყო შრომა. მთელი ტომები წყდებოდნენ. მშიერთა გმინვა ცას სწვდებოდა, მაგრამ, დემეტრე ყურს არ აპყრობდა. ბოლოს ჩაქრა ცეცხლები სამსხვერპლოებზე. აღარავინ სწირავდა მსხვერპლს უკვდავ ღმერთებს. დაღუპვა ელოდა ყოველ ცოცხალ არსებას. არ უნდოდა მოკვდავთა დაღუპვა დიდ ღრუბელთამფანტველ ზევსს. დემეტრეს ღმერთების შიკრიკი ირიდა გაუგზავნა. სწრაფად გაეშურა ცისარტყელას ფრთიანი ირიდა ელევსინში, დემეტრეს ტაძრისაკენ, ეძახდა, ეეედრებოდა დაბრუნებულიყო ღმერთების დასში, ნათელ ოლიმპოზე. დემეტრეს არ ესმოდა მისი ვედრება. სხვა ღმერთებიც მიუგზავნა ზევსმა დემეტრეს, მაგრამ ქალღმერთს არ სურდა ოლიმპოზე დაბრუნება, ვიდრე ჰადესი პერსეფონეს არ დაუბრუნებდა.

მაშინ დიდმა ზევსმა თავის პირქუშ ძმას ჰადესს ფიქრივით სწრაფი ჰერმესი მიუგზავნა. ჰერმესი საშინელი ტანჯვით აღსავსე ქვესკნელის სამეფოში ჩაეშვა, მიცვალებულთა სულების მბრძანებელს წარუდგა, ოქროს ტახტზე რომ იჯდა მორქმით, და ზევსის ნება აუწყა.

ჰადესი დათანხმდა გაეშვა პერსეფონე თავის დედასთან, მაგრამ წინდაწინ ქორწინების სიმბოლო ბროწეულის მარცვალი გადააყლაპა. პერსეფონე ქმრის ოქროს ეტლზე ავიდა და ჰერმესის გვერდით მოთავსდა. ყალუზე შედგნენ ჰადესის უკვდავი რაშები, არავითარი დაბრკოლება რომ არ იცოდნენ, და თვალის დახამხამებაში მიაღწიეს ელევსინს.

დემეტრეს სიხარულისაგან ყველაფერი დაავიწყდა, ქალიშვილს მივარდა და გულში ჩაიკრა. ისევ დაუბრუნდა საყვარელი ასული პერსეფონე. დემეტრე მასთან ერთად დაბრუნდა ოლიმპოზე. მაშინ ზევსმა გადაწყვიტა, რომ წლის ორ მესამედს პერსეფონე დედასთან გაატარებდა, ერთ მესამედს კი — თავის ქმართან, პირქუშ ჰადესთან.

დიდმა დემეტრემ მიწას ნაყოფიერება დაუბრუნა, და ხელახლა აყვავდა ყველაფერი, ამწვანდა ქვეყანა. გაზაფხულის ნაზმა ფოთლებმა დაფარეს ტყეები, ყვავილებით აჭრელდნენ ზურმუხტისფერი კორდები. მალე თავთავი აიყარა მწვანე ჯეჯილმა. სურნელება მოაფრქვიეს აყვავებულმა ბაღებმა. მზეში აციმ-

ციმდნენ მწვანე ვენახები. გაიღვიძა ბუნებამ. მთელი ბუნება ზეიმობდა და ადიდებდა დიდ ქალღმერთ დემეტრეს და მის ასულ პერსეფონეს.

მაგრამ ყოველწლიურად ტოვებს პერსეფონე თავის დედას, და ყოველ წელს ნაღველში იძირება დემეტრე, ისევ ისე შავად მოსილი. მთელი ბუნებაც დარდობს პერსეფონეს წასვლას. ხეებზე ფოთლები ყვითლდება, შემოდგომის ქარი ძარცვავს მათ. ყვავილი ჭკნება, ყანა ცარიელდება, ზამთარი დგება. სძინავს ბუნებას, რათა გაიღვიძოს გაზაფხულის ცხოველ სხივთა ციმციმში, როდესაც ჰადესის უსიხარულო სამეფოს წიაღიდან პერსეფონე თავის დედას დაუბრუნდება. ხოლო დაბრუნდება თუ არა დედამიწაზე პერსეფონე, ნაყოფიერების ქალღმერთი ბარაქიანი ხელით აფრქვევს ადამიანებს თავის საჩუქრებს და უხვი მოსავლით ლოცავს მიწათმოქმედთა შრომას.

ᲢᲠᲘᲞᲢᲝᲚᲔᲛᲝᲡᲘ

მიწის გამნაყოფიერებელმა დიდმა ქალღმერთმა დემეტრემ თვითონ ასწავლა ადამიანებს მოსავლის მოყვანა, ყანების დამუშავება და მოვლა. მან ელევსინის მეფის ახალგაზრდა ვაჟიშვილს ტრიპტოლემოსს მისცა პურის თესლი, მეფისწულმა პირველმა გადახნა სამჯერ რარიის ველი, ელევსინის მახლობლად, და შავ მიწაში პურის მარცვალი ჩაყარა. უხვი მოსავალი მოვიდა თვით დემეტრეს მიერ დალოცვილ მიწაზე. ჯადოსნური ეტლით, რომელშიაც ფრთოსანი გველები იყო შებმული, იმავე ტრიპტოლემოსმა დემეტრეს ბრძანებით მთელი ქვეყნიერება შემოიქროლა და ყველგან ასწავლა ადამიანებს მიწათმოქმედება.

შორეულ სკვითიაშიც იყო ტრიპტოლემოსი, მეფე ლინქესთან. მასაც ასწავლა მიწათმოქმედება. მაგრამ სკვითების ზვიადმა, ველურმა მეფემ ტრიპტოლემოსისათვის მიწათმოქმედების მასწავლებლის დიდების წართმევა და მისი მისაკუთრება მოინდომა. ლინქემ მძინარე ტრიპტოლემოსის მოკვლა გადაწყვიტა. მაგრამ დემეტრემ არ დაუშვა ასეთი ბოროტმოქმედება. ქალღმერთმა განიზრახა სასტიკად დაესაჯა ლინქე, რომელმაც დაარღვია სტუმარმოყვარეობის წესი და ხელი აღმართა მის რჩეულზე, დიდ ტრიპტოლემოსზე.

როცა ლინქე ღამით უჩუმრად შეიპარა მოსასვენებელში, სადაც ტრიპტოლემოსს ეძინა, დემეტრემ სკვითების ღვარძლიანი მეფე გარეულ ფოცხვერად აქცია სწორედ იმ წამს, როცა მეფე-მკვლელმა მძინარის თავზე მახვილი აღმართა.

ფოცხვერად ქცეული ლინქე უსიერ ტყეში მიიმალა, ტრიპტოლემოსმა კი



ტრიპოლემოსი ეტლში, რომელშიც შებმულია ფრთოსანი გველები; მის მარცხნივ გამოსახულია ქალღმერთი დემეტრე ჩირაღდნითა და თავთავებით; მარჯვნივ — ქალღმერთი პერსეფონე (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

მიატოვა სკვითების ქვეყანა, რათა ქვეყნიდან ქვეყანაში გადაექროლებინა თავისი ჯადოსნური ეტლი და ადამიანებისათვის დემეტრეს დიდი წყალობა — მიწათმოქმედება ესწავლებინა.

ერისიხთონი

მარტო სკვითების მეფე ლინქე როდი დაუსჯია ქალღმერთ დემეტრეს, მან დასაჯა თესალიის მეფე ერისიხთონიც. ზვიადი და უკაცური იყო ერისიხთონი. არასოდეს სწირავდა მსხვერპლს ღმერთებს. ამ ბიწიერმა ხელმწიფემ თავხედურად შეურაცხყო ქალღმერთი დემეტრე, განიზრახა მოეჭრა მის წმინდა ჭალაში ასწლოვანი მუხა, რომელშიაც დემეტრეს უსაყვარლესი ნიმფა დრიადე ცხოვრობდა. ვერაფერმა ვერ დააოკა ერისიხთონი.

— დემეტრეს საყვარელი ღვთაება კი არა, თვით ქალღმერთიც რომ ყოფილიყო, მაშინაც მოვჭრიდი ამ მუხას — შესძახა უწმინდურმა...

ერისიხთონმა მსახურს ხელიდან გამოსტაცა ნაჯახი და მძლავრად დაჰკრა ხეს. მძიმე კვნესა აღმოხდა ხეს გულიდან და სისხლი მოსკდა. შეძრწუნებულნი

იდგნენ მეფის მსახურნი მუხასთან. ერთმა გაბედა მეფის შეჩერება, მაგრამ განრისხებულმა ერისიხთონმა მსახური მოკლა და შესძახა:

— ესეც შენ, საჩუქარი ღმერთების ერთგულებისათვის!

ერისიხთონმა მოჭრა ასწლოვანი მუხა. კვნესის მსგავსი ხმაურით დაეცა იგი დედამიწაზე და მოკვდა მასში მცხოვრები დრიადა. ძაძები ჩაიცვეს დრიადებმა, ქალღმერთ დემეტრეს ეახლნენ და მათი მეგობრის მკვლელის ერისიხთონის მკაცრად დასჯა შესთხოვეს. განრისხდა დემეტრე, მაშინვე აფრინა შიკრიკი შიმშილის ქალღმერთთან. წარგზავნილი დრიადა დაუყოვნებლივ ჩაჯდა დემეტრეს ეტლში, რომელსაც ფრთოსანი გველები მიაქროლებდნენ, სკვითების ქვეყანაში ჩავიდა, კავკასიონის მთების ჩრდილოეთით, ერთ უნაყოფო მთაზე იპოვნა თვალებჩავარდნილი, თმაგაჩეჩილი, სრულიად ჩამომჭკნარი და გაძვალტყავებული შიმშილის ქალღმერთი. შიკრიკმა დემეტრეს სურვილი აუწყა და ქალღმერთიც დაემორჩილა ნაყოფიერების ღვთაების ნებას.

შიმშილის ქალღმერთი ერისიხთონის სასახლეში გამოცხადდა და ერისიხთონს ჩაჰბერა დაუოკებელი შიმშილი, რომელიც მეფეს გულ-მუცელს უწვავდა. რაც მეტს ჭამდა ერისიხთონი, მით უფრო უძლიერდებოდა შიმშილის გრძნობა. მთელი თავისი შეძლება გაფლანგა სხვადასხვა საჭმელების შესაძენად, მაგრამ ამაოდ, რაც არ უნდა ეჭამა, უფრო უძლიერდებოდა დაუოკებელი, მტანჯველი შიმშილი. დაბოლოს, ერისიხთონს ერთი ასულიღა შერჩა. ფული რომ ეშოვნა და უწყალო შიმშილი მოეკლა, მეფემ თავისი ასული მონად გაყიდა. მაგრამ მეფის ქალიშვილმა პოსეიდონისაგან ძღვნად მიიღო სახის შეცვლის უნარი, რომლის წყალობითაც სასურველ სახეს ღებულობდა და ყოველთვის ითავისუფლებდა თავს მყიდველებისაგან ხან ჩიტის, ხან ცხენის, ხან ძროხის სახით. მრავალჯერ გაყიდა თავისი ქალიშვილი ერისიხთონმა, მაგრამ აღებული ფული მაინც არ ჰყოფნიდა. შიმშილი სულ უფრო და უფრო ტანჯავდა, სულ უფრო აუტანელი ხდებოდა მისი ტანჯვა. დაბოლოს, ერისიხთონმა საკუთარი ხორცის კბილებით გლეჯა დაიწყო და საშინელი ტანჯვით დაიღუპა.

ღამე, მთვარე, განთიადი და მზე

ნელა მიჰყვება ცის თაღს შავრაშებშებმული ეტლით ქალღმერთი ღამე—ნიუქტოსი. თავისი შავი რიდე გადაუფარებია დედამიწისათვის. გარშემო ყველაფერი წყვდიადს მოუცავს. ქალღმერთ ღამის ეტლის ირგვლივ ვარსკვლავთა გუნდები შემოჯარულან და დედამიწაზე გზავნიან თავიანთ მოციმციმე შუქს, ეს განთიადის — ეოსისა და ასტრეას ახალგაზრდა ვაჟებია. ისინი ბევრნი

არიან და ღამის ბნელ ცას კიდით კიდემდე ეფინებიან. აი, გამოჩნდა აღმოსავლეთით რაღაც მსუბუქი განთიადის მსგავსი, სულ უფრო და უფრო ნათდება ქვეყანა. ეს ცაზე ამოდის ქალღმერთი მთვარე-სელენე. რქამკვრივი ხარები შეუბამს ეტლში და ტაატით მიჰყვება ცის გუმბათს. მშვიდად, დიდებულად მიემართება ცაზე გრძელსა და ქათქათა სამოსელში გამოწყობილი ქალღმერთი მთვარე, თავსარქმელზე ნამგალა მთვარე აქვს გამოსახული. მშვიდობიანად ანათებს დედამიწას და ვერცხლის სხივებს ჰფენს მძინარე ქვეყნიერებას. ქალღმერთი მთვარე შემოივლის ცას და კარიაში ლატმოსის მთის გამოქვაბულში ჩაეშვება. იქ წევს მარადიულ ბურანში მყოფი მშვენიერი ენდიმიონი. სელენე ამ ჭაბუკზეა შეყვარებული. თავს დახრის, ეალერსება და სასიყვარულო სიტყვებს ეჩურჩულება. მაგრამ არ ესმის მისი ჩურჩული მთვლემარე ენდიმიონს, ამიტომაა ასე ნაღვლიანი სელენე, და მწუხარეა მისი სხივი, ღამით რომ აფრქვევს დედამიწაზე.

განთიადის ქალღმერთი ეოსი მიფრინავს ცისკენ და ნამს აპკურებს დედამიწას (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

სულ უფრო ახლოვდება აისი. ქალღმერთი მთვარე დიდი ხანია ცის გუმბათიდან დაეშვა. ოდნავ ინათა. აღმოსავლეთში უკვე აციმციმდა განთიადის წინამორბედი — ეოსფოროსი, ცისკრის ვარსკვლავი. მსუბუქმა ნიავმა ჩამოიქროლა. სულ უფრო ნათლად აელვარდა აღმოსავლეთი. აი ოქროსთითა ქალღმერთმა განთიადმა — ეოსმა გააღო ჭიშკარი, სადაც მალე გამოჩნდება სხივნათელი ღმერთი მზე — ჰელიოსი. ვარდის ფრთებით შეინავარდებს, თეთრი ზაფრანისფერი სამოსით მორთული, ქალღმერთი განთიადი გაცისკროვნებულ ცაზე, ოქროს ჭურჭლიდან ცვარ-ნამს აპკურებს დედამიწას, და ცვარ-ნამი ალმასივით მოციმციმე წვეთებად დაეფინება ფოთლებს, ბალახს, ყვავილებს. სურნელს აფრქვევს ყოველივე დედამიწაზე, ყველგან საამო სურნელება დგას. გამოღვიძებული დედამიწა სიხარულით ესალმება ამომავალ ღმერთს მზე-ჰელიოსს.

ღმერთ ჰეფესტოს მიერ გამოჭედილი ოქროს ეტლით მობრძანდება ცაზე სხივნათელი ღმერთი, მის ღვთაებრივ ეტლს ოკეანის სანაპიროებიდან ოთხი რაში მოაქროლებს. მთათა მწვერვალებს ეფინება ამომავალი მზის სხივები და თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიათო, ისე აზიდულან ვარდისფერ სივრცეში. ვარსკვლავები ფეხაკრეფით ტოვებენ ცის თაღს მზის ღმერთის დანახვაზე. ერთიმეორის მიყოლებით ეფარებიან ბნელი ღამის წიაღს. სულ უფრო მაღლა იწევს ცის გუმბათზე ჰელიოსის ეტლი. სხივოსანი გვირგვინითა და გრძელი მოელვარე სამოსით მორთული მიემართება ცაზე და დედამიწას აფრქვევს თავის ცხოველმყოფელ სხივებს, — შუქს, სითბოსა და სიცოცხლეს.

თავის გზას რომ გალევს, მზის ღმერთი ოკეანის წმინდა წყალში ეშვება. იქ ელის ოქროს ნავი, რომლითაც მიცურავს უკან აღმოსავლეთისაკენ, მზის სამეფოში, სადაც დგას მისი საარაკო სასახლე. მზის ღმერთი ღამით იქ ისვენებს, რათა უწინდებურად მოელვარე, მეორე დღეს ისევ ამობრწყინდეს.

ფაეთონი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

მხოლოდ ერთხელ დაირღვა ქვეყნად დამკვიდრებული წესი, და აღარ ამობრწყინდა მზის ღმერთი ცაზე, რომ დედამიწა გაენათებინა. ეს მოხდა ასე: მზის ღმერთს ჰელიოსს ზღვის ქალღმერთ თეტიდას ასულის კლიმენესაგან ჰყავდა ვაჟიშვილი, სახელად ფაეთონი. ერთხელ ფაეთონს მისმა ნათესავმა, მეხთამტყორცნელი ზევსის შვილმა ეპაფემ დაცინვით უთხრა:

— არ მჯერა, რომ შენ სხივოსანი ჰელიოსის შვილი ხარ. დედაშენი ტყუის. შენ უბრალო მოკვდავის შვილი ხარ.

განრისხდა ფაეთონი, სირცხვილით სახე აელეწა. დედასთან მიირბინა, გულში ჩაეხუტა და შესჩივლა, შეურაცხყოფა მომაყენესო. მაგრამ დედამ ხელები აღაპყრო და სხივოსან მზეს მიმართა:

— ო, შვილო! გეფიცები ჰელიოსს, რომელიც გვიყურებს და გვისმენს, და შენ თვითონაც ხედავ, რომ ის მამაშენია! დაე, თავისი შუქი მომაკლოს, თუ ვტყუოდე. წადი, თვითონ ეახლე, ჰელიოსის სასახლე აქედან შორს არ არის. თვითონ დაგიდასტურებს ჩემს სიტყვებს.

ფაეთონი მაშინვე გაეშურა თავისი მამის ჰელიოსის სანახავად. სწრაფად მიაღწია მზის სასახლეს, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით რომ ელვარებდა. მთელი სასახლე თითქოს ცისარტყელას შვიდსავე ფერს აფრქვევდა, ისე



მზის ღმერთი ჰელიოსი ეტლით, რომელშიც შებმულია ფრთოსანი რაშები
(ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

საოცრად შეამკო იგი ღმერთმა ჰეფესტომ. ფაეთონი სასახლეში შევიდა და ნახა ტახტზე მჯდომარე ჰელიოსი. მაგრამ ფაეთონი ვერ მიუახლოვდა სხივოსან ღმერთს. მისი თვალები — მოკვდავის თვალები ვერ უძლებდნენ ჰელიოსის გვირგვინის ელვარებას. მზის ღმერთმა ჰელიოსმა შენიშნა შვილი და უთხრა:

— რამ მოგიყვანა ჩემს სასახლეში, შვილო ჩემო?

— ო, ქვეყნიერების მანათობელო, ო, მამა ჰელიოს! შემიძლია კი რომ მამა გიწოდო? — შესძახა ფაეთონმა. — მომეცი დამამტკიცებელი ნიშანი იმისა, რომ ნამდვილად შენი შვილი ვარ. გევედრები, გაფანტე ჩემი ეჭვი.

ჰელიოსმა მოიხსნა სხივოსანი გვირგვინი, მოიხმო ფაეთონი, გადაეხვია და უთხრა:

— დიახ, შენ ჩემი შვილი ხარ. მართალი გითხრა დედაშენმა კლიმენემ. ხოლო დღეიდან რომ აღარ იეჭვიანო, მოხოვე, რაც გნებავს, და გეფიცები წმინდა მდინარე სტიქსის ტალღებს, სურვილს აგისრულებ.

ძლივს მოასწრო ამის თქმა ჰელიოსმა, რომ ფაეთონმა სთხოვა, ნება მომეცი შენთან ერთად გადავსერო ცა შენი ეტლითო. თავზარი დაეცა სხივოსან ღმერთს.

— რასა მთხოვ, უგუნურო! — შესძახა ჰელიოსმა. — ო, რომ შემეძლოს ჩემი ფიცის დარღვევა! შენ შეუძლებელს ითხოვ, ფაეთონ! ეს ხომ შენს ძალ-

ღონეს აღემატება! შენ ხომ მოკვდავი ხარ, და განა ეს მოკვდავთა საქმეა? თვით უკვდავი ღმერთები ვერ ჯდებიან ჩემს ეტლში. თვით დიდი მეხთამტყორცნელი ზევსი ვერ მართავს ჩემს ეტლს. აბა რომელია ზევსზე ძლიერი? აბა დაუფიქრდი: ჯერ გზა ისე ფრიალოა, თვით ჩემს ფრთოსან რაშებს უჭირთ გავლა. შუაგზა დედამიწიდან ისე შორსაა, რომ მეც კი მეუფლება შიში, როდესაც შევცქერი ძირს გადაშლილ ზღვასა და ხმელეთს. ბოლოს კი გზა ისე დამრეცად ეშვება ოკეანის ნაპირისაკენ, რომ ეტლი თავდაყირა გადაეშვება და დაიმსხვრევა, თუ ჩემი გამოცდილი ხელით მართვა მოაკლდა. შენა გგონია, გზაში მრავალ მშვენიერებას ნახავ? არა, მხოლოდ საფრთხეს, საშინელებასა და გარეულ მხეცებს შორის გადის გზა. ვიწროა ეს სავალი, და თუ ოდნავ განზე გადაუხვიე, მრისხანე კუროს რქებზე აეგები, ან კიდევ კენტავრის ისარი, მძვინვარე ღომი, ურჩხულისოდენა ღრიანკელი და კირჩხიბი გემუქრება*. მრავალი საფრთხე შეგხვდება ცაზე. დამიჯერე, არ მინდა გავხდე შენი დაღუპვის მიზეზი. ო, რომ შეგეძლოს თვალი განკვრიტო ჩემი გული, დარწმუნდებოდი, რა შიში მეუფლება შენს გამო? მიმოიხედე გარშემო, შეხედე ქვეყნიერებას, რა ბევრი რამ არის მშვენიერი! მთხოვე ყველაფერი. რაც გინდა, არაფერზე არ გეტყვი უარს, ოღონდ ამას ნუ მთხოვ. შენ ხომ საჩუქარს კი არა საშინელ სასჯელს ითხოვ.

მაგრამ ფაეთონს არაფრის გაგონება არ სურდა. მოეხვია ჰელიოსს და ისევ შესთხოვა თავისი სურვილის შესრულება.

— კარგი, შევასრულებ შენს თხოვნას. ფიქრი ნუ გაქვს, მე ხომ სტიქსის წყალი დავიფიცე. შენ მიიღებ იმას, რასაც მთხოვ, მაგრამ უფრო გონიერი მეგონე, — უპასუხა დანაღვლიანებულმა ჰელიოსმა.

ფაეთონი თავისი ეტლისაკენ წაიყვანა. თვალი მოსტაცა ეტლმა ფაეთონს. ერთიანად ოქროსაგან იყო იგი გამოჭედილი და ძვირფასი თვალებით შემკული თვალის მომჭრელად ციმციმებდა. მოიყვანეს ამბროზიითა და ნექტრით ნაკვები ფრთოსანი რაშები და ეტლში შეაბეს. ვარდისფერთითებიანმა ეოსმა გაუღო მზეს ჭიშკარი. ჰელიოსმა ფაეთონს სახეზე წმინდა მალამო წაუსვა, რომ სხივებს არ დაეწვათ, თავზე კი მოელვარე გვირგვინი დაადგა. ოხვრით აძლევს შეწუხებული ჰელიოსი შვილს უკანასკნელ დარიგებას:

— შვილო ჩემო, დაიხსომე ჩემი უკანასკნელი რჩევა-დარიგება და შეასრულე, თუ შესძლო. ნუ ააჩქარებ რაშებს, მძლავრად გეკაოს სადავე. ძნელია მათი შეკავება. გზას თვითონაც კარგად გაიგნებენ ნაკვალევით, მთელ ცას რომ

---

* კუროს, კენტავრის, ღრიანკელის და კირჩხიბის თანავარსკვლავეღვები.

დემეტრე ტრიპტოლემოსი და პერსეფონე
(ძვ. წ. V საუკ.)

„ფარნეზის ხარი“ (ნეაპოლის მუზეუმი)

მძინარე სატირი

ბერძენთა ბრძოლა ამორძალებთან
(ჰალიკარნასის მაგზოლეუმის რელიეფი)

გასდევს. ნუ აიწევ მეტისმეტად მაღლა, რომ ცა არ დასწვა, მაგრამ ნურც ძირს დაეშვები, რომ დედამიწა არ გაირუჯოს. გასსოვდეს, ნურც მარჯვნივ გადაუხვევ, ნურც მარცხნივ. შენი გზა სწორედ სამსხვერპლოსა და ეველის თანავარსკვლავედებს შორის გადის. ყოველივე დანარჩენს ვანდობ ბედს, მხოლოდ მისი იმედი მაქვს. მაგრამ დროა, ღამემ უკვე მიატოვა ცა. ამოვიდა ვარდისფერთითებიანი ეოსი. მაგრად მოჰკიდე ხელი სადავეებს. მაგრამ იქნებ კიდევ წაცვალო განზრახვა — რადგან დაღუპვას გიქადის! ო, მაცალე, თვითონ გავანათო დედამიწა! ნუ იღუპავ თავს!

მაგრამ ფაეთონი სწრაფად ახტა ეტლში და ხელი ჩასჭიდა სადავეებს. უხარია, ზეიმობს, მადლობას სწირავს თავის მამა ჰელიოსს და ჩქარობს გზაზე გასვლას. რაშები ფლოქვებსა სცემენ, ცეცხლს აფრქვევენ ნესტოებიდან, მსუბუქად გაიტაცეს ეტლი და დანისლულ გზაზე შეჰყვნენ ფრიალო აღმართს ცის გუმბათისაკენ. უჩვეულოდ ემსუბუქათ რაშებს ეტლი. აი, უკვე აიჭრნენ ცაში, გადაუხვიეს ჰელიოსის ჩვეული გზიდან და უგზო-უკვლოდ მიჰქრიან. ფაეთონმა კი არ იცის, სადაა გზა, არ შეუძლია ღვთაებრივი ეტლის მართვა, არ ემორჩილებიან რაშები. ცის ტატნობიდან დედამიწას გადმოჰხედა და შიშისაგან ფერი ეცვალა, ისე შორს მოეჩვენა. მუხლები აუცახცახდა, თვალებში ბინდი ჩაუდგა. უკვე ნანობს, რომ მამას ეტლი გამოსთხოვა. რა ქნას? ძალზე დიდი გზა გაიარა, მაგრამ წინ კიდევ მეტი დარჩა გასაველელი. აღარ შესწევს რაშების მართვის ღონე ფაეთონს, არ იცის მათი სახელები, და მკლავში ძალა არ ჰყოფნის, რომ შეაჩეროს. გარშემო ცის საზარელ მხეცებს ხედავს და შიში ემატება.

ერთ ადგილას, ცის გუმბათზე, ფართოდ გაფარჩხულა საზარელი მორიელი, — სწორედ იქით მიაქროლებენ ფაეთონის ეტლს რაშები. შეხედა უბედურმა ჭაბუკმა მუქი შხამით დაფარულ ღრიანკელს, მომაკვდინებელი ნესტარით რომ ემუქრებოდა, და შიშისაგან გაოგნებულმა სადავეები მიუშვა. რაშებმა თავისუფლება იგრძნეს და კიდევ უფრო გაშმაგებით დაჰკრეს ტორები. ხან ვარსკვლავეთში იჭრებიან, ხან დაბლა ეშვებიან და თითქმის ზედ მიწის პირზე მიჰქრიან. ჰელიოსის და, მთვარის ქალღმერთი სელენე განცვიფრებული შესცქერის, როგორ უგზოუკვლოდ, უპატრონოდ, სადავემიშვებულნი მიჰქრიან მისი ძმის რაშები ცის თაღზე. დაბლა დაშვებული ეტლის ალი მიწას ედება. იწვიან დიდი, მდიდარი ქალაქები, იღუპებიან მთელი ტომები. ცეცხლი ედება მცენარეებით დაფარულ მთებს: ორთავიანი პარნასი, ჩრდილიანი კითერონი, მწვანე ჰელიკონი, კავკასიონის მთები, ტმოლი, იდა, პელიონი, ოსა. მიდამოს კვამლი ფარავს. ჩამოწოლილ ხშირ კვამლში ფაეთონი ველარ ხედავს, საით მიდის. წყაროებსა და მდინარეებში წყალი დუღს. ნიმფები ტირიან და ღრმა გამოქვაბუ-

ლებში იმალებიან. ადუღებულან ევფრატი, ორონტი, ალფეოსი, ევროტასი და სხვა მდინარეები. მხურვალებისაგან დამსკდარა დედამიწა, და მზის ნათელი იჭრება ჰადესის პირქუშ სამეფოში. ზღვები შრებიან, სიცხისაგან იტანჯებიან ზღვის ღვთაებანი. მაშინ აღიმართა დიდი ქალღმერთი გეა — მიწა და ხმამაღლა შესძახა:

— ო, ღმერთთა შორის უდიდესო, ზევსო-მეხთამტყორცნელო! ნუთუ უნდა დავიღუპო, ნუთუ უნდა დაიღუპოს შენი ძმის პოსეიდონის სამეფო, ნუთუ უნდა დაიღუპოს ყოველი ცოცხალი არსება? შეხედე! ატლანტი ძლივსღა აკავებს ცის სიმძიმეს. ასე ხომ სასახლეები და თვითონ ცა შეირყევა და ჩამოიქცევა! ნუთუ ყველაფერი პირველყოფილ ქაოსს დაუბრუნდება? ო, იხსენ დაღუპვისაგან ყოველივე, რაც ჯერ კიდევ გადარჩა!

ზევსმა ისმინა ქალღმერთ გეას ვედრება, მრისხანედ მოიქნია მარჯვენა. სტყორცნა თავისი მოციმციმე ელვის ენა და ჩააქრო ხანძარი. ზევსმა მეხით დაამსხვრია ეტლი. რაშები გაიფანტნენ. მთელ ცაზე მიმოიფანტა ჰელიოსის დამწვარი ეტლის ნამსხვრევები და მორთულობა.

ფაეთონი კი, ალმოდებული კულულებით, ვარდნილი ვარსკვლავის მსგავსად, ჰაერში გაფრინდა და თავის სამშობლოდან დაშორებით მდინარე ერიდანის ტალღებში ჩავარდა. იქ მისი სხეული ჰესპერიელმა ნიმფებმა მიწას მიაბარეს. ღრმად დამწუხრებულმა მამა ჰელიოსმა დაიფარა პირისახე და მთელი დღე არ გამოჩენილა ლურჯ ცაზე, — მხოლოდ ხანძრის ალი ანათებდა დედამიწას.

დიდხანს ეძებდა ფაეთონის უბედური დედა კლიმენე თავისი დაღუპული შვილის ნეშთს, ბოლოს ერიდანის სანაპიროზე შვილის გვამის ნაცვლად სამარხი იპოვნა. დიდხანს დასტიროდა უნუგეშო დედა შვილის სამარეს, მასთან ერთად დასტიროდნენ დაღუპულ ძმას ფაეთონის დები, ჰელიადები. უსაზღვრო იყო მათი მწუხარება. მოტირალი ჰელიადები ღმერთებმა ალვებად აქციეს. დგანან ალვები-ჰელიადები, ერიდანის პირას დახრილნი და მათი ცრემლი — ფისი წყალში ცვივა. ფისი ციდება და გამჭვირვალე ქარვად იქცევა.

ფაეთონის დაღუპვას დარდობდა მისი მეგობარი კიკნოსიც. მისი მოთქმა შორს გაისმოდა ერიდანის სანაპიროებზე. კიკნოსის უნუგეშო კაეშანი რომ ნახეს ღმერთებმა იგი თეთრ გედად აქციეს. მას შემდეგ გედი-კიკნოსი ცხოვრობს წყალზე, მდინარეებსა და განიერ, მოელვარე ტბებში; საშინლად ეშინია ხანძრისა, რომელმაც მისი მეგობარი ფაეთონი დაღუპა.

ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲔ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ

მეხთამტყორცნელ ზევსს უყვარდა მშვენიერი სემელე, თებეს მეფე-კადმოსის ქალიშვილი. ერთხელ დაჰპირდა, რაც არ უნდა მთხოვო ყველაფერს შეგისრულებო, და ღმერთების წმინდა საფიცარი — მიწისქვეშა მდინარე სტიქსი დაიფიცა. დიდმა ქალღმერთმა ჰერამ შეიძულა სემელე და მისი დაღუპვა განიზრახა. გამოეცხადა სემელეს და შთააგონა:

— სთხოვე ზევსს, გამოგეცხადოს მთელი თავისი სიდიადით, როგორც ღმერთი-მეხთამტყორცნელი, ოლიმპოს მბრძანებელი. თუ მართლა უყვარხარ, ამ თხოვნის შესრულებაზე უარს არ გეტყვისო.

ჰერამ დაარწმუნა სემელე, და მან სთხოვა ზევსს, მაინცა და მაინც ეს სურვილი შემისრულეო. ზევსს არ შეეძლო უარის თქმა, რაკი სტიქისის წყალი დაიფიცა. მეხთამტყორცნელი ქალს გამოეცხადა ღმერთებისა და ადამიანების მეფის მთელი სიდიადით, მთელი თავისი მიუწვდომელი ელვარებით. ელვის ენები ციმციმებდნენ ზევსის ხელებში. მეხის ქუხილი არყევდა კადმოსის სასახლეს. ყველაფერს ცეცხლი მოედო ზევსის ელვის ისრებისაგან.

იწვოდა სასახლე, ყოველივე ირყეოდა და ინგრეოდა. შეძრწუნებული სემელე დედამიწაზე დაეცა, ცეცხლი წვავდა ქალს. ხედავდა, არსაით იყო ხსნა, — ჰერას მიერ შთაგონებულმა მისივე თხოვნამ დაღუპა. მომაკვდავ სემელეს ეყოლა დიონისე, სუსტი, უდღეური ყრმა. ისიც დედასავით განწირული ჩანდა ცეცხლში დასაღუპავად. მაგრამ განა შეიძლებოდა დაღუპულიყო დიდი ზევსის შვილი? თითქოს ჯადოსნური კვერთხი შეირხაო და მიწიდან ყოველ მხარეს წამოიზარდა ხშირი მწვანე სურო, თავისი ფოთლებით დაფარა უბედური ყმაწვილი და იხსნა სიკვდილისაგან.

ზევსმა ხელში აიყვანა გადარჩენილი ყრმა, და რაკი ისე პატარა და სუსტი იყო, რომ ვერ იცოცხლებდა, ბარძაყში ჩაისვა. თავისი მამის სხეულში დიონისე გამაგრდა და შემდეგ მეორედ დაიბადა მეხთამტყორცნელი ზევსის ბარძაყიდან. მაშინ ღმერთებისა და ადამიანების მეფემ იხმო ღმერთების ფეხმარდი შიკრიკი ჰერმესი და უბრძანა დიონისე საჩქაროდ მიეყვანა სემელეს დასთან ინოსთან და მის ქმარ ათამანტთან, ქალაქ ორქომენის მეფესთან. დიონისე მათ უნდა გაეზარდათ.

ქალღმერთი ჰერა ახლა ინოსა და ათამანტზე განრისხდა, რომ მისთვის საძულველ სემელეს ვაჟი გასაზრდელად აიყვანეს, და მათი დასჯა განიზრახა. ათამანტს სიშლეგე მოუვლინა. გონებადაკარგულმა მეფემ მოკლა თავისი ვაჟი

ლეარქე. ინომ ძლივს მოასწრო გაქცევა და მეორე ვაჟის მელიკერტეს გადარჩენა. ქმარი დაედევნა და საცაა დაეწეოდა, წინ ზღვის კლდოვანი, ფრიალო სანაპირო იყო, ძირს ზღვა ხმაურობდა, უკან კი გაშმაგებული ქმარი მოსდევდა — ხსნა არსით ჩანდა. სასოწარკვეთილი ინო შვილიანად სანაპირო კლდიდან გადაეშვა. ინო და მელეკერტე ზღვაში ნერეიდებმა მიიღეს. დიონისეს გამზრდელი და მისი შვილი ზღვის ღვთაებებად აქციეს და იმ დღიდან ზღვის სიღრმეში ცხოვრობენ.

დიონისე კი შეშლილ ათამანტისაგან ჰერმესმა იხსნა, თვალის დახამხამებაში გადაიყვანა ნისოს ველზე და იქ ნიმფებს ჩააბარა გასაზრდელად. დიონისე გაიზარდა, გახდა ღვინის მშვენიერი და ძლიერი ღმერთი, ადამიანებისათვის ძალისა და სიხარულის მომნიჭებელი ნაყოფიერების ღმერთი. მადლობის ნიშნად დიონისეს აღმზრდელი ნიმფები ზეცამ ცაში აიყვანა, და ისინი ჰაიდების სახელწოდებით სხვა ვარსკვლავთა შორის ბნელ ღამეში ცაზე ციმციმებენ.

ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲐᲚᲐ

გვირგვინებით შემკულ მენადებისა და სატირების დასის თანხლებით დადის დიონისე მთელს დედამიწაზე, კიდით კიდემდე. წინ მიუძღვის ამალას, თავზე ვაზის გვირგვინი ადგას, ხელში სუროთი დამშვენებული ტირსი უპყრია. გარშემო ცეკვითა და სიმღერით გარს უვლიან ახალგაზრდა მენადები. დახტიან ღვინით შეზარხოშებული მოუხეშავი სატირები, რომელთაც თხის ფეხები და კუდები აქვთ. უკან მოჰყავთ სახედარზე შემჯდარი მოხუცი სილენოსი, დიონისეს ბრძენი მასწავლებელი. ბერიკაცი ძლიერ დამთვრალა, ძლივს იმაგრებს თავს სახედარზე და ღვინით სავსე ტიკს ეყრდნობა. სუროს გვირგვინი მელოტი თავიდან დაცურებია. რწევით მიდის და კეთილი სახე უღიმის. ახალგაზრდა სატირები მიჰყვებიან ფრთხილად მიმავალ სახედარს ორსავე მხრიდან და ზრუნვით აშველებენ ხელს ბერიკაცს, რომ არ გადმოვარდეს. სალამურების, ფლეიტებისა და ბობღანთა ხმაზე მიიწევს წინ ეს მხიარული გუნდი, მიჰყვება მთებსა და ხევებს, ქოჩორა ტყეებსა და მწვანე კორდებს. მხიარულად მიდის დედამიწაზე დიონისე-ბაკხუსი, ყველას უმორჩილებს თავის ძალაუფლებას, ასწავლის ადამიანებს ყურძნის მოყვანას და მძიმე მწიფე მტევნებისაგან ღვინის დაწურვას.

ᲠᲘᲙᲣᲠᲒᲝ

ყველგან როდი ცნობენ დიონისეს ძალაუფლებას. ხშირად ხვდება ღვინის ღმერთი წინააღმდეგობას, ხშირად უხდება ქვეყნებისა და ქალაქების ბრძოლით დამორჩილება. მაგრამ ვინ გაუსწორებს მხარს დიდ ღმერთს, ზევსის შვილს?

სასტიკად სჯის ყველას, ვინც წინააღმდეგობის გაწევას გაუბედავს, ვინც არ ცნობს და არ აღიარებს ღმერთად. პირველად თრაკიაში განიცადა დევნა დიონისემ. ეს ბაშინ, როდესაც ხეობის ჩრდილში თავის თანამგზავრ მენადებთან ერთად დროს ატარებდა, ქეიფობდა და ცეკვავდა მუსიკისა და სიმღერის ხმაზე. ამ დროს დაესხა თავს ედონთა მრისხანე მეფე ლიკურგე. თავზარდაცემულმა მენადებმა დაყარეს დიონისეს წმინდა ჭურჭელი და გაქცევით უშველეს თავს. თვით დიონისესაც კი მოუხდა გაქცევა. ლიკურგესაგან თავი რომ დაეხსნა, ზღვაში გადაეშვა. იქ ქალღმერთმა თეტიდამ შეიფარა. დიონისეს მამა, მეხთამტყორცნელმა ზევსმა სასტიკად დასაჯა ლიკურგე, რომელმაც გაბედა ახალგაზრდა ღმერთის შეურაცხყოფა: ზევსმა ლიკურგე დააბრმავა და სიცოცხლის დღეები შეუმოკლა.

მინიასის ქალიშვილები

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

არც ორქომენეში, ბეოტიაში უნდოდათ დიონისეს ცნობა. როცა ორქომენეში დიონისე-ბაკხუსის ქურუმი გამოცხადდა და ყველა ქალსა და ქალიშვილს მთებსა და ტყეებში უხმო ღმერთ დიონისეს საპატივცემოდ გამართულ მხიარულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, მეფე მინიასის სამი ქალიშვილი ზეიმზე არ გამოცხადდა — არ ისურვეს დიონისეს ღმერთად ცნობა. ქალაქში მცხოვრები ყველა სხვა ქალი წავიდა ორქომენედან ჩრდილიან ტყეებში და იქ ცეკვა-სიმღერით მიეგება დიდ ღმერთს დიონისეს.

ისინი სუროთი მორთულნი, ტირსებით ხელში, მენადების მსგავსად, ხმამაღალი ძახილით მოედნენ მთებს და ადიდებდნენ დიონისეს. ორქომენეს მეფის ასულები კი დამშვიდებით ისხდნენ შინ, ქსოვდნენ და რთავდნენ; ღმერთ დიონისეს სახელის გაგონებაც კი არ სურდათ. დადგა საღამო, ჩაესვენა მზე, მეფის ასულებმა კი მაინც განაგრძეს ხელსაქმე, უნდოდათ რაც შეიძლება მალე დაემთავრებინათ იგი. უეცრად მათ თვალწინ სასწაული მოხდა: სასახლეში ბობღანთა და ფლეიტების ხმა გაისმა, ნართავის ძაფები ყურძნის ლვრწებად იქცნენ და ზედ მძიმე მტევნები დაეკიდათ. საქსოვი დაზგები ამწვანდნენ, ხშირფოთლებიანი სურო დაეხვია დაზგებს. ყველგან მირტის ფოთლებისა და ყვავილთა სურნელება მოეფინა. განცვიფრებული მეფის ასულნი სასწაულს შესცქეროდნენ და თვალებს არ უჯერებდნენ. ანაზდად ბინდში ჩაკარგული სასახლის ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩირაღდნების ავბედითი შუქი აელვარდა. გაისმა გარეულ ნადირთა ღრიალი. სასახლეში გამოჩნდნენ ლომები, ავაზები, ფოცხვრები და დათვები. მრისხანე ღმუილით დარბოდნენ სასახლეში და გამძვინვარებით

აბრიალებდნენ თვალებს. მეფის შეძრწუნებული ასულები ცდილობდნენ სასახლის უშორეს, უბნელეს კუთხეებში დამალვას, რომ არ ენახათ ჩირაღდნები და არ ესმინათ მხეცთა ღმუილი. მაგრამ ამაოდ, ვეღარსად ვერ აფარებდნენ თავს. ღმერთ .დიონისეს სასჯელი არც ამით ამოწურულა. მეფის ასულებს სხეული დაუვიწროვდათ, თანდათან დაიფარნენ თაგვის ბეწვით, ხელების ნაცვლად სიფრიფანა აპკის ფრთები გამოესხათ და სამივე ქალიშვილი ღამურად იქცა. იმ დროიდან ემალებიან ღამურები დღის სინათლეს, ბნელსა და ნესტიან ნაპრალებსა და მღვიმეებში აფარებენ თავს. ასე დასაჯა მეფის ასულნი დიონისემ.

ᲢᲘᲠᲔᲜᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲔᲜᲘ

ᲰᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲡ ᲰᲘᲛᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲕᲘᲓᲘᲣᲡᲘᲡ „ᲛᲔᲢᲐᲛᲝᲠᲤᲝᲖᲔᲑᲘᲡ" ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

დიონისემ ტირენიის ზღვის მეკობრენიც დასაჯა, მაგრამ არა იმდენად იმისთვის, რომ ღმერთად არ ცნობდნენ, რამდენადაც იმ ბოროტებისათვის, რომელიც უნდოდათ მისთვის მიეყენებინათ, როგორც უბრალო მოკვდავისათვის.

ერთხელ ახალგაზრდა დიონისე ლურჯი ზღვის სანაპიროზე იდგა, ზღვის ნიავი ეალერსებოდა მის მუქ კულულებს და ოდნავ შესამჩნევად არხევდა პორფირისფერი მოსასხამის კალთებს, ახალგაზრდა ღმერთის მოხდენილი მხრებიდან რომ ეშვებოდა. შორს ზღვაში გემი გამოჩნდა და სწრაფად მიუახლოვდა ნაპირს. .როცა გემი უკვე ახლოს იყო, მეზღვაურებმა — ესენი იყვნენ ტირენიის ზღვის მეკობრეები — დაინახეს ზღვის უდაბურ სანაპიროზე სახემშვენიერი ჭაბუკი დგას. ერთმანეთს თვალით ანიშნეს, სწრაფად მიადგნენ ნაპირს, გადავიდნენ ნაპირზე, სტაცეს ხელი დიონისეს და გემზე აიყვანეს. ავაზაკებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ღმერთი შეიპყრეს. ზვიმობდნენ, რომ ასეთი მდიდარი ნადავლი იგდეს ხელთ. დარწმუნებული იყვნენ, ბევრ ოქროს აიღებდნენ, ასეთი მშვენიერი ჭაბუკის მონად გაყიდვის შემდეგ. ხომალდზე ასვლისთანავე მათ დიონისეს ჯაჭვით დაბმა მოინდომეს, მაგრამ მძიმე ჯაჭვი ჭაბუკის ხელ-ფეხზე არ ჩერდებოდა. ის კი იჯდა და მშვიდი ღიმილით შესცქეროდა ყაჩაღებს. როცა მესაჭემ შენიშნა რომ ახალგაზრდის ხელებზე ჯაჭვი არ მაგრდება, შეშინებულმა თავის ამხანაგებს მიმართა:

— ბედშავნო! რას ვაკეთებთ? ღმერთის შებორკვა ხომ არ მოგვიწადინებია? შეხედეთ — ჩვენი გემიც კი ძლივს აკავებს მას! თვითონ ზევსი ხომ არ არის ეს ჭაბუკი? ან იქნებ ვერცხლისმშვილდა აპოლონია, ან კიდევ მიწისმრყეველი პოსეიდონი? არა, მოკვდავთაგანი არ უნდა იყოს! ეს ერთ-ერთი ღმერთ-

თაგანია, ნათელ ოლიმპოზე მცხოვრები. ჩქარა გაათავისუფლეთ, გაუშვით ხმელეთზე. ვაი თუ შმაგი ქარი გამოიწვიოს და ზღვაზე მრისხანე ქარტეხილი ავარდეს!

მაგრამ კაპიტანმა ბოროტად მიუგო ბრძენ მესაჭეს:

— საძაგელო! ნახე, ზურგქარია! ჩვენი გემი სწრაფად გადასერავს უნაპირო ზღვის ტალღებს. ჭაბუკზე კი მოგვიანებით ვიზრუნებთ. ჩვენ ეგვიპტეში, კვიპროსში, ან ჰიპერბორეელთა შორეულ ქვეყანაში ჩავალთ და იქ გავყიდით. იქ ეძიოს ყმაწვილმა თავისი ძმები და მეგობრები. არა, მისი თავი ღმერთებმა გამოგვიგზავნეს! მეკობრეებმა მშვიდად აუშვეს იალქნები და გემი გაშლილ ზღვაში გავიდა. უეცრად მოხდა სასწაული: გემზე შადრევნებად მოსკდა ბადაგივით ტკბილი ღვინო და ჰაერი საამო სურნელებით გაივსო. ავაზაკები გაოცებისაგან გაქვავდნენ. მაგრამ აი, იალქნებზე ვაზები ამწვანდნენ და ზედ მძიმე მტევნები დაეკიდნენ. მუქიმწვანე სურო დაეხვია ანძას. ხეხილმა ყველგან მშვენიერი ნაყოფი მოისხა. ნიჩბის პალოებს ყვავილთა წნულები დაეხვია. როცა მეკობრეებმა ასეთი სასწაული იხილეს, ბრძენ მესაჭეს დაუწყეს ვედრება, სასწრაფოდ ნაპირს მიაშურეო. მაგრამ გვიანღა იყო! ჭაბუკი ლომად იქცა და მრისხანე ღმუილით და ცეცხლოვან თვალთა ბრიალით შედგა გემბანზე. გემბანზე ბანჯგვლიანი ძუ დათვი გამოჩნდა, საშინლად დაკრიჭა კბილები. შეძრწუნებული მეკობრეები კიჩოს მიაწყდნენ და მესაჭის გარშემო შეჯგუფდნენ: იქნებ ღვთისმოსავმა თანამგზავრმა გვიშველოსო. საშინელი ნახტომით მივარდა ლომი კაპიტანს და ნაფლეთებად აქცია. ხსნის იმედი რომ დაკარგეს, მეკობრეები ერთიმეორის მიყოლებით ზღვაში გადაეშვნენ, დიონისემ ყველანი დელფინებად აქცია. მესაჭე კი შეიწყალა; თავისი უწინდელი სახე მიიღო და ღიმილით უთხრა:

— ნუ გეშინია! უკვე შემიყვარდი. მე ვარ დიონისე, მეხთამტყორცნელი ზევსისა და კადმოსის ქალიშვილის სემელეს ვაჟი!

ᲘᲙᲐᲠᲘᲝᲡᲘ

დიონისე ასაჩუქრებს იმ ადამიანებს, რომლებიც თაყვანს სცემენ მას, როგორც ღმერთს. ასე დაასაჩუქრა ატიკაში იკარიოსიც, კარგი სტუმართმოყვარეობისათვის. დიონისემ იკარიოსს ყურძნის ლერწი აჩუქა, და ის იყო პირველი, ვინც ატიკაში ვენახი გააშენა. მაგრამ სავალალო აღმოჩნდა იკარიოსის ხვედრი.

ერთხელ იკარიოსი მწყემსებს ღვინით გაუმასპინძლდა, მათ არ იცოდნენ სიმთვრალე და ეგონათ მოიწამლენ, მოკლეს უდანაშაულო კაცი და მთებში

დამარხეს. დიდხანს ეძებდა მამას მისი ქალიშვილი ერიგონე, ბოლოს თავისი ძაღლის მაირას დახმარებით იპოვა მამის სამარხი. სასოწარკვეთილმა ერიგონემ თავი ჩამოიხრჩო იმ ხეზე, რომლის ქვეშაც მამამისი იყო დამარხული. დიონისემ იკარიოსი, ერიგონე და მისი ძაღლი მაირა ცაზე წაიყვანა. მას შემდეგ, მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავთა შორის მუდამ ციმციმებენ მამა-შვილი და მათი ძაღლი — ესაა მენახირის, ქალწულისა და მეძებარი ძაღლების თანავარსკვლავედები.

მიდასი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების" მიხედვით

ერთხელ მხიარული დიონისე მენადებისა და სატირების აურზაურიანი დასის თანხლებით ფრიგიაში, ტმოლის ტყიან კლდეებზე დაეხეტებოდა. დიონისეს ამალას მხოლოდ მოხუცი სილენოსი აკლდა. ჩამორჩა და ძლიერ შეზარხოშებული კოჭლობითა და ბორძიკით მოჩანჩალებდა ფრიგიის ველებზე. გლეხებმა დაინახეს, ყვავილწნულებით შეკრეს და მეფე მიდასს მიჰგვარეს. მიდასმა მაშინვე იცნო დიონისეს მასწავლებელი, პატივით მიიღო თავის სასახლეში და დიდებული ნადიმი გაუმართა, რაც ცხრა დღე გრძელდებოდა. მეათე დღეს მიდასმა თვითონ მიუყვანა დიონისეს სილენოსი. გაუხარდა დიონისეს სილენისის ნახვა და თავისი მასწავლებელის ასეთი პატივისცემისათვის ნება მისცა მიდასს აერჩია საჩუქრად რასაც ინებებდა. მაშინ მიდასმა შესძახა:

— ო, დიდო ღმერთო დიონისე, ბრძანე, რომ ყველაფერი, რასაც ხელით შეეხები, ოქროდ იქცეს!

დიონისემ მიდასს სურვილი შეუსრულა, მხოლოდ სინანული გამოთქვა, რომ მეფემ უკეთესი საჩუქარი ვერ სთხოვა.

ზეიმით წავიდა მიდასი. მიღებული საჩუქრით აღფრთოვანებული მუხას წაეტანა და ტოტი მოსტეხა. ტოტი მეფის ხელში ოქროდ იქცა. წაეტანა ყანაში თავთავს—იმავ წამს თავთავიც ოქროდ იქცა, მარცვლების ნაცვლად ბაჯაღლო ოქრო დასცვივდა ხელზე. ვაშლი მოსწყვიტა — ხელში ოქროს ვაშლი შერჩა, თითქოს ჰესპერიდების ბაღიდან მოეტანათ. ყველაფერი, რასაც მიდასი ხელს შეახებდა, მყისვე ოქროდ იქცეოდა. ხელს რომ იბანდა, წყალი ოქროს წვეთებად იღვრებოდა. ზეიმობდა მიდასი. აი, მივიდა თავის სასახლეში. მსახურებმა მდიდრული სუფრა გაუშალეს, და ბედნიერი მიდასი სუფრას მიუჯდა. აქ კი მიხვდა, რა საშინელი საჩუქარიც გამოსთხოვა დიონისეს. ერთი შეხებით ყველაფერი ოქროდ იქცეოდა. ვიდრე პირთან მიიტანდა, ოქროდ იქცეოდა პური,

ღვინო, ყოველნაირი საჭმელი. მაშინ კი მიხვდა მიდასი, რომ შიმშილისაგან დაიღუპებოდა. ხელები ცისკენ აღაპყრო და შესძახა:

— შემიწყალე, შემიწყალე, დიონისე! მაპატიე! წყალობას ვითხოვ! უკან წაიღე შენი საჩუქარი!

დიონისე მიდასს გამოეცხადა და უთხრა:

— მდინარე პაქტოლის სანაპიროზე წადი, მის წყლებში განიბანე ეგ ხელებიც და შენი დანაშაულიც.

მიდასი დიონისეს ბრძანებას დაემორჩილა, პაქტოლის ნაპირისაკენ გაეშურა, მის სუფთა წყალში ჩაეშვა. ოქროს ტალღებად გადაევლო პაქტოლის წყალი ტანზე მიდასს და გადარეცხა დიონისეს საჩუქარი. მას შემდეგ მიჰყვება ოქროს ქვიშა პაქტოლის ზვირთებს.

პანი

დიონისეს ამალაში ხშირად ნახავდით ღმერთ პანს. როცა დიადი პანი დაიბადა, დედამისმა, ნიმფა დრიოპემ შვილს შეხედა და თავზარდაცემული გაიქცა. ახალშობილს თხის რქები, ფეხები და გრძელი ცანცარა წვერი ჰქონდა. მაგრამ მამამისი ჰერმესი გახარებული შეხვდა შვილის დაბადებას, ხელში აიყვანა და ნათელ ოლიმპოზე ღმერთებს მიჰგვარა. ყველა ღმერთი ხმამაღლა გამოხატავდა სიხარულს პანის დაბადების გამო, შესცქეროდნენ მას და სიცილს ვერ იკავებდნენ.

ღმერთი პანი არ დარჩა ოლიმპოს ღმერთებთან. მან მთების დაბურულ ტყეებს მიაშურა; იქ მწყემსავს ჯოგებს, თან ხმატკბილ სალამურს აკვნესებს. როგორც კი პანის სალამურის ხმას გაიგონებენ, მოხიბლული ნიმფები აჩქარებული გამორბიან, გარს ეხვევიან, და მალე მხიარული გუნდი ფერხულს უვლის ხოლმე განმარტოებულ ხეობაში, ნიმფები პანის მუსიკის ხმას აყოლებენ ფეხს. პანს თვითონაც უყვარს ნიმფების ცეკვაში მონაწილეობის მიღება. როცა მოილხენს, მხიარული ხმაური ატყდება ხოლმე მთის ფერდობებზე. უდარდელად ანცობენ ნიმფები და სატირები რრხროხა თხისფეხა პანთან ერთად. როცა ცხელი შუადღე დგება, პანი ხშირი ტყის სიღრმეში ან გრილ მღვიმეში იმალება და იქ ისვენებს. საშიშია ამ დროს პანის შეწუხება. ფიცხია მაშინ პანი, განრისხებულს შეუძლია მძიმე მხუთავი ძილი მოუვლინოს ან მოულოდნელი გამოჩენით თავზარი დასცეს აბეზარა მგზავრს. დაბოლოს, შეუძლია ადამიანს დაატეხოს პანიკური შიში, ისეთი შიში, რომ ადამიანი კისრისტეხვით გაიქცეს, უგზოუკვლოდ, ტყესა და ღრეში, მთებში და უფსკრულებში, ვერც კი მოისაზროს,



ჯოგისა და მწყემსების მფარველი ღმერთი პანი.

რომ ასეთი სირბილი ყოველ წამს დაღუპვას უქადის. ერთხელ პანმა ასეთი შიში მთელს ჯარს დაატეხა და ლაშქარი შეუჩერებლად გაიქცა. არ შეიძლება პანის გაბრაზება, რადგან განრისხებისას ერთობ სასტიკია, მაგრამ თუ არ ჯავრობს, გულკეთილია და მოწყალე. ბევრი სიკეთე ახსოვთ მისგან მწყემსებს. დიდი პანი, შმაგი მენადების ცეკვა-სიმღერის მხიარული მონაწილე, ღვინის ღმერთის დიონისეს ხშირი თანამგზავრი, იცავს და უვლის ბერძენთა საქონლის ჯოგებს.

პანი და სირინქსი

არც დიდ პანს ასცდა ოქროსფრთიანი ეროსის ისარი — შეუყვარდა მშვენიერი ნიმფა სირინქსი. ამაყი ნიმფა ყველას სიყვარულს უარყოფდა. ლეტოს ასულის, დიდ არტემიდეს მსგავსად, მისი საყვარელი საქმეც ნადირობა იყო. ზოგჯერ არტემიდეც კი ეგონათ, ისე მშვენიერი იყო ახალგაზრდა ნიმფა, მოკლე სამოსში გამოწყობილი, გვერდზე კაპარჭითა და ხელში მშვილდით. ორი წვეთი წყალივით ჰგავდა ამ დროს არტემიდეს, მხოლოდ მისი მშვილდი იყო რქისა და არა ოქროსი, როგორც დიდი ქალღმერთისა.

ერთხელ პანმა თვალი მოჰკრა სირინქსს და მასთან ახლო მისვლა მოიწადინა. ნიმფამ პანს შეხედა და თავზარდაცემული გაიქცა. ძლივს ეწეოდა პანი, ხელის წავლებას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. საით უნდა გაქცეულიყო ნიმფა? მდინარისაკენ გაიშვირა ორივე ხელი და მდინარეთა ღმერთს შესთხოვა დახმარება. ღმერთმა უსმინა ნიმფას და ლერწმად აქცია. მოირბინა პანმა, უნდოდა გადაჰხვეოდა სირინქსს, მაგრამ მხოლოდ მოქნილი, მოშრიალე ლერწამი შერჩა. დგას პანი, ნაღვლიანად ოხრავს და ლერწმის ნაზ შრიალთან ერთად ჩაესმის მშვენიერი სირინქსის გამოსამშვიდობებელი სალამი. პანმა რამდენიმე ლერწამი მოსჭრა და გააკეთა ტკბილხმოვანი სალამური, უსწორმასწორო რგოლები ცვილით დაამაგრა. ნიმფის პატივსაცემად პანმა სალამურს სირინქსა უწოდა. მას შემდეგ დიდ პანს უყვარს მიყრუებულ ტყეში სალამურ-სირინქსის დაკვრა და მისი ნაზი ხმით მახლობელი მთების გამოცოცხლება.

პანისა და აპოლონის პაექრობა

პანი ამაყობდა სალამურზე დაკვრით. ერთხელ პაექრობაში ოვით აპოლონი გამოიწვია. ეს მოხდა ტმოლის მთის ფერდობზე. მსაჯული ამ მთის ღვთაება იყო. მობრძანდა ღმერთი აპოლონი. პორფირისფერი მოსასხამი ამშვენებდა,

თავზე დაფნის გვრიგვინი ედგა და ხელში ოქროს კითარა ეკავა. დაკვრა პანმა დაიწყო. გაისმა მისი მწყემსური სალამურის უბრალო ჰანგები, ნაზად მოეფინა მთებს სალამურის ხმა. პანმა დაასრულა. როცა სალამურის ხმის გამოძახილი მიწყდა, აპოლონმა გაჰკრა თითები თავისი კითარის სიმებს. გაისმა ღვთაებრივი მუსიკის დიდებული ხმები. ყველა ირგვლივ მყოფი მოჯადოებული უსმენდა აპოლონის მუსიკას. ზეიმით ეღერდა ოქროს კითარის სიმთა ხმა, მთელი ბუნება ღრმა დუმილს მოეცვა და ამ დუმილში ფართო ტალღებად ირხეოდა გასაოცრად ლამაზი მელოდია. დაასრულა აპოლონმა. მიწყდა მისი კითარის უკანასკნელი ბგერა. ტმოლის მთის ღმერთმა გამარჯვება აპოლონს არგუნა. ყველა ადიდებდა დიდ ღმერთ-კითარედს. მხოლოდ მიდასი არ იყო აღტაცებული აპოლონის დაკვრით და პანის უბრალო მუსიკა ხიბლავდა. განრისხდა აპოლონი, მიდასს ყურებში ჩაავლო ხელი და მძლავრად აუწია. მას შემდეგ მიდასს გრძელი ყურები აქვს და გულმოდგინედ მალავს მათ დიდი დოლბანდით. დაღონებული და დამარცხებული პანი კი ტყის სიღრმეში მიიმალა. ხშირად გაისმის იქ მისი სალამურის ნაღვლიანი, ნაზი ხმა და სიყვარულით უსმენენ მას ახალგაზრდა ნიმფები.

ხუთი საუკუნე

ჰესიოდეს პოემის „სამუშაონი და დღენის“ მიხედვით

ნათელ ოლიმპოზე მცხოვრებმა უკვდავმა ღმერთებმა შეჰქმნეს ადამიანთა პირველი მოდგმა და მათ ბედნიერება მიანიჭეს; ეს იყო ოქროს საუკუნე. მაშინ ცაში ღმერთი კრონოსი ბატონობდა. ნეტარი ღმერთებივით ცხოვრობდნენ მაშინ ადამიანები, არც დარდი იცოდნენ, არც ზრუნვა, არც ნაღველი, არც უძლურ სიბერეს იცნობდნენ. მუდამ მაგარი და ძლიერი ხელ-ფეხი ჰქონდათ. მათი უმტკივნეულო და ბედნიერი ცხოვრება მარადიულ ნადიმს წარმოადგენდა. სიკვდილი, დიდი ხნის სიცოცხლის შემდეგ რომ ევლინებოდათ, წყნარსა და ტკბილ ძილს წააგავდა. სიცოცხლეში ყველაფერი უხვად ჰქონდათ. მიწა გაურჯელად აძლევდა მოსავალს, ბარაქიან ნაყოფს, არ ესაჭიროებოდათ ყანებისა და ბაღების დასამუშავებლად შრომა. მრავალრიცხოვანი ჯოგები მშვიდად ძოვდნენ მსუყე იალაღებზე. უზრუნველად ცხოვრობდნენ ადამიანები ოქროს საუკუნეში. რჩევის საკითხავად თვით ღმერთები მოდიოდნენ ხოლმე მათთან. მაგრამ დასრულდა დედამიწაზე ოქროს საუკუნე და აღარავინ დარჩა იმ თაობის ადამიანთაგან. სიკვდილის შემდეგ, ოქროს ხანის ადამიანები იქცნენ ახალი თაობის ადამიანთა მფარველ სულებად. ნისლში გახვეულნი დაეხეტებიან ისინი მთელს დედამიწაზე, იცავენ სამართალს და სჯიან ბოროტმოქმედებას. ასე დაასაჩუქრა ზევსმა ისინი გარდაცვალების შემდეგ.

ადამიანთა მეორე მოდგმა და მეორე საუკუნე უკვე აღარ იყო ისე ბედნიერი, როგორც პირველი. ეს გახლდათ ვერცხლის საუკუნე. ვერ შეედრებოდნენ ვერცხლის საუკუნის ადამიანები ოქროს საუკუნისას ვერც ღონით, ვერც გონებით. ასი წელი იზრდებოდნენ თავიანთი დედების სახლებში უგუნურნი და უსუსურნი, მხოლოდ დავაჟკაცების შემდეგ ტოვებდნენ მშობლების სახლებს. ხანმოკლე იყო მათი სიცოცხლე მომწიფებულ ასაკში, ხოლო რაკი უჭკუონი იყვნენ, ბევრ ხიფათსა და უბედურებას ხვდებოდნენ ცხოვრებაში. ურჩები

იყვნენ ვერცხლის საუკუნის ადამიანები. არ ემორჩილებოდნენ უკვდავ ღმერთებს და არ სურდათ მათს საკურთხევლებზე მსხვერპლის შეწირვა. კრონოსის დიდმა შვილმა, ზევსმა მოსპო მათი მოდგმა დედამიწაზე. განურისხდა კი იმისათვის, რომ არ ემორჩილებოდნენ ნათელ ოლიმპოზე მცხოვრებ ღმერთებს. ზევსმა ისინი მიწისქვეშა პირქუშ სამეფოში დაასახლა. იქ ცხოვრობენ დღესაც. არც სიხარული იციან, არც დარდი. მათაც პატივს სცემენ ადამიანები.

მამა ზევსმა შექმნა მესამე მოდგმა და მესამე სპილენძის საუკუნე. არა ჰგავს ეს საუკუნე ვერცხლისას. ზევსმა შუბის ტარიდან შექმნა ადამიანები — საშინელნი და ძალუმნი. სიამაყე და უბედურებით აღსავსე ომი შეიყვარეს სპილენძის საუკუნის ადამიანებმა. არ იცოდნენ მიწათმოქმედება და არ ჭამდნენ ნაყოფს, რომელსაც ბაღები და ყანები იძლევიან. ზევსმა მათ მისცა უზარმაზარი ტანი და შეუდრეკელი ძალა, გაუტეხელი, ვაჟკაცური გული ჰქონდათ და უძლეველი ხელები. მათი იარაღი გამოჭედილი იყო სპილენძისაგან, სპილენძის სახლები ჰქონდათ, სპილენძის იარაღებით მუშაობდნენ. ნაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ მუქი რკინის დამუშავება. საკუთარი ხელით ანადგურებდნენ ერთიმეორეს სპილენძის საუკუნის ადამიანები. ისინიც მალე წავიდნენ საშინელი ჰადესის პირქუშ სამეფოში. სიძლიერის მიუხედავად შავმა სიკვდილმა გაიტაცა სპილენძის საუკუნის ადამიანები და მათ მზესთან გამოთხოვება მოუხდათ.

როგორც კი ეს მოდგმა აჩრდილთა სამეფოში ჩავიდა, დიდმა ზევსმა მაშინვე შექმნა ყოველი არსების მკვებავ დედამიწაზე მეოთხე საუკუნე და ადამიანთა ახალი მოდგმა, უფრო კეთილშობილი, უფრო სამართლიანი, ღმერთთა სწორი, ნახევრად ღმერთი გმირები. ეს გმირები ერთიანად გაწყდნენ ბოროტ ომებსა და საშინელ სისხლისმღვრელ ბრძოლებში. ერთნი დაიღუპნენ შვიდჭიშკრიან თებესთან, კადმოსის სამეფოში, ოიდიპოსის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში. სხვები ხომალდებში რომ ჩასხდნენ და ფართო ზღვები გასცურეს მშვენიერკულულებიანი ელენეს წამოსაყვანად და ტროას კედლებთან დაეცნენ. როცა ყველანი სიკვდილმა გაიტაცა, მეხთამტყორცნელმა ზევსმა ისინი ერთად დაასახლა მიწის კიდეში, ცოცხალი ადამიანებისაგან მოშორებით. ბედნიერი, უზრუნველი ცხოვრებით ტკბებიან ნახევრადღმერთი-გმირები ნეტართა კუნძულებზე, ოკეანის მღელვარე წყლებთან. იქ ნოყიერი მიწა მათ წელიწადში სამჯერ აძლევს თაფლივით ტკბილ ნაყოფს.

უკანასკნელი, მეხუთე საუკუნე და ადამიანთა მოდგმა—რკინისაა. ეს ხანა გრძელდება დედამიწაზე დღესაც. დღითა და ღამით განუწყვეტლივ ღუპავს ადამიანებს დარდი და მომქანცველი შრომა. ღმერთები მძიმე საზრუნავს უგზავნიან ადამიანებს. მართალია, ბოროტებას სიკეთესაც ურევენ, მაგრამ

ბოროტება მაინც ჭარბობს და ის ყველგან მეფობს. ბავშვები მშობლებს პატივს არ სცემენ. მეგობარი მეგობარს ვერ ენდობა. სტუმარი ვერ პოულობს სტუმართმოყვარეობას. არაა .სიყვარული ძმებს შორის. არ იცავენ ადამიანები მიცემულ ფიცს, არ აფასებენ სიმართლესა და სიკეთეს. ადამიანები ერთიმეორეს ქალაქებს უნგრევენ. ყველგან ძალადობა ბატონობს. ფასი ედება მხოლოდ ძალასა და ქედმაღლობას. ქალღმერთებმა — სინდისმა და მართლმსაჯულებამ — ადამიანები მიატოვეს. თეთრსამოსიანი ქალღმერთები ოლიმპოზე .აფრინდნენ უკვდავ ღმერთებთან, ადამიანებს კი დარჩათ მხოლოდ მძიმე უბედურებანი, და აღარავინა ჰყავთ შემწე და მფარველი, რომ ბოროტებას თავი დააღწიონ.

ᲓᲔᲕᲙᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐ

(წარღვნა)

მრავალი დანაშაული ჩაიდინეს სპილენძის საუკუნის ადამიანებმა. ისინი, ზვიადნი და ბიწიერნი, ოლიმპოს ღმერთებს ეურჩებოდნენ. მეხთამტყორცნელი ზევსი განურისხდა მათ. განსაკუთრებით გაანაწყენა ზევსი არკადიის ქალაქ ლიკოსურის მეფემ, ლიკაონმა. ერთხელ ზევსი უბრალო მოკვდავის სახით ესტუმრა ამ მხარეს. ადამიანებს ნიშანი მისცა, რომ ღმერთია, და ყველა პირქვე დაემხო მის წინაშე, თაყვანი სცეს, როგორც ღმერთს ეკადრებოდა. მხოლოდ ლიკაონმა არ ისურვა ზევსის თაყვანისცემა და სიცილი დააყარა ყველას, ვინც ზევსის წინაშე მუხლი მოიყარა. ლიკაონმა გადაწყვიტა, გამოეცადა ზევსი მართლა ღმერთია თუ არა. სასახლეში ერთი მძევალი ჰყავდა, დაკლა, დაჭრა, მოხარშა და დიდ მეხთამტყორცნელს სუფრაზე მიართვა. საშინლად განრისხდა ზევსი. მეხის დარტყმით დასწვა ლიკაონის სასახლე, თვითონ ლიკაონი კი სისხლისმსმელ მგლად აქცია.

სულ უფრო უღმერთო და უგვანო ხდებოდნენ ადამიანები, და დიდმა ღრუბელთმფანტველმა, ეგიდისმპყრობელმა ზევსმა განიზრახა ადამიანთა მთელი მოდგმის მოსპობა. გადაწყვიტა დაეშვა დედამიწაზე ისეთი ნიაღვარი, რომ ყველაფერი წალეკილიყო. ზევსმა ყველა ქარს აუკრძალა ქროლვა, მხოლოდ ნესტიანი სამხრეთის ქარი ნოტოსი ერეკებოდა ცაზე წვიმის შავ ღრუბლებს. წამოვიდა კოკისპირული წვიმა. წყლებმა ზღვებსა და მდინარეებში სულ უფრო მაღლა აიწიეს, ნაპირებიდან გადმოვიდნენ და ყველაფერი დაფარეს. წყალმა დაფარა ქალაქები და მათი გალავნები, სახლები და ტაძრები. აღარც ქალაქის კედლებზე მაღლა აზიდული კოშკები ჩანდა. წყალი თანდათან ფარავდა ყველაფერს — ტყიან ბორცვებსა და მაღალ მთებს. მთელი საბერძნეთი დაფარეს ზღვის მოგუგუნე ტალღებმა. მარტოოდენ ორთავა პარნასის მწვერვალიღა

მოჩანდა მბორგავ ზვირთებს შორის. იქ, სადაც უწინ გლეხი ყანას ამუშავებდა და ვენახებში მწიფე მტევნები თვალს იტაცებდნენ, ახლა თევზები დაცურავდნენ, ხოლო წყლით დაფარულ ტყეებში დელფინების ჯოგები დანავარდობდნენ.

ასე დაიღუპა სპილენძის საუკუნის ადამიანთა მოდგმა, მხოლოდ ორი ადამიანი გადარჩა ამ საყოველთაო დაღუპვას — დევკალიონი, პრომეთეს შვილი, და მისი ცოლი პირა. თავისი მამის პრომეთეს რჩევით დევკალიონმა უზარმაზარი კიდობანი გააკეთა, შეიტანა სანოვაგე და ცოლთან ერთად შიგ მოთავსდა. ცხრა დღე და ცხრა ღამე არწევდნენ დევკალიონის კიდობანს აღმა-დაღმა ზღვის ტალღები, რომელთაც მთელი ხმელეთი დაფარეს. ბოლოს მღელვარე ტალღებმა დევკალიონის კიდობანი პარნასის ორთავა მწვერვალთან გამორიყეს. ზევსის გამოგზავნილი ნიაღვარი შეწყდა. დევკალიონი და პირა კიდობნიდან გამოვიდნენ და სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს ზევსს, რომელმაც ატორტმანებულ ტალღებში დაღუპვას გადაარჩინა. წყალმა დაიკლო, ზვირთების რიალი შეწყდა და გამოჩნდა უდაბნოსავით გაპარტახებული მიწა.

ეგიდისმპყრობელმა ზევსმა დევკალიონს ღმერთების შიკრიკი ჰერმესი გაუგზავნა. სწრაფად გადაიქროლა გავერანებული მიწა ჰერმესმა, დევკალიონს წარუდგა და უთხრა:

— ღმერთებისა და ადამიანების მბრძანებელმა ზევსმა გიბრძანა აირჩიო საჩუქარი. თქვი, რა გსურს და კრონოსის შვილი ნატვრას აგისრულებს, რადგან იცის შენი ღვთისმოსაობა.

დევკალიონმა ჰერმესს უპასუხა;

— ო, დიდო ჰერმეს, მხოლოდ ერთსა ვთხოვ ზევსს: ისევ დაასახლოს დედამიწაზე ადამიანები.

ფეხმარდი ჰერმესი ისევ ოლიმპოსაკენ გაეშურა და ზევსს დევკალიონის თხოვნა გადასცა. დიდმა ზევსმა დევკალიონსა და პირას უბრძანა აეღოთ ქვები და უკან გადაეგდოთ, ისე რომ არ მიეხედათ. დევკალიონმა შეასრულა დიდი მეხთამტყორცნელის ბრძანება, და იმ ქვებისაგან, რომელთაც თვითონ ისროდა, მამაკაცები იქმნებოდნენ, ხოლო მისი ცოლის, პირას მიერ გადასროლილი ქვებისაგან — ქალები. ასე გაჩნდა დედამიწაზე მოსახლეობა წარღვნის შემდეგ. ქვეყნად დასახლდა ქვებისაგან წარმოშობილ ადამიანთა ახალი მოდგმა.

პრომეთე

ექსილეს ტრაგედიის „მიჯაჭვული პრომეთეს“ მიხედვით

უდაბური, უკაცრიელი ადგილი მიწის კიდეში, სკვითების ქვეყანაში. მრისხანე კლდეები წვეტიანი მწვერვალებით ღრუბლებში აზიდულან. ირგვლივ

არავითარი მცენარეულობა არაა, ერთი ღერი ბალახიც არ ხარობს, ყველაფერი პირქუში და მოტიტვლებულია. ყველგან კლდიდან მორღვეული ბუმბერაზი ლოდები დახორგილან. ზღვა შფოთავს და გუგუნებს, ტალღებს გაშმაგებით ახლის მთის ძირებს და მლაშე შხეფები მაღლა ცვივა. ზღვის ქაფით დაფარულან სანაპიროზე ქვები. შორს, კლდეებისა და უდაბნოების იქით მოჩანან გამჭვირვალე კვამლით დაფარული კავკასიონის მთათა თოვლიანი მწვერვალები. თანდათანობით ეფინებიან შორეული მხარის მთათა მწვერვალებს შავი საავდრო ღრუბლები. სულ უფრო და უფრო მაღლა იწევენ ღრუბლები და ფარავენ მზეს. კიდევ უფრო იქუფრება ცა და გარშემო ყველაფერი იღუპება. უსიხარულო, მრისხანე მხარეა. ჯერ არასოდეს არ დაუდგამს აქ ფეხი ადამიანს. აი, აქ, ქვეყნიერების კიდეში მოუყვანიათ ზევსის მსახურთ შებოჭილი ტიტანი პრომეთე, რომ შეურყეველი ჯაჭვებით მიაბან კლდის მწვერვალს, მეხთამტყორცნელის უძლეველ მსახურებს — ძალასა და ძალაუფლებას მიჰყავთ პრომეთე. მათი უზარმაზარი სხეულები თითქოს გრანიტისაგან არიან გამოკვეთილი. მათ გულს არ ეკარება სიბრალული, მათ თვალებში არასოდეს არ ციმციმებს თანაგრძნობა, მათი სახეები მკაცრად და კუშტად გამოიყურებიან, როგორც კლდეები, გარშემო რომ დგანან. ნაღვლიანი, თავდახრილი მიჰყვება მათ ღმერთი ჰეფესტო. ხელში თავისი მძიმე ურო უჭირავს. საზარელი საქმე ელის ღვთაებრივ მჭედელს. საკუთარი ხელით უნდა მიაჭედოს კლდეს თავისი მეგობარი პრომეთე. მეგობრის ბედით შეწუხებულს, მისი ხვედრი მძიმე კაეშნად აწევს, მაგრამ ვერ ბედავს თავისი მამის, მეხთამტყორცნელი ზევსის ურჩობას. იცის, რა სასტიკად სჯის ზევსი ურჩებს.

ძალამ და ძალაუფლებამ პრომეთე კლდის მწვერვალზე აიყვანეს და ჰეფესტო ააჩქარეს საქმეს შედგომოდა. მათი სასტიკი მომართვა კიდევ უფრო უკლავს გულს მეგობრისათვის შეურვებულს. უხალისოდ იღებს უზარმაზარ უროს, მხოლოდ აუცილებლობა აიძულებს მორჩილებას. ძალა აჩქარებს:

— ჩქარა, ჩქარა აიღე ბორკილები! მძლავრი დაკვრით ამ კლდეზე მიაჯაჭვე პრომეთე. ტყუილად დარდობ, შენ ხომ ზევსის მტერი გებრალება!

ძალა ზევსის რისხვით ემუქრება ჰეფესტოს, თუ ისე მაგრად არ მიაჭედებს კლდეზე პრომეთეს, რომ აღარავითარ ძალას არ შეეძლება მისი განთავისუფლება. ჰეფესტო მძიმე ჯაჭვით აკრავს კლდეზე პრომეთეს ხელებსა და ფეხებს. როგორ სძულს ახლა თავისი ხელობა — მისი მიზეზით უნდა მიაჯაჭვოს მეგობარი კლდეზე და გასწიროს ხანგრძლივი ტანჯვისათვის. ზევსის შეუბრალებელი მსახურნი თვალს არ აცილებენ, ამოწმებენ მის მუშაობას.

— უფრო ძლიერ დაჰკარი ურო! უფრო გაჭიმე ბორკილები! არ გაბედო

ჯაჭვის მიშვება! ცბიერია პრომეთე, მოხერხებულად პოულობს გამოსავალს თვით გამოუვალი მდგომარეობიდან, — ამბობს ძალა. — უფრო მაგრად მიაბი! დე, გაიგოს, როგორია ზევსის მოტყუება!

— ო, როგორ შეეფერებიან შენი სასტიკი სიტყვები შენს მრისხანე სახეს! — ამბობს ჰეფესტო და იწყებს მუშაობას.

კლდე ირყევა უროს საშინელი დაკვრისაგან, და კიდით კიდემდე გაისმის ძალუმი დაკვრის ხმა. დაბოლოს, მიჯაჭვულია პრომეთე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი. საჭიროა მისი მიჭედვა კლდეზე — მკერდში უნდა გაუყაროს ფოლადის ურყევი ძელი. აყოვნებს ჰეფესტო.

— ო, პრომეთე! — შესძახა ღმერთმა. — როგორ ვდარდობ, შენს ტანჯვას რომ ვუყურებ!

— ისევ აყოვნებ! — მრისხანედ მიმართავს ძალა ჰეფესტოს. — ისევ დარდობ ზევსის მტრისათვის! ფრთხილად, როგორმე საკუთარ თავზე არ მოგიხდეს დადარდიანება!

ბოლოს ყველაფერი დასრულდა. ყველაფერი ისე შესრულდა, როგორც ზევსმა ბრძანა: ტიტანი მიჯაჭვულია, მკერდში გაყრილი აქვს ფოლადის ძელი. ღონე დაცინვით ეუბნება პრომეთეს.

— აი, აქ კი შეგიძლია იამაყო, რამდენიც გნებავს. იყავ ზვიადი უწინდებურად! მიეცი ახლა მოკვდავთ ღმერთების საჩუქარი, ოლიმპოდან მოტაცებული. ვნახოთ, შეძლებენ თუ ვერა შენს დახსნას შენი მოკვდავნი. თვითონ მოგიხდება ფიქრი, თუ როგორ დააღწიო თავი ამ ბორკილებს.

მაგრამ პრომეთე ამაყად დუმდა. იმ ხნის განმავლობაში, რაც ჰეფესტო კედელზე აკრავდა, ერთი სიტყვაც არ დაცდენია; სუსტი კვნესაც კი არ აღმოხდენია — არაფრით არ გაუცია თავისი ტანჯვა.

წავიდნენ ზევსის მსახურნი, ძალა და ძალაუფლება, თან გაჰყვა დანაღვლიანებული ჰეფესტო. მარტო დარჩა პრომეთე. ახლა მისი მოსმენა შეეძლოთ მხოლოდ ზღვასა და შავ ღრუბლებს. მხოლოდ ახლა აღმოხდა ძალუმ ტიტანს განგმირული მკერდიდან მძიმე გმინვა, მხოლოდ ახლა დაიწყო ჩივილი ბოროტ ბედზე. ხმამაღლა შეჰყვირა პრომეთემ. გამოუთქმელი დარდი და ტანჯვა ყღერდა მის ჩივილში.

— ო, ღვთაებრივო ეთერო და თქვენ, სწრაფად მსრბოლო ნიავქარებო, ო, მდინარეთა ნაკადებო და ზღვის ტალღების დაუსრულებელო გრგვინვავ! ო, დედამიწავ, საყოველთაო დედავ პირველო! ო, ყოვლის მხილველო მზეო, დედამიწის მთელ სფეროს რომ უელი გარშემო, — ყველას მოგიხმობთ მოწმედ! ნახეთ, რას ვითმენ! ხედავთ, რა სირცხვილი უნდა ვზიდო უთვალავი წლე-

ბის მანძილზე? ო, ვაი და ვაი! ასე ვიკვნესებ ახლაც და მრავალი, მრავალი საუკუნის მანძილზე! როგორ ვიპოვო ჩემი ტანჯვის დასასრული? მაგრამ რას ვამბობ? მე ხომ ვიცოდი რაც მელოდა! მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის ეს ტანჯვა! რისთვის? იმისათვის, რომ მოკვდავთ დიდი საჩუქრები მივეცი, ამისათვის უნდა ვეწამო ასე აუტანელი წამებით. ო, ვაი, ვაი!

მაგრამ აი, გაისმა ფრთების შრიალის მსგავსი ჩუმი ხმაური. ჭაღარა ოკეანის შორეული ნაპირებიდან ნიავის მსუბუქ ქროლას გრილი გამოქვაბულიდან ოკეანიდები მოჰყვნენ და ფრთოსანი ეტლით კლდეს მიადგნენ. ჰეფესტოს უროს ხმა გაეგოთ, პრომეთეს კვნესა მისწვდენოდა მათ სმენას. ოკეანიდებს ცრემლებმა დაუბინდეს მშვენიერი თვალები, როცა კლდეზე მიჯაჭვული ძალუმი ტიტანი დაინახეს. იგი მათი სისხლი და ხორცი იყო, ბიძად ხვდებოდათ. პრომეთეს მამა იაპეტი მათი მამის ოკეანის ძმა იყო, ხოლო პრომეთეს მეუღლე ჰესიონე მათი და. ოკეანიდები გარს შემოერტყნენ კლდეს. ღრმა მწუხარებას მოეცვა ყველანი. მაგრამ აშინებთ სიტყვები, რომლებითაც ტიტანი წყეულის ზევსსა და ოლიმპოს ღმერთებს. ეშინიათ, რომ ზევსი ამასაც არ აკმარებს და კიდევ უფრო გააძლიერებს ტიტანის ტანჯვას. ოკეანიდებმა არ იცოდნენ რისთვის დაედო პრომეთეს ეგზომ მძიმე სასჯელი და თანაგრძნობით აღსავსენი სთხოვენ მოუთხროს თუ რისთვის დასაჯა ზევსმა, რით განარისხა ღმერთების მამამთავარი.

პრომეთე მოუთხრობს, როგორ ეხმარებოდა ზევსს ტიტანებთან ბრძოლაში, როგორ დაიყოლია თავისი დედა თემიდა და დიდი ქალღმერთი გეა, ზევსს მიმხრობოდნენ. ზევსმა დაამარცხა ტიტანები და პრომეთეს რჩევით ძლეულნი საზარელ ტარტაროსში გადასტყორცნა, ზევსმა ხელთ იგდო ქვეყნიერების მართვის სადავეები და ძალაუფლება ოლიმპოს ღმერთებს გაუნაწილა, ხოლო იმ ტიტანებს, რომელთაც დახმარება გაუწიეს, ძალაუფლება არ მისცა. ზევსს ეჯავრება ტიტანები, ეშინია მათი მრისხანე ძალის. არც პრომეთეს ენდობოდა და შეიძულა. კიდევ უფრო გაღვივდა ზევსის სიძულვილი, როდესაც პრომეთემ უბედურ მოკვდავ ადამიანთა, ჯერ კიდევ კრონოსის დროს რომ ცხოვრობდნენ და ზევსმა დაღუპვა მოუნდომა, ქომაგობა დაიწყო. მაგრამ პრომეთემ შეიცოდა ადამიანები, რომელთაც არ ჰქონდათ გონება. ტიტანს არ უნდოდა, რომ ეს ადამიანები ჰადესის პირქუშ სამეფოში ჩასულიყვნენ. მანამდე უცნობი იმეღი შთაბერა და მათთვის მოიტაცა ღვთაებრივი ცეცხლი, თუმცა იცოდა, რა სასჯელიც ელოდა. საშინელი სასჯელის შიშმა ვერ შეაჩერა ზვიადი, ძალუმი ტიტანი, ისე ძლიერი იყო მისი სურვილი — დახმარებოდა ადამიანებს, ვერც თავისი გრძნეული დედის, დიად თემიდას გაფრთხილებამ შეაკავა.

ძრწოლვით უსმენდნენ ოკეანიდები პრომეთეს მონათხრობს. მაგრამ აი, ფრთამალი ეტლით კლდესთან თვით გრძნეული ბერიკაცი ოკეანე მოფრინდა.

ოკეანე სთხოვს პრომეთეს დამორჩილდეს ზევსის ძალაუფლებას: ხომ უნდა იცოდე, რომ ტითონის მძლეველ ზევსთან ვერაფერს გახდებიო! ოკეანეს ეცოდება პრომეთე, თვითონაც იტანჯება მისი წამების შემყურე. გრძნეული ბერიკაცი მზადაა ნათელ ოლიმპოს მიაშუროს; ზევსს პრომეთეს შეწყალება სთხოვოს, თუნდაც ამ თხოვნით თვით დაიტეხოს ზევსის რისხვა. მაგრამ ამაოა ოკეანის მუდარა, პრომეთე ამაყად პასუხობს:

— არა, ჯობს საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქრო. ვშიშობ, რომ ჩემდამი თანაგრძნობამ თვით შენ არ მოგიტანოს ზიანი. ძირამდე დავცლი მთელს ბოროტებას, რაც ბედმა გამომიგზავნა. შენ კი, ოკეანევ, ერიდე ზევსის რისხვას, ნუ სთხოვ ჩემს შეწყნარებას.

— ო, ვხედავ, — ნაღვლიანად მიუგო ოკეანემ, — ამ სიტყვებით მაიძულებ უკან დავბრუნდე, არაფერი არ ვიღონო. დამიჯერე, პრომეთე, აქ მხოლოდ შენთვის ზრუნვამ და შენმა სიყვარულმა მომიყვანა.

— არა! წადი! ჩქარა, ჩქარა წადი აქედან! დამტოვე! — შესძახა პრომეთემ.

ღრმა გულისტკივილით მიატოვა ოკეანემ პრომეთე. მობრუნდა და თავისი ფრთოსანი ეტლი გააქროლა, ხოლო პრომეთე განაგრძობს და მოუთხრობს ოკეანიდებს, თუ როგორ დაარღვია ზევსის ნება, რა ქველმოქმედება გამოიჩინა, რა გააკეთა ადამიანებისათვის. პრომეთემ ლემნოსზე, მოსქის მთაზე, თავისი მეგობრის ჰეფესტოს ქურიდან მოიტაცა ცეცხლი და ადამიანებს მოუტანა, ასწავლა მათ ხელობა, მისცა ცოდნა, ასწავლა წერა-კითხვა და ანგარიში. გააცნო ლითონები და ასწავლა, როგორ უნდა მოიპოვონ და დაამუშაონ ისინი. პრომეთემ მოათვინიერა გარეული ხარი და უღელი დაადგა, რათა ადამიანებს მისი ძალა მიწის დასამუშავებლად გამოეყენებინათ. პრომეთემ ცხენი ეტლში შეაბა და ადამიანს დაუმორჩილა. ბრძენმა ტიტანმა ააშენა პირველი გემი, აღკაზმა და აუშვა სელის იალქნები, რომ გემს უნაპირო ზღვაში ადამიანები სწრაფად წაეყვანა. უწინ ადამიანებმა არ იცოდნენ, რა იყო წამალი, არ შეეძლოთ სნეულის განკურნება, უმწეონი იყვნენ ადამიანები ავადმყოფობის წინაშე, მაგრამ პრომეთემ მათთვის წამლები აღმოაჩინა და სნეულებს ზღვარი დაუდო. პრომეთემ ასწავლა ადამიანს ყველაფერი, რაც ცხოვრების სიმწარეს ამსუბუქებს, ამხიარულებს და აბედნიერებს ადამიანებს. ამით განარისხა ზევსი, ამისთვის დასაჯა მეხთამტყორცნელმა.

მაგრამ მარად კი არ ეწამება პრომეთე. იცის, ბოროტი ბედისწერა უძლეველ მეხთამტყორცნელსაც მისწვდება. ვერც ზევსი გაექცევა ბოროტ ბედს! პრომეთემ იცის, რომ არც ზევსის მეუფებაა მარადიული. მასაც გადმოაგდებენ

ოლიმპოს მაღალი სამეფო ტახტიდან. იცის გრძნეულმა ტიტანმა დიდი საიდუმლო, თუ როგორ დააღწიოს თავი ზევსმა ამ ბოროტ ბედისწერას, მაგრამ არ გაუმხელს ზევსს ამ საიდუმლოებას. ვერავითარი ძალა, ვერავითარი მუქარა, ვერავითარი წამება ვერ გამოსტაცებს ამ საიდუმლოს ამაყ პრომეთეს ბაგეებს.

პრომეთემ დაასრულა თავისი მოთხრობა. გაოცებით უსმენდნენ ოკეანიდები. აკვირვებდათ დიადი სიბრძნე და გაუტეხელი სულიერი ძალა ტიტანისა, რომელმაც დიდი მეხთამტყორცნელი ზევსის წინააღმდეგ ამბოხება გაბედა. ისევ დაეუფლათ შიში, როცა გაიგეს, რა საზარელ ბედს უქადის პრომეთე ზევსს. იცოდნენ, რომ თუ ეს მუქარა ოლიმპოს მიაღწევს, მეხთამტყორცნელი არაფრის წინაშე არ შეჩერდება, არავითარ ძალას არ დაზოგავს, ოღონდ საბედისწერო საიდუმლო გაიგოს. სასტიკი ბედისწერის ბრძანების გარდუვალობით შეძრწუნებული თვალცრემლიანი ოკეანიდები პრომეთეს შესცქერიან. ღრმა დუმილი ისადგურებს კლდეზე. მხოლოდ ზღვის მოუსვენარი ფრთონვა არღვევს ამ დუმილს.

უცბად შორს გაისმა ოდნავ გასაგონი, ძლივს გასარჩევი კვნესა, დარდისა და მწუხარების გამომხატველი გმინვა. აი, ისევ მოსწვდა სუსტი ხმა კლდეს. სულ უფრო ახლოვდება, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ეს კვნესა. ჰერას მიერ გამოგზავნილ უზარმაზარ კრაზანას მიერ დევნილი, ერთიანად სისხლით მოსვრილი, მთლად ქაფით დაფარული, გაშმაგებული, მოჰქრის ძროხად ქცეული უბედური იო, მდინარის ღმერთის, არგოლიდის პირველი მეფის ინაქეს ასული. ხეტიალით ქანცგაწყვეტილი, დაუძლურებული, კრაზანის ნესტრით დაჭრილ-დასერილი შეჩერდა იო მიჯაჭვულ პრომეთესთან. ხმამაღალი გოდებით მოუთხრობს, რაც გადახდა და ეევედრება გრძნეულ ტიტანს:

— ო, პრომეთე! აქ, ჩემი ხეტიალის ამ მიჯნაზე, ამიხსენი, გეევედრები, როდის დასრულდება ჩემი ტანჯვა, როდისღა ვიპოვნი სიმშვიდეს?

— ო, მერწმუნე, იო! — მიუგო პრომეთემ, — ჯობს არ იცოდე, ვიდრე იცოდე. კიდევ მრავალ ქვეყანას გაივლი, კიდევ მრავალ საშინელებას ნახავ შენს გზაზე. შენი საშინელი გზა გადის სკვითების ველურ ქვეყანაში, მაღალ დათოვლილ კავკასიონზე, ამორძალების ქვეყანაში ბოსფორისაკენ, ასე შეარქმევენ ამ სრუტეს შენს საპატივცემოდ, როდესაც მას გადასცურავ. შემდეგ დიდხანს იხეტიალებ აზიაში. გაივლი იმ ქვეყნებს, სადაც ცხოვრობენ სიკვდილის მთესველი გორგონები, რომელთა თავზე თმების ნაცვლად მოსისინე გველები იგრიხებიან. ერიდე გორგონებს! ერიდე გრიფონებსა და ცალთვალა არიმასპებს, მათაც გზაში შეხვდები. ბოლოს მიაღწევ ბიბლინის მთებს, საიდანაც მოსჩქეფს ნილოსის მადლიანი წყალი. აი იქ, ქვეყანაში, რომელსაც რწყავს ნილოსი, ზედ

მდინარის შესართავთან იპოვნი სიმშვიდეს. იქ დაგიბრუნებს ზევსი შენს უწინდელ მშვენიერ სახეს და შეგეძინება ვაჟი ეპაფე. იგი გახდება მთელი ეგვიპტის მბრძანებელი და დასაბამს მისცემს გმირთა სახელოვან თაობას. იმავე გვარიდან წარმოიშობა ის მოკვდავი, რომელიც მიხსნის მეც ბორკილებიდან. აი, რა მაცნობა შენს ბედზე, იო, დედაჩემმა, გრძნეულმა თემიდამ.

იომ ხმამაღლა შესძახა:

— ო, ვაი, ვაი! ო, კიდევ რამდენ ტანჯვას მიმზადებს ბოროტი ბედი! შიშისაგან გული მეკუმშება! ხელახლა მეუფლება სიგიჟე, ისევ ჩამესო ცეცხლოვანი ისარი დაფლეთილ სხეულში, ისევ მეკარგება მეტყველების უნარი! ო, ვაი, ვაი!

თვალთა უაზრო ტრიალით, გახელებული სირბილით მოსცილდა კლდეს იო და გზა განაგრძო. თითქოს ქარიშხალმა გაიტაცაო, ისე გარბოდა. ხმამაღალი ბზუილით მისდევდა კრაზანა, ცეცხლივით სწვავდა მისი ნესტარი უბედურ იოს. ავარდნილ მტვრის კორიანტელში თვალთაგან დაეკარგათ პრომეთესა და ოკეანიდებს. სულ უფრო შორიდან სწვდებოდა კლდეს იოს გმინვა, და ბოლოს საღლაც შორეთში მიიკარგა, მსგავსად დარდის გამომხატველი მშვიდი კვნესისა.

დუმდნენ პრომეთე და ოკეანიდები, უბედურ იოზე დანაღვლიანებულნი, მაგრამ აი, რისხვით შესძახა პრომეთემ:

— როგორც არ უნდა მაწამო, მეხთამტყორცნელო ზევსო, მაინც დადგება დღე, როცა თვითონაც დაგამხობენ და არარაობად გაქცევენ! დაკარგავ ტახტს და ბურუსში ჩაინთქმები. აღსრულდება მაშინ მამაშენის კრონოსის წყევლა! არც ერთმა ღმერთმა არ იცის, როგორ უნდა აიცილო ეს უბედურება! მხოლოდ მე ვიცი ეს! აი, ზიხარ ახლა ნათელ ოლიმპოზე და სტყორცნი მეხსა და ელვას, მაგრამ ისინი ვეღარ გიშველიან, მეხი და ელვაც უძლურია ბოროტი ბედის წინაშე. ო, მტვერში დაცემული იგრძნობ, რა განსხვავებაა ძალაუფლებასა და მონობას შორის!

შიშმა დაუბნელა თვალები ოკეანიდებს, ელდამ ფერი დაუკარგა მათ მშვენიერ სახეს. ბოლოს ზღვის ქაფივით თეთრი ხელები პრომეთეს გაუწოდეს და შესძახეს:

— უგუნურო! როგორ არ გეშინია, ასე რომ ემუქრები ღმერთებისა და ადამიანების მეფეს, ზევსს? ო, პრომეთე, კიდევ უფრო მკაცრ სასჯელს დაიტეხ! იფიქრე შენს ბედზე, შეიცოდე შენი თავი!

— ყველაფრისათვის მზად ვარ!

— მაგრამ, ბრძენიც ხომ იხრის ქედს ულმობელი ბედისწერის წინაშე!

— ო, იოლცეთ, თვით თქვენთვის ითხოვეთ წყალობა! დაუჩოქეთ, მუხ-

ლებზე ხოხვით ეახლეთ მრისხანე მბრძანებელს! მე კი რა, რა არის ჩემთვის მეხთამტყორცნელი ზევსი? რისთვის უნდა მეშინოდეს მისი? სიკვდილი არ მიწერია! რაც ენებოს, ის გააკეთოს ზევსმა. დიდხანს არ მოუხდება ღმერთებზე ბატონობა!

ძლივს მოასწრო ამ სიტყვების დასრულება, რომ მაღლიდან ვარდნილი ვარსკვლავის სისწრაფით დაეშვა ღმერთების შიკრიკი ჰერმესი და მრისხანე სახით წარუდგა პრომეთეს. ზევსს გამოეგზავნა, რათა ეთქმევინებია საიდუმლო: ვინ დაამხობს ზევსს და როგორ უნდა დააღწიოს თავი ბედისწერას? ჰერმესი სასტიკი სასჯელით ემუქრება პრომეთეს ურჩობისათვის. მაგრამ ძალუმი ტიტანი შეუდრეკელია, დაცინვით პასუხობს ჰერმესს:

— ბავშვი იქნებოდი და ბავშვური ჭკუა გექნებოდა, რომ თუნდაც რაიმეს გაგების იმედი გქონოდა. იცოდე, ჩემს ტკივილებს არ გავცელი ზევსის მონურ მსახურებაზე. მიჯობს აქ ვიყო მიჯაჭვული, ვიდრე ერთგულად ვემსახურო ტირან ზევსს. არ არსებობს ისეთი სასჯელი, ისეთი ტანჯვა, რითაც ზევსი დამაშინებს და თუნდაც ერთ სიტყვას მათქმევინებს. ვერა, ვერ გაიგებს, როგორ დააღწიოს თავი ბედისწერას, ვერასოდეს ვერ გაიგებს ტირანი ზევსი, ვინ წაართმევს ძალაუფლებას!

— მაშ მომისმინე, პრომეთე რა მოგელის, თუ არ დაემორჩილები ზევსის ნებას, — მიუგო ტიტანს ჰერმესმა. — მეხის დაკვრით მოარღვევს ზევსი ამ კლდეს და შენთან ერთად პირქუშ ქვესკნელში გადაუშვებს. იქ, ქვის დილეგში, მრავალი, მრავალი საუკუნის განმავლობაში მზის ნათელს მოკლებული დაიტანჯები უკუნეთ წყვდიადში. გავა საუკუნეები და ისევ ამოგიყვანს ზევსი ქვესკნელიდან სინათლეზე, მაგრამ სამხიარულოდ კი არა. ყოველდღე მოფრინდება ზევსის გამოგზავნილი არწივი, ბასრი კლანჭებითა და ნისკარტით დაგისერავს გულ-ღვიძლს. ისევ და ისევ გამრთელდება შენი წყლულები და სულ უფრო აუტანელი იქნება შენი ტანჯვა. ასე იქნები კლდეზე დაკიდებული, ვიდრე სხვა არ დათანხმდება შენს მაგიერ თავისი ნებით ჩავიდეს ჰადესის პირქუშ სამეფოში. დაფიქრდი, პრომეთე, უმჯობესია დაემორჩილო ზევსს! შენ ხომ იცი, რომ ზევსი ამაოდ არასოდეს არ იმუქრება!

გაუტეხელი დარჩა ამაყი ტიტანი. განა რაიმეს შეეძლო მისი გატეხვა? უეცრად შეთრთოლდა დედამიწა, გარშემო ყველაფერი შეირყა. გაისმა მეხის გამაყრუებელი ქუხილი და დაიკლაკნა დამაბრმავებელი ელვა. ავარდა შმაგი ქარიშხალი. მთათა ბუმბერაზი მწვერვალებივით ავარდნენ ზღვაზე აქაფებული ტალღები. შეზანზარდა კლდე. ქარიშხლის ღმუილში, მიწისძვრის გრიალსა და გუგუნში გაისმა პრომეთეს საზარელი გოდება:

— ო, რა დარტყმა მაგემა ზევსმა, რომ ჩემი გული გაეტეხა! ო, ღირსპატივცემულო დედაო თემიდავ, შუქის მფრქვეველო! ნახეთ, რა უსამართლოდ მსჯის ზევსი!

საშინელი ხმაურით ჩამოინგრა კლდე მიჯაჭვულ პრომეთესთან ერთად და უძირო უფსკრულში, საუკუნო წყვდიადში გადაეშვა.

გავიდა საუკუნეები, და ისევ აიყვანა წყვდიადიდან ზევსმა პრომეთე. მაგრამ მისი ტანჯვა ამით არ დასრულებულა. კიდევ უფრო მძიმე განსაცდელშია ჩავარდნილი. ისევ წევს, მაღალ კლდეზე მიჭედილი და ბორკილგაყრილი. მის სხეულს მზის მცხუნვარე სხივები წვავენ, ქარიშხლები დანავარდობენ, გაწამებულ ტანზე წვიმა და სეტყვა სცემს, ზამთრობით კი ათოვს და მსუსხავი სიცივე ძვალსა და რბილში უჯდება. არც ეს ტანჯვა აკმარა ზევსმა! ყოველდღე მოფრინავს უზარმაზარი არწივი, ძალუმი ფრთების ქნევით ჯდება კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს მკერდზე და ფოლადივით წვეტიანი კლანჭებით ძიძგნის, ნისკარტით გლეჯს ტიტანის ღვიძლს. სისხლის ნაკადულები მოჩუხჩუხებენ და ძოწისფრად ღებავენ ფრიალო კლდეს. შავ ლეკერტებად წყდება კლდის ძირას გაცივებული სისხლი, იხრწნება მზეში და აუტანელი სუნით წამლავს გარშემო ჰაერს. ყოველ დილით მოფრინავს არწივი და მართავს სისხლიან საუზმეს. ღამით ჭრილობა მრთელდება და ახალი ღვიძლი იზრდება, რომ დილით არწივს ისევ ჰქონდეს საძიძგნი. წლობით, საუკუნეთა მანძილზე გრძელდება ეს ტანჯვა-წამება. ქანცი გაუწყდა ძალუმ ტიტან პრომეთეს, მაგრამ მისი შეუპოვარი სული ტანჯვამ ვერ გატეხა.

დიდი ხანია დამორჩილდნენ და შეურიგდნენ ზევსს ტიტანები, აღიარეს მისი ძალაუფლება, და ზევსმაც გაათავისუფლა ძველი მტრები ტარტაროსის პირქუში წიაღიდან. ახლა ეს ძალუმი ბუმბერაზები მოვიდნენ იმ კლდესთან, სადაც მიჯაჭვულია პრომეთე; გარს შემოერტყნენ მას და ევედრებიან დამორჩილდეს ზევსს. მოვიდა პრომეთეს დედა თემიდაც, შვილს შეეხვეწა: დაიოკე ეგ ამაყი სული და ნუ ეწინააღმდეგები ზევსს. შემიბრალეო, — ევედრება, — მეც ხომ აუტანელ ტანჯვაში ვარ, შვილის ტანჯვის შემყურე. თვით ზევსმა უკვე დაივიწყა თავისი ძველი რისხვა. ახლა მისი ძალაუფლება განუზომელია, ვერავინ შეარყევს მას, არაფრის არ ეშინია. აღარც ტირანულად განაგებს თავის საბრძანებელს. სახელმწიფოებს მფარველობს, კანონებს იცავს, ადამიანთა ქომაგი და კანონთა მფარველია. მხოლოდ ერთი რამ აფიქრებს მეხთამტყორცნელს — ის საიდუმლო, რომელიც მხოლოდ პრომეთემ იცის. თუ პრომეთე გაუმხელს საბედისწერო საიდუმლოს, ზევსი მზადაა შეიწყალოს ძალუმი ტიტანი. უკვე ახლოა დრო, როდესაც პრომეთეს ტანჯვა უნდა დასრულდეს. უკვე დაი-

ჰერაკლე მშვილდ-ისრით კლავს არწივს, რომელიც ღვიძლს უკორტნიდა პრომეთეს. ჰერაკლესაგან მარცხნივ გამოსახული არიან ქალღმერთი ათენა და ღმერთი ჰერმესი, არწივის მარჯვნივ — ქალღმერთი დემეტრე და ღმერთი პოსეიდონი (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

ბადა და დავაჟკაცდა დიდი გმირი, რომელსაც ბედმა მიჯაჭვული ტიტანის განთავისუფლება დააკისრა. ტანჯვით დაღდასმული, შეუდრეკელი პრომეთე უწინდებურად იცავს საიდუმლოს, მაგრამ მასაც ღალატობს ძალა.

ბოლოს, მოხეტიალე დიდი გმირი, რომელსაც ბედმა პრომეთეს განთავისუფლება არგუნა, მოვიდა აქ, მიწის კიდეში. ეს გმირია ჰერაკლე, ადამიანთა შორის უძლიერესი, ღმერთივით უძლეველი. შეძრწუნებული შესცქერის პრომეთეს ტანჯვას და თანაგრძნობით ევსება გული. ტიტანი მოუთხრობს ჰერაკლეს თავისი ბედის სიავეს და უწინასწარმეტყველებს, რა დიადი საგმირო საქმეები ელის გმირთაგმირს. მთელი გულისყურით უსმენს ტიტანს ჰერაკლე. მაგრამ მას ჯერ კიდევ მთლიანად არ უხილავს პრომეთეს საზარელი ტანჯვა. შორით მოისმის ძალუში ფრთების ხმაური—ეს არწივი მოფრინავს თავის სისხლიან ნადიმზე. მაღლა ჰაერში დაფრინავს, პრომეთეს თავზე დანავარდობს და მზადაა დაეშვას გულ-ღვიძლის დასაკორტნად. მაგრამ ჰერაკლემ არ აცალა ტიტანის ძიძგნა. ხელი სტაცა მშვილდს, მომაკვდინებელი ისარი ამოიღო კაპარჭიდან, საშველად ისართმტყორცნელ აპოლონს უხმო, რომ სწორად წარემართა ისარი, მოზიდა ლარი და ესროლა. ხმამაღლა გაიზუზუნა ლარმა, გაფრინდა ისარი და გულ-განგმირული არწივი კლდის ქიმთან ზღვაში ჩავარდა. განთავისუფლების წამიც დადგა. მაღალი ოლიმპოდან ჩამოფრინდა ფეხმარდი ჰერმესი. ალერსიანი სიტყვით მიმართა უძლეველ პრომეთეს და დაუყოვნებლივ განთავისუფლებას შეჰპირდა, თუ ზეევსს გაანდობდა საიდუმლოს როგორ დააღწიოს თავი დამხობას. ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა პრომეთე გაენდო საიდუმლო.

— ნუ შეუუღლდება მეხთამტყორცნელი ზღვის ქალღმერთ თეტიდას,

რადგან ბედისწერის ქალღმერთებმა, მოირებმა თეტიდას ასეთი ბედი განუჩინეს: ვინც არ უნდა იყოს მისი ქმარი, ეყოლება შვილი, რომელიც მამაზე ძლიერი იქნებაო. დე, ღმერთებმა თეტიდა მიათხოვონ გმირ პელევსს, თეტიდას მისგან ეყოლება ვაჟიშვილი — საბერძნეთის მოკვდავ გმირთაგან უდიდესი გმირი.

პრომეთემ გაამხილა დიდი საიდუმლო. ჰერაკლემ თავის მძიმე კომბლით დაამსხვრია ბორკილები და ამოგლიჯა მკერდში გაყრილი შეურყეველი ფოლადის პალო, რომლითაც ტიტანი კლდეზე იყო მიკრული. ადგა ტიტანი, ახლა თავისუფალი იყო. დასრულდა მისი წამება. ასე ახდა მისი. წინასწარმეტყველება, მოკვდავთაგანი მომანიშებსო თავისუფლებას. ხმამაღალი, მქუხარე, სიხარულის შეძახილებით შეხვდნენ ტიტანები პრომეთეს განთავისუფლებას.

იმ დროიდან ატარებს პრომეთე ხელზე რკინის რგოლს, რომელშიაც ჩასმულია იმ კლდის ნამტვრევი, რომელზედაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ასეთ აუწერელ ტანჯვას ითმენდა.

პრომეთეს ნაცვლად კი ქვესკნელის პირქუშ სამეფოში ჩასვლაზე დათანხმდა ბრძენი კენტავრი ქირონი. ამით დააღწია თავი ტანჯვას, რომელსაც აყენებდა ჰერაკლეს მიერ უნებურად მიყენებული განუკურნებელი ჭრილობა.

პანდორე

როცა პრომეთემ მოკვდავთათვის ღვთაებრივი ცეცხლი მოიტაცა, ასწავლა მათ ხელოვნება და ხელობანი, მისცა ცოდნა, დედამიწაზე ცხოვრება უფრო საამური გახდა. პრომეთეს ქცევით განრისხებულმა ზევსმა ტიტანი სასტიკად დასაჯა, ადამიანებს კი უბედურება დაატეხა თავს. სახელოვან მეფე-მჭედელს ჰეფესტოს უბრძანა შეერია მიწა და წყალი და ამ ნარევისაგან გაეკეთებინა მშვენიერი ქალიშვილი, რომელსაც ექნებოდა ადამიანის ძალა, ნაზი ხმა და უკვდავ ქალღმერთთა მსგავსი მზერა. ზევსის ასულს, ათენა-პალადას მისთვის უნდა მოექსოვა მშვენიერი სამოსელი. სიყვარულის ქალღმერთს, ოქროს აფროდიტეს შეუდარებელი მშვენება უნდა მიემადლებინა, ჰერმესს კი — ცბიერი გონება და მოხერხება.

მაშინვე შეასრულეს ღმერთებმა ზევსის ბრძანება. ჰეფესტომ მიწისაგან გამოძერწა არაჩვეულებრივად ლამაზი ქალიშვილი. ღმერთებმა სული შთაბერეს. ათენა-პალადამ და ქარიტებმა მზესავით მოციმციმე საძოსით შემოსეს და ოქროს სამკაულები დაჰკიდეს. ორებმა გაზაფხულის ნელსურნელოვანი ყვავილების მშვენიერი გვირგვინით შეუმკეს თავი. ჰერმესმა მაცდური და მლიქვნელური მეტყველების უნარი მიანიჭა. ღმერთებმა მას პანდორე უწოდეს, რადგან

ყველასაგან მიიღო საჩუქარი. პანდორეს ადამიანებისათვის უბედურება უნდა მოეტანა.

როცა ასეთი ბოროტები მომზადდა, ზევსმა ჰერმესს დაავალა პანდორე დედამიწაზე წაეყვანა და პრომეთეს ძმის ეპიმეთესათვის მიეყვანა. ბრძენი პრომეთე ყოველთვის აფრთხილებდა თავის უგნურ ძმას და ურჩევდა არ მიეღო მეხთამტყორცნელის საჩუქრები. ეშინოდა, რომ ასეთი საჩუქრები ადამიანებს უბედურებას მოუტანდნენ. მაგრამ ეპიმეთემ არ დაიჯერა ბრძენი ძმის რჩევა. პანდორეს სილამაზით მოხიბლულმა ეპიმეთემ იგი ცოლად შეირთო. მაგრამ მან მალე შეიგნო, რა ბოროტებაც მოუტანა პანდორემ ადამიანებს.

ეპიმეთეს სახლში იდგა დიდი ჭურჭელი, რომელსაც მძიმე სახურავი ისე მჭიდროდ ეხურა გახსნა გაჭირდებოდა. არავინ იცოდა რა იყო ამ ჭურჭელში, ვერავინ ბედავდა მის გაღებას, რადგან იცოდნენ, რომ ეს უბედურებას უქადდა ყველას. ცნობისმოყვარე პანდორემ საიდუმლოდ მოხსნა თავი ჭურჭელს და მთელს ქვეყნიერებას მოედო ის უბედურებანი, უწინ რომ ყუთში იყო ჩაკეტილი. მხოლოდ იმედიღა დარჩა უზარმაზარი ყუთის ფსკერზე. ყუთის სახურავი ხმაურით დაიხურა და იმედი ეპიმეთეს სახლიდან ველარ გამოფრინდა. მეხთამტყორცნელმა ზევსმა ეს არ ინება.

ბედნიერად ცხოვრობდნენ უწინ ადამიანები, არ იცოდნენ ბოროტება, მძიმე შრომა და დამღუპველი სნეულებანი. ახლა უამრავი უბედურება გავრცელდა ადამიანთა შორის, ბოროტებით აივსო ზღვა და ხმელეთი. დაუპატიჟებელი სტუმრებივით მოდიან ადამიანებთან ბოროტებანი და სნეულებანი, ტანჯვა მოაქვთ ყველასათვის; უჩუმრად, ფეხაკრეფით, დუმილით მოდიან, რადგან ზევსმა მეტყველების უნარი წაართვა, — ბოროტებანი და სნეულებანი მეხთამტყორცნელმა მუნჯნი შექმნა.

ეაკე

ოვიდიუსის „მეტამორფოზების" მიხედვით

მეხთამტყორცნელმა ზევსმა მდინარის ღმერთის ასოპეს ტურფა ასული მოიტაცა და წაიყვანა კუნძულ ენოპიაზე, რომელსაც იმ დროიდან ასოპეს ქალიშვილის ეგინას სახელი ჰქვია. ამ კუნძულზე დაიბადა ზევსისა და ეგინას ვაჟიშვილი ეაკე. როცა ეაკე დავაჟკაცდა და კუნძულ ეგინას მეფე გახდა, მთელს საბერძნეთში ვერავინ შეედრებოდა მას ვერც სიმართლის სიყვარულით, ვერც სამართლიანობით. თვით დიდი ოლიმპოს ღმერთები პატივს სცემდნენ ეაკეს და ხშირად ირჩევდნენ მსაჯულად თავიანთი სადავო საქმეების გარჩევის დროს.

სიკვდილის შემდეგ კი, მინოსისა და რადამანთის მსგავსად, ღმერთების ნებით ეაკე ქვესკნელის სამეფოს მოსამართლე გახდა.

მხოლოდ დიდ ქალღმერთ ჰერას სძულდა ეაკე. ჰერამ დიდი უბედურება მოუვლინა მის სახელმწიფოს. ხშირმა ნისლმა დაბურა კუნძული ეგინა, ოთხი თვე იწვა კუნძულზე ეს ნისლი. ბოლოს იგი სამხრეთის ქარმა გაფანტა. მაგრამ უბედურებისაგან დახსნა კი არა, დაღუპვა მოიტანა თავისი სუნთქვით ამ ქარმა. გამხრწნელ ნისლში უთვალავი შხამიანი გველი გაჩნდა, ასპიტებით აივსო გუბეები, წყაროები და ნაკადულები, მთელი კუნძული დაგვესლეს ქვეწარმავლებმა. ხალხი მოცელილივით ეცემოდა. ყოველი სულიერი ჩაკვდა და გადაშენდა. მხოლოდ ეაკე და მისი შვილები დარჩნენ უვნებელნი. სასოწარკვეთილმა ეაკემ ხელები მაღლა აღაპყრო და შესძახა:

— ო, დიდო ეგიდისმპყრობელო ზევსო, თუ ნამდვილად იყავი ეგინას მეუღლე, თუ ნამდვილად მამაჩემი ხარ, დამიბრუნე ჩემი ხალხი, ან მეც მომკალი!

ზევსმა ნიშანი მისცა, გავიგე შენი თხოვნაო. გაიელვა და უღრუბლო ცაზე მეხის ქუხილი გაისმა. ეაკე მიხვდა, რომ ზევსს ესმა მისი ლოცვა. იქ, სადაც ეაკე მამა ზევსს ევედრებოდა, მეხთამტყორცნელის სახელობის ძალუძი ძუხა იდგა, მის ფესვებთან კი ჭიანჭველებს ბუდე ჰქონდათ. ათასობით შრომისმოყვარე ჭიანჭველა ფუსფუსებდა ბუდესთან. ეაკემ შემთხვევით მოჰკრა თვალი და დიდხანს შესცქეროდა, როგორ საქმიანობდნენ, ირჯებოდნენ, ჭიანჭველების ქალაქს აშენებდნენ, და შესთხოვა:

— ო, მწყალობელო მამა ზევსო, მომეცი იმდენი შრომისმოყვარე მოქალაქე, რამდენი ჭიანჭველაცაა ამ ბუდეში.

თქვა თუ არა ეს ეაკემ, მუხამ ძლიერი ტოტები შეარხია და ფოთლები შეაშრიალა, თუმცა სიოც კი არ ქროდა. კიდევ ერთი ნიშანი მისცა ზევსმა ეაკეს.

დაღამდა. საოცარი რამ ესიზმრა ეაკეს. ზევსის წმინდა მუხის ტოტები ერთიანად დაეფარათ ჭიანჭველებს. შეირხა ტოტები, წვიმასავით დაცვივდნენ ჭიანჭველები, ძირს რომ ეცემოდნენ, თანდათან იზრდებოდნენ. აი, წამოდგნენ, წელში გასწორდნენ, გაქრა მათი მუქი ფერი და სიგამხდრე. თანდათან ადამიანებად იქცნენ. გაიღვიძა ეაკემ, არ დაიჯერა გრძნეული სიზმარი, კიდეც დააყვედრა ღმერთებს, არ მეხმარებითო. უეცრად ძლიერი ხმაური გაისმა. ეაკეს ესმის ნაბიჯების ხმა, ადამიანების საუბარი, რაც დიდი ხანია არ სმენია. „სიზმარი ხომ არ ამყოლიაო?“ — გაიფიქრა. უეცრად შემორბის მისი შვილი ტელამონი, და გახარებული უხმობს მამას:

— ჩქარა გამოდი, მამა! შენ ნახავ უდიდეს სასწაულს, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენდი.

გამოვიდა ეაკე სამყოფელიდან და ცხადლივ ნახა ადამიანები, რომელთაც სიზმარში ხედავდა. ჭიანჭველებისაგან შექმნილმა ხალხმა ეაკე მეფედ გამოაცხადა, ხოლო ეაკემ თავის ხალხს მირმიდონელები უწოდა. ასე დასახლდა ხელასლა ეგინა.

დანაიდები

ძირითადად მოთხრობილია ესქილეს ტრაგედიის „მავედრებელი ქალების" მიხედვით

ზევსისა და იოს ვაჟს ეპაფეს ჰყავდა შვილი ბელე, ხოლო მას კი — ორი ვაჟი: ეგვიპტოსი და დანაოსი. მთელ იმ ქვეყანას, რომელსაც ნილოსი რწყავს, ეგვიპტოსი განაგებდა, მისგანვე მიიღო ამ ქვეყანამ სახელწოდება. დანაოსი კი ლიბიაში მეფობდა. ღმერთებმა ეგვიპტოსს ორმოცდათი ვაჟი მისცეს, დანაოსს კი — ორმოცდაათი მშვენიერი ასული. დანაიდებმა თავიანთი სილამაზით დაატყვევეს ეგვიპტოსის ვაჟები, რომელთაც მათთან შეუღლება განიზრახეს. მაგრამ დანაოსისა და დანაიდებისაგან უარი მიიღეს. მაშინ ეგვიპტოსის შვილებმა დიდი ლაშქარი შეკრიბეს და ომი გამოუცხადეს დანაოსს. ჰეფე დანაოსი ძმისშვილებმა დაამარცხეს, აიძულეს დაეთმო ტახტი და გაქცეულიყო. ქალღმერთ ათენა-პალადას შეწევნით დანაოსმა ააშენა პირველი ორმოცდაათნიჩბიანი ხომალდი და ქალიშვილებთან ერთად თავი უნაპირო ზღვის ტალღებს მიანდო.

დიდხანს მიაპობდა ზღვის მარად მღელვარე ტალღებს დანაოსი და ბოლოს კუნძულ როდოსს მიადგა. აქ დანაოსი შეჩერდა. ქალიშვილების თანხლებით ნაპირზე გადავიდა, შექმნა თავისი მფარველი ქალღმერთის სახელობის სამლოცველო და მეფური მსხვერპლი შესწირა. დანაოსი როდოსზე არ დარჩენილა. ეგვიპტოსის შვილთა დევნისათვის თავი რომ დაეღწია, თავის ქალიშვილებთან ერთად გზა განაგრძო, საბერძნეთისაკენ გასცურა და ჩავიდა არგოლიდაში. თავისი წინაპრის იოს სამშობლოში. თვით ზევსი მფარველობდა ხომალდს უკიდეგანო ზღვაში სახიფათო ცურვის დროს. ხომალდმა გრძელი გზა განვლო და არგოლიდის ბარაქიან ნაპირებს მიადგა. აქ იმედოვნებდნენ დანაოსი და დანაიდები ეპოვათ თავშესაფარი და თავი ეხსნათ ეგვიპტოსის ვაჟიშვილებთან საძულველი შეუღლების საფრთხისაგან.

თავშესაფრის მაძიებელ მავედრებელთა სახით გავიდნენ დანაიდები ნაპირზე, ხელში ზეთისხილის რტოები ეკავათ. ნაპირზე არავინ ჩანდა. ბოლოს, შორს მტვრის ღრუბელი გამოჩნდა; სწრაფად მოახლოვდა. აი, მტვრის კორიანტელში

ფარებმა, მუზარადებმა და შუბებმა გაიელვეს. გაისმა საბრძოლო ეტლების თვლების გრიალი. ეს არგოლიდის მეფის პელასგეს, პალექტონის ძის, ლაშქარი ახლოვდებოდა. გემის მოახლოების ამბავი რომ აუწყეს, მეფე თავისი ჯარის თანხლებით ნაპირისაკენ გამოეშურა. მაგრამ მას აქ მტერი კი არა, ბერიკაცი დანაოსი და მისი ორმოცდაათი მშვენიერ ასული დახვდა. ზეთისხილის რტოებით შეეგებნენ ისინი პელასგეს, შველასა და თავშესაფარს ითხოვდნენ. თვალცრემლიანნი, ხელებგაწვდილნი ევედრებიან გვიხსენი ეგვიპტოსის ამაყი ვაჟიშვილებისაგანო. მავედრებელთა მფარველ მძლეთამძლე ზევსის სახელით აფიცებენ მშვენიერი დანაიდები პელასგეს, ნუ გაგვცემო. არგოლიდაში უცხონი ხომ არ არიან — ეს მათი წინაპარის იოს სამშობლოა.

პელასგე ჯერ კიდევ ყოყმანობს — ეგვიპტის ძალუმ მბრძანებელთან ომი აშინებს. რა ქნას? მაგრამ ძალიან ეშინია ზევსის რისხვისაც, თუ მეხთამტყორცნელის კანონს დაარღვევს და მისი სახელით მფარველობის მავედრებელთ ხელსა ჰკრავს. ბოლოს პელასგემ დანაოსს ურჩია თავისი ფეხით წასულიყო არგოსში და იქ ღმერთების საკურთხეველზე ზეთისხილის რტოები დაედო, ნიშნად იმისა, რომ მფარველობას ითხოვს. თვითონ კი ხალხის შეყრა და რჩევის კითხვა განიზრახა. პელასგე დანაიდებს დაჰპირდა, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ არგოსელებმა მფარველობა გაგიწიონო.

პელასგე მიდის. მღელვარებით ელიან დანაიდები ხალხის განაჩენს. იციან, რა შეუპოვარნიც არიან ეგვიპტოსის შვილები, რა სასტიკნი არიან ბრძოლაში. იციან, რა დღე მოელით, თუ მეფისწულები არგოლიდის ნაპირებს მოადგებიან. რას იზამენ უმწეო ქალწულები, თუ არგოსის მკვიდრნი თავშესაფრის მიცემაზე და დაცვაზე უარს ეტყვიან? უბედურება ახლოვდება. უკვე მოვიდა ეგვიპტოსის შვილების შიკრიკი. ძალით აგიყვანთო ხომალდზე, — ემუქრება დანაიდებს. აი, ხელი სტაცა ერთს და თავის მონებს უბრძანა, დანარჩენებიც წამოიყვანეთო. მაგრამ აქ ხელახლა გამოჩნდება მეფე პელასგე, დანაიდებს თავის მფარველობას უცხადებს, არ აშინებს ეგვიპტოსის შვილთა შიკრიკი, ომით რომ ემუქრება.

დაღუპვა მოუტანა პელასგესა და არგოლიდის მცხოვრებთ გადაწყვეტილებამ მფარველობა გაეწიათ დანაოსისა და დანაიდებისათვის. სისხლისმღვრელ ბრძოლაში დამარცხებული მეფე იძულებული გახდა თავისი ვრცელი საბრძანებლის უკიდურეს ჩრდილოეთში გადახვეწილიყო. მართალია, დანაოსი არგოსის მეფედ აირჩიეს, მაგრამ ეგვიპტის მეფის შვილებთან ზავი ძვირად დაუჯდა: იძულებული გახდა თავისი მშვენიერი ასულები მათთვის მიეცა.

დიდებული ქორწილი გადაიხადეს ეგვიპტოსის შვილებმა. რა იცოდნენ, რა განსაცდელს უმზადებდა მათ ეს ქორწინება! დასრულდა აურზაურიანი საქორ-

დანაიდები მიწისქვეშა სამეფოში უძირო ქვევრს ავსებენ წყლით, მათგან მარცხნივ კლდეზე ზის ღმერთი ჰერმესი (ბ ა რ ე ლ ი ე ფ ი. ძვ. წ. I ს ა უ კ.).

წინო ნადიმი. მიწყდა საქორწინო ჰიმნების ხმა, ჩაქრა საქორწინო ჩირაღდნები. არგოსის თავზე ღამის წყვდიადი ჩამოწვა. ღრმა დუმილს მოეცვა მძინარე ქალაქი. ანაზდად, ღამის დუმილში გაისმა მომაკვდავი ადამიანის მძიმე კვნესა, მას მოჰყვა მეორე, მერე მესამე. კიდევ და კიდევ. საშინელი დანაშაული ჩაიდინეს ღამის საფარველქვეშ დანაიდებმა. როგორც კი ქმრებს დაეძინათ, მამის მიცემული ხანჯლებით პატარძლებმა თავები დააკრეს მათ. ასეთი საშინელი სიკვდილით დაიღუპნენ ეგვიპტოსის შვილები. გადარჩა მხოლოდ ერთი მათგანი, ლინკევსი, მშვენიერი ჰაბუკი. დანაოსის ნორჩმა ასულმა ჰიპერმნესტრამ შეიბრალა თავისი ლამაზი ქმარი. ძალა არ ეყო ხელი აღემართა და ხანჯლით განეგმირა მეუღლის მკერდი. ჩუმად გააღვიძა და სასახლიდან გაიყვანა.

გაშმაგდა დანაოსი, როცა გაიგო, რომ ჰიპერმნესტრა მის ბრძანებას არ დაეძორჩილა. დანაოსმა ასული შეიპყრო, მძიმე ბორკილები დაადო და დილეგში ჩასვა, შემდეგ შეიკრიბა არგოსელ უხუცესთა სამსჯავრო, რათა მამის ურჩობისათვის ჰიპერმნესტრა სასტიკად დაესაჯა. დანაოსი მის სიკვდილს ითხოვდა. მაგრამ სასამართლოში გამოცხადდა თვით სიყვარულის ქალღმერთი, ოქროს აფროდიტე, დაიცვა ჰიპერმნესტრა და იხსნა იგი საშინელი აღსასრულისაგან.

დანაოსის გულკეთილი, მოყვარული ქალიშვილი ლინკევსის ცოლი გახდა. ღმერთებმა დალოცეს ეს ქორწილი, სახელოვან გმირთა მრავალრიცხოვან შთამომავლობას მიეცესო დასაბამი ამ ქორწინებით. თვით ჰერაკლე, ბერძენთა უდიდესი გმირი, ლინკევსის გვარისაა.

ზევსს არც სხვა დანაიდების დაღუპვა უნდოდა. მისი ბრძანებით ათენამ და ჰერმესმა დანაიდებს დაღვრილი სისხლის ლაქები ჩამოჰბანეს. მეფე დანაოსმა ოლიმპოს ღმერთების პატივსაცემად დიდი ასპარეზობა მოაწყო. ამ ასპარეზობაში გამარჯვებულებმა საჩუქრად დანაოსის ასულები მიიღეს.

მაგრამ დანაიდები მაინც ვერ ასცდნენ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელს, რომელსაც სიკვდილის შემდეგ ჰადესის პირქუშ სამეფოში იხდიან. დანაიდებმა უნდა აავსონ უზარმაზარი უძირო ჭურჭელი. მარად ეზიდებიან წყალს, ქვესკნელის მდინარიდან რომ იღებენ, და ჭურჭელში ასხამენ. აი, თითქოს უკვე აავსეს, მაგრამ წყალი გაედინება და ჭურჭელი ისევ ცარიელია. ისევ თავიდან იწყებენ დანაიდები მუშაობას, ისევ ასხამენ წყალს უძირო ქვევრში. ასე გრძელდება უსასრულოდ მათი უნაყოფო შრომა.

პერსევსი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

ღაბაღება

არგოსის მეფე აკრისიას, ლინკევსის შვილიშვილს, ჰყავდა სიტურფით განთქმული ასული დანაე. აკრისიას ორაკულმა უწინასწარმეტყველა, დანაეს შვილის ხელით მოკვდებიო. ასეთი ბედისათვის თავი რომ დაეღწია, მან ღრმა მიწისქვეშეთში ქვისა და ბრინჯაოსაგან ფართო სამყოფელი ააშენა და თავისი ქალიშვილი იქ დაამწყვდია, რომ არავის ენახა.

მაგრამ დიდმა მეხთამტყორცნელმა ზევსმა შეიყვარა დანაე, მიწისქვეშეთში ოქროს წვიმის სახით შეაღწია და აკრისიას მშვენიერი ასული ზევსის ცოლი გახდა. ამ ქორწინებისაგან დანაეს ვაჟი შეეძინა. დედამ მას პერსევსი უწოდა.

დიდხანს არ უცხოვრია პატარა პერსევსს დედასთან მიწისქვეშეთში. ერთხელ აკრისიამ პატარა პერსევსის ხმა და მხიარული სიცილი გაიგონა. თავის ქალიშვილთან ჩავიდა, რათა გაეგო, რატომ ისმის მის სამყოფელში პატარა ბავშვის ხმა. აკრისიას გაუკვირდა, პატარა მომხიბლავი ბიჭუნა რომ დაინახა. თავზარი დაეცა, როცა გაიგო, რომ ეს ზევსისა და დანაეს შვილია. მაშინვე მოაგონდა ორაკულის წინასწარმეტყველება. ისევ მოუხდა იმაზე ფიქრი, თუ რო-

დანაე მიწისქვეშა სასახლეში, ზევიდან მას ეცემა ოქროს წვიმა (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

გორ დაეღწია თავი მოსალოდნელი ხიფათისათვის. ბოლოს აკრისიამ ბრძანა: დიდი ხის კიდობანის აგება, ჩასვა შიგ დედა-შვილი, დაუდა და მონებს ზღვაში გადაგდება უბრძანა.

დიდხანს დაცურავდა კიდობანი მლაშე ზღვის ტალღებში. დაღუპვა ელოდათ დანაესა და მის ვაჟიშვილს. ტალღები აქეთ-იქით აქანავებდნენ კიდობანს, ხან ქაფიან თხემებზე შეისროდნენ, ხან კი ზღვის უფსკრულებში სტყორცნიდნენ. ბოლოს მარად დაუცხრომელმა ტალღებმა ეგეოსის ზღვის კუნძულ სერიფოსის ნაპირზე მიაგდეს. ამ დროს ნაპირზე მეთევზე დიქტისი თევზაობდა, როგორც კი ბადე ტალღებში გადაისროლა, კიდობანი ბადეში მოხვდა. მეთევზემ დედა-შვილი ნაპირზე გამოიყვანა. უსაზღვრო იყო დიქტისის გაოცება, როცა კიდობანი გახსნა და ნახა თვალწარმტაცი ქალი და მისი მშვენიერი ბიჭუნა. დიქტისმა ორივე თავის ძმას, სერიფოსის მეფეს პოლიდექტეს მიჰგვარა.

პერსევსი მეფე პოლიდექტეს სასახლეში გაიზარდა და გახდა ძლიერი, კარგი აღნაგობის ჭაბუკი. ვარსკვლავის მსგავსად ციმციმებდა სერიფოსელ



აკრისიოსი დანაესა და პერსევსს სვამს კიდობანში (ნახატი ღარნაკზე).

ჭაბუკთა შორის თავისი ღვთაებრივი სილამაზით. ვერვინ შეედრებოდა მას ვერც მშვენებით, ვერც ძალ-ღონით, ვერც სიმკვირცხლით, ვერც ვაჟკაცობით.

პერსევსი კლავს გორგონა მედუზას

პოლიდექტემ განიზრახა მშვენიერი დანაე ძალით შეერთო ცოლად. მაგრამ დანაეს სძაგდა სასტიკი მეფე პოლიდექტე. პერსევსი თავის დედას გამოექომაგა. განრისხდა პოლიდექტე და იმ დღიდან მხოლოდ ერთს ფიქრობდა — როგორ დაეღუპა პერსევსი. ბოლოს და ბოლოს პოლიდექტემ განიზრახა პერსევსი გორგონა მედუზას თავის მოსატანად გაეგზავნა. ჭაბუკს უხმო და უთხრა:

— თუ ნამდვილად მეხთამტყორცნელი ზევსის შვილი ხარ, უარს არ მეტყვი მოახდინო უდიდესი გმირობა. შენი გული არავითარი განცდელის წინაშე არ შედრკება. დამიმტკიცე, რომ ზევსი შენი მამაა და მომიტანე გორგონა მედუზას თავი. ო, მჯერა, ზევსი დაეხმარება თავის ვაჟს!

ამაყად შეხედა პერსევსმა პოლიდექტეს და მშვიდად მიუგო:

— იყოს ნება შენი. მე მოგიტან გორგონას თავს.

შორი გზის გავლა იკისრა პერსევსმა. დედამიწის დასავლეთი კიდისათვის უნდა მიეღწია და იმ ქვეყანაში ჩასულიყო, სადაც მეფობენ ქალღმერთი ღამე

და სიკვდილის ღმერთი თანატოსი. იმ ქვეყანაში ცხოვრობდნენ საშინელი გორგონებიც. მთელი ტანი დაფარული ჰქონდათ მოლაპლაპე და ფოლადივით მაგარი ქერტლით. არავითარ მახვილს არ ძალუძდა ამ ქერტლის გაჭრა, მხოლოდ ჰერმესის მრუდე ხმალს შეეძლო მისი გაკვეთა. სპილენძის უზარმაზარი ხელები და წვეტიანი ფოლადის ჭანგები ჰქონდათ გორგონებს. თავებზე თმის ნაცვლად შხამიანი გველები ირეოდნენ და სისინებდნენ. ხანჯლის წვერივით წვეტიანი ეშვები, სისხლივით წითელი ტუჩები, მძვინვარებით ანთებული თვალები და ბოროტებით აღსავსე, ისეთი საზარელი სახეები ჰქონდათ, რომ გორგონების ერთ შემოხედვაზე ყოველი ცოცხალი არსება ქვავდებოდა. ოქროსავით მოელვარე ფრთებით დანავარდობდნენ გორგონები ჰაერში. ვაი მას, ვისაც შეხვდებოდნენ! სპილენძის ხელებით ნაკუწ-ნაკუწად აქცევდნენ და ცხელ სისხლს ამოსწოვდნენ.

მძიმე, ადამიანისათვის შეუძლებელი საგმირო საქმე ელოდა წინ პერსევსს. მაგრამ ოლიმპოს ღმერთები ვერ გასწირავდნენ ზევსის შვილს დასაღუპავად. დასახმარებლად ღმერთების შიკრიკი, ფიქრივით სწრაფი ჰერმესი და ზევსის საყვარელი ასული, მებრძოლი ათენა გამოეშურნენ. ათენამ პერსევსს სპილენძის ისეთი კრიალა ფარი მისცა, რომ შიგ ყველაფერი ისე ირეკლებოდა, როგორც სარკეში. ჰერმესმა კი პერსევსს დაუთმო თავისი ბასრი მახვილი, რომელიც უმაგრეს ფოლადს რბილი ცვილივით ჭრიდა. ღმერთების შიკრიკმა ახალგაზრდა გმირს ასწავლა როგორ ეპოვნა გორგონები.

გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი პერსევსს. მრავალი ქვეყანა გადასერა, მრავალი ხალხი ნახა. ბოლოს მიაღწია პირქუშ მხარეს, სადაც მოხუცი გრაიები ცხოვრობდნენ. სულ სამნი იყვნენ, სამივეს მხოლოდ ერთი კბილი და ერთი თვალი ჰქონდათ, მორიგეობით იყენებდნენ. ვიდრე თვალით ერთი გრაია სარგებლობდა, სხვები ბრმები იყვნენ და თვალხილული გრაია უსინათლო, უმწეო დებს მიუძღოდა, ხოლო როდესაც გრაია თვალს გამოიღებდა, რათა რიგისამებრ მეორისათვის გადაეცა, სამივე და ბრმა იყო. აი, ეს გრაიები იცავდნენ გორგონების ქვეყანაში მიმავალ გზას, მხოლოდ მათ იცოდნენ ეს გზა. პერსევსი სიბნელეში ჩუმად მიეპარა გრაიებს და ჰერმესის რჩევისამებრ ერთ-ერთ მათგანს თვალი ხელიდან გამოსტაცა სწორედ იმ დროს, როდესაც ეს ჯადოსნური თვალი მას თავისი დისთვის უნდა გადაეცა. თავზარდაცემულმა გრაიებმა ერთხმად შეჰყვირეს. ახლა სამივე ბრმა იყო, რა უნდა ექნათ უსინათლო და უმწეო გრაიებს? დაუწყეს პერსევსს ვედრება, აფიცებდნენ ყველა ღმერთის სახელს, დაგვიბრუნე თვალიო. მზად იყვნენ ყველაფერი გაეკეთებინათ გმირისათვის, ოღონდ საუნჯე უკანვე მიეღოთ. მაშინ პერსევსმა თავისი მოითხოვა: მე თვალს

დაგიბრუნებთ, თქვენ კი გორგონების ქვეყნის გზა მიჩვენეთო. დიდხანს ყოყმანობდნენ გრაიები, მაგრამ უსინათლოდ დარჩენაც არ უნდოდათ და იძულებული გახდნენ დაეთმოთ. ასე გაიგო პერსევსმა გორგონთა კუნძულის გზა და სწრაფად გაეშურა იქით.

ამ გზაზე პერსევსს ნიმფები შეხვდნენ და სამი საჩუქარი მისცეს: მიწისქვეშა სამეფოს მბრძანებლის ჰადესის მუზარადი, რომელიც უჩინარს ხდიდა ყველას, ვინც დაიხურავდა. ფრთოსანი სანდლები, რომელთა მფლობელიც სწრაფად იფრენდა ჰაერში და ჯადოსნური ჩანთა: ეს უკანასკნელი იზრდებოდა ან პატარავდებოდა იმის მიხედვით, თუ რა იყო შიგ მოთავსებული. პერსევსმა მუზარადი დაიხურა, სანდლები ჩაიცვა, ჯადოსნური ჩანთა მხარზე გადაიკიდა და ელვის სისწრაფით გაფრინდა გორგონთა კუნძულისაკენ.

მაღლა ცაში მიფრინავდა პერსევსი. დაბლა გადაშლილიყო დედამიწა და მწვანე ველებზე ვერცხლის ზოლებად იკლაკნებოდნენ მდინარეები. მზერას იტაცებდნენ ქალაქები, მარმარილოსავით თეთრად ელვარებდნენ ღმერთთა ტაძრები. შორს აზიდულიყვნენ მწვანით დაფარული მთები და ალმასის თვლებივით ციმციმებდნენ მზის სხივებზე თოვლით დაფარული მწვერვალები. ნიავქარივით მიჰქრის ცაში პერსევსი. ისე მაღლა მიფრინავს, რომ იმ სიმაღლეზე არწივებიც ვერ შეინავარდებენ თავიანთი ძალუმი ფრთებით. აი, სადღაც შორეულ დასალიერში ოქროსფრად აციმციმდა ზღვა. ახლა პერსევსი ზღვის თავზე მიფრინავს და ტალღების შრიალი ოდნავ სწვდება მის სმენას. აი, აღარ ჩანს მიწა. ყველგან, სადაც კი გმირის მზერა სწვდება, წყლის ველი გადაზიდულა. ბოლოს ზღვის ლურჯ შორეთში შავ ზოლად გამოჩნდა ციდა კუნძული, რომელიც სულ უფრო და უფრო ახლოვდება ეს გორგონების კუნძულია. რაღაც ციმციმებს ამ კუნძულზე, აუტანელი ბზინვით თვალსა სჭრის მზის სხივებზე. უფრო დაბლა დაეშვა პერსევსი. არწივის მსგავსად დანავარდობს სივრცეში და ხედავს: კლდეზე სამი საშინელი გორგონა წევს. სამივეს სძინავს. ფართოდ გაუშლიათ სპილენძის ხელები, ცეცხლივით გიზგიზებენ მზეში მათი ფოლადის ფორეჯები. საზარელ თავებზე მძინარე გველები ოდნავ ირხევიან. მყისვე თვალი მოარიდა. ეშინია მათი მრისხანე სახეების ხილვისა — საკმარისია ერთი შეეხოხედვა და ადამიანი ქვად იქცევა. პერსევსმა ათენა-პალადას ფარი აიღო — ფარზე სამივე გორგონა აირეკლა. რომელი მათგანია მედუზა? ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთიმეორეს სამივენი. გორგონებს შორის მხოლოდ მედუზაა მოკვდავი, მხოლოდ მისი მოკვლაა შესაძლებელი. ჩაფიქრდა პერსევსი. აქ გმირს ისევ ჰერმესი დაეხმარა. ფეხმარდმა შიკრიკმა მედუზა უჩვენა და ყურში ჩასჩურჩულა.

— ჩქარა, პერსევს! გაბედულად დაეშვი დაბლა. აი, კიდეზე რომ წევს,

ზღვის მხარეს, ისაა მედუზა. მოსჭერი თავი. გახსოვდეს, არ შეხედო! ერთი თუ შემოგხედა, დაღუპული ხარ. იჩქარე, ვიდრე გორგონები გაიღვიძებენ!

როგორც არწივი აცხრება ციდან თავის მსხვერპლს, ისე დააცხრა პერსევსი მძინარე მედუზას. ელვარე ფარზე უყურებს მის სახეს, რომ სწორად დაჰკრას. მედუზის თავზე დაზვინებულმა გველებმა საფრთხის მოახლოვება იგრძნეს. ჭრისხანე სისინით ასწიეს თავები. მედუზა ძილში შეირხა. თვალები გაახილა. იმავე წამს ბასრმა მახვილმა გაიელვა. ერთი დაკვრით წააჭრა პერსევსმა მედუზას თავი. გორგონას ღვარად ჩამოედინა შავი სისხლი. ანაზდად ცაში შეინავარდეს მედუზას სხეულიდან შავ სისხლთან ერთად გამოსულმა ფრთოსანმა რაშმა პეგასმა და ბუმბერაზმა ქრიზაორომ. სწრაფად ჩაავლო ხელი მედუზას თავს პერსევსმა და ჯადოსნურ ჩანთაში ჩააგდო. სასიკვდილოდ დაკრუნჩხული მედუზას ტანი ზღვაში გადავარდა. ვარდნის ხმაურმა გამოაღვიძა მედუზას დები — სტეინო და ევრიალე. ძალუმი ფრთები შეარხიეს, აფრინდნენ და შმაგად მოელვარე თვალთა ბრიალით დაიწყეს მტრის ძებნა. ხმაურით დასრიალებენ ჰაერში გორგონები, მაგრამ მათი დის მედუზას მკვლელი უკვალოდ გაუჩინარდა. არც ერთი ცოცხალი არსება არ ჩანდა არც კუნძულზე, არც შორეულ ზღვაში. პერსევსი კი მოგუგუნე ზღვის ზემოთ მიჰქროდა, ჰადესის მუზარადის წყალობით უჩინარქმნილი. აგერ უკვე ლიბიის უდაბნოების თავზე მიფრინავს. ჩანთიდან უდაბნოს ქვიშას წვეთ-წვეთად ეცემოდა მედუზას სისხლი. ამ მძიმე წვეთებისაგან უდაბნოში შხამიანი გველები ჩნდებოდნენ. მთელი გარემო ქვეწარმავლებით აივსო, ყველა ცოცხალი არსება გაურბოდა ასპიტთა გუნდებს. გველებმა ლიბია უდაბნოდ აქციეს.

პერსევსი და ატლანტი

სულ უფრო და უფრო შორდება პერსევსი გორგონათა კუნძულს. შმაგი ქარის მიერ დევნილი ღრუბელივით მიჰქრის ცაში გამარჯვებული გმირი. ბოლოს მიაღწია იმ ქვეყანას, სადაც მეფობდა ტიტან იაპეტის შვილი, პრომეთეს ძმა, ბუმბერაზი ატლანტი. ათასობით ნაზსაწმისიანი ცხვრის, ძალუმრქიანი ხარების და ძროხების ჯოგი ბალახობდა ატლანტის ველ-მინდვრებზე. დიდებული ბაღები იფურჩქნებოდნენ მის სამფლობელოებში, ბაღებში კი ოქროს ტოტებიანი და ოქროსფოთლებიანი ვაშლის ხე იდგა. ამ ხის ნაყოფიც ოქროსი იყო. ატლანტი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ამ ხეს, ის იყო მისი უდიდესი საუნჯე და სიამაყე. ქალღმერთმა თემიდამ ოდესღაც უწინასწარმეტყველა, დადგება დღე, გესტუმრება ზეესის შვილი და შენი ოქროს ხიდან ოქროს

ვაშლებს მოიტაცებსო. ატლანტს ამისი ეშინოდა. ბაღს, რომელშიაც ოქროს ვაშლის ხე იზრდებოდა, მაგარი ზღუდე შემოარტყა და შესასვლელთან დარაჯად დააყენა დრაკონი, რომელიც პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. ატლანტი თავის სამფლობელოში არ უშვებდა უცხოელებს — ეშინოდა, ზევსის შვილი არ იყოსო. აი, ამ ატლანტს ესტუმრა ფრთოსანი სანდლებით მოფრენილი პერსევსი და მეგობრულად მიმართა:

— ო, ატლანტო, მიმიღე, როგორც სტუმარი, გამიღე შენი სასახლის კარი. მე, ზევსის შვილი პერსევსი ვარ, მედუზას მკვლელი. დამასვენე შენს ჭერქვეშ, ასეთი საგმირო საქმით დაქანცული.

როცა ატლანტმა გაიგონა, რომ პერსევსი ზევსის შვილია, მაშინვე მოაგონდა ქალღმერთ თემიდას წინასწარმეტყველება და სტუმარს უხეშად უპასუხა:

— აქედან დამეკარგე! ვერას გიშველის შენი სიცრუე დიდ საგმირო საქმეზე, ვერც ეს ბაქიობა, თითქოს მართლა მეხთამტყორცნელის შვილი იყო!

ატლანტმა სტუმრის სახლიდან გაგდება მოინდომა. პერსევსი გრძნობდა, რომ ძალუმ ბუმბერაზს ბრძოლაში მხარს ვერ გაუსწორებდა და თვითონვე გაეცალა. რისხვით აევსო გული ჭაბუკ გმირს. ატლანტმა შეურაცხჰყო სტუმართმოყვარეობის წესი და თან მატყუარა უწოდა.

განრისხებული პერსევსი ბუმბერაზს მიუბრუნდა:

— კარგი, ატლანტ, სახლიდან მაგდებ! საჩუქარი მაინც მიიღე ჩემგან!

ამ სიტყვებთან ერთად პერსევსმა ჩანთიდან სწრაფად ამოიღო მედუზას თავი და ატლანტს აჩვენა. ბუმბერაზი მაშინვე მთად იქცა. თმა და წვერი ხშირფოთლებიან ტყედ ექცა, ხელ-ფეხი ცად აზიდულ კლდეებად. მას შემდეგ ატლანტი თავისი მხრებით აკავებს ვარსკვლავიანი ცის თაღს.

პერსევსი კი, ცისკრის ვარსკვლავს აჰყვა, ჰაერში აფრინდა და გზა განაგრძო.

პერსევსი ათიოპიისუფლებს ანდრომედეს

დიდხანს იქროლა პერსევსმა და ბოლოს ოკეანის სანაპიროზე ეთიოპიაში მდებარე კეფევსის სამეფოს ძიაღწია. იქ, სალ კლდეზე, ზღვის ნაპირთან ნახა კლდეზე მიჯაჭვული მეფე კეფევსის მშვენიერი ასული ანდრომედე, რომელსაც თავისი დედის კასიოპეს ცოდვა უნდა გამოესყიდა. კასიოპემ განარისხა ზღვის ნიმფები. თავისი სილამაზით გაამაყებულმა განაცხადა მშვენებით ტოლი არა მყავსო. განრისხდნენ ამაზე ნიმფები და ზღვის ღმერთს პოსეიდონს შეევედრნენ, სასტიკად დაესაჯათ მეფე კეფევსი და მისი ცოლი კასიოპე. ნიმფების თხოვ-

ნით, პოსეიდონმა უზარმაზარი თევზის მსგავსი ურჩხული გაგზავნა მეფე-დედოფლის დასასჯელად. ზღვის უფსკრულიდან ამოცურა ურჩხულმა და კეფესის სამფლობელოები გააპარტახა. კვნესა-ტირილის ხმამ აავსო კეფევსის სამეფო, ბოლოს მეფემ ამონში ზევსის ორაკულს მიმართა და ჰკითხა, როგორ დავაღწიო თავი ამ უბედურებასო. ორაკულმა ასეთი რჩევა მისცა:

— ურჩხულს შენი ასული ანდრომედე მიეცი დასაგლეჯად, და მაშინ დასრულდება პოსეიდონის რისხვაო.

ხალხმა გაიგო ორაკულის პასუხი და მეფე აიძულა, ანდრომედე კლდეზე მიეჯაჭვა. ელდისაგან ფერწასული იდგა ზღვისპირას კლდეზე მძიმედ მიჯაჭვული ანდრომედე. გამოუთქმელი შიშით შესცქეროდა ზღვას, ცახცახით ელოდა ურჩხულის გამოჩენას უმწეო ქალიშვილი. ღვარად ჩამოსდიოდა თვალთაგან ცრემლი მარტო იმის გახსენებაზე, რომ უნდა დაიღუპოს მშვენიერი უმაწვილქალობის გაფურჩქნის ჟამს, ისე რომ სიცოცხლის სიამით არ დამტკბარა. აი, ამ დროს ნახა პერსევსმა. პაროსის მარმარილოს მშვენიერ ქანდაკებად მიიჩნევდა ქარში აფრიალებული მისი თმები და თვალთაგან მონადენი ცრემლი რომ არ ეხილა. აღტაცებით შესცქერის ახალგაზრდა გმირი ანდრომედეს და სიყვარულის ნაპერწკალი ღვივდება მის გულში. სწრაფად დაეშვა დაბლა და ალერსიანად ჰკითხა:

— ო, მითხარ, მშვენიერო ქალწულო, ეს რა ქვეყანაა, ან რა გქვია სახელად! მითხარ, რისთვის ხარ კლდეზე მიჯაჭვული?

ანდრომედემ უამბო, ვისი მიზეზით მოელოდა ტანჯვა-წამება. არ ისურვა მშვენიერმა ქალწულმა, რომ გმირს ეფიქრა, თითქოს საკუთარი დანაშაულისათვის უნდა დაისაჯოს. ჯერ კიდევ არ დაესრულებინა თხრობა, რომ ზღვის უფსკრული გაიპო და ტალღებს შორის ურჩხული გამოჩნდა. თავი მაღლა ასწია და უზარმაზარი ხახა გააღო. ხმამაღლა შეჰყვირა ელდანაკრავმა ანდრომედემ. დარდით გაოგნებული კეფევსი და კასიოპე ნაპირთან მოვიდნენ. მწარედ მოსთქვამენ და ქალიშვილს ეხვევიან. ხსნა არსით არის!

მაშინ ამეტყველდა ზევსის შვილი, პერსევსი:

— ცრემლის ღვრას კიდევ მოასწრებთ, საამისო დრო გექნებათ, ხოლო თქვენი ქალიშვილის გადასარჩენად მცირე დრო დარჩა. მე ზევსის შვილი ვარ, გველებით თავშემოგარული გორგონა მედუზა მოვკალი. მომეცით ცოლად თქვენი ასული ანდრომედე და ვიხსნი დასაღუპავად განწირულს.

სიამოვნებით დათანხმდნენ კეფევსი და კასიოპე. მზად იყვნენ ყველაფერი გაეკეთებინათ თავიანთი ასულის მხსნელისათვის. კეფევსმა მთელი სამეფოც კი აღუთქვა მზითევში, ოღონდ ანდრომედე ეხსნა. ურჩხული მოახლოვდა.

მკერდით გააპო ტალღები, სწრაფად მიცურდა კლდესთან, როგორც ხომალდი ახალგაზრდა მკლავმაგარ ნიჩბოსანთა მარჯვენის ძალით რომ მიარღვევს ზვირთებს ფრთაშესხმულივით. უკვე ისრის გასროლაზე იყო ურჩხული, როცა პერსევსი ჰაერში აფრინდა. ჩრდილი ზღვას მოადგა და გაშმაგებული ურჩხული გმირის ჩრდილს ეცა. გაბედულად დაეშვა მაღლიდან პერსევსი და ზურგში ღრმად ჩასცა მრუდე ხმალი. მძიმე ჭრილობა რომ იგრძნო, ურჩხული მაღლა შეხტა და აქეთ-იქით მიაწყდა, დაჭრილი ტახივით, რომელსაც ძაღლებმა ალყა შემოარტყეს და გაშმაგებული ყეფით თავგზა დაუკარგეს. ხან ღრმად ჩაყვინთავს წყალში, ხან ისევ ამოცურავს. გაშმაგებით სცემს წყალზე ურჩხული თავის თევზის კუდს და ათასობით შხეფი ეცემა სანაპირო კლდეთა მწვერვალებს. ქაფმა დაფარა ზღვა. ხახადაღებული ურჩხული პერსევსს ეცა, მაგრამ თოლიას სისწრაფით აფრინდა გმირი თავისი ოქროს სანდლებით. ისევ დაეშვა და რამდენიმეჯერ ზედიზედ დაჭკრა. სისხლი და წყალი მოსკდა სასიკვდილოდ დაჭრილი ურჩხულის ხახიდან. პერსევსის სანდლების ფრთები დასველდნენ, გაჭირვებით აკავებენ ჰაერში გმირს. სწრაფად მიიჭრა დანაეს ძლევამოსილი ვაჟი კლდესთან, ზღვიდან რომ იყო ამოშვერილი, მარცხენა ხელი ჩაავლო და მარჯვენით სამჯერ ვადამდე ჩასცა ჰერმესის მახვილი ურჩხულს შიგ მკერდში. საშინელი ბრძოლა დასრულდა. სიხარულის ყიჟინა ისმის ნაპირიდან. ყველა ადიდებს სახელოვან გმირს. მოხსნეს ბორკილი მშვენიერ ანდრომედეს, და გამარჯვებულ პერსევსს ზეიმით მიჰყავს კეფევსის სასახლეში თავისი საპატარძლო.

პერსევსის ქორწილი

მდიდრული მსხვერპლი შესწირა პერსევსმა თავის მამა ზევსს, ათენა-პალადასა და ჰერმესს. მხიარული საქორწინო ნადიმი დაიწყო კეფევსის სასახლეში. ჰიმენემ და ეროსმა თვიანთი ნელსურნელოვანი ჩირაღდნები აანთეს. კეფევსის მთელი სასახლე ყვავილებითაა მორთული. ხმამაღლა გაისმის კითარისა და ლირის ჟღერა, გუგუნებენ საქორწინო ქოროები. სასახლის კარები გაღებულია. სანადიმო დარბაზი ოქროსავით ელავს. კეფევსი და კასიოპე ნეფე-დედოფალთან ერთად ზეიმობენ, ნადიმობს მთელი სამეფოს ხალხი. სიხარული და მხიარულება მეფობს გარშემო. ნადიმზე პერსევსი თავის საგმირო საქმეებს მოუთხრობს ყველას. უეცრად დარბაზში გაისმის იარაღის ჟღარუნი. სასახლე საბრძოლო ყიჟინამ შეძრა; ასე გუგუნებენ ზღვის მბორგავი ტალღები, როდესაც სასტიკ ქარიშხალში მაღალ კლდოვან სანაპიროს ეხლებიან. ეს ანდრომედეს პირველი საქმრო ფინევსი მოვიდა, თან დიდი ჯარი ახლავს.

ფინევსი სასახლეში შევიდა, შუბი მოიქნია და ხმამაღლა შესძახა:

— ვაი შენ, პატარძალთა მომტაცებელო! ვერ დაგიხსნიან ჩემი მახვილისაგან ვერც შენი ფრთოსანი სანდლები, ვერც თვითონ მეხთამტყორცნელი ზევსი!

ფინევსს უნდოდა მყისვე ესროლა შუბი პერსევსისათვის, მაგრამ მეფე კეფევსმა შეაჩერა:

— რას სჩადი? ასე რამ გაგაშმაგა? ასე გინდა დაასაჩუქრო პერსევსი მის მიერ ჩადენილი გმირობისათვის? ეს იქნება შენი საქორწინო საჩუქარი? განა პერსევსმა სასძლო წაგართვა, მოგტაცა? არა, ის მოგტაცეს ადრე, მაშინ, როდესაც კლდეზე მისაჯაჭვავად მიჰყავდათ, როდესაც დასაღუპავად მიჰყავდათ. რატომ მაშინ არ გამოჩნდი დასახმარებლად? ახლა გინდა გამარჯვებულს საჩუქარი წაართვა? რატომ თვითონ არ გამოცხადდი ანდრომედესთან, კლდეზე რომ იყო მიჯაჭვული? რატომ მაშინ არ წაართვი იგი ურჩხულს?

ფინევსმა კეფევსს არაფერი უპასუხა, მხოლოდ შესცქეროდა ხან მას, ხან ზევსის შვილს, უეცრად მთელი ძალ-ღონე დაძაბა და პერსევსს შუბი სტყორცნა. შუბი გმირს ასცდა და მის საწოლს მოხვდა. ძალუმი ხელით გამოაძრო ახალგაზრდა გმირმა შუბი, წამოვარდა და უკანვე სტყორცნა. სასიკვდილოდ დაჭრიდა ფინევსს, მაგრამ ის საკურთხეველს ამოეფარა, შუბი გმირ რეტოსს მოხვდა და სასიკვდილოდ დაჭრილი ძირს დასცა. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. სწრაფად ჩამოიქროლა ოლიმპოდან მებრძოლმა ათენამ და თავის ძმას პერსევსს გვერდში ამოუდგა: თავისი ეგიდით დაფარა და უძლეველი გმირულა სული შთაბერა. პერსევსი ბრძოლაში ჩაება. ელვასავით დატრიალებდა მის ხელში სიკვდილის მთესველი მახვილი, რომლითაც გორგონა მედუზა განგმირა. ერთიმეორის მიყოლებით ხოცავს ფინევსის მხლებელ გმირებს. სისხლში მცურავ გმირთა სხეულები გორაკებად დგებიან პერსევსის გარშემო. პერსევსმა ორივე ხელი ჩაავლო უზარმაზარ ბრინჯაოს ჯამს, რომელშიაც სანადიმო ღვინოს აზავებდნენ, და თავში ესროლა გმირ ევრიტოსს, მეხდაცემულივით მოეკვეთა მუხლები, ძირს დავარდა გმირი და მისი სული მაშინვე აჩრდილთა სამეფოში გაფრინდა. ერთიმეორის მიყოლებით ეცემიან გმირები, მაგრამ ბევრი ვაჟკაცი მოიყვანა ფინევსმა. პერსევსი კი კეფევსის სამეფოში უცხოა, ცოტა მებრძოლი ახლავს, თითქმის მარტო ერთს უხდება ურიცხვ მტერთან ბრძოლა. პერსევსის მრავალი თანამოლაშქრე უკვე დაეცა მძვინვარე ბრძოლაში. შუბით გულგანგმირული დაეცა მომღერალიც, ოქროსსიმებიან კითარაზე დაკვრით, ტკბილხმოვანი სიმღერით რომ ატკბობდა მოქეიფეთ. დაცემის დროს დაჭრილმა მგოსანმა კითარის სიმებს რაღაც გამოჰკრა, და სიმები სასიკვდილო კვნესის მსგავ-

სად აეღერდნენ, მაგრამ მახვილთა ელარუნმა და მომაკვდავთა გმინვამ დაფარა სიმთა ხმა. როგორც სეტყვა და ხორხომელა ქარში, ისე ცვიოდა ისრები. პერსევსი სვეტს მიეყრდნო, გვერდი ათენას ფარით დაიფარა და ისე განაგრძო მტერთან ბრძოლა. მტერი კი ყოველის მხრიდან დაეხვია პერსევსს. სულ უფრო გამძაფრდა მის გარშემო ბრძოლა. პერსევსმა ნახა, დასასრული მოახლოვდა, და ხმამაღლა შესძახა დანაეს ძლევამოსილმა შვილმა:

— ჩემგან დამარცხებულ მტერთან ვიპოვნი ხსნას! თვითონ მაიძულეთ, რომ მისგან ვითხოვო დახმარება! ჩქარა მიბრუნდეს ყველა, ვინც ჩემი მეგობარია!

სწრაფად ამოიღო პერსევსმა ჩანთიდან გორგონა მედუზას თავი და მაღლა ასწია. ზედიზედ იქცევიან ქვის ქანდაკებებად გმირები, რომლებიც პერსევსს თავს ესხმიან. ერთნი გაქვავდნენ მტრის ჩასაცემად მახვილშემართულნი, სხვები — ბასრი შუბების მოქნევის დროს, დანარჩენები — ფარებით დაფარულნი. მედუზას სახის ერთი დანახვა ყველას მარმარილოს ქანდაკებად აქცევდა. მთელი სანადიმო დარბაზი მარმარილოს ქანდაკებებით აივსო. შიშმა შეიპყრო ფინევსი, როცა ნახა, რომ ყველა მისი მეგობარი ქვად ქცეულიყო. მუხლებზე დაემხო, ხელები ვედრებით გაუწოდა პერსევსს და შესძახა:

— შენ გაიმარჯვე, პერსევს! ო, მალე დამალე მედუზას საშინელი თავი, გევედრები დამალე. ო, ზევსის შვილო, ყველაფერი შენი იყოს, ყველაფერი დამითმია, მხოლოდ სიცოცხლე შემინარჩუნე!

პერსევსმა დაცინვით მიუგო ფინევსს:

— ნუ გეშინია, უბადრუკო ლაჩარო! არ ჩაგიქრობს სინათლეს ჩემი მახვილი. სამუდამო საჩუქარს მიიღებ ჩემგან! მარად აქ იქნები დამდგარი, კეფევსის სასახლეში, რათა ჩემი მეუღლე ტკბებოდეს თავისი პირველი საქმროს გამოსახულების ცქერით.

გმირმა ფინევსს მედუზას თავი გაუწოდა, ფინევსი მთელი გულმოდგინებით ცდილობდა არ შეეხედა მედუზას თავისათვის, მაგრამ მისი მზერა მაინც მოხვდა გორგონას სახეს, და ფინევსი წამსვე მარმარილოს ქანდაკად იქცა. დგას ქვად ქცეული ფინევსი, მონასავით თავდახრილი, პერსევსის წინაშე. სამარადისოდ შეინარჩუნეს ფინევს-ქანდაკების თვალებმა შიშისა და მონური მუდარის გამომეტყველება.

პერსევსის დაბრუნება სერიფოსზე

დიდხანს არ დარჩენილა ამ სისხლიანი ბრძოლის შემდეგ პერსევსი კეფევსის სამეფოში. მშვენიერი ანდრომედე თან წაიყვანა და სერიფოსზე მეფე პოლიდექტესთან დაბრუნდა. პერსევსმა თავისი დედა დიდად დამწუხრებული ნახა. პოლიდექტესათვის თავი რომ დაეღწია, იგი იძულებული გამხდარა თავშესაფარი ზევსის ტაძარში ეპოვა. ერთი წუთითაც ვერ ბედავდა ტაძრის დატოვებას. განრისხებული პერსევსი პოლიდექტეს სასახლეში მივიდა და მეფე მის მეგობრებს შორის სანადიმო სუფრაზე ნახა. პოლიდექტე არ ელოდა პერსევსის დაბრუნებას, დარწმუნებული იყო, რომ გმირი გორგონებთან ბრძოლაში დაიღუპებოდა. გაუკვირდა სერიფოსის მეფეს პერსევსის დანახვა, ზევსის შვილმა კი მშვიდად მოახსენა:

— შენი ბრძანება შევასრულე, მედუზას თავი მოგიტანე.

პოლიდექტემ არ დაიჯერა, რომ პერსევსმა ასეთი გმირობა ჩაიდინა. დაცინვა დაუწყო ღმერთების სწორ გმირს და ცრუპენტელა უწოდა. პერსევსს პოლიდექტეს მეგობრებიც დაცინვით შეხვდნენ. რისხვით აენთო პერსევსის გული, ვერ აიტანა შეურაცხყოფა, მრისხანედ გაიელვეს თვალებმა, ამოიღო გორგონას თავი და შესძახა:

— თუ არ გჯერა, პოლიდექტე, აი, საბუთი!

პოლიდექტემ გორგონას თავს შეხედა და იმავე წამს ქვად იქცა. ასეთივე ხვედრი გაიზიარეს მეფის მეგობრებმაც, მასთან ერთად რომ უსხდნენ სანადიმო სუფრას.

პერსევსი არგოსში

პერსევსმა სერიფოსის ტახტი ჩააბარა პოლიდექტეს ძმას, მეთევზე დიქტისს, რომელმაც ერთხელ დედა-შვილი გადაარჩინა. თვითონ კი ანდრომედესა და დედის თანხლებით არგოსისაკენ გაეშურა. როცა პერსევსის პაპამ, აკრისიოსმა შვილიშვილის დაბრუნების ამბავი შეიტყო, ორაკულის წინასწარმეტყველება გაახსენდა და შორეულ ჩრდილოეთში ლარისაში გადაიხვეწა. პერსევსმა კი მშობლიურ არგოსის მართვას მოჰკიდა ხელი. ჰადესის ჯადოსნური მუზარადი და ფრთოსანი სანდლები ნიმფებს დაუბრუნა, ბასრი ხმალი კი — ჰერმესს. გორგონას თავი ათენა-პალადას მისცა, ქალღმერთმა კი მკერდზე დაიმაგრა, მოციმციმე ჯავშანზე. ბედნიერად მეფობდა პერსევსი არგოსში.

მისი პაპა აკრისიოსი მაინც ვერ გაექცა იმას, რაც უწყალო ბედისწერამ

დაუდგინა. ერთხელ პერსევსმა დიდებული ასპარეზობა გამართა. მრავალმა გმირმა მოიყარა თავი. მაყურებელთა შორის მოხუცი აკრისიოსიც იყო. მძიმე ბადროს ტყორცნაში შეჯიბრის დროს პერსევსმა ძალუმი ხელით სტყორცნა ბრინჯაოს ბადრო. მიწაზე დაცემის დროს მძიმე ბადრო თავში მოხვდა მოხუც აკრისიოს და სასიკვდილოდ დააშავა. ასე აღსრულდა ორაკულის წინასწარმეტყველება. დადარდიანებულმა პერსევსმა უნებურად პაპის მკვლელი რომ გახდა, პატივით დაასაფლავა ბერიკაცი და აღარ ისურვა მეფობა იქ, სადაც მისი ხელით მოკულული აკრისიოსი მეფობდა. იგი ტირინთში გაემგზავრა და იქ მრავალი წელი იმეფა, არგოსის ტახტი კი თავის ნათესავ მეგაპენთესს დაუტოვა.

სიზიფე

ჰომეროსის „ილიადასა“ და ოვიდიუსის „გმირი ქალების“ მიხედვით

სიზიფე, ყველა ქარის მბრძანებელ ეოლოსის შვილი, ქალაქ კორინთოს დამაარსებელია. ძველ დროს ამ ქალაქს ეფირე ერქვა.

მთელს საბერძნეთში ვერავინ შეედრებოდა სიზიფეს გაქნილობით, ცბიერებითა და მახვილგონიერებით. სიზიფემ თავისი ეშმაკობით კორინთოში აურაცხელი სიმდიდრე დააგროვა. შორს გავარდა ხმა მისი საგანძურის შესახებ.

როცა სიზიფეს სიკვდილის ღმერთი თანატოსი ესტუმრა, რათა ჰადესის ნაღვლიან სამეფოში წაეყვანა, სიზიფემ იგრძნო მისი მოახლოება, მოხერხებულად მოატყუა თანატოსი და ბორკილები დაადო. ადამიანები აღარ კვდებოდნენ. აღარსად იმართებოდა მდიდრული გასვენება. აღარ სწირავდნენ მსხვერპლს მიწისქვეშა ღვთაებებს. დაირღვა დედამიწაზე ზევსის მიერ დადგენილი წესრიგი. მაშინ მეხთამტყორცნელმა ზევსმა სიზიფეს ომის ღმერთი არესი მიუგზავნა. არესმა ბორკილები აჰყარა თანატოსს, ხოლო თანატოსმა სიზიფეს სული აჩრდილთა სამეფოში გაიტაცა.

მაგრამ იქაც უშველა თავს ცბიერმა სიზიფემ. ცოლი გააფრთხილა, ნურც დამმარხავ და ნურც მსხვერპლს შესწირავ მიწისქვეშეთის ღმერთებსო; დაუჯერა ცოლმა სიზიფეს. დიდხანს ელოდნენ ჰადესი და პერსეფონე მოსახსენებელ შეწირულობას. არა და არა! ბოლოს სიზიფე ჰადესის ტახტს მიუახლოვდა და აჩრდილთა სამეფოს მბრძანებელს უთხრა:

— ო, განსვენებულთა სულების მეუფევ, დიდო ჰადესო, უზენაესი ზევსის თანაბარო, გამიშვი ნათელ დედამიწაზე, ჩემს ცოლს ვუბრძანებ საკადრისი ძღვენი მოგართვას და ხელახლა დავბრუნდები აჩრდილთა სამეფოში.

ასე მოატყუა სიზიფემ საიქიოს მეფე ჰადესი, რომელმაც იგი დედამიწაზე გამოუშვა. სიზიფე, რა თქმა უნდა, ქვესკნელში აღარ დაბრუნებულა. თავის დიდებულ სასახლეში დარჩა, ნადიმობდა და უხაროდა, რომ მოკვდავთაგან მხოლოდ მან მოახერხა საიქიოდან დაბრუნება.

განრისხდა ჰადესი, ისევ გამოგზავნა თანატოსი სიზიფეს სულის მოსატაცებლად. თანატოსი ხელმეორედ გამოცხადდა მოკვდავთაგან ყველაზე უფრო ცბიერის სასახლეში და სანადიმო სუფრაზე მოუსწრო. იქვე წააძრო სული სიზიფეს ღმერთებისა და ადამიანების საძულველმა სიკვდილის ღმერთმა. ამჯერად სამუდამოდ გაფრინდა სიზიფეს სული აჩრდილთა სამეფოში.

მძიმე სასჯელს იხდის სიზიფე საიქიოში თავისი მზაკერობისათვის, ყველა იმ ტყუილისათვის, რაც დედამიწაზე უთქვამს და რაც მოუხდენია. მაღალსა და ფრიალო კლდის თავზე უნდა ააგოროს უზარმაზარი ქვის ლოდი. ძალ-ღონეს არ ზოგავს, ოფლი გადასდის და ისე მიაგორებს ქვას. აი, ახლოსაა მწვერვალი, კიდევ ერთი თავის გამოდება და სიზიფეს შრომა დასრულდება. მაგრამ ხელიდან უსხლტება ლოდი, ხმაურით გორდება ძირს და მტვრის კორიანტელს აყენებს. სიზიფე თავიდან იწყებს საქმეს.

ასე მიაგორებს მარად სიზიფე თავის ლოდს და ვერ აღწევს მიზანს — მთის მწვერვალს.

ბელეროფონტი

ჰომეროსის „ილიადასა“ და პინდარეს ლექსების მიხედვით

სიზიფეს ჰყავდა შვილი გმირი გლავკე, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ კორინთოს განაგებდა. გლავკეს კი ჰყავდა შვილი ბელეროფონტი, საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი გმირი. ღმერთებივით მშვენიერი იყო ბელეროფონტი და სიმამაცითაც ღმერთების სწორი. ჯერ კიდევ ყმაწვილს უბედურება შეემთხვა: უნებურად შემოაკვდა კორინთოს ერთ-ერთი მოქალაქე და იძულებული გახდა მშობლიური ქალაქიდან გაქცეულიყო. ტირინთოს მეფე პროიტეს ეახლა. მეფემ უდიდესი პატივით მიიღო გმირი და განწმინდა დაღვრილი სისხლის სიბილწისაგან. დიდხანს არ დარჩენილა ბელეროფონტი ტირინთოში. მისმა სილამაზემ მოაჯადოვა პროიტეს ცოლი, ქალღმერთთა სწორი ანტეია. მაგრამ ბელეროფონტმა უარჰყო მისი სიყვარული. მაშინ სიძულვილით აღენთო დედოფლის გული და განიზრახა გმირის დაღუპვა. ქმარს ეახლა და მოახსენა:

— ო, მეფეო! მძიმე შეურაცხყოფას გაყენებს ბელეროფონტი. უნდა მოკლა. მე ამედევნა, შენს ცოლს, საშველს არ მაძლევს თავისი სიყვარულით. აი, როგორ გადაგიხადა სამაგიერო სტუმართმოყვარეობისათვის!

განრისხდა პროიტე. თვით არ შეეძლო სტუმარზე ხელის აღმართვა, რადგან სტუმართმოყვარეობის მფარველი ზევსის ეშინოდა. დიდხანს ფიქრობდა მეფე, როგორ დაეღუპა ბელეროფონტი და ბოლოს გადაწყვიტა დაევალებინა წერილის წაღება ანტეიას მამა იობატესთან, ლიკიის მეფესთან. ამ წერილში, რომელიც მოთავსებული იყო ორმაგად შეკრულ და დაბეჭდილ დაფაზე, პროიტემ იობატეს მისწერა, თუ რა მძიმე შეურაცხყოფა დაუპირა ბელეროფონტმა და სთხოვა სამაგიერო გადაეხადა თავხედობისათვის. ბელეროფონტმა წერილი წაუღო იობატეს და ფიქრადაც არ მოსვლია, რა საფრთხე ელოდა.

დიდხანს იარა ბელეროფონტმა და ბოლოს ლიკიაში ჩავიდა. სიხარულით მიიღო იობატემ ახალგაზრდა გმირი და ცხრა დღე პატივს სცემდა ნადიმებით. ბოლოს ჰკითხა, რისთვის გარჯილხარო. დამშვიდებით გადასცა ბელეროფონტმა ლიკიის მეფეს პროიტეს წერილი. იობატემ ორმაგი, დაბეჭდილი დაფა აიღო და გახსნა. თავზარი დაეცა, როდესაც წერილი წაიკითხა. უნდა მოეკლა ჭაბუკი გმირი, რომელიც ამ ცხრა დღის განმავლობაში უკვე შეიყვარა. მაგრამ იობატემ ვერ გაბედა სტუმართმოყვარეობის წმინდა წესის დარღვევა და განიზრახა გაეგზავნა იმ გმირობის ჩასადენად, რომელიც უცილობელი დაღუპვით ემუქრებოდა. იობატემ ბელეროფონტს დაავალა მრისხანე ურჩხულის — ქიმერას მოკვლა. ქიმერა შვეს საზარელმა ტითონმა და ბუმბერაზმა ექიდნამ. ქიმერას ჰქონდა ლომის თავი, გარეული თხის შუატანი და დრაკონის ბოლო. სამი ხახიდან აფრქვევდა ცეცხლის ალს. ვერავინ გადარჩებოდა მრისხანე ქიმერას, მარტო მასთან მიახლოება ყოველ ცოცხალ არსებას სიკვდილს უქადდა.

ბელეროფონტი ვერ შეაჩერა ამ საგმირო საქმის საფრთხემ — გაბედულად შეუდგა ძალუმი გმირი მის განხორციელებას. იცოდა, ქიმერას დამარცხებას შეძლებდა მხოლოდ ის, ვინც დაეპატრონებოდა პერსევსის მიერ მოკლული მედუზას სხეულიდან გამოფრენილ რაშს — ფრთოსან პეგასს, ისიც იცოდა, სად შეიძლებოდა ამ საოცარი რაშის პოვნა. პეგასი ხშირად ეშვებოდა აკროკორინთოს მწვერვალზე და იქ პირენეს წყაროს წყალს სვამდა, ბელეროფონტიც იქითკენ გაეშურა. წყაროსთან სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ღრუბლებიდან დაშვებული მერანი პირენეს ცივი, ბროლივით გამჭვირვალე წყლით წყურვილს იკლავდა. ბელეროფონტმა მაშინვე მოინდომა პეგასის შეპყრობა. დღეღამე სდია, მაგრამ ამაოდ, არავითარმა ხერხმა არ გაჭრა. პეგასი ახლოს არ იკარებდა ბელეროფონტს. როგორც კი ჭაბუკი გმირი მიუახლოვდებოდა,

ფრთოსანი რაში ძალუმი ფრთების რხევით სივრცეში აიჭრებოდა, ღრუბლებს ასცდებოდა და ქარზე უსწრაფესად მზის სამეფოში გაინავარდებდა. ბოლოს, მისან პოლიიდეს რჩევით, ბელეროფონტი პირენეს წყაროსთან ათენა-პალადას სამსხვერპლოს წინ დასაძინებლად წამოწვა, იმ ადგილას, სადაც პირველად ნახა პეგასი. ბელეროფონტს უნდოდა ღმერთებისაგან ძილის დროს რაიმე ნიშანი მიეღო. მართლაც, სიზმარში მეხთამტყორცნელი ზევსის საყვარელი ასული ათენა გამოეცხადა და ასწავლა როგორ დაეჭირა პეგასი, მისცა ოქროს აღვირი და უბრძანა მსხვერპლის შეწირვა ზღვის ღმერთის პოსეიდონისათვის. ბელეროფონტმა გაიღვიძა. განცვიფრებულმა დაინახა, რომ ოქროს აღვირი მართლაც გვერდით ედო. ბელეროფონტმა მხურვალე ლოცვით მადლობა უძღვნა დიდ ქალღმერთს — ახლა იცოდა, რომ პეგასს დაეუფლებოდა.

მალე პირენეს წყაროსთან თავისი ქათქათა ფრთებით მოფრინდა საოცარი რაში. გაბედულად მოახტა ბელეროფონტი და ოქროს აღვირი ამოსდო. დიდხანს დააქროლებდა ჰაერში ქარზე უსწრაფესად პეგასი გმირს, ბოლოს დაცხრა და იმ დღიდან ერთგულად ემსახურებოდა ბელეროფონტს.

სწრაფად გააქროლა ბელეროფონტმა პეგასი ლიკიის მთებისაკენ, იქით. სადაც ურჩხული ქიმერა ცხოვრობდა. ქიმერამ იგრძნო საფრთხის მოახლოება და ძალუმი, მრისხანე თავისი ბნელი გამოქვაბულიდან გამოძვრა. მოგიზგიზე ცეცხლის ალი ამოვარდა მისი სამივე ხახიდან, კვამლის სვეტებმა დაფარეს გარემო. ბელეროფონტის პეგასმა ჰაერში შეინავარდა და გმირმა ქიმერას მაღლიდან სეტყვასავით დაუშინა ისრები. გაშმაგებული ურჩხული კლდეებს ეხეთქებოდა და ისრებს ირეკლავდა. ცოფმორეული დაჰქროდა მთიდან მთამდე. ყველაფერს ღუპავდა გარშემო მისი ალი და შხამიანი ოხშივარი. ბელეროფონტი სდევდა ფრთოსანი პეგასით. ვერსად ვერ აფარებდა თავს ქიმერა, ყველგან სწვდებოდა ბელეროფონტის მომაკვდინებელი ისრები, მიზანს არ აცდენდა გმირი. ბოლოს ბელეროფონტმა მოკლა მრისხანე ურჩხული და დიდებამოსილი დაბრუნდა მეფე იობატესთან.

მაგრამ იობატემ ახლა სხვა დავალება მისცა — მეომარ სოლიმების წინააღმდეგ გაგზავნა. მრავალმა გმირმა დადო თავი სოლიმებთან ბრძოლაში, მაგრამ გამარჯვებას მხოლოდ ბელეროფონტმა მიაღწია. არც ეს გმირობა იკმარა იობატემ, — მას ხომ გმირის დაღუპვა ეწადა! ამიტომ უძლეველ ამორძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა. ბელეროფონტი ამ ბრძოლიდანაც გაძარჯვებული დაბრუნდა. მაშინ იობატემ ბრძოლის ველიდან დიდებით დაბრუნებულ გმირს ლიკიის რჩეული ვაჟკაცები შეახვედრა: მოულოდნელად უნდა დასხმოდნენ თავს და მოეკლათ. ლიკიელებმა საფარში შეიტყუეს, მაგრამ არც იქ

დაღუპულა ბელეროფონტი. ლიკიის უძლიერესი გმირები დაეცნენ მისი ხელით გულგანგმირულნი. მაშინ მიხვდა იობატე, რა დიდი გმირი მიუღია სტუმრად, უდიდესი პატივით შეხვდა სახელოვან გმირს და თავისი ასული მისცა ცოლად, მზითევში კი ნახევარი სამეფო ჩააბარა. ლიკიელებმა ყველაზე უფრო ნაყოფიერი მიწები გამოუყვეს და აჩუქეს უძლეველ გმირს.

მას შემდეგ ბელეროფონტი ლიკიაში დარჩა და იქ პატივსა და დიდებაში ცხოვრობდა. მაგრამ უბედურად დაასრულა თავისი ცხოვრება ბელეროფონტმა. დიდი გმირი გაამაყდა: ოლიმპოს ღმერთთა სწორობა მოინდომა, ისე დააბრმავა განუზომელმა დიდებამ. ბელეროფონტმა ნათელ ოლიმპოზე აფრენა მოიწადინა, სურდა პეგასით სტუმრებოდა უკვდავ ღმერთებს. ასეთი ქედმაღლობისათვის ზევსმა სასტიკად დასაჯა. მეხთამტყორცნელმა ფრთოსან პეგასს სიშმაგე მოუვლინა, პეგასმა ძირს გადმოაგდო ბელეროფონტი, როგორც კი გმირი ზურგზე მოეკლო ოლიმპოზე ასაფრენად. დედამიწაზე დაცემისაგან ძალოვანი გმირი ჭკუიდან შეიშალა. დიდხანს დაეხეტებოდა ასე შეშლილი „დაბნეულობის ველზე“, ვიდრე არ მოფრინდა შავ ფრთებიანი სიკვდილის კუშტი ღმერთი თანატოსი და არ ამოჰხადა სული. ასე ჩავიდა აჩრდილთა პირქუშ სამეფოში დიდი გმირი ბელეროფონტი.

ᲬᲐᲜᲬᲐᲚᲔ

ᲰᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲡ „ᲝᲓᲘᲡᲔᲐᲡ“ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ლიდიაში, სიპილის მთასთან, გაშენებული იყო მდიდარი ქალაქი, რომელსაც მთის სახელი სიპილი ერქვა. ამ ქალაქს განაგებდა ზევსის შვილი, ღმერთების რჩეული, მეფე ტანტალე. იგი ღმერთებმა ყველაფრით უხვად დააჯილდოვეს. ქვეყნად არ იყო მეორე ადამიანი, ისე მდიდარი და ბედნიერი, როგორც სიპილის მეფე ტანტალე. განუზომელ სიმდიდრეს იღებდა სიპილის მთის ოქროს საბადოებიდან. არავის არ ჰქონდა მისებრ ნაყოფიერი ყანები, არავის აძლევდნენ ესოდენ უხვ ნაყოფს ბაღ-ვენახები. ღმერთთა რჩეულის ტანტალეს საძოვრებზე ბალახობდნენ ნაზსაწმისიანი ცხვრის ფარები, რქალაღი ხარებისა და ძროხების ჯოგები, ქარივით სწრაფ ცხენთა რემები. მეფე ტანტალეს სასახლეში სიკეთე და ბედნიერება სუფევდა. ბედნიერებასა და კმაყოფილებაში შეეძლო ყოფილიყო ღრმა სიბერემდე, მაგრამ მეტისმეტმა სიამაყემ და დანაშაულებრივმა საქციელმა დაღუპა ტანტალე.

ღმერთები თავიანთ რჩეულ ტანტალეს ისე უყურებდნენ, როგორც ტოლსა

და სწორს. ისინი ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ოქროსავით მოელვარე სასახლეში და მასთან ერთად ნადიმობდნენ. თვით ნათელ ოლიმპოზე, სადაც არც ერთ მოკვდავს ფეხი არ დაუდგამს, ღმერთების სურვილით ხშირად ყოფილა მეფე ტანტალე. იქ ღმერთების თათბირში იღებდა მონაწილეობას და სასახლეში თავისი მამის, მეხთამტყორცნელი ზევსის გვერდით მჯდომი ნადიმობდა. ასეთი დიდი პატივისაგან ტანტალე ძალიან გაზვიადდა. თავის თავს მეხთამტყორცნელი ზევსის ტოლადაც კი თვლიდა. ხშირად, ოლიმპოდან დაბრუნებულს თან მოჰქონდა ღმერთების საკვები — ამბროსია და ნექტარი, და მის სასახლეში სტუმრად მყოფ თავის მოკვდავ მეგობრებს ურიგებდა. თვით იმ გადაწყვეტილებებს, რომელთაც ღმერთები ნათელ ოლიმპოზე იღებდნენ ქვეყნიერების ბედზე ბჭობისას, ტანტალე ადამიანებს უმხელდა ხოლმე. თვით თავის მამას ზევსს არ უნახავდა საიდუმლოს. ერთხელ ოლიმპოზე გამართულ ნადიმზე კრონოსის დიადი შვილი ტანტალეს მიუბრუნდა და უთხრა:

— შვილო ჩემო, მე შეგისრულებ ყოველივეს, რასაც ისურვებ, მთხოვე რაც გინდა. ისე მიყვარხარ, ყოველ თხოვნას შეგისრულებ.

მაგრამ ტანტალემ დაივიწყა, რომ მოკვდავია, თავი ეგიდისმპყრობელ ზევსის ტოლად წარმოიდგინა და მიუგო:

— არ მჭირდება შენი წყალობა. არაფერი არ მინდა. ხვედრი, რომელიც ბედმა მარგუნა, უკეთესია უკვდავ ღმერთთა ხვედრზე.

მეხთამტყორცნელმა შვილს არა უპასუხა რა. წარბები შეიკრა, მაგრამ მრისხანება დაიოკა, რადგან ასეთი ქედმაღლობის მიუხედავად ჯერ კიდევ უყვარდა თავისი შვილი. მალე ტანტალემ ორჯერ სასტიკად შეურაცხყო უკვდავი ღმერთები. მხოლოდ მაშინ დასაჯა ზევსმა ამპარტავანი.

კრეტაზე, მეხთამტყორცნელის სამშობლოში იყო ოქროს ძაღლი. ოდესღაც ეს ძაღლი იცავდა ახალშობილ ზევსს და ჯადოსნურ თხა ამალთეას, რომლის რძითაც ზევსი იკვებებოდა. როდესაც ზევსი გაიზარდა და კრონოსს ძალაუფლება წაართვა, ეს ძაღლი მან კრეტაზე დატოვა და თავისი საკურთხევლის დაცვა დაავალა. ეთესოს მეფე პანდარე ამ ძაღლის ღონესა და სილამაზეს დახარბდა, ფარულად ჩავიდა კრეტაზე და ძაღლი ხომალდით წაიყვანა. მაგრამ სად უნდა დაემალა საოცარი ცხოველი? დიდხანს ფიქრობდა გემში მჯდომი პანდარე და ბოლოს გადაწყვიტა ოქროს ძაღლი ტანტალესათვის მიებარებია. სიპილის მეფემ ღმერთებს არ გაუმხილა, რომ საოცარი ძაღლი მასთან დამალეს. განრისხდა ზევსი, უხმო თავის შვილს, ღმერთების შიკრიკს ჰერმესს, ტანტალესთან წარგზავნა და ოქროს ძაღლის დაბრუნება მოსთხოვა. თვალის დახამხამებაში გაჩნდა ჰერმესი სიპილის მეფის სასახლეში, ტანტალეს გამოეცხადა და უთხრა:

— ეთესოს მეფემ პანდარემ ზევსის საკურთხეველიდან კრეტაზე ოქროს ძაღლი მოიტაცა და შენთან დამალა. ყველაფერი იციან ოლიმპოს ღმერთებმა, ვერაფერს დაუმალავენ მოკვდავნი! დაუბრუნე ძაღლი ზევსს. გაფრთხილდი, მეხთამტყორცნელის რისხვა არ დაიტეხო!

ტანტალემ ღმერთების შიკრიკს უპასუხა:

— ამაოდ მემუქრები ზევსის რისხვით. არ მინახავს ოქროს ძაღლი. ღმერთები ცდებიან, არ არის ჩემთან ეს ძაღლი.

და ტანტალემ საშინელი ფიცით დაადასტურა თავისი ნათქვამი. ამ ფიცმა კიდევ უფრო განარისხა ზევსი. ასეთი იყო პირველი შეურაცხყოფა ტანტალემ ღმერთებს რომ მიაყენა. მაგრამ არც ახლა დასაჯა მეხთამტყორცნელმა.

ღმერთების სასჯელი ტანტალემ დაიტეხა მომდევნო, მეორე შეურაცხყოფით და საზარელი ბოროტმოქმედებით. როცა ოლიმპოელები ტანტალეს სასახლეში სანადიმოდ შეიყარნენ, მეფემ განიზრახა გამოეცადა მათი ყოვლისმცოდნეობა. ტანტალემ ღმერთებს საშინელი კერძი დაუმზადა: მოჰკლა საკუთარი შვილი პელოპი და მისი ხორცისაგან დამზადებული საჭმელი ნუგბარი კერძის სახით მიართვა მონადიმე ღმერთებს. ღმერთები მაშინვე მიხვდნენ ბოროტ საქმეს. არც ერთი მათგანი არ მიკარებია საშინელ კერძს. მხოლოდ ქალღმერთმა დემეტრემ, ჰადესის მიერ თავისი ასულის პერსეფონეს მოტაცებით გულმოკლულმა, მარტო ასულზე რომ ფიქრობდა და გარშემო ვერაფერს ამჩნევდა. ახალგაზრდა პელოპის ბეჭი შეჭამა. ღმერთებმა საშინელი კერძი აიღეს, პელოპის ძვლები და ხორცი ერთ ქვაბში მოათავსეს და გაჩაღებულ ცეცხლზე შედგეს. ჰერმესმა კი თავისი ჯადოქრობით ყმაწვილს სიცოცხლე დაუბრუნა. პელოპი ღმერთებს უწინდელზე უფრო მშვენიერი წარუდგა, მხოლოდ ის მხარი აკლდა დემეტრემ რომ შეჭამა. ზევსის ბრძანებით ჰეფესტომ იქვე დაამზადა მოელვარე სპილოს ძვლის მხარი. მას შემდეგ პელოპის ყველა შთამომავალს მარჯვენა მხარეზე კაშკაშა თეთრი ნიშანი აქვს.

ტანტალეს დანაშაულმა კი აავსო ღმერთებისა და ადამიანების მეფის ზევსის მოთმინების ფიალა. მეხთამტყორცნელმა ერთის დაკვრით დაამხო ტანტალე და თავისი ძმის ჰადესის პირქუშ სამეფოში გაგზავნა. იქ იხდის საშინელ სასჯელს. შიმშილითა და წყურვილით დატანჯული ტანტალე ნიკაპამდე ანკარა წყალში დგას. საკმარისია დაიხაროს, რათა აუტანელი წყურვილი მოიკლას, მაგრამ ოდნავ დაიხრება თუ არა, წყალი ქრება და ფეხქვეშ მხოლოდ შავი მიწა რჩება. ტანტალეს თავს ზემოთ ნაყოფით დახუნძლული ხეხილის ტოტები ირხევიან. წვნიანი ლეღვები, ღაჟღაჟა ვაშლები, ბროწეულები, მსხლები და ზეთისხილი ჰკიდია მის თავთან. თითქმის ტანტალეს თმას ეხებიან მძიმე, მწიფე ყურძნის

მტევნები. შიმშილით არაქათგამოცლილი ტანტალე წაეტანება მშვენიერ ხილს, მაგრამ მოვარდება შმაგი ქარი და ნაყოფით დახუნძლული ტოტები სადღაც მიაქვს. მაგრამ მარტო შიმშილი და წყურვილი როდი ტანჯავს ტანტალეს, მარადიული შიშისაგან გული ეკუმშება, — მის თავს ზემოთ ერთი ფრიალო კლდე აზიდულა და ისეა მორყეული, თითქოს სადაცაა უნდა გადმოინგრეს და გასრისოს იგი. ასე იტანჯება სიპილის ზვიადი მეფე, ზევსის შვილი, ჰადესის საშინელ სამეფოში, მარადიული შიშით, შიმშილითა და წყურვილით.

პელოპი

ოვიდიუსის „მეტამორფოზებისა“ და პინდარეს ლექსების მიხედვით

ტანტალეს სიკვდილის შემდეგ სიპილს განაგებდა მისი შვილი პელოპი, ეგზომ სასწაულებრივ გადარჩენილი ღმერთების ნებით. პელოპს დიდხანს არ ჰოუსდა მშობლიურ სიპილში მეფობა. ტროას მეფე ილოსმა ომი გამოუცხადა. უბედური გამოდგა ეს ომი პელოპისათვის: იგი ტროას ძლევამოსილმა მეფემ დაამარცხა. პელოპს სამშობლოს დატოვება მოუხდა. მოელი თავისი საგანძური სწრაფმავალ გემებზე აზიდა და ერთგული თანამგზავრების თანხლებით შორეულ გზას დაადგა. ხომალდების საჭე საბერძნეთისაკენ წარმართა. საბერძნეთის უკიდურეს სამხრეთში ნახევარკუნძულზე გადავიდა და იქ დასახლდა. იმ დროიდან ამ ნახევარკუნძულს მისი სახელი — პელოპონესი ეწოდა.

ერთხელ პელოპმა თავის ახალ სამშობლოში ნახა ქალაქ პისას მეფის ოინომაოსის ასული მშვენიერი ჰიპოდამია. გმირი მოხიბლა ოინომაოსის ასულის სილამაზემ და მისი ცოლად შერთვა განიზრახა.

ძნელი იყო ჰიპოდამიას ხელში ჩაგდება. ოინომაოსს ორაკულმა უწინასწარმეტყველა, შენი ასულის ქმრის ხელით დაიღუპებიო. ასეთი ბედისათვის რომ თავი დაეღწია, ოინომაოსმა გადაწყვიტა არ გაეთხოვებინა თავისი ქალიშვილი. მაგრამ აბა რანაირად? როგორ უნდა ეთქვა უარი ყველა სასიძოსათვის, ვინც ასულის ხელსა სთხოვდა? ბევრი გმირი მოდიოდა ოინომაოსთან ჰიპოდამიას ხელის სათხოვნელად. სრულიად უმიზეზოდ რომ გაელანძღა ყველანი და თავიდან მოეშორებინა, შეურაცხყოფას მიაყენებდა მათ, ამიტომ ოინომაოსმა ხერხს მიმართა. განაცხადა, ასულის ხელს იმას მივცემ, ვინც ეტლით სრბოლაში დამამარცხებსო, მხოლოდ თუ ოინომაოსი გაიმარჯვებდა, დამარცხებული სიცოცხლეს გამოეთხოვებოდა — ასეთი იყო პირობა. ოინომაოსმა ეს ხერხი

იმიტომ აირჩია, რომ მთელს საბერძნეთში ვერავინ შეედრებოდა ეტლის მართვის ხელოვნებაში, და ცხენებიც ისეთი ჰყავდა, ჩრდილოეთის ძძვინვარე ქარზე — ბორეასზე სწრაფად დაჰქროდნენ. პისას მეფეს უფლება ჰქონდა იმედიანად ეთქვა, ვერც ერთი გმირი ვერ დამამარცხებსო. მაგრამ სიცოცხლესთან გამოთხოვების, სასტიკ ოინომაოსის ხელით დაღუპვის შიში ვერ აკავებდა საბერძნეთის ბევრ გმირს. ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ მეფის სასახლეში და შეჯიბრში გასვლის ნებას ითხოვდნენ, ოღონდ ჰიპოდამიას ხელი მიეღოთ — ისე მშვენიერი იყო ეს ქალი. ყველა მთხოვნელს სავალალო ბედი ერგო, ოინომაოსმა ისინი დახოცა, თავები კი სასახლის კარებზე დაჰკიდა, რათა ყოველ მომდევნო სასიძოს დაენახა, რამდენი სახელოვანი გმირი დაეცა მისი ხელით, და წინასწარვე ენახა, რა ბედი მოელის მასაც. ვერც ამან შეაჩერა პელოპი, გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ჰიპოდამიას ქმარი გამხდარიყო და გულქვა ოინომაოსს ეწვია.

კუშტად შეხვდა ოინომაოსი პელოპს და უთხრა:

— შენ გინდა ჩემი ასული ჰიპოდამიას ხელი მიიღო? განა არ ნახე, რამდენმა სახელოვანმა გმირმა დადო თავი მისი გულისათვის ეგზომ სახიფათო შეჯიბრში? ფრთხილად, შენც მათი ბედი არ გაიზიარო!

— არ მაშინებს დაცემულ გმირთა ბედი, — მიუგო მეფეს პელოპმა. — იმედი მაქვს ოლიმპოს ღმერთები დამეხმარებიან! და მათი დახმარებით მივიღებ ჰიპოდამიას ხელს.

დამცინავი ღიმილი ასპიტივით დაიკლაკნა ოინომაოსის ბაგეებზე. მრავალჯერ სმენია მსგავსი სიტყვები.

— მომისმინე, პელოპ, შეჯიბრების პირობები ასეთია: გზა მთელს პელოპონესზე გადის, სამხრეთ კიდურიდან ისთმოსის ყელამდე და ზღვათა მეუფის პოსეიდონის სამსხვერპლოსთან თავდება. ეს სამსხვერპლო კორინთოსთან მდებარეობს. თუ სამსხვერპლომდე პირველი მიაღწევ გამარჯვებული იქნები, მაგრამ ვაი შენ, თუ გზაში დაგეწიე! მაშინ ჩემი შუბით განიგმირები, როგორც უკვე განიგმირა მრავალი გმირი, და უსახელოდ ჩახვალ ჰადესის პირქუშ სამეფოში. მხოლოდ ერთ შეღავათს მოგცემ, იგივე მივეცი ყველა დანარჩენსაც. გზას ჩემზე ადრე გაუდგები, მე კი ჯერ დიდ მეხთამტყორცნელს შევწირავ მსხვერპლს და მხოლოდ ამის შემდეგ ავალ ჩემს ეტლში. იჩქარე, რომ რაც შეიძლება მეტი გზა გაიარო, ვიდრე მსხვერპლის შეწირვით ვიქნები გართული.

პელოპი განერიდა ოინომაოსს. მიხვდა რომ მხოლოდ ეშმაკობით შეეძლო ეძლია სასტიკი მეფე. პელოპმა შეძლო ენახა დამხმარე. ჩუმად მივიდა

ოინომაოსის მეეტლე მირტილესთან, ჰერმესის შვილთან, მდიდრულ საჩუქრებს დაპირდა და სთხოვა, ოინომაოსის ეტლის ღერძში ჭილები არ ჩაესვა, რათა ბორბლები გამოვარდნოდა და მეფე გზაში შეფერხებულიყო. დიდხანს ყოყმანობდა მირტილე, მაგრამ ბოლოს პელოპმა შეძლო მისი გადაბირება მდიდრული საჩუქრებით, და მირტილემ სიტყვა მისცა, გავაკეთებ, რასაც ითხოვო.

დადგა დილა. ამომავალმა ვარდისფერთითება ეოსმა ოქროსფრად ააელვარა ცის თაღი. აი, ცაზე თავისი ოქროს ეტლით ნათელსხივოსანი ჰელიოსიც გამოჩნდა. ახლა დაიწყება შეჯიბრი. პელოპმა მიწისმრყეველ პოსეიდონს სთხოვა შემწეობა და ეტლში ჩახტა. მეფე ოინომაოსი ზევსის სამსხვერპლოსთან მივიდა და პელოპს ნიშანი მისცა, შეგიძლია დაიძრაო. პელოპმა ცხენები მიუშვა და ეტლი მთელი ძალით გააქროლა. ბორბლები ქვებზე გრიალებდნენ. ფრინველებივით მიჰქრიან ცხენები. მალე პელოპი მტვრის კორიანტელში დაიკარგა. პიპოდამიას სიყვარულსა და სიკვდილის შიშს მიჰყავს ფრთაშესხმული გმირი. აგერ, შორიდან მოისმა ოინომაოსის ეტლის გრიალიც. სულ უფრო ახლოვდება საბედისწერო ხმა. ქარიშხალივით მოჰქრიან მეფის მერნები, ქარტეხილივით ბრუნავს ბორბლებიდან ავარდნილი მტვერი. მათრახი გადაუჭირა პელოპმა ცხენებს კიდევ უფრო სწრაფად გაფრინდნენ ისინი. ყურებში ქარი უწივის ცხენთა გაშმაგებული სრბოლისაგან, მაგრამ განა გაექცევა ოინომაოსის მერნებს! ოინომაოსის მერნები ხომ ბორეასზე სწრაფნი არიან! სულ უფრო ახლოვდება მეფის ეტლი. პელოპი უკვე გრძნობს ზურგს უკან ცხენების ცხელ სუნთქვას, ოდნავ უკან რომ იხედება, ხედავს როგორი საზეიმო სიცილით სწევს მაღლა შუბს მისი მდევარი. პელოპი შეევედრა პოსეიდონს და უნაპირო ზღვათა მბრძანებელმა ისმინა მისი ვედრება. ოინომაოსის ეტლს თვლები მოვარდა, ეტლი გადაბრუნდა და პისის გულქვა მეფე დედამიწაზე გაიშხლართა. სასიკვდილოდ დაშავდა დაცემული მეფე, სიკვდილის ბინდი ჩაუდგა თვალებში.

პელოპი ზეიმით დაბრუნდა პისაში, ჰიპოდამია ცოლად შეირთო და ოინომაოსის მთელ სამეფოს დაეპატრონა. ხოლო როცა მასთან მეეტლე მირტილე მივიდა და გასამრჯელოდ ნახევარი სამეფო სთხოვა, პელოპმა მირტილესათვის მიცემული პირობა არ შეასრულა. ტანტალეს ცბიერმა შვილმა მირტილე ზღვის ნაპირზე გაიტყუა, კლდის ბექობზე მდგარს ხელი ჰკრა და ზღვაში გადააგდო. მირტილემ ვიდრე მღელვარე ტალღებში გადაეშვებოდა, დასწყევლა პელოპი და მთელი მისი შთამომავლობა. როგორ არ ცდილობდა ტანტალეს შვილი მირტილეს განრისხებული სულის დაშოშმინებას, რა გზით არ ლამობდა მისი მამის ჰერმესის რისხვის დაცხრომას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მირ-

ტილეს წყევლამ უწია მის გვარს. უთვალავი უბედურება დაატყდა თავს პელოპის მოდგმას და მისმა შთამომავლობამ ჩადენილი ბოროტმოქმედებით ღმერთების რისხვა დაიმსახურა.

ევროპა

მოსხოსის პოემის „იდილიების" მიხედვით

ფინიკიის მდიდარი ქალაქის სიდონის მეფე აგენორს სამი ვაჟი და ერთი უკვდავი ქალღმერთივით მშვენიერი ასული ჰყავდა. ამ ახალგაზრდა მზეთუნახავს ევროპა ერქვა. ერთხელ აგენორის ასულმა სიზმარი ნახა, ვითომ აზია და ის ხმელეთი, რომლისგანაც ზღვითაა გამოყოფილი, ორი ქალის სახით ერთიმეორეს ებრძოდა და მიზეზი თვითონ იყო. ორივე ქალი ცდილობდა ევროპას დაუფლებოდა. აზია დამარცხდა და იძულებული გახდა თავისი ხელით გამოზრდილი ევროპა, რომელსაც ძუძუს თვითონ აწოვებდა სხვისთვის დაეთმო. შეშინებულ ევროპას გამოეღვიძა, ვერანაირად ვერ აეხსნა სიზმარი აგენორის ტურფა ასულს. მორჩილად დაუწყო ღმერთებს ვედრება, აერიდებიათ უბედურება, თუ სიზმარი ამას უქადდა. შემდეგ ოქრომკედით ნაქარგი პორფირისფერი ტანისამოსი ჩაიცვა და თავისი მეგობრების თანხლებით ზღვის პირას გადაშლილი ყვავილებით დაფარული მწვანე ველისაკენ წავიდა. იქ სიდონელი კეკლუცები ცელქობდნენ, ოქროს კალათებში ყვავილებს აგროვებდნენ. ქალიშვილები სურნელოვან, ქათქათა ნარგიზებს, ჭრელ კროკუსებს, იებსა და შროშანებს კრეფდნენ, აგენორის ასული კი, თავისი მშვენიერებით გამორჩეული და შუქმოციმციმე, როგორც აფროდიტე ქარიტებს შორის, თავის ოქროს კალათში მხოლოდ ალისფერ ვარდებს აგროვებდა. ყვავილები რომ დაკრიფეს, ქალწულებმა მხიარული ფერხული გააჩაღეს. მათი ახალგაზრდული ხმები შორს ეფინებოდა კორდებსა და ლაჟვარდოვან ზღვას და ზვირთთა ალერსიას შრიალს ფარავდა.

დიდხანს არ დასცალდა მშვენიერ ევროპას უდარდელი ცხოვრებით დატკბობა. მას უეცრად თვალი მოჰკრა კრონოსის შვილმა, ძალუმმა ღრუბელთმფანტველმა ზევსმა, და მისი მოტაცება განიზრახა. თავისი გამოჩენით რომ არ დაეფრთხო ახალგაზრდა ევროპა, მშვენიერი ხარის სახე მიიღო. ზევს-ხარის მთელი ბეწვი ოქროსავით ბზინავდა, მხოლოდ შუბლზე უციალებდა მთვარის მსგავსი ვერცხლისფერი ნიში, ოქროს რქები კი მოხრილი ჰქონდა, მსგავსად ახალი მთვარისა, პირველად რომ გამოჩნდება ხოლმე პორფირისფერი დასავლეთის

ხარზე მჯდომი ევროპა სერავს ზღვას. მარჯვნივ ევროპას მამა მეფე აგენორი (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

ციურ სივრცეში. ეს საოცარი ხარი ველზე გამოვიდა და მსუბუქი ნაბიჯებით. ისე რომ ბალახს ფეხს ძლივს აკარებდა, ქალიშვილებს მიუახლოვდა. სიდონელი კეკლუცები ხარს არ შეუშინდნენ, საარაკო ცხოველს გარს შემოეხვიენ და ნაზ ხელებს ალერსიანად უსვამდნენ. ხარი ევროპასთან მივიდა, ხელებს ულოკავდა, ეალერსებოდა მეფის ასულს. ხარის ამონასუნთქს ამბროსიის სურნელება გადაჰკრავდა, მთელი ჰაერი ამ ნელსურნელებით გაივსო და დატკბა. ევროპა ხარს ოქროსფერ ბეწვს ნაზი ხელით უვარცხნიდა, ეხვეოდა მის თავს და ჰკოცნიდა. ხარი მშვენიერი ქალიშვილის ფერხთით დაწვა, თითქოს სთხოვდა, ზურგზე შემაჯექიო.

ევროპა სიცილით დაჯდა ხარის ფართო ზურგზე. სხვა ქალიშვილებმაც მოინდომეს მის გვერდით დაჯდომა. ანაზდად ხარი წამოიჭრა და ზღვას მიაშურა. გაიტაცა ის, ვინც უნდოდა. ხმამაღლა შეჰკივლეს შეშინებულმა ქალიშვილებმა. ევროპა კი ხელებგამოწვდილი შველას ითხოვდა. მაგრამ რა დახმარება შეეძლოთ სიდონელ ქალიშვილებს! ქარივით მიჰქროდა ოქროსრქიანი ხარი. ზღვაში გადაეშვა და დელფინივით სწრაფად შესცურა ლაჟვარდოვან ტალღებში. ზღვის ტალღები კი მის წინაშე უკან იხევდნენ, შხეფები ალმასებივით ცვიოდა

ოქროს ბეწვიდან, ისე რომ არ ასველებდნენ. ზღვის სიღრმეებიდან მშვენიერმა ნერეიდებმა ამოცურეს, ხარის გარშემო გუნდ-გუნდად მოიყარეს თავი და მასთან ერთად მიცურავდნენ. თვითონ ღმერთი პოსეიდონი, ზღვის ღვთაებებით გარემოცული, მიაქროლებს წინ თავის ეტლს, სამთითით აოკებს ზღვის ტალღებს და გზას უსწორებს წყლის ზედაპირზე თავის დიდ ძმას ზევსს. შიშით აცახცახებული ზის ხარის ზურგზე ევროპა. ცალი ხელით მის ოქროს რქებს ებღაუჭება, მეორით კი პორფირისფერი კაბის კალთას იწევს, ზღვის ტალღებში რომ არ დაუსველდეს. ამაოა მისი შიში. ზღვა ალერსიანად ლივლივებს და მისი მლაშე შხეფები არც კი ეკარებიან. ზღვის ნიავი ურხევს თმას და უფრიალებს მსუბუქ რიდეს. სულ უფრო შორს მოიტოვეს ნაპირი, აგერ დაიფარა კიდეც მტრედისფერ შორეთში. ირგვლივ მხოლოდ ზღვა და ლურჯი ცა ჩანს. მალე გამოჩნდა ზღვის ტალღებში კუნძული კრეტა. ზევსი სწრაფად მიცურდა ძვირფასი ნადავლით ნაპირთან და ხმელეთზე გადავიდა. ევროპა ზევსის ცოლი გახდა და იმ დღიდან კრეტაზე ცხოვრობდა. ზევსისაგან ეყოლა სამი შვილი: მინოსი, რადამანთე და სარპედონი. მთელს ქვეყნიერებაზე ჰქუხდა ზევსის ამ ძალუმი და ბრძენი შვილების დიდება.

კადმოსი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

როცა ზევსმა ხარის სახე მიიღო და ევროპა გაიტაცა, ქალის მამა, სიდონის მეფე აგენორი საშინლად დანაღვლიანდა. ვეღარაფერი ანუგეშებდა. თავისი სამი ვაჟი — ფოინიქსე, კილიქსე და კადმოსი იხმო და ევროპის მოსაძებნად გაგზავნა. სიკვდილის მუქარით აუკრძალა შინ დაბრუნება, ვიდრე დას არ იპოვნიდნენ. წავიდნენ აგენორის შვილები ევროპის საძებნელად. ფოინიქსემ და კილიქსემ მალე მიატოვეს კადმოსი. შექმნეს საკუთარი სამეფოები: ფოინიქსემ — ფინიკია, კილიქსემ — კილიკია და იქ დარჩნენ.

კადმოსმა მარტომ განაგრძო დის ძებნა. დიდხანს დაეხეტებოდა მთელს ქვეყნიერებაზე, ყველას ეკითხებოდა ევროპის ამბავს. მაგრამ განა შეეძლო დის პოვნა, რაკი თვითონ ზევსმა გადამალა! ბოლოს პოვნის იმედი დაკარგა, მაგრამ შინ მამის რისხვის შიშით ვერ დაბრუნდა და სამუდამოდ უცხო მხარეში დარჩენა გადაწყვიტა. წმინდა დელფოში წავიდა, ისართამტყორცნელ აპოლონის ორაკულს ჰკითხა, რომელ ქვეყანაში დავსახლდე და ქალაქი დავაარსოო. აპოლონის ორაკულმა კადმოსს უპასუხა:

— განმარტოებულ ველზე ნახავ ძროხას, რომელსაც არადროს დგმია უღელი. მიჰყევი და იქ, სადაც ბალახში ჩაწვება, ქალაქის კედლები აღმართე, ქვეყანას კი ბეოტია უწოდე.

ასეთი პასუხი რომ მიიღო, კადმოსმა წმინდა დელფო მიატოვა. გამოვიდა თუ არა კარიბჭიდან ნახა თეთრი ძროხა სრულიად უპატრონოდ ბალახობდა მინდორში. კადმოსი თავისი ერთგული სიდონელი მსახურების თანხლებით მიჰყვა ძროხას და თან დიდ აპოლონს ადიდებდა. უკვე გასცდა კეფისის ხეობას, როცა ძროხა მოულოდნელად შეჩერდა, თავი მაღლა ასწია, ხმამაღლა დაიბღავლა, შემოხედა უკან ადევნებულ მეომრებს და დამშვიდებით ჩაწვა მწვანე ბალახში. აპოლონისადმი მადლიერების გრძნობით აღსავსე კადმოსმა მუხლები მოიყარა, თავის ახალ სამშობლო მიწას ეამბორა და ღმერთებს შეესთხოვა უცნობი მთები და ხეობები დაელოცათ. კადმოსმა ქვებისაგან მაშინვე ააგო სამსხვერპლო, რათა მსხვერპლი შეეწირა ეგიდისმპყრობელი ზევსისათვის, მაგრამ რაკი სამსხვერპლო წყალი არ ჰქონდა, თავისი ერთგული სიდონელები წყალზე გაგზავნა.

მათ შორიახლო ერთი უხსოვარი დროინდელი ჭალა ნახეს, სადაც ადამიანის ხელით მოქნეული ნაჯახი ჯერ არ შეხებოდა არც ერთ ხეს. ჭალის შუაგულში ერთი ღრმა მღვიმე იყო, ერთიანად ბუჩქნარით დაფარული, გარშემო კი უწესრიგოდ ახორგილი ლოდები ეყარა. ამ მღვიმიდან ქვებს შორის ბროლივით ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა. მღვიმეში კი ომის ღმერთის, არესისადმი მიძღვნილი უზარმაზარი გველი ცხოვრობდა. თვალებს ცეცხლის ნაღვერდლებივით ატრიალებდა და სამკაპი ენა გადმოეგდო პირიდან, რომელშიაც სამ რიგად ჩარიგებული შხამიანი კბილები ჰქონდა, თავზე კი ოქროს ჯიღა ერხეოდა. როცა კადმოსის მსახურები წყაროსთან მივიდნენ და ჭურჭელი უკვე ცივ წყალში ჩაეყვეს, მღვიმიდან მრისხანე სისინით გამოძვრა გველი და საზარელი სხეულის გრეხვით ლოდებს შორის წამოვიდა. კადმოსის მსახურებმა შიშისაგან ფერი დაჰკარგეს, ხელიდან ჭურჭელი გაუვარდათ, შიშისაგან ხელ-ფეხი გაუშეშდათ წელმოწყვეტილ ადამიანებს. გველი კუდზე შედგა და ასწლოვან ხეთა კენწეროებზე მაღლა ასწია თავი პირდაღებულმა უწმინდურმა. უმალ, ვიდრე რომელიმე სიდონელი გაქცევას ან თავდაცვას მოისაზრებდა, საშინელი გველი თავს დაესხა განწირულთ. კადმოსის მსახურნი დაიღუპნენ.

კადმოსი დიდხანს ელოდა მსახურთა დაბრუნებას. მზე უკვე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ჩრდილები დაგრძელდნენ, მსახურნი კი არ ჩანან და არა. უკვირს და გაჰკვირვებია აგენორის ვაჟს — საით წავიდნენ და რას აყოვნებენო. ბოლოს კვალს მიჰყვა, ჭალაში მივიდა, ტანზე ჯავშნად ლომის ტყავს იფარებ-

და, წელზე ბასრი ხმალი ერტყა, ხელში შუბი ეჭირა, ხოლო კიდევ უფრო საიმედო ფარი გმირისათვის მისი სიმამაცე იყო. კადმოსი ჭალაში მივიდა და თავის ერთგულ მსახურთა ნაფლეთებზე მოკალათებული უზარმაზარი გველი ნახა. დარდითა და რისხვით ანთებულმა კადმოსმა შეჰყვირა:

— ო, ერთგულო მსახურნო, მე შურს ვიძიებ თქვენთვის! ან შურს ვიძიებ ან მეც თქვენთან ერთად ჩავალ ჰადესის პირქუშ სამეფოში!

ამ სიტყვებზე კადმოსმა კლდისოდენა ლოდი აიტაცა, მოიქნია და ქვეწარმავალს ესროლა. ასეთი ქვის დაკვრისაგან რომელი ციხე-კოშკი გნებავთ დაინგრეოდა, მაგრამ გველი უვნებელი დარჩა — ფოლადივით მაგარი ფორეჯებით ჰქონდა დაფარული მთელი ტანი და არა ევნო რა. მაშინ აგენორის შვილმა მთელი ძალით მოიქნია შუბი და ზურგში ჩასცა ურჩხულს. გველი კადმოსის შუბისაგან ვეღარ დაიცვა ფოლადის ჯავშანმა. ტარამდე ჩაესო შუბი ქვეწარმავალს. დაიგრიხა, კბილები ჩაავლო შუბს და ჭრილობიდან ამოძრობა მოუნდომა. ამაოდ ეცადა. შუბის წვერი ჭრილობის სიღრმეში დარჩა, მხოლოდ ტარი გადატეხა არესის გველმა. შავი შხამისა და ცოფისაგან ქვეწარმავალს კისერი დაებერა. ქაფი მოსკდა ხახიდან, მრისხანე სისინი გაისმა კიდით-კიდემდე, ჰაერი გველის ამონასუნთქის სიბილწით გაიჟღინთა. ხან უზარმაზარ რგოლებად დაზღვავდება დედამიწაზე, ხანაც გაშმაგებული გრეხვით ყალყზე შედგება, ხეებს აქცევს, ძირფესვიანად გლეჯს და პირით ეტანება კადმოსს, ცდილობს უკბინოს, ნაგრამ გმირი ფარად ლომის ტყავს იფარებს და მახვილით იგერიებს მას. გველი გაშმაგებით ღრღნის ბასრ მახვილს, მაგრამ მხოლოდ კბილებს იმტვრევს ფოლადზე.

ბოლოს აგენორის შვილმა ძლიერი დარტყმით განგმირა გველი, კისერში გაუყარა მახვილი და უძლეველმა გმირმა ისე ღონიერად დაჰკრა რომ მუხას მიაჭედა.

ასწლოვანი მუხა დაიხარა ურჩხულის ტანის სიმძიმისაგან. განცვიფრებული შესცქერის კადმოსი გველს, უკვირს მისი ბუმბერაზობა. უეცრად გაისმა უჩინარის ხმა:

— რას უდგეხარ, აგენორის შვილო, და რად გაოცებს შენი მოკლული გველის სიდიდე? მალე თვით შენ გველად ქცეული გააოცებ ადამიანებს.

მიმოიხედა კადმოსმა, არ იცის საიდან ესმის იდუმალი ხმა. შედრკა გმირი. ასეთი წინასწარმეტყველება რომ გაიგონა. თმა ყალყზე დაუდგა. სანახევროდ გონდაკარგული დგას მოკლული გველის გვერდით. მაშინ კადმოსს ზევსის საყვარელი ასული ათენა-პალადა გამოეცხადა. გველის კბილების ამოძრობა და მიწაში ხორბალივით დათესვა უბრძანა.

კადმოსმა გააკეთა ის, რაც ხარისთვალა მეომარმა ქალღმერთმა უბრძანა. როგორც კი ურჩხულის კბილები დათესა, — ო, სასწაულო! — მიწიდან ჯერ შუბის წვერები გამოჩნდა, მერე მუზარადების თხემები, მეომართა თავები, მხრები, აბჯრით მოსილი მკერდები, ფარ-ხმალი, ხელები და ბოლოს, უწმინდურის კბილებისაგან გაჩნდა შეიარაღებულ მებრძოლთა მთელი ლაშქარი. ახალი უცნობი მტრის დანახვაზე კადმოსმა ხელი მახვილზე იტაცა, მაგრამ მიწიდან შობილმა ერთმა მეომართაგანმა შესძახა:

— ჩააგე მახვილი! ერიდე ძმათა ომში ჩარევას!

საშინელი, სისხლისმღვრელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა მეომართა შორის. მახვილებითა და შუბებით ხოცავდნენ ერთიმეორეს და ზედიზედ ეცემოდნენ იმ მიწაზე, საიდანაც ეს არის იშვნენ. მხოლოდ ხუთნი გადარჩნენ. მაშინ ერთმა მათგანმა ათენა-პალადას რჩევით ზავის ნიშნად იარაღი ძირს დააგდო. მეომრებმა ერთმანეთს სამუდამო ძმობა შეჰფიცეს. სწორედ ეს დრაკონის კბილებიდან შობილი მეომრები ეხმარებოდნენ კადმოსს, როცა კადმეას — შვიდჭიშკრიან თებეს ციხე-სიმაგრეს აგებდა.

კადმოსმა დააარსა დიდი ქალაქი თებე, მოქალაქეებს დაუწესა კანონები და მოაწყო მთელი სახელმწიფო. ოლიმპოს ღმერთებმა კადმოსს ცოლად მისცეს არესისა და აფროდიტეს მშვენიერი ასული — ჰარმონია. დიდებული ქორწილი გადაიხადა თებეს დიდმა დამაარსებელმა. ოლიმპოს ყველა ღმერთი დაესწრო ამ ქორწილს. ახლადდაქორწინებულებმა დიდებული საჩუქრები მიიღეს.

იმ დროიდან კადმოსი საბერძნეთის ერთ-ერთი უძლიერესი მეფე გახდა. უთვალავი იყო მისი სიმდიდრე. მისი მრავალრიცხოვანი და უძლეველი ლაშქრის სათავეში მიწაში ჩათესილი დრაკონის კბილებიდან შობილი მეომრები იდგნენ. ერთი შეხედვით, თითქოს მარადიული ბედნიერება და სიხარული უნდა გაგრძელებულიყო აგენორის შვილის სასახლეში, მაგრამ გმირთა-გმირს ოლიმპოს ღმერთებმა მარტო ბედნიერება არ მიუგზავნეს. ბევრი სიმწარეც გამოსცადა. მამის თვალწინ დაიღუპნენ მისი ქალიშვილები სემელე და ინო. მართალია, სიკვდილის შემდეგ ორივე ოლიმპოს ღმერთთა კრებულში იქნა ჩარიცხული, მაგრამ კადმოსმა ხომ მაინც დაკარგა საყვარელი ასულები. აქტეონი, კადმოსის შვილიშვილი, მისი ასულის ავტონოეს ვაჟი, არტემიდეს რისხვას ემსხვერპლა. შვილიშვილებიც დასატირებელი გაუხდა კადმოსს.

სიბერეში, მძიმე დარდით დაღდასმულმა კადმოსმა შვიდჭიშკრიანი თებე მიატოვა. დიდხანს იხეტიალა თავისი მეუღლის, ჰარმონიას თანხლებით უცხო მხარეში და ბოლოს შორეულ ილირიაში მივიდა. გულმოკლული იგონებდა ყველა უბედურებას, რაც მის სახლს გადახდა, გაიხსენა თავისი ბრძოლა გველთან და ის სიტყვები უხილავმა უცნობმა რომ უთხრა.

— ღმერთებისადმი ხომ არ იყო ის გველი მიძღვნილი, მე რომ განვგმირე? — გაიფიქრა კადმოსმა. — თუ იმ უწმინდურის ჰოკვლისათვის მსჯიან ღმერთები ასე სასტიკად, უმჯობესი იქნება თვით მე მაქციონ გველად.

ძლივს მოასწრო ამ სიტყვების წარმოთქმა კადმოსმა, რომ სხეული დაუგრძელდა და ქერტლი მოესხა, ფეხები ერთმანეთს შეეზარდნენ და გველის გრძელ კუდად იქცნენ. შეძრწუნებული უწვდის ჯერ კიდევ გადარჩენილ ხელებს თავის მეუღლე ჰარმონიას და უხმობს:

— ო, მოდი ჩემთან, ჰარმონია! შემეხე, შემახე ხელი ხელზე, ვიდრე საბოლოოდ არ ვიქცევი გველად!

უხმობს ჰარმონიას, კიდევ ბევრი რამ უნდა უთხრას, მაგრამ ენა ორად ეყოფა, და პირში უკვე გველის ნესტარი ერხევა, პირიდან კი მხოლოდ სისინი ისმის. ჰარმონია საშველად იჩქარის:

— ო, კადმოს! — შესძახა. — ჩქარა განთავისუფლდი ამ სახისაგან! ო, ღმერთებო, რატომ მეც არ მაქციეთ გველად?

გარშემო დაეგრაგნა თავის ერთგულ მეუღლეს გველად ქცეული კადმოსი, ორკაპი ენით ულოკავს სახეს. დარდით გულმოკლული ჰარმონია ხელს უსვამს გველს ქერტლით დაფარულ ზურგზე. მაშინ ჰარმონიაც გველად აქციეს ღმერთებმა, და აი, უკვე ერთის ნაცვლად ორი გველია — ჰარმონია და კადმოსი.

ქვეწარმავლების სახით დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე კადმოსმა და მისმა მეუღლემ.

ზეზესი და ამფიონი

ქალაქ თებეში მდინარის ღმერთი ასოპეს ასული ანტიოპე ცხოვრობდა. ეს ქალი ზევსმა-მეხთამტეხმა შეიყვარა. ანტიოპეს ზევსისაგან ტყუპები შეეძინა. სახელად ზეტესი და ამფიონი უწოდა. მამის რისხვის შიშით, ზევსს ასე საიდუმლოდ რომ შეუუღლდა, ანტიოპემ ახალშობილნი კალათში ჩასვა და მთებში წაიყვანა, დარწმუნებული იყო, რომ ზევსი თავის შვილებს არ დაღუპავდა. მართლაც, ზევსმა იზრუნა მათთვის. იქ, სადაც ზეტესი და ამფიონი დატოვა დედამ, მეხთამტეხმა მწყემსი გაგზავნა. მწყემსმა იპოვნა ზევსის და ანტიოპეს შვილები, თავის სახლში წაიყვანა და იშვილა. ძმები მწყემსის სახლში იზრდებოდნენ. ზეტესი და ამფიონი ბავშვობაშივე განირჩეოდნენ ხასიათით. სულ სხვადასხვა ზნე დაჰყვათ. ზეტესი ღონიერი ბავშვი იყო, ადრე ამოუდგა გვერდში მწყემსს, ჯოგებს მწყემსავდა, ამფიონი კი მშვიდი, ალერსიანი ყმაწვილი დადგა, ცრაფერი ისე არ იზიდავდა, როგორც მუსიკა. როცა დავაქაცდნენ

ზეტესი ძლევამოსილი გმირი და გაბედული მონადირე გახდა. ვერავინ აღემატებოდა ძალითა და სიმკვირცხლით ბრძოლის დროსა და გარეულ მხეცებზე ნადირობისას, მხოლოდ იარაღის ხმა იტაცებდა მას. ამფიონს კი, აპოლონის საყვარელ ჭაბუკს, მხოლოდ ერთი რამ ჰგვრიდა სიხარულს — ოქროსსიმებიან კითარაზე დაკვრა. ეს საკრავი ლეტოს ვერცხლისშვილდა ვაჟმა აპოლონმა აჩუქა. ამფიონი ისე საოცრად უკრავდა კითარაზე, რომ ხეებიცა და კლდეებიც კი მოძრაობაში მოყავდა.

ჭაბუკები უწინდებურად მწყემსთან ცხოვრობდნენ და არ იცოდნენ ვინ იყო მათი ნამდვილი დედ-მამა. მათი მშობელი დედა კი ამ დროს თებეს მრისხანე მეფე-დედოფლის ლიკესა და დირკეს — ხელში იტანჯებოდა. მძიმედ შებორკილი ქალი ჩამწყვდეული ჰყავდათ დილეგში, სადაც მზის სხივი ვერ აღწევდა, მაგრამ ანტიოპე ზევსმა გათავისუფლა. თავისთავად მოეხსნა ხელ-ფეხიდან ბორკილები, გაიღო საპყრობილის კარები. ქალი მთებში გაიქცა და იმ მწყემსის ქოხში დაიმალა, სადაც მისი შვილები იზრდებოდნენ.

ძლივს მოასწრო მწყემსმა თავის ქოხში ანტიოპეს მიღება, რომ კარს მოადგა სასტიკი დირკე, სხვა თებელ ქალებთან ერთად მთებში დიონისეს დღესასწაული გადაეხადა. მთებში რომ დაეხეტებოდა, სუროს გვირგვინით თავშემკული და ტირსით ხელში, შემთხვევით ამ მწყემსის სახლში მოხვდა. ანტიოპე რომ დაინახა, მისდამი სიძულვილმა მთელი ძალით იფეთქა უწყალო დედოფლის გულში და უბედურ ანტიოპეს დაღუპვა განიზრახა. უხმო ზეტესსა და ამფიონს, ანტიოპეს ცილი დასწამა და ჭაბუკები დაიყოლია, რომ ასოპეს ასული დასაგლეჯად ველური ხარის რქებზე დაეკრათ. ზეტესი და ამფიონი უკვე მზად იყვნენ, დირკეს ნების ასასრულებლად: დაიჭირეს ხარი და ხელი წაავლეს ანტიოპეს, მაგრამ აქ ანტიოპეს საბედნიეროდ მწყემსი გამოჩნდა. როგორც კი ნახა მწყემსმა, რომ შვილები მშობელ დედას გაშმაგებული ხარის რქებზე აკრავენ, შეჰყვირა:

— უბედურნო, რა საშინელი დანაშაულის ჩადენა განგიზრახავთ! თვით არ იცით, რას აკეთებთ, საკუთარ დედას საშინელი წამებით კლავთ. ეს ხომ დედათქვენია!

თავზარი დაეცათ ზეტესსა და ამფიონს, როცა გაიგეს, რა საშინელი დანაშაულის ჩადენას აპირებდნენ სასტიკი დირკეს ბრძანებით. განრისხებულმა ჭაბუკებმა ხელი სტაცეს დირკეს, მათ დედას ცილი რომ დასწამა, და ველურ ხარს მიაბეს რქებზე, თან უთხრეს:

— დაიღუპე იმავე სიკვდილით, რომელიც ჩვენს დედას განუმზადე! დე, ეს იყოს შენთვის დამსახურებული სასჯელი შენი სისასტიკისა და ცილისწამებისათვის!

საშინელი სიკვდილით დაიღუპა დირკე. ზეტემ და ამფიონმა დედის დევნისათვის სამაგიერო გადაუხადეს მეფე ლიკესაც: მოკლეს და თებეს ტახტი ხელთ იგდეს.

თებეს მეფეები რომ გახდნენ, ძმებმა ქალაქის გამაგრება გადაწყვიტეს. ეხოლოდ მაღალი კედმეა, თებეს ციხე-სიმაგრე იყო გამაგრებული იმ კედლით კადმოსმა რომ შემოავლო, მთელი დანარჩენი თებე დაუცველი რჩებოდა. ძმებმა თვითონ შემოავლეს ზღუდე მთელს ქალაქს. რაოდენ განსხვავებული იყო მათი შრომა! ტიტანივით ძალოვანი ზეტესი ქვის უზარმაზარ ლოდებს ეზიდებოდა, წელზე ფეხს იდგამდა, ოფლში იწურებოდა, ამფიონი კი ქვას ხელს არ ჰკიდებდა. ქვები ოქროსსიმებიანი კითარის ხმას ემორჩილებოდნენ — თვითონ მოგორავდნენ და ურღვევ კედლად ეწყობოდნენ. შორს გავარდა დიდი გმირების ზეტესა და ამფიონის სახელი, საბერძნეთის საზღვრებს იქითაც კი იცოდნენ მათი სახელები. თვითონ ტანტალემ, ღმერთების საყვარელმა მეფემ ამფიონს ცოლად მისცა თავისი ასული ნიობე. ზეტემ კი ეთესოს მეფის პანდარეს ასული აედონე შეირთო. ნიობემ და აედონემ უბედურება მოუტანეს ანტიოპეს შვილების სახლს და სამეფოს.

ნ ი ო ბ ე

ოვიდიუსის „მეტამორფოზების" მიხედვით

თებეს მეფის ამფიონის ცოლს ნიობეს შვიდი ვაჟი და შვიდი ქალი ეყოლა. ტანტალეს ასული მეტისმეტად ამაყობდა თავისი შვილებით. ახალგაზრდა ღმერთებივით ლამაზი იყო მისი თოთხმეტივე ბავშვი. ბედნიერება, სიმდიდრე და მშვენიერი შვილები მისცეს ღმერთებმა ნიობეს, მაგრამ უმადური გამოდგა ტანტალეს ზვიადი ასული.

ერთხელ ბრმა მისან ტირესიას ასული, გრძნეული მანტო, თებეს ქუჩებში დადიოდა და თებელ ქალებს მოუწოდებდა, მსხვერპლი შეეწირათ ლეტოსა და მისი ტყუპი შვილების: ოქროსკულულებიან, შორსმტყორცნელ აპოლონისა და ქალწულ არტემიდესათვის. მანტოს მოწოდების მორჩილმა თებელმა ქალებმა თავები დაფნის გვირგვინებით შეიმკეს და ღმერთების საკურთხევლებისაკენ წავიდნენ. მხოლოდ ერთმა ნიობემ, თავისი ძლიერებითა და ღმერთების მიერ ნაბოძები კეთილდღეობით გაამაყებულმა დედოფალმა, არ ინება ლეტოს საკურთხეველზე მსხვერპლის მიტანა.

თებელი ქალები აღაშფოთა ნიობეს ქედმაღლობით აღსავსე სიტყვამ, მაგ-



აპოლონი და არტემიდე ჰკლავენ ნიობეს შვილებს (ნახატი ლარნაკზე).

რამ მსხვერპლის შეწირვაზე ხელი არ აუღიათ. თებელი ქალები მორჩილად ლოცულობდნენ და დიდ ლეტოს შესთხოვდნენ, არ განრისხებულიყო.

ქალღმერთმა ლეტომ გაიგონა ნიობეს კადნიერი სიტყვები. იხმო თავისი შვილები აპოლონი და არტემიდე და ნიობეს უსაქციელობა შესჩივლა:

— მძიმე შეურაცხყოფა მომაყენა მე, დედათქვენს, ტანტალეს ქედმაღალმა ასულმა. ნიობე არ მცნობს ქალღმერთად, თუმცა მხოლოდ ჰერას, ზევსის დიად თანამეცხედრეს ვუთმობ სახელსა და ძლიერებაში. ნუთუ არ მიუზღავთ სამაგიეროს შვილებო, და ასეთი შეურაცხყოფისათვის შურს არ იძიებთ? თუ ნიობეს დაუსჯელად დატოვებთ, ადამიანები შესწყვეტენ ჩემს თაყვანისცემას, როგორც ქალღმერთისას. და დაანგრევენ ჩემს საკურთხევლებს. ამით ხომ თქვენც შეურაცხგყოთ ტანტალეს ასულმა! ხომ იცით, თავის მოკვდავ შვილებს ადარებთ თქვენ, უკვდავ ღმერთებს! სწორედ ისევე გულზვიადია, როგორც შამამისი ტანტალე!

ისართმტყორცნელმა აპოლონმა სიტყვა შეაწყვეტინა თავის დედას.

— ო, ჩქარა დაასრულე! ნუღარას ამბობ! შენი საჩივრით მხოლოდ სასჯელს აგვიანებ!

— კმარა! გაჩუმდი! — შესძახა განრისხებულმა არტემიდემაც.

ღრუბლით დაბურული, წარბშეკრული და-ძმა სწრაფად დაეშვა კინთოს

მწვერვალიდან და თებეს მიაშურა. მათს კაპარჭებში ოქროს ისრები ავბედითად ჩხარუნობდნენ. მივიდნენ შვიდჭიშკრიან თებესთან. უჩინარქმნილი აპოლონი გაჩერდა გაშლილ ველზე ქალაქის კედელთან, სადაც თებელი ახალგაზრდები საბრძოლო თამაშში ვარჯიშობდნენ. როცა ღრუბლის ქულით დაფარული შორსმმუსვრელი აპოლონი ქალაქის კედლებთან შეჩერდა, ნიობეს ორი ვაჟი ისმენე და სიპილე, პორფირისფერი მოსასხამების ფრიალით გახურებულ ცხენებს მიაგელვებნენ. უეცრად ისმენემ შეჰყვირა, აპოლონის ოქროს ისარმა მკერდი გაუპო. ოქროს სადავეები დაუშვა და უსულოდ დაეცა დედამიწაზე. სიპილემაც გაიგონა აპოლონის ძშვილდის ლარის მრისხანე ზუზუნი. ფეხმარდი ცხენის იმედი აქვს, იქნებ სიკვდილს გადამარჩინოსო. თავჯანწირაკით მიაქროლებს ველზე დაოთხილ მერანს, ისე, როგორც მეზღვაური აუშვებს ხოლმე ყველა იალქანს და ტალღებს მიარღვევს, რომ მოახლოებულ მრისხანე ღრუბელს გაერიდოს, მაგრამ დაეწია ნიობეს შვილს მომაკვდინებელი ისარი: ზურგში ჩაესო, პირდაპირ კისერთან. ნიობეს შვილებს — ფაიდიმესა და ტანტალეს ერთმანეთისათვის მაგრად მოეხვიათ მკლავები — გახურებულ ჭიდაობაში იყვნენ. გაიელვა ჰაერში ისარმა და ორივე განგმირა. სიკვდილმა ერთდროულად ჩაუქრო ორივეს თვალებში შუქი, ორივეს ერთდროულად აღმოხდა უკანასკნელი ამოსუნთქვა. მათი ძმა ალპენორე დასახმარებლად გამოეშურა. სურს წამოაყენოს, ეხვევა მათს გაციებულ გვამებს, მაგრამ ღრმად ჩაესო გულში აპოლონის ისარი და უსულოდ დაეცა თავისი ძმების გვამებს. დამასიქტონი აპოლონმა ბარძაყში, მუხლის თავს ზემოთ დაჭრა. ჭრილობიდან ისრის ამოძრობას ცდილობს ნიობეს შვილი და უეცრად მეორე ისარი ხვდება ყელში. ნიობეს უკანასკნელმა შვილმა ჭაბუკმა ილიონემ ხელები აღაპყრო და ღმერთებს შეევედრა:

— ო, ოლიმპოს ღმერთებო, შემიბრალეთ, შემიბრალეთ!

მრისხანე აპოლონს გული მოულბო ყმაწვილის ვედრებამ. მაგრამ გვიანაა! უკვე მოწყდა ლარს გაფრენილი ისარი, შეუძლებელია მისი უკან დაბრუნება. ნიობეს უკანასკნელი ვაჟიც განგმირულია. სწრაფად მისწვდა ნიობეს ყურს დიდი უბედურების ამბავი. ცრემლმორეული მსახურები ამფიონსაც ატყობინებენ შვილების დაღუპვას.

ვერ აიტანა ასეთი უბედურება ამფიონმა, საკუთარი ხელით ჩაიცა მკერდში მახვილი.

შვილებისა და ქმრის გვამებზე დახრილი ნიობე მწარედ ქვითინებს. გაციებულ ბაგეებს უკოცნის. გულღვიძლში ცეცხლი უტრიალებს. სასოწარკვეთილმა ორივე ხელი ცისკენ აღაპყრო, მაგრამ წყალობას კი არ ითხოვს. უბედურებამ ვერ მოალბო გულდაბნელებული. მრისხანედ შესძახა:

— გაიხარე, სასტიკო ლეტო! იმხიარულე, ვიდრე შენი გული არ გაძღება ჩემი დარდით! შენ გაიმარჯვე, მეტოქევ! ო, არა, ამას რას ვამბობ, განა შენ გაიმარჯვე? მე, უბედურს, მაინც მეტი შვილები მყავს ვიდრე შენ, ბედნიერს! და თუმცა ჩემს გარშემო ბევრი გვამია უსულო შვილთა, მაინც დაგამარცხე, მაინც შენზე მეტი შვილი დამრჩა.

ის იყო მიწყდა ნიობეს ხმა, რომ მშვილდის ლარმა დაიზუზუნა. შიშის ზარმა მოიცვა ყველა. მხოლოდ ნიობე დარჩა ბშვიდი, უბედურებამ გული გაუმაგრა. ტყუილად არ გაისმა არტემიდეს ისრის ზუზუნი. ნიობეს ერთ-ერთი ასული, ღრმად დამწუხრებული რომ იდგა ძმათა გვამებს შორის, ისრით განგმირული დაეცა. აი, ისევ ზუზუნებს ლარი და ეცემა მეორე ქალიშვილი. ექვსი ოქროს ისარი მოწყდა არტემიდეს მშვილდს, და ნიობეს ექვსი მშვენიერი ასული გდია ძირს. დარჩა მხოლოდ სულ უმცროსი ქალიშვილი. დედას მივარდა და კალთას ამოეფარა, კაბის ნაკეცებში ჩაიმალა.

დარდმა გატეხა ნიობეს გული.

— ეს უმცროსი ასული მაინც შემარჩინე დიდო ლეტო! — ევედრებოდა მწუხარებით სავსე ქალღმერთს. — ერთი მაინც დამიტოვე!

მაგრამ არ შეიბრალა ქალღმერთმა, არტემიდეს ისარმა განგმირა უმცროსი ქალიშვილიც.

დგას ნიობე, ქალიშვილებისა და ვაჟების გვამების გროვაში, თითქოს კაეშანს გაუქვავებიაო. აღარ ურხევს ქარი თმებს. სახეზე წვეთი სისხლიც არ შერჩენია, აღარ აფრქვევენ სიცოცხლის ნაპერწკალს მისი თვალები, აღარა სცემს მის მკერდში გული, მხოლოდ მწუხარების ცრემლები სცვივა თვალთაგან. ცივ ქვად ექცა კიდურები. ავარდა შმაგი ქარტეხილი და ნიობე თავის სამშობლოში, ლიდიაში გააქროლა. იქ, სიპილის მაღალ მთაზე დგას ქვად ქცეული ნიობე და მარად ღვრის ცხარე ცრემლებს.

ჰერაკლე

სოფოკლეს „ტრაქინელი ქალების“, ევრიპიდეს „ჰერაკლესა“ და პავსანიას „ელადის აღწერილობის“ მიხედვით

დაბადება და აღზრდა

მიკენში მეფობდა ელექტრიონი. ერთხელ მეფე პტერელაოსის მეთაურობით მას თავს დაესხა ტელებოელთა ტომი და ჯოგები მოსტაცა. ტელებოელებმა დახოცეს ელექტრიონის შვილები, რომელთაც გატაცებული ჯოგების

დაბრუნება სცადეს. მაშინ ელექტრიონმა გამოაცხადა, ჩემს ტურფა ასულს ალკმენეს მას მივცემ ცოლად, ვინც ჯოგებს დამიბრუნებს და ჩემი შვილების მკვლელს სამაგიეროს გადაუხდისო. გმირმა ამფიტრიონმა შეძლო ჯოგის უომრად დაბრუნება, რადგან მეფე პტერელაოსმა მოტაცებული ჯოგების დაცვა ელიდის მეფეს პოლიქსენეს დაავალა, მან კი ჯოგი ამფიტრიონს ჩააბარა. ამფიტრიონმა ჯოგები ელექტრიონს დაუბრუნა და ალკმენე შეირთო. ამფიტრიონი დიდხანს არ დარჩენილა მიკენში. საქორწინო ნადიმზე, ჯოგების გამო გამართულ დავაში, მას სიმამრი ელექტრიონი შემოაკვდა და ცოლთან ერთად მიკენიდან გაქცევა მოუხდა. ალკმენე ახალგაზრდა ქმარს უცხოეთში მხოლოდ იმ პირობით გაჰყვა, რომ იგი აიღებდა მისი მოკლული ძმების სისხლს — პტერელაოსის შვილებს გაუსწორდებოდა. ამიტომ ამფიტრიონი თებეში ჩავიდა, სადაც მეფე კრეონტთან იპოვა თავშესაფარი, და ჯარი დაძრა ტელებოელთა წინააღმდეგ. მის არყოფნაში ალკმენეს სილამაზით მოხიბლულმა ზევსმა ამფიტრიონის სახე მიიღო და ქალს გამოეცხადა. მალე დაბრუნდა ამფიტრიონიც. ჰოდა, ახლა ზევსისა და ამფიტრიონისაგან ალკმენეს უნდა ეშვა ტყუპი ვაჟები.

იმ დღეს, როცა ზევსისა და ალკმენეს დიადი შვილი უნდა შობილიყო, ოლიმპოზე ღმერთები შეიყარნენ. შვილის შეძენის მოლოდინით გახარებულმა ეგიდისმპყრობელმა ზევსმა ღმერთებს მიმართა:

— მომისმინეთ, ღმერთებო და ქალღმერთებო, რას გეტყვით: გული მეუბნება, რომ გითხრათ: დღეს დაიბადება დიდი გმირი და გაბატონდება ყველა თავის ნათესავზე, რომელთა გვარიც მომდინარეობს ჩემი შვილის დიდი პერსევსისაგან.

მაგრამ ზევსის მეუღლემ დედოფალმა ჰერამ, განაწყენებულმა იმით, რომ ზევსმა მოკვდავი ალკმენე შეირთო, განიზრახა ალკმენეს შვილისათვის ცბიერებით დაეკარგა პერსევსის შთამომავლობაზე ბატონობის უფლება. ჰერას უკვე დაბადებამდე სძულდა ზევსის შვილი, ამიტომ მზაკვრული განზრახვა გულის სიღრმეში ჩაიმარხა და ზევსს მიმართა:

— მართალს არ ამბობ, დიდო მეხთამტყორცნელო! არასოდეს არ შეასრულებ შენს სიტყვას! მომეცი ღმერთების დიდი, ურღვევი ფიცი, რომ პირველი, ვინც დღეს პერსეიდების გვარში დაიბადება, თავისი ნათესავების მბრძანებელი იქნება.

ზევსის გონებას სიცრუის ქალღმერთი ატე დაეუფლა, ზევსი ვერ მიუხვდა ჰერას ცბიერ განზრახვას და ურღვევი ფიცი მისცა. ჰერამ მაშინვე მიატოვა ოლიმპო და თავისი ოქროს ეტლით არგოსში ჩავიდა. იქ, ზევსის მეუღლემ დაარჩარა პერსეიდ სფენელევსის ღმერთთა სწორი ცოლის მშობიარობა, და ამ

დღეს პერსევსის გვარში დაიბადა სუსტი, ავადმყოფი ბავშვი, სფენელევსის ვაჟი ევრისთევსი. სწრაფად დაბრუნდა ჰერა ნათელ ოლიმპოზე და ღრუბელთმფანტავ ზევსს მოახსენა.

— ო, ელვის მტყორცნელო მამაო ზევსო, მომისმინე! ახლა სახელოვან არგოსში პერსეიდ სფენელევსს ეყოლა ვაჟი ევრისთევსი. დღეს ის დაიბადა პირველი და პერსევსის ყველა შთამომავლის მბრძანებელიც ის უნდა გახდეს.

დანაღვლიანდა დიდი ზევსი, მხოლოდ ახლა მიხვდა ჰერას მზაკვრობას. განრისხდა სიცრუის ქალღმერთ ატეზე, გონება რომ დაუბნელა. ბრაზმორეულმა თმაში ხელი ჩაავლო და ნათელი ოლიმპოდან გასტყორცნა. ღრმეთებისა და ადამიანების მბრძანებელმა მატყუარა ქალღმერთს ოლიმპოზე გამოჩენა აუკრძალა. მას შემდეგ სიცრუის ქალღმერთი ატე ადამიანებს შორის ცხოვრობს.

ზევსმა თავის შვილს ბედი შეუმსუბუქა. ჰერასთან ურღვევი პირობა შეკრა, რომ მისი შვილი ევრისთევსის ძალაუფლების ქვეშ მთელი სიცოცხლე კი არ იქნება, არამედ მხოლოდ თორმეტ საარაკო გმირობას ჩაიდენს ევრისთევსის დავალებით, შემდეგ კი თავს დააღწევს მის ძალაუფლებას და უკვდავებასაც მიიღებს. მეხთამტყორცნელმა იცოდა, რომ მრავალი დიდი საფრთხის გადალახვა მოუხდებოდა მის შვილს, ამიტომ თავის საყვარელ ასულ ათენა-პალადას უბრძანა, მფარველობა გაეწია ალკმენეს ვაჟისათვის. ხშირად დანაღვლიანებულა შემდეგ ზევსი, როცა ხედავდა, რა მძიმე და მომქანცველ შრომას ეწეოდა მისი შვილი სუსტი და ლაჩარი ევრისთევსის ხელქვეით, მაგრამ არ შეეძლო ჰერასათვის მიცემული ფიცის გატეხა.

იმავე დღეს, როცა სფენელევსის შვილი დაიბადა, ალკმენესაც შეეძინა ტყუპები: უფროსი — ზევსის ძე, თავდაპირველად ალკიდედ წოდებული, და უმცროსი — ამფიტრიონის შვილი, იფიკლე. სწორედ ალკიდე იყო საბერძნეთის უდიდესი გმირი. გვიან მისანმა პითიამ მას ჰერაკლე უწოდა. ამ სახელით განითქვა იგი, მიიღო უკვდავება და ჩაირიცხა ნათელი ოლიმპოს ღმერთთა დასში.

ჰერა ჰერაკლეს დაბადებიდანვე სდევნიდა. როგორც კი გაიგო, ჰერაკლე უკვე დაიბადა და არტახებშია გახვეული თავის ძმა იფიკლესთან ერთადო, ახალშობილი გმირის დაღუპვის მიზნით ალკმენეს სამყოფელში ორი გველი შეგზავნა. უკვე ღამე იყო, როდესაც ქვეწარმავლებმა ცეცხლოვან თვალთა ციმციმით ახალშობილებს მიაშურეს. უჩუმრად მიცურდნენ აკვანთან, სადაც ტყუპები იწვნენ და უკვე შემოეხვივნენ პატარა ჰერაკლეს, რათა გაეგუდათ. როდესაც ზევსის შვილმა გაიღვიძა. პატარა ხელები გაიწოდა, გველებს ჩაავლო კისერში და ისე მოუჭირა, რომ მაშინვე დაახრჩო. შეძრწუნებული ალკმენე

ლოგინიდან წამოიჭრა. აკვანში რომ გველები დაინახეს, სახლში მყოფმა ქალებმა ხმამაღალი კივილი მორთეს. ყველა მისცვივდა ალკიდეს აკვანს. ქალების კივილზე ხმალამოღებული ამფიტრიონიც გამოჩნდა. ყველა აკვანს შემოეხვია და არაჩვეულებრივი სასწაული იხილეს: პატარა ახლადშობილ ჰერაკლეს ფუნთუშა ხელებში ორი უზარმაზარი გაგუდული გველი ეჭირა. ქვეწარმავლები ჯერ კიდევ სუსტად იკლაკნებოდნენ ყმაწვილის ხელებში. თავისი ნაშვილების ღონით განცვიფრებულმა ამფიტრიონმა მაშინვე იხმო მისანი ტირესია და ბავშვის მომავალი ამკითხვინა. გრძნეულმა ბერიკაცმა ამცნო, რამდენ დიად საგმირო საქმეს ჩაიდენს ჰერაკლე და უწინასწარმეტყველა, სიცოცხლის დასასრულს უკვდავებას მოიპოვებსო.

როცა გაიგო, რაოდენ დიდი პატივი ელოდა ალკმენეს უფროს შვილს, ამფიტრიონმა ითავა მისი აღზრდა ისე, როგორც გმირს ეკადრებოდა. მარტო ძალ-ღონის განვითარებაზე კი არა, განათლებაზეც იზრუნა. ასწავლიდნენ წერა-კითხვას, სიმღერასა და კითარაზე დაკვრას. ძაგრამ ჰერაკლეს სულ არ ჰქონდა ისეთი წარმატებები მეცნიერების დარგებსა და მუსიკაში, როგორსაც იჩენდა ჭიდაობაში, მშვილდის სროლასა და იარაღის ხმარებაში. მუსიკის მასწავლებელს, ორფევსის ძმას, ლინოსს ხშირად უხდებოდა თავისი მოწაფის დატუქსვა და დასჯაც კი. ერთხელ გაკვეთილის დროს ლინოსმა ჰერაკლეს გაარტყა, რადგან ძალიან გააბრაზა თავისი უყურადღებობით. გაჯავრდა ჰერაკლე, აიღო კითარა და ლინოსს თავში დაჰკრა. ყმაწვილმა ჰერაკლემ ვერ გამოზომა დარტყმის ძალა და ისე მძლავრად დაჰკრა, რომ ლინოსს იქვე სული გააფრთხობინა. ამ მკვლელობისათვის ჰერაკლე სასამართლოში მიიწვიეს. თავს რომ იმართლებდა, ალკმენეს შვილმა თქვა:

— მოსამართლეთა შორის უსამართლიანესი რადამანთე ხომ ამბობს, ყველას, ვისაც დაარტყამენ, უფლება აქვს დარტყმაზე დარტყმით უპასუხოსო!

მოსამართლეებმა ჰერაკლე გაამართლეს, მაგრამ ამფიტრიონმა, იმის შიშით, რომ მსგავსი საქციელი კვლავ არ ჩაედინა, ჰერაკლე კითერონის ტყიან მთებში ჯოგების სამწყემსავად გაგზავნა.

ჰერაკლე თებეში

ჰერაკლე კითერონის ტყეებში გაიზარდა და მკლავმაგარ ჭაბუკად იქცა. ტანადობით მთელი თავით მაღალი იყო ყველა სხვაზე, ხოლო ღონით უჩვეულოდ აღემატებოდა ადამიანს. ერთი შეხედვით იცნობოდა მასში ზევსის შვილი, მეტადრე თვალებით, რომლებშიც რაღაც არაჩვეულებრივი, ღვთაებრივი

ცეცხლი უგიზგიზებდა. ვერავინ შეედრებოდა ჰერაკლეს სამხედრო ვარჯიშში, ხოლო მშვილდსა და შუბს ისე ფლობდა, რომ მიზანს არ აცილებდა. ჯერ კიდევ ჭაბუკმა მოკლა მთათა მწვერვალებზე ბინადარი კითერონის ლომი. ჰერაკლე თავს დაესხა მძვინვარე ნადირს, დაახრჩო და ტყავი გააძრო. ეს ტყავი მოსასხამივით მოისხა ძალუმ მხრებზე. მკერდზე თათები საბელებივით შეიკრა, ხოლო ლომის თავი მუზარადის მაგიერობას უწევდა. ჰერაკლემ ნემეის ჭალაში ძირფესვიანად მოგლიჯა რკინასავით მაგარი იფნი, გასხიპა და უზარმაზარი კომბალი გაიკეთა. მახვილი ჰერაკლეს ჰერმესმა აჩუქა, მშვილდი და ისრები — აპოლონმა, ოქროს ჯავშანი ჰეფესტომ გამოუჭედა, ხოლო ათენამ თავისი ხელით მოუქსოვა ტანისამოსი.

დავაჟკაცებულმა ჰერაკლემ დაამარცხა ორქომენეს მეფე ერგინე, რომელსაც თებე ყოველწლიურად დიდ ხარკს უხდიდა. ერგინე ბრძოლაში მოკლა, ხოლო მინიის ორქომენეს ბევრად იმაზე დიდი ხარკი დაადო, რასაც თებე იხდიდა. ამ გმირობისათვის თებეს მეფემ კრეონტმა ჰერაკლეს ცოლად მისცა თავისი ასული მეგარა, ღმერთებმა კი სამი მშვენიერი შვილი აჩუქეს.

ბედნიერად ცხოვრობდა ჰერაკლე შვიდჭიშკრიან თებეში. მაგრამ ქალღმერთ ჰერას უწინდებურად სძულდა ზევსის შვილი. ამჯერად ჰერაკლეს საშინელი სნეულება გაუგზავნა — დიდმა გმირმა გონება დაკარგა, სიგიჟე მოევლინა. ერთხელ სიშმაგემ რომ მოუარა, ანგარიშმიუცემლად დახოცა თავისი და, აგრეთვე, თავისი ძმის იფიკლეს შვილები. ხოლო როცა სიგიჟემ გაუარა, უსაშველო დარდმა დაჩაგრა გმირი. უნებურად დაღვრილი უმანკო სისხლისაგან განსაწმენდად წმინდა დელფოში წავიდა და აპოლონს ჰკითხა რჩევა როგორ მოქცეულიყო. აპოლონმა უბრძანა, შენი მშობლების სამშობლო ტირინთოში წადი, ევრისთევსს ეახლე და თორმეტი წელი ემსახურეო. ლეტოს შვილმა პითიას პირით ჰერაკლეს უკვდავება უწინასწარმეტყველა, თუ ევრისთევსის ბრძანებით თორმეტ საგმირო საქმეს შეასრულებდა.

ჰერაკლე ევრისთევსის სამსახურში

ჰერაკლე ტირინთოში დასახლდა და სუსტ, მხდალ ევრისთევსს ემსახურებოდა. ევრისთევსს ეშინოდა მძლეთამძლე ჰერაკლესი და მიკენში არ უშვებდა. ყველა ბრძანებას ტირინთოში თავისი შიკრიკის კოპრევსის პირით ატყობინებდა.

ნემეის ლომი

(პირველი გმირობა)

ჰერაკლეს დიდხანს არ მოუხდა ევრისთევსის პირველი დავალების ლოდინი. მეფემ ნემეის ლომის მოკვლა დაავალა. ტითონისა და ექიდნას ნაშობი ეს ლომი გასაოცარი სიდიდისა იყო. ქალაქ ნემეის მახლობლად ჰქონდა ბუნაგი და მთელ იმ მიდამოებს აჩანაგებდა. ჰერაკლე გაბედულად წავიდა სახიფათო საგმირო საქმის აღსასრულებლად. ნემეაში რომ მივიდა, დაუყოვნებლივ გაეშურა ლომის ბუნაგის საძებნელად. უკვე შუადღე იყო, როცა მთის ფერდობს მიაღწია. არსად არც ერთი ცოცხალი არსება არ ჩანდა: არც მწყემსი, არც მიწის მუშა. ყველა სულიერი გარბოდა ამ ადგილებიდან საზარელი ლომის შიშით. დიდსანს ეძებდა ჰერაკლე მთის ფერდობებსა და ხეობებში ლომს. ბოლოს, როცა მზე დასავლეთისაკენ ვადაიხარა, ჰერაკლემ პირქუშ ხეობაში ბუნაგს მიაგნო. უზარმაზარ მღვიმეს ორი გამოსასვლელი ჰქონდა. ჰერაკლემ ერთი მათგანი მძიმე ლოდებით ჩახერჩა, მეორესთან კი ქვებს ამოფარებულმა დაუწყო ლომს ლოდინი. მწუხრის ჟამს, როცა შეღამება დაიწყო, გამოჩნდა გრძელფაფრიანი ბუმბერაზი ლომი. ჰერაკლემ მშვილდის ლარი მოზიდა და სამი ისარი ზედიზედ ესროლა, მაგრამ ლომის ფოლადივით მაგარმა ტყავმა სამივე ისარი აირეკლა. მრისხანედ დაიღრიალა ლომმა, მეხის ქუხილივით გაისმა მთებში მხეცის ღმუილი. ლომი ვიწრო ხეობაში იდგა, თვალებს ატრიალებდა და გამძვინვარებული ეძებდა იმ არსებას, რომელმაც ისრების ტყორცნა გაბედა. აი, დაინახა კიდეც ჰერაკლე და თავბრუდამხვევი ნახტომებით გადაეშვა გმირისაკენ. ანაზდად გაიელვა ჰერაკლეს კომბალმა და მეხთამტეხი ძალით დაეშვა ლომის თავზე. საშინელი დარტყმით გაბრუებული ლომი დედამიწას დაენარცხა. ჰერაკლე მივარდა, მოჰხვია თავისი ძალუმი მკლავები და დაახრჩო. ბუმბერაზ მხრებზე შეიგდო მოკლული ლომი და ნემეაში დაბრუნდა, ზევსს სამადლობელი მსხვერპლი შესწირა და თავისი პირველი გმირობის სამახსოვროდ შემოიღო ნემეის ასპარეზობა.

როცა ჰერაკლემ მის მიერ მოკლული ლომი მიკენში ჩაიტანა, მხდალი ევრისთევსი ამ საზარელი ნადირის დანახვაზე შიშით გაფითრდა და ლამის სული გაეპარა. მიკენის მეფე მიხვდა, რა არაადამიანური ძალის მფლობელიც იყო ჰერაკლე და მიკენის ჭიშკართან მიახლოებაც კი აუკრძალა. ხოლო როდესაც ჰერაკლეს თავისი საგმირო საქმეების საბუთები მოჰქონდა, ზარდაცემული ევრისთევსი მათ მიკენის მაღალი კედლებიდან დასცქეროდა.

ლერნეს ჰიდრა

(მეორე გმირობა)

პირველი გმირობის შემდეგ ევრისთეუსმა ჰერაკლე ლერნეს ჰიდრის მოსაკლავად გაგზავნა. ეს იყო ურჩხული, რომელსაც გველის ტანი და დრაკონის ცხრა თავი ჰქონდა. ისევე როგორც ნემეის ლომი, ჰიდრაც ტითონისა და ექიდნას ნაშიერი იყო. ქალაქ ლერნეს მახლობლად საშინელ ჭაობში ცხოვრობდა. ხშირად გამოდიოდა თავისი ბუნაგიდან, მთელ ჯოგებს აჩანაგებდა და გარშემო ყველაფერს აოხრებდა. ცხრათავიან ჰიდრასთან ბრძოლა ძნელი იყო, რადგანაც ერთი თავი უკვდავი ჰქონდა. ჰერაკლე ლერნეში იფიკლეს შვილის იოლაოსის თანხლებით გაეშურა. ქალაქ ლერნეს ჭაობს რომ მიუახლოვდა, იოლაოსი ჭალაში ეტლთან დატოვა, თვითონ კი ჰიდრას საძებნელად წავიდა. ჭაობით გარშემორტყმულ გამოქვაბულში იპოვნა და წინასწარ ნაღვერდალივით გავარვარებული ისრები სეტყვასავით დაუშინა. ჰერაკლეს ისრებმა ჰიდრა გააცოფეს. გამოქვაბულის წყვდიადიდან გამოძვრა, მბზინავი ქერტლით დაფარული სხეულის გრეხვით უზარმაზარ კუდზე შედგა და უკვე გმირს უნდა სცემოდა, მაგრამ ასახტომად გამზადებულ მრისხანე ურჩხულს ზევსის შვილმა ფეხი დაადგა და დედამიწას დააკრა. ჰიდრა კუდით შემოეგრაგნა ჰერაკლეს ფეხებს და ცდილობდა როგორმე წაექცია. ურყევ კლდესავით იდგა გმირი და თავისი მძიმე კომბლის დაკვრით ჰიდრას ზედიზედ უჩეჩავდა თავებს. ქარიშხალივით წიოდა ჰაერში დევგმირის კომბალი. ჰიდრას ზედიზედ ეცლებოდა თავები, მაგრამ ურჩხული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. უეცრად ჰერაკლემ შენიშნა, რომ ყოველი მოსხეპილი თავის ადგილზე ჰიდრას ორი თავი ამოსდიოდა. ჰიდრას დამხმარეც გამოუჩნდა. ჭაობიდან ურჩხულისოდენა კიბორჩხალა ამოძვრა და უზარმაზარი მარწუხებით გმირს ორსავე ფეხში ჩაეჭიდა. მაშინ ჰერაკლემ საშველად თავისი მეგობარი იოლაოსი იხმო. იოლაოსმა უზარმაზარი კიბორჩხალა მოკლა, მახლობელი ჭალის ნაწილს ცეცხლი წაუკიდა და ხეთა მოგიზგიზე ღეროებით სწვავდა ჰიდრას კისერს, რომელზედაც ჰერაკლე თავებს აცლიდა კომბლის დაკვრით. ჰიდრას ახალ-ახალი თავები აღარ ეზრდებოდა. სულ უფრო და უფრო სუსტ წინააღმდეგობას უწევდა ზევსის შვილს. ბოლოს ჰიდრას უკვდავი თავიც მოწყდა კისერს და მიწაზე დაგორდა. საოცარი ჰიდრა დამარცხდა, ღრმად ჩამარხა მიწაში მისი უკვდავი თავი გამარჯვებულმა ჰერაკლემ და ზედ უზარმაზარი კლდე დაადგა, რომ ვეღარასოდეს გამოსულიყო დღის სინათლეზე. შემდეგ დიდმა გმირმა ჰიდრას მუცელი გაუპრა და თავისი ისრები მის

ნაღველში ამოავლო. მას შემდეგ ჰერაკლეს ისრით მიყენებული ჭრილობა განუკურნებელი იყო. უდიდესი ზეიმით დაბრუნდა ჰერაკლე ტირინთოში. მაგრამ იქ უკვე ევრისთევსის მორიგი დავალება ელოდა.

სტიმფალიის ფრინველები

(მესამე გმირობა)

ევრისთევსმა ჰერაკლეს ამჯერად სტიმფალიის ფრინველთა გაჟლეტა დაავალა. ამ ფრთოსნებმა თითქმის უდაბნოდ აქციეს არკადიის ქალაქ სტიმფალიის მთელი გარეუბნები. თავს ესხმოდნენ ადამიანებსა და ცხოველებს, სპილენძის კლანჭებით გლეჯდნენ და ჭამდნენ. მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი ის იყო, რომ მათ ფრთები მაგარი ბრინჯაოსი ჰქონდათ და, ჰაერში რომ აფრინდებოდნენ, შეეძლოთ ისარივით დაეშინათ მისთვის, ვინც მათზე — ამ კაციჭამია ფრინველებზე თავდასხმას განიზრახავდა. გაუჭირდებოდა ჰერაკლეს ევრისთევსის ამ დავალების შესრულება, მებრძოლი ათენა-პალადა რომ არ დახმარებოდა, ათენამ გმირს, ღმერთ ჰეფესტოს გამოჭედილი ორი სპილენძის ბობღანი მისცა. უბრძანა მაღალ სერზე დამდგარიყო იმ ტყის მახლობლად, სადაც სტიმფალიის ფრინველები ბუდობდნენ, და ბობღანთა ზრიალზე აშლილი მტაცებლები ისრებით დაეხოცა. ჰერაკლე ასეც მოიქცა. სერზე ავიდა, დაჰკრა ბობღანი და ისეთი გამაყრუებელი ზრიალი ატყდა, რომ თავზარდაცემული ფრთოსნების გუნდი მყისვე აფრინდა და შიშით დარეტიანებული ტყის თავზე დატრიალდა. სეტყვასავით დაუშინეს დედამიწას ისარივით წვეტიანი ფრთები, მაგრამ სერზე მდგომ ჰერაკლეს ერთიც არ მოხვედრია. გმირმა მშვილდი აიღო და ფრინველებს მომაკვდინებელი ისრები დაუშინა. შეშინდნენ სტიმფალიის ფრინველები, მაღლა ღრუბლებში აფრინდნენ და თვალთაგან დაიკარგნენ. ისინი შორს გასცილდნენ საბერძნეთის საზღვრებს, ევქსინის პონტოს მიაშურეს, და აღარასოდეს დაბრუნებულან სტიმფალიის მიდამოებში. ასე შეასრულა ჰერაკლემ ევრისთევსის დავალება და ტირინთოში დაბრუნდა, მაგრამ დაუყოვნებლივ მოუხდა წასვლა კიდევ უფრო დიდი საგმირო საქმის მოსახდენად.

კერინეს ფურ-ირემი

(მეოთხე გმირობა)

ევრისთევსმა იცოდა, რომ არკადიაში, ადამიანთა დასასჯელად ქალღმერთ არტემიდეს გამოგზავნილი მშვენიერი ფურ-ირემი ცხოვრობდა და მთელს მხარეში ველ-მინდვრებს აოხრებდა. ევრისთევსმა ჰერაკლეს ამ ირმის ცოცხლად

შეპყრობა და მიკენში ჩამოყვანა უბრძანა. ეს ფურ-ირემი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო, ოქროს რქები და სპილენძის ჩლიქები ჰქონდა. ქარის მსგავსად დაჰქროდა არკადიის მთებსა და ველებში, არასდროს არ იცოდა დაღლა. მთელი წელიწადი დასდევდა ჰერაკლე ამ ფურ-ირემს. მთებსა და ველებზე მიფრინავდა ნადირი, უფსკრულებზე ხტებოდა, მდინარეებზე ცურვით გადადიოდა. სულ უფრო და უფრო შორეულ ჩრდილოეთში მიიწევდა ირემი. გმირიც არ ჩაბორჩებოდა, კვალდაკვალ მისდევდა და თვალთაგან არ კარგავდა. ბოლოს ირმის დევნაში ჰერაკლემ უკიდურეს ჩრდილოეთს ჰიპერბორეელთა ქვეყანასა და ისტროსის სათავეს მიაღწია. აქ ფურ-ირემი შეჩერდა. გმირს უნდოდა ხელით შეეპყრო, მაგრამ გაუსხლტა და ისარივით დაეშვა უკან სამხრეთისაკენ. დევნა ისევ თავიდან დაიწყო. მხოლოდ არკადიაში დაეწია გმირი ფურ-ირემს. აეთი დევნის შემდეგაც კი შემორჩა ღონე მშვენიერ ნადირს. შეპყრობის იმედი რომ დაკარგა, ჰერაკლემ თავის აუცდენელ ისრებს მიმართა. ოქროსრქიანი ირემი ფეხში დაჭრა და მხოლოდ მაშინ მოახერხა მისი შეპყრობა. ირემი მხრებზე შეიგდო და უკვე მიკენისაკენ წასვლას აპირებდა, როცა წინ განრისხებული არტემიდე წარუდგა და უთხრა:

— განა არ იცოდი, ჰერაკლე, რომ ეს ფურ-ირემი ჩემია? რისთვის მომაყენე შეურაცხყოფა და დაჭერი ჩემი საყვარელი ნადირი? განა არ იცი, რომ წყე-



ჰერაკლეს მოპყავს ერიმანთოს ტახი ევრისთევსთან, რომელიც შიშით ბრინჯაოს ჯურჭელში იმალება (ნახატი ლარნაკზე).

ნას არავის ვაპატიებ? ან იქნებ, ფიქრობ, რომ ოლიმპოს ღმერთებზე ძლიერი ხარ?

მოკრძალებით დახარა თავი ჰერაკლემ მშვენიერი ქალღმერთის წინაშე და მიუგო:

— ო, ლეტოს დიადო ასულო, ნუ დამდებ ბრალს! არასოდეს არ მიმიყენებია შეურაცხყოფა უკვდავ ღმერთებისათვის, რომლებიც ოლიმპოზე ცხოვრობენ. ყოველთვის თაყვანსა ვცემდი ზეცის მკვიდრთ, შესაწირავს ვწირავდი და არასოდეს არ დამისახავს თავი მათ თანატოლად, თუმცა თვით მეხთამტყორცნელი ზევსის შვილი ვარ. ჩემი ნებით კი არ დავდევდი ფურ-ირემს, არამედ ევრისთევსის ბრძანებით. თვით ღმერთებმა მიბრძანეს მისი სამსახური და არ შემიძლია ევრისთევსს არ დავემორჩილო!

არტემიდემ ჰერაკლეს დანაშაული აპატია. მეხთამტყორცნელის ძემ მიკენში ცოცხლად ჩაიყვანა კერინეს ფურ-ირემი და ევრისთევსს მიუყვანა.

ერიმანთოს ტახი და ბრძოლა კენტავრებთან

(მეხუთე გმირობა)

სპილენძისჩლიქებიან ფურ-ირემზე ნადირობის შემდეგ, რაც მთელი წელი გაგრძელდა, ჰერაკლეს დიდხანს როდი მოუხდა დასვენება. ევრისთევსმა დაავალა, ერიმანთოს ტახი მოკალიო. ეს საარაკო ძალის ტახი ერიმანთოს მთაზე ცხოვრობდა და ქალაქ პსოფისის მიდამოებს აოხრებდა. ადამიანებსაც არ აძლევდა გასაქანს, უზარმაზარი ეშვებით ფატრავდა, თუ კი სადმე მოიხელთებდა. ჰერაკლე ერიმანთოს მთისკენ გაეშურა. გზად ბრძენი კენტავრი ფოლოსი ინახულა. ფოლოსმა პატივით მიიღო ზევსის შვილი და ნადიმი გაუმართა. ნადიმის დროს კენტავრმა თავი ახადა დიდ ქვევრს, რათა გმირს უკეთ გამასპინძლებოდა. შორს მოეფინა საკვირველი ღვინის სურნელება. სხვა კენტავრებმაც იგრძნეს ეს სურნელება. საშინლად განრისხდნენ ფოლოსზე იმისთვის, რომ ეს ქვევრი გახსნა. ღვინო მარტო ფოლოსს არ ეკუთვნოდა — იგი ყველა კენტავრის იყო. კენტავრები ფოლოსის საცხოვრებელთან მოვარდნენ და მოულოდნელად წაადგნენ თავს მხიარულად მოქეიფე ჰერაკლესა და მის მასპინძელს, რომელთაც თავები სუროს გვირგვინებით შეემკოთ. ჰერაკლე არც კი შეაკრთო კენტავრების დანახვამ. სწრაფად წამოიჭრა და თავდამსხმელთ უზარმაზარი მოგიზგიზე მუგუზლები დაუშინა. კენტავრებმა გაქცევა იკადრეს, ჰერაკლემ

შხამიანი ისრები დაადევნა და ბევრი დახოცა, მალეამდე სდია, იქ კენტავრებმა თავი შეაფარეს ჰერაკლეს მეგობარს, კენტავრებს შორის უბრძანეს ქირონს. მაშინვე მოვარდა ჰერაკლეც და მღვიმეში შეიჭრა. ბრაზმორეულმა მოზიდა მშვილდი, გაიელვა ჰაერში ისარმა და ერთ-ერთ კენტავრს მუხლში ჩავსო. მტერი კი არ დაჭრა ჰერაკლემ, არამედ თავისივე მეგობარი ქირონი. გამოუთქმელი დარდით აღივსო ჰერაკლე, როცა გაიგო, რომ მეგობარი დაჭრა. მაშინვე მივიდა და ჭრილობის შეხვევას შეუდგა, მაგრამ ვერაფრით უშველიდა მეგობარს, ჰერაკლემ იცოდა, რომ ჰიდრას ნაღველში ამოვლებული ისრით დაკოდილის საშველი არსითაა, ასეთი ჭრილობა განუკურნებელია. ქირონმაც იცოდა, რომ ტანჯვით სიკვდილი ელოდა. ჭრილობისაგან რომ არ დატანჯულიყო კენტავრი ქირონი თავისი ნებით ჩავიდა ჰადესის პირქუშ სამეფოში.

ღრმად დამწუხრებულმა ჰერაკლემ ქირონი დატოვა და მალე მიაღწია ერიმანთოს მთას. იქ ხშირ ტყეში ნახა მრისხანე ტახი და ყვირილით გამოაგდო ტყიდან. დიდხანს სდია, ვიდრე მთის მწვერვალზე ღრმა თოვლში არ მიიმწყვდია. აქ ტახი თოვლში ჩაეფლო, ჰერაკლე მივარდა, შეკრა და ცოცხლად ჩაიყვანა მიკენში. როცა ევრისთევსმა ცოცხალი ბუმბერაზი ტახი ნახა, შიშით ბრინჯაოს დიდ ჭურჭელში დაიმალა.

მეშვე ავგიას ბოსელი

(მეექვსე გმირობა)

მალე ევრისთევსმა ჰერაკლეს ახალი დავალება მისცა. ნაკელისაგან უნდა გაეწმინდა ელიდის მეფის, სხივოსანი ჰელიოსის შვილის, ავგიეს უზარმაზარი ბოსლები. მზის ღმერთმა თავის შვილს განუზომელი სიმდიდრე მისცა. განსაკუთრებით რიცხვმრავალი იყო მისი ჯოგი. თოვლივით ქათქათა ფეხებიანი სამასი ხარი ჰყავდა, ორასი—სიდონის პორფირივით წითელი ხარი, ღმერთ ჰელიოსისადმი მიძღვნილი თორმეტი გედივით თეთრი ხარი და ერთიც, არაჩვეულებრივი სილამაზით გამორჩეული, ვარსკვლავსავით მოციმციმე ხარი. ჰერაკლემ ავგიეს სიტყვა მისცა, ერთ დღეში გაგიწმენდ შენს უზარმაზარ ბოსელს, თუ შენი ჯოგების მეათედს მომცემო. ავგიე დათანხმდა. რადგან ერთ დღეში ასეთი საქმის შესრულება შეუძლებლად მიაჩნდა. ჰერაკლემ მოანგრია ბოსლის ზღუდის ორი მოპირდაპირე კედელი და წლობით გაუსუფთავებელ თავლაში ორი მდინარე — ალფეიოსი და პენეოსი მიუშვა. ამ მდინარეთა წყალმა ერთ დღეში წაიღო ბოსლებში დაგროვილი მთელი ნაკელი, მერე კი ჰერაკლემ კედლები

ისევ ააშენა. როცა ჰერაკლე ავგიეს ეახლა და დაპირებული გასამრჯელო მოსთხოვა, ამაყმა მეფემ უარით გაისტუმრა და ჰერაკლეს ტირინთოში ხელცარიელს მოუხდა დაბრუნება.

დიდმა გმირმა ელიდის მეფეს სამაგიერო გადაუხადა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თავი დაიხსნა ევრისთევსის სამსახურიდან, დიდძალი ჯარით მის საძფლობელოში შეიჭრა, სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაამარცხა ავგიე და თავისი მომაკვდინებელი ისრით სიცოცხლეს გამოასალმა. გამარჯვების შემდეგ ჰერაკლემ შეკრიბა ჯარი, ქალაქ პისასთან თავი მოუყარა მდიდარ ალაფს, მსხვერპლი შესწირა ოლიმპოს ღმერთებს და დასაბამი მისცა ოლიმპიურ ასპარეზობებს, რასაც ამიერიდან მთელ საბერძნეთში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მართავდნენ იმ წმინდა ველზე, სადაც თვით ჰერაკლემ თავისი ხელით მოაშენა ათენა-პალადასადმი მიძღვნილი ზეთისხილის ხეები.

ჰერაკლემ შური იძია ავგიეს ყველა მოკავშირეზეც. მეტადრე ცუდი დღე დაადგა პილოსის მეფე ნელეუსს. ჰერაკლე ლაშქრით მიადგა პილოსს, აიღო ქალაქი და მოკლა ნელეუსი და მისი თორმეტი შვილი. ვერ გადარჩა ვერც მეფისწული პერიკლიმენე, რომელსაც ზღვათა მბრძანებელმა პოსეიდონმა ლომად, გველად და ფუტკრად გადაქცევის უნარი მიანიჭა. ჰერაკლემ იგი მაშინ მოკლა, როცა ფუტკრად ქცეული მეფისწული ჰერაკლეს ეტლში შებმულ ცხენს დააჯდა. გადარჩა ნელეუსის მხოლოდ ერთი შვილი — ნესტორი. შემდეგში ნესტორმა ბერძენთა შორის სახელი განითქვა თავისი საგმირო საქმეებითა და დაუშრეტელი სიბრძნით.

კრეტის ხარი

(მეშვიდე გმირობა)

ევრისთევსის მეშვიდე დავალების შესასრულებლად ჰერაკლეს საბერძნეთის დატოვება და კუნძულ კრეტაზე გადასვლა მოუხდა. ევრისთევსმა ჰერაკლეს კრეტის ხარის შეპყრობა და მიკენში ჩამოყვანა დაავალა. ეს ხარი ევროპის შვილს კრეტის მეფე მინოსს, მიწისმრყეველმა პოსეიდონმა გაუგზავნა. მინოსს ის მსხვერპლად უნდა შეეწირა პოსეიდონისათვის. მაგრამ მინოსს დაენანა სამსხვერპლოდ ასეთი მშვენიერი ხარის დაკვლა, თავის ჯოგში დაიტოვა, მის ნაცვლად კი ზღვის ღმერთს მსხვერპლად ერთ-ერთი თავისი ხარი მიუძღვნა. პოსეიდონი განრისხდა და ზღვიდან გამოსული ხარი გააგიჟა. მთელს კუნძულზე დაჭროდა გადარეული ხარი და თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებდა. დიდმა

გმირმა ჰერაკლემ ხარი შეიპყრო და მოათვინიერა. მერე ზურგზე შეაჯდა და კრეტიდან პელოპონესში გასცურა. ჰერაკლემ ხარი მიკენში ჩაიყვანა, მაგრამ ევრისთევსს შეეშინდა პოსეიდონის ხარის თავის ჯოგში დატოვება და თავისუფლად გაუშვა. თავისუფლება რომ იგრძნო, ხარი ისევ გაშმაგდა, გაიქცა, მთელი პელოპონესი გადასერა ჩრდილოეთისაკენ და ატიკაში მარათონის ველზე ჩავიდა. იქ ხარი საბერძნეთის დიდმა გმირმა თეზევსმა ძოკლა.

დიომედეს მერნები

(მერვე გმირობა)

კრეტის ხარის მოთვინიერების შემდეგ, ევრისთევსის დავალებით ჰერაკლეს ჩასვლა მოუხდა თრაკიაში ბისტონთა მეფე დიომედესთან. ამ მეფეს ჰყავდა საარაკო ძალისა და სილამაზის მერნები, რომლებიც რკინის ჯაჭვებით იყვნენ მიბმული სადგომთან, რადგან არავითარ ბორკილს არ შეეძლო მათი დაკავება. მეფე დიომედე ამ მერნებს ადამიანის ხორცით კვებავდა. შეუბრალებლად უგდებდა შესაჭმელად ყველა უცხოელს, რომელსაც მის სმეფოს საზღვრებთან ქარიშხალი გადმოაგდებდა. აი, თრაკიის ამ მეფეს ესტუმრა ჰერაკლე თავისი თანამგზავრების თანხლებით. დიომიდეს მერნებს დაეუფლა და თავის გემზე აიყვანა. ნაპირზე თვით დიომიდე დაეწია, თან ბისტონების ამალა ახლდა. ჰერაკლემ მერნების დაცვა თავის საყვარელ აბდეროსს, ჰერმესის შვილს, დაავალა, თვითონ კი დიომედეს შეება. ცოტა მეომარი ახლდა ჰერაკლეს, მაგრამ დიომედე მაინც დამარცხდა და ბრძოლაში დაეცა. ჰერაკლე დაბრუნდა ხომალდზე. რა განუზომელი იყო მისი მწუხარება, როცა ნახა, რომ მისი საყვარელი აბდეროსი მერნებს დაეგლიჯათ. ჰერაკლემ თავის ძვირფას მხლებელს მეფური გასვენება მოუწყო, მის საფლავზე მაღალი ბორცვი აღმართა და საყვარელი მეგობრის პატივსაცემად აბდეროსი უწოდა. დიომედეს მერნები კი ევრისთევსს მიჰგვარა, მან მათი გაშვება ბრძანა. ველური მერნები ლიკეიონის მთებში გაიქცნენ და იქ, უსიერ ტყეებში, გარეულმა მხეცებმა დაგლიჯეს.

ჰერაკლე ადმეტესთან

ძირითადად მოთხრობილია ევრიპიდეს ტრაგედიის „ალკესტიდას“ მიხედვით

როცა ჰერაკლე გემით თრაკიის ნაპირებისაკენ მეფე დიომიდეს მერნების გასატაცებლად მიცურავდა, გზად თავის მეგობარ მეფე ადმეტესთან შეელა განიზრახა, რადგან გზა სწორედ მის სამეფო ქალაქ ფერესთან გადიოდა.

მძიმე დროს ესტუმრა ჰერაკლე ადმეტეს. განუზომელი დარდი მეფობდა მეფის სასახლეში. სასიკვდილოდ იყო განწირული მისი ცოლი ალკესტიდა. ოდესღაც ბედისწერის ქალღმერთებმა, დიდმა მოირებმა, აპოლონის თხოვნით იწინასწარმეტყველეს, რომ მეფე ადმეტე სიკვდილს გადარჩებოდა, თუ მისი სიცოცხლის უკანასკნელ საათს ვინმე დათანხმდებოდა მის მაგიერ ჰადესის პირქუშ სამეფოში საკუთარი ნებით ჩასვლას. როცა სიკვდილის წუთი დადგა, მეფე ადმეტემ ძლიერ მოხუცებულ მშობლებს სთხოვა, რომელიმე მათგანი ჩასულიყო მის მაგიერ აჩრდილთა სამეფოში. მაგრამ მშობლებმა უარი უთხრეს. ფერეს არც ერთმა მცხოვრებმა არ ისურვა მეფის ნაცვლად სიკვდილი. მაშინ ახალგაზრდა, მშვენიერმა ალკესტიდამ გადაწყვიტა საყვარელი ქმრის სანაცვლოდ მსხვერპლად საკუთარი თავი მიეტანა. იმ დღეს, როცა ადმეტე უნდა მომკვდარიყო, სასიკვდილოდ გაემზადა მისი ცოლი: ტანი დაიბანა, სამგლოვიარო სამოსელი ჩაიცვა და სათანადო სამკაულები გაიკეთა. სახლის კერასთან მივიდა და ოჯახური ბედნიერების მომნიჭებელ ქალღმერთ ჰესტიას მხურვალე ლოცვით მიმართა:

— ო, დიდო ქალღმერთო, უკანასკნელად ვიყრი მუხლს შენს წინაშე. გეევედრები, დაიფარე ჩემი ობლები, მე ხომ დღეს უნდა ჩავიდე პირქუშ ჰადესის სამეფოში. ო, ნუ მოკლავ მათ მაინც ისე უდროოდ, როგორც მე ვკვდები! გაამდიდრე და გააბედნიერე აქ, მშობელ მხარეში.

შემდეგ ალკესტიდამ ყველა საკურთხეველი მოიარა და მირტის რტოებით შემოსა.

ბოლოს თავის მოსასვენებელში შებრუნდა და ცრემლთა ფრქვევით სარეცელზე დაეშვა. მივიდნენ შვილები — ვაჟი და ქალი, მწარედ ტიროდნენ დედის მკერდს ჩაკრულნი, ტიროდნენ ალკესტიდას მოახლეებიც. სასოწარკვეთილმა ადმეტემ ხელი მოჰხვია ახალგაზრდა ცოლს და ეევედრებოდა, ნუ მიმატოვებო. უკვე მზადაა სასიკვდილოდ ალკესტიდა. უკვე უახლოვდება უჩუმრად და ფეხაკრეფით ფერეს მეფის სასახლეს ადამიანებისა და ღმერთებისათვის საძულველი სიკვდილის ღმერთი თანატოსი, რათა ალკესტიდას მახვილით შეაჭრას თმის კულულები. თვით ოქროსკულულებიანი აპოლონი შეეხვეწა თანატოსს გაეგრძელებინა მისი საყვარელი ადმეტეს ცოლის სიცოცხლის დღე, მაგრამ ულმობელია თანატოსი. გრძნობს ალკესტიდა სიკვდილის მოახლოებას. შეძრწუნებულმა შესძახა:

— ო, უკვე მიახლოვდება ქარონის ორნიჩბიანი ნავი, და მრისხანე ხმით მიყვირის მიცვალებულთა სულების გადამყვანი, ნავის მმართველი: „რას აყოვნებ? იჩქარე, იჩქარე! დრო არ ითმენს! ნუ გვაფერხებ. ყველაფერი მზადაა! იჩქარე!“ ო, გამიშვით! ფეხები მისუსტდება. სიკვდილი მიახლოვდება. შავი

ღამე მიჩრდილავს თვალთა მზერას! ო, შვილებო, შვილებო! უკვე აღარ არის ცოცხალი დედათქვენი! იყავით ბედნიერი! ადმეტე, ჩემს საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასად მიმაჩნდა შენი სიცოცხლე. დაე, შენ გინათოს ჩემს ნაცვლად ცხოველმა მზემ. ადმეტე, ჩემზე ნაკლებად არ გიყვარს ჩვენი შვილები. ო, ნუ მოიყვან სახლში დედინაცვალს, შვილებს დამიჩაგრავს!

იტანჯება უბედური ადმეტე.

— სიცოცხლის მთელი ხიხარული თან მიგაქვს, ალკესტიდა! — შესძახა მან. მთელი სიცოცხლე ვიდარდებ შენზე. ო, ღმერთებო, ღმერთებო, რა მეუღლეს მართმევთ!

— მშვიდობით! უკვე საუკუნოდ მეხუჭება თვალები. მშვიდობით, შვილებო! ახლა არარაობა ვარ. მშვიდობით, ადმეტე! — ძლივს გასაგონად ამბობს ალკესტიდა.

— ო, შემომხედე თუნდაც კიდევ ერთხელ! ნუ მიატოვებ შვილებს! ო, მეც მომკალით! — მიმართავს თვალცრემლიანი ადმეტე.

თვალები ეხუჭება ალკესტიდას, სხეული უცივდება, გარდაიცვალა კიდეც. უნუგეშოდ დასტირის მიცვალებულს ადმეტე და მწარედ ჩივის თავის ბედზე. ბრძანებას იძლევა, საკადრისი გასვენება მოუწყონ. შვიდი თვე იგლოვოს ყველამ მთელს ქალაქში ქალთა შორის სწორუპოვარი ალკესტიდა. მართლაც, მთელი ქალაქი ძაძებშია — ყველას უყვარდა დედოფალი ალკესტიდა.

ალკესტიდას ნეშტს აკლდამაში გასასვენებლად ამზადებდნენ, როცა ქალაქ ფერეში ჰერაკლე ჩამოვიდა. მან ადმეტეს სასახლეს მიაშურა, თავისი მეგობარი ჰიშკართან ნახა. პატივით შეხვდა ადმეტე ეგიდისმპყრობელი ზევსის შვილს. ადმეტეს არ უნდა გმირის დანაღვლიანება და ცდილობს დარდი დაფაროს. მაგრამ ჰერაკლემ მაშინვე შეატყო, რომ ღრმა მწუხარებას მოუცავს მისი მეგობარი, და კაეშნის მიზეზი ჰკითხა. ადმეტემ გაურკვეველი პასუხი მისცა და ჰერაკლემ იფიქრა, რომ გარდაიცვალა ვიღაც შორეული ნათესავი, მამის სიკვდილის შემდეგ ადმეტემ რომ შეიკედლა. მეფე თავის მსახურთ უბრძანებს გმირი სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახში შეიყვანონ და საკადრისი ნადიმი მოუწყონ, ხოლო საქალებო მხარე ჩაგმანონ, რათა დარდის გამომხატველი კვნესის ხმა არ მისწვდეს ჰერაკლეს სმენას. ჰერაკლემ არ იცის, რა მძიმე მწუხარებას მოუცავს მისი მეგობარი და მხიარულად ნადიმობს ადმეტეს სასახლეში. ზედიზედ ცლის სასმისებს. უჭირთ მსახურებს მხიარული სტუმრის გართობა— მათ ხომ წციან, რომ აღარაა მათი საყვარელი დედოფალი ცოცხალთა შორის. რა გულმოდგინებით არ ცდილობენ შეასრულონ ადმეტეს ბრძანება, დაფარონ მწუხარება, მაგრამ ჰერაკლე მაინც ამჩნევს მათ თვალებში ცრემლებს და სა-

ხეზე კაეშანს. ერთ-ერთ მსახურს უხმობს, ჩემთან დაჯექი და ერთად ვიქეიფოთ. ღვინო დარდს გაგიქარვებს და შუბლზე კაეშნის ნაოჭებს გაგიფანტავსო, მაგრამ მსახური უარზეა. მაშინ ხვდება ჰერაკლე, რომ მძიმე უბედურება დასტეხია ადმეტეს სასახლეს. მსახურს ეკითხება, რა დაემართა ჩემს მეგობარსო, და ბოლოს ისიც გატყდა:

— ო, უცხოელო, დღეს ადმეტეს ცოლი ჰადესის სამეფოში წავიდა.

დანაღვლიანდა ჰერაკლე. გული მოუკვდა, რომ სუროს გვირგვინით შემკული ნადიმობდა და მხიარულად მღეროდა იმ სახლში, რომელსაც ასეთი დიდი უბედურება დაატყდა. მერე გადაწყვიტა მადლობა მაინც ეთქვა ადმეტესათვის, რომელიც თავს დატეხილი უბედურების მიუხედავად ასე გულუხვად გაუმასპინძლდა. ანაზდად დიდი გმირის გულში მომწიფდა გადაწყვეტილება — სიკვდილის ღმერთისათვის ხელიდან გამოეგლიჯა მისი ნადავლი ალკესტიდა.

მსახურისაგან გაიგო, სად იყო ალკესტიდას აკლდამა და ფიცხლად გაეშურა იქით. სამარხის უკან მიიმალა და უცდის, როდის მოფრინდება თანატოსი სამსხვერპლო სისხლის დასალევად. აი, გაისმა თანატოსის შავი ფრთების ხმაური, სამარის სუსხმა დაჰკროლა, მოფრინდა თანატოსი და ბაგეებით დააცხრა სამსხვერპლო სისხლს. ჰერაკლე საფრიდან გამოვარდა და თავს დაესხა თანატოსს. ძალუმი მკლავები მოჰხვია და გაიმართა საშინელი ორთაბრძოლა. მთელი ძალ-ღონე დაძაბა ჰერაკლემ, სიკვდილის ღმერთთან შებმულმა. თავისი გაძვალტყავებული ხელები მოუჭირა თანატოსმა, მკერდი შეუკუმშა და ყოველისგამყინავ ამონასუნთქს სახეში აფრქვევს, ხოლო მისი ფრთებიდან გმირს სიკვდილის სუსხი ეცემა. მაგრამ ზევსის უძლეველმა შვილმა მაინც დაამარცხა თანატოსი. შეკრა და გამოსასყიდის სახით ალკესტიდასათვის სიცოცხლის დაბრუნება მოსთხოვა. თანატოსმა ჰერაკლეს ადმეტეს ცოლის სიცოცხლე აჩუქა, და დიდმა გმირმა დედოფალი ქმარს მიჰგვარა.

ადმეტე კი, ცოლის გასვენების შემდეგ სასახლეში მობრუნებული, მწარედ დასტიროდა საყვარელ მეუღლეს. უმძიმდა დაცარიელებულ სასახლეში დარჩენა. საით წავიდეს? შურს მიცვალებულთა. სიცოცხლე შესძულდა. სიკვდილს უხმობს. მთელი მისი ბედნიერება თანატოსმა გაიტაცა და ჰადესის სამეფოში წაიღო. რა უნდა იყოს მისთვის საყვარელი ცოლის დაკარგვაზე მძიმე! ნანობს, რომ ალკესტიდამ არ ისურვა მისი წაყვანა, თორემ მაშინ სიკვდილი ორივეს შეაერთებდა, ორ ურთიერთის ერთგულ სულს მიიღებდა ჰადესი, ერთის ნაცვლად ერთად გადასცურავდნენ ეს სულები აქერონტს. უეცრად დამწუხრებულ ადმეტეს ჰერაკლე წაადგა თავს. ხელით მოჰყავდა რიდით დაფარული ქალი. ჰერაკლე სთხოვს ადმეტეს, შენთან სასახლეში ჩემს დაბრუნებამდე დაიტოვე

ეს ქალი, რომელიც ნადავლად მერგო მძიმე ბრძოლაშიო. ადმეტე უარზეა. ჰერაკლეს სთხოვს ქალი ვინმე სხვას მიჰგვაროს. დამიმძიმდება სასახლეში სხვა ქალის ხილვა მას შემდეგ, რაც დავკარგე ის, ვინც ასე მიყვარდაო. ჰერაკლე თავისას არ იშლის და კიდეც მოითხოვს ადმეტემ თავისი ხელით შეიყვანოს სასახლეში ეს ქალი. ჰერაკლე მეფის მსახურებს არ აძლევს ნებას ხელით შეეხონ მის მიერ მოყვანილ მანდილოსანს. ბოლოს ადმეტეს ღონე აღარ შესწევს უარი უთხრას თავის მეგობარს და ქალს ჰკიდებს ხელს სასახლეში შესაყვანად. ჰერაკლე ეუბნება:

— ხომ აიყვანე, მაშ მფარველობაც გაუწიე! ახლა შეგიძლია თქვა, რომ ზევსის შვილი შენი ერთგული მეგობარია. შეხედე ამ ქალს! ხომ არა ჰგავს შენს ცოლს ალკესტიდას? ნუღარ დარდობ! ნუღარ ემდური წუთისოფელს!

— ო, დიდო ღმერთებო! — შეჰყვირა ადმეტემ, ქალის რიდე როს გადასწია. — ჩემი მეუღლე ალკესტიდა! ო, არა, ეს მხოლოდ აჩრდილია მისი! დუმს, ხმას არ იღებს!

— არა, აჩრდილი არ არის! — მიუგო ჰერაკლემ. — ალკესტიდაა. სულთა სასტიკ მბრძანებელ თანატოსთან ჭიდილში მოვიპოვე მისი სიცოცხლე. დუმილს არ დაარღვევს, ვიდრე მიწისქვეშა ღმერთებს მსხვერპლს არ შესწირავს და მათი ძალაუფლებისაგან არ განთავისუფლდება. არ ამეტყველდება, ვიდრე სამჯერ არ შეცვლის ღამეს დღე. მხოლოდ მაშინ ამოიდგამს ენას. ახლა კი მშვიდობით, ადმეტე! ბედნიერად იყავი და ყოველთვის დაიცავი სტუმარმასპინძლობის წესი, თვით ჩემი მამის ზევსის მიერ დაკანონებული!

— ო, ზევსის დიდო შვილო, შენ ხელმეორედ მომანიჭე სიცოცხლის სიხარული! — შესძახა ადმეტემ. — რითღა გადაგიხადო მადლობა? დარჩი ჩემთან სტუმრად, ბრძანებას გავცემ მთელს ჩემს სამეფოში იზეიმონ შენი გამარჯვება, შესწირონ ღმერთებს დიდი მსხვერპლი. დარჩი ჩემთან!

ჰერაკლე არ დარჩა ადმეტესთან საგმირო საქმე უხმობდა: ევრისთევსის დავალება უნდა შეესრულებინა — გაეტაცა მეფე დიომედეს მერნები.

ჰიპოლიტეს სარტყელი

(მეცხრე გმირობა)

ჰერაკლეს მეცხრე გმირობა იყო მისი ლაშქრობა ამორძალების ქვეყანაში, დედოფალ ჰიპოლიტეს სარტყლის მოსატაცებლად. ეს სარტყელი ჰიპოლიტეს ომის ღმერთმა არესმა აჩუქა. ჰიპოლიტე სარტყელს ატარებდა ყველა ამორძალ-

ზე ბატონობისა და თავისი ძალაუფლების ნიშნად. ევრისთევსის ასულმა ადმეტემ ქალღმერთ ჰერას ქურუმმა, მოისურვა ამ სარტყლის შებმა და დაიკონა, უასათუოდ უნდა მომიტანოთო. თავისი ქალიშვილის სურვილი რომ შეესრულებინა, ევრისთევსმა ჰერაკლეს ქამრის მოტაცება დაავალა. ზევსის დიდმა შვილმა შეკრიბა გმირთა მცირე გუნდი და ერთი გემით გაემგზავრა შორეულ მხარეს. თუმცა დიდი რაზმი არ იახლა ჰერაკლემ, მაგრამ მაინც მრავალი სახელოვანი გმირი იყო მათ შორის. ჰერაკლეს ახლდა თვით ატიკის უდიდესი გმირი თეზევსი.

შორი გზა ედოთ წინ გმირებს. ევქსინის პონტოს უშორესი ნაპირისათვის უნდა მიეღწიათ, რადგან ამორძალებს სწორედ იქ ჰქონდათ სამეფო, იქვე იყო მათი დედაქალაქი თემისკირა. გზად ჰერაკლე და მისი თანამგზავრები მიადგნენ კუნძულ პაროსს, სადაც მინოსის შვილები მეფობდნენ. ამ კუნძულზე მინოსის შვილებმა ჰერაკლეს ორი თანამგზავრი მოუკლეს. განრისხებულმა ჰერაკლემ დაუყოვნებლივ გამოუცხადა ომი მინოსის შვილებს. პაროსის მრავალი მკვიდრი გაწყვიტა, დანარჩენები კი ქალაქში შერეკა და ალყაშემორტყმული ჰყავდა, ვიდრე ელჩი არ მიუგზავნეს და არ სთხოვეს, მოკლულთა ნაცვლად ორი ჩვენთაგანი წაიყვანეო. მაშინ კი მოხსნა ჰერაკლემ ქალაქს ალყა და მოკლულთა ნაცვლად მინოსის შვილიშვილები — ალკეოსი და სფენელაოსი წამოიყვანა.

პაროსიდან ჰერაკლე ჩავიდა მიზიის მეფე ლიკესთან, რომელმაც უდიდესი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა. ლიკეს მოულოდნელად დაესხა თავს ბებრიკების მეფე. ჰერაკლემ თავისი რაზმით დაამარცხა ბებრიკების მეფე, დაუნგრია სატახტო ქალაქი და მთელი მისი მიწები და ქონება ლიკეს დაუმტკიცა. ამ გმირობის შემდეგ ჰერაკლემ გზა განაგრძო და ამორძალების სატახტო ქალაქ თემისკირაში ჩავიდა.

ზევსის შვილის გმირობის ამბავს დიდი ხანია მიეღწია ამორძალების ქვეყანაში. ამიტომ, როცა ჰერაკლეს ხომალდი თემისკირას მიადგა, ამორძალების დედოფალი თავისი ამალის თანხლებით გმირს გამოეგება. განცვიფრებული შესცქეროდნენ ზევსის შვილს, რომელიც თავის თანამგზავრ გმირთა შორის ისე გამოირჩეოდა, როგორც ღმერთი მოკვდავთაგან. დედოფალმა ჰიპოლიტემ გმირთაგმირს ჰკითხა:

— ზევსის სახელოვანო შვილო, მითხარი, რამ მოგიყვანა ჩვენს ქალაქში? მშვიდობა მოგაქვს თუ ომი?

ჰერაკლემ დედოფალს უპასუხა:

— დედოფალო, ჩემი ნებით არ გამომივლია ეგზომ გრძელი გზა მღელვა-

რე ზღვაში და ჩემის ნებით არ მოვსულვარ შენს სამფლობელოში. მიკეხის მბრძანებელმა ევრისთევსმა გამომგზავნა. მის ასულს ადმეტეს სურს ერტყას შენი სარტყელი, არესმა რომ გაჩუქა. ევრისთევსმა შენი ქამრის ხელში ჩაგდება დამავალა.

ჰიპოლიტეს არ შეეძლო უარი ეთქვა რაიმეზე ჰერაკლესათვის. უკვე მზად იყო ნებით მიეცა მისთვის სარტყელი, მაგრამ დიდმა ჰერამ ისევ განიზრახა ჰერაკლეს დაღუპვა, ამორძალის სახე მიიღო, ბრბოში გაერია და მეომარ ქალებს წაქეზება დაუწყო, თავს დაესხით ჰერაკლეს ჯარსო.

— გატყუებთ ჰერაკლე, — უთხრა ჰერამ ამორძალებს. — მზაკვრული განზრახვით მოვიდა ჩვენთან: გმირს განზრახული აქვს მოიტაცოს ჩვენი დედოფალი ჰიპოლიტე და მხევლად წაიყვანოს თავის სახლში.

ამორძალებმა ჰერას დაუჯერეს. მყისვე შეიარაღდნენ და თავს დესხნენ ჰერაკლეს ჯარს. ამორძალთა ლაშქარს წინ მიუძღოდა ქარიკით სწრაფი აელა. ქარტეხილივით დაატყდა თავს ჰერაკლეს. დიდმა ჰერაკლემ აელა უკუაგდო და გააქცია. აელას იმედი ჰქონდა, რომ თავს გაქცევით უშველიდა. მაგრამ ვეღარ უშველა სისწრაფემ. გმირი დაეწია და მოელვარე შუბით განგმირა. ბრძოლაში დაეცა პროტოეც. მან საკუთარი ხელით მოკლა ჰერაკლეს მხლებელი შვიდი გმირი, მაგრამ ზევსის დიდი შვილის ისარს ვეღარ გადაურჩა. მაშინ ჰერაკლეს ერთბაშად შვიდი ამორძალი დაესხა თავს. შვიდივე თვით არტემიდეს თანაჰგზავრი იყო. ვერავინ შეედრებოდა ამ მეომარ ქალებს შუბის ხმარების ხელოვნებაში. ფარები იფარეს, შუბები ჰოიმარჯვეს და ჰერაკლეს შეუტიეს, მაგრამ ამჯერად შუბები გმირს ასცდნენ და ზუზუნით ჩაუქროლეს. ჰერაკლემ თავისი კომბლით ყველანი გაჟლიტა. ზევსის შვილი დაერია ამორძალებს, ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ არტემიდეს მხლებელნი, მათი იარაღი მზეზე ბზინავდა. ამორძალი მელანიპე, რომელიც ჯარს მიუძღოდა, ჰერაკლემ ტყვედ იგდო. მასთან ერთად დაატყვევა ანტიოპეც. მამაცი მეომარი ქალები დამარცხდნენ, გაიქცა ამორძალების ლაშქარი, ბევრი მდევართა ხელით დაეცა. ამორძალებმა ჰერაკლესთან ზავი ჩამოაგდეს. ჰიპოლიტემ ძალუმი მელანიპე ტყვეობიდან თავისი ქამრის ფასად გამოისყიდა, ანტიოპე კი ჰერაკლემ თან წაიყვანა და შეუდარებელი გმირობისათვის თეზევსს აჩუქა. ასე მოიპოვა ჰერაკლემ ჰიპოლიტეს სარტყელი.

ჰერაკლემ იხსნა ჰესიონე, ღაომედონტის ასული

ამორძალების ქვეყნიდან ტირინთოსაკენ გამობრუნებულმა ჰერაკლემ თავისი ჯარი ხომალდებით ტროას მიაყენა. საშინელი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ გმირებს, როდესაც ტროას მახლობლად ღუზა ჩაუშვეს. ზღვისპირას

კლდეზე ნახეს მიჯაჭვული ჰესიონე, ტროას მეფე ლაომედონტის მშვენიერი ასული. ანდრომედესავით ზღვის ურჩხულის დასაგლეჯად იყო იგი განწირული. ეს ურჩხული პოსეიდონმა ლაომედონტს სასჯელის ნიშნად მიუგზავნა, რადგან ტროას კედლების აშენებისათვის მას და აპოლონს გასამრჯელო არ მისცა. ზეციადი მეფე, რომელსაც ზევსის ბრძანებით ორივე ღმერთი ემსახურებოდა, ყურების მოკვრითაც კი დაემუქრა მათ, თუ გასამრჯელოს თხოვნას გაბედავდნენ. მაშინ განრისხებულმა აპოლონმა მთელ მის სამფლობელოებს საშინელი ჭირი დაატეხა, პოსეიდონმა კი გაუგზავნა ურჩხული, რომელიც ტროას გარეუბნებს აოხრებდა და არავის ინდობდა. მხოლოდ საკუთარი ქალიშვილის შეწირვით შეეძლო ლაომედონტს თავისი ქვეყნის დახსნა საშინელი უბედურებისაგან. სხვა რა ღონე ჰქონდა, იძულებული გახდა კლდეზე ღვიძლი ასული ჰესიონე მიეჯაჭვა.

უბედური ქალიშვილი რომ დაინახა, ჰერაკლემ მისი დახსნა ითავა, სანაცვლოდ კი ლაომედონტს მოსთხოვა ის მერნები, რომლებიც მეხთამტყორცნელმა ზევსმა აჩუქა, მისი შვილის განიმედის სანაცვლოდ, გამოსასყიდის სახით. მეფისწული ოდესღაც ზევსმა გაიტაცა და ოლიმპოზე აიყვანა. ლაომედონტი პირობაზე დათანხმდა. დიდმა გმირმა ტროელებს ზღვის პირას მიწის დაზვინვა უბრძანა და მის უკან დაიმალა. ძლივს მოასწრო ბორცვის უკან დამალვა, რომ ზღვიდან უზარმაზარმა ურჩხულმა გამოსცურა და პირდაღებული ჰესიონეს მივარდა. ხმამაღალი ყვირილით გამოვარდა ჰერაკლე საფრიდან, ეცა ურჩხულს და თავისი ორპირი მახვილი ვადამდე ჩასცა მკერდში. ჰერაკლემ იხსნა ჰესიონე.

დადგა გასამრჯელოს მოთხოვნის დროც. დაენანა მეფეს თავისი შესანიშნავი მერნები, უარი უთხრა ჰერაკლეს და მუქარით განდევნა ტროადან. ჰერაკლემ ლაომედონტის სამეფო დატოვა და ბოღმა გულში ჩაიმარხა. ახლა არ შეეძლო მატყუარა მეფისათვის სამაგიეროს გადახდა, რადგან მეტად მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა თან და იმედი არა ჰქონდა, რომ მალე შეიკრებოდა ტროას მიუდგომელ ზღუდეში. ტროას კედლებთან დიდხანს დარჩენა კი ზევსის შვილს არ შეეძლო — დროზე უნდა ჩაეტანა ჰიპოლიტეს სარტყელი მიკენში.

გერიონის ძროხები

(მეათე გმირობა)

ამორძალების ქვეყანაში ლაშქრობიდან დაბრუნებული ჰერაკლე მალე ახალი საგმირო საქმის ჩასადენად გაეშურა. ევრისთევსის დავალებით მიკენში უნდა მოერეკა ქრიზაორესა და ოკეანიდ კალიროეს შვილის — ბუმბერაზ გერი-

ონის ძროხები. შორი გზა იყო გასაველელი. გერიონეს სამფლობელომდე. ჰერაკლეს უნდა მიეღწია დედამიწის უკიდურესი დასავლეთი კიდისათვის, იმ ადგილებამდე, სადაც დაბლა ეშვება მზის სხივოსანი ღმერთი ჰელიოსი. ჰერაკლე მარტო დაადგა შორეულ გზას. გაიარა აფრიკა, გადალახა ლიბიის უნაყოფო უდაბნოები, ბარბაროსების ველური სამფლობელოები, და ქვეყნიერების კიდეს მიაღწია. იქ ზღვის ვიწრო სრუტის ორსავე მხარეს თავისი გმირობის სამარადისო უკვდავსაყოფად ორი გიგანტური ქვის სვეტი აღმართა *.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი ხეტიალი მოუხდა ჰერაკლეს, ვიდრე ჭაღარა ოკეანის ნაპირებს მიაღწევდა. გმირი მარად მღელვარე ოკეანის წყალთა ნაპირზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. როგორ უნდა მიეღწია ერიფიის კუნძულამდე, სადაც გერიონი თავის საქონელს მწყემსავდა? უკვე ღამდებოდა. აი, გამოჩნდა, ჰელიოსის ეტლიც და ოკეანის ტალღებისაკენ დაეშვა. ჰელიოსის კაშკაშა სხივებმა ჰერაკლეს თვალი დაუბრმავა, თანაც აუტანელმა პაპანება სიცხემ დააჭირა. განრისხებული წამოიჭრა ჰერაკლე და მრისხანე მშვილდს ხელი დასტაცა, მაგრამ არ სწყენია ნათელ ჰელიოსს, მეგობრულად გაუღიმა გმირს, მოეწონა დიდი ზევსის შვილის არაჩვეულებრივი სითამამე და ვაჟკაცობა. ჰელიოსმა თვითონ შესთავაზა ოქროს ნავი კუნძულზე გადასასვლელად. ამ ნავით ყოველ ღამე მიცურავდა ჰელიოსი მზის ეტლიანად ოკეანის დასავლეთი ნაპირიდან აღმოსავლეთამდე, თავის ოქროს სასახლისაკენ.

გახარებული გმირი გაბედულად ჩახტა ნავში და სწრაფად მიაღწია ერიფიის ნაპირს.

ძლივს მოასწრო კუნძულზე ფეხის შედგმა, რომ მრისხანე ორთავიანმა ძაღლმა ორთროსმა სუნი იკრა და უეფით მივარდა გმირს. ჰერაკლემ ორთავიანი ძაღლი თავისი მძიმე კომბლის ერთი დარტყმით გააცივა. მაგრამ გერიონის ჯოგებს მარტო ორთროსი არ იცავდა. ჰერაკლეს შებრძოლება მოუხდა გერიონის მწყემსთან ბუმბერაზ ევრიტიონთან. სწრაფად გაუსწორდა ბუმბერაზს ზევსის შვილი და გერიონის ძროხები მირეკა ზღვის პირზე, სადაც ჰელიოსის ოქროს ნავი ელოდა. გერიონს ძროხების ზმუილი ესმა და თავისი ჯოგისაკენ გამოეშურა. ნახა, მისი ძაღლი ორთროსი და ბუმბერაზი ევრიტიონი მკვდრები გდიან. დაუყოვნებლივ დაედევნა ჯოგის გამტაცებელს და ზღვის პირას დაეწია. გერიონი ზღაპრული ძალის ბუმბერაზი იყო. სამი სხეული, სამი თავი, ექვსი ხელი და ექვსი ფეხი ჰქონდა. სამ ფარს იფარებდა ბრძოლის დროს, სამ უზარმა-

---

* ძველად ბერძნები თვლიდნენ, რომ კლდეები გიბრალტარის სრუტის ორთავე მხარეს აღმართა ჰერაკლემ და მათ ჰერაკლეს სვეტებს უწოდებდნენ.

ზარ შუბს სტყორცნიდა ერთდროულად მოწინააღმდეგეს. აი, ასეთ ბუმბერაზთან მოუხდა შებრძოლება ჰერაკლეს, მაგრამ დიდი მეომარი ათენა-პალადა დაეხმარა. როგორც კი გერიონი დაინახა, ჰერაკლემ დაუყოვნებლივ სტყორცნა მომაკვდინებელი ისარი და ერთ-ერთი თავის თვალში მოახვედრა. პირველ ისარს მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე. მერე მრისხანედ მოიქნია თავისი ყოველისშემმუსვრელი კომბალი, ელვასავით დაატეხა თავს და განგმირული სამტანიანი ბუმბერაზი დაეცა დედამიწაზე. გმირმა გერიონის ჯოგი კუნძულიდან ხმელეთზე გადაიყვანა და შემდეგ ჰელიოსს ოქროს ნავი დაუბრუნა. საგმირო საქმის ნახევარი ძოთავებული იყო.

წინ კიდევ ბევრი შრომა და განსაცდელი ელოდა. საჭირო იყო ძროხების მიკენში ჩარეკვა. მთელი ესპანეთი, პირენეის მთები, გალია და ალპები, მთელი იტალია უნდა გაევლო. სამხრეთ იტალიაში რომ მიერეკებოდა ჯოგს, ერთ-ეოთი ძროხა ჩამოსცილდა, სრუტე გაცურა და მივიდა სიცილიაში. იქ ძროხა პოსეიდონის შვილმა მეფე ერიქსემ დაინახა და თავის ჯოგს შეურია. დიდხანს ეძებდა ჰერაკლე ძროხას. შემდეგ ღმერთ ჰეფესტოს სთხოვა, ჯოგისათვის მიეხედა, თვითონ სიცილიაში გადავიდა და თავისი ძროხა ერიქსეს ჯოგში იპოვა. მეფემ არ ისურვა ძროხის დაბრუნება. თავისი ძალით დაიმედებულმა ჰერაკლე ორთაბრძოლაში გამოიწვია. გამარჯვებულს საჩუქრად ძროხა დარჩებოდა. მაგრამ სად ჰქონდა ერიქსეს ისეთი ღონე, რომ ჰერაკლეს მსგავს გმირს გატოლებოდა! ჰერაკლემ ძროხა დაიბრუნა და ჯოგი ისევ გარეკა. იონიის ზღვის სანაპიროზე ქალღმერთმა ჰერამ მთელი ჯოგი გააცოფა. გაცოფებული ძროხები ყოველ მხარეს დაიფანტნენ. გაჭირვებით დაიჭირა ჰერაკლემ გაშმაგებული საქონლის უმეტესი ნაწილი და როგორც იქნა, მიკენში მირეკა, ევრისთევსმა კი მთელი ჯოგი დიდ ქალღმერთ ჰერას შესწირა მსხვერპლად.

კერბერი

(მეთერთმეტე გმირობა)

როგორც კი ტირინთოში ჩამოვიდა, ევრისთევსმა ჰერაკლე ახალ საგმირო საქმეზე გაგზავნა. ეს იყო უკვე მეთერთმეტე გმირობა, რაც ჰერაკლეს ევრისთევსის სამსახურში უნდა ჩაედინა. განუზომელი სიძნელეების გადალახვა მოუხდა ჰერაკლეს ამ გმირობის მოხდენის დროს. ჰადესის პირქუშ, საზარლობათა სამეფოში უნდა დაშვებულიყო და ევრისთევსისათვის მოეყვანა მიწისქვეშა სამყაროს დარაჯი, ჯოჯოხეთის საშინელი ძაღლი კერბერი. კერბერს სამი თავი ჰქონდა. კისერზე გველები ეხვიენ, მისი კუდი კი უზარმაზარი პირდაღე-

ბული დრაკონის თავით ბოლოვდებოდა. ჰერაკლე ლაკონიაში ჩავიდა და ტენარის კონცხის მრუმე ნაპრალიდან დაეშვა მიწისქვეშეთის სამეფოში. ჰადესის სამეფოს ჭიშკრებთან ჰერაკლემ ნახა კლდეზე მიჯაჭვული გმირები თეზევსი და თესალიის მეფე პეირითოე. ღმერთებმა ასე იმისათვის დასაჯეს, რომ ჰადესის ცოლის პერსეფონეს მოტაცება განიზრახეს. თეზევსი ჰერაკლეს შეეეედრა.

— ო, ზევსის დიდო შვილო, მომანიჭე თავისუფლება! ხომ ხედავ, როგორ ვიტანჯები! მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია მიხსნა ამ სატანჯველისგან!

ჰერაკლემ ხელი გაუწოდა თეზევსს და გაათავისუფლა. ხოლო როცა პეირითოეს განთავისუფლებაც მოინდომა, მიწა შეირყა, და ჰერაკლე მიხვდა, რომ ღმერთებს არ სწადიათ მეფის განთავისუფლება. ჰერაკლე დაეძორჩილა ღმერთების ნებას და გზა განაგრძო მარადიული წყვდიადის სამეფოში. მიწისქვეშეთში ჰერაკლე ღმერთების შიკრიკმა, მიცვალებულთა სულების გამცილებელმა ჰერმესმა ჩაიყვანა. ხოლო თანამგზავრად ახლდა თვით ზევსის საყვარელი ასული ათენა-პალადა. როცა ჰერაკლე აჩრდილთა სამეფოში ჩავიდა. მიცვალებულთა შეშინებული სულები აქეთ-იქით გაფრინდნენ. მხოლოდ გმირ მელეაგრეს სული არ დაძრულა ჰერაკლეს დანახვაზე ვედრებით მიმართა ზევსის დიდ შვილს:

— ო, დიდო ჰერაკლე! მხოლოდ ერთსა გთხოვ ჩვენი მეგობრობის ნიშნად: შეიბრალე ჩემი დაობლებული და დეიანირა! უმწეოდ და უნუგეშოდ დარჩა ჩემი სიკვდილის შემდეგ. ცოლად წაიყვანე, დიდო გმირო! გაუწიე მფარველობა!

ჰერაკლე მეგობარს დაჰპირდა, სათხოვარს აგისრულებო, და გზა განაგრძო, მიჰყვა ჰერმესს. ჰერაკლეს შესახვედრად აღიმართა გორგონა მედუზას უზარმაზარი ლანდი, რისხვით გაუწოდა თავისი სპილენძის ხელები და ოქროს ფრთები შეარხია; მედუზას თავზე გველთა გროვა შეირხა. უშიშარმა გმირმა ხელი ხმალს იკრა, მაგრამ ჰერმესმა შეაჩერა:

— ჩააგე ხმალი, ჰერაკლე! ეს ხომ მხოლოდ უხორცო აჩრდილია! დაღუპვით არ გემუქრება!

მრავალი საშინელება ნახა ჰერაკლემ თავის გზაზე. ბოლოს ჰადესის ტახტის წინაშე წარსდგა. აღტაცებული შესცქეროდნენ მიცვალებულთა სამეფოს მბრძანებელი და მისი ცოლი პერსეფონე მეხთამტყორცნელი ზევსის დიად შვილს, დარდისა და მწუხარების კუშტ სამეფოში ასე გაბედულად დაშვებულს. იდგა მშვიდი და დიდებული გმირთაგმირი ჰადესის ტახტის წინაშე, უზარმაზარ კომბალზე დანდობილი, მხრებზე ლომის ტყავმოსხმული, მხარზე მშვილდგადაგდებული; ჰადესმა წყალობით გაუღიმა თავისი დიადი ძმის ზევსის

შვილს, მიესალმა და ჰკითხა, რამ გაიძულა წყვდიადის სამეფოში დაშვება. ჰერაკლემ უპასუხა:

— ო, მიცვალებულთა სულების მბრძანებელო, დიდო ჰადესო, ნუ განმირისხდები კადნიერი თხოვნისათვის, ყოვლისშემძლევ! ხომ მოგეხსენება, ჩემი ნებით არ მოვსულვარ შენს სამეფოში, ჩემი სურვილით არაფერსა გთხოვ. ნება მომეცი, მბრძანებელო ჰადესო, მიკენში წავიყვანო შენი ძაღლი კერბერი. მიკენის მეფე ევრისთევსმა მიბრძანა, რომელსაც ოლიმპოს ღმერთების ნებით ვემსახურები.

ჰადესმა გმირს უპასუხა:

— ზევსის შვილო შეგისრულებ შენს თხოვნას, ოღონდ უიარაღოდ უნდა დაიმორჩილო კერბერი. თუ მოერევი, ნებას მოგცემ მიჰგვარო ევრისთევსს.

დიდხანს ეძებდა ჰერაკლე კერბერს მიწისქვეშეთში. ბოლოს აქერონის ნაპირებზე იპოვნა და ფოლადივით მაგარი მკლაეები მოჰხვია კისერზე. მრისხანედ დაიღრინა ჰადესის ძაღლმა. მთელი მიწისქვეშა სამეფო შეაზანზარა მისმა ღრენამ. (ოდილობდა ხელიდან გასხლტომოდა ჰერაკლეს, მაგრამ სულ უფრო და უფრო მაგრად უჭერდა გმირი სალტეებივით მაგარ ხელებს. კერბერმა ფეხებზე კუდი შემოახვია, დრაკონის თავი უბებით ჩაიფრინდა ტანში, მაგრამ სულ ამაოდ. ძალუმი ჰერაკლე სულ უფრო მტკიცედ უჭერდა კისერში ხელებს. ბოლოს ნახევრად გაგუდული ძაღლი ჰერაკლეს ფერხთით დავარდა. გმირმა მოასულიერა და წყვდიადის სამეფოდან მიკენში წაიყვანა. კერბერს დღის სინათლის შეეშინდა, ერთიანად ცივი ოფლით დაიფარა. სამივე ხახიდან შხამიანი დორბლი სდიოდა. დედამიწაზე სადაც კი ერთი წვეთი ქაფი დაეცა, შხამიანი ბალახი ამოვიდა.

ჰერაკლემ კერბერი მიკენის კედლებთან მიიყვანა. მხდალ ევრისთევსს საშინელი ძაღლის დანახვაზე თავზარი დაეცა. თითქმის მუხლმოყრილი შეეეედრა ჰერაკლეს კერბერი ისევ, ჰადესის სამეფოში წაეყვანა. ჰერაკლემ შეასრულა ევრისთევსის ბრძანება და ისევ მიჰგვარა ჰადესს საშინელი გუშაგი კერბერი.

ჰესპერიდების ვაშლები

(მეთორმეტე გმირობა)

ჰერაკლეს ყველაზე უფრო დიდი გმირობა ევრისთევსთან სამსახურის დროს იყო მისი უკანასკნელი, მეთორმეტე გმირობა — უნდა ენახა დიდი ტიტანი ატლანტი, მხრებით რომ უკავია ცის თაღი, და მისი ბაღიდან, რომელსაც

მისივე ასულები — ჰესპერიდები დარაჯობდნენ, სამი ოქროს ვაშლი მოეტანა. ამ ვაშლებს ისხამდა ოქროს ხე, რომელიც დედამიწის ქალღმერთმა გეამ ამოზარდა და საჩუქრად უძღვნა ჰერას მისი ქორწინების დღეს. ეს გმირობა რომ ჩაედინა ჰერაკლეს უპირველეს ყოვლისა უნდა გაეგო ჰესპერიდების ბაღისაკენ მიმავალი გზა, მერე კი მოეტაცა ვაშლები, რომელთაც დაუძინებელი, მძვინვარე დრაკონი დარაჯობდა.

არავინ იცოდა ჰესპერიდებისა და ატლანტისაკენ მიმავალი გზა. დიდხანს დაეხეტებოდა ჰერაკლე აზიასა და ევროპაში, გაიარა ყველა ის გზაც, რომელთა გავლაც მოუხდა გერიონის ძროხების მოსაყვანად გაგზავნილს. ყველგან კითხულობდა, მაგრამ გზა ვერავინ ასწავლა. ამ ძებნაში უკიდურეს ჩრდილოეთში მარად მღელვარე უნაპირო მდინარე ერიდანს მიაღწია. აქ ზევსის დიდ შვილს პატივით შეხვდნენ მშვენიერი ნიმფები და მისცეს რჩევა, თუ როგორ ეპოვნა ჰესპერიდების ბაღისაკენ მიმავალი გზა. ჰერაკლე მოულოდნელად უნდა დასხმოდა თავს ზღვის ბერიკაც ნერევსს, როცა ეს გრძნეული მოხუცი ზღვის უფსკრულებიდან ამოვიდოდა, და მისგან გაეგო ჰესპერიდებისაკენ მიმავალი გზა, რომელიც ნერევსის გარდა არავინ იცოდა. ჰერაკლე დიდხანს ეძებდა ბერიკაცს. ბოლოს მოახერხა ზღვის პირას მისი ნახვა, ჰერაკლე თავს დაესხა ზღვის ღმერთს. ძნელი იყო ნერევსთან ბრძოლა. ჰერაკლეს რკინის მკლავებისაგან თავი რომ გამოეხსნა, ნერევსი ათასნაირ სახეს იღებდა, მაგრამ გმირი მაინც არ უშვებდა. ბოლოს შეკრა ქანცგამოლეული ზღვის ღმერთი და იძულებული გახადა ეთქვა ჰესპერიდების ბაღისაკენ მიმავალი გზის საიდუმლოება, რათა თავისუფლება მიეღო. საიდუმლო რომ გაიგო, ჰერაკლემ ზღვის ბერიკაცი გაუშვა და გზას დაადგა.

ხელახლა მოუხდა ლიბიის გავლა. აქ შეხვდა ბუმბერაზ ანტეოსს, ზღვათა ღმერთის პოსეიდონისა და მიწის ქალღმერთ გეას შვილს, რომელიც შვა, გამოკვება და აღზარდა დიდმა გეამ. ანტეოსი ყოველ გამვლელს აიძულებდა ორთაბრძოლაში გაჰყოლოდა, ხოლო დამარცხებულს შეუბრალებლად კლავდა. არავის შეეძლო ანტეოსის დამარცხება, თუ არ ეცოდინებოდა საიდუმლო, საიდან იღებდა ეს გმირი დაუშრეტელ ძალას. საიდუმლო კი ასეთი იყო: როცა ანტეოსი გრძნობდა რომ ძალას კარგავდა, მუისვე შეეხებოდა მიწას, თავის დედას, და მას ახალი ძალა ემატებოდა: დიდი მშობელი, დედამიწის ქალღმერთი ანიჭებდა უშრეტ ძალ-ღონეს. მაგრამ საკმარისი იყო ანტეოსის მიწიდან მოწყვეტა და ჰაერში ატაცება, რომ მაშინვე ქრებოდა მისი სიძლიერე. დიდხანს ებრძოდა ჰერაკლე ანტეოსს, არა ერთხელ დასცა დედამიწაზე, მაგრამ ამით ანტეოსს მხოლოდ ღონე ემატებოდა. უეცრად ბრძოლის

ჟამს ძლევამოსილმა ჰერაკლემ ანტეოსი ჰაერში აიტაცა — ანაზდად გაქრა გეას შვილის ღონე, და ჰერაკლემ ბუმბერაზი ჰაერშივე დაახრჩო.

ჰერაკლემ გზა განაგრძო და ჩავიდა ეგვიპტეში. იქ გრძელი გზით დაქანცული გმირი ნილოსის ნაპირას პატარა ჭალის ჩრდილში წამოწვა და დაიძინა. მძინარე ჰერაკლე ნახა ეგვიპტის მეფემ, პოსეიდონისა და ეპაფეს ასულის ლისიანასეს შვილმა, ბუსირისმა და მძინარე გმირის შებოჭვა ბრძანა. საკუთარი მამის — ზევსისათვის მისი მსხვერპლად შეწირვა განიზრახა. ეგვიპტეში ცხრა წელი გრძელდებოდა მოუსავლიანობა. კვიპროსიდან მოსულმა მისანმა ფრასიასემ 'იწინასწარმეტყველა, მოუსავლიანობა მხოლოდ მაშინ შეწყდება, თუ ბუსირისი ზევსს ყოველწლიურად მსხვერპლად შესწირავს ერთ უცხოელსო. მას შემდეგ სასტიკი მეფე მეხთამტყორცნელს მსხვერპლად სწირავდა ყოველ უცხოელს, რომელიც კი ეგვიპტეში გამოჩნდებოდა. ჰერაკლეც სამსხვერპლოსთან მიიყვანეს, მაგრამ დიდმა გმირმა გაწყვიტა თოკები, რომლებითაც შეკრული იყო და იქვე მოკლა მეფე ბუსირისი და მისი ვაჟი ამფიდამანტე. ასე დაისაჯა ეგვიპტის გულქვა მეფე.

მრავალი ხიფათი შეხვდა კიდევ თავის გზაზე ჰერაკლეს, ვიდრე მიაღწევდა ქვეყნიერების კიდეს, სადაც დიდი ტიტანი ატლანტი იდგა. განცვიფრებული შესცქეროდა გმირი ძალუმ ტიტანს, რომელსაც ფართო მხრებზე მთელი ცის თაღი შეედგა.

— ო, დიდო ტიტანო ატლანტო! — მიმართა ჰერაკლემ. — მე ვარ ჰერაკლე — ზევსის შვილი. შენთან ოქროთი მდიდარ მიკენის მეფე ევრისთევსმა გამომგზავნა. ევრისთევსმა მიბრძანა მივუტანო ჰესპერიდების ბაღში ოქროს ხიდან მოწყვეტილი სამი ვაშლი.

— მე მოგცემ სამ ვაშლს, ზევსის შვილო, — მიუგო ატლანტმა. — შენ კი, ვიდრე ამ ვაშლების მოსატანად წავალ, ჩემს ადგილზე უნდა დადგე და შენი მხრებით შეაკავო ცის თაღი.

ჰერაკლე დათანხმდა და ატლანტის ადგილზე დადგა. არაჩვეულებრივი სიმძიმე დააწვა მხრებზე ზევსის შვილს. მთელი თავისი ღონე დაძაბა და გუმბათი შეაკავა. საშინელმა სიმძიმემ ჰერაკლეს ძალუმი მხრები დასწყვიტა. ცის სიმძიმემ წელში მოხარა, კუნთები დაებერა, როგორც ბორცვები, ოფლი დაასკდა მთელს ტანზე დაძაბულობისაგან, მაგრამ არაადამიანურმა ძალამ და ქალღმერთ ათენას დახმარებამ შეაძლებინეს ცის თაღის შეკავება, ვიდრე ატლანტი მოვიდოდა თავისი ოქროს ვაშლებით. დაბრუნებულმა ტიტანმა გმირს უთხრა:

— აი, სამი ვაშლი. თუ გინდა, თვითონ მივიტან მათ მიკენში, შენ კი ჩემს

ჰერაკლე ჰკლავს ეგვიპტის მეფე ბუსირისს (ნახატი ლარნაკზე).

დაბრუნებამდე ცის თაღი გეჭიროს, შემდეგ კი ისევ ჩემს ადგილზე დავდგები.

ჰერაკლე მიუხვდა ატლანტს ეშმაკობას, მიხვდა რომ ტიტანს სამუდამოდ მოუწადინებია მძიმე მოვალეობისაგან თავის დახსნა, და ცბიერების წინააღმდეგ ცბიერებას მიმართა:

— კარგი, ატლანტო, თანახმა ვარ! — მიუგო ჰერაკლემ ტიტანს. — ოღონდ ცოტა მაცალე, ბალიში გავიკეთო, მხრებზე დავიდო, რომ ასე საშინლად არ დამაწვეს ცის თაღი.

ატლანტი ისევ თავის ადგილზე დადგა და ცის სიმძიმე მხრებზე შეიდგა. ჰერაკლემ კი აიღო თავისი მშვილდი, კაპარჭი, კომბალი, ოქროს ვაშლები და ტიტანს მიმართა:

— მშვიდობით, ატლანტო! ვიდრე ჰესპერიდების ვაშლებს მომიტანდი, ცის თაღი მე მეკავა, სამუდამოდ დაჭერით კი წელს ვერ ბოვიწყვეტ.

ამ სიტყვებით ჰერაკლე ტიტანს მოშორდა, და უწინდებურად ისევ ატლანტს მოუხდა ცის თაღის მხრებით დაკავება. ჰერაკლე კი ევრისთეესთან დაბრუნდა და ოქროს ვაშლები გადასცა. ევრისთეესმა ეს ვაშლები მასვე აჩუქა, ჰერაკლემ კი თავის დიდ მფარველსა და შემწეს, ზევსის დიად ასულ ათენა-პალადას უბოძა. ათენამ ვაშლები ისევ ჰესპერიდებს დაუბრუნა, რომ მარად მათ ბაღში დარჩენილიყვნენ.

თავისი მეთორმეტე გმირობის შემდეგ ჰერაკლე ევრისთეესის სამსახურიდან განთავისუფლდა. ახლა შეეძლო შვიდჭიშკრიან თებეში დაბრუნება. დაბრუნდა კიდეც. მაგრამ ზევსის შვილი დიდხანს არ დარჩენილა თებეში, ახალი

საგმირო საქმეები ელოდნენ. თავისი ცოლი შეგარა ცოლად მისცა თავის მეგობარ იოლაოსს, თვითონ კი ისევ ტირინთოში დაბრუნდა.

მაგრამ მარტო გამარჯვება არ ელოდა ჰერაკლეს, ბედი მძიმე უბედურებებსაც უმზადებდა, რადგან დიდი ქალღმერთი ჰერა უწინდებურად სდევნიდა.

ჰერაკლე და ევრიტე

კუნძულ ევბეაზე, ქალაქ ექალიაში, მეფობდა ევრიტე. მთელ საბერძნეთში იყო განთქმული მისი სახელი, როგორც ყველაზე უფრო დახელოვნებული მოისარისა. თვით ისართმტყორცნელი აპოლონი იყო მისი მასწავლებელი, მშვილდი და ისრებიც კი მან აჩუქა. ოდესღაც, სიყმაწვილეში ჰერაკლეც ევრიტესთან სწავლობდა მშვილდოსნობას. აი, ამ მეფემ გამოაცხადა, რომ თავის ასულს იოლეს ცოლად მისცემს მას, ვინც მშვილდ-ისრის სროლაში დაამარცხებს. ჰერაკლემ იმ ხანებში დაამთავრა სამსახური ევრისთევსთან და ექალიაში გაეშურა, სადაც მრავალი ბერძენი გმირი იყო ჩასული შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. ჰერაკლემ ადვილად დაამარცხა ევრიტე და მისი ასულის იოლეს ხელი მოითხოვა. ევრიტემ თავისი დაპირების შესრულებაზე უარი უთხრა. დაივიწყა სტუმართმოყვარეობის წმინდა წესი და დიდი გმირი სასაცილოდაც კი აიგდო. ჩემს ასულს ვერ მივცემ ცოლად მას, ვინც ევრისთევსის მონა იყო. ბოლოს ევრიტემ და მისმა შვილებმა, შეზარხოშებული ჰერაკლე სასახლიდან და ქალაქიდანაც კი განდევნეს. წავიდა ჰერაკლე ექალიიდან. ღრმად შეწუხებულმა დატოვა ევბეა, რადგან დიდმა გმირმა მხურვალე გულით შეიყვარა მშვენიერი იოლე. გულში ჩაიმარხა წყენა და ტირინთოში დაბრუნდა.

გავიდა ხანი. ჰერმესის შვილმა, ბერძენთა შორის უცბიერესმა ავტოლიკემ, მოიტაცა ევრიტეს ჯოგი. ევრიტემ კი ამ ქურდობაში ბრალი დასდო ჰერაკლეს. ექალიის მეფე ფიქრობდა, ნამდვილად სამაგიერო გადამიხადა შეურაცხყოფისათვის და ჯოგი მომპარაო. მხოლოდ ევრიტეს უფროს შვილს იფიტეს არ სჯეროდა, რომ დიდი ჰერაკლე მამამისის ჯოგს მოიტაცებდა. იფისტემ ჯოგის პოვნაც კი ითავა, ოღონდ ჰერაკლე გაემართლებინა, რომელთანაც გულითადი მეგობრობა აკავშირებდა. ძებნის დროს იფიტე ტირინთოში ჩავიდა. ჰერაკლემ თავისი მეგობარი გულთბილად მიიღო. ერთხელ როცა კლდის ბექობზე აგებულ ტირინთოს ციხე-სიმაგრის მაღალ კედლებზე იდგნენ, ჰერაკლეს უეცრად დიდი ქალღმერთის ჰერას მიერ მოვლენილი სიგიჟე დაეუფლა. მოაგონდა ევრიტეს და მისი შვილების მიერ მიყენებული შეურაცხყოფა, ანგარიშმიუცემლად სტაცა ხელი იფიტეს და სიმაგრიდან გადასტყორცნა. საბრალო ჭაბუკს სული არ დაჰ-

ყოლია მიწამდე. ამ თავისდაუნებლიედ ჩადენილი მკვლელობით ჰერაკლემ განარისხა ზევსი, რადგან დაარღვია სტუმართმოყვარეობის წმინდა წესი და მეგობრობის ურღვევი კავშირი, სასჯელის ნიშნად ზევსმა შვილს მძიმე სნეულება შეჰყარა.

დიდხანს იტანჯებოდა ჰერაკლე. ბოლოს, სნეულებით გაწამებული დელფოში ჩავიდა, რათა აპოლონისათვის ეკითხა, როგორ ეხსნა თავი ღმერთების სასჯელისაგან. მაგრამ მისანმა პითიამ უპასუხოდ დატოვა და ტაძრიდან განდევნა, როგორც მეგობრის სისხლით წაბილწული. განრისხებულმა ჰერაკლემ ტაძრიდან გაიტაცა სამფეხი, საიდანაც პითია წინასწარმეტყველებდა. ამით აპოლონიც განარისხა. ჰერაკლეს გამოეცხადა ოქროსქოჩრიანი აპოლონი და სამფეხის დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ ჰერაკლემ უარი უთხრა. გაიმართა სასტიკი ორთაბრძოლა ზევსის შვილებს — უკვდავ აპოლონსა და მოკვდავ, უდიდეს გმირ ჰერაკლეს შორის. ზევსს არ სურდა ჰერაკლეს სიკვდილი. მოჩხუბართ ოლიმპოდან მოციმციმე ელვა ესროლა და გააშველა. ძმები შერიგდნენ. მაშინ პითიამ ჰერაკლეს ასეთი პასუხი მისცა:

— შენ განიკურნები მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამი წლით მონად გაიყიდები. აღებული ფული კი უნდა მისცე ევრიტეს, როგორც გამოსასყიდი შვილის მოკვლისათვის.

ჰერაკლეს ისევ მოუხდა თავისუფლების დაკარგვა. იგი მონად მიჰყიდეს იორდანეს შვილს ლიდიის დედოფალ ომფალეს. თვით ჰერმესმა მიუტანა ევრიტეს ჰერაკლეში აღებული ფული მაგრამ ექალიის ზვიადმა მეფემ ფული არ მიიღო და უწინდებურად ჰერაკლეს მოსისხლე მტრად დარჩა.

ჰერაკლე და დეიანირა

ევრიტეს მიერ ექალიიდან განდევნილი ჰერაკლე მივიდა კალიდონის ქალაქ ეტოლიაში, სადაც ოინევსი მეფობდა. ჰერაკლე ეახლა ოინევსს და მისი ასულის დეიანირას ხელი სთხოვა, რადგან აჩრდილთა სამეფოში მელეაგრეს შეჰპირდა, შენს დას შევირთავო. კალიდონში ჰერაკლე მრისხანე მეტოქეს შეხვდა. მრავალი გმირი ითხოვდა დეიანირას ხელს, მათ შორის მდინარის ღმერთი აქელოეც. ბოლოს ოინევსმა გადაწყვიტა, დეიანირა ცოლად მიეცა მისთვის, ვინც ორთაბრძოლაში გაიმარჯვებდა. ყველა სასიძომ უარი თქვა ძალუმ აქელოესთან შერკინებაზე. დარჩა მხოლოდ ჰერაკლე. არ ასცდა მდინარის ღმერთთან შებმა. როცა შეატყო, რომ ჰერაკლე მასთან ბედის ცდას აპირებდა, აქელოემ გმირს უთხრა:

— შენ ამბობ, რომ ზევსის და ალკმენეს შვილი ხარ? ტყუიხარ, ზევსი არ არის შენი მამა! — და აქელოე მოჰყვა ზევსის დიდი შვილის დაცინვას და მისი დედის ალკმენეს შეურაცხყოფას. ჰერაკლეს შუბლი შეიკრა, აქელოეს სასტიკი მზერა ესროლა, რისხვის ცეცხლით აენთო თვალები და უთხრა:

— აქელოე, მე უკეთ მემსახურებიან ხელები, ვიდრე ენა! ენით გამარჯვება შენი იყოს, საქმით კი მე გავიმარჯვებ.

მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა ჰერაკლე მდინარის ღმერთს და ძალუმი ხელები ჩაავლო. მაგრად იდგა უზარმაზარი აქელოე. ვერ წააქცია დიდმა ჰერაკლემ. ამაო იყო მისი ყველა ცდა. ისე იდგა აქელოე, ვით ურყევი სალი კლდე, ზღვის შმაგი ტალღები რომ ეხეთქებიან და ვერ არხევენ. მკერდი მკერდზე აქვთ მიბჯენილი ღმერთსა და გმირს, სასტიკი ჭიდილი გაუმართავთ, როგორც ხარებს, ერთმანეთს რომ მრუდე რქებით დასჯახებიან. სამჯერ დაესხა თავს ჰერაკლე აქელოეს, მეოთხედ ხელიდან გაუსხლტა და ღმერთს ზურგიდან ჩააფრინდა. მძიმე მთასავით დააწვინა მდინარის ღმერთი დედამიწაზე. აქელოემ მთელი თავისი ღონე დაძაბა, ძლივს გაინთავისუფლა ოფლით დასველებული ხელები. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იბრძოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო მძლავრად აკრავდა მიწას ჰერაკლე. ერთი დაიკვნესა აქელოემ, მუხლები მოხარა, თავი კი მიწას შეახო. დამარცხებისათვის თავი რომ დაეწია, ხერხს მიმართა: გველად იქცა. როგორც კი გველად ქცეული აქელოე ჰერაკლეს ხელიდან გაუსხლტა, გმირმა სიცილით შესძახა:

— გველებთან ბრძოლა ჯერ კიდევ აკვანში ვისწავლე! მართალია, შენ სხვა გველებზე დიდი ხარ, აქელოე, მაგრამ ლერნეს ჰიდრას მაინც ვერ შეედრები, მართალია ერთი მოკრილი თავის ნაცვლად ორი ეზრდებოდა, მაინც ვძლიე.

ჰერაკლემ კისერში ჩაავლო ხელი ქვეწარმავალს და რკინის სალტეებივით მოუჭირა. იგრიხებოდა აქელოე, ცდილობდა ხელიდან გასხლტომას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მაშინ ხარად იქცა და ისევ დაესხა თავს ჰერაკლეს. გმირმა ხარს ხელები რქებში ჩაავლო და დედამიწაზე დასცა. ისე გამეტებით დასცა, რომ ცალი რქა მოსტეხა. დამარცხდა აქელოე, ოინევსმა დეიანირა ჰერაკლეს მიათხოვა.

ქორწილის შემდეგ ჰერაკლე ოინევსის სასახლეში დარჩა. მაგრამ დიდხანს არ დაუყოვნებია. ერთხელ ნადიმზე ხელი გაარტყა არქიტელეს შვილს ევნომეს, რომელმაც ფეხისათვის გამზადებული წყალი ხელზე დაასხა. დარტყმა ისე ძლიერი იყო, რომ ყმაწვილი მკვდარი დაეცა. შეწუხდა ჰერაკლე, და თუმცა არქიტელემ აპატია უნებური მკვლელობა, გმირმა მაინც მიატოვა კალიდონი, თან წაიყვანა თავისი მეუღლე დეიანირა და ტირინთოში დაბრუნდა.

გზად ჰერაკლე მდინარე ევენთან მივიდა. მღელვარე მდინარეზე მგზავრები ზურგით გადაჰყავდა კენტავრ ნესოსს და გასამრჯელოს იღებდა. ნესოსმა ჰერაკლესაც შესთავაზა თავისი სამსახური, დეიანირას გადავიყვანო. ჰერაკლემ ზურგზე შეასვა ცოლი, თვითონ გმირმა კი კომბალი და მშვილდი მეორე ნაპირზე გადაისროლა და მდინარე გადასცურა. როგორც კი მღელვარე ტალღებიდან გამოვიდა, ჰერაკლეს დეიანირას ხმამაღალი კივილი შემოესმა. საშველად უხმობდა ქმარს. მისი მშვენიერებით მოხიბლულმა კენტავრმა ქალის მოტაცება განიზრახა. მრისხანედ შეუყვირა ზევსის შვილმა კენტავრ ნესოსს.

— საით გარბიხარ? ნუთუ ფიქრობ, რომ ფეხები გიხსნიან? ვერა, ვერ გადარჩები! რა სწრაფადაც არ უნდა გაიქცე, ჩემი ისარი დაგეწევა!

მოზიდა მშვილდი ჰერაკლემ. გაფრინდა დაჭიმული ლარიდან ისარი. მომაკვდინებელი ისარი ნესოსს დაეწია, ზურგში ჩაერჭო, წვერი კი მკერდში გამოვიდა. ჩაიმუხლა სასიკვდილოდ დაჭრილმა კენტავრმა. წყაროსავით მოსჩქეფს ჭრილობიდან ლერნეს ჰიდრის შხამნარევი სისხლი. არ უნდოდა ნესოსს სიკვდილი ისე, რომ შური არ ეძია. აიღო თავისი სისხლი დეიანირას გადასცა და უთხრა:

— ო, ოინევსის ასულო, უკანასკნელი შენ გადმოგიყვანე ევენის მღვრიე ტალღებში! აიღე ჩემი სისხლი და შეინახე! თუ ჰერაკლე შენზე გულს აიყრის, ეს სისხლი დაგიბრუნებს მის სიყვარულს, და არც ერთი ქალი არ იქნება მისთვის შენზე ძვირფასი, ამ სისხლით დაასველე მისი სამოსი.

აიღო ნესოსის სისხლი დეიანირამ და შეინახა. მოკვდა ნესოსი. ჰერაკლე და დეიანირა კი ტირინთოში ჩავიდნენ და მანამდე ცხოვრობდენ იქ, ვიდრე ჰერაკლეს უნებურად არ შემოაკვდა თავისი მეგობარი იფიტე, რის გამოც ქალაქის მიტოვება მოუხდათ.

ჰერაკლე ომფალესთან

იფიტეს მოკვლისათვის ჰერაკლე მონად მიჰყიდეს ლიდიის დედოფალ ომფალეს. ჯერ არასოდეს არ განეცადა ჰერაკლეს იმდენი ჭირ-ვარამი და ძნელბედობა, რამდენიც ნახა ლიდიის ამპარტავან დედოფალთან სამსახურისას. გმირთა შორის უდიდესი გმირი განუწყვეტლივ დამცირებას განიცდიდა. გეგონებოდათ, ომფალე ზევსის შვილის დამცირებაში პოულობდა სიამოვნებას. ქალის სამოსელს აცმევდა, და თავის მოახლე ქალებთან ერთად აიძულებდა რთვასა და ქსოვას. გმირი, რომელმაც თავისი მძიმე კომბლით დაჩეჩქვა ლერნეს ჰიდრა, საიქიოდან მოიყვანა საშინელი ძაღლი, ხელით დაახრჩო ნემეის ლომი და თავისი

მხრებით ეკავა ცის მძიმე თაღი; გმირი, რომლის სახელის გაგონებაზე ძრწოდნენ მისი მტრები, ახლა წელში მოხრილი უნდა მჯდარიყო საქსოვ დაზგასთან და ექსოვა შალი იმ ხელით, რომლითაც მიჩვეული იყო მშვილდის ლარის მოზიდვას, ხმლის ქნევასა და მძიმე კომბლის ტრიალს. ომფალე კი ოქროს აბჯარზე გადაიცმევდა ხოლმე მის ლომის ტყავს, რაც სანახევროდ მიწაზე დასთრევდა, შემოირტყამდა მის ხმალს, გაჭირვებით აიკიდებდა მხარზე გმირის მძიმე კომბალს, დადგებოდა ზევსის შვილის წინ და დასცინოდა თავის მონას. ომფალე თითქოს მიზნად ისახავდა ჩაეკლა გმირში მთელი მისი ზებუნებრივი ძალა. ყველაფერი უნდა მოეთმინა ჰერაკლეს — ის ხომ ომფალეს მონა იყო! და ეს მთელი სამი წელი უნდა გაგძელებულიყო.

ომფალე იშვიათად უშვებდა გმირს თავისი სასახლიდან. ერთხელ, დელოფლის სასახლიდან რომ გავიდა, ჰერაკლემ ეთესოს გარეუბანში ჭალაკის ჩეროში დაიძინა. ძილში ჯუჯა კერკოპები მიეპარნენ და ფარულად იარაღის მოპარვა მოუნდომეს, მაგრამ ჰერაკლემ სწორედ იმ დროს გაიღვიძა, როდესაც კერკოპებმა მისი მშვილდი და ისრები დაიტაცეს. ყველანი შეიპყრო გმირმა და ხელ-ფეხი შეუკრა. მერე შეკრულ ფეხებს შორის გრძელი კოჟი გაუტარა, აიკიდა და ეთესოში წაიღო. მაგრამ კერკოპებმა თავიანთი მანჭვით ისე გააცინეს ჰერაკლე, რომ ყველანი გაათავისუფლა.

მონობის დროს ჰერაკლე მივიდა ავლიდში მეფე სილევსთან, რომელიც ყველა უცხოელს აიძულებდა მონასავით ემუშავა მის ვენახებში. სილევსმა ჰერაკლეც აიძულა ემუშავა. გაჯავრებულმა გმირმა ყველა ვაზი მოგლიჯა და მეფე სილევსი, რომელიც პატივს არ სცემდა სტუმრათმოყვარეობის წმინდა წესს, სიცოცხლეს გამოასალმა. ომფალესთან მონად ყოფნისას ჰერაკლემ მონაწილეობა მიიღო არგონავტების ლაშქრობაში. ამასობაში სასჯელის ვადაც გაუვიდა, და ზევსის დიდმა შვილმა ისევ მიიღო თავისუფლება.

ჰერაკლე იღებს ჯრეას

დააღწია თუ არა თავი ომფალეს მონობას ჰერაკლემ, მაშინვე შეკრიბა დიდძალი ჯარი და რჩეულ გმირთა თანხლებით, თვრამეტი ხომალდით ტროასკენ გაეშურა, რათა სამაგიერო გადაეხადა მატყუარა ლაომედონტისათვის. ტროაში რომ მივიდა, ხომალდების დაცვა ოიკლეს მცირე რაზმს დაავალა, თვითონ კი თავისი ჯარით ტროას მიაშურა. როგორც კი ჰერაკლე ხომალდებს ჩამოშორდა, ოიკლეს რაზმს თავს დაესხა ლაომედონტი, მოკლა ოიკლე და თითქმის მთელი რაზმი ამოხოცა. ხომალდებთან ატეხილი ხმაურის გაგონებაზე

ათენა
(ფიდიასის ათენა
პართენოსის პირი)
ათენა ეარვაკიონი

ათენა, გიგანტი ალკინოე და ქალღმერთი გეა
(პერგამის საკერთხევლის რელიეფი.
დეტალი, ძვ. წ. II საუკ.)

ალკმენა, ატლანტე და ჰერაკლე (ოლიმპიელი
ზევსის ტაძრის მეტოპი. ძვ. წ. V საუკ.
60-იანი წლები)



ჰერაკლე
(ნეაპოლის მუზეუმი)

ჰერაკლე დაბრუნდა, ლაომედონტი გააქცია და აიძულა თავი ტროას კედლებისათვის შეეფარებინა. დიდხანს არ გაგრძელებულა ტროას ალყა. გმირები მაღალ კედლებზე აცოცდნენ და ქალაქში შეიჭრნენ. ტროაში პირველად გმირი ტელამონი შევიდა. გმირთა შორის უდიდესი გმირი ჰერაკლე ვერ იტანდა ვინმეს რომ ეჯობნა მისთვის, იშიშვლა ხმალი და ტელამონთან მიიჭრა. ტელამონმა იგრძნო, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა, უეცრად დაიხარა და ქვების შეგროვება დაიწყო. გაუკვირდა ჰერაკლეს და ჰკითხა:

— რას აკეთებ, ტელამონ?

— ო, ზევსის უდიდესო შვილო, მინდა ძლევამოსილ ჰერაკლეს სამსხვერპლო ავუშენო! — მიუგო ეშმაკმა ტელამონმა და თავისი პასუხით დააშოშმინა ზევსის შვილი.

ტროას აღების დროს ჰერაკლემ ლაომედონტი და მისი შვილები ისრებით დახოცა. გმირმა მხოლოდ უმცროსი, პოდარკე შეიბრალა, ლაომედონტის მშვენიერი ასული ჰესიონე კი სიმამაცით გამორჩეულ ტელამონს მისცა ცოლად, თან ნება დართო ერთ-ერთი ტყვე ამოერჩია და თავისუფლება მიენიჭებინა. ჰესიონემ თავისი ძმა პოდარკე აირჩია.

— ის ყველა ტყვეზე ადრე უნდა გახდეს მონა! — შესძახა ჰერაკლემ, თუ გამოსასყიდს გადაიხდი, მხოლოდ მაშინ მიენიჭება შენს ძმას თავისუფლება.

ჰესიონემ თავიდან მანდილი მოიხსნა და გაუწოდა. აი, ეს არისო გამოსასყიდი. მას შემდეგ უწოდეს პოდარკეს პრიამე, ე. ი. ნაყიდი. ჰერაკლემ ტროა პრიამეს ჩააბარა, თვითონ კი თავისი ჯარის თანხლებით ახალი საგმირო საქმეების მოსახდენად წავიდა.

როცა ჰერაკლე ჯარის თანხლებით ტროადან ბრუნდებოდა, ჰერამ ერთხელ კიდევ მოინდომა მისთვის საძულველი ზევსის შვილის დაღუპვა და ჰერაკლეს ხომალდებს საშინელი ქარიშხალი მოუვლინა. ხოლო ზევსს რომ არ ენახა, რა საფრთხე ემუქრებოდა მის შვილს, ძილის ღმერთმა ჰიპნოსმა ჰერას თხოვნით ეგიდისმპყრობელს ძილი მოჰგვარა. ქარიშხალმა ჰერაკლე კუნძულ კოსზე გამორიყა.

კოსის მცხოვრებლებმა ხომალდი მეკობრეების ხომალდად მიიღეს, ქვები დაუშინეს და ნაპირზე გასვლის ნებას არ აძლევდნენ. ჰერაკლე კუნძულზე ღამით გადავიდა, დაამარცხა კოსელები, მოკლა მათი მეფე, პოსეიდონის შვილი ევრიპილე. და მთელი კუნძული გააპარტახა.

ზევსი საშინლად განრისხდა, როცა გამოეღვიძა და გაიგო, რა საფრთხეშიც ჩავარდა მისი შვილი ჰერაკლე. განრისხებულმა ჰერა ურყევი ჯაჭვებით შებოჭა და ცასა და მიწას შორის დაჰკიდა, ფეხებზე კი ორი მძიმე გრდემლი მიაბა. ყო-

ველ ოლიმპოელს, რომელიც ჰერას გამოექომაგებოდა, განრისხებული ზევსი შეუბრალებლად სტყორცნიდა ოლიმპოდან. დიდხანს ეძებდა ჰიპნოსსაც, რომელსაც ოლიმპოდან გადაგდება ეოდა ღმერთებისა და ადამიანების მბრძანებლის ხელით, ქალღმერთ ღამეს რომ არ შეეფარებინა იგი.

ჰერაკლე ღმერთების მხარდამხარ ებრძვის გიგანტებს

კუნძულ კოსზე მყოფ ჰერაკლეს ზევსმა თავისი საყვარელი ასული ათენა-პალადა მიუგზავნა და დიდი გმირი გიგანტებთან ბრძოლაში დასახმარებლად იხმო. გიგანტები შვა ქალღმერთმა გეამ კრონოსის მიერ დამხობილი ურანოსის სისხლის წვეთებისაგან. ესენი იყვნენ ბუმბერაზები, რომელთაც ფეხების მაგიერ გველები გამოსხმოდათ, თავი გრძელი ბანჯგვლიანი თმით ჰქონდათ დაფარული და წვერი მკერდზე სცემდათ.

მეტად ძლიერნი იყვნენ გიგანტები, ამაყობდნენ თავიანთი სიძლიერით და ოლიმპოს ღმერთების დამხობაც კი მოინდომეს, რათა ხელთ ეგდოთ ქვეყნიერების მართვის სადაველები. გიგანტები ღმერთებს, ქალკიდის ნახევარკუნძულ პალენეში შეებნენ. მათ არ ეშინოდათ ოლიმპოს ღმერთებისა. დედა გეამ გიგანტებს უებარი წამალი მისცა, — ღმერთების იარაღი მათ ვერს ავნებდა. მათი მოკვლა მხოლოდ მოკვდავს შეეძლო, რადგან გეამ მოკვდავთა იარაღისაგან გიგანტების დაცვა ვერ შეძლო. მთელს ქვეყნიერებაზე დაეძებდა გეა ისეთ ბალახს, რომელიც მოკვდავთა იარაღისათვისაც შეუვალს გახდიდა მის შვილებს, მაგრამ ზევსმა განთიადის ქალღმერთ ეოსს, მთვარის ქალღმერთ სელენესა და მზის ღმერთს ჰელიოსს აუკრძალა გეასათვის ნათება და მთელი სამკურნალო ბალახი თვითონ მოჭრა.

რაკი ღმერთების ხელით სიკვდილის შიში არ ჰქონდათ, გიგანტები თამამად ეკვეთნენ ოლიმპოელებს. უზარმაზარ კლდეებსა და ცეცხლმოდებულ ასწლოვან ხეებს გლეჯდნენ და სტყორცნიდნენ ღმერთებს. ბრძოლის ხმა მთელს ქვეყანიერებაზე გაისმოდა.

ბოლოს გამოჩნდა ჰერაკლეც, ათენა-პალადამ პირდაპირ ბრძოლის ველზე მოიყვანა. გაიზუზუნა ზევსის შვილის მრისხანე მშვილდის ლარმა, გაიელვა ლერნეს ჰიდრის შხამით გაჟღენთილმა ისარმა და მკერდში ჩაესო ყველაზე ძლიერ გიგანტ ალკიონევსს; განგმირული გიგანტი დედამიწაზე დაეცა, მაგრამ მას სიკვდილი ვერ შეეხებოდა პალენეზე, აქ იგი უკვდავი იყო, — ძირს რომ დაეცა, ცოტა ხანში ისევ წამოიწია და უწინდელზე ძლიერი ზეზე წამოდგა. ჰერაკლემ სწრაფად წამოიკიდა ალკიონევსი ზურგზე და პალენედან წაიღო. ამ

მხარეს რომ გასცდნენ, გიგანტი მოკვდა. ალკიონეუსის დაღუპვის შემდეგ ჰერას და ჰერაკლეს თავს დაესხა გიგანტი პორფირიონი, ჰერას თავსაბური მოხადა და უნდოდა ხელი ეტაცა. მაგრამ ზევსმა თავისი ელვით მიწაზე დასცა, ხოლო ჰერაკლემ ისრით განგმირა. აპოლონმა თავისი ოქროს ისრით გიგანტ ეფიალტეს მარცხენა თვალი დაუშრიტა, ხოლო ჰერაკლემ ისარი მარჯვენა თვალში მოახვედრა და სასიკვდილოდ დაჭრა. დიონისემ თავისი ტირსით მოკლა გიგანტი ევრიტე, ჰეფესტომ — გიგანტი კლიტიოსი, რომელსაც გავარვარებული რკინის უზარმაზარი ბელტი ესროლა. ათენა-პალადამ გაქცეულ გიგანტს ენკელადეს მთელი კუნძული სიცილია დაადგა და გასრისა.

გიგანტი პოლიბოტი, რომელიც ზღვა-ზღვა ცურვით გაურბოდა დედამიწის მრისხანე შემარყეველ პოსეიდონს, კუნძულ კოსზე გაიქცა. პოსეიდონმა სამთითით მოგლიჯა კუნძულ კოსს ერთი ნაწილი და ლტოლვილ გიგანტს თავზე დაამხო — ასე შეიქმნა კუნძული ნისიროსი. ჰერმესმა განგმირა გიგანტი ჰიპოლიტე, არტემიდემ — გრატიონე, დიდმა მოირებმა—აგრიე და ფოონი, რომლებიც სპილენძის კომბლებით იბრძოდნენ. ყველა დანარჩენი გიგანტი ელვის ისრებით დახოცა მეხთამტყორცნელმა ზევსმა, მაგრამ სიკვდილი კი ყველა გიგანტს ჰერაკლემ მოუვლინა თავისი მომაკვდინებელი, მიზანს აუცდენელი ისრებით.

ჰერაკლეს სიკვდილი და მისი მიღება ოლიმპოს ღმერთთა კრებულში

სოფოკლეს ტრაგედიის „ტრაქინელი ქალების“ მიხედვით

როცა ჰერაკლე იფიტეს მოკვლისათვის მონად მიჰყიდეს დედოფალ ომფალეს, დეიანირას შვილებიანად ტირინთოდან წასვლა მოუხდა. ჰერაკლეს ოჯახს თავშესაფარი მისცა თესალიის ქალაქ ტრაქინეს მეფე კეიკოსმა. უკვე სამი წელი და სამი თვე გავიდა, რაც ჰერაკლემ დეიანირა მიატოვა. ჰერაკლეს ცოლი წუხდა ქმრის ბედზე. არ იცოდა მისი ამბავი. ისიც ვერ გაეგო, მკვდარია თუ ცოცხალი. მძიმე წინათგრძნობა ტანჯავდა დეიანირას. იხმო თავისი შვილი და უთხრა:

— ო, ჩემო საყვარელო შვილო! სირცხვილია, რომ მამაშენს არ ეძებ. აგერ, უკვე თხუთმეტი თვე გავიდა, რაც მისი ამბავი არ გაგვიგია.

—თუ ხმებს ვერწმუნებით, — მიუგო დედას ჰილემ, — ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც სამი წელი დედოფალ ომფალესთან მონობაში გაატარა და მონობის ვადა გაუვიდა, ჯარით ევბეაზე ქალაქ ექალიაში წავიდა, რათა შეურაცხყოფისათვის სამაგიერო გადაუხადოს ევრიტეს.

— შვილო ჩემო! — შეაწყვეტინა დედამ. — მამაშენი დიდ საგმირო საქმეებზე რომ მიდიოდა არასოდეს მტოვებდა ასე უნუგეშოდ, როგორც ამ უკანასკნელად დამტოვა. გამომშვიდობებისას პატარა დაფაც კი მომცა, რომელსაც ის წინასწარმეტყველება აწერია, ოდესღაც დოდონეში ზეუსის მისანს რომ მიუცია. იქ ნათქვამია: თუ ჰერაკლემ უცხო მხარეში სამი წელი და სამი თვე დაჰყო, ან დაღუპულია, ან შინ დაბრუნების შემდეგ მხიარულსა და მშვიდ ცხოვრებას დაიწყებსო. წასვლის წინ ჰერაკლემ დამიტოვა აგრეთვე განკარგულება, თუ რა უნდა მიიღონ მამაპაპური მიწებიდან სამემკვიდრეოდ მისმა შვილებმა, თუ თვითონ სადმე სიკვდილს შეეყრება. მაშფოთებს ქმრის ხვედრი. ხომ მეუბნებოდა ექალიის ალყისას ან დავიღუპები, ან ამ ქალაქს ავიღებ და ბედნიერად ვიცხოვრებო. არა, შვილო ჩემო, გევედრები, წადი, მოძებნე მამაშენი.

დედის მორჩილი ჰილე შორეულ გზას დაადგა, მამის საძებნელად ევბეაში ექალიას მიაშურა.

როგორც კი ჰილემ დატოვა ტრაქინე დეიანირასთან შიკრიკი გამოცხადდა და აუწყა, რომ ახლავე მოვა ჰერაკლეს ელჩი ლიქასი, რომელიც სასიხარულო ამბის მაუწყებელია: ჰერაკლე ცოცხალია, სძლია ევრიტე, აიღო და დაანგრია ქალაქი ექალია და სადაცაა გამარჯვებული ტრაქინეში დაბრუნდება. შიკრიკის კვალდაკვალ დეიანირასთან თვით ლიქასი მოვიდა. მოიყვანა ტყვეები, მათ შორის ევრიტეს ასული იოლე. გახარებული ხვდება დეიანირა ლიქასს. ჰერაკლეს ელჩი დეიანირას მოუთხრობს, რომ მისი ქმარი უწინდებურად ჯანმრთელი და ძლევამოსილია. ვიდრე ევბეას მიატოვებდეს გამარჯვება უნდა იზეიმოს და ღმერთებს საკადრისი მსხვერპლი შესწიროს. დეიანირა ტყვეებს შესცქერის. მათ შორის დაინახა მშვენიერი ქალწული და ლიქასს მიუბრუნდა:

— მითხარი, ლიქას, ვინ არის ეს ქალი? ვინაა ამ ქალიშვილის დედმამა? ყველაზე მეტად ეს დარდობს. თვით მეფე ევრიტეს ასული ხომ არ არის?

ლიქასმა უპასუხა:

— არ ვიცი, დედოფალო, ვინ არის ეს ქალიშვილი. ეტყობა, ევბეის წარჩინებულთა წრიდან უნდა იყოს. მთელს გზაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. სულ ტირის, სულ მწუხარების ცრემლს აფრქვევს იმ დღიდან, რაც მშობლიური ქალაქი მიატოვა.

— უბედურო! — შესძახა დეიანირამ. — ამ კაეშანზე ახალ ტანჯვას აღარ დაგიმატებ! წაიყვანე, ლიქას, ტყვეები სასახლეში, ახლავე გამოგყვებით.

ლიქასი ტყვეების თანხლებით სასახლეში შევიდა. როგორც კი ელჩი წავიდა, დეიანირას მიუახლოვდა მსახური და უთხრა:

— მომითმინე, დედოფალო, მეც მომისმინე. ყველაფერი სიმართლე არ

უთქვამს ლიქასს. კარგად იცის. ვინც არის ეს ქალი. ესაა ევრიტეს ასული, იოლე. მისი სიყვარულით შეეჯიბრა ერთხელ ჰერაკლე მშვილდ-ისრის სროლაში მეფე ევრიტეს. ამაყმა მეფემ გამარჯვებულ გმირს არ მისცა თავისი ასული ცოლად, პირი უტეხა და შეურაცხყოფილი ქალაქიდან გააგდო. იოლესათვის აიღო ახლა ექალია ჰერაკლემ და მოკლა ევრიტე. ზევსის შვილმა იოლე მხეევლად კი არ გამოგზავნა შენს სასახლეში, არამედ ცოლად უნდა შეირთოს იგი.

დაღონდა დეიანირა. ლიქასს უხმო და უსაყვედურა, სიმართლე რად არ მითხარიო. ლიქასი აღიარებს, იოლეს სილამაზით მოხიბლული ჰერაკლე მართლა აპირებს მის შერთვასო. დაგვიწყა ხანგრძლივი განშორების შემდეგ ჰერაკლემ. ახლა სხვა უყვარსო. რა უნდა ქნას უბედურმა ქალმა? უყვარს ზევსის დიდი შვილი და მის თავს სხვას ვერ დაუთმობს. დარდით გულმოკლულ დეიანირას აგონდება ჰერაკლეს მიერ მოკლული კენტავრი ნესოსი, მისი სისხლი და მისი სიტყვები, სიკვდილის წინ რომ უთხრა. დეიანირა განიზრახავს კენტავრის სისხლის გამოყენებას. ნესოსმა ხომ უთხრა: „წააცხე ეს სისხლი ჰერაკლეს სამოსელს და სამარადისოდ შეგიყვარებს, არც ერთი ქალი არ იქნება მისთვის შენზე ძვირფასიო“. ეშინია დეიანირას ჯადოსნური წამლის გამოყენებისა, მაგრამ ჰერაკლეს დაკარგვის შიში და მისი სიყვარული აბედვინებენ ამ ნაბიჯის გადადგმას. ფრთხილად იღებს კენტავრის სისხლს, ამდენ ხანს ჭურჭელში რომ ინახავდა, რათა მზის სხივი არ მოხვედროდა, კერიის სითბოს არ წაეხდინა. გულმოდგინედ უსვამს დიდებულ მოსასხამს, საჩუქრად რომ მოუქსოვა ჰერაკლეს, საიმედოდ დახურულ ჭურჭელში ათავსებს, ლიქასს უხმობს და ეუბნება:

— ლიქას, ჩქარა მიაშურე ევბეას და ეს ყუთი ჰერაკლეს წაუღე. შიგ მოსასხამია. როდესაც ზევსის სამსხვერპლოსთან მივა და შესაწირავს მიიტანს მაშინ ჩაიცვას! უთხარი, მის გარდა არავინ მოისხას ეს მოსასხამი, და თვით ნათელი ჰელიოსის სხივიც ნუ შეეხება მოსასხამს, ვიდრე თვით ჰერაკლე არ ჩაიცმევს. იჩქარე, ლიქას!

წავიდა ლიქასი და თან წაიღო მოსასხამი. მისი წასვლის შემდეგ დეიანირას მოუსვენრობა დაეუფლა. შევიდა სასახლეში და ზარდამცემი სურათი ნახა: ქსოვილი, რითაც ჰერაკლეს მოსასხამს ნესოსის სისხლს უსვამდა, დაფერფლილიყო. დეიანირას ქსოვილის ნაჭერი იატაკზე დაეგდო. მზის სხივი ლერნეს ჰიდრის შხამით მოწამლულ კენტავრის სისხლს მოხვედროდა, სისხლთან ერთად ჰიდრის შხამიც გამთბარიყო და მატყლის ქსოვილი ფერფლად ექცია, ხოლო იმ ადგილას, სადაც ეს ქსოვილი ეგდო, შხამიანი ქაფი გამოჩნდა. ელდა ეცა დეიანირას. ეშინია, რომ ჰერაკლე შხამიან მოსასხამს ჩაიცვამს და დაიღუპება. სულ

უფრო და უფრო ტანჯავს ჰერაკლეს მეუღლეს გამოუსწორებელი უბედურების წინათგრძნობა.

მცირე დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ლიქასი ევბეაზე გაეშურა და თან წაიღო მოწამლული მოსასხამი სასახლეში მოვიდა ტრაქინეში დაბრუნებული ჰილე. თვალები ცრემლით ავსებია, ფერი წასვლია. დედას შეხედა და შესძახა:

— ო, როგორ მინდა ვიხილო ერთი სამთაგანი: ან ცოცხალი არ ყოფილიყავი, ან ჩემს ნაცვლად სხვა ვინმე გეძახდეს დედას, ან უკეთესი გონება გქონდეს, ვიდრე ახლა გაქვს! იცოდე, შენ დაღუპე საკუთარი ქმარი, მამაჩემი!

— ვაიმე! — შეპყვირა შეძრწუნებულმა დეიანირამ. — რას მეუბნები, შვილო ჩემო! რომელმა მოკვდავთაგანმა გითხრა ეს? როგორ შეგიძლია ბრალი დამდო ასეთ ბოროტმოქმედებაში!

— თვით ვნახე მამაჩემის ტანჯვა, სხვისგან კი არ გამიგონია!

ჰილე მოუთხრობს დედას, რაც მოხდა კანეიონეს მთაზე, ექალიის მახლობლად: ჰერაკლემ სამსხვერპლო აღმართა, უკვე აპირებდა ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვას, უწინარეს ყოვლისა თავისი მამის ზეესისათვის, როდესაც მოვიდა ლიქასი და მოსასხამი მოიტანა. ჰერაკლემ მოისხა მოსასხამი, ცოლის საჩუქარი, — და შეუდგა მსხვერპლის შეწირვას. პირველად თორმეტი რჩეული ხარი შეაწირა ზევსს, სულ კი გმირმა ოლიმპოს ღმერთებს ასი მსხვერპლი უძღვნა. თვალისმომჭრელად აკაშკაშდა ცეცხლი საკურთხევლებზე. ჰერაკლე იდგა, მოწიწებით აღეპყრო ხელები ცაში და ღმერთებს მოუხმობდა. სამსხვერპლო ცეცხლმა გაათბო ჰერაკლე და ოფლი დაასხა. უეცრად მოწამლული მოსასხამი ტანზე მიეკრა. დაიკრუნჩხა გმირი. აუტანელი ტკივილები იგრძნო. საშინლად დატანჯულმა იხმო ლიქასი და ჰკითხა, რისთვის მოიტანე ეს მოსასხამი. რა უნდა ეპასუხა უდანაშაულო ლიქასს? მხოლოდ უთხრა, რომ მოსასხამი დეიანირამ გამოუგზავნა. ჰერაკლეს კი ტკივილისაგან არა ესმოდა რა, სტაცა ხელი ფეხში და იმ კლდეს მიანარცხა, რომელსაც გარშემო ტალღები ხმაურით ევლებოდნენ. ლიქასი სასიკვდილოდ დაშავდა, ჰერაკლე კი მიწაზე დავარდა. აუტანელი ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა. მისი ყვირილი მთელს ევბეას ძრავდა. ჰერაკლე სწყევლიდა თავის ქორწინებას, დეიანირასთან შეყრის დღეს. დიდმა გმირმა იხმო შვილი და მძიმე გმინვით სთხოვა:

— ო, შვილო ჩემო, ნუ მიმატოვებ ამ უბედურებაში, თუნდაც სიკვდილი გემუქრებოდეს, ნუ მიმატოვებ! ამწიე! წამიყვანე აქედან! წამიყვანე იქ, სადაც ვერც ერთი მოკვდავი ვერ მიხილავს. ო, თუ გაქვს ჩემი ოდნავი სიბრალული და თანაგრძნობა, აქ ნუ მომკლავ!

აიყვანეს ჰერაკლე, დააწვინეს საკაცეზე, წაიყვანეს გემზე, რომ ტრაქინეში

ჩაეყვანათ. აი, რა მოუთხრო ჰილემ დედას და როგორ დაასრულა თავისი ამბავი:

— ახლავე აქ ნახავთ ყველანი ზევსის დიდ შვილს, იქნებ ჯერაც ცოცხალს. ან იქნებ უკვე დაღუპულს. ო, სასტიკად დაგსაჯონ, დედაჩემო, მრისხანე ერინიებმა და შურისმაძიებელმა დიკემ! შენ დაღუპე უკეთესი იმ ადამიანთა შორის, რომელიც კი ოდესმე დედამიწას უტარებია! ვეღარასოდეს ვერ ნახავ მაგას! გმირს!

დეიანირა უხმოდ შევიდა სასახლეში, ერთი სიტყვაც არ დასცდენია. აიღო ორპირი მახვილი. მოხუცმა ძიძამ დაუნახა ხელში მახვილი, სასწრაფოდ უხმო ჰილეს. ჰილე სასახლეში შეიჭრა, მაგრამ გვიანაა — დეიანირა გულგანგმირული გდია. ხმამაღლა შეჰყვირა ჭაბუკმა და ქვითინით მივარდა დედის გვამს უბედური შვილი, ეხვევა და ჰკოცნის უკვე გაციებულ სხეულს.

ამ დროს სასახლეში მოჰყავთ მომაკვდავი ჰერაკლე. გზაში თავი ძილმა წაუღო, მაგრამ როცა სასახლეში შესასვლელთან საკაცე მიწაზე დადგეს, ჰერაკლეს გამოეღვიძა. საშინელი ტკივილისაგან დიდი გმირი გრძნობაზე არ იყო, არაფერი გაეგებოდა. მან შესძახა:

— ო, დიდო ზევსო! — რომელ ქვეყანაში ვარ? ო, სადა ვარ, საბერძნეთის ვაჟკაცებო? დამეხმარეთ! თქვენთვის გამიწმენდია მიწა და ზღვები ბოროტებისა და ურჩხულებისაგან, ახლა კი ერთ თქვენგანსაც არ სურს გამათავისუფლოს საზარელი წამებისაგან ცეცხლით ან ბასრი მახვილით! ო, ზევსის ძმავ, დიდო ჰადესო, დამაძინე, დამაძინე მე უბედური, დამაძინე ფრთამალი სიკვდილის ძილით!

— მამა გევედრები, მომისმინე, — სთხოვს ცრემლმორეული ჰილე, — დედამ ეს ბოროტება უნებურად ჩაიდინა. რისთვის ითხოვ შურისძიებას? როგორც კი გიიგო, რომ შენი დაღუპვის მიზეზი თვითონაა, გული ორპირი მახვილით გაიპო!

— ო, ღმერთებო, მოკვდა და შურსაც კი ვეღარ ვიძიებ! ჩემი ხელით არ დაიღუპა მზაკვარი დეიანირა!

— მამავ, ის არაა დამნაშავე! — ეუბნება ჰილე. — სასახლეში ევრიტეს ასული იოლე რომ დაინახა, დედაჩემმა განიზრახა შენი სიყვარული ჯადოსნური საშუალებით დაებრუნებინა, ამ მიზნით მოსასხამს შენი ისრით მოკლულ კენტავრ ნესოსის სისხლი წაუსვა და არ იცოდა, რომ შენი ისარი ლერნეს ჰიდრის შხამით იყო მოწამლული.

— ო, ვაი, ვაი! — შეძახა ჰერაკლემ. — აი, როგორ აღსრულდა მამაჩემის ზევსის წინასწარმეტყველება! ცოცხლის ხელით არ მოკვდებიო, მითხრა, ჰა-

დესის პირქუშ სამეფოში ჩასულის მზაკვრობის მსხვერპლი იქნებიო. აი, როგორ დამღუპა ჩემგან მოკლულმა ნესოსმა! აი, რა სიმშვიდე მიწინასწარმეტყველა დოდონელმა მისანმა — სიკვდილის სიმშვიდე! ჰოდა, მართალია, მიცვალებულებმა არ იციან დარდი! მაშ შემისრულე უკანასკნელი სურვილი, ჰილე! ჩემი მეგობრების თანხლებით ოეტას მაღალ მთაზე ამიყვანე, — იქ, მწვერვალზე კოცონი გააჩაღე, ზედ დამაწვინე, ცეცხლი შემინთე ჩქარა გააკეთე ეს საქმე, ბოლო მოუღე ჩემს ტანჯვას!

— ო, შემიბრალე, მამაჩემო, ნუთუ გინდა შენს მკვლელად გამხადო?— ევედრებოდა ჰილე.

— არა, მკვლელი კი არა, ჩემთა ტკივილთა მკურნალი იქნები! კიდევ მაქვს ერთი სურვილი, ისიც შემისრულე! — სთხოვს ჰერაკლე შვილს. — ევრიტეს ასული იოლე ცოლად შეირთე.

ჰილე უარს ეუბნება მამას თხოვნის შესრულებაზე:

— არა, მამაჩემო, არ შევირთავ ცოლად იმ ქალს, რომელიც დედაჩემის დაღუპვის მიზეზი გახდა!

— ო, დაემორჩილე ჩემს ნებას, შვილო! ნუ გააღვიძებ ჩემს ტანში მიყუჩებულ ტკივილებს! მაცალე მშვიდად სიკვდილი! — დაჟინებით ეხვეწება შვილს ჰერაკლე.

დაჰყვა ჰილე და მორჩილად უპასუხა:

გამაოჯვების ქალღმერთი კოცონიდან იტაცებს ჰერაკლეს და აჰყავს ოლიმპოზე ეტლით, რომელშიც შებმულია ოთხი რაში (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

— კარგი, მამა. დავემორჩილები შენს უკანასკნელ ნებას.

ჰერაკლე აჩქარებს შვილს, სთხოვს მალე შეასრულოს მისი უკანასკნელი სურვილი:

— იჩქარე, შვილო ჩემო! ჩქარა დამაწვინე კოცონზე, ვიდრე ისევ განახლდებიან ეს აუტანელი ტკივილები! წამიყვანეთ! მშვიდობით ჰილე!

შვილმა და მეგობრებმა ჰერაკლე ოეტას მაღალ მთაზე აიყვანეს. იქ, შეშის უზარმაზარი ზვინი აღმართეს, და ზედ დაასვენეს გმირთა შორის უდიდესი გმირი. ჰერაკლეს ტანჯვა სულ უფრო აუტანელი ხდება, სულ უფრო ღრმად იჭრება მის სხეულში ლერნეს ჰიდრის შხამი. ხელით იგლეჯს ტანიდან მოწამლულ მოსასხამს, მაგრამ მოსასხამი მიწებებულია, ქსოვილის ნაკუწებთან ერთად სხეულის ნაგლეჯებიც ხელში რჩება და კიდევ უფრო აუტანელი ხდება ტკივილები. მხოლოდ ერთი გზაღა დარჩენია ამ ზეადამიანური ტკივილებისაგან თავის დასახსნელად — ესაა სიკვდილი. უფრო იოლია კოცონის ალში სიკვდილი, ვიდრე ამ ტანჯვის მოთმენა, მაგრამ გმირის ვერც ერთი მეგობარი ვერ ბედავს ცეცხლის მოკიდებას. ბოლოს ოეტაზე გმირი ფილოქტეტე ავიდა. ჰერაკლემ იგი ცეცხლის გაჩაღებაზე დაითანხმა, სამაგიეროდ კი თავისი მშვილდი და ჰიდრის შხამით მოწამლული ისრები აჩუქა. ფილოქტეტემ აანთო კოცონი, აკიაფდა ცეცხლის ალი, მაგრამ კიდევ უფრო ნათლად აკიაფდა ზევსის ელვა, ცაზე რომ გაიკლაკნა. ანაზდად გავარდა მეხი, კოცონს ოქროს ეტლით გადაუქროლეს ათენა-პალადამ * და ჰერმესმა, მათ გამარჯვების ქალღმერთის თაბაღლებით მაღალ ოლიმპოზე აიტაცეს გმირთა შორის უპირველესი გმირთაგმირი ჰერაკლე. იქ ზევსის შვილს ღმერთები შემოეგებნენ. ჰერაკლე უკვდავი ღმერთი გახდა. თვით ჰერამაც კი დაივიწყა თავისი სიძულვილი და ჰერაკლეს ცოლად მისცა თავისი ასული, მარად ნორჩი ჰებე. მას შემდეგ ჰერაკლე ოლიმპოს ღმერთთა შორის ცხოვრობს. ეს იყო საჩუქარი ყველა მისი საგმირო საქმისათვის, რაც დედამიწაზე მოახდინა, სამაგიერო ყველა დიდი ტანჯვისათვის, რაც მიწიერ ცხოვრებაში ნახა.

ჰერაკლიდები

ევრიპიდეს ტრაგედიის „ჰერაკლიდების“ მიხედვით

ჰერაკლეს სიკვდილის შემდეგ მისი შვილები და მისი დედა ალკმენე ტირინთოში, მის უფროს შვილ ჰილესთან ცხოვრობდნენ. მაგრამ იქ დიდხანს

* ზოგი მითის თანახმად ოქროს ეტლში იყო გამარჯვების ქალღმერთი ნიკე და არა ათენა.

არ დარჩენილან. ჰერაკლესადმი სიძულვილით აღვსილმა ევრისთევსმა ისინი მამის სამფლობელოებიდან განდევნა და შემდეგშიც სდევნიდა ყველგან, სადაც კი ფეხს მოიკიდებდნენ ან თავშესაფრის პოვნას შეეცდებოდნენ. დიდხანს დაეხეტებოდნენ ჰერაკლეს შვილები მთელს საბერძნეთში. ბოლოს ჰერაკლეს ძმისშვილმა და მეგობარმა, მოხუცებულმა იოლაოსმა შეიკედლა ისინი, მაგრამ ბედშავთ აქაც მისწვდათ ევრისთევსის სიძულვილი და იოლაოსთან ერთად გაქცევა მოუხდათ ათენში, სადაც მაშინ თეზევსის შვილი დემოფონტი მეფობდა.

როცა ევრისთევსმა გაიგო, რომ ჰერაკლეს შვილები ათენში იმალებიან, დემოფონტს თავისი შიკრიკი კოპრევსი გაუგზავნა და ჰერაკლიდების გაცემა მოსთხოვა. დემოფონტეს სტუმრათმოყვარეობის წესის დარღვევა არ უნდოდა და ამიტომ კოპრევსი უარით გაისტუმრა. ვერ შეაშინა ის ევრისთევსის მუქარამ, რომ უარის შემთხვევაში დიდი ჯარით დაესხმოდა თავს ათენს და ქალაქს დაანგრევდა.

მალე ევრისთევსი დიდი ლაშქრით ატიკაში შეიჭრა. ათენელებს ბრძოლა ელოდათ მრავალრიცხოვან მტერთან. ათენელებმა რჩევისათვის მიმართეს ღმერთებს, რომლებმაც აუწყეს, რომ ათენელები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიგებდნენ ომს, თუ ღმერთებს მსხვერპლად შესწირავდნენ ქალიშვილს. ჰერაკლესა და დეიანირას უფროსმა ასულმა მაკარიამ გადაწყვიტა ნებით მიეტანა თავი ღმერთების სამსხვერპლოზე, რათა გადაერჩინა თავისი ძმები და დები.

მოწინააღმდეგეთა ლაშქარი ერთმანეთს შეება, ბრძოლის ველზე მებრძოლთა რაზმით მოვიდა ჰილეც, რომელმაც ევრისთევსის წინააღმდეგ დამხმარე ძალა იპოვნა.

ბრძოლის დასაწყისში მაკარია მსხვერპლად შესწირეს ღმერთებს. გაიმართა სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა. ათენელებმა გაიმარჯვეს. ევრისთევსი გაიქცა. ჰილე თავისი მამის მოსისხლე მტერს ეტლით დაედევნა. ეს დაინახა იოლაოსმა. ჰილეს შეევედრა ეტლი მისთვის დაეთმო — ჰერაკლეს მოხუც თანამოლაშქრეს სურდა ევრისთევსისათვის სამაგიერო მიეზღო ყველა იმ უბედურებისათვის, რომელიც მან მის მეგობარს მიაყენა. იოლაოსი სწრაფად დაედევნა გაქცეულ ევრისთევსს. იოლაოსის ეტლი თითქმის დაეწია მიქენის ლაჩარი მეფის ეტლს. მაშინ იოლაოსმა ხელები აღაპყრო და ოლიმპოს ღმერთებს შეევედრა: ერთი დღით მაინც დამიბრუნეთ ოდინდელი ახალგაზრდობა და ძალა. ღმერთებმა უსმინეს იოლაოსს. ორი მოციმციმე ვარსკვლავი დაეშვა ციდან, ბნელი ღრუბელი დააწვა მის ეტლს. როცა ღრუბელი გაიფანტა, ეტლში იდგა უწინდებურად ახალგაზრდა, ძალუმი და მშვენიერი იოლაოსი. იგი დაეწია ევრისთევსს და დაატყვევა.

იოლაოსმა ზეიმით ჩაიყვანა ათენში შებოჭილი ევრისთევსი. გაშმაგდა ჰერაკლეს დედა ალკმენე, თავისი დიადი შვილის მტერი რომ დაინახა, იმის მიუხედავად, რომ ჰილეც და დემოფონტიც ევრისთევსის დაცვას ცდილობდნენ, ალკმენემ საკუთარი ხელით ამოსთხარა თვალები და მოკლა იგი. ასე დაიღუპა ევრისთევსი. ათენელებმა დამარცხებული მტრის გვამი დაუმარხავად არ დატოვეს და იგი ატიკაში ათენა-პალენეს საკურთხეველთან დაასაფლავეს.

კეკროპი, ერიხთონიოსი და ერეხთევსი

დიდი ათენი და მისი აკროპოლისი მიწის შობილმა კეკროპმა დააარსა. ეს იყო ნახევრად კაცი და ნახევრად გველი. ასეთად შვა დედამიწამ კეკროპი, რომლის სხეული უზარმაზარი გველის კუდით თავდებოდა. კეკროპმა ათენი ატიკაში დააარსა იმ დროს, როცა მიწისმრყეველი ზღვის ღმერთი პოსეიდონი და ზევსის საყვარელი ასული, მეომარი ქალღმერთი ათენა ერთმანეთს ატიკაში პირველობას ეცილებოდნენ. ამ დავის გადასაწყვეტად ოლიმპოს ღმერთები აკროპოლისზე შეიკრიბნენ. ღმერთებისა და ადამიანების მბრძანებელმა ზევსმა კეკროპიც მოიწვია. მას უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის ეკუთვნოდა ძალაუფლება ატიკაში. გველისფეხებიანი კეკროპი საკრებულოში გამოცხადდა. ღმერთებმა გადაწყვიტეს: ატიკაში პირველობა მიეკუთვნებიათ მისთვის, ვინც ქვეყანას უფრო ძვირფას საჩუქარს უძღვნიდა. მიწისმრყეველმა პოსეიდონმა კლდეს სამთითი დაჰკრა და ნაპრალიდან მლაშე წყლის წყარო მოსკდა, ათენამ კი მიწაში ჩაასო თავისი მოელვარე შუბი და მიწიდან უხვნაყოფიანი ზეთისხილი წამოიზარდა. მაშინ კეკროპმა თქვა:

— ოლიმპოს ნათელო ღმერთებო, ზღვის მლაშე წყალი ყველგან მოსჩქეფს, მაგრამ არსად არაა ნაყოფით დახუნძლული ზეთისხილის ხე. ათენამ ამოზარდა ზეთისხილის ხე, ის მოუტანს ქვეყანას სიმდიდრეს, წაახალისებს, მიწისმოქმედს, რომ ველ-მინდვრები გადახნან და მოსავალი მოიყვანონ. დიდი სიკეთე მისცა ათენამ ატიკას, ათენას უნდა მიენიჭოს მთელი ქვეყნის გამგებლობის პატივი.

ოლიმპოს ღმერთებმა ათენა-პალადას მიანიჭეს ძალაუფლება კეკროპის მიერ დაარსებულ ქალაქში და მთელ ატიკაში. იმ დროიდან ზევსის საყვარელი ასულის პატივსაცემად კეკროპის ქალაქს ათენი ეწოდა. კეკროპმა ათენში დააარსა ქალაქის მფარველ ათენა ქალღმერთის და მისი მამის პირველი ტაძარი. კეკროპის ასულები ათენის პირველი ქურუმები გახდნენ. კეკროპმა დაუდგინა ათენელებს კანონები, მოაწყო სახელმწიფო და თვით გახდა ატიკის პირველი მეფე.

კეკროპის მემკვიდრე იყო ერიხთონიოსი, ცეცხლის ღმერთის ჰეფესტოს ვაჟი. კეკროპის მსგავსად, ისიც მიწიდან იშვა. მისი დაბადება საიდუმლოებით იყო მოცული. ახლად დაბადებულის მფარველობა თავიდანვე ქალღმერთმა ათენამ იკისრა.

ერიხთონიოსი ათენას ტაძარში იზრდებოდა. ათენამ იგი მჭიდროდ თავდახურულ წნულ კალათში ჩასვა, მცველებად კი ორი გველი მიუჩინა. ამას გარდა, კეკროპის ასულებიც დარაჯად ადგნენ მას. ათენამ მათ სასტიკად აუკრძალა კალათის თავის მოხდა, რათა თვალითაც არ ენახათ მიწის შობილი ყრმა. კეკროპის ქალიშვილებს მოსვენებას არ აძლევდა ცნობისმოყვარეობა, სურდათ ერთხელ მაინც შეეღოთ თვალი ერიხთონიოსისათვის.

ერთხელ ათენამ თავისი ტაძარი მიატოვა, რათა პალენედან ჩამოეტანა მთა, რომლის დადგმაც განიზრახა აკროპოლისთან, ამ უკანასკნელის დაცვის მიზნით. როცა ქალღმერთს ათენისაკენ მთა მიჰქონდა, წინ ყვავი შემოხვდა და შეატყობინა, რომ კეკროპის ქალიშვილებმა კალათს სახურავი ახადეს და იდუმალებით მოცული ყრმა დაინახეს. ათენა საშინლად განრისხდა, მთა დააგდო და თვალის დახამხამებაში აკროპოლისზე, თავის ტაძარ.თან გაჩნდა. მან მკაცრად დასაჯა კეკროპის ქალიშვილები — გონება წაართვა. შეშლილი ქალიშვილები ტაძრიდან გამოვარდნენ და აკროპოლისის ფრიალო კლდიდან გადავარდნენ. იმ დღიდან ერიხთონიოსს თვით ქალღმერთი იცავდა. მთა კი, რომელიც ათენამ დააგდო, იმავე ადგილზე დარჩა, სადაც ქალღმერთს ყვავმა კეკროპის ქალიშვილების დანაშაული აუწყა. მთას სახელად ლიკაბეტი ეწოდა. ერიხთონიოსი დავაჟკაცდა, ათენის მეფე გახდა და მრავალ წელს იმეფა. ათენას პატივსაცემად მან დააწესა უძველესი პანათენური დღესასწაულები.

ერიხთონიოსმა პირველმა შეაბა ცხენები ეტლში და პირველმა შემოიღო ეტლებით ასპარეზობა ათენში.

ერიხთონიოსის მემკვიდრე იყო ათენის მეფე ერეხთეესი. ამ ხელმწიფეს ძძიმე ომის წარმოება მოუხდა ქალაქ ელევსინთან, რომელსაც მხარში ამოუდგა თრაკიის მეფის ევმოლპეს შვილი იმარადი.

უბედური გამოდგა ეს ომი ერეხთეესისათვის. სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ მას იმარადი და თრაკიელები. ბოლოს ერეხთეესმა გადაწყვიტა დელფოში აპოლონის ორაკულისათვის ეკითხა, რა გზით და რის ფასად მოიპოვებდა გამარჯვებას. საშინელი პასუხი მისცა პითიამ: მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებ იმარადზე გამარჯვებას, თუ ღმერთებს მსხვერპლად შესწირავ შენს ერთ-ერთ ქალიშვილსო. ზარდამცემი პასუხით შეძრწუნებული ერეხთეესი დელფოდან ათენს დაბრუნდა. სამშობლოს სიყვარულით ანთებულმა მეფის

ახალგაზრდა ასულმა ქტონიამ განაცხადა: მზად ვარ სიცოცხლე გავწირო ჩემი მშობლიური ათენისთვისო. ღრმად დამწუხრებულმა ერეხთევსმა საყვარელი ასული ღმერთებს შესწირა მსხვერპლად. მხოლოდ ათენის გადარჩენის სურვილმა აიძულა გაეღო ასეთი მსხვერპლი.

ქთონიას მსხვერპლად შეწირვის შემდეგ გაიმართა ბრძოლა. გახურებულ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ერეხთევსი და იმარადი. მეფეები მყისვე ორთაბრძოლაში ჩაებნენ. ისინი არ ჩამორჩებოდნენ ერთმანეთს არც ღონით, არც იარაღის ხმარებით, არც მამაცობით. ბოლოს მაინც ერეხთევსმა გაიმარჯვა და თავისი შუბით სასიკვდილოდ განგმირა იმარადი. დარდმა შეიპყრო იმარადის მამა ევმოლპე. ვედრებით დაიყოლია ღმერთი პოსეიდონი შური ეძია იმარადის სიკვდილისათვის. პოსეიდონმა თავისი ეტლით სწრაფად გადმოსერა ზღვის მღელვარე ტალღები და ატიკაში ჩამოვიდა. სამთითი მოიქნია და ერეხთევსი სიცოცხლეს გამოასალმა. ასე დაიღუპა ერეხთევსი, დაიღუპნენ ერეხთევსის შვილებიც. მხოლოდ ერთი ასული კრეუზა გადაურჩა სიკვდილს, მხოლოდ ის შეიწყალა ბოროტმა ბედისწერამ.

კეფალე და პროკრიდე

ოვიდიუსის „მეტამორფოზების" მიხედვით

კეფალე იყო ღმერთ ჰერმესისა და კეკროპის ასულის ქერსეს ვაჟი. მან მთელს საბერძნეთში განითქვა სახელი თავისი საოცარი სილამაზით, შორს იყო ცნობილი კეფალეს სახელი როგორც დაუღალავი მონადირისა. დილაადრიან, მზის ამოსვლამდე ტოვებდა ხოლმე თავის ახალგაზრდა მეუღლეს პროკრიდეს და ჰიმეტეს მთებში მიდიოდა სანადიროდ. ერთხელ კეფალე განთიადის ოქროსთითებიანმა ქალღმერთმა ეოსმა დაინახა, გაიტაცა მშვენიერი ჭაბუკი, და ათენიდან შორს, დედამიწის უშორეს კიდეში წაიყვანა. კეფალეს მხოლოდ პროკრიდე უყვარდა, მხოლოდ იმასზე ფიქრობდა, ბაგეებიდან არ შორდებოდა მისი სახელი. დარდობდა თავის მეუღლეზე და განთიადის ქალღმერთს ეევედრებოდა ისევ ათენში დაებრუნებინა. განრისხდა ეოსი:

— კარგი, დაბრუნდი პროკრიდესთან, ნუღარ უჩივი ბედს! მოვა დრო და ინანებ, რომ პროკრიდე შენი ცოლია, ინანებ იმასაც კი, რომ ის ქალი გაიცანი! ო, მე წინასწარ ვხედავ, რომ ეს ასე მოხდება!

გაუშვა ეოსმა კეფალე. გამომშვიდობებისას კი დაარწმუნა იგი, გამოეცადა მეუღლის ერთგულება. ქალღმერთმა კეფალეს გარეგნობა შეუცვალა და ათენს

დაბრუნებული ვერავინ იცნო. მან მოახერხა სასახლეში შესვლა და თავს წაადგა ღრმად დამწუხრებულ პროკრიდეს. მწუხარებაშიც მშვენიერი იყო იგი. კეფალე ცოლს გამოელაპარაკა და დიდხანს არწმუნებდა, დაივიწყე დაკარგული ქმარი, მე გამომყევი ცოლადო. პროკრიდემ ქმარი ვერ იცნო. ჯერ უცხო კაცის სიტყვის მოსმენაც არ უნდოდა და სულ ამას ეუბნებოდა:

— მხოლოდ კეფალე მიყვარს და ბოლომდე მისი ერთგული ვიქნები სადაც არ უნდა იყოს იგი, მკვდარია თუ ცოცხალი საუკუნოდ მისი ერთგული დავრჩები!

ბოლოს მაინც მოიხიბლა ქალი მდიდრული საჩუქრებით და უკვე მზად იყო აესრულებია უცხო კაცის სურვილი, როდესაც კეფალემ თავისი ნამდვილი სახე მიიღო და შესძახა:

— მოღალატეე! მე ვარ შენი ქმარი, კეფალე! თვითონვე გავხდი მოწმე შენი ვერაგობისა!

პროკრიდე გაჩუმდა, სიტყვა არ შეუბრუნა ქმარს. სირცხვილით თავდახრილმა სასახლე მიატოვა და ტყით დაფარულ მთებს მიაშურა. იქ ქალღმერთ არტემიდეს თანამგზავრი გახდა. ქალღმერთისაგან პროკრიდემ საჩუქრად მიიღო მშვენიერი შუბი, რომელიც მიზანს არ სცდებოდა და ისევ მსროლელს უბრუნდებოდა, აგრეთვე ძაღლი ,ლაილაპა, რომელსაც ვერც ერთი გარეული ნადირი ვერ გაექცეოდა.

ვერ გაძლო კეფალემ პროკრიდეს გარეშე. მოსვენება დაკარგა. მოძებნა ტყეში თავისი ცოლი და დაითანხმა შინ დაბრუნებაზე. დაბრუნდა პროკრიდე და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად. თავისი საოცარი შუბი და ძაღლი ლაილაპა ქალმა ქმარს აჩუქა. კეფალე უწინდებურად ალიონზე დგებოდა და სანადიროდ მიდიოდა. მარტოდმარტო ნადირობდა, არავის არ იახლებდა თან. ან რად უნდოდა ვინმე, ასეთი ჯადოსნური შუბისა და ძაღლის პატრონს! ერთხელ უთენია წავიდა სანადიროდ. შუადღე დადგა, სიცხემ დააჭირა და კეფალემ ჩრდილში თავის შეფარება გადაწყვიტა. ნელა მიდიოდა და მღეროდა:

— ო, სანუკვარო ჩრდილო, ჩქარა მოდი ჩემთან! გამიგრილე გახურებული და გაღეღილი მკერდი! ჩქარა მომიახლოვდი, სიგრილევ, გაფანტე პაპანება სიცხე და ნეტარებით ამავსე! ო, ციურო, შენა ხარ ჩემი სიხარული, მაცოცხლებელო, შენ მიბრუნებ ჯანსა და ღონეს! ო, მოდი, ჩამასუნთქე შენი სანეტარო სიო!

რომელიღაც ათენელს მოესმა კეფალეს სიმღერა, სიტყვების აზრი ვერ გაიგო და პროკრიდეს უთხრა, შენი ქმარი ტყეში დადის და სიმღერით უხმობს რომელიღაც ნიმფა სიგრილესო. დანაღვლიანდა პროკრიდე, ნამდვილად დამი-

ვიწყა და სხვაზე გამცვალაო კეფალემ, — ფიქრობდა გულში. ერთხელ, როცა კეფალე სანადიროდ წავიდა, ქალი ფარულად აედევნა, ხშირ ბუჩქებში დაიმალა და დაუწყო ცდა. როდის მოვიდოდა მისი ქმარი. აი, ხეებს შორის კეფალეც გამოჩნდა. ხმამაღლა მღეროდა თავის სიმღერას:

— ო, ალერსით დამათრობელო ჩემო სიგრილევ, მოდი, გაფანტე ჩემი დაღლილობა!

უეცრად კეფალე შეჩერდა — მძიმე ოხვრის ხმა შემოესმა. ყური მიუგდო, მაგრამ ტყეში სრული სიწყნარეა, შუადღის პაპანება სიცხეში, უბრალო ფოთოლიც კი არ ირხევა ხეზე. ისევ ამღერდა კეფალე:

— იჩქარე, გელი, სასურველო სიგრილევ!

გაისმა ეს სიტყვები თუ არა, ბუჩქებში რაღაცამ გაიშრიალა. კეფალემ გაიფიქრა, ალბათ რომელიღაც გარეული ნადირიაო, და აუცდენელი შუბი სტყორცნა. ხმამაღლა შეჰყვირა მკერდგანგმირულმა პროკრიდემ. იცნო კეფალემ ცოლის ხმა, ბუჩქებს მიაშურა და სასიკვდილოდ დაჭრილი მეუღლე შერჩა ხელში. მკერდი ერთიანად სისხლით ჰქონდა დასვრილი საბრალოს. ჭრილობა სასიკვდილო იყო. აჩქარებით დაიწყო ჭრილობის შეხვევა კეფალემ, მაგრამ სულ ამაოდ. კვდება პროკრიდე. სიკვდილის წინ ქმარს შეევედრა:

— ო, კეფალე, გაფიცებ ჩვენს წმინდა ქორწინებას, ოლიმპოს ღმერთებსა და მიწისქვეშეთის ღმერთებს, რომელთა სამეფოშიც ახლა მივდივარ, გაფიცებ ჩემს სიყვარულსაც, ნუ შეუშვებ ჩვენს სახლში იმას, ვისაც ახლა უხმობდი!

მიხვდა კეფალე მომაკვდავ პროკრიდეს უკანასკნელი სიტყვებიდან, თუ რამ შეაცდინა მისი მეუღლე. ჩქარობს აუხსნას შეცდომა, რათა დარდი არ ჩაჰყვეს სამარეში. სუსტდება პროკრიდე, სიკვდილის ბინდი გადაეკრა თვალებზე, ნაზად უღიმის კეფალეს და მის ხელებზე უჭრება მზე. უკანასკნელი კოცნაც და მისი სული ჰადესის პირქუშ სამეფოში გაფრინდა.

დიდხანს იყო უნუგეშოდ კეფალე. მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი, აღარ დაედგომებოდა მშობლიურ ათენში და შვიდპიშკრიან თებეში გადასახლდა. იქ, ამფიტრიონს დაეხმარა ტევმესიის მელიის შეპყრობაში. ამ მელიის დაჭერა ვერავინ შეძლო. იგი პოსეიდონმა მიუგზავნა თებელებს რაღაც დანაშაულისათვის სასჯელის ნიშნად. მელია ყველაფერს ნთქავდა მისი სიშმაგის ოდნავ მაინც დასაცხრობად, ყოველ კვირას მსხვერპლად თითო ბავშვს სწირავდნენ მას. კეფალემ მელიას თავისი ძაღლი ლაილაპა დაადევნა. არასოდეს დასრულდებოდა მხეცის დევნა, რომ ზევსს ძაღლიცა და მელიაც ქვებად არ ექცია. ტევმესიის მელიაზე ნადირობის შემდეგ კეფალემ მონაწილეობა მიიღო ამფი-

ტრიონის ომში ტელებოელებთან და სიმამაცის წყალობით შეძლო დაუფლებოდა კუნძულს, რომელსაც მის პატივსაცემად კეფალენი ეწოდა. კეფალე სიკვდილამდე თავის სახელობის კუნძულზე დარჩა.

პროკნე და ფილომელე

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

ერიხთონიოსის შთამომავალი ათენის მეფე პანდიონი ომს აწარმოებდა ბარბაროსებთან, რომელთაც მის ქალაქს ალყა შემოარტყეს. გაუჭირდებოდა მეფეს მრავალრიცხოვან ბარბაროსთა ლაშქართან გამკლავება და ქალაქის დაცვა, საშველად თრაკიის მეფე ტერევსი რომ არ მოსულიყო. ტერევსმა სძლია ბარბაროსებს და მათი ურდო ატიკის საზღვრებს იქით განდევნა. მადლიერმა პანდიონმა ტერევსს თავისი ასული პროკნე მიათხოვა. ტერევსი ახალგაზრდა მეუღლის თანხლებით თრაკიაში დაბრუნდა. მალე აქ მათ შეეძინათ ვაჟი. ერთი შეხედვით მოირები თითქოსდა ბედნიერებას უგზავნიდნენ ტერევსსა და მის მეუღლეს.

ტერევსის ქორწინებიდან ხუთი წელი გავიდა. ერთხელ პროკნემ ქმარს სთხოვა:

— თუ კიდევ გიყვარვარ, დის სანახავად გამიშვი, ან აქ ჩამომიყვანე. ჩადი ათენს, სთხოვე მამას, გამოუშვას, თან დაჰპირდი, სულ მალე უკანვე მოგიყვანთქო. დის ნახვა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება.

ტერევსმა გემები გაამზადა, თრაკია მიატოვა და შორეულ მხარეს გაეშურა. მშვიდობით მიაღწია ატიკის სანაპიროებს. პანდიონი სიხარულით შეეგება სიძეს და სასახლეში მიიწვია. ტერევსს ჯერ არ ჰქონდა ნათქვამი ათენში ჩამოსვლის მიზეზი, რომ დარბაზში პროკნეს და, სილამაზით მშვენიერი ნიმფების ტოლი ფილომელე შემოვიდა. ტერევსი მოიხიბლა ფილომელეს სილამაზით და ვნების ცეცხლით აენთო. ცოლისდის სიყვარულმა თავგზა დაუბნია. მაშინვე დაუწყო პანდიონს თხოვნა ფილომელე გაეშვა სტუმრად დასთან. ქალიშვილის სიყვარული კიდევ უფრო მჭერმეტყველსა და სარწმუნოს ხდიდა მეფის სიტყვას. თვითონ ფილომელეც სთხოვდა მამას პროკნესთან გაშვებას, და არ იცოდა, რა საფრთხეც ელოდა. ბოლოს პანდიონი დათანხმდა. თავის ასულს შორეულ თრაკიაში რომ უშვებდა, ტერევსს სთხოვა:

— შენ განდობ, ტერევს, ჩემს ასულს. უკვდავ ღმერთებს გაფიცებ, დაიცავი, როგორც საკუთარი ასული მშობელმა მამამ. მალე გამომიგზავნე უკანვე, რადგან ეს არის ჩემი სიბერის დღეთა ერთადერთი ნუგეში.

პანდიონი ფილომელასაც სთხოვდა:

— ჩემო ასული, თუ მოხუცი მამა გიყვარს, მალე დაბრუნდი, ნუ მიმატოვებ უნუგეშოდ მოხუცებულს.

ცრემლმორეული მამა ასულს დაემშვიდობა და თუმცა მძიმე წინათგრძნობა ლოდივით აწვა გულზე, ფილომელესა და ტერევსს მაინც ვერ უთხრა უარი თხოვნაზე.

პანდიონის მშვენიერი ასული გემზე ავიდა. ნიჩბოსნებმა შეთანხმებულად ჩაავლეს ნიჩბებს ხელი, გემი სწრაფად შევიდა გაშლილ ზღვაში და ატიკის ნაპირებს გასცილდა. ტერევსი ზეიმობს. გახარებულმა შესძახა:

— მე გავიმარჯვე! აქ ხომალდზე მყავს ჩემი გულის რჩეული, მშვენიერი ფილომელე!

თრაკიის მეფე თვალს არ აცილებს ფილომელეს და მთელს გზაზე წუთითაც არ შორდება მას. აგერ, თრაკიის სანაპიროც. გზა დასრულდა. სასახლეში კი არ მიჰყავს თრაკიის მეფეს ფილომელე, არამედ უღრან ტყეში, მწყემსის ქოხში, და იქ ჰყავს მოძალადეს ჩაკეტილი საბრალო ქალიშვილი. ვერც ცრემლით, ვერც ვედრებით ვერ მოულბო გული მეფეს დატყვევებულმა ცოლისდამ. იტანჯება ფილომელე მძიმე ტყვეობაში, ხშირად უხმობს დასა და მამას, ხშირად მიმართავს ოლიმპოს ღმერთებს, მაგრამ არავის ესმის მისი მუდარა, ხვეწნა და ჩივილი. სასოწარკვეთილი ქალიშვილი სახეს იხოკავს, თმებს იგლეჯს, ხელებს იმტვრევს და თავის შავ ბედს უჩივის.

— ო, სასტიკო ბარბაროსო! — მიმართავს მეფეს. — შენ ვერ მოგილბეს გული ვერც მამის ცრემლებმა, ვერც მისმა თხოვნამ, ვერც ჩემი დის ზრუნვამ და ჩემმა დარდმა! შენ არ დაიცავი ოჯახური კერიის სიწმინდე! მაშ მიიღე, ტერევს, ჩემი სიცოცხლე, მაგრამ იცოდე: შენი დანაშაული დიდმა ღმერთებმა იხილეს და, თუ მათ კიდევ აქვთ ძალა, სასტიკად დაისჯები შენი საზარელი ბოროტმოქმედებისათვის. თვითონვე ვეტყვი ყველაფერს, რაც ჩაიდინე! თვითონ წავალ, ხალხს შევყრი! თუ ეს უღრანი ტყეები არ გამიშვებენ, სულ ერთიანად შევძრავ გოდებით. დაე, ისმინოს ჩემი ჩივილი მარადიულმა ციურმა ეთერმა. დაე, ისმინონ ღმერთებმა!

საშინლად განრისხდა ტერევსი, როცა ფილომელეს მუქარა მოისმინა. იშიშვლა მახვილი, სტაცა ფილომელეს თმაში ხელი, შეკრა და ენა მოჭკვეთა, რომ ვეღარავისთვის ეუწყებინა პანდიონის უბედურ ასულს მისი დანაშაულის ამბავი. თვით ტერევსი კი პროკნესთან დაბრუნდა. ქალმა ქმარს ჰკითხა, სად არისო ჩემი და, ტერევსმა კი მიუგო, რომ მისი და გარდაიცვალა. დიდხანს დასტიროდა პროკნე ფილომელეს, რაკი მკვდარი ეგონა.

გავიდა მთელი წელიწადი. იტანჯება ფილომელე ტყვეობაში. ვერც დას ატყობინებს, ვერც მამას, თუ სადა ჰყავს ტერეესს გამოკეტილი. ბოლოს მოიფიქრა ხერხი, თუ როგორ შეეტყობინებინა დისთვის თავისი მდგომარეობა. საქსოვ დაზგას მიუჯდა, საფენზე ამოქსოვა მთელი თავისი უბედურების ამბავი და საიდუმლოდ პროკნეს გაუგზავნა. გაშალა პროკნემ საფენი და ზედ ამოქარგული თავისი დის ძნელბედობის საზარელი ამბავი ამოიკითხა. აღარ ტირის პროკნე, თითქოს ბურანშიაო, შეშლილივით დაეხეტება სასახლეში და მხოლოდ ერმაზე ფიქრობს, როგორ მიუზღოს სამაგიერო ტერეესს.

სწორედ ამ დღეებში თრაკიელი ქალები დიონისეს დღესასწაულს ზეიმობდნენ. მათთან ერთად პროკნეც წავიდა ტყეში. ხშირ ტყეში, მთის ფერდობზე იპოვნა ქოხი, რომელშიაც მის ქმარს ფილომელე ჰყავდა გამოკეტილი. პროკნემ და გაათავისუფლა და საიდუმლოდ სასახლეში მიიყვანა.

— ახლა ცრემლების დრო არაა, ფილომელე, — მიმართა დას. — ცრემლი ვერ გვიშველის, ცრემლით კი არა, მახვილით უნდა ვიმოქმედოთ. მე მზადა ვარ ჩავიდინო ყველაზე უფრო საშინელი ბოროტმოქმედება, ოღონდ ტერეესზე შური ვიძიო ჩემი და შენი დაღუპვისათვის. მზად ვარ უსაზარლესი სიკვდილი ვარგუნო ჩემს ქმარს!

როდესაც პროკნე ამას ამბობდა ოთახში შემოვიდა მისი ვაჟი.

— ო, როგორ ჰგავხარ მამაშენს! — შესძახა პროკნემ, შვილს რომ შეხედა.

უეცრად მრისხანედ წარბშეკრული გაჩუმდა. საშინელი ბოროტმოქმედება განიზრახა პროკნემ, ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენა გულში დაგუბებულმა ბოღმამ უკარნახა. შვილმა კი რა იცოდა, მივიდა, პაწია ხელებით დედას მოეხვია და საკოცნელად წაიწია. ერთი წამით სიბრალულმა გაიღვიძა პროკნეს გულში, თვალები ცრემლით აევსო და წამიერად მოარიდა სახე ყმაწვილს, მაგრამ დას რომ შეხედა, მის გულში კვლავ აბობოქრდა მძვინვარე შურისძიება. მაშინვე სტაცა შვილს ხელი და სასახლის შორეულ სამყოფელში წაიყვანა. იქ ბასრი ხმალი აიღო, სახე მიიბრუნა და ყრმას შიგ გულში ჩასცა. პროკნემ და ფილომელემ ნაკუწ-ნაკუწად დაჭრეს უბედური ბავშვის სხეული, ნაწილი ქვაბში მოხარშეს, ნაწილი შამფურზე შესწვეს და ტერეესს საშინელი კერძი მოუმზადეს. პროკნე თვითონვე ემსახურებოდა ტერეესს, ისიც სრულიად არხეინად შეექცეოდა მისი საყვარელი ვაჟიშვილის სხეულისაგან დამზადებულ გემრიელ კერძებს. ჭამის დროს ტერეესმა შვილი მოიკითხა. შურისძიებით გახარებულმა პროკნემ უპასუხა:

— თვით შენშია ის, ვისაც კითხულობ!

ვერ გაიგო ცოლის სიტყვების მნიშვნელობა ტერეესმა, დაჟინებით მოით-

ზოვა, შვილის მოყვანა. მაშინ გამოვიდა ფარდას ამოფარებული ფილომელე და ტერევსს შვილის გასისხლიანებული თავი სახეში ესროლა. შეტორტმანდა ელდანაკრავი ტერევსი, ერთბაშად მიხვდა, რა საშინელი პურობაც გაუმართეს. დასწყევლა თავისი ცოლი და ფილომელე. მაგიდას ფეხი ჰკრა, ზეზე წამოვარდა, მახვილი იშიშვლა და პროკნესა და ფილომელეს დაედევნა, საკუთარი ხელით უნდოდა შურის ძიება შვილის სიკვდილისათვის, მაგრამ ვერ დაეწია ქალებს. პროკნე და ფილომელე ბუმბულით დაიფარენ, ფრთებიც გამოესხათ, ფრინველად იქცნენ — ფილომელე მერცხლად, პროკნე კი — ბულბულად. მერცხალ-ფილომელეს მკერდზე ლაქად შერჩენია ტერევსის შვილის სისხლი. თვითონ ტერევსი კი ოფოფად იქცა, გრძელი ნისკარტი გამოება და თავზე გვირგვინად დიდი სავარცხელი დაედგა. როგორც მეომარ ტერევსს უფრიალებდა მუზარადზე დამაგრებული ფრთები, ისე ერხევა ოფოფს თავზე სავარცხელი.

ბორეასი და ორითია

სასტიკია ბორეასი, ლაგამაწყვეტილი შმაგი ჩრდილოეთის ქარის ღმერთი. მძვინვარე ღმერთი ზღვასა და ხმელეთზე დაჰქრის და მრისხანე ფრთების ქროლვით იწვევს ყოვლისმნგრეველ ქარიშხლებს. ერთხელ, ატიკას რომ გადაუქროლა დაინახა ერეხთეევსის ასული ორითია და მეფის ასული შეუყვარდა. დიდხანს ეევდრებოდა გამხდარიყო მისი ცოლი, წაჰყოლოდა მის სამეფოში — ბორეულ ჩრდილოეთში, მაგრამ ქალი არ თანხმდებოდა, ეშინოდა მრისხანე ღმერთისა. უარით გაისტუმრა ბორეასი მისმა მამამ ერეხთეევსმაც. არ გასჭრა ბორეასის ხვეწნა-ვედრებამ. განრისხდა სასტიკი ღმერთი და შესძახა:

— თვით დავიმსახურე ასეთი დამცირება! დავივიწყე ჩემი მრისხანე, მძვინვარე ძალა! განა შემფერის, ვინმეს რამეს მორჩილად რომ ვეხვეწებოდე? მხოლოდ ძალით უნდა ვიმოქმედო! მე ვერეკები ცაზე ჭექა-ქუხილის ღრუბლებს, მე ვატორტმანებ ზღვაზე მთებისოდენა ტალღებს, ძირფესვიანად ბალახის ღეროებივით ვთხრი ასწლოვან მუხებს, მე ვატეხ თავს დედამიწას კოხსა და სეტყვას, ქვასავით მაგარ ყინულად ვაქცევ თხიერ წყალს, და მე ვიღაც მოკვდავთაგანივით ვეხვეწები სუსტ არსებებს! ო! როცა გაშმაგებული მივქრი დედამიწის თავზე, მთელი ხმელეთი ირყევა და ძრწის თვით ჰადესის მიწისქვეშა სამეფო, და მე ვეხვეწები ერეხთევსს, თითქოს მისი მსახური ვიყო. კი არ უნდა ვთხოვდე, ძალით უნდა გავიტაცო მისი ასული.

ბორეასმა ძალუმი ფრთები აიქნია. მთელს დედამიწაზე ქარიშხალი ავარდა. ლერწამივით შეირყა ასწლოვანი ტყე, მრისხანედ დაიგრაგნენ ზღვაზე აქაფებუ-

ლი ტალღები, შავმა ღრუბლებმა დაფარეს ზეცა. მთების მწვერვალებზე გადაიშალა ბორეასის შავი მოსასხამი და წამოვიდა ყოვლის გამყინავი ჩრდილოეთის სუსხი. გაითოშა ქვეყანა. ბორეასმა ათენს მიაშურა. თავის გზაზე ყოველივეს ანგრევდა, სპობდა, თოშავდა. აიტაცა ორითია, აფრინდა და პირქუშ ჩრდილოეთს მიაშურა.

იქ ორითია ბორეასის ცოლი გახდა და ღმერთს აჩუქა ტყუპი ვაჟები: ძეტესი და კალაისი. ორივე ფრთოსანი იყო, როგორც მათი მამა. გმირებად გაიზარდნენ ბორეასის შვილები, ორივე მონაწილეობდა არგონავტების ლაშქრობაში, კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცებაში. მათ სხვა მრავალი საგმირო საქმეც ჩაიდინეს.

დედალოსი და იკაროსი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების" მიხედვით

ერეხთეევსის შთამომავალი დედალოსი იყო ათენის უდიდესი მხატვარი, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი. მასზე ამბობდნენ, თოვლივით თეთრი მარმარილოსაგან ისეთ საოცარ ქანდაკებებს ქმნიდა, რომ ადამიანი ცოცხლებისაგან ვერ გაარჩევდაო; გეგონებოდათ, დედალოსის ქანდაკებანი გიყურებენ და მოძრაობენო. მრავალი ხელსაწყო გამოიგონა ხელოვანმა თავისი მუშაობის დროს. მისი გამოგონილია ნაჯახი და ბურღი. შორს გაითქვა დედალოსის სახელი.

აი, ამ დიდ ხელოვანს ჰყავდა დისწული ტალოსი, ღვიძლი ღის პერდიკეს ვაჟი. ტალოსი თავისი ბიძის მოწაფე იყო. უკვე ადრეულ ბავშვობაში აოცებდა ყველას თავისი ნიჭითა და გამომგონებლობით. თავიდანვე შესამჩნევი გახდა, რომ მოწაფე შორს გაუსწრებდა მასწავლებელს. დედალოსს შური აღეძრა და დისწულის მოკვლა განიზრახა. ერთხელ დედალოსი დისშვილთან ერთად ათენის მაღალ აკროპოლისზე, კლდის კიდესთან იდგა. ირგვლივ არავინ ჩანდა. როცა დარწმუნდა, მარტონი ვართო, დედალოსმა ტალოსს ხელი ჰკრა და კლდეზე გადააგდო. დარწმუნებული იყო, რომ მისი დანაშაული დაუსჯელი დარჩებოდა. კლდის ბექობიდან გადავარდნილი ტალოსი სასიკვდილოდ დაშავდა. დედალოსი აჩქარებით დაეშვა კლდიდან, ტალოსის გვამი ასწია და ფარულად დასაფლავებას აპირებდა, მაგრამ სამარეს რომ თხრიდა, თავს ათენელები წაადგნეს. დედალოსის ბოროტმოქმედებას ფარდა აეხადა. არეოპაგმა მას სიკვდილი მიუსაჯა.

სიკვდილისათვის თავი რომ დაეღწია, დედალოსი კრეტაზე გაიქცა და ზევსისა და ევროპას შვილს ძლიერ მეფე მინოსს შეეხიზნა. მინოსმა სიამოვნებით

დედალოსი ცვილით უმაგრებს ფრთებს იკაროსს (ნახატი ლარნაკზე).

გაუწია მფარველობა საბერძნეთის უდიდეს მხატვარს. დედალოსმა კრეტის მბრძანებლისათვის მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა. მანვე ააგო სახელგანთქმული კრეტის სასახლე-ლაბირინთი, ისეთი დახლართული გზა-ბილიკებით, რომ იქ მოხვედრილი ადამიანი გამოსასვლელს ვეღარასოდეს იპოვ-ნიდა. მინოსმა ამ სასახლეში დაამწყვდია თავისი ცოლის პასიფაეს შვილი—საზა-რელი მინოტავრი, კაცის ტანიანი და ხარის თავიან ურჩხული.

მრავალი წელი გაატარა დედალოსმა მინოსთან. კრეტის მეფეს არ სურდა მისი გაშვება. მხოლოდ თავისთვის უნდოდა დიდი მხატვრის ხელოვნება. მი-ნოსს დედალოსი ტყვესავით ჰყავდა კრეტაზე გამომწყვდეული. დიდხანს ფიქ-რობდა ხელოვანი, როგორ დაეღწია თავი მინოსის ტყვეობიდან, და ბოლოს იპოვა გამოსავალი.

— რაკი, მინოსის ტყვეობას თავი ვერ დავაღწიე ვერც ზღვით და ვერც ხმელეთით, ცა ხომ გახსნილია გასაქცევად! — შესძახა დედალოსმა. — აი ჩემი გზა! მინოსი ყველაფერს განაგებს ჰაერის გარდა.

დედალოსი საქმეს შეუდგა. მოაგროვა ნაირნაირი ფრთები, სელის ძაფითა და ცვილით დააკავშირა ისინი, დაამაგრა და ოთხი დიდი ფრთა დაამზადა. ვიდ-რე დედალოსი მუშაობდა, შორიახლო თამაშობდა მისი შვილი იკაროსი: ხან ნიავის ატაცებულ ბუმბულს იჭერდა, ხან ხელში ცვილს ზელდა. ყმაწვილი უდარდელად ცელქობდა, მამის მუშაობა ართობდა მას. ბოლოს დედალოსმა მუშაობა დაამთავრა. ფრთები მზად იყო. ოსტატმა ფრთები ზურგზე მიიმაგრა, ხელები ფრთებზე მიმაგრებულ მარყუჟებში გაუყარა, აიქნია და ნარნარი რხე-

ვით ჰაერში აფრინდა. განცვიფრებული შესცქეროდა იკაროსი მამას, უზარმაზარი ფრინველივით რომ დანავარდობდა სივრცეში. დედალოსი დედამიწაზე დაეშვა და შვილს უთხრა:

— მომისმინე, იკაროს, ახლა კრეტიდან გავფრინდებით. ფრთხილად. ჭკუით იფრინე. ნუ დაეშვები ძლიერ დაბლა ზღვის ზედაპირზე ტალღების შხეფებმა ფრთები რომ არ დაგისველონ. ნურც მზეს დაუახლოვდები: სიცხე ცვილს დაადნობს და ფრთები დაცვივდებიან. მე გამომყევი, ნუ ჩამომრჩები.

მამა-შვილმა ხელებზე ფრთები მოირგეს, მიიმაგრეს და მსუბუქად შეინავარდეს. ვინც მიწის თავზე მათს ნავარდს უყურებდა, ფიქრობდა, რომ ეს ორი ღმერთი მისრიალებს ზეცის ლაჟვარდში. დედალოსი ხშირად მობრუნდებოდა ხოლმე, რომ დაენახა, როგორ მიფრინავდა მისი შვილი. უკვე გასცილდნენ კუნძულ დელოსს, პაროსს და თავაწყვეტილ ფრენას განაგრძობენ.

სწრაფი ქროლა ართობს იკაროსს, სულ უფრო გაბედულად იქნევს ფრთებს. იკაროსმა დაივიწყა მამის დარიგება. უკვე მამას კი აღარ მიჰყვება. გამეტებით მოიქნია ფრთები, ზეცაში შეინავარდა, სხივთამთოველ მზეს მიუახლოვდა. მცხუნვარე სხივებმა ცვილი გაალღვეს, ფრთები დაცვივდნენ და ქარმა შორს გაფანტა. იკაროსმა ხელები დააქნია, მაგრამ აღარ აქვს ფრთები. საშინელი სიმაღლიდან მოწყდა, პირდაპირ ზღვაში ჩაეშვა და ტალღებში დაიღუპა.

დედალოსი მობრუნდა, აქეთ-იქით იხედება. აღარ არის იკაროსი. ხმამაღლა ეძახის:

— იკაროს! იკაროს! სადა ხარ? ხმა გამეც!

პასუხი არ არის. მალე დედალოსმა ზღვის ტალღებში გაფანტული ფრთები შენიშნა და მიხვდა, რაც მოხდა. როგორ შეიძულა დედალოსმა თავისი ხელოვნება, როგორ შეიძულა ის დღე, როცა აზრად მოუვიდა კრეტიდან გაქცევა!

იკაროსის სხეულს კი დიდხანს არწევდნენ იმ ზღვის ტალღები, რომელსაც დაღუპულის სახელის მიხედვით იკარიის ზღვა ეწოდა. ბოლოს კუნძულზე გამორიყეს იგი, იქ ჰერაკლემ იპოვა და დაკრძალა.

დედალოსი კი განაგრძობდა ფრენას და ბოლოს სიცილიაში ჩაფრინდა. იქ მეფე კოკალესთან დასახლდა. მინოსმა გაიგო, თუ სად იმალებოდა დედალოსი, შეკრიბა დიდი ლაშქარი, სიცილიაში ჩავიდა და მეფეს დედალოსის გაცემა მოსთხოვა.

კოკალეს ასულებს არ სურდათ ისეთი მხატვრის დათმობა, როგორიც დედალოსი იყო. ამიტომ ხერხს მიმართეს. მამას შეუჩნდნენ, დათანხმებულიყო მინოსის თხოვნაზე და იგი სასახლეში მოეწვია სტუმრად. როცა მინოსი აბაზანას იღებდა, კოკალეს ასულებმა თავზე ორი ქვაბი მდუღარე წყალი დაასხეს.

მინოსმა საშინელ ტანჯვაში დალია სული. დედალოსი დიდხანს დარჩა სიცილიაში. სიცოცხლის უკანასკნელი წლები კი თავის სამშობლო ათენში გაატარა. იქ ათენელ მხატვართა სახელოვან ხელოვანთა — დედალიდების მოდგმის მამამთავარი გახდა.

თეზევსი

პლუტარქეს ბიოგრაფიის „თეზევსის" მიხედვით

დაბადება და აღზრდა

პანდიონის შვილი ეგეოსი ათენში მეფობდა მას შემდეგ, რაც ძმებთან ერთად ატიკიდან განდევნა თავისი ნათესავის მეთიონის შვილები, რომელთაც უსამართლოდ მიითვისეს ძალაუფლება. ეგეოსი დიდხანს მეფობდა სვებედხიერად. მხოლოდ ერთი დარდი ჰქონდა: არ ჰყავდა შვილები. ბოლოს ეგეოსი დელფოში აპოლონის ორაკულთან წავიდა და იქ ნათელსხივოსან ღმერთს ჰკითხა, რატომ არ მიგზავნიან ღმერთები შვილსო. ორაკულმა გაურკვეველი პასუხი მისცა. მეფე დიდხანს ფიქრობდა, რათა გამოეცნო ბუნდოვან სიტყვებში დაფარული აზრი, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. მაშინ ეგეოსმა გადაწყვიტა წასულიყო ქალაქ ტროიძენეში, არგოლიდის ბრძენ მეფე პითევსთან, იქნებ იმას აეხსნა აპოლონის პასუხის საიდუმლოება. პითევსმა მაშინვე აუხსნა პასუხის აზრი: შენ გეყოლება შვილი, რომელიც ათენის უდიდესი გმირი გახდებაო. პითევსს სურდა, რომ ტროიძენეს რგებოდა პატივი დიდი გმირის სამშობლო ქალაქისა, ამიტომ ეგეოსს ცოლად მისცა თავისი ასული ეთრა. ეთრას ეგეოსის ცოლობის დროს ეყოლა ვაჟი, მაგრამ ეს იყო არა ეგოსის, არმედ პოსეიდონის შვილი. ახლადშობილს სახელად თეზევსი უწოდეს. მალე, თეზევსის დაბადების შემდეგ, ეგეოსს ტროიძენეს დატოვება და ათენს დაბრუნება მოუხდა. წასვლის წინ ეგეოსმა აიღო თავისი მახვილი და სანდლები, ტროიძენეს მთებში კლდის ლოდის ქვეშ შეინახა და ეთრას დაუბარა:

— როდესაც ჩემი შვილი თეზევსი შეძლებს ამ ლოდის დაძვრას და ჩემი მახვილისა და სანდლების აღებას, მაშინ გამომიგზავნე ათენს. ამ მახვილითა და სანდლებით ვიცნობ.

თეზევსი თექვსმეტ წლამდე თავის პაპა პითევსთან იზრდებოდა. თავისი სიბრძნით საკვეყნოდ სახელგანთქმული პითევსი შვილიშვილის აღზრდაზე ზრუნავდა და უხაროდა, როცა ხედავდა, რომ ყველა თანატოლს სჯობდა ყოველ საქმეში. მაგრამ აი, შეუსრულდა თეზევსს თექვსმეტი წელი. ამ დროს უკვე

ველარავინ შეედრებოდა მას ვერც ღონით, ვერც იარაღის ხმარების ხელოვნებით. მშვენიერი სანახავი იყო თეზევსი: მაღალი, ტანადი, თვალად მშვენიერი, მუქი კულულებით, გრუზა-გრუზად რომ ეყარა ფართო მხრებზე. შუბლზე კი კულულები შეჭრილი ჰქონდა, რადგან აპოლონს შესწირა. ახალგაზრდული დაკუნთული სხეული ჭაბუკის ძალუმ ღონეს მოწმობდა.

თეზევსის საგმირო საქმეები ათენისაკენ მიმავალ გზაზე

როცა ეთრამ ნახა, რომ მისი შვილი ღონით ყველა თანატოლს აღემატება, იმ კლდესთან მიიყვანა, რომლის ქვეშაც ეგეოსმა მახვილი და სანდლები შეინახა და უთხრა:

— შვილო ჩემო, ამ კლდის ქვეშ ძევს მამაშენის, ათენის მბრძანებელ ეგეოსის სანდლები და მახვილი. გადასწიე კლდე, აიღე მახვილი და სანდლები, ამ ნიშნებით გიცნობს მამაშენი.

თეზევსმა ფეხი ჰკრა კლდეს და გადააგორა. მახვილი და სანდლები აიღო, დედას და პაპას გამოემშვიდობა და ათენის შორეულ გზას დაადგა. თეზევსმა არ ისმინა დედის და პაპის ვედრება — ნაკლებ სახიფათო გზით წადიო და გადაწყვიტა ხმელეთით წასვლა, ისთმოსის ყელზე გავლით.

მძიმე იყო ეს გზა. მრავალი საფრთხე შეხვდა, ბევრი საგმირო საქმის ჩადენა მოუხდა. უკვე ტროიძენესა და ეპიდავრის საზღვარზე გადაეყარა ღმერთ ჰეფესტოს შვილს ბუმბერაზ პერიფეტეს. პერიფეტე თავის მამასავით, — ღმერთ ჰეფესტოსავით, კოჭლი იყო, მაგრამ საკვირველი ღონე ჰქონდა ხელებში და ტანად მთასა ჰგავდა. სასტიკი იყო პერიფეტე. ვერც ერთი მგზავრი ვერ გაივლიდა იმ მთებში, სადაც ის ცხოვრობდა, ყველას კლავდა გოლიათი თავისი რკინის კეტით. მაგრამ თეზევსმა პერიფეტე იოლად დაამარცხა. ეს იყო მისი პირველი გმირობა და გამარჯვების ნიშნად მოკლულ პერიფეტეს რკინის კომბალი თან წაიღო.

შემდეგ თეზევსი ისე მივიდა ისთმოსამდე, რომ სიძნელე არ შეხვედრია, არც რამე საფრთხეს გადაჰყრია. პოსეიდონისადმი მიძღვნილ ისთმოსის ფიჭვნარში თეზევსი შეხვდა ფიჭვთამდრეკელ სინისს. ეს იყო სასტიკი ავაზაკი. ყველა გამვლელს საშინელი წამებით კლავდა. ორ ფიჭვს მოხრიდა, კენწეროებს ერთმანეთს შეახებდა, ზედ ადამიანს მიაბამდა და გაუშვებდა. საშინელი ძალით გაიწევდნენ ფიჭვები, გასწორდებოდნენ და უბედურის სხეულს შუაზე ხლეჩდნენ. თეზევსმა შური იძია ყველასათვის, ვინც სინისის ხელით დაიღუპა. ავაზაკი შეკრა, ღონიერი ხელებით ორი უზარმაზარი ფიჭვი მოზიდა. ყაჩაღი ორსავე ხეს



თეზევსის საგმირო საქმეები (მარცხნიდან მარჯვნივ) თეზევსი და მარათონის ხარი; თეზევსი და პროკრუსტე; თეზევსი და კერკიონი (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

მიაბა და გაუშვა. მრისხანე ავაზაკი დაიღუპა იმავე სიკვდილით, რითაც ბოლოს უღებდა სრულიად უდანაშაულო მგზავრებს. ახლა ისთმოსის გზა თავისუფალი იყო. უფრო მოგვიანებით თეზევსმა გამარჯვების სამახსოვროდ, სწორედ იმ ადგილას, სადაც სინისი დაამარცხა, დააწესა ისთმოსის ასპარეზობა.

შემდეგ თეზევსის გზა ქალაქ კრომიონს მიჰყვებოდა. მთელი ეს მხარე აოხრებული და გაპარტახებული ჰქონდა ტითონისა და ექიდნის ნაშობ უზარმაზარ გარეულ ღორს. კრომიონის მცხოვრებნი ახალგაზრდა გმირს ეევედრებოდნენ, ეხსნა ისინი ამ საშინელი ურჩხულისაგან. თეზევსი ღორს წამოეწია და მახვილით განგმირა.

გმირმა გზა განაგრძო. ისთმოსის ყველაზე უფრო სახიფათო ადგილზე, მეგარის საზღვარზე, იქ, სადაც ფრიალო კლდეები ცაში აღმართულან და მთის ძირას მრისხანედ ღრიალებენ ზღვის აქაფებული ტალღები. თეზევსს ახალი საფრთხე ელოდა. კლდის კიდეზე ავაზაკი სკირონი ცხოვრობდა. ყველა გამვლელს აიძულებდა მისთვის ფეხები დაებანა. როგორც კი მგზავრი დაიხრებოდა სკირონისათვის ფეხების დასაბანად ულმობელი ავაზაკი ფეხის კვრით გადაისროდა თავის მსხვერპლს ზღვის აქაფებულ ტალღებში, სადაც ბედშავი წყლიდან ამოშვერილ წვეტიან ბრეკებზე იღუპებოდა, ხოლო მერე ზღვის უზარმაზარი კუ გლეჯდა და ჭამდა. როცა სკირონი თეზევსსაც ზღვაში გადაგდებას უპირებდა,

გმირმა სტაცა ხელი და თვითონ ავაზაკი გადააგდო. ელევსინის მახლობლად თეზევსს ბრძოლა მოუხდა კერკიონთან, ისე როგორც ჰერაკლეს მოუხდა ბრძოლა ანტეოსთან. ძალუმმა კერკიონმა მრავალი.ადამიანი დაღუპა, მაგრამ თეზევსმა ხელები ჩასჭიდა, რკინის სალტეებივით მოუჭირა და სული გააფრთხობინა. ამით თეზევსმა გაათავისუფლა კერკიონის ასული ალოპეც, ხოლო კერკიონის ქვეყნის მბრძანებლად დასვა ალოპესა და პოსეიდონის შვილი ჰიპოთოონტი.

ელევსინი რომ გაიარა და ატიკაში გადაშლილ კეფისის ველს მიუახლოვდა, თეზევსს შემოეყარა ავაზაკი დამასტე, რომელსაც ჩვეულებრივ პროკრუსტეს ანუ „გამჭიმავს" ეძახდნენ. ამ ყაჩაღმა წამების თავისებური ხერხი მოიგონა ყველა.ათვის, ვინც მის სათარეშო მხარეში გაივლიდა. პროკრუსტეს ერთი სარეცელი ჰქონდა, ყველა გამვლელს აიძულებდა ამ სარეცელზე დაწოლილიყო. თუ სარეცელი უფრო გრძელი აღმოჩნდებოდა, პროკრუსტე თავის მსხვერპლს მანამდე ჭიმავდა, ვიდრე ფეხებით საწოლის კიდეს არ გაუსწორებდა. ხოლო თუ საწოლი მოკლე აღმოჩნდებოდა, უბედურს ფეხებს მის ზომაზე აჭრიდა. თეზევსმა თვით პროკრუსტე დასცა თავის სარეცელზე; საწოლი, რა თქმა უნდა, ბუმბერაზ პროკრუსტეზე მოკლე აღმოჩნდა, და გმირმა ბოროტმოქმედი დამასტეც ისევე მოკლა, როგორც ის კლავდა უდანაშაულო მგზავრებს.

ეს იყო თეზევსის უკანასკნელი გმირობა ათენის გზაზე. თეზევსს არ უნდოდა სინისის, სკირონის, პროკრუსტესა და სხვათა სისხლით დასვრილი* ჩასულიყო ათენში. ამიტომ ფიტალიდებს სთხოვა განსაკუთრებული რელიგიური ცერემონიალით განეწმინდათ მწყალობელი ზევსის საკურთხეველთან. გულთბილად დახვდნენ ახალგაზრდა გმირ სტუმარს ფიტალიდები, თხოვნა შეუსრულეს და განწმინდეს დაღვრილი სისხლის უწმინდურებისაგან. ახლა თეზევსს შეეძლო ჩასულიყო ათენს, თავის მამა ეგეოსთან.

თეზევსი ათენში

გრძელ იონიურ სამოსელში გამოწყობილი, მშვენიერების ციური შუქით მოციმციმე თეზევსი ათენის ქუჩებს მიჰყვებოდა. მხრებზე უხვად ეფინებოდა გრუზა თმა. ახალგაზრდა გმირი თავისი გრძელი სამოსით ქალიშვილს უფრო წააგავდა, ვიდრე გმირს, რომელმაც ასეთი საგმირო საქმეები ჩაიდინა. თეზევსმა

* ბერძნები თვლიდნენ, რომ დაღვრილი სისხლი ბილწავს ადამიანს, ამიტომ ადამიანის მკვლელი აუცილებლად უნდა განწმენდილიყო დაღვრილი სისხლის სიბილწისაგან, რომელიმე ღმერთის საკურთხეველთან.

იმ ადგილს ჩაუარა, სადაც აპოლონის სახელზე ტაძარი შენდებოდა. მუშებს უკვე დაეხურათ ტაძარი. თეზევსი რომ დაინახეს, ქალიშვილად მიიღეს და ლაზღანდარობა დაუწყეს. სიცილით ეუბნებოდნენ:

— შეხედეთ, დაეხეტება ქალაქში მარტოდმარტო, გვერდს არავინ უმშვენებს ასეთ ქალიშვილს! ნახეთ, როგორ თვალსაჩინოდ გაუშლია თმა, ხოლო სამოსის გრძელი კალთებით ქუჩის მტვერს ხვეტავს.

მშენებელთა დაცინვით განაწყენებულმა თეზევსმა საზიდართან მიირბინა, ხარები გამოხსნა, საზიდარი მსუბუქად აიტაცა და ისე მაღლა შეისროლა, რომ სახურავზე მყოფ მუშებს თავზე გადაუქროლა. თავზარი დაეცათ ლაზღანდარა მუშებს, მიხვდნენ, რომ ეს ქალიშვილი კი არა, საშინელი ძალის პატრონი ახალგაზრდა გმირი ყოფილა. ახლა მოგვიღებსო ბოლოს, ფიქრობდნენ, სამაგიეროს გადაგვიხდისო დაცინვისათვის, მაგრამ თეზევსმა დამშვიდებით განაგრძო გზა.

ბოლოს, თეზევსი ეგეოსის სასახლეში მივიდა. ერთბაშად არ უთქვამს მოხუცებული მამისათვის, ვინც იყო. უცხოელად გააცნო თავი, თავშესაფარს ვეძებო შენთან. ეგეოსმა შვილი ვერ იცნო, სამაგიეროდ იგი იცნო ჯადოქარმა მედეამ, რომელიც კორინთოდან ათენს გამოიქცა და ეგეოსის ცოლი გახდა. ცბიერი მედეა ეგეოსს დაპირდა ჯადოსნობით ახალგაზრდობას დაგიბრუნებო, მეფის სასახლეში მბრძანებლობდა და თვით ეგეოსიც კი ყველაფერში ემორჩილებოდა. მაშინვე იგრძნო ძალაუფლების მოყვარულმა მედეამ, რა საფრთხეც ემუქრებოდა, თუ ეგეოსი გაიგებდა, რომ მშვენიერი უცხოელი, რომელიც თავის ჰერქვეშ მიიღო, მისი ვაჟიშვილია. ძალაუფლება რომ არ დაეკარგა, მედეამ გადაწყვიტა გმირის დაღუპვა. ეგეოსი დაითანხმა, რომ უცხოელი მოეწამლათ, როგორც მტრისაგან მოგზავნილი ჯაშუში. ბებერ, სუსტ ეგეოსს ეშინოდა, ტახტი არავინ წამართვასო და ამ ბოროტმოქმედებაზე მაშინვე დათანხმდა.

ნადიმის დროს მედეამ თეზევსს მოწამლული ღვინით სავსე სასმისი დაუდგა. სწორედ ამ დროს თეზევსმა რატომღაც ქარქაშიდან მახვილი ამოსწია. ეგეოსმა მაშინვე იცნო მახვილი, თექვსმეტი წლის წინ რომ ამოსდო ტროიძენეს კლდის ქვეშ. თეზევსს დახედა ფეხზე და თავისი სანდლები დაინახა. მაშინვე გადააყირავა მოწამლული ღვინით სავსე სასმისი და თავის შვილს თეზევსს გადაეხვია. მედეა ათენიდან განდევნეს მის შვილ მედოსთან ერთად. იგი მიდიაში გაიქცა.

ეგეოსმა ზეიმით აუწყა ათენის მოსახლეობას თავისი შვილის ჩამოსვლის ამბავი, უამბო მისი დიდი საგმირო საქმეები, ტროიძენედან ათენისაკენ მომა-

ქალ გზაზე რომ ჩაიდინა. ზეიმობდნენ ათენელები ეგეოსთან ერთად და ხმამაღალი შეძახილებით ესალმებოდნენ თავიანთ მომავალ მეფეს.

ათენში ეგეოსის შვილის თეზევსის დაბრუნების ამბავმა ეგეოსის ძმის პალანტეს შვილების ყურამდეც მიაღწია. თეზევსის ჩამოსვლით მათ გაუქარწყლდათ იმედი, რომ ეგეოსის სიკვდილის შემდეგ ათენის ტახტის გამგებელნი გახდებოდნენ. ახლა ათენის მეფეს კანონიერი მემკვიდრე ჰყავდა! მრისხანე პალანტიდებს არ სურდათ ათენის ტახტის დაკარგვა და ქალაქში ძალით შეჭრა განიზრახეს. თხუთმეტი პალანტიდი მამის წინამძღოლობით ათენისაკენ დაიძრა. მათ იცოდნენ თეზევსის საარაკო ძალის ამბავი და მზაკვრულ ხერხს მიმართეს: პალანტიდების ნაწილმა აშკარად გაილაშქრა ქალაქის წინააღმდეგ, დანარჩენები ჩასაფრდნენ, რომ შემდეგ უეცრად დასხმოდნენ თავს ეგეოსს, მაგრამ მათმა შიკრიკმა ლეოსმა ეს გეგმა თეზევსს გაანდო. ახალგაზრდა გმირმა გადაწყვიტა სწრაფად ემოქმედა. თავს დაესხა ჩასაფრებულ პალანტიდებს და ამოჟლიტა. ტახტის მაძიებელნი ვერ იხსნა ვერც ძალამ, ვერც სიმამაცემ. როცა ათენის კედლებთან მიმდგარმა პალანტიდებმა თავიანთი ძმების დაღუპვის ამბავი შეიტყვეს ისეთი შიში დაეუფლათ, რომ სამარცხვინოდ გაიქცნენ. ახლა ეგეოსს შეეძლო დამშვიდებით განეგო ათენის ტახტი. მას საიმედოდ იცავდა გმირი შვილი. თეზევსი ათენში უსაქმოდ არ დარჩენილა. ჯერ განიზრახა ატიკის განთავისუფლება ველური ხარისაგან, რომელიც მარათონის მიდამოებს აოხრებდა. ეს ხარი ჰერაკლემ კრეტიდან მიკენში ჩაიყვანა ევრისთევსის ბრძანებით და თავისუფლად გაუშვა. ხარი ატიკაში გაიქცა და იმ დროიდან ნამდვილ უბედურებად იქცა ყველა მიწათმოქმედისათვის. უშიშრად გაეშურა თეზევსი ამ ახალი საგმირო საქმის ჩასადენად. მარათონში მოხუცებული ქალი ჰეკალე შეხვდა. გმირი ისე მიიღო, როგორც სასურველი სტუმარი, და ურჩია, ახალი საგმირო საქმის მოხდენის წინ მსხვერპლი შეეწირა მხსნელი ზევსისათვის, რომ დახმარებოდა საშინელ ხართან ბრძოლაში. თეზევსმა ისმინა ჰეკალეს რჩევა. მალე ხარიც იპოვნა: ველური ხარი მაშინვე მივარდა გმირს, მაგრამ თეზევსმა ორივე ხელი რქებში ჩააცალა. გაიწია ხარი, მაგრამ ვერ დააღწია თავი ძალუმი გმირის მკლავებს. თეზევსმა ხარის თავი დაბლა დასწია, მიწას დააკრა, შეკრა, მოათვინიერა და ათენში წაიყვანა. უკან რომ ბრუნდებოდა, თეზევსს ცოცხალი აღარ დაუხვდა მოხუცი ჰეკალე. გმირმა დიდი პატივი სცა განსვენებულს იმ სტუმართმოყვარეობისა და რჩევისათვის, რითაც დაეხმარა ხარის შესაბოჭავად მიმავალს სულ ცოტა ხნის წინ. ათენში ჩაყვანილი ხარი თეზევსმა აპოლონს შესწირა.

თეზევსის მოგზაურობა კრეტაზე

როცა თეზევსი ათენში ჩავიდა, მთელი ატიკა ღრმა მწუხარებას მოეცვა. უკვე მესამედ მოსულიყვნენ კრეტიდან ძლევამოსილი მეფის მინოსის ელჩები და ხარკს ითხოვდნენ. მძიმე და სამარცხვინო იყო ეს ხარკი. ათენელებს ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ უნდა გაეგზავნათ კრეტაზე შვიდი ჭაბუკი და შვიდი ქალიშვილი. იქ იმ ბედშავებს უზარმაზარ სასახლე-ლაბირინთში ამწყვდევდნენ და ყველას სათითაოდ ნთქავდა საზარელი ურჩხული მინოტავრი, რომელსაც კაცის ტანი და ხარის თავი ჰქონდა. მინოსმა ეს ხარკი ათენელებს იმიტომ დააკისრა. რომ მათ მოკლეს მისი შვილი ანდროგეოსი. ახლა ათენელებს მესამედ უხდებოდათ კრეტაზე საშინელი ხარკის გაგზავნა. უკვე გაამზადეს ხომალდები მინოტავრის შესაჭმელად განწირული ახალგაზრდების წასაყვანად, უკვე ააფრიალეს შავი იალქნები დარდისა და გლოვის ნიშნად.

საყოველთაო კაეშანი რომ დაინახა, თეზევსმა გადაწყვიტა შერჩეულ სამსხვერპლო ქალ-ვაჟებთან ერთად თვითონაც წასულიყო კრეტაზე, გაენთავისუფლებინა ყველანი და შეეწყვიტა ამ საშინელი ხარკის გადახდა; ეს კი მხოლოდ მინოტავრის მოკვლით შეიძლებოდა. ამიტომ განიზრახა შებმოდა მინოტავრს ან მოეკლა ან თვით დაღუპულიყო. მოხუცებულ ეგეოსს გაგონებაც არ სურდა თავისი ერთადერთი შვილის კრეტაზე გამგზავრების შესახებ, მაგრამ თეზევსი თავის ნათქვამზე იდგა. მსხვერპლი შესწირა აპოლონ-დელფინიოსს — საზღვაო მოგზაურობათა მფარველს, ხოლო დელფოდან გამგზავრების წინ ორაკულმა ამცნო, რომ ამ მოგზაურობაში თავის მფარველად სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე აერჩია. გმირმა აფროდიტეს უხმო საშველად და კრეტისაკენ გაემგზავრა.

ხომალდი მშვიდობით მიადგა კრეტის სანაპიროს. ათენელი ჭაბუკები და ქალიშვილები მინოსს მიჰგვარეს. კრეტის მეფემ, უძლეველმა მინოსმა მაშინვე მიაქცია ყურადღება მშვენიერ ჭაბუკ გმირს. თეზევსი შენიშნა მეფის ასულმა არიადნემაც, ხოლო თეზევსის მფარველმა აფროდიტემ არიადნეს გული განუმსჭვალა ეგეოსის ვაჟიშვილისადმი განუზომელი სიყვარულით. მინოსის ასულმა განიზრახა დახმარებოდა თეზევსს. ფიქრიც კი არ შეეძლო იმაზე, რომ ახალგაზრდა გმირი ლაბირინთში დაიღუპებოდა, რომ საზარელი მინოტავრი დაფლეთდა მზისდარ ჭაბუკს.

ვიდრე მინოტავრთან შესაბმელად გაემართებოდა, თეზევსს კიდევ ერთი გმირობის ჩადენა მოუხდა. მინოსმა ერთ ათენელ ქალიშვილს შეურაცხყოფა მიაყენა. თეზევსი ქალიშვილს გამოექომაგა, მაგრამ თავისი შთამომავლობით

გაამაყებულმა კრეტის მეფემ თეზევსი სასაცილოდ აიგდო; განრისხდა, რომელიღაც ათენელი როგორ მიბედავსო სიტყვის შემობრუნებას თვით მინოსს, ზევსის შვილს. თეზევსმა მეფეს ამაყად მიუგო:

— შენ შენი შთამომავლობით ამაყობ, რომ ზევსის შვილი ხარ, მაგრამ არც მე ვარ უბრალო მოკვდავის შვილი. მამაჩემი — მიწისმრყეველი პოსეიდონია.

— თუ შენ ნამდვილად პოსეიდონის შვილი ხარ, დაამტკიცე ეს, ამომიტანე ზღვის უფსკრულიდან ეს ბეჭედი, — მიუგო მინოსმა თეზევსს და ოქროს ბეჭედი ზღვაში გადაისროლა.

თეზევსმა საშველად მოუხმო თავის მამას პოსეიდონს და ფრიალო კლდიდან უშიშრად გადაეშვა აქაფებულ ტალღებში. მაღლა ავარდნენ მლაშე შხეფები და თეზევსი ზღვის ტალღებმა დაფარეს. ყველა სულგანაბული შესცქეროდა ზღვას, რომელმაც გმირი შთანთქა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჰაბუკი უკან ვეღარ დაბრუნდებოდა. იდგა სასოწარკვეთილი არიადნეც, დარწმუნებული, რომ თეზევსი დაიღუპა.

ხოლო თეზევსს, როგორც კი მის თავზე ზღვის ტალღების რკალი შეიკრა, ხელი ჩაავლო ღმერთმა ტრიტონმა და დაუყოვნებლივ პოსეიდონის სასახლეში მიიყვანა. პოსეიდონი სიხარულით მიესალმა თავის ჯადოსნურ წყალქვეშა სასახლეში მისულ შვილს და მინოსის ოქროს ბეჭედი გადასცა, ხოლო პოსეიდონის ცოლმა, გმირის სილამაზით და სითამამით მოხიბლულმა ამფიტრიტემ, თეზევსს გრუზა თმაზე ოქროს გვირგვინი დაადგა. ტრიტონმა ისევ წაავლო ხელი და თვალის დახამხამებაში ზღვის უფსკრულიდან იმ ადგილზე აიყვანა, საიდანაც გმირი ზღვაში გადაეშვა. თეზევსმა მინოსს დაუმტკიცა, რომ ნამდვილად ზღვათა მბრძანებლის, პოსეიდონის შვილია. მინოსის ასული არიადნე სიხარულით ცას ეწია თეზევსი ზღვის უფსკრულიდან მშვიდობით დაბრუნებული რომ ნახა.

მაგრამ წინ იყო კიდევ უფრო საშიში გმირობა: თეზევსს უნდა მოეკლა ურჩუხლი მინოტავრი. აქ თეზევსს დაეხმარა არიადნე. მან გმირს მამისგან ფარულად ბასრი მახვილი და ძაფის გორგალი მისცა. როცა თეზევსი და დასაგლეჯად განწირული სხვა ახალგაზრდები გაიყვანეს, გმირმა თეზევსმა ძაფის ერთი ბოლო ლაბირინთის შესასვლელთან მიაბა და გაჰყვა უსასრულოდ დახლართულ გზა-ბილიკებს სასახლის სიღრმისაკენ, საიდანაც გამობრუნება შეუძლებელი იყო;. თეზევსი თანდათან შლიდა ძაფს, რომ უკან დაბრუნებისას გამოსასვლელი ეპოვნა. სულ წინ მიიწევდა, ვიდრე იმ ადგილს მიაღწევდა, სადაც მინოტავრი იმყოფებოდა. მხეცმა თავი დახარა, უზარმაზარი წვეტიანი რქები წინ წამოიშვირა და მრისხანე ღმუილით თეზევსისაკენ გამოეშურა. გაიმართა სასტიკი

თეზევსი ჰკლავს მინოტავრს.

ბრძოლა. მძვინვარე, ცოფმორეული მინოტავრი ზედიზედ ეკვეთა თეზევსს, მაგრამ გმირმა მახვილით მოიგერია. ბოლოს ხელი რქაში ჩაავლო და მეორე ხელით მახვილი მკერდში ჩასცა. მინოტავრი რომ მოკლა, ძაფს გამოჰყვა და ლაბირინთიდან გამოიყვანა ყველა გადარჩენილი ჭაბუკი და ქალიშვილი. შესასვლელთან არიადნე ელოდა. სიხარულით მიესალმა. ზეიმობდნენ თეზევსის მიერ გადარჩენილი ქალიშვილები და ჭაბუკები. ვარდის გვირგვინებით შემკულნი მადლობას სწირავდნენ მხსნელ გმირსა და მის მფარველ აფროდიტეს, თან მხიარულ ფერხულს უვლიდნენ.

ახლა საჭირო იყო მინოსის რისხვისაგან თავის დაღწევა. თეზევსმა სწრაფად გაამზადა თავისი გემი, ნავსადგურში მდგარ კრეტელთა ყველა გემს ფსკერი გაუხვრიტა, სწრაფად აუშვა იალქნები და ათენისაკენ გაეშურა. არიადნეც, რომელსაც თეზევსი შეუყვარდა, მათ გაჰყვა.

უკან გამობრუნებული თეზევსი ნაქსოსის ნაპირზე გადავიდა. როცა დაღლილი გმირი ამხანაგებთან ერთად ისვენებდა, სიზმარში დიონისე გამოეცხადა და აუწყა არიადნე ნაქსოსის უდაბურ ნაპირზე უნდა მიატოვო, რადგან ღმერთების გადაწყვეტილებით ჩემი ცოლი უნდა გახდესო. თეზევსს გამოეღვიძა და დარდით აღსავსე სასწრაფოდ შეუდგა გამგზავრების თადარიგს. ვერ გაბედა ღმერთების ნების წინააღმდეგ წასვლა. არიადნე გახდა ქალღმერთი, ღვინის ღმერთის დიონისეს მეუღლე. ხმამაღლა მიესალმა დიონისეს ამალა არიადნეს, სიმღერით ადიდებდნენ დიდი ღმერთის მეუღლეს.

თეზევსის გემი ლაჟვარდისფერ ზღვაში მიაფრიალებდა შავ იალქნებს. აი, უკვე გამოჩნდა ატიკის ნაპირი. არიადნეს დაკარგვით დანაღვლიანებულ თეზევსს დაავიწყდა ეგეოსისათვის მიცემული სიტყვა — შავ იალქნებს თეთრით შევცვლი, თუ მინოტავრი დავამარცხე და ათენისაკენ მშვიდობით გამოვბრუნდიო. ეგეოსი შვილს ელოდა. მაღალ ბექობზე მდგარ მოხუც ეგეოსს თვალები ზღვის შორეული სივრცისათვის მიეპყრო. აი, შორს გამოჩნდა შავი წერტილი, თანდათან ახლოვდება. ეს მისი შვილის ხომალდია. უყურებს ეგეოსი. თვალს არ აცილებს. გემი ახლოვდება. რა იალქნები აქვს? არა, არ ციმციმებენ მზეში იალქნები. შავი აფრები აუშლიათ. მაშასადამე დაღუპულა თეზევსი! — სასოწარკვეთილი ეგეოსი კლდის ბექობიდან გადავარდა და აქაფებულ ტალღებში ჰპოვა აღსასრული. იმ დროიდან ეწოდა ეგეოსის სახელი იმ ზღვას, რომელშიაც მოხუცი მეფე დაიღუპა. თეზევსი ნაპირს მიადგა და ღმერთებს სამადლობელი მსხვერპლი შესწირა. უეცრად, თავისდა საუბედუროდ, გაიგო, რომ უნებურად გახდა მამის სიკვდილის მიზეზი. დარდით გულმოკლულმა თეზევსმა დიდი პატივით დაასაფლავა მამა, ხოლო შემდეგ ათენის მეფე გახდა.

თეზევსი და ამორძალები

ბრძნულად განაგებდა თეზევსი ათენს. მაგრამ მშვიდი ცხოვრება მაინც არ ღირსებია. ხშირად ტოვებდა ათენს, რათა ბერძენ გმირთა საგმირო საქმეებში მიეღო მონაწილეობა. ასე მონაწილეობდა თეზევსი კალიდონის ნადირობაში, არგონავტების ლაშქრობაში ოქროს საწმისისათვის, ჰერაკლეს ლაშქრობაში ამორძალების წინააღმდეგ. როცა ამორძალების ქალაქი თემისკირა აიღო, თეზევსმა ათენში წაიყვანა სიმამაცისათვის საჩუქრად მიღებული ამორძალთა დედოფალი ანტიოპე. თეზევსმა ანტიოპე ცოლად შეირთო. დიდებული ქორწილი გადაიხადა გამარჯვებულმა გმირმა ამორძალების დედოფალთან.

ამორძალებმა კი განიზრახეს ბერძნებისათვის, რომელთაც ქალაქები დაუქციეს სამაგიერო გადაეხადათ, დაეხსნათ დედოფალი ანტიოპე, რომელიც მათი აზრით თეზევსთან მძიმე ტყვეობაში იმყოფებოდა. ამორძალების დიდი ჯარი ატიკაში შეიჭრა. მეომარი ამორძალების სასტიკი იერიშისაგან უკუქცეულმა ათენელებმა თავი ქალაქის კედლებს შეაფარეს. ამორძალები თვით ქალაქში შეიჭრნენ და მოსახლეობა აიძულეს თავი მიუვალი აკროპოლისისათვის შეეფარებინათ. ამორძალებმა არეოპაგის გორაკზე დაიბანაკეს და ათენელებს ალყა შემოარტყეს. არა ერთხელ მოაწყვეს ათენელებმა გამოხდომა, რომ მრისხანე მეომარი ქალები განედევნათ. ბოლოს გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა.

თვით ანტიოპე თეზევსის გვერდით იბრძოდა იმ ამორძალების წინააღმდეგ. რომელთაც ადრე მბრძანებლობდა. არ სურდა გმირი ქმრის მიტოვება, მხურვალედ რომ შეიყვარა. ამ სასტიკ ბრძოლაში ანტიოპეს სიკვდილი ელოდა. ჰაერში გაიელვა ერთ-ერთი ამორძალის ხელით ნატყორცნმა შუბმა, მისი მომაკვდინებელი წვერი ანტიოპეს მკერდში მოხვდა და განგმირული ქალი თავისი ქმრის ფერხთით დაეცა. დარდით გულდაბინდული თეზევსი ცოლის გვამზე დაიხარა. შეწყდა სისხლიანი ბრძოლა. მძიმედ დამწუხრებულმა ამორძალებმა და ათენელებმა ახალგაზრდა დედოფალი პატივით დაკრძალეს. ამორძალებმა ატიკა მიატოვეს და თავიანთ შორეულ სამშობლოში დაბრუნდნენ. დიდხანს გლოვობდა ათენი უდროოდ დაღუპულ მშვენიერ დედოფალს.

თეზევსი და პეირითოე

თესალიაში ცხოვრობდა ლაპითების მეომარი ტომი, რომელთაც სათავეში ედგა ძლევამოსილი გმირი პეირითოე. პეირითოეს გაგონილი ჰქონდა თეზევსის დიდი სიმამაცისა და ძალის ამბავი და სურდა მასთან ბრძოლაში თავისი თავი გამოეცადა. თეზევსის ბრძოლაში გამოსაწვევად პეირითოე მარათონს ჩავიდა და იქ საბალახოდ გაშვებული, თეზევსის კუთვნილი ხარების ჯოგი გაიტაცა. როგორც კი ეს ამბავი გაიგო, თეზევსი დაუყოვნებლივ დაედევნა გამტაცებელს და მალე დაეწია. ორი გმირი ერთმანეთს შეხვდა. ბრწყინვალე ჯავშნით მოსილი, უკვდავი ღმერთების მსგავსად ორი ვაჟკაცი ერთიმეორის პირისპირ იდგა, ორივე გაოცებული იყო მოწინააღმდეგის სიდიადით, ორივე ერთნაირად მამაცი, ძალუმი და მშვენიერი იყო. იარაღი გადააგდეს, ერთიმეორეს ძმურად გაუწოდეს ხელი, მჭიდრო, ურღვევი მეგობრობა შეკრეს და ამის ნიშნად იარაღი გაცვალეს. ასე დამეგობრდნენ დიდი გმირები თეზევსი და პეირითოე.

მალე ამ შეხვედრის შემდეგ თეზევსი თესალიაში წავიდა თავისი მეგობრის პეირითოესა და ჰიპოდამიას ქორწილში. დიდებული რამ იყო ეს ქორწილი. ჭრავალმა გმირმა მოიყარა აქ თავი საბერძნეთის სხვადასხვა კუთხიდან. მოიწვიეს ველური კენტავრებიც — ცხენკაცები. მდიდრული საქორწინო სუფრა სავსე იყო ნუგბარი საჭმელებით. მთელი სამეფო სასახლე გაივსო სტუმრებით, ხოლო სტუმრების ნაწილისათვის გრილ მღვიმეში გაეშალათ სუფრა, რადგან სასახლეში ყველა ვერ ეტეოდა. იფრქვეოდა ნექტარი, გაისმოდა საქორწინო ჰიმნები და მუსიკა, ხმამაღლა გაისმოდა მოქეიფეთა მხიარული შეძახილები. ყველა ადიდებდა მეფესა და დედოფალს, რომელიც ყველა სხვა ქალთა შორის გამოირჩეოდა თავისი მშვენიერებით, როგორც ციური ვარსკვლავი. მხიარულად ნადიმობდნენ სტუმრები. ღვინო მდინარეებად იღვრებოდა. სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა სანადიმო შეძახილები. უეცრად წამოვარდა ღვინით შეზარხოშებული, ყველაზე უფრო ძლიერი და ველური კენტავრი ევრიტე და პატარძალს მივარდა. ღონიერი ხელები მოხვია და გატაცება მოუნდომა. ეს რომ დაინახეს, სხვა კენტავრებიც მივარდნენ ნადიმზე მყოფ ქალებს. ყველას უნდოდა ნადავლის ხელში ჩაგდება. სანადიმო სუფრიდან წამოვარდნენ თეზევსი, პეირითოე, ბერძენი გმირების გუნდი და ქალების დასაცავად აღდგნენ. შეწყდა ნადიმი, გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. გმირები უიარაღოდ ებრძოდნენ კენტავრებს, რადგან ნადიმზე შეუიარაღებელი მოვიდნენ. ყველაფერი გამოიყენეს იარაღად ამ ბრძოლაში: მძიმე ფიალები, ღვინის დიდრონი ჭურჭელი, დამტვრეული მაგიდების ფეხები, სამფეხები, რომლებზედაც ეს-ეს იყო საკმეველს აკმევდიენ — ყველაფერი იარაღად იქცა. ნელ-ნელა შეავიწროვეს გმირებმა კენტავრები და სანადიმო დარბაზიდან განდევნეს, მაგრამ ბრძოლა დარბაზის გარეთაც გაგრძელდა. ახლა ბერძენთა გმირები უკვე იარაღით ხელში იბრძვიან, ფარებს იფარებენ. კენტავრები კი ძირფესვიანად გლეჯენ ხეებს, ლოდებსა და მთელ კლდეებს ესვრიან გმირებს. მებრძოლებს სათავეში უდგანან თეზევსი, პეირითოე, პელევსი და მისი ვაჟი ნესტორი. მოკლული კენტავრებისაგან აღმართული სისხლიანი ბორცვი სულ უფრო იზრდება გმირების თვალწინ. ერთიმეორის მიყოლებით ეცემიან დაჭრილი კენტავრები. ბოლოს შეთხელდა, შედრკა მათი რიგები, იკაღრეს გაქცევა და მაღალი პელიონის ტყეებს შეეფარეს თავი. საბერძნეთის გმირებმა სძლიეს ველურ კენტავრებს და მათი უმეტესობა გაჟლიტეს. ძალიან ცოტა კენტავრი გადაურჩა ამ საშინელ ბრძოლას.

ელენეს გოზაცება. თეზევსი და პეირითოე განიზრახავენ პერსეფონეს გაგაცებას. თეზევსის სიკვდილი

დიდხანს არ უცოცხლია პეირითოეს მშვენიერ ცოლს ჰიპოდამიას; სწორედ თავისი სილამაზის გაფურჩქნის ჟამს გარდაიცვალა. დაქვრივებული პეირითოე ერთხანს დასტიროდა თავის მეუღლეს, შემდეგ კი ხელახლა დაქორწინება განიზრახა. თავის მეგობარს თეზევსს ესტუმრა ათენში და იქ მათ გადაწყვიტეს მშვენიერ ელენეს გატაცება. ელენე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გოგონა იყო, მაგრამ მისი მშვენიერების ამბავი მთელს საბერძნეთში არაკად დადიოდა. მეგობრები ჩუმად ჩავიდნენ ლაკონიაში და გაიტაცეს ელენე იმ დროს, როცა თავის მეგობარ ქალიშვილებთან ერთად არტემიდეს ღღესასწაულზე უდარდელად ცეკვავდა. თეზევსმა და პეირითოემ სწრაფად წაიყვანეს იგი არკადიის მთებში, იქიდან კი კორინთოს და ისთმოსის გავლით ატიკაში ჩაიყვანეს და ათენის სიმაგრეში დამალეს. სპარტანელები დაუყოვნებლივ დაედევნენ გამტაცებლებს, მაგრამ ვერ დაეწიენ. ათენში გმირებმა კენჭი ყარეს, რომელს უნდა რგებოდა გასაოცარი სილამაზის ელენე. ელენე ერგო თეზევსს. მაგრამ უფრო ადრე მეგობრებმა ფიცი დადეს: რომელსაც მშვენიერკულულებიანი ქალიშვილი ერგებოდა, ის მეორეს უნდა დახმარებოდა ცოლის შერთვაში.

როცა ელენე თეზევს შეხვდა, პეირითოემ მეგობარს მოსთხოვა დახმარებოდა ქვესკნელის საშინელი მბრძანებლის, ჰადესის ცოლის, პერსეფონეს მოტაცებაში. სწორედ ის მინდა ცოლადო. თავზარი დაეცა თეზევსს, მაგრამ რას იზამდა. ფიცი ჰქონდა მიცემული და დარღვევა არ შეეძლო. თეზევსი პეირითოეს გაჰყვა მიცვალებულთა სამეფოში. მეგობრები მიწისქვეშეთში ათინის მახლობლად მდებარე სოფელ კოლონოს პირქუში ნაპრალიდან დაეშვნენ. იქ, საზარლობათა სამეფოში, ჰადესს წარუდგნენ და ცოლის დათმობა მოსთხოვეს. განრისხდა მიცვალებულთა სამეფოს პირქუში მბრძანებელი, მაგრამ შუბლის ნაოჭებში დაფარა თავისი რისხვა და გმირებს მიცვალებულთა სამეფოს შემოსასვლელთან კლდეში ამოკვეთილ ტახტზე დაჯდომა უბრძანა. როგორც კი ტახტზე დაეშვნენ, ორივე გმირი ზედ მიეჯაჭვა და წამოდგომა ვეღარ შეძლეს, გაქვავდნენ და მოძრაობის უნარი დაკარგეს. ასე დასაჯა ჰადესმა გმირები თავიანთი ბიწიერი მოთხოვნისათვის.

ვიდრე თეზევსი ქვესკნელის სამეფოში იყო, მშვენიერ ელენეს ძმები კასტორი და პოლიდევკე, ყველგან დაეძებდნენ დაკარგულ დას. ბოლოს გაიგეს, სად დამალა თეზევსმა ელენე. მაშინვე ალყა შემოარტყეს ათენს და მიუდგომელმა სიმაგრემ გმირებს ვერ გაუძლო. კასტორმა და პოლიდევკემ სიმაგრე

იერიშით აიღეს, ელენე გაათავისუფლეს და მასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს თეზევსის დედა ეთრა. ათენი და მთელი ატიკის საბრძანებელიც კასტორმა და პოლიდევკემ თეზევსის ძველ მტერს მენესთევსს ჩაბარეს.

თეზევსი დიდხანს დარჩა აჩრდილთა ქვეყანაში. მძიმე ტანჯვას ითმენდა ქვესკნელში, მაგრამ ბოლოს საბერძნეთის უდიდესმა გმირმა ჰერაკლემ გაათავისუფლა იგი.

თეზევსი ისევ დაუბრუნდა ნათელ ქვეყანას, მაგრამ დაბრუნებას სიხარული არ მოუტანია მისთვის. მიუდგომელი ათენი დანგრეული დახვდა, ელენე განთავისუფლებული იყო, დედამისი სპარტელთა მძიმე ტყვეობაში იტანჯებოდა. თეზევსის შვილები დემოთოონტი და აკამანტე იძულებული გაეხადათ ათენიდან გაქცეულიყვნენ, მთელი ძალაუფლება კი საძულველი მენესთევსისათვის მიეცათ. თეზევსმა ატიკა მიატოვა და კუნძულ ევბეაზე გადასახლდა, რადგან იქაც ჰქონდა სამფლობელოები. მაგრამ უბედურება თან სდევდა თეზევსს. სკიროსის მეფემ ლიკომედემ აღარ ისურვა მისი სამფლობელოების დაბრუნება. გმირი მაღალ კლდეზე აიტყუა, ხელი ჰკრა და ზღვაში გადააგდო. ასუ მუხანათურად დაიღუპა ატიკის უდიდესი გმირი. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, როცა მენესთევსი გარდაიცვალა, ტროას ლაშქრობის შემდეგ, თეზევსის შვილები ათენში დაბრუნდნენ. იქ, ტროაში თეზევსის შვილებმა იპოვნეს ბებია,— თეზევსის დედა ეთრა. მეფე პრიამეს შვილს, პარისს ჩაეყვანა იქ მონად შეძენილი ქალი, მის მიერ მოტაცებულ მშვენიერ ელენესთან ერთად.

მელეაგრი

კალიდონის მეფემ გმირ მელეაგრეს მამა ოინევსმა, თავს დაიტეხა დიდი ქალღმერთის არტემიდეს რისხვა. ერთხელ, რთველში, ყურძნისა და ხილის ზოსავლის ზეიმზე, ოლიმპოს ღმერთებს მდიდრული შესაწირავები უძღვნა, მხოლოდ არტემიდეს არ შესწირა მსხვერპლი. არტემიდემ ოინევსი მკაცრად დასაჯა. მის ქვეყანას მრისხანე ტახი გამოუგზავნა. მძვინვარე, უზარმაზარი ტახი კალიდონის მიდამოებს აოხრებდა. ეს ტლანქი, ურჩხულისოდენა ნადირი, ძალუმი ეშვებით ხეებს ძირფესვიანად თხრიდა, ანადგურებდა ვენახებსა და ნაზი ყვავილით დაფარულ ვაშლის ხეებს. ტახი არც ადამიანებს ინდობდა, თუ შემოეყრებოდნენ, გლეჯდა და ფატრავდა. უბედურებამ დაისადგურა კალიდონის მიდამოებში. მაშინ ოინევსის შვილმა მელეაგრემ გადაწყვიტა დიდი ნადირობა. ზოეწყო და ეს ურჯუკი ტახი მოეკლა. მელეაგრემ ამ სახიფათო ნადირობისათვის საბერძნეთის მრავალი გმირი შეჰყარა. ნადირობაში მონაწილეობდნენ სა-

რტიდან ჩამოსული კასტორი და პოლიდევკე, ათენიდან — თეზევსი, ფერედან — ჰეფე ადმეტე, იოლკოსიდან — იასონი, თებედან — იოლაოსი, თესალიიდან — პეირითოე, ფთიიდან — პელევსი, კუნძულ სალამინიდან — ტელამონი და მრავალი სხვა გმირი. არკადიიდან ჩამოვიდა ყველაზე უფრო ფეხმარდ ირემზე სწრაფი ატლანტა. ეს ქალი მთებში იყო გაზრდილი. მისმა მამამ ბრძანა დაბადებისთანავე მთებში წაეყვანათ იგი, რადგან ასული არ უნდოდა. იქ, ხეობაში, ატლანტას ძუძუ აწოვა ძუ დათვმა. ქალი მონადირეთა შორის გაიზარდა. როგორც მონადირე, ატლანტა თვით არტემიდეს უტოლდებოდა.

ცხრა დღე გაატარეს შეკრებილმა მონადირეებმა სტუმართმოყვარე ოინევსთან. ბოლოს ტახზე სანადიროდ წავიდნენ. მახლობელი მთები შეძრა ძაღლების უთვალავ ხროვათა ყეფამ. ძაღლებმა წამოაგდეს და გააშმაგეს უზარმაზარი ტახი. აი, ქარიშხალივით მოჰქრის დევნილი ტახი. მისცვივდნენ მონადირეები. ყველა ცდილობდა თავისი შუბით განეგმირა ნადირი, მაგრამ ძნელი იყო ამ საარაკო ტახთან ბრძოლა, არა ერთმა დიდმა მონადირემ იწვნია მისი საშინელი ეშვების ძალა. ტახმა ეშვებით სასიკვდილოდ დაჭრა უშიშარი მონადირე არკადიელი ანკეოსი, როცა ორპირი წათი მოიქნია და ნადირის მოკვლა მოინდომა. მაშინ ატლანტამ მოზიდა თავისი ძლავრი მშვილდი და წვეტიანი ისარი სტყორცნა ტახს. ამ დროს მოუსწრო მელეაგრემაც. შუბის ძალუმი დაკვრით მოკლა უზარმაზარი ტახი. დასრულდა ნადირობა, ყველას ახარებდა წარმატება.

მაგრამ ვის ერგოს ნადავლი? მრავალი გმირი მონაწილეობდა ნადირობაში; მრავალმა დაჭრა ნადირი ბასრი შუბით. ატყდა დავა საჩუქრისათვის. ხოლო არტემიდემ, განრისხებულმა იმით, რომ მელეაგრემ მისი ტახი მოკლა, განხეთქილება კიდევ უფრო გააღვივა.

ბოლოს ამ განხეთქილებამ გამოიწვია ომი კალიდონში მცხოვრებ ეტოლიელებსა და მეზობელი ქალაქის პლევრონის მცხოვრებ კურეტებს შორის. ვიდრე ძლევამოსილი გმირი მელეაგრე ეტოლიელთა რიგებში იბრძოდა — გამარჯვებაც მათ მხარეზე იყო.

ბრძოლაში მელეაგრემ შემთხვევით მოკლა თავისი დედის ალთეას ძმა. დაღონებულიყო ალთეა, როცა საყვარელი ძმის სიკვდილის ამბავი შეიტყო, ხოლო როცა გაიგო, რომ მისი ძმა დაეცა მისი შვილის მელეაგრეს ხელით რისხვით აენთო.

შვილზე განრისხებული ალთეა ქვესკნელის მბრძანებელ ჰადესსა და მის ცოლს პერსეფონეს შეევედრა, მკაცრად დაესაჯათ მელეაგრე. გაოგნებული მოუხმობდა შურისმაძიებელ ერინიებს, შეესმინათ მისი ვედრება. განრისხდა მელეაგრეც როცა შეიტყო, რომ მისი დედა ღმერთებს მის დაღუპვას სთხოვდა

და ბრძოლის ველი მიატოვა. იჯდა დაღვრემილი თავისი ცოლის, მშვენიერი კლეოპატრეს სამყოფელში, თავი ძირს დაეხარა და ხელებში ჩაერგო. როგორც კი მელეაგრე გამოაკლდა ეტოლიელთა რიგებს, გამარჯვებამაც პირი იბრუნა და კურეტების მხარეს გადავიდა. კურეტებმა ალყა შემოარტყეს მდიდარ კალიდონს. ამაოდ ეცდებოდნენ კალიდონელი ბერიკაცები მელეაგრეს, დაბრუნებულიყო ბრძოლის ველზე, ჩამდგარიყო თავისი ჯარის რიგებში. დიდ საჩუქრებს ჰპირდებოდნენ. გმირმა არ ისმინა მათი ხვეწნა. თვით მელეაგრეს მოხუცი მამა ოინეესი მივიდა მელეაგრეს ცოლის კლეოპატრეს მოსასვენებელში. დაკეტილ კარზე აკაკუნებდა და შვილს შესთხოვდა, წყენის დავიწყებას, რადგან მისი მშობლიური ქალაქი კალიდონი იღუპებოდა. არც მას უსმინა მელეაგრემ. სთხოვა მისმა დამაც, დედამაც, საყვარელმა მეგობრებმაც, მაგრამ მელეაგრე შეუპოვარი იყო. ამასობაში კურეტები კალიდონის კედლებს დაეპატრონენ. უკვე ცეცხლს უკიდებდნენ ქალაქის სახლებს, რომ ყველაფერი ფერფლად ექციათ. ბოლოს შეირყა იმ სახლის კედლებიც, რომელშიაც მელეაგრე იმყოფებოდა. მაშინ მელეაგრეს ახალგაზრდა ცოლი ქმრის ფერხთით დაემხო და შეევედრა:

— ნუ დაღუპავ მშობლიურ ქალაქს; იფიქრე იმ ბოროტსა და საავალალო ხვედრზე, რაც მოელის ქალაქსაც და დამარცხებულთაც; იფიქრე, რომ გამარჯვებულნი მონად გაყიდიან შენ ცოლ-შვილს; ნუთუ გინდა, რომ მე ასეთი ხვედრი მერგოს? — ეუბნებოდა კლეოპატრე. ძლევამოსილმა მელეაგრემ შეისმინა ცოლის მუდარა. დაუყოვნებლივ ჩაიცვა მოელვარე აბჯარი, შემოირტყა ხმალი, აიღო თავისი უზარმაზარი ფარი და შუბი. მელეაგრე ბრძოლის ქარცეცხლში გადაეშვა, უკუაგდო კურეტები და იხსნა მშობლიური კალიდონი. მაგრამ დაღუპვა ელოდა თვით მელეაგრესაც. მიწისქვეშეთის ღმერთებმა ისმინეს ალთეას ვედრება და წყევლა. მელეაგრე ბრძოლაში დაეცა, შორსმტყორცნელმა აპოლონმა განგმირა იგი ოქროს ისრით და მელეაგრეს სული აჩრდილთა ნაღვლიან სამეფოში ჩავიდა.

კვიპარისი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

კუნძულ კეოსზე, კართაიას ხეობაში, ნიმფებისადმი მიძღვნილი ირემი ბინადრობდა. მშვენიერი სანახავი იყო ეს ირემი. ქორბუდა რქები ოქროთი ჰქონდა მოვარაყებული, ყელს მარგალიტის მძივები უმკობდა, ყურებზე კი ძვირფასი სამკაულები ეკიდა. ირემმა სრულიად დაივიწყა ადამიანების შიში. სახლებში შედიოდა და კისერს უწვდიდა ყველას, ვინც მის მოფერებას მოისურ-

ვებდა. ყველას უყვარდა ეს ირემი, მაგრამ ყველაზე მეტად შეუყვარდა იგი კეოსის მეფის ახალგაზრდა ვაჟს კვიპაროსს. კვიპაროსი ირემს ველზე დაატარებდა, ცვრიან ბალახს აძოვებდა, მოჩუხჩუხე ნაკადულთან მიჰყავდა. ძალუმ რქებს სურნელოვან ყვავილთა გვირგვინებით უმკობდა. ხშირად ანცობდა, ირემს ეთამაშებოდა, ზურგზე შეახტებოდა და სიცილით დაატარებდა კართაიის აყვავებულ ველზე.

ზაფხულის ცხელი შუადღე იდგა. პაპანება სიცხეში სუნთქვა ჭირდა. ირემმა თავი ჩრდილს შეაფარა და ბუჩქებში ჩაწვა. შემთხვევით იმ ადგილას, სადაც ირემი იწვა, კვიპაროსი ნადირობდა. ვერ იცნო ირემი, რადგან ფოთლები ფარავდნენ, შუბი ესროლა და სასიკვდილოდ განგმირა. ელდა ეცა ახალგაზრდა კვიპაროსს, როცა ნახა, რომ თავისი საყვარელი ნადირი მოუკლავს. დარდით გათანგულმა მასთან ერთად სიკვდილი ისურვა. ამაოდ ამშვიდებდა აპოლონი მეფისწულს. კვიპაროსის დარდი უსაშველო იყო. ვერცხლისმშვილდა აპოლონ-ღმერთს სთხოვა, მარადიული დარდი მომივლინეო. უსმინა აპოლონმა. ყმაწვილი ხედ იქცა. ხუჭუჭი თმა მუქ მწვანე წიწვად ექცა, ტანი ქერქმა დაუფარა. აპოლონის წინ საროს ტანის კვიპაროსი აღიმართა. ისარივით ადიოდა მისი კენწერო ცისკენ. მძიმედ ამოიოხრა აპოლონმა:

— მუდამ ვიდარდებ შენზე, მშვენიერო ყმაწვილო, შენც იდარდებ სხვის სადარდებელს. იყავი მუდამ ასე სევდიანი!

მას შემდეგ იმ სახლის კარებთან, სადაც მიცვალებული ესვენა, ბერძნები კვიპაროსის ტოტს ჰკიდებდნენ, მისი წიწვით ამშვენებდნენ კოცონს, რომელზედაც მიცვალებულის გვამს წვავდნენ, და საფლავზეც კვიპაროსს რგავდნენ.

ორფევსი და ევრიდიკე

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

ორფევსი მიწისქვეშა სამეფოში

დიდი მომღერალი ორფევსი, მდინარის ღმერთ ეაგრესა და მუზა კალიოპეს შვილი, შორეულ თრაკიაში ცხოვრობდა. ორფევსის ცოლი იყო მშვენიერი ნიმფა ევრიდიკე. მხურვალედ უყვარდა მეუღლე მომღერალ ორფევსს. მაგრამ დიდხანს არ დამტკბარა ბედნიერი ცხოვრებით საყვარელ ცოლთან. ერთხელ, ქორწილის შემდეგ, მშვენიერი ევრიდიკე თავის ცელქ მეგობარ ნიმფებთან ერთად მწვანე ხეობაში გაზაფხულის ყვავილებს აგროვებდა. ევრიდიკემ ხშირ

ბალახში ვერ შენიშნა შხამიანი გველი და ფეხი დაადგა. გველმა ორფევსის ახალგაზრდა ცოლს ფეხში უკბინა. ხმამაღლა შეჰყვირა ევრიდიკემ და შეშფოთებული მეგობარ ნიმფების ხელებზე დაესვენა. ფერი დაკარგა, თვალები დახუჭა. გველის შხამმა გაწყვიტა მისი სიცოცხლის ძაფი. თავზარი დაეცათ ევრიდიკეს მეგობრებს და შორს გაისმა მათი გულსაკლავი ტირილი. ორფევსმაც გაიგონა ეს ხმა, აჩქარებით მიირბინა ხეობაში და ნახა ასე ნაზად საყვარელი მეუღლის გაცივებული გვამი. სასოწარკვეთილებამ მოიცვა ორფევსი. არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ განუზომელ უბედურებას. დიდხანს დასტიროდა თავის ევრიდიკეს, ტიროდა მთელი ბუნებაც, მისი ნაღვლიანი კითარის ხმა რომ ესმოდა.

ბოლოს ორფევსმა გადაწყვიტა მიცვალებულთა სამეფოში ჩასვლა, ჰადესსა და მის მეუღლე პერსეფონეს შევევედრები, იქნებ ცოლი დამიბრუნონო. ორფევსი წმინდა მდინარის სტიქსის ნაპირებისაკენ ტენარეს პირქუში ნაპრალიდან დაეშვა.

დგას ორფევსი სტიქსის ნაპირას: როგორ გადავიდეს მეორე მხარეს იქით, სადაც ქვესკნელის მბრძანებლის ჰადესის დაბინდული სამეფოა? ორფევსის გარშემო მიცვალებულთა აჩრდილები ირევიან. ძლივს ისმის მათი შემოდგომის დაცვენილი ფოთლების ჩუმი ხმის მსგავსი კვნესა. აი, მოისმა შორიდან ნიჩბის ხმაურიც. ეს მიცვალებულთა სულების გადამყვანის, ქარონის ნავი ახლოვდება. ქარონი ნაპირს მოადგა. ორფევსი სთხოვს გადაიყვანოს მეორე ნაპირზე მიცვალებულთა სულებთან ერთად, მაგრამ სასტიკმა ქარონმა უარი უთხრა. სთხოვს, ევედრება ორფევსი, მაგრამ ერთი და იგივე პასუხი ესმის ქარონისაგან: „არა!"

მაშინ ორფევსმა გამოჰკრა თითები თავის ოქროს კითარას და ფართო ტალღებად დაირხა მრუმე სტიქსის ტალღებსა და სანაპიროზე სიმთა საამო ხმა. ორფევსმა თავისი მუსიკით მოაჯადოვა ქარონი. უსმენს ორფევსს, ნიჩაბზე დაყრდნობილი. მუსიკის ხმაზე ორფევსი ნავზე ავიდა, ქარონმა ნიჩბით მოაცილა ნაპირს ნავი და გაჰყვა სტიქსის ტალღებს. ასე გადაიყვანა ქარონმა ორფევსი. გადმოვიდა მომღერალი ნავიდან და კითარის დაკვრით მივიდა მიცვალებულთა აჩრდილების მეუფე ჰადესის ტახტთან, კითარის ხმაზე მოზღვავებული სულებით გარემოცული.

ორფევსი უკრავს კითარას და თან უახლოვდება ჰადესის ტახტს, თავი დახარა ღმერთის წინაშე. კიდევ უფრო მძლავრად გამოჰკრა სიმებს და თან დაამღერა. მღეროდა თავის სიყვარულზე და იმაზე, რაოდენ ბედნიერი იყო ევრიდიკესთან ერთად სიყვარულის გაზაფხულზე. მაგრამ სწრაფად გაიქროლეს

ბედნიერების ნათელმა დღეებმა. დაიღუპა ევრიდიკე. თავის მწუხარებაზე, დაკარგულ სიყვარულზე, მეგობრის დაკარგვით გამოწვეულ კაეშანზე მღეროდა ორფევსი. ჰადესის მთელი სამეფო აპყრობდა ყურს ორფევსს, ყველას ხიბლავდა მისი სიმღერა. თავდახრილი უსმენდა მგოსანს ჰადესი. ქმრის მხარზე თავით მინდობილი უსმენდა ქალღმერთი პერსეფონეც. მწუხარების ცრემლები ციმციმით თრთოდნენ მის წამწამებზე. სიმღერის ხმებით მოხიბლულმა ტანტალემ დაივიწყა თავისი უსაშველო შიმშილი და წყურვილი. სიზიფემ შეწყვიტა თავისი მძიმე, უნაყოფო შრომა, დაჯდა იმ ქვაზე, რომელსაც მთის მწვერვალისაკენ მიაგორებდა, და ღრმა ფიქრებს მიეცა. სიმღერით მოჯადოებული დანაიდები შედგნენ, დაივიწყეს თავიანთი უძირო ქვევრი. უმკაცრესმა სამთავიანმა ქალღმერთმა ჰეკატემ სახეზე ხელები მიიფარა, რომ ცრემლები არავის შეენიშნა. ცრემლი კიაფობდა თვით უწყალო ერინიების თვალებზე, რომელთაც დარდი არ იციან, მათი გულიც კი სიბრალულით აატოკა თავისი სიმღერით ორფევსმა. მაგრამ აი, სულ უფრო წყნარად გაისმის ოქროს კითარის სიმთა ჟღერა, სულ უფრო წყნარად გაისმის ორფევსის სიმღერა და ჩაკვდა ბოლოს, ოდნავ გასაგონ გმინვასთან ერთად.

ღრმა დუმილმა დაისადგურა მიწისქვეშეთში. ეს დუმილი ღმერთმა ჰადესმა დაარღვია და ორფევსს ჰკითხა, რისთვის მოსულხარ ჩემს სამეფოში, რა სათხოვარი გაქვსო. ღმერთების დაურღვეველი ფიცი — სტიქსის წყლები დაიფიცა, რომ შეასრულებდა საკვირველი მომღერლის სათხოვარს. ორფევსმა მიუგო:

— ო, ყოვლისშემძლე მბრძანებელო ჰადეს, ყველა მოკვდავს რომ იღებ შენს სამეფოში, როცა ჩვენი მიწიერი ცხოვრება სრულდება. იმისათვის არ მოვსულვარ, რომ ვუცქირო იმ საშინელებებს, რომელთაც აუვსიათ შენი სამეფო, არც იმისათვის, რომ ჰერაკლესავით შენი სამეფოს გუშაგი — სამთავიანი კერბერი წავიყვანო. სათხოვნელად მოვედი და შენს ფერხთით დამბობილი ვითხოვ წყალობას: გამატანე დედამიწაზე ჩემი ევრიდიკე. დაუბრუნე სიცოცხლე. ხომ ხედავ, როგორ ვიტანჯები მისი დამკარგავი! დაფიქრდი, მბრძანებელო, შენთვის რომ წაერთმიათ შენი მეუღლე პერსეფონე, შენც ხომ დაიტანჯებოდი! სამუდამოდ ხომ არ უშვებ! ისევ დაბრუნდება შენს სამეფოში. ხანმოკლეა ჩვენი სიცოცხლე, მეუფეო ჰადეს. ო, აჩუქე ევრიდიკეს სიცოცხლე, დატკბეს ერთხანს კიდევ ამ ცხოვრებით, აკი ჯერ სრულიად ახალგაზრდა ჩამოვიდა შენს სამეფოში!

დაფიქრდა ღმერთი ჰადესი და ბოლოს უპასუხა:

— კარგი, ორფევს! დაგიბრუნებ ევრიდიკეს. წაიყვანე, იცოცხლოს, მზის

ნათელს შეჰხაროდეს. მაგრამ ერთი პირობა უნდა შეასრულო: წინ უნდა გაუძღვე, უკან ევრიდიკე მოგყვება. ვიდრე მიწისქვეშა გზას გაივლი, უკან არ უნდა მოიხედო. გახსოვდეს! მოიხედავ და მაშინვე მიგატოვებს ევრიდიკე, სამუდამოდ დაბრუნდება ჩემს სამეფოში.

ყველაფერზე თანახმა იყო ორფევსი. ჩქარობს, მალე უნდა მიატოვოს ქვესკნელის სამეფო. ფიქრივით სწრაფმა ჰერმესმა მოიყვანა ევრიდიკეს აჩრდილი. აღტაცებული შესცქერის ორფევსი. უნდა მოეხვიოს აჩრდილს, მაგრამ ღმერთმა ჰერმესმა შეაჩერა და უთხრა:

— ორფევს, შენ ხომ მხოლოდ აჩრდილს ეხვევი. ჩქარა წავიდეთ. მძიმე გზა გვიძევს წინ.

წავიდნენ. წინ ჰერმესი მიდიოდა, უკან ორფევსი მიჰყვებოდა, ბოლოს კი ევრიდიკეს აჩრდილი მისდევდათ. სწრაფად დატოვეს ჰადესის სამეფო. ქარონმა სტიქსზე ნავით გადაიყვანა. აი, დედამიწის ზედაპირზე ამავალი ბილიკიც. გზა მძიმეა. ბილიკი აღმა მიჰყვება ფრიალო კლდეს და ერთიანად ქვებითაა ჩახერგილი. ირგვლივ უკუნეთი ღამეა. ძლივს მოსჩანს წინ მიმავალი ჰერმესი. მაგრამ წინ, სადღაც შორს, შუქმა გაიკიაფა. ეს ამოსასვლელია. აი, თითქოს ოდნავ ინათა. ორფევსი რომ შემობრუნებულიყო დაინახავდა ევრიდიკეს. მაგრამ მოჰყვება თუ არა უკან? ხომ არ დარჩა დაბლა. სადმე მიცვალებულთა ბნელ სამეფოში? იქნებ, ჩამორჩა, გზა ხომ ასე მძიმეა და სახიფათო! თუ ჩამორჩა, საშუდამოდ უნდა იხეტიალოს ქვესკნელის წყვდიადში. ორფევსი ნაბიჯს ანელებს, ყურს უგდებს. ხმა არ ისმის და განა შეიძლება ისმოდეს ლანდის ფეხის ხმა? სულ უფრო ძლიერ მოიცავს ორფევსს ევრიდიკეს დარდი, გული არ უსვენებს. სულ უფრო ხშირად ჩერდება. სულ უფრო ინათა. ახლა გარკვევით შეიძლება ცოლის აჩრდილის დანახვა. ბოლოს ორფევსმა ყველაფერი დაივიწყა. შეჩერდა და შემობრუნდა. თითქმის გვერდით მიჰყვებოდა ევრიდიკეს აჩრდილი ხელი გაუწოდა, მაგრამ ლანდმა გაიწია, გაიწია და წყვდიადში ჩაიძირა. გაშრა, გაქვავდა ორფევსი, იდგა ასე სასოწარკვეთილი. ევრიდიკეს მეორედ სიკვდილი ნახა, და ამჯერად ამ სიკვდილის მიზეზი თვითონ იყო.

დიდხანს იდგა ორფევსი. თითქოს სიცოცხლემ ზურგი აქცია. თითქოს ქანდაკება დგას და არა ცოცხალი ადამიანი. ბოლოს შეირხა, გადადგა ჯერ ერთი, მერე მეორე ნაბიჯი, უკან წავიდა, პირქუში სტიქსის ნაპირისაკენ. გადაწყვიტა ხელახლა ჰადესთან მისვლა, ხელახლა უნდა ეთხოვა ევრიდიკეს დაბრუნება. მაგრამ მოხუცმა ქარონმა აღარ გაიყვანა მდინარეზე თავისი დაჩვრეტილი ნავით, ამაოდ ეევდრებოდა მომღერალი, ვეღარ მოულბო გული ვედრებით უწყალო ქარონს, შვიდი დღე და შვიდი ღამე იჯდა ბედშავი

ორფევსი სტიქსის ნაპირზე, მდუღარე ცრემლს აფრქვევდა, დაივიწყა ჭამასმა, უველაფერი დაივიწყა, მიცვალებულთა სულების პირქუშ სამეფოს ღმერთების სისასტიკეზე ჩიოდა. მხოლოდ მერვე დღეს გადაწყვიტა ქვესკნელის მიტოვება და თრაკიაში დაბრუნება.

ორფევსის სიკვდილი

ოთხი წელი გავიდა ევრიდიკეს სიკვდილიდან, მაგრამ ორფევსი უწინდებურად მისი ერთგული დარჩა. თრაკიის არც ერთ ქალზე არ სურდა დაქორწინება. ერთხელ, ადრე გაზაფხულზე, როცა ხეებზე პირველი კვირტები იშლებოდნენ, დიდი მომღერალი ერთ დაბალ გორაკზე იჯდა. ფერხთით ოქროს კითარა ეგდო. მომღერალმა ასწია, გამოჰკრა თითები და წყნარად დაამღერა. მთელი ბუნება ტკბებოდა მისი სიმღერით. ისეთი ძალა ყღერდა ორფევსის სიმღერაში, ისე იპყრობდა გულებს და იზიდავდა მომღერლისაკენ, რომ მის გარშემო მონუსხულივით მოზღვავდა უთვალავი ნადირი. ტყეებიდან და მთებიდან სასმენად მოდიოდნენ მხეცნი, მოფრინავდნენ ფრინველები. ხეებიც კი დაიძრნენ ადგილებიდან და ორფევსს შემოეხვივნენ. მუხა და ჭადარი, ტანწერწეტი კვიპაროსები, ნაძვები და ფიჭვები, გუნდ-გუნდად დგებოდნენ და მომღერალს უსმენდნენ. არც ერთი ტოტი, არც ერთი ფოთოლი არ ირხეოდა. მთელი ბუნება მოხიბლული იყო ორფევსის კითარის ყღერითა და მისი მფლობელის საკვირველი სიმღერით. უეცრად შორიდან მოისმა ხმამაღალი შეძახილები, ბობღანთა ხმაური და სიცილ-კისკისი. ეს კიკონელი ქალები იხდიდნენ დიონისეს აურზაურიან, მხიარულ დღესასწაულს. სულ უფრო ახლოვდებიან ბაკხუსის მსახური ქალები. აი დაინახეს ორფევსი, და ერთ-ერთმა ხმამაღლა შესძახა:

— აგერ ისიც, ქალთა მოძულე!

ქალმა მოიქნია ტირსი და ორფევსს ესროლა. მაგრამ ტირსს სურო ეხვია და მან დაიცვა მომღერალი. მეორე ქალმა ქვა ისროლა, მაგრამ ქვას სძლია მომაჯადოებელმა სიმღერამ და ორფევსის ფეხებთან ისე დაეცა, თითქოს პატიებას ითხოვსო. სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა დიონისეს მსახურ ქალთა ხმაური, ძახილი, სიმღერა, ბობღანთა ქუხილი, ბაკხუსის დღესასწაულის ხმაურმა დაფარა მომღერლის ხმა. ორფევსს მოზეიმე ქალები შემოეხვივნენ, მტაცებელ ფრინველთა გუნდივით დაატყდნენ თავს, სეტყვასავით დაუშინეს ტირსები და ქვები. ამაოდ ეხვეწება მომღერალი შემიბრალეთო. ვისაც ქვები და ხეები უსმენდნენ, მის წინაშე დაყრუვდნენ გამძვინვარებული ქალები. სისხლით მოსვრილი ორფევსი დედამიწაზე დაეცა, გაფრინდა მისი სული, ხოლო გამძვინვარე-

ბაკხელი ქალები ჰკლავენ ორფევსს (ნახატი ლარნაკზე).

ბულმა ქალებმა გასისხლიანებული ხელებით დაგლიჯეს მომღერლის სხეული. ორფევსის თავი და მისი კითარა ჰებროსის სწრაფ მდინარეს მისცეს. ო, საოცრებავ! — კითარის სიმები მდინარის ტალღებში წყნარად ჟღერდნენ, თითქოს მომღერლის დაღუპვას გლოვობენო, ნაპირი კი ნაღვლიან გამოძახილს ეუბნება. მთელი ბუნებაც ოქროს სიმებს ეხმიანება, დასტირის დაღუპულ მომღერალს: ტირიან ყვავილები და ხეები, მხეცები და ფრინველები, და თვით კლდეები ტირიან, მდინარეები ადიდებულან მათი დაღვრილი ცრემლებისაგან. ნიმფებმა და დრიადებმა გლოვის ნიშნად თმები ჩამოიშალეს და ძაძებით შეიმოსნენ. სულ უფრო და უფრო შორს მიჰქონდა მდინარეს ორფევსის თავი და კითარა, გაშლილ ზღვაში ჩაიტანეს, ზღვის ტალღებმა კი ლესბოსის ნაპირებზე გარიყეს. მას შემდეგ ჟღერენ ლესბოსზე საკვირველი სიმღერები. ორფევსის ოქროს კითარა კი ღმერთებმა ცაში ლირის თანავარსკვლავედში მოათავსეს.

ორფევსის სული აჩრდილთა სამეფოში გაფრინდა და ისევ იხილა ის ადგილები, სადაც ევრიდიკეს ეძებდა. ისევ შეხვდა დიდი მგოსანი ევრიდიკეს აჩრდილს და სიყვარულით ჩაიკრა გულში. ამ წუთიდან კი შეეძლოთ განუყრელად ერთად ყოფილიყვნენ. დაეხეტებიან ორფევსის და ევრიდიკეს ლანდები დაბინდულ ველებზე, ასფოდელებით რომ დაფარულან. ახლა ორფევსს ნება აქვს უშიშრად შემობრუნდეს და გაიგოს, მოჰყვება თუ არა უკან ევრიდიკე.

იაკინთე

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

სპარტის ახალგაზრდა მეფე მშვენიერი, წარმტაცი სილამაზით თვით ოლიმპოს ღმერთების ტოლი იაკინთე, ისართამტყორცნელ აპოლონ-ღმერთის მეგობარი იყო. აპოლონი ხშირად ჩადიოდა ევროტასის ნაპირებზე და დროს თავის მეგობართან ატარებდა: მთის ფერდობებზე ხშირ ტყეებში ნადირობდა ან ვარჯიშით ერთობოდა, ტანვარჯიშში დახელოვნებულ სპარტანელებთან ერთად.

ერთხელ, როცა ცხელი შუადღე ახლოვდებოდა, აპოლონი და იაკინთე მძიმე ბადროს ტყორცნაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სულ უფრო და უფრო მაღლა ადიოდა ცაში ბრინჯაოს ბადრო. აი, მთელი ძალღონე დაძაბა ძალუმმა ღმერთმა აპოლონმა და სტყორცნა. შორს, ღრუბლებამდე ავარდა ბადრო, ვარსკვლავის მსგავსად აციმციმდა და ისევ დედამიწაზე დაეცა. იაკინთემ — იმ ადგილზე მიირბინა, სადაც ბადრო უნდა დავარდნილიყო. უნდოდა მაშინვე აეღო და ესროლა, რათა დაემტკიცებინა აპოლონისათვის, რომ ახალგაზრდა მძლეოსანი ბადროს ტყორცნის ხელოვნებაში ოლიმპოს ღმერთს არ ჩამორჩება. ბადრო მიწაზე დაეცა, განზე გადავარდა და საშინელი ძალით თავში მოხვდა იაკინთეს, რომელმაც ის იყო მიირბინა იმ ადგილზე. ახალგაზრდა მეფემ დაიკვნესა და ძირს დაეცა, ჭრილობიდან ნაკადად მოსკდა ალისფერი სისხლი და მშვენიერ ჭაბუკს შავი კულულები წითლად შეეღება.

მიირბინა შეშინებულმა აპოლონმა, თავისი მეგობრის გვამზე დაიხარა, ასწია, გასისხლიანებული თავი მუხლებზე დაიდო და ცდილობდა ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლის შეჩერებას. ფერი მისდის იაკინთეს, მუდამ ასე ნათელ თვალებში სიკვდილის ბინდი ჩასდგომია, უძლურად ეშვება დაბლა დაჭრილი თავი, მცხუნვარე მზეში დამჭკნარი მინდვრის ყვავილის გვირგვინის მსგავსად.

— შენ კვდები, ჩემო მეგობარო! — შეჰყვირა სასოწარკვეთილმა აპოლონმა. — ო, ვაი, ვაი! ჩემი ხელით დაიღუპე! რისთვის ვტყორცნე ბადრო! ო, რომ შემეძლოს გამოვისყიდო დანაშაული და შენთან ერთად ჩავიდე აჩრდილთა პირქუშ სამეფოში! რატომ ვარ უკვდავი, რატომ არ შემიძლია გამოგყვე!

აპოლონს მომაკვდავი მეგობარისათვის ხელები შემოუხვევია და ცრემლს აფრქვევს იაკინთეს გასისხლიანებულ თავს. გაცივდა იაკინთე, გაფრინდა მისი სული ჰადესის სამეფოში. დგას მიცვალებულის სხეულთან აპოლონი და წყნარად ჩურჩულებს:

— მარად იცოცხლებ ჩემს გულში, მშვენიერო იაკინთე. მარად ცოცხლობდეს შენი ხსოვნა ადამიანთა შორისაც.

თქვა ეს თუ არა აპოლონმა, იაკინთეს სისხლიდან წამოიზარდა ალისფერი სურნელოვანი ყვავილი — იაკინთი — სუმბული, მის ფურცელაკებზე აპოლონის დარდი და კვნესაა აღბეჭდილი. იაკინთეს ხსოვნა ადამიანთა შორის ცოცხლობს, ისინი პატივს სცემენ მის ხსოვნას იაკინთებად წოდებულ დღესასწაულებზე.

პოლიფემე, აკიდი და გალატეა

მშვენიერ ნერეიდა გალატეს მხურვალედ შეუყვარდა სიმეფიდას ვაჟი, ახალგაზრდა აკიდი. აკიდსაც უყვარდა ნერეიდა. მაგრამ მარტო აკიდს როდი ხიბლავდა გალატე. უზარმაზარმა კიკლოპმა პოლიფემემ სადღაც თვალი მოჰკრა მშვენიერ გალატეს, როცა სიტურფით მოციმციმე ოკეანიდა ლაჟვარდისფერ ტალღებში ამოცურდა, და მისი გული შმაგი სიყვარულით აენთო. ო, რა განუზომელია შენი ძლიერება, ოქროს აფროდიტეე! თვით მრისხანე კიკლოპს, მიახლოვებას რომ ვერავინ უბედავდა, დაუსჯელს რომ არავის უშვებდა, ოლიმპოს ღმერთების მოძულე კიკლოპსაც კი ჩაუნერგე სიყვარული! ტრფობის ცეცხლით იწვის პოლიფემე. დაივიწყა თავისი ცხვრები და გამოქვაბული. ველურმა კიკლოპმა თავის სიკოხტავეზე ზრუნვაც კი დაიწყო. ბანჯგვლიან თმას წერაქვით ივარცხნიდა, ხოლო აბურძგნილ წვერს ნამგლით იკვეცდა. ნაკლებ სისხლისმსმელიც კი გახდა.

სწორედ ამ დროს მიცურდა სიცილიის სანაპიროზე წინასწარმეტყველი ტელემოსი და პოლიფემეს უწინასწარმეტყველა, რომ:

— ერთადერთ თვალს, შუბლზე რომ გაქვს, ოდისევსი ამოგთხრისო.

ტლანქად გაეცინა პოლიფემს და მისანს უპასუხა:

— მისანთა შორის ყველაზე უფრო სულელო, შენ შეგეშალა. ჩემს თვალს უკვე სხვა დაეუფლა.

შორს ზღვაში შეპრილი კლდოვანი ბორცვი დამრეცად ეშვებოდა ხმაურიანი ტალღებისაკენ. პოლიფემე ხშირად აბალახებდა თავის ჯოგს ამ ბორცვზე. დაჯდებოდა ხოლმე აქ, ფერხთით დაიდებდა გემის ანძის ოდენა კომბალს, აიღებდა ასი ლერწმისაგან გაკეთებულ სალამურს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩაჰბერავდა. პოლიფემეს სალამურის ველური ხმები ზღვასა და ხმელეთს, მთებსა და ხეობებს ეფინებოდა. ეს ხმა ესმოდა აკიდსა და გალატესაც, ხშირად რომ ჩამოსხდებოდნენ ხოლმე გრილ გამოქვაბულში, ბორცვის ახლოს. ერთხელ პოლიფემე სალამურს უკრავდა და თან მღეროდა. უეცრად გაცოფებული ხარი-

ვით წამოიჭრა. გამოქვაბულში მჯდარი გალატე და აკიდი შენიშნა და ისე დაიქუხა, რომ ეტნამ მისცა გამოძახილი:

— გხედავთ! კარგით, ეს იქნება თქვენი უკანასკნელი შეხვედრა!

გალატეს შეეშინდა და მაშინვე ზღვაში გადაეშვა. მშობლიურმა ზღვის ტალღებმა დაიფარეს პოლიფემეს რისხვისაგან. შეძრწუნებული აკიდი კი ცდილობს გაქცევით უშველოს თავს. ხელებს ზღვისაკენ იშვერს და ამბობს:

— ო, დამეხმარე გალატე! მშობლებო, დამეხმარეთ, მიხსენით! — კიკლოპი დაეწია კიდეც აკიდს, მთიდან მთელი კლდე მოგლიჯა და გამეტებით სტყორცნა. მხოლოდ კლდის კიდე მოხვდა უბედურ ჭაბუკს, ამითაც მთლიანად დაფარა და გასრისა. ნაკადად მოსკდა კლდის ნაპრალიდან ალისფერი სისხლი. თანდათან ქრება სისხლის მეწამური ფერი, სულ უფრო და უფრო თეთრდება ნაკადი. აი, უკვე მღვრიე ღვართქაფში ფერშეცვლილ მდინარესა ჰგავს. სულ უფრო თეთრი და გამქვირვალე ხდება. უეცრად გაიპო კლდე, რომელმაც აკიდი გასრისა. ნაპრალში მოშრიალე ლერწამი ამწვანდა და სწრაფი, გამქვირვალე ნაკადი მოსჩქეფს კლდიდან. წყალში გამოჩნდა წელამდე დაფარული მოცისფრო სახისა და თავზე ლერწმის გვირგვინიანი ჭაბუკი.

ეს იყო მდინარის ღმერთად ქცეული აკიდი.

ᲓᲘᲝᲡᲙᲣᲠᲘᲔᲑᲘ. ᲙᲐᲡᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲓᲔᲕᲙᲔ

სპარტის მეფეს ტინდარეოსს ცოლად ჰყავდა ეტოლიის მეფის თესტიოსის ასული მშვენიერი ლედა. მთელს საბერძნეთში განითქვა სახელი ლედამ თავისი სიტურფით. ლედა ზევსის ცოლი გახდა და ეყოლა ორი შვილი: ქალღმერთივით ლამაზი ელენე და დიდი გმირი პოლიდევკე. ტინდარესაგანაც ორი შვილი შეეძინა: ქალი კლიტემნესტრა და ვაჟი კასტორი.

პოლიდევკემ თავისი მამისაგან უკვდავება მიიღო, მისი ძმა კასტორი კი მოკვდავი იყო. ორივე ძმა საბერძნეთის დიდი გმირები გახდნენ. ვერავინ აღემატებოდა კასტორს ეტლის მართვის ხელოვნებაში, სრულიად მოუთვინიერებელ ცხენებს ათვინიერებდა იგი. პოლიდევკე კი ხელჩართული ბრძოლის შეუდარებელი ოსტატი იყო. ვერავინ უსწორებდა მხარს ამ საქმეში. საბერძნეთის გმირთა მრავალ საგმირო საქმეში იღებდნენ მონაწილეობას ძმები დიოსკურები: ყოველთვის ერთად იყვნენ, უგულითადესი მეგობრობა აკავშირებდა კასტორსა და პოლიდევკეს.

დიოსკურებს ორი ბიძაშვილი ჰყავდათ ლინკევსი და იდასი — მესენეს მეფის აფარეევსის შვილები. უძლეველი მორკინალი გამოდგა იდასი. მისი ძმა

ლინკევსი კი ისეთი მახვილი თვალის პატრონი იყო, რომ მიწის წიაღში იპვრიტებოდა. მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინეს დიოსკურებმა თავიანთი ბიძაშვილების მხარდამხარ. ერთხელ არკადიაზე გაბედული თავდასხმა მოაწყვეს და პირუტყვის დიდი ჯოგი გაიტაცეს, ნადავლი ერთმანეთში უნდა გაეყოთ. ჯოგის გაყოფა იდასმა ითავა. იდასმა გადაწყვიტა ძმასთან ერთად მთელს ჯოგს დაპატრონებოდა და მზაკვრობას მიმართა. ხარი ოთხ თანასწორ ნაწილად დაჭრა, ერთი ნაწილი თავისთვის გადასდო, მეორე ძმას არგუნა, ორი დანარჩენი ნაწილი — დიოსკურებს, და ჯოგის ნახევარს მას შეჰპირდა, ვინც თავის ნაწილს სხვაზე ადრე შეჰამდა, მეორე ნახევარს კი მას, ვინც ჭამაში მეორე ადგილს დაიჭერდა. სწრაფად გაუსწორდა იდასი თავის წილს და მერე ძმას დაეხმარა მისი არჩევის შეჭმაში. ასეთი ხერხით მოინდომეს ძმებმა ნადავლის დასაკუთრება.

საშინლად განრისხდნენ კასტორი და პოლიდევკე, როცა ნახეს, რომ იდასმა ისინი მოატყუა, და გადაწყვიტეს სამაგიერო გადაეხადათ ბიძაშვილებისათვის, რომლებთანაც აქამდე ურღვევი მეგობრობა აკავშირებდათ. დიოსკურები მესენიაში შეიჭრნენ და არა მარტო არკადიიდან გატაცებული ჯოგი გაირეკეს, არამედ იდასის და ლინკევსის ჯოგის ნაწილიც გააყოლეს. არც ამით დაკმაყოფილდნენ კასტორი და პოლიდევკე, ბიძაშვილების ცოლებიც გაიტაცეს.

დიოსკურებმა იცოდნენ, რომ იდასი და ლინკევსი ამას არ პატიებდნენ, დიდი ხის ფუღურაში დაიმალნენ და დაუწყეს ლოდინი, როდის დაიწყებდნენ დევნას იდასი და ლინკევსი. დიოსკურებს უნდოდათ მოულოდნელად დასხმოდნენ თავს ძმებს, რადგან ერიდებოდნენ პირისპირ შებმას ძალუმ იდასთან, რომელმაც ერთხელ თვით აპოლონს გაუბედა შერკინება, როცა ვერცხლისმშვილდა ღმერთი მშვენიერ მარპესას ეცილებოდა. მაგრამ სად დაეძალებოდნენ დიოსკურები ლინკევსის ფხიზელ თვალს! მაღალი ტაიგეტიდან შენიშნა ხის ფუღურაში დამალული ძმები. იდასი და ლინკევსი მოულოდნელად დაესხნენ თავს დიოსკურებს. ვიდრე ძმები თავშესაფრიდან გამოსვლას მოასწრებდნენ, იდასმა ხეს შუბი დაჰკრა და კასტორი სასიკვდილოდ განგმირა. ახლა ორივეს მარტო პოლიდევკე დაესხა თავს. ველარ გაუძლეს აფარეიდებმა და ზურგი უჩვენეს. პოლიდევკე მათ მამის საფლავთან დაეწია. ლინკევსი მოკლა, ხოლო იდასს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება. მაგრამ ზევსმა ეს ორთაბრძოლა შეაჩერა, მოციმციმე ელვა სტყორცნა და იდასიცა და ლინკევსის გვამიც ფერფლად აქცია.

პოლიდევკე იქ დაბრუნდა, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი კასტორი ესვენა. მწარედ დასტიროდა დაღუპულ ძმას. სიკვდილმა გათიშა ძმები. მაშინ პოლი-

დევკე თავის მამა ზევსს შეეეედრა, ძმასთან ერთად მეც მომკალიო. მეხთამტყორცნელი გამოეცხადა შვილს და არჩევანი მისცა: ან მარად ჭაბუკმა იცხოვრე ნათელი ოლიმპოს ღმერთთა კრებულში, ან ძმასთან ერთად ერთი დღე ჰადესის კუშტ სამეფოში გაატარე, ხოლო მეორე დღე — ნათელ ოლიმპოზე. პოლიდევკემ არ ინდომა ძმასთან განშორება და საზიარო ხვედრი ირჩია. მას შემდეგ ძმები ერთი დღე ჰადესის პირქუშ სამეფოს უღიმღამო ველებზე დაეხეტებიან, მეორე დღეს კი ეგიდისმპყრობელი ზევსის სასახლეში ატარებენ. ბერძნები პატივსა სცემენ ძმებს დიოსკურებს, როგორც ღმერთებს. ძმებიც მფარველობას უწევენ და ეხმარებიან ადამიანებს ყველა უბედურებაში, იცავენ გზაში, ზღვასა და ხმელეთზე, სამშობლოსა თუ უცხოეთში.

ატრევსი და თიესტე

ატრევსი და თიესტე დიდი გმირის პელოპის ვაჟიშვილები იყვნენ. ოდესღაც პელოპი დაწყევლა მეფე ოინომაოსის მეეტლე მირტილემ, რომელიც მან ვერაგულად მოკლა, და თავისი წყევლით სამუდამოდ დასაღუპავად გასწირა მთელი მისი მოდგმა, — მძიმე დანაშაულობათა ჩადენა დააწყევლა მის შთამომავლობას. მირტილეს წყევლამ უწია პელოპის შვილებსაც — ატრევსსა და თიესტეს. მრავალი დანაშაული ჩაიდინეს მათ. ამ ძმებმა დაღუპეს ქრისიპე, ნიმფა აქსიონესა და მათი მამის პელოპის შვილი. ეს მკვლელობა ატრევსსა და თიესტეს დედამ, პელოპის ცოლმა ჰიპოდამიამ ჩააგონა. ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ ძმები გაერიდნენ მამის რისხვას, გაიქცნენ სამეფოდან და თავი შეაფარეს პერსევსის შვილს მიკენის მეფე სფენელაოსს, რომელსაც ცოლად ჰყავდა მათი და ნიკიპე. ხოლო როდესაც სფენელაოსი მიიცვალა და იოლაოსის მიერ ტყვექმნილი მისი შვილი ევრისთევსი ჰერაკლეს დედამ ალკმენემ თავის ხელით მოკლა, მიკენის მეფე გახდა ატრევსი, რადგანაც ევრისთევსს პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია. თიესტეს შეშურდა ძმისა და განიზრახა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელთ ეგდო ტახტი და ძალაუფლება. ატრევსის ცოლის აეროპეს დახმარებით ძმას მოსტაცა ღმერთ ჰერმესის ნაჩუქარი ოქროსსაწმისიანი ვერძი. თიესტემ ვერძი იმიტომ მოიტაცა, რომ ღმერთებს ნაბრძანები ჰქონდათ: „მიკენის მეფე ის იქნება, ვისაც ოქროსსაწმისიანი ვერძი ეყოლებაო“. ვერძი რომ მოიტაცა, თიესტემ სამეფო ძალაუფლებაც მოითხოვა, რადგან ვერძი მის ხელში იყო! განრისხდა მეხთამტეხი ზევსი, ციური ნიშნებით აგრძნობინა მიკენელებს, რომ თიესტე უწმინდური გზით ცდილობს ძალაუფლების მიტა-

ცებას. მიკენის მოქალაქეებმა უარი თქვეს თიესტეს მეფედ ცნობაზე და ტახტის მაძიებელი, ძმის რისხვის შიშით, იძულებული გახდა მიკენიდან გაქცეულიყო. ატრეესისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით, თიესტემ მიკენიდან ფარულად წაიყვანა მისი შვილი პოლისთენე. თიესტემ უცხო მხარეში აღზარდა პოლისთენე ღვიძლი შვილივით და ატრეესისადმი უსაზღვრო სიძულვილი ჩაუნერგა. ვერაგ თიესტეს უნდოდა პოლისთენეს გამოყენება თავისი ძმის წინააღმდეგ. როდესაც პოლისთენე წამოიზარდა, იგი თიესტემ მიკენში გაგზავნა და ატრეესის მოკვლა დაავალა. მაგრამ ჭაბუკი თვითონ დაეცა მამის ხელით. თავზარი დაეცა ატრეესს, როცა გაიგო, ვინც იყო მისი ხელით მოკლული ჭაბუკი. დაიფიცა ძმისთვის სამაგიერო გადაეხადა და მზაკვრული გეგმა შეადგინა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ატრეესმა ისე მოაჩვენა ძმას თავი, თითქოს მზადაა შეურიგდეს, შუაკაცი გაუგზავნა და მიკენს დაბრუნება სთხოვა. მიკენში დაბრუნებულმა თიესტემ ისევ განაგრძო მზაკვრული ქსელის გაბმა ძმის გარშემო მისივე ცოლის აეროპეს შემწეობითა და თანადგომით. სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეკლა ძმა. ეს კარგად იცოდა ატრეესმა და მის გულში კიდევ უფრო ღვივდებოდა საშინელი შურისძიების სურვილი. ატრეესმა საიდუმლოდ შეაპყრობინა თიესტეს მცირეწლოვანი შვილები პოლისფენე და ტანტალე და მოაკვლევინა ისინი, ხოლო ბავშვების ხორცისაგან თავის ძმას საზარელი კერძები მოუმზადა.

ამის შემდეგ თიესტე ნადიმზე მოიწვია და საკუთარი შვილების ხორცისაგან დამზადებული საჭმელი წინ დაუდგა. ზევსის მეხმა იჭექა ცაში. განრისხდა მეხთამტეხი ატრეესზე და მის ბოროტმოქმედებაზე. შეაკრთო საშინელმა საქმემ სხივთამთოველი მზის ღმერთი ჰელიოსიც, ეტლი შემოაბრუნა და ფრთოსანი ცხენები უკანვე, აღმოსავლეთისაკენ გარეკა, რომ არ ენახა, როგორ შეექცეოდა მამა საკუთარი შვილების ხორცს. თისტე კი არხეინად მიუჯდა სუფრას და გულდამშვიდებული მიირთმევდა საჭმელს, არაფრის ეშვი არა ჰქონდა. გაძღა. უეცრად დიდი უბედურების ბუნდოვანი წინათგრძნობა დაეუფლა და ატრეესს ჰკითხა, ჩემი შვილები სად არიანო. ატრეესმა მსახურთ უხმო და უბრძანა შვილების თავები მოერთმიათ. თიესტემ ნახა, რომ მისი ორივე შვილი დაიღუპა და მწარედ ატირდა. ხვეწნა დაუწყო ატრეესს, დასამარხავად მაინც მიეცა შვილთა გვამები. მაგრამ ატრეესმა უპასუხა, შვილები უკვე დამარხე, ოღონდ მიწაში კი არა, თვით შენსავე წიაღშიო. ელდანაკრავმა თიესტემ იგრძნო, რა საჭმელსაც შეექცეოდა წუთის წინ. მაგიდას ფეხი ჰკრა და გოდებით დაეცა იატაკზე. შემდეგ საშინელი უბედურებისაგან გონებადაკარგული ზეზე წამოიჭრა, დასწყევლა ატრეესი და მთელი მისი მოდგმა და სასახლიდან გავარდა. არაფერი ახსოვ-

და, არაფერს ხედავდა, მიკენიდან გაიქცა და თავი უდაბნოს შეაფარა. დიდხანს დაეხეტებოდა იქ, ბოლოს ეპირის მეფეს თესპროტს ესტუმრა და მასთან ნახა თავშესაფარი.

განრისხდნენ ღმერთები ატრევსზე მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებებისათვის. სასჯელის ნიშნად არგოლიდას მოუსავლიანობა დაატეხეს. არაფერი არ მოდიოდა პოხიერ მინდვრებზე. შიმშილი გამეფდა ატრევსის სამფლობელოებში. ათასობით მცხოვრები იღუპებოდა. ატრევსმა უბედურების მიზეზის გასაგებად ორაკულს მიმართა. ორაკულმა უპასუხა, უბედურებას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც თიესტე მიკენში დაბრუნდებაო. დიდხანს დაეძებდა ატრევსი თავის ძმას მთელს საბერძნეთში, მაგრამ ვერსად იპოვნა. ბოლოს ნახა მისი მცირეწლოვანი შვილი ეგისთე. ატრევსმა ეგისთე თავის სასახლეში მოიყვანა და შვილივით გაზარდა.

გავიდა მრავალი წელი. შემთხვევით ატრევსის შვილებმა მენელაოსმა და აგამემნონმა მიაკვლიეს თიესტეს თავშესაფარს, მოახერხეს მისი შეპყრობა და მიკენში ჩამოყვანა. ატრევსი არ შეურიგდა ძმას. დილეგში ჩააგდო და მისი მოკვლა განიზრახა. მოიხმო ეგისთე, მისცა ბასრი მახვილი, დილეგში ჩასვლა და ტყვის მოკვლა უბრძანა. ეგისთემ არ იცოდა, რა საშინელ საქმეზე გზავნიდა ატრევსი, რომელსაც თავის მამად თვლიდა. როგორც კი ეგისთე დილეგში ჩავიდა, თიესტემ მაშინვე იცნო თავისი შვილი, გაანდო ვინც იყო და მამა-შვილმა იქვე, საპყრობილეში გეგმა შეადგინეს, თუ როგორ დაღუპათ ატრევსი. ეგისთე სასახლეში დაბრუნდა და ატრევსს უთხრა, რომ მისი ბრძანება შეასრულა. გაუხარდა ატრევსს, რომ ბოლოს და ბოლოს დაღუპა ძმა. ზღვის ნაპირზე გავიდა ოლიმპოს ღმერთებისათვის მსხვერპლის შესაწირად. სწორედ აქ, მსხვერპლის შეწირვის დროს, ეგისთემ სასიკვდილოდ განგმირა ატრევსი, ზურგში ჩასცა ის მახვილი, მან რომ მისცა მამის მოსაკლავად. ეგისთემ თიესტე საპყრობილედან გაათავისუფლა. თიესტე და მისი შვილი გახდნენ მიკენის მბრძანებელნი. ატრევსის შვილებმა, მენელაოსმა და აგამემნონმა თავს გაქცევით უშველეს. თავშესაფარი სპარტის მეფე ტინდარესთან იპოვეს. იქ ითხოვეს ტინდარეს ქალიშვილები — მენელაოსმა ქალღმერთ აფროდიტესავით მშვენიერი ელენე, აგამემნონმა კი — კლიტემნესტრა. გავიდა ხანი. აგამემონნი მიკენში დაბრუნდა, მოკლა თიესტე და გამეფდა იქ, სადაც ოდესღაც მისი მამა მეფობდა. მენელაოსი კი ტინდარეს სიკვდილის შემდეგ სპარტის მეფე გახდა.

ესაკი და ჰესპერია

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

ესაკი იყო ტროას მეფის პრიამეს შვილი, დიდი გმირის ჰექტორის ძმა. იგი ტყიანი იდის მთის ფერდობზე შვა მდინარის ღმერთ გრანიკეს ასულმა მშვენიერმა ნიმფა ალექსიოემ. მთებში გაზრდილ ესაკს არ უყვარდა ქალაქი და გაურბოდა მამის სასახლეში ფუფუნებით ცხოვრებას. მთებში განმარტოება, ქოჩორა ტყეების ჩრდილი და გაშლილი ველები უყვარდა.

იშვიათად გამოჩნდებოდა ესაკი ტროელთა საბჭოზე და ქალაქ ტროაში. განმარტოებული ცხოვრების მიუხედავად ესაკი არ იყო ველური და ტლანქი. თავაზიან მეფისწულს კეთილი გული ჰქონდა და არც სიყვარულის გრძნობა იყო მისთვის უცხო. პრიამეს ახალგაზრდა შვილი ხშირად ხვდებოდა ტყეებში მშვენიერ ნიმფა ჰესპერიას. სიყვარულით აენთო ჭაბუკის გული. მაგრამ როგორც კი ესაკს დაინახავდა, ნიმფა მაშინვე იმალებოდა.

ერთხელ ესაკი მომხიბლავ ჰესპერიას მდინარე კებრენის ნაპირზე წაადგა თავს, როცა ის ხშირ თმას მზეზე იშრობდა. ნიმფამ ჭაბუკი დაინახა, შეეშინდა და გაიქცა. ესაკი დაედევნა.

უეცრად ნიმფას ბალახში მიმალულმა გველმა უკბინა. შხამი ჭრილობაში დარჩა. დასრულდა სიცოცხლე და მასთან სირბილიც. ჰესპერია ესაკის ხელებზე დაესვენა, ვაჟი მოეხვია მკვდარ ნიმფას და დარდით გონებადაკარგულმა შესძახა:

— ო, ვაი, ვაი! როგორ შემძაგდა ახლა ეს დევნა! არ მეგონა, თუ ასე ძვირად დამიჯდებოდა გამარჯვება! ჩვენ ორმა მოგკალით, ჰესპერია! მომაკვდინებელი ჭრილობა ასპიტმა მოგაყენა, მიზეზი კი მე ვიყავი. გველზე უფრო ვერაგი ვიქნები, თუ შენს სიკვდილს ჩემი სიკვდილით არ გამოვისყიდი!

ამ სიტყვებზე ესაკი მაღალი კლდის ბექობიდან გადაეშვა მღელვარე ზღვის ტალღებში, გაშმაგებით რომ ეხლეჩოდნენ ნაპირს. თეტიდამ შეიბრალა უბედური ჭაბუკი, ალერსით მიიღო და როცა წყლის სიღრმეში ჩაეშვა, ერთიანად ბუმბულით შემოსა. არ ეღირსა პრიამეს შვილს სიკვდილი, რომელსაც ასე ეძებდა. უკვე ფრინველად ქცეულმა ზედაპირზე ამოცურა. ესაკი აღშფოთებულია, რომ თავისი ნების წინააღმდეგ უნდა იცოცხლოს. ახლახან გამოსხმული ფრთებით აფრინდა მაღლა ჰაერში და გამეტებით დაეშვა ტალღებზე, მაგრამ ფრთები იცავენ. ისევ და ისევ ვარდება ზღვაში ესაკი, სიკვდილი უნდა იპოვნოს ტალღებში, უნდა დაიღუპოს. არ იღუპება! მხოლოდ ჩაყვინთავს ტალღებში და ისევ ამოყვინთავს. გახდა, დაწვრილდა, კისერი დაუგრძელდა და ყურყუმელა ფრინველად იქცა.

ნაწილი მეორე



ძირითადად მოთხრობილია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტების“ მიხედვით

ფრიქსე და ჰელე

ბ ეოტიაში, უძველეს მინეოსის ორქომენში მეფობდა ქარების ღმერთის ეოლოსის შვილი ათამანტი. მეფეს ღრუბელთა ქალღმერთ ნეფელესაგან ჰყავდა ორი შვილი — ვაჟი ფრიქსე და ასული ჰელე. ათამანტემ ნეფელეს უღალატა და შეირთო კადმოსის ასული ინო. მან შეიძულა ქმრის პირველი ცოლის შვილები და მათი დაღუპვა განიზრახა. ინომ დაითანხმა ოქრომენელი ქალები გაეხმოთ დასათესად გამზადებული თესლი. ოქრომენელებმა გამხმარი თესლი დათესეს და მათს მუდამ ნოყიერ ყანებში მოსავალი არ მოვიდა. ორქომენელებს შიმშილი ელოდათ. ათამანტემ გადაწყვიტა ელჩების გაგზავნა დელფოში, რათა ისართმტყორცნელი აპოლონის ორაკულისათვის ეკითხათ ყანების უნაყოფობის მიზეზი. ცბიერმა ინომ ელჩები მოისყიდა და მათ დელფოდან ორაკულის ასეთი პასუხი ჩამოიტანეს:

— მისანმა პითიამ გვითხრა, — მოახსენეს მოსყიდულმა ელჩებმა ათამანტეს. — ღმერთებს მსხვერპლად შესწირე შენი შვილი ფრიქსე და ყანები ისევ მოგცემენ ნაყოფსო.

იმ დიდ უბედურებისათვის თავის დასაღწევად ორქომენს რომ ელოდა, ათამანტემ გადაწყვიტა საყვარელი შვილის გაწირვა. ინო ზეიმობდა: მისი განზრახვა — დაეღუპა ფრიქსე ხორცს ისხამდა.

ყველაფერი მზად იყო მსხვერპლშეწირვისათვის. ახალგაზრდა ფრიქსე ქურუმს დანით უნდა მოეკლა, მაგრამ ანაზდად შვილების გადასარჩენად ქალღმერთ ნეფელეს მიერ მოვლენილი, ღმერთ ჰერმესის ნაჩუქარი, ოქროსსაწმისიანი ვერძი მოფრინდა. მყისვე შეაჯდა ზურგზე ფრიქსე, გვერდით მოისვა თავისი და ჰელე, ვერძი ჰაერში აფრინდა და შორეული ჩრდილოეთისაკენ გაეშურა.

ფრიქსე და ჰელე ოქროსსაწმისიან ვერძზე, მარცხნივ მათი დედა ქალღმერთი ნეფელე (ნახატი ლარნაკზე).

სწრაფად მიჰქროდა ვერძი. ძირს გადაშლილიყვნენ ველ-მინდვრები და ტყეები, ვერცხლისფრად ციმციმებდნენ მდინარეები. ვერძი მთებსა და ღრუბლებს შორის მინავარდობს. აგერ ზღვაც. ვერძი უკვე ზღვის ზემოთ მიფრინავს. შიშმა მოიცვა ჰელე, ველარ მაგრდება ვერძის ზურგზე. აგერ, გადავარდა კიდეც და დაიღუპა მარად მღელვარე ტალღებში. ვერ იხსნა იგი ფრიქსემ. ათამანტეს ასული დაიღუპა. მას შემდეგ იმ ზღვას, რომელმაც ჰელე შთანთქა, ჰელესპონტი ეწოდა (ჰელეს ზღვა, ახლანდელი დარდანელის სრუტე).

სულ უფრო და უფრო შორს მიაქროლებს ვერძი ფრიქსეს და ბოლოს იგი ფასისის სანაპიროებთან შორეულ კოლხეთში დაეშვა, სადაც იმ დროს მეფობდა მზის ღმერთის ჰელიოსის შვილი, ჯადოქარი აიეტი. მეფემ გაზარდა ფრიქსე, ხოლო როცა დავაჟკაცდა, ცოლად შერთო თავისი ასული ქალკიოპე. ოქროს ვერძი, რომელმაც ფრიქსე იხსნა, მსხვერპლად შესწირეს დიდ ღრუბელთამფანტავ ზევსს. ვერძის ოქროს საწმისი კი აიეტმა ომის ღმერთის არესის წმინდა ჭალაში დაჰკიდა და მცველად მიუჩინა საშინელი, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი, რომელიც თვალებს არასდროს არ ხუჭავდა.

ოქროს საწმისის ამბავი მთელ საბერძნეთს მოეფინა. ფრიქსეს მამის ათამანტეს შთამომავლებმა იცოდნენ, რომ მათი ხსნა და გვარის ბედნიერება ამ ოქროს საწმისზე იყო დამოკიდებული და, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მისი მოტაცება გადაწყვიტეს.

იასონის დაბადება და აღზრდა

თესალიაში, ლურჯი ზღვის ყურესთან, მეფე ათამანტეს ძმამ კრეთევსმა დააარსა ქალაქი იოლკოსი. გაიზარდა, დამშვენდა ქალაქი იოლკოსი. ნაყოფიერმა ველებმა, ვაჭრობამ და ზღვაოსნობამ უმდიდრეს ქალაქად აქციეს იგი. კრეთევსის სიკვდილის შემდეგ იოლკოსის მმართველი გახდა მისი შვილი ესონი. მაგრამ დედით ძმამ, პოსეიდონის შვილმა პელიასმა, ძალაუფლება წაართვა და ესონს უბრალო მოქალაქესავით უხდებოდა ცხოვრება.

მალე ესონს შეეძინა მშვენიერი ვაჟი. ეშინოდა მამას, რომ ზვიადი და სასტიკი პელიასი შვილს მოუკლავდა, რადგანაც კანონით სწორედ ახალშობილს ეკუთვნოდა იოლკოსის ტახტი, და ყრმის გადამალვა განიზრახა. დაბადებისთანავე მომიკვდაო შვილი, განაცხადა და მეფური ქელეხიც გამართა. ნამდვილად კი შვილი პელიონის მთებში კენტავრთა შორის უბრძნესს ქირონს მიჰგვარა. ყმაწვილი ტყეში გამოქვაბულში იზრდებოდა. მას დიდი მზრუნველობით ზრდიდნენ ქირონი, მისი დედა ფილირა და ცოლი ქარიკლო. ბრძენმა ქირონმა ყმაწვილს იასონი დაარქვა. რა არ ასწავლა: მახვილისა და შუბის ხმარება, მშვილდოსნობა, მუსიკა და ყველაფერი, რაც თვით იცოდა. იასონს ტოლი არა ჰყავდა მამაცობაში, ღონესა და სიმკვირცხლეში, ხოლო სილამაზით ზეცის მკვიდრი ვეგონებოდათ.

იასონი ოც წლამდე ქირონთან ცხოვრობდა. ბოლოს, პელიონის განმარტოებული ფერდობების მიტოვება, იოლკოსში ჩასვლა და პელიასის მიერ მიტაცებული ტახტის დაბრუნება გადაწყვიტა.

იასონი იოლკოსში

პინდარეს ლექსების მიხედვით (პითიური ოდა)

იოლკოსში ჩასული იასონი პირდაპირ ხალხის თავშესაყარ მოედანზე გაეშურა. გაკვირვებული შეჰყურებდნენ მცხოვრებნი მშვენიერ ჭაბუკს. ფიქრობდნენ ან აპოლონია. იგი, ან ჰერმესიო — ისე მშვენიერი იყო ყმაწვილი. იოლკო-

სის სხვა მცხოვრებლებივით როდი ეცვა: მხრებზე ავაზის ჭრელი ტყავი მოესხა და მხოლოდ მარჯვენა ფეხზე ემოსა სანდალი. ხშირი და მშვენიერი თმა მხრებზე სცემდა, ახალგაზრდა ღმერთის მსგავსად ერთიანად ძალითა და სილამაზით გამოირჩეოდა. ორ შუბზე დაყრდნობილი მშვიდად იდგა ხალხის წინაშე, მას რომ შეჰხაროდა.

ამ დროს მოედანზე მეფური ეტლით პელიასი მობრძანდა. ჭაბუკს შეხედა და შეკრთა, რადგან შეამჩნია, რომ მას მხოლოდ ცალ ფეხზე ეცვა ფეხსაცმელი. ოდესღაც ორაკულმა უწინასწარმეტყველა: დაღუპვა მოგელისო იმ კაცის ხელით, რომელიც იოლკოსში მთებიდან მოგევლინება და მხოლოდ ცალი ფეხი ექნება შემოსილიო. ამ კაცს — ესონის შვილს, ძალით ან ცბიერებით უნდა დაეღუპა პელიასი, და ეს დაღუპვა გარდუვალი იყო.

მეფემ თავისი შიში დაფარა და უცნობ ჭაბუკს ამაყად ჰკითხა:

— საიდან ხარ და ვისი გვარისა, ჭაბუკო, რომელ ტომს ეკუთვნი? იცოდე სიმართლე მითხარი, თავი არ შეირცხვინო სიცრუით, რადგან საძაგელი სიცრუის დიდი მტერი ვარ.

იასონმა მშვიდად მიუგო პელიასს:

— ბრძენმა ქირონმა მხოლოდ სიმართლე და პატიოსნება ჩამინერგა და მუდამ მისი დარიგებების ერთგული დავრჩები. მთელი ოცი წელი ქირონის გამოქვაბულში გავატარე და ერთხელაც არ მიღალატია ჭეშმარიტებისათვის. არასდროს არაფერი დამიშავებია. ახლა შინ მშობლიურ იოლკოსში, მამაჩემ ესონთან დავბრუნდი. მინდა მოვითხოვო იოლკოსის ტახტი დამიბრუნონ. როგორც მითხრეს, მუხანათ პელიასს წაურთმევია მამაჩემისათვის, წამიყვანეთ ჩემი დიდი წინაპრების სახლში. უცხო ტომისა როდი ვარ, აქ დავიბადე, იოლკოსში. იასონი ვარ, ესონის შვილი.

იოლკოსის მცხოვრებლებმა იასონს ესონის სახლი უჩვენეს. ესონმა მაშინვე იცნო სახლში შემოსული შვილი, სიხარულის ცრემლები მოადგა თვალებზე ესონს, ზეიმობდა, რომ ასეთ მშვენიერსა და ძალუმ შვილს ხედავდა.

სწრაფად მიუვიდათ იასონის დაბრუნების ამბავი ესონის ძმებს: ფერეს მეფე ფერეტსა და ამითაონ მესენიელს. მალე ჩამოვიდნენ ისინი ესონთან თავიანთი შვილების ადმეტესა და მელამპოსის თანხლებით. ხუთი დღე და ღამე სცემდნენ პატივს ნადიმით ესონი და იასონი ძვირფას სტუმრებს. საუბარში იასონმა გაანდო მათ თავისი გეგმა იოლკოსის ტახტის დაბრუნებისა. მათ მოუწონეს განზრახვა და მასთან ერთად წავიდნენ მეფე პელიასთან. იასონმა პელიასს ძალაუფლების დაბრუნება მოსთხოვა, სამაგიეროდ კი მთელი იმ სიმდიდრის

დატოვებას დაჰპირდა, რომელიც პელიასმა ესონს წაართვა. პელიასს უარის თქმისა შეეშინდა.

— კარგი, თანახმა ვარ, — მიუგო ჭაბუკს. — მხოლოდ ერთ პირობას გიყენებ: ჯერ უნდა მოიგო მიწისქვეშეთის ღმერთების გული, რადგან შორეულ კოლხეთში გარდაცვლილი ფრიქსეს აჩრდილი ითხოვს ოქროს საწმისის უკან დაბრუნებას. ეს სიზმარში მითხრა ფრიქსეს აჩრდილმა. დელფოში თვით ისართამტყორცნელმა აპოლონმა მიბრძანა კოლხეთში წასვლა. მაგრამ მე მოვხუცდი და აღარ შემწევს ღონე, რომ ეს საგმირო საქმე ვითავო. შენ კი ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ხარ, შეგიძლია შეასრულო ეს დავალება, როდესაც ჩამოხვალ იოლკოსის ტახტს დაგიბრუნებ. — უთხრა პელიასმა იასონს, ღვარძლი კი გულში ჩაიმარხა. დარწმუნებული იყო, რომ იასონი დაიღუპებოდა, თუ ოქროს საწმისის მოსატაცებლად კოლხეთში გაემგზავრებოდა.

იასონი აგროვებს თანამგზავრებს და კოლხეთში საღაშქროდ ემზადება

პელიასთან მოლაპარაკების შემდეგ, იასონი დაუყოვნებლივ შეუდგა მზადებას კოლხეთში სალაშქროდ. მოიარა საბერძნეთის ყველა ქვეყანა. მოუხმობდა სახელგანთქმულ გმირებს კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად სალაშქროდ. ლაშქრობაში მონაწილეობაზე თვით საბერძნეთის უდიდესი გმირი ზევსის შვილი ჰერაკლე დათანხმდა. გმირები იოლკოსში შეიკრიბნენ. ვინ არ იყო აქ: ათენის სიამაყე, ძლევამოსილი თეზევსი; ზევსის და ლედას შვილები — კასტორი და პოლიდევკე თავიანთი მეგობრების იდასისა და ლინკევსის თანხლებით; ფრთოსანი გმირები — ძეტე და კალაისი, ბორეასის და ორითიას შვილები; კალიდონელი მელეაგრე; ძლევამოსილი ანკეოსი, ადმეტე, ტელამონი და მრავალი სხვ. გმირებს შორის იყო მომღერალი ორფევსიც. ჯერ არასოდეს არ ენახა საბერძნეთს გმირთა ასეთი საკრებულო. ძალუმნი, ღმერთებივით მშვენიერნი, იოლკოსის მცხოვრებთა აღფრთოვანებულ მზერას იზიდავდნენ. რა დაბრკოლება შეაფერხებდა ამ კრებულს, რა შეაშინებდა ასეთ გმირებს?

გმირებისათვის ხომალდიც მზად იყო. ეს ხომალდი არესტორის შვილმა არგოოსმა ააგო. მშენებელს თვით ქალღმერთი ათენა ეხმარებოდა. კიჩოს დოდონის ზევსის ჭალიდან მოტანილი წმინდა მუხის ნაჭერი ჩაატანეს. მშვენიერი რამ იყო „არგოდ“ წოდებული ეს ათნიჩბიანი ხომალდი. მსუბუქი და სწრაფი, თოლიასავით დანავარდობდა ტალღებზე. გემის სახელწოდების მიხედვით, ლაშქრობაში მონაწილე გმირებსაც არგონავტები უწოდეს („არგოს“ მეზღვაურნი).

მარტო ათენა კი არ მფარველობდა არგონავტებს — თვით ჰერა სწყალობდა მათ. ჰერას სძულდა პელიასი, რადგან მეფე მსხვერპლს არ სწირავდა მას. იასონი კი ჰერას განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა. ერთხელ მან ახალგაზრდა გმირის გამოცდა მოინდომა, მთის მდინარის ნაპირას მოხუცი ქალის სახით გამოეცხადა და თვალცრემლიანი შეევედრა, მეორე ნაპირზე გადამიყვანეო. ფრთხილად აიყვანა გმირმა მოხუცი ქალი, მხრებზე აიკიდა და აბობოქრებულ წყალში გაიყვანა. გმირმა მდინარეზე გადასვლის დროს მარცხენა ფეხის სანდალი დაკარგა. მას შემდეგ შეიყვარა ჰერამ იასონი და ყოველნაირად სწყალობდა. არგონავტებს ისართამტყორცნელი აპოლონიც ეხმარებოდა: ეს ლაშქრობა მან ჩააგონა გმირებს და მანვე უწინასწარმეტყველა ბედნიერება და წარმატება.

იოლკოსში თავშეყრილმა გმირებმა წინამძღოლად დიდი ჰერაკლეს არჩევა მოინდომეს, მაგრამ გმირმა უარი თქვა და იასონი დაასახელა. „არგოს“ მესაჭე იყო ტიფისი, გემის ცხვირზე კი დადგა ლინკევსი, რომლის მზერას ვერაფერი გამოეპარებოდა არა მარტო დედამიწაზე, არამედ მიწის წიაღშიც.

ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად. წყალში ჩაშვებული „არგო“ ნელა ირწეოდა. გემზე უხვად აზიდეს სანოვაგე და სასმელი წყალი. უკანასკნელად შესწირეს მსხვერპლი აპოლონსა და სხვა ღმერთებს. ბედნიერი ნიშნები მოჰყვა მსხვერპლის შეწირვას. საღამოს მხიარული ნადიმი გამართეს. დრო იყო გასდგომოდნენ შორეულ, ხიფათით აღსავსე გზას.

ციისკიდურს ალიონის შუქი შეენთო, როცა მესაჭე ტიფისმა არგონავტები გააღვიძა. ხომალდზე ავიდნენ და ნიჩბებს მიუსხდნენ, ყოველ სკამზე ორ-ორი გმირი დაჯდა. მეგობრულად, შეთანხმებით დაწვა ნიჩბებს ძალუმ გმირთა წყვილი ხელები. ამაყად გამოცურა ნავთსადგურიდან „არგომ“ და ღია ზღვაში გავიდა. მეზღვაურებმა ქათქათა იალქნები აუშვეს. ზურგქარმა დაუბერა, იალქნები გაბერა და ხომალდი მსუბუქად გაცურდა ალერსიანად მოლივლივე ტალღებში. აი, თეთრმა რაშებმა სხივოსანი ღმერთის ჰელიოსის ეტლი შუა ცაში აიყვანეს. „არგოს“ იალქანი ვარდისფერმა შუქმა გაანათა და დილის მზის სხივებზე აციმციმდნენ ზღვის ტალღები.

ორფევსმა გამოჰკრა ხელი ოქროს კითარის სიმებს და ზღვის სივრცეში შორს გაისმა მისი ჯადოსნური სიმღერა. გმირები სმენად იქცნენ. ზღვის სიღრმიდან კი თევზები და დელფინები მოცურავდნენ. ორფევსის დაკვრითა და სიმღერით მოხიბლულნი ცურვით მიჰყვებოდნენ „არგოს“, სწრაფად რომ მიარღვევდა ზვირთებს, გეგონებოდათ მწყემსის ტკბილ სალამურს აჰყოლიაო საქონლის ჯოგი.

არგონავტები ლემნოსზე

ხანმოკლე ბედნიერი მგზავრობის შემდეგ არგონავტები კუნძულ ლემონსზე მივიდნენ. ამ აყვავებულ კუნძულს განაგებდა ახალგაზრდა დედოფალი ჰიპსიპილე. არც ერთი მამაკაცი არ იყო ლემნოსზე. ლემნოსელმა ქალებმა თავისი ქმრები ღალატისათვის გაჟლიტეს. სიკვდილს გადაურჩა მხოლოდ ჰიპსიპილეს მამა, მეფე თოანტი, რომელიც ასულმა იხსნა.

როცა არგონავტები ლემნოსს მიადგნენ და ქალაქში მაცნე გაგზავნეს, ქალები სათათბიროდ ქალაქის მოედანზე შეიყარნენ. ახალგაზრდა ჰიპსიპილე ქვეშევრდომებს ურჩევდა, არ შემოეშვათ არგონავტები. დედოფალს ეშინოდა, ვაი თუ გმირებმა შეიტყონ, რა დანაშაულიც ჩაიდინეს ლემნოსელებმა. მაგრამ მოხუცი პოლუქსი დედოფალს შეევედრა და დაჟინებით მოითხოვა ქალაქში არგონავტების შემოშვება.

— ვინ დაგიცავთ, — ეუბნებოდა ქალებს, — როცა ლემნოსს მტერი დაესხმის თავს? ვინ იზრუნებს თქვენთვის, როცა მოხუცდებით, თუ მარტონი დარჩებით? არა, შემოუშვით უცხოელები ქალაქში. დე, იყონ აქ და იცხოვრონ ჩვენს შორის.

ლემნოსელმა ქალებმა მოხუც პოლუქსს დაუჯერეს. არგოსელთა მაცნეს თავიანთი შიკრიკი გააყოლეს და არგონავტებს ქალაქში შემოსვლა სთხოვეს.

იასონმა მოისხა დიდებული მოსასხამი, რომელიც თვით ათენა-პალადამ მოუქსოვა და ქალაქში შევიდა. პატივით მიიღო ჰიპსიპილემ იასონი და წინადადება მისცა, ჩემს სასახლეში დაბინავდიო. სხვა არგონავტებიც შევიდნენ ქალაქში. მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა „არგოზე“ პერაკლესთან ერთად.

მხიარულებამ და სიხარულმა დაისადგურა ლემნოსზე. ყველგან გიზგიზებდა კოცონი, მოჰყავდათ სამსხვერპლო საქონელი ღმერთებისათვის. ნადიმს ნადიმი ცვლიდა, დღეობას დღეობა. ჩანდა გმირებს დაავიწყდათ თავიანთი მოვალეობაცა და ის დიდი გმირობაც, რისთვისაც იყვნენ წამოსული. უდარდელად ნადიმობდნენ მდიდარ ლემნოსზე. ბოლოს, ჰერაკლემ საიდუმლოდ მოიწვია ნაპირზე არგონავტები იქ, სადაც „არგო“ იდგა. გმირთა შორის უდიდესი გმირთაგმირი მრისხანედ საყვედურობდა თანამგზავრებს, რომ სიამოვნებისათვის, მხიარული და უზრუნველი ცხოვრებისათვის დაივიწყეს საგმირო საქმე. იდგნენ შერცხვენილი გმირები და უსიტყვოდ ისმენდნენ დამსახურებულ საყვედურს. გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ლემნოსი. უკვე გაამზადეს გემი, თვითონაც მზად იყვნენ „არგოზე“ ასასვლელად, რომ ნიჩბებს მისხდომოდნენ,

როდესაც ლემნოსელი ქალები მოზღვავდნენ. ეეედრებოდნენ: ნუ მიგვატოვებთ, იცხოვრეთ ჩვენთან, მაგრამ ვერ დაიყოლიეს შეუპოვარი ვაჟკაცები. გულმოკლული ლემნოსელები ცრემლმორეულნი ემშვიდობებოდნენ სტუმრებს. გმირები „არგოზე" ავიდნენ, მიუსხდნენ ნიჩბებს, ძალუმი ხელებით მოუსვეს, აქაფდნენ ტალღები და „არგო" ფრინველივით გადაეცალა უნაპირო ზღვას.

არგონავტები კიზიკოსის კუნძულზე

როცა არგონავტები პროპონტიდაში მიცურავდნენ, გზად კიზიკოსის კუნძულს მიადგნენ. აქ პოსეიდონის შთამომავალი დოლიონები ცხოვრობდნენ. მათ სათავეში ედგათ მეფე კიზიკოსი. იქვე, დათვის მთაზე კი სახლობდნენ ექვსხელიანი ბუმბერაზები. მხოლოდ პოსეიდონის მფარველობის წყალობით შეეძლოთ დოლიონებს ასეთი მეზობლების გვერდით უშიშრად ცხოვრება. კიზიკოსის მეფემ არგონავტები პატივით მიიღო და მთელი დღე მხიარულ ნადიმზე გაატარებინა. არგონავტები ალიონზე გაემზადნენ გზის განსაგრძობად. უკვე „არგოზე" ავიდნენ, რომ უეცრად უბის მეორე ნაპირზე ექვსხელიან ბუმბერაზთა გროვა გამოჩნდა. უზარმაზარი ქვების ტყორცნა დაიწყეს ზღვაში, მთელ კლდეებს გლეჯდნენ და ერთიმეორეზე აჩხორებდნენ, რომ არგონავტებისათვის ზღვაში გასასვლელი ჩაეკეტათ. ჰერაკლემ მყისვე მძიმე მშვილდს სტაცა ხელი და მომაკვდინებელი ისრები ზედიზედ სტყორცნა ბუმბერაზებს. არგონავტებმა ფარი იფარეს, შუბები მოიმარჯვეს და გაბედულად დაესხნენ ბუმბერაზებს. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, არგონავტებმა სასტიკ ბრძოლაში მუსრი გაავლეს მათ, ისე რომ ერთიც არ გადარჩენილა.

გმირები გზას გაუდგნენ. ზურგქარმა დაჰქროლა, იალქანი გაბერა და „არგო" მთელი დღე მშვიდად მიცურავდა გაშლილ ზღვაში. საღამოც დადგა, მზის ღმერთი ჰელიოსი ციდან დასავლეთში ჩაეშვა, ღამე ჩამოაწვა ცასა და მიწას. იცვალა ქარი და „არგოს" იმ ნაპირისაკენ ერეკება, ახლახან რომ მიატოვა. ღამის წყვდიადში არგონავტები კიზიკოსის ნახევარკუნძულს მიადგნენ. კიზიკოსელებმა ვერ იცნეს, ზღვის მეკობრეებად მიიღეს და ახალგაზრდა მეფის მეთაურობით თავს დაესხნენ მათ. საშინელი ბრძოლა გაიმართა ბნელ ღამეში. გმირები თავიანთ გუშინდელ მეგობრებს ეომებიან. ბასრი შუბით გაუგმირა მკერდი იასონმა ახალგაზრდა მეფე კიზიკოსს, კვნესით დაეცა დაბლა ხელმწიფე. მაგრამ აი, განთიადის ქალღმერთ ეოსის სხივებმა ალისფრად შეაფერადეს აღმოსავლეთი. გათენდა, მეომრები ერთიმეორეს ცნობენ და თავზარი ეცემათ. მეგობარი მეგობარს ეომებოდა. სამი დღე გაგრძელდა მიცვალებულთა სულების მოსახსე-

ნებელი ქელეხი, სამი დღე დასტიროდნენ მოკლულ მეფეს. მისმა ცოლმა მშვენიერმა კლიტემ, მეროპეს ასულმა, ვერ აიტანა ქმრის სიკვდილი და ბასრი ძახვილით გული გაიგმირა.

არგონავტები მიზიაში

მცირე ხანს ცურვის შემდეგ არგონავტებმა მიზიის ნაპირებს მიაღწიეს და სანოვაგის და სასმელი წყლის ასაღებად ხმელეთზე გადავიდნენ. მძლეთამძლე ჰერაკლე გატეხილი ნიჩბის მაგიერ ახლის გამოსათლელად მახლობელ ტყეში შევიდა. ერთი მაღალი ფიჭვი ნახა, მძლავრი ხელებით მოეჭიდა და ძირფესვიანად ამოთხარა. ბუმბერაზმა გმირმა მხარზე გაიდო ფიჭვი და გემისკენ წამოიღო. უეცრად სირბილით შემოეგება თავისი მეგობარი პოლიფემე და უთხრა: ეჰ-ესაა მომესმა ახალგაზრდა ჰილასის ხმა, გვეძახდაო. ჰერაკლე ჰილასის საძებნელად გაეშურა, მაგრამ ვერსად იპოვა. დანაღვლიანდა ჰერაკლე. პოლიფემთან ერთად დაეძებს ჰილასს, მაგრამ ამაოდ.

ხოლო არგონავტები, როგორც კი ცაზე ალიონის მაუწყებელი შუქნათელი მთიები ამოვიდა, გზას გაუდგნენ, რადგან დილის ბინდ-ბუნდში ვერც კი შენიშნეს, რომ მათ შორის არ იყვნენ ჰერაკლე და პოლიფემე. შეწუხდნენ არგონავტები, როცა გათენდა და შენიშნეს, რომ ორი სახელოვანი გმირი აკლიათ. მძიმედ თავჩაქინდრული იჯდა იასონი, თითქოს არ ესმოდა თავისი თანამგზავრების ჩივილი, თითქოს ვერ ამჩნევდა პოლიფემესა და ჰერაკლეს დაკარგვას. ჰერაკლეს ერთგული მეგობარი ტელამონი მიუახლოვდა და საყვედურებით აავსო:

— მხოლოდ შენ ერთი ზიხარ ასე დამშვიდებული. ახლა შეგიძლია გაიხარო. ჩვენს შორის აღარ არის ჰერაკლე და ვეღარავინ დაჩრდილავს შენს სახელს. არა, აღარ წამოვალ, თუ არ დაბრუნდებით და არ იპოვნით ჰერაკლესა და პოლიფემს.

ტელამონი მესაჭე ტიფისთან მიიჭრა და უნდოდა საჭე უკან მოებრუნებინა. ამაოდ ამშვიდებდნენ ბორეადები, არავის შეეძლო განრისხებული ტელამონის დაშოშმინება, არავის არ უსმენდა, ყველას ბრალს სდებდა, განზრახ დატოვეთო მიზიაში ჰერაკლე და პოლიფემე. მოულოდნელად ზღვის ტალღებში გამოჩნდა ზღვის ღმერთის გლავკოსის წყალმცენარეებით დაფარული თავი. „არგოს“ ხელი ჩაავლო, შეაჩერა და უთხრა:

— ჰერაკლე და პოლიფემე დიდი მეხთამტყორცნელი ზევსის ნებით დარჩნენ მიზიაში. ჰერაკლე საბერძნეთს უნდა დაბრუნდეს და ევრისთევსის სამსახურში თორმეტი საგმირო საქმე ჩაიდინოს. პოლიფემ კი ხალიბების ქვეყანაში

უნდა დააარსოს სახელვანი ქალაქი კიოსი. მიზიაში კი იმიტომ დარჩნენ, რომ ნიმფების მიერ გატაცებულ მშვენიერ ჰილასს დაეძებენ.

თქვა, თუ არა ეს, გლავკოსი ისევ ჩაიმალა ტალღებში და თვალთაგან დაიკარგა.

გმირები დამშვიდდნენ. ტელამონი იასონს შეურიგდა. ისევ ნიჩბებს მიუსხდნენ და ძალუმი ხელებით მოქნეულმა ნიჩბებმა სწრაფად წაიყვანეს წინ ხომალდი.

არგონავტები ბითვინიაში (ამიკოსი)

მეორე დღეს, დილით არგონავტები ბითვინიის ნაპირს მიადგნენ. აქ ისე სტუმართმოყვარულად არ შეხვედრიან, როგორც კიზიკოსში. ბითვინიის სანაპიროებზე ცხოვრობდნენ მეფე ამიკოსის ქვეშევრდომი ბებრიკები. ბებრიკთა მეფე ამაყობდა თავისი ბუმბერაზული ძალითა და უძლეველი მოკრივის სახელით, რაც საშინელი მუშტის წყალობით ჰქონდა მოპოვებული. მრისხანე მეფე ყველა უცხოელს ორთაბრძოლაში იწვევდა და უწყალოდ კლავდა ძალუმი მუშტის დაკვრით. ამიკოსი დაცინვით შეეგება არგონავტებს, დიდ გმირებს მაწანწალები უწოდა და უძლიერეს მათგანს ბრძოლაში იწვევდა, თუ კი ვინმე გაბედავდა მასთან შებმას. განრისხდნენ გმირები. წინ წამოდგა ზევსისა და ლედას ახალგაზრდა შვილი პოლიდევკე. მშვიდად მიიღო ბებრიკების მეფის გამოწვევა. მრისხანე ტითონის მსგავსად იდგა პოლიდევკეს წინ მეფე ამიკოსი, შავი მოსასხამი ესხა და მხარზე უზარმაზარი კომბალი გაედო. პირქუში მზერით შეათვალიერა პოლიდევკე, ზევსის შვილი კი ვარსკვლავივით ციმციმებდა უზადო მშვენიერებით. მებრძოლები გ-ემზადნენ. ამიკოსმა მუშტის ღვედები ძირს დააგდო. არ შეურჩევია ისე აიღო პოლიდევკემ ღვედი და სპილენძის ბალთებიანად ხელზე დაიხვია *. შერკინება დაიწყო. გაშმაგებული ხარივით ეცა ბებრიკთა მეფე პოლიდევკეს. პოლიდევკე მარდად იგერიებდა მრისხანე დარტყმებს, ერთი ნაბიჯითაც არ იხევდა უკან იერიშზე გადმოსული ამიკოსის წინაშე. ბრძოლა წამით შეწყდა. მებრძოლებმა სული მოითქვეს. ისევ იბრძვიან, ზედიზედ აგემებენ ერთიმეორეს სასტიკ დარტყმებს. აგერ, მოიქნია ამიკოსმა და საშინელი ძალით უნდა დაჰკრას თავში, მაგრამ გადაიხარა ახალგაზრდა გმირი და ისეთი დარტყმა მიაყენა ამიკოსს ყურში, რომ თავის ძვლები ჩაუმ-

* მუშტით ბრძოლის დროს ბერძნები იდაყვამდე იხვევდნენ ხელზე სპილენძის ამობურცულ ბალთებიან ღვედს. ამის გამო დარტყმა ხშირად სასიკვდილო იყო.

სხვრია. სასიკვდილოდ დაკრუნჩხული ამიკოსი დედამიწაზე დაეცა. ხმამაღალი შეძახილებით შეხვდნენ არგონავტები გამარჯვებულ პოლიდევკეს.

როგორც კი ბებრიკებმა ნახეს, რომ მათი მეფე მკვდარია, თავს დაესხნენ პოლიდევკეს და ბრძოლა გაუმართეს. ორნი თვით პოლიდევკემ დასცა, შემდეგ კი არგონავტებმა ხელი იარაღს იტაცეს და ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. ქარიშხალივით ტრიალებდა ბებრიკებში ცულით შეიარაღებული ანკეოსი, ზედიზედ მუსრავდა მოწინააღმდეგეს მოელვარე მახვილით კასტორი. ლომებივით იბრძვიან გმირები. ზურგი უჩვენეს ბებრიკებმა. დიდხანს მისდევდნენ გმირები. მდიდარი ალაფით დატვირთულნი დაბრუნდნენ ნაპირზე. მთელი ღამე ნადიმობდნენ სანაპიროზე და ხმამაღლა გაისმოდა ორფევსის გამარჯვების სიმღერა. ორფევსი ოქროს კითარის ხმაზე ადიდებდა ბებრიკების მეფის მძლეველ ახალგაზრდა გმირ პოლიდევკეს, მეხთამტყორცნელი ზევსის მშვენიერ ვაჟს.

არგონავტები ფინევსთან

მეორე დღეს დილით არგონავტებმა გზა განაგრძეს. მალე მიაღწიეს თრაკიის ნაპირებს. გმირები აქ ისევ ხმელეთზე გადავიდნენ, სანოვაგის შევსება იყო საჭირო. ზღვის პირას სახლი შენიშნეს და იქით მიაშურეს. არგონავტებს ბრმა ბერიკაცი მიეგება. ფეხზე ძლივს იდგა და მთელი თავისი მისუსტებული ტანით ცახცახებდა. კარის ზღურბლამდე რომ მილასლასდა, სისუსტისაგან დაბლა დაეშვა. არგონავტებმა ააყენეს და სიბრალულით აღივსნენ. მოხუცის სიტყვებიდან გაიგეს, რომ იგია აგენორის შვილი ფინევსი, უწინ თრაკიის მბრძანებელი. მაგრამ აპოლონმა დასაჯა, რადგან სარგებლობდა მის მიერ ნაბოძები წინასწარმეტყველების ნიჭით, — ზევსის საიდუმლოებებს მოკვდავთ აუწყებდა ხოლმე. აპოლონმა ფინევსს სიბრმავე მოუვლინა, ხოლო ღმერთებმა გამოუგზავნეს ჰარპიები; რომლებიც მის სახლში მოფრინდებოდნენ ხოლმე, ნთქავდნენ მთელ სანოვაგეს და საშინელი სიმყრალით ავსებდნენ მთელს მიდამოს. ღმერთებმა ფინევსს აუწყეს, ამ საშინელი სასჯელისაგან მხოლოდ მაშინ განთავისუფლდები, როდესაც არგონავტები გესტუმრებიან, მათ შორის ბორეადები ძეტე და კალაისი. ფინევსი გმირებს შეევედრა გაენთავისუფლებინათ იგი ამ უბედურებისაგან. ბორეადებს ეხვეწებოდა, გაერეკათ ჰარპიები: უცხო ხომ არა ვარო თქვენთვისო! მართლაც ფინევსს ბორეადების და კლეოპატრე ჰყავდა ცოლად.

გმირებმა ფინევსს დახმარება აღუთქვეს. უხვი სუფრა გაშალეს, მაგრამ

როგორც კი ფინეესი შიმშილის მოსაკლავად სუფრასთან წამოწვა* მოფრინდნენ ჰარპიები, არგონავტების კიჟინას ყურაღღება არ მიაქციეს, მთელი სანოვაგე შთანთქეს, თანაც მთელი სახლი აუტანელი სიმყრალით აავსეს, და ისევ მიატოვეს ფინეესის სახლი. ბორეადებმა მძლავრი ფრთები შეარხიეს და ჰარპიებს დაედევნენ. დიდხანს მისდევდნენ და ბოლოს პლოტიის კუნძულზე წამოეწიენ. ბორეასის ვაჟებმა ხმლები იშიშვლეს და უკვე აპირებდნენ განეგმირათ ჰარპიები, რომ უეცრად მაღალი ოლიმპოდან ცისარტყელას ფრთებით მოფრინდა ღმერთების შიკრიკი ირიდა, ბორეადები შეაჩერა და შეატყობინა, რომ ღმერთებმა ჰარპიებს უბრძანეს აღარასოდეს მიფრენილიყვნენ ფინეესთან. ბორეადები უკან თრაკიაში დაბრუნდნენ.

იმ დროიდან პლოტიის კლდეებს სტროფადების ანუ „მოქცევის კუნძულებს“ უწოდებდნენ.

როგორც კი ბორეადების დევნილი ჰარპიები გაფრინდნენ, არგონავტებმა ფინეესს ახალი საკმელები მოუმზადეს და ბერიკაცმა მოიკლა საშინელი შიმშილი. სუფრაზე ფინეესმა თავის მხსნელებს შეატყობინა, კიდევ რა საფრთხე ელით კოლხეთს მიმავალ გზაზე, და თან ურჩია, როგორ დაეღწიათ თავი მოსალოდნელი განსაცდელისაგან. ისიც დაუმატა, კოლხეთში რომ ჩავიდოდნენ შემწეობა ეთხოვათ ოქროს აფროდიტესათვის, რადგან მხოლოდ მას შეეძლო დახმარებოდა იასონს ოქროს საწმისის მოპოვებაში. გულისყურით უსმენდნენ არგონავტები გრძნეულ ბერიკაცს და ცდილობდნენ დაემახსოვრებინათ მისი ყოველი სიტყვა.

მალე ბორეადებიც დაბრუნდნენ და უამბეს, როგორ დევნიდნენ ფრინველებს. გახარებული იყო მოხუცებული ფინეესი სამუდამოდ რომ დააღწია თავი ჰარპიებს.

სიმკაცეგაღეები

არგონავტები დიდხანს არ დარჩენილან ფინეესთან. გზის განგრძობა ეჩქარებოდათ. „არგო“ სწრაფად მიარღვევდა ზღვის ტალღებს. უეცრად წინ შორიდან მომავალი ხმაური გაისმა. სულ უფრო გარკვევით და ხმამაღლა გაისმის ზარდამცემი ხმაური. მოახლოებული ქარიშხლის გუგუნსა ჰგავს, დროდადრო მეხის ქუხილით დაფარულს. აი, გამოჩნდნენ სიმპლეგადის კლდეებიც. გმირები ხედავენ, როგორ შორდებიან და საშინელი ძალით ისევ ეხლებიან ერთიმეორეს. კლდეების ყოველ შეჯახებაზე ზღვა დუღდება, შხეფები მაღლა ცვივა. ხოლო

* ძველად ბერძნები სუფრასთან კი არ სხდებოდნენ, არამედ ცალ ხელზე დაყრდნობილნი, ნახევრად წამოწოლილნი შეექცეოდნენ საკმელს.

როდესაც ერთიმეორეს შორდებიან, მათ შორის მოექანებიან ტალღები და საშინელ მორევს აყენებენ.

გმირებმა გაიხსენეს ფინევსის რჩევა, წინასწარ მტრედი გაუშვითო კლდეთა შორის. თუ მტრედი გაფრინდება, მაშინ „არგოც“ უვნებლად გაივლის სიმპლეგადებშიო. არგონავტები ნიჩბებს დააწვნენ. აგერ, უკვე ზედ კლდეებთან არიან. ხმაურით შეეჯახნენ კლდეები ერთმანეთს და ისევ გაიწიეს. მაშინ გმირმა ევფემემ მტრედი გაუშვა. ისარივით მიჰქრის მტრედი კლდეებს შორის. აი, ხელახლა შეეჯახა ერთმანეთს ორი კლდე ისეთი ძალით, თითქოს ცა შეირყაო. მლაშე მხეფები შეესხურათ არგონავტებს, ხოლო „არგო“ ტალღებში ნაფოტივით დატრიალდა, თითქოს ბორბალქარმა ჩაიხვიაო. უვნებლად გაფრინდა მტრედი კლდეებს შორის, მხოლოდ კუდის ბოლო წააწყვიტეს შეჯახებულმა კლდეებმა. სიხარულის შეძახილი აღმოხდათ არგონავტებს და შეთანხმებით დააწვნენ ნიჩბებს. კლდეები გაიყო. უზარმაზარმა ტალღამ აქაფებულ თხემზე შეისროლა „არგო“ და სრუტეში შეაგდო. წინ მეორე ტალღა მოდის, „არგო“ უკანვე გადაისროლა. ირგვლივ ტალღები ზვირთდებიან, იხრებიან ნიჩბები. იდრიკება, ჭრიალებს „არგო“, გეგონებათ, კვნესისო ზვირთთა დაწოლისაგან. აი, აღიმართა კიდევ ერთი ტალღა, მაღალი, როგორც მთა, და თავს დაატყდა „არგოს“, ნაფოტივით დაატრიალა აქაფებულ მორევში. დაღუპვა გარდუვალია. მაშინ არგონავტების საშველად მოვიდა თვით ზევსის საყვარელი ასული ათენა-პალადა. ძალუმი ხელით შეაჩერა ცალი კლდე, მეორე კი ისეთი ძალით ჰკრა „არგოს“, რომ გემი ისარივით გავარდა სრუტიდან. მხოლოდ საჭის კიდე დაამსხვრიეს შეჯახებულმა კლდეებმა. ისევ დაშორდნენ კლდეები და გაქვავდნენ სამუდამოდ უძრავად ქცეულნი, სრუტის ორსავე მხარეს. აღსრულდა ბედისწერის ბრძანება, რომ სიმპლეგადები მხოლოდ მაშინ მოისვენებენ, როცა მათ შორის ხომალდი გავაო. უხაროდათ არგონავტებს — ყველაზე უფრო საშინელ საფრთხეს დააღწიეს თავი. ახლა დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი ლაშქრობა ბედნიერად დასრულდებოდა.

კუნძული აარეჭია და კოლხეთში ჩასვლა

დიდხანს მიცურავდნენ არგონავტები ევქსინის პონტოს სანაპიროების გაყოლებით. მრავალი ქვეყანა გაიარეს, მრავალი ხალხი ნახეს. ბოლოს, შორს, გამოჩნდა რაღაც კუნძული. „არგო“ სწრაფად მიუახლოვდა კუნძულს, ნაპირიც გამოჩნდა. უეცრად კუნძულიდან მზეზე ფრთების ციმციმით რომელიღაც დიდი ფრინველი აფრინდა. „არგოს“ თავზე გადაუქროლა და ერთ-ერთ გმირს — ოი-

ლევსს ფრთის ღერი ესროლა. ისარივით ჩაერჭო გმირს მხარში ფრთა, სისხლი მოსკდა ჭრილობიდან, და დაჭრილს ხელიდან ნიჩაბი გაუვარდა. თანამგზავრებმა ჭრილობიდან ფრთა ამოიღეს. გაოცებულნი შესცქერიან ფრთას და ხედავენ, რომ სპილენძისაა და ისარივით წვეტიანი. აი, კუნძულის თავზე მეორე ფრინველმა გაინავარდა და „არგოს" მიაშურა. მაგრამ ახლა გმირი კლიტე მშვილდით უცდიდა. როგორც კი ფრინველი „არგოსთან" მიფრინდა, კლიტემ ისარი სტყორცნა და მკვდარი ფრინველი ზღვაში ჩავარდა. როცა სპილენძის ფრთებით მოსილი ფრინველი დაინახეს, არგონავტები მიხვდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ფრინველ — სტიმფალიდებთან, ხოლო კუნძული, რომელზედაც ეს ფრინველები ბინადრობდნენ არეტიას სახელით იყო ცნობილი. ამფიდამანტმა გმირებს ურჩია, აბჯარი ჩაეცვათ და ფარები აეღოთ ხელთ. ვიდრე ნაპირზე გადავიდოდნენ, არგონავტებმა ფარებზე შუბებისა და ხმლების ზრიალით საშინელი ხმაური ასტეხეს. უზარმაზარ გუნდად დატრიალდნენ კუნძულის თავზე ფრთოსნები, „არგოს" თავს დაუარეს და გმირებს სეტყვასავით დაუშინეს სპილენძის ფრთაისრები. ისრებისაგან გმირები ფარებით იცავდნენ თავს. ფრინველებმა კი „არგოს" თავზე კიდევ ერთი წრე შეკრეს და მალე თვალს მიეფარნენ.

არგონავტები არეტიას ნაპირზე გადავიდნენ და ის იყო დასასვენებლად მოწყობას აპირებდნენ, რომ ოთხი ყმაწვილი შემოეგებათ. ჭაბუკებს არაქათი გამოცლოდათ, შემოგლეჯილი სამოსის ძონძები ტანს ძლივს უფარავდათ. ესენი იყვნენ ფრიქსეს შვილები. რომელთაც ორქომენში დასაბრუნებლად კოლხეთი მიეტოვებინათ, მაგრამ გზად ქარიშხლიან ღამეში გემი დაეღუპათ, და რაღაც ბედნიერი შემთხვევით ტალღებმა გამორიყეს არეტიას სანაპიროზე, სადაც არგონავტებმა იპოვნეს. გმირებს გაუხარდათ ფრიქსეს შვილების ნახვა. მეტადრე გახარებული იყო იასონი: ყმაწვილები ხომ მისი ნათესავები იყვნენ! აჭამეს, ჩააცვეს და შეატყობინეს, რომ აიეტის სამეფოში მიდიან ოქროს საწმისის დასაბრუნებლად. უფროსმა, არგოსმა დახმარება იკისრა, თან გააფრთხილა არგონავტები, რომ ჰელიოსის შვილი, მეფე აიეტი ძლიერი და სასტიკია, შებრალება არ იცისო. მაგრამ არაფერს არ შეეძლო არგონავტების შეჩერება, სისრულეში უნდა მოეყვანათ ერთხელვე მიღებული გადაწყვეტილება — ხელთ ეგდოთ ოქროს საწმისი.

მეორე დღეს დილით არგონავტებმა გზა განაგრძეს. დიდხანს მიცურავდნენ. დაბოლოს, შორს, აღმოსავლეთში, ღრუბლების მსგავსად შეჯგუფული კავკასიონის ლაჟვარდისფერი მწვერვალები აელვარდნენ, — უკვე ძალიან ახლოს იყო კოლხეთი.



არგონავტების ჩამოსვლა კოლხეთში. ზედა რიგში მარჯვნივ გამოსახული არიან იასონი და მედეა (ნახატი ღარნაკზე).

სწრაფად მიცურავს ზომიერად მოსმული ნიჩბების ხმაურში „არგო". უკვე მზე სადღაც დასალიერში ზღვაში ეშვება. ტალღებზე დაისის ჩრდილებმა გადაიქროლეს. მაღლა, „არგოს" თავზე, ფრთების ხმაური გაისმა, — ეს უზარმაზარი არწივი მიფრინავდა იმ კლდისაკენ, სადაც მიჯაჭვული იყო ტიტანი პრომეთე. მისი უზარმაზარი ფრთების ქროლაზე ქარი ავარდა. არწივმა მთებს მიაშურა და არგონავტებს პრომეთეს მძიმე გმინვა შემოესმათ. შორიდან ისმოდა ეს ხმა, დროდადრო ნიჩბის ხმაური რომ ფარავდა.

ნაპირი ახლოა. აი, ფასისის შესართავიც. არგონავტები ნიჩბების შემწეობით აჰყვნენ მდინარეს და ლერწმით დაფარულ ყურეში ღუზაზე დადგნენ. იასონმა სამადლობელი მსხვერპლი შესწირა ღმერთებს, მერე შეეეედრა კოლხე-

თის ღმერთებს და დაღუპულ გმირთა სულებს და თავის სახიფათო საქმეში შემწეობა სთხოვა. მშვიდად მიიძინეს გმირებმა „არგოზე". მათი მიზანი მიღწეულია, უკვე კოლხეთში არიან, მეფე აიეტის სატახტო ქალაქთან, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი საფრთხე ელოდათ წინ.

ჰერა და ათენა აფროდიტესთან

როდესაც არგონავტები კოლხეთში ჩავიდნენ, ოლიმპოზე დიდი ქალღმერთები ჰერა და ათენა თათბირობდნენ, თუ როგორ დახმარებოდნენ იასონს, ოქროს საწმისის მოპოვებაში. ბოლოს მათ გადაწყვიტეს მისულიყვნენ ქალღმერთ აფროდიტესათნ, რათა სიყვარულის ღვთაებას თავისი შვილის, ეროსისათვის ებრძანებინა, ოქროს ისრით დაეჭრა აიეტის ასულის მედეას გული, ჩაენერგა მისთვის იასონის სიყვარული. დიდმა ქალღმერთებმა იცოდნენ, რომ მხოლოდ გრძნეულ მედეას შეეძლო დახმარებოდა იასონს ამ საძნელო საქმეში.

როდესაც ორივე ქალღმერთი აფროდიტესთან მივიდა, კიპრიდა შინ მარტო იყო. დიდებულ ოქროს ტახტზე იჯდა და ოქროს სავარცხლით ივარცხნიდა ღვთაებრივ თმას. შემოსული ქალღმერთები რომ დაინახა, ზეზე წამოდგა, ალერსიანად მიესალმა. ქალღმერთები თვით ჰეფესტოს ხელით გამოჭედილ ოქროს სკამებზე დასვა, შემდეგ კი მოსვლის მიზეზი ჰკითხა. ქალღმერთებმა უამბეს მოსვლის მიზეზი და სთხოვეს, უბრძანოს ეროსს, ოქროს ისრით განგმიროს მედეას გული. აფროდიტე დათანხმდა. ქალღმერთები აფროდიტეს დაემშვიდობნენ, ხოლო სიყვარულის ქალღმერთი თავისი ცელქი შვილის საძებნელად გაეშურა. ეროსი განიმედს კოჭობანას ეთამაშებოდა. ცბიერმა ეროსმა გულუბრყვილო განიმედს მოუგო და გულიანად იცინოდა. ამ დროს ყმაწვილებთან მივიდა აფროდიტე. შვილს აკოცა და უთხრა:

— მომისმინე, ოინბაზო. ერთი საქმე მინდა დაგავალო. ჩქარა აიღე შენი ჭშვილდი და ისრები და გაფრინდი დედამიწაზე. იქ, კოლხეთში, ისრით განგმირე მეფე აიეტის ასულის მედეას გული. დე, შეიყვაროს გმირი იასონი. თუ ამას რიგიანად შეასრულებ, მე გაჩუქებ იმ სათამაშოს, ოდესღაც ადრასტეამ რომ გაუკეთა პატარა ზევსს. ოღონდ, ახლავე გაფრინდი, ეს საჩქარო საქმეა.

ეროსმა დედას სთხოვა, ახლავე მომეციო სათამაშო, მაგრამ აფროდიტემ იცოდა მოხერხებული ბავშვის ცბიერების ამბავი და უარი უთხრა სათამაშოს მიცემაზე, ვიდრე დავალებას არ შეასრულებდა. ეროსი დარწმუნდა, საქმის

მოგვარებამდე დედისაგან ვერაფერს მივიღებო, მაშინვე სტაცა ხელი მშვილდსა და ისრებს და მაღალი ოლიმპოდან დედამიწაზე დაეშვა და მზეზე მოციმციმე ოქროს ფრთებით კოლხეთში ჩაფრინდა.

იასონი აიეტთან

არგონავტებმა ადრე დილით გაიღვიძეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ იასონი ფრიქსეს შვილების თანხლებით მივიდოდა აიეტთან და ოქროს საწმისის დათმობას სთხოვდა. თუ ამაყი მეფე უარს იტყოდა, მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ ძალას.

იასონი აიეტის სასახლეში მშვიდობის კვერთხით გაეშურა. სქელი ღრუბლით დაბურა ჰერამ იასონი და მისი თანამგზავრები, რომ კოლხეთის მცხოვრებთ ზიანი არ მიეყენებინათ. როცა აიეტის სასახლეს გაუსწორდნენ, ღრუბელი გაიფანტა, გამოჩნდა მეფის სამყოფელი. დიდებული რამ იყო კოლხეთის მეფის სასახლე. მაღალ გალავანზე აღმართული უთვალავი კოშკი ცას სწვდებოდა. მარმარილოს თლილი ქვით დამშვენებული ფართო ჭიშკრები ამშვენებდნენ სასახლეში შესასვლელს. კარიბჭის თეთრი სვეტების რიგები მზეზე ბრწყინავდნენ.

ყველაფერი, რაც სასახლეში თვალს იტაცებდა, მთელი მისი მდიდრული მორთულობა აიეტს ჰეფესტომ გაუკეთა ნიშნად მადლობისა, იმისათვის, რომ მამამისმა, ღმერთმა ჰელიოსმა გიგანტებთან ბრძოლაში დაქანცული ღმერთიმჭედელი თავისი ოქროს ეტლით ფლეგრეის ველებიდან წაიყვანა. მრავალი სამყოფელი იყო სასახლეში. ყველაზე უფრო დიდებულში ცხოვრობდნენ მეფე აიეტი და მისი მეუღლე, მეორეში — მათი შვილი აფსირტე, რომელსაც სილამაზისათვის კოლხებმა „ფაეთონი" (მოციმციმე) უწოდეს. სხვა სამყოფლებში ცხოვრობდნენ აიეტის ასული ქალკიოპე, გარდაცვლილი ფრიქსეს ქვრივი, და აიეტის უმცროსი ქალიშვილი მედეა, დიდი ჯადოქარი, ქალღმერთ ჰეკატეს მსახური.

როცა იასონი და მისი თანამგზავრები სასახლის ეზოში შევიდნენ, მედეა თავისი სამყოფელიდან გამოვიდა. ქალკიოპეს სანახავად მიდიოდა. უცხოელები რომ დაინახა, გაოცებისაგან შეჰკივლა. მის ყვირილზე გამოჩნდა ქალკიოპე და დაინახა თავისი შვილები. გაუხარდა, შვილებთან მიიჭრა, ეხვევა, ჰკოცნის საყვარელ შვილებს, რომელთა ნახვის იმედი აღარა ჰქონდა. ხმაურზე აიეტიც გამოვიდა. უცხოელები სასახლეში მიიპატიჟა და მსახურთ უბრძანა საკადრისად გამასპინძლებოდნენ სტუმრებს. იმ დროს, როცა იასონი აიეტს ესალმებოდა,

მაღალი ოლიმპოდან ოქროს ფრთებით ცელქი ეროსიც ჩამოფრინდა. სვეტს ამოეფარა, ამოიღო მშვილდი, მოზიდა ლარი და ჩადო ოქროს ისარი. შემდეგ შეუმჩნევლად იასონს მოეფარა და ისარი მედეას სტყორცნა გულში. ეროსის ისრით დაჭრილ მედეას მაშინვე შეუყვარდა იასონი.

იასონი თავისი თანამგზავრების თანხლებით აიეტის სასახლეში შევიდა. იქ კოლხეთის მბრძანებელმა სანადიმო სუფრაზე მიიწვია. ნადიმზე არგოსმა აიეტს უამბო, როგორ დაეღუპათ მას და მის ძმებს გემი, როგორ გარიყეს მოელვარე ტალღებმა არეტიას კუნძულზე და როგორ იპოვნეს იქ არგონავტებმა შიმშილისაგან დაოსებულნი. ისიც უთხრა, თუ რისთვის მოვიდა იასონი გმირების თანხლებით კოლხეთში. როგორც კი აიეტმა გაიგო, ოქროს საწმისისათვის არიანო მოსული, თვალები რისხვით აენთო და წარბები კუშტად შეიკრა. არ სჯერა, რომ მათი მოსვლის მიზეზი ოქროს საწმისია, სხვაგვარად ფიქრობს: იმისათვის ხომ არ მოიყვანეს ფრიქსეს შვილებმა ბერძენი გმირები, რომ მთელი კოლხეთი ხელში ჩაიგდონ? აიეტი საყვედურებით ავსებს იასონს, სასახლიდან გაგდებას უპირებს და სიკვდილით ემუქრება. უკვე სადაცაა მოწყდება ტელამონის ბაგეს სასტიკი სიტყვა მეფის მუქარის საპასუხოდ, მაგრამ იასონი აჩერებს. ცდილობს დაამშვიდოს აიეტი, არწმუნებს რომ მხოლოდ საწმისის სათხოვნელად არიან მოსული კოლხეთში, და ჰპირდება, ყოველგვარ სამსახურს, გაგიწევ, ყოველგვარ დავალებას შეგისრულებ, თუ საჩუქრად ოქროს საწმისს მომცემო. ბოლოს მეფემ გადაწყვიტა იასონის დაღუპვა და უთხრა:

— კარგი, საწმისს მიიღებ, მაგრამ ჯერ დავალება შეასრულე: ჩემი რკინის გუთნით დახანი არესისადმი მიძღვნილი მინდვრები, გუთანში სპილენძისფეხებიანი, ცეცხლისმფრქვეველი ხარები შეაბი, დათესე ეს მინდორი დრაკონის კბილებით, ხოლო როდესაც დრაკონის კბილებიდან ჯავშანში ჩამჯდარი მეომრები წამოიზრდებიან, შეები მათ და გაწყვიტე. თუ ამას შეასრულებ, საწმისს მიიღებ.

იასონს ერთბაშად პასუხის გაცემა გაუძნელდა, ბოლოს კი უთხრა:

— თანახმა ვარ, მაგრამ შენც შემისრულე მოცემული პირობა, ხომ იცი, არ შემიძლია ხელის აღება დავალებულ საქმეზე, რაკი ბედისწერის განაჩენით აქ, კოლხეთში ჩამოვსულვარ!

თქვა ეს იასონმა და თანამგზავრებიანად გაეცალა.

არგონავტები დახმარებისათვის მედეას მიმართავენ

როდესაც იასონი „არგოზე“ დაბრუნდა, თავის ამხანაგებს უამბო, რაც მოხდა აიეტის სასახლეში და რა დავალება მისცა მეფემ. დაფიქრდნენ არგონავტები. რა უნდა ეღონათ, როგორ უნდა შეესრულებინათ აიეტის დავალება? ბოლოს, არგოსმა თქვა:

— მეგობრებო, აიეტის სასახლეში ცხოვრობს მისი ასული მედეა. იგი დიდი ჯადოქარია და მხოლოდ მას შეუძლია ამ საქმეში ჩვენი დახმარება. თუ მედეა დაგვეხმარება, არავითარი საფრთხე არ გველის და საქმე კარგად წავა.

ძლივს მოასწრო ამის თქმა არგოსმა, რომ „არგოს“ თავზე გადაუქროლა მტრედმა, რომელსაც ძერა მოსდევდა. მტრედი იასონთან ჩამოფრინდა და მისი სამოსის ნაკეცებს შეაფარა თავი. ძერა კი „არგოსზე“ დავარდა.

— ეს ღმერთების კეთილისმაუწყებელი ნიშანია, — შესძახა მისანმა მოფსოსმა, — თვით ღმერთები გვიბრძანებენ მედეას ვთხოვოთ დახმარება. შეხედეთ, აფროდიტეს კუთვნილი ფრინველი თავშესაფარს იასონის მკერდზე პოულობს! გაიხსენეთ, რა თქვა ფინეესმა. განა ასე არ გვირჩია, აფროდიტეს სთხოვეთო დახმარება? შეეეედრეთ ქალღმერთს, დაგვეხმარება. ახლავე წავიდეს არგოსი თავის დედასთან, ქალკიოპე დაარწმუნებს თავის დას, იქნებ დაგვეხმაროს.

არგონავტებმა გრძნეულ მოფსოსს დაუჯერეს: მსხვერპლი შესწირეს აფროდიტეს და არგოსი სასახლეში, თავის დედასთან გაეშურა.

ამასობაში აიეტმა კოლხები მოედანზე შეჰყარა. ხალხს უცხოელთა ჩამოსვლის ამბავი აუწყა და „არგოს“ დარაჯად დგომა უბრძანა, რათა ვერც ერთ არგონავტს ვერ ეხსნა თავი გაქცევით. აიეტმა განიზრახა „არგოს“ დაწვა ყველა გმირიანად, მას შემდეგ რაც იასონი არესისადმი მიძღვნილ მინდორზე დაიღუპებოდა. ფრიქსეს შვილები კი წამებით უნდა მოეკლა.

დაღამდა. აიეტის დედაქალაქი ძილს მიეცა. ყველგან სიმშვიდე გამეფდა. მხოლოდ მედეას სამყოფელში არაა სიმშვიდე. მის თავში ერთიმეორეზე შფოთიან სიზმართა ქარავანი ირევა: ხან ესიზმრება, ვითომ იასონი ორ ხარს ებრძვის და თუ ორივეს დასძლევს, საჩუქრად მედეა უნდა მიიღოს; ხან ეჩვენება, თითქოს თვითონ შებმია ცეცხლისმფრქვეველ ხარებს და ამარცხებს კიდეც; ხან მშობლები ვითომ უარზე არიან, არ გაგაყოლებთო იასონს, ხარები ხომ შენ დაამარცხე და არა ბერძენმა გმირმაო. იმართება დავა იასონსა და აიეტს შორის, თვითონ მედეამ უნდა გადაწყვიტოს ეს დავა. ხოლო როცა დავა იასონის სასარგებლოდ გადაწყდა, ამით მამა განარისხა და მეფე სასტიკად შესწყრა ასულს.

მედეას ცრემლებში გაეღვიძა, ქალკიოპესთან უნდა გაიქცეს, მაგრამ სირცხვილით ვერ მიდის. სამჯერ ჩაავლო ხელი კარის სახელურს და სამჯერვე გამობრუნდა. სარეცელზე დაეცა და აქვითინდა. ერთმა მხევალმა გაიგონა მისი ქვითინი და ქალკიოპეს უხმო. ქალკიოპემ დასთან მიირბინა და ნახა, რომ მედეა წევს თავის ლოგინში და ქვითინებს.

— ო, ჩემო დაო, — ეუბნება ქალკიოპე მედეას. — რისთვის ტირი? ჩემი შვილების ბედზე ხომ არ აფრქვევ ცრემლებს? ხომ არ გაგიგია რაიმე, მამას მათი დაღუპვა ხომ არ გადაუწყვეტია?

სიტყვაც არ უთქვამს მედეას დის საპასუხოდ. დისშვილები სულაც არ ახსოვს. ბოლოს მაინც ამოიდგა ენა:

— ცუდი სიზმრები ვნახე, დაო. უბედურება ელით შენს შვილებსაც და იმ უცხოელსაც, რომელმაც ისინი კუნძულიდან ჩამოიყვანა. ო, რომ შემაძლებინონ ღმერთებმა მათი დახმარება!

გული გადუტრიალდა ამის გამგონე ქალკიოპეს. ზარდაცემული ეხვევა და დახმარებასა სთხოვს. იცის ქალკიოპემ, თავისი ჯადოქრობის შემწეობით მედეა შეძლებს იასონის დახმარებას.

— მომისმინე, დაო, — მიუგო მედეამ. — დავეხმარები უცხოელს. მოვიდეს ჰეკატეს ტაძარში, თილისმას მივცემ, საგმირო საქმეს მოახდენს. ოღონდ სიტყვა მომეცი, რომ ყველაფერს საიდუმლოდ შეინახავ, თორემ იცოდე მამა ყველას დაგვღუპავს.

წავიდა ქალკიოპე. მედეა მარტო დარჩა. ერთიმეორის საწინააღმდეგო გრძნობები იბრძოდნენ მის გულში. თან მამის შიში ჰქონდა, თან უნდოდა დახმარებოდა იასონს, ასე რომ შეიყვარა. თავის მოწამვლაც კი განიზრახა, კიდევაც აიღო ზარდახშა, გახსნა, შხამი ამოიღო, მაგრამ ქალღმერთმა ჰერამ სიცოცხლის დაუშრეტელი წყურვილი ჩაუნერგა. მაშინ მედეამ შხამიცა და ზარდახშაც შორს გადაისროლა, ყველა თავისი ეჭვი გაფანტა, მხოლოდ იასონზე და მის დახმარებაზე ფიქრობდა.

როგორც კი ირიერაჟა და ვარდისფერმა შუქმა კავკასიონის შორეული მწვერვალები შეაფერადა, არგოსი არგონავტებთან დაბრუნდა და შეატყობინა, რომ მედეა მზადაა დაეხმაროს იასონს და სთხოვს ჰეკატეს ტაძარში მივიდეს. მზე რომ ამოიწვერა, იასონი არგოსისა და მოფსოსის თანხლებით ჰეკატეს ტაძრისაკენ გაემართა. ქალღმერთმა ჰერამ იასონი ისე დაამშვენა, რომ არგონავტებიც კი შეჰხაროდნენ.

მედეა ადრე დილით ადგა. ჯადოსნური მალამოებით სავსე ზარდახშა ამოიღო და შეარჩია ერთი მათგანი, „პრომეთეს მალამოდ“ სახელდებული. ეს მა-

ლამო დამზადებული იყო პრომეთეს სისხლით მორწყულ მიწაზე ამოსული ბალახისაგან. ვინც ამ მალამოს წაიცხებდა, მას ვერას ავნებდა ვერც რკინა, ვერც სპილენძი, ვერც ცეცხლი, — უძლეველი და ყოვლისშემძლე ხდებოდა ერთი დღით. აი, ამ მალამოს მიცემას აპირებდა მედეა იასონისათვის. მედეამ იხმო მხევალი ქალები და ჰეკატეს ტაძარს მიაშურა. გული სიხარულით უცემდა, მთელი თავისი მოუსვენრობა დაივიწყა და მხოლოდ იასონთან შეხვედრაზე ფიქრობდა.

აგერ, ჰეკატეს ტაძარიც. მედეა შიგ შევიდა. იასონი ჯერ არ ჩანდა. მალე ისიც მოვიდა. შეხედა მედეამ და გულმა გამეტებით დაუწყო ძგერა. სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა.

დიდხანს დუმდნენ იასონი და მედეა. ბოლოს დუმილი გმირმა დაარღვია. მედეას ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— მშვენიერო ქალწულო, რისთვის დახარე დაბლა მზერა? რატომ გეშინია ჩემი? ნუთუ ფიქრობ, რომ ბოროტ განზრახვას ვფარავ გულში? არა, ბოროტი განზრახვით არ მოესულვარ კოლხეთში. მინდა შეგვევედრო და შემწეობა გთხოვო. ოღონდ, გევედრები, მითხარი სიმართლე. გახსოვდეს, ჰეკატე თავის საკურთხეველში სიცრუეს არ მოითმენს, არ მოითმენს ზევსიც, მფარველობის მავედრებელთა დამცველი. მითხარი, დამეხმარები თუ არა? თუ დამეხმარები, შენს სახელს მოჰფენენ მთელს საბერძნეთში გმირები, რომლებიც კოლხეთში ვიახლე. გაიხსენე, რა დიდი სახელი აქვს მინოსის ასულს არიადნეს, დიდ თეზეესს რომ დაეხმარა.

მედეა დუმდა და სიყვარულით აღსავსე თვალებით შესცქეროდა იასონს. მშვენიერი იყო დარცხვენილი მეფის ასული. აკანკალებული ხელით ამოიღო სარტყელში შენახული მალამო და იასონს გადასცა. ოდნავ გასაგონი ხმით დასძინა:

— გამიგონე იასონ, აი რა იქნება ჩემი დახმარება: ღამით მდინარეში დაიბანე ტანი. შავი სამოსი ჩაიცვი, მდინარის ნაპირას ღრმა ორმო ამოთხარე და ზედ ჰეკატეს მსხვერპლად შესწირე შავი ცხვარი, წინასწარ თაფლი დაასხი. მერე გემზე წადი, ხმაურსა და ძაღლების გაშმაგებულ ყეფას გაიგონებ, მაგრამ ნუ მიიხედავ, წადი პირდაპირ, ნუ გეშინია. ხოლო როცა გათენდება, შუბს, ფარსა და მახვილს ეს მალამო წააცხე და ტანიც დაიზილე. შეუდარებელ ძალას მოგანიჭებს მალამო და აიეტის დავალებას შეასრულებ. მხოლოდ გახსოვდეს: როცა მიწიდან ბუმბერაზები ამოვლენ, ქვა ესროლე, ერთმანეთს დაერევიან, მაშინ შენც დაესხი თავს. გამომართვი ეს საცხებელი, ამის დახმარებით ოქროს საწმისს მოიპოვებ. მერე წაიღე საწმისი, საითაც გენებოს.

მედეა გაჩუმდა. ბინდი ჩაუდგა თვალებში მარტო იმის გახსენებაზე, რომ იასონს უნდა დაშორებოდა. თავი დახარა შეპირვებულმა და ბოლოს ჩაილაპარაკა:

— წახვალ შენს სამშობლოში, იასონ, მაგრამ ნუ დამივიწყებ, ზოგჯერ მოგიგონე, — მე ხომ დაგიხსენი ამ განსაცდელიდან!

ისიც ჰკითხა იასონს, საიდან ხარო. იასონმა მოუთხრო თავისი ჩამომავლობის ამბავი. აუწერა მშვენიერი იოლკოსი და მისი ველი, და შესთავაზა მედეას საბერძნეთში გაჰყოლოდა მათ. დიდ პატივს დაჰპირდა და აღუთქვა, რომ იოლკოსში ქალღმერთივით სცემდა თაყვანს.

— ო, რომ დათანხმდებოდეს აიეტი ჩემთან დანათესავებაზე! — შესძახა იასონმა, — ო, რომ გამოგიშვებდეს ჩემთან საბერძნეთში, რა ბედნიერი ვიქნებოდი!

— არა, ეს არ მოხდება, — შესძახა დარდით აღსავსე მედეამ.—სასტიკია და შეუპოვარი მამაჩემი. დაბრუნდი შენს სამშობლოში უჩემოდ, მაგრამ მომიგონე. ო, რა მოხარული ვიქნებოდი, რომ შმაგი ქარი თავის ფრთებზე შემისვამდეს და ჩამიყვანდეს იოლკოსში, რომ თავი შეგახსენო ხოლმე, როცა დამივიწყებ, როცა დაივიწყებ, რომ მე გიხსენი.

მედეას თვალზე ცრემლი მოადგა. უყურებს იასონი და მის გულსაც სიყვარული ეუფლება. ეევდრება, მიატოვოს აიეტის სასახლე და ფარულად გაჰყვეს საბერძნეთში, იოლკოსში. მედეა მზად არის გაიქცეს იასონთან ერთად, აშინებს განშორების წამი, ეშინია, რომ ვერ გადაიტანს ამ განშორებას. ტირის მედეა მარტო იმ აზრის გაელვებაზე, რომ იასონს უნდა განშორდეს. ჰერამ შთააგონა სურვილი, მარად და ყველგან თან ეახლოს იასონს. ქალღმერთს ნებავს, რომ მედეა იოლკოსში წავიდეს. იქ მედეას დახმარებით ჰერას განზრახული აქვს დაღუპოს საძულველი პელიასი.

მედეა იასონს გამოემშვიდობა. იასონი დაჰპირდა, ისევ შეხვედროდა ჰეკატეს ტაძარში, რომ ხელახლა ენახა და ერთად გადაეწყვიტათ როგორ მოქცეულიყვნენ. მხიარული ბრუნდებოდა სახლში მედეა, იცოდა, რომ იასონს უყვარდა, და სხვა რაღა უნდოდა?

იასონი ასრულებს აიეტის დავალებას

დაღამდა. იასონი შავად გამოეწყო, ფასისის პირას გავიდა და შუაღამისას მის სწრაფ ტალღებში განიბანა. მერე ღრმა ორმო ამოთხარა და, როგორც მედეამ უბრძანა, მსხვერპლი შესწირა ჰეკატეს. როგორც კი ეს საქმე მოათავა, დედამიწა შეირყა და ანთებული ჩირაღდნებით ხელში გამოჩნდა დიდი ჰეკატე.

საზარელი დრაკონები და ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულები ეხვეოდნენ მას, ჯოჯოხეთის ძაღლები დაჰქროდნენ და ყეფდნენ ირგვლივ. მახლობლად მყოფი ნიმფები ჰეკატეს დანახვაზე თავზარდაცემულნი გარბოდნენ, იასონს სული ელეოდა შიშისაგან, მაგრამ ახსოვდა მედეას დარიგება, უკან მოუხედავად მიდიოდა „არგოსაკენ“, სადაც ამხანაგები ელოდნენ.

როგორც კი ინათა, არგონავტებმა ტელამონი და მელეაგრე დრაკონის კბილების მოსატანად, მეფე აიეტთან გაგზავნეს. აიეტმა კადმოსის მიერ მოკლული დრაკონის კბილები მისცა და არესის მინდვრებისაკენ წასასვლელად გაემზადა, რათა ენახა, როგორ შეასრულებდა იასონი მის დავალებას. აბჯარი ჩაიცვა, მზესავით მოელვარე მუზარადი დაიხურა, ხელში აიღო შუბი და ფარი, რომელთა სიმძიმეს მხოლოდ ჰერაკლე თუ გაუძლებდა, და ეტლში ჩაჯდა. ეტლს მისი შვილი აფსირტე მართავდა. არგონავტებმაც მოიყარეს თავი და არესის მინდორს მიაშურეს.

იასონმა შუბს, ფარსა და მახვილს ჯადოსნური მალამო წააცხო, შემდეგ თვითონაც დაიზილა ტანი. დიდი ძალა იგრძნო მთელს სხეულში. კუნთები თითქოს ფოლადისა გაუხდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რკინისაგან იყო გაძოჭედილი. როცა არგონავტებმა თავიანთი „არგო“ არესის მინდორს გაუსწორეს, აიეტი უკვე ელოდა მათ, ხოლო მთის ფერდობებზე კოლხები მოგროვილიყვნენ. სამხედრო სამოსელში გამოწყობილი, სხივთამთოველი ვარსკვლავის მსგავსად მოციმციმე იასონი ნაპირზე გადავიდა, მინდორს გაჰყვა, რკინის გუთანი და სპილენძის უღელი იპოვნა, ფარი მოიმარჯვა და ცეცხლისმფრქვეველი ხარების საძებნელად წავიდა. ანაზდად გამოქვაბულიდან ორივე ხარი გამოვარდა და მძვინვარე ღმუილით მივარდა გმირს. ხარებს ხახიდან ბოლქვებად ამოსდიოდათ ცეცხლი. უცდის ფარმომარჯვებული იასონი. აი, ეცა ორივე ხარი, საშინელი ძალით დააჯახეს ფარს რქები. ვერავინ გაუძლებდა ასეთ დაჯახებას, მაგრამ ურყევ კლდესავით იდგა იასონი. კიდევ და კიდევ ერკინებიან ხარები, მტვრის ბუღს აყენებენ. ჯერ ერთს ჩაავლო რქაში გმირმა, მერე მეორეს, გასწია და გუთანთან მიათრია. ბრდღვინავენ ხარები, ხელიდან გასხლტომას ლამობენ, ცეცხლს აფრქვევენ, მაგრამ ამაოა მათი მძვინვარება. კასტორისა და პოლიდევკეს დახმარებით იასონმა ხარები უღელში შეაბა. მერე შუბით გაირეკა წინ, მთელი მინდორი დახნა და არესის ველზე დრაკონის კბილები დათესა. თესვა რომ მოათავა, იასონმა ხარები გამოხსნა, მრისხანედ შეუყვირა და შუბი დაჰკრა. ცოფიანებივით გაიქცნენ ხარები და გამოქვაბულს შეაფარეს თავი. დავალების პირველი ნახევარი შესრულებული იყო. ახლა საჭირო იყო ცდა, თუ როდის ამოვიდოდნენ კბილებიდან მეომრები. წავიდა იასონი ფასისის ნაპირზე, მუზარადით წყალი ამოიღო და წყურვილი მოიკლა.

იასონი ებრძვის ხარს. ხარის თავსზევით ფრთოსანი ქალღმერთი, მარჯვნივ მედეა (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

მაგრმ დიდხანს არ დასცალდა დასვენება. აი, მიწიდან ამოიზარდა შუბის წვერების მთელი ტყე, მინდორი თანდათან დაიფარა რაღაც სპილენძის ჯაგრით. აი, თითქოს შეირყა მიწა და ზედაპირზე გამოჩნდა მეომართა თავები. და მალე მთელი მინდორი შეჯავშნული მეომრებით აივსო. მათი ბეგთარი მზეზე ლაპლაპებდა. იასონს ახსოვდა მედეას დარიგება, აიღო დიდი ქვა, რომელსაც უძლიერესი გმირიც ვერ დასძრავდა ადგილიდან, მაგრამ იასონმა ცალი ხელით ასწია და შუა ველზე, დრაკონის კბილებიდან ამოსული მეომრების გროვაში გადაისროლა. მეომრებმა ხელი ხმალს იკრეს და გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მახვილით ხელში შეიჭრა იასონი მებრძოლთა რიგებში, ერთიმეორის მიყოლებით ხოცავდა მეომრებს. ბოლოს ბრძოლის ველი დახოცილი მეომრებით აივსო. ერთიც არ დარჩენილა ცოცხალი, — ყველანი გაჟლიტა იასონმა ძალუმი ხელით.

გვამებით დაიფარა მინდორი, თითქოს გალესილი ნამგლით მომკილი თავთავებით მოფენილაო მიწის პირი. განცვიფრებული შესცქეროდა იასონს აიეტი, აოცებდა მისი არაადამიანური ძალა. რისხვით შეიკრა შუბლი მეფემ,

წყრომამ გაუელვა თვალებში. უსიტყვოდ ჩაჯდა ეტლში და ქალაქისაკენ გააქროლა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა თუ როგორ დაეღუპა საკვირველი უცხოელი. იასონი კი „არგოზე“ დაბრუნდა და მშვიდად ისვენებდა მეგობართა შორის, მის გმირობას რომ ადიდებდნენ.

მედეა ეხმარება იასონს ოქროს საწმისის გაფაცებაში

სასახლეში დაბრუნებულმა აიეტმა კოლხეთის გამოჩენილი დიდებულნი სათათბიროდ მიიწვია. გვიან ღამემდე ეთათბირებოდა კოლხებს მეფე იმაზე, თუ როგორ დაეღუპათ არგონავტები. აიეტი ხვდებოდა, რომ მხოლოდ მედეას შემწეობით შეძლო იასონმა ასეთი გმირობის ჩადენა. მედეა გრძნობდა რა დიდი საფრთხე ელოდა მასაც და იასონსაც, სიმშვიდეს ვერ პოულობდა თავის დიდებულ სამყოფელში. ძილი არ ეკარებოდა მის თვალებს. უჩუმრად მიატოვა სარეცელი და ფეხაკრეფით გავიდა აიეტის სასახლიდან. მხოლოდ მისთვის ცნობილი ბილიკებით გაემართა ფასისის ნაპირისაკენ, იქით, სადაც კოცონი გიზგიზებდა, იასონსა და ფრიქსეს უმცროს შვილს ფრონტისს უხმო. მედეამ იასონს უთხრა, თუ რა ავი წინათგრძნობა აწუხებს და დააჯერა, დაუყოვნებლივ წაჰყოლოდა საწმისის გასატაცებლად. იასონმა საჭურველი აიღო და არესის ჭალაში გაჰყვა. წყვდიადი ღამე იწვა, მხოლოდ ჭალაში წმინდა ხეზე დაკიდებული საწმისი ციმციმებდა ოქროსფრად. როცა მედეა და იასონი ჭალაში შევიდნენ, საშინელი დრაკონი ცეცხლის ფრქვევით წამოიჭრა და ყალყზე შედგა. მედეამ ძილის ძალუმ ღმერთს ჰიპნოსს უხმო. საშინელ შელოცვას ჩურჩულებს და ჯადოსნურ სამსალას ღვრის მიწაზე. ძირს დაეცა დრაკონი, მისუსტებული თავი ერთხელ კიდევ ასწია, მაგრამ მედეა ძილისმომგვრელ სამსალას აპკურებს და ურჩხულმა ხახა დახურა, მოელვარე თვალები დახუჭა და ძილში წასული უღონოდ გაიშხლართა იმ ხის ქვეშ, რომელზედაც ოქროს საწმისი ეკიდა. იასონმა საწმისი ჩამოხსნა და „არგოს“ მიაშურა.

განცვიფრებული გმირები იასონსა და მედეას შემოეხვივნენ და თვალს არ აშორებდნენ საოცარ საწმისს. მაგრამ დაყოვნება არ შეიძლებოდა. ვიდრე აიეტი საწმისის გატაცებას შეიტყობდა არგონავტები კოლხეთს უნდა გასცლოდნენ. იასონმა გადაჭრა თოკები, რომლებითაც „არგო“ ნაპირზე იყო მიბმული, გმირებმა ნიჩბებს მოუსვეს და „არგო“ ისარივით დაჰყვა ფასისის დინებას, ზღვისკენ. აგერ ზღვაც. გმირები ნიჩბებს აწვებიან. ფრინველივით მიფრინავს „არგო“, სულ უფრო და უფრო შორს რჩებათ კოლხეთი.



იასონი და მედეა იტაცებენ ოქროს საწმისს (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

ადრე დილით აიეტმა შეიტყო საწმისის გატაცება და ისიც, რომ მედეა არგონავტებთან ერთად გაიქცა. გაშმაგდა, გამძვინვარდა აიეტი. კოლხები ზღვის ნაპირზე შეყარა. მაგრამ შორსაა გემი, აღარ ჩანან ტალღებში „არგოს“ იალქნები, აიეტმა დადევნება ბრძანა. სიკვდილით ემუქრება მეზღვაურებს, თუ არგონავტებს არ დაეწევიან. კოლხებმა გემები ზღვაში შეაცურეს და აიეტის შვილის აფსირტეს მეთაურობით არგონავტებს დაედევნენ.

ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

როდესაც „არგო“ ღია ზღვაში გავიდა, ზურგქარმა დაჰქროლა. გმირებმა იალქნები აუშვეს და ხომალდი სწრაფად გაჰყვა ევქსინის პონტოს ტალღებს. სამი დღე მიცურავდნენ გმირები. ბოლოს, შორს სკვითიის ნაპირი გამოჩნდა. არგონავტებმა გადაწყვიტეს ისტროსის აღმა ცურვა, რომ მის ერთ-ერთ ტოტს ადრიატიკის ზღვაში ჩაჰყოლოდნენ. როცა არგონავტები ისტროსის შესართავთან მივიდნენ, ნახეს, რომ მთელი შესართავი და სანაპირო კუნძულები კოლხი მეომრების მიერაა დაკავებული, ისინი უმოკლესი გზით ჩამოსულან თავიანთი ხომალდებით და გასაქცევი გზა მოუჭრიათ. კოლხთა მრავალრიცხოვანი ლაშქარის დანახვაზე, არგონავტები მიხვდნენ, რომ ვერას გახდებოდნენ მათთან. იასონს ათასობით საუცხოოდ შეიარაღებულ მეომარ კოლხთან ბრძოლის გა-

სამართავად მეტისმეტად მცირე რაზმი ჰყავდა. არგონავტებმა გადაწყვიტეს ცბიერებით ეძლიათ მტერი. მოწინააღმდეგეთა ლაშქრის მეთაურ აფსირტესთან მოლაპარაკება გამართეს, დაჰპირდნენ, მედეას ტაძარში შეაფარებდნენ და იმ შემთხვევაში გასცემდნენ, თუ მეზობელი ქალაქის მეფე გადაწყვეტდა მედეას კოლხეთში დაბრუნებას. ოქროს საწმისი კი არგონავტებს უნდა დარჩენოდათ, რადგან იასონმა ზუსტად შეასრულა პირობა, ჩაიდინა გმირობა, რისთვისაც აიეტს საწმისი უნდა დაეთმო. სინამდვილეში მთელი ეს მოლაპარაკება მხოლოდ დროის მოგების მიზნით წარმოებდა. მედეა თავის მხრივ იასონს დაჰპირდა, აფსირტეს ერთ-ერთი კუნძულის ტაძარში შევიტყუებო.

იასონმა აფსირტეს მდიდრული საჩუქრები გაუგზავნა, ვითომდა მედეასაგან მიძღვნილი, და შუამავლის პირით სთხოვა ერთ-ერთი მახლობელი კუნძულის ტაძარში მისულიყო მედეასთან შესახვედრად. აფსირტე ტაძარში მივიდა, მაგრამ როგორც კი კარებში შევიდა, მახვილამოწვდილი იასონი მივარდა და სასიკვდილოდ დაჭრილი აფსირტე ძირს დასცა. საზარელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს იასონმა და მედეამ: ტაძარში მოკლეს უიარაღო მეფისწული. იასონმა ნაკუწ-ნაკუწად დაჭრა მისი სხეული და ისტროსის ტალღებში გადაყარა. კოლხებს თავზარი დაეცათ ამ უმსგავსობის დანახვაზე, მყისვე დაიწყეს თავიანთი წინამძღოლის ნეშტის შეგროვება, არგონავტები კი სწრაფად აჰყვნენ ისტროსს.

დიდხანს მიცურავდნენ არგონავტები, ბოლოს ისტროსის ერთ შენაკადს დაჰყვნენ ადრიატიკის ზღვისაკენ და ილირიაში ჩავიდნენ. იქ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. მთებისოდენა აქაფებული ტალღები ატორტმანებდნენ ზღვის ზედაპირს, ჯაჭვიდან აწყვეტილი ქარების მსგავსად დანავარდობდნენ ზღვაზე და გლეჯდნენ „არგოს“ იალქნებს. კვნესის, ჭრიალებს „არგო“ ტალღების დაწოლისაგან, იღუნებიან ბანის ფიცრები, მძლავრ ხელებში ატყდებათ გმირებს ნიჩბები. ნაფოტივით ატრიალებენ „არგოს“ ზვირთები. დაღუპვა ელით არგონავტებს. უცებ კიჩოდან ძახილი გაისმა. ხმა მოდიოდა დოდონის ჭალაში ნაზარდი მუხის ფიცრიდან, ათენამ რომ ჩასვა კიჩოს ფიცრებს შორის. ამ ხმამ არგონავტებს უბრძანა წასულიყვნენ ჯადოქარ კირკესთან, რათა ვერაგულად მოკლულ აფსირტეს სისხლით შებილწულ იასონსა და მედეას ჩამოეწმინდათ თავიანთი მძიმე შეცოდება. როგორც კი არგონავტებმა საჭე ჩრდილოეთისაკენ მიმართეს, ქარიშხალი მყისვე ჩადგა და მაშინ ყველა მისვდა, რომ ეს ღმერთების ნებაა.

არგონავტები ერიდანოსისა და როდანოსის გავლით დაეშვნენ ტირენიის ზღვაში და დიდხანს მიცურავდნენ მის ტალღებში, ვიდრე არ მივიდნენ აიეტის დის, ჯადოქარ კირკეს კუნძულზე. კირკემ იასონი და მედეა განწმინდა შეცო-

დებისაგან. მკვლელობის სიბილწისაგან განმწმენდელ ზევსს მსხვერპლი შესწირა, სამსხვერპლო სისხლით დაბანა ხელები იასონს და ერინიებს საკურთხეველთან შეეევედრა, აღარ შეერისხათ მკვლელები. კირკემ არც მედეას უთხრა უარი საზიზღარი ბოროტმოქმედებისაგან განწმენდაზე, რადგან ჯადოსანმა მისი თვალების ელვარებაში ამოიცნო, რომ ეს ქალიც მასავით მზის ღმერთის ჰელიოსის შთამომავალია.

არგონავტებმა გზა განაგრძეს. კიდევ მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. გაცურეს სკილასა და ქარიბდასის შორის, სადაც დაღუპვა ელოდათ, ზევსის დიდი მეუღლე ჰერა რომ არ დახმარებოდათ. ჩაუარეს სირინოზების კუნძულსაც, გაიგონეს მათი მაცდური სიმღერა, უძლეველი ძალით რომ იზიდავდა კუნძულზე დასაღუპავად. მაგრამ მომღერალმა ორფევსმა ჩამოჰკრა კითარის სიმებს, და მისმა სიმღერამ სძლია სირინოზების სიმღერის ძალას. ბოლოს არგონავტები მიცურდნენ პლანქტებთან, ვიწრო სრუტესთან, რომლის თავზეც თაღად აღმართულიყვნენ უზარმაზარი კლდეები. ზღვა ბობოქრობდა კლდეებს შორის, ტალღები ბრუნავდნენ თაღის ქვეშ, საშინელ მორევში და თაღის თავს უსწორდებოდნენ. თვით მტრედები, რომელთაც ზევსისათვის ამბროსია მიჰქონდათ, ვერ დაფრინავდნენ ამ თაღებს შორის უვნებლად და ყოველდღე თითო მათგანი იღუპებოდა. მაგრამ აქ, არგონავტებს ისევ ჰერა დაეხმარა, ამფიტრიტეს სთხოვა მცირე ხნით დაეწყნარებინა პლანქტების ტალღები, და ზღვაოსნებმა უვნებლად დააღწიეს თავი საშინელ საფრთხეს.

დიდი ხნის ცურვის შემდეგ ფეაკების კუნძულს მიაღწიეს. აქ არგონავტები გულღიად მიიღო მეფე ალკინოემ. ახლა შეეძლოთ ხიფათით აღსავსე გზის გამოვლის შემდეგ სული მოეთქვათ, მაგრამ ერთ დღესაც არ გაუვლია, რომ კუნძულს კოლხთა ფლოტი მოადგა. მათ მედეას გაცემა მოითხოვეს. სისხლიანი ბრძოლა დაიწყებოდა, ალკინოეს რომ არ დაეზავებინა მოწინააღმდეგეები. ალკინოემ გადაწყვიტა, მედეა კოლხებს უნდა დაბრუნებოდა, თუ ჯერ კიდევ არ იყო იასონის ცოლი. ღამით ალკინოეს ცოლმა არეტემ შიკრიკი მიუგზავნა იასონს და ალკინოეს გადაწყვეტილება ამცნო. იმავე ღამეს იასონმა და მედეამ საქორწინო წესები შეასრულეს და მეორე დღეს კოლხებსაც და ფეაკელებსაც იასონმა საზეიმო ფიცი მისცა, რომ მედეა მისი ცოლია. მაშინ ალკინოემ გადაწყვიტა, მედეა იასონთან უნდა დარჩესო, და კოლხებს აიეტთან ხელცარიელებს მოუხდათ დაბრუნება.

სტუმართმოყვარე ფეაკებთან დასვენებულმა არგონავტებმა გზა განაგრძეს. დიდხანს ბედნიერად მიცურავდნენ. აი, ცისფერ შორეთში, სადღაც დასალიერში გამოჩნდა პელოპონესის ნაპირები. უეცრად საშინელი ქარტეხილი

ამოვარდა და „არგო“ უკანვე გააქროლა. დიდხანს დაატარებდა უკიდეგანო ზღვაში ხომალდს ქარტეხილი და ბოლოს ერთ უდაბურ ნაპირზე გარიყა. „არგო“ ღრმად ჩაეფლო წყალმცენარეებით დაფარულ შლამში. არგონავტები სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მესაჭე ლინკეესი თავდახრილი იჯდა კიჩოზე და შინ დაბრუნების იმედი გადასწყვეტოდა. დანაღვლიანებული გმირები ნაპირზე დაეხეტებოდნენ, თითქოს მთელი ძალა, მთელი სიმამაცე დაეკარგათ. ყველანი თვალნათლივ ხედავდნენ დაღუპვას. იასონის დასახმარებლად ნიმფები მოვიდნენ. იასონს აუხსნეს, ქარტეხილმა „არგო“ ლიბიაში გამოაგდოო. როდესაც ამფიტრიტე თავისი ეტლიდან რაშებს გამოხსნის, შლამიდან უნდა ამოიღოთ „არგო“, ზურგით გადაიტანოთ უდაბნოზე და ისევ ჩაუშვათ ზღვაშიო. მაგრამ როდის გამოხსნის ამფიტრიტე თავისი ეტლიდან რაშებს, ნიმფებს ეს არ უთქვამთ და არც არგონავტებმა იცოდნენ ეს. არგონავტებმა უეცრად თვალი მოჰკრეს, თუ როგორ გამოიჭრა ტალღებიდან თოვლივით ქათქათა რაში და სწრაფად გაიჭრა უდაბნოში. ისინი მიხვდნენ, რომ ეს ამფიტრიტეს რაშია. ამოიღეს შლამიდან „არგო“ და შიმშილითა და წყურვილით დატანჯულებს თორმეტი დღის განმავლობაში მიჰქონდათ იგი უდაბნოში, ბოლოს ჰესპერიდების ქვეყანას მიაღწიეს. იქ ჰესპერიდებმა უჩვენეს ჰერაკლეს მიერ კლდეში გამოკვეთილი წყარო. გმირებმა წყურვილი მოიკლეს, წყალი მოიმარაგეს და სამშობლოსაკენ განაგრძეს გზა. მაგრამ არგონავტებმა ვერასგზით ვერ იპოვეს ზღვაში გასასვლელი, რადგან ზღვაში კი არა ტრიტონის ტბაში იმყოფებოდნენ. ორფევსის რჩევით არგონავტებმა ტბის ღმერთს სამფეხი უძღვნეს. მათ გამოეცხადა მშვენიერი ყმაწვილი. მან გმირ ევფემეს სტუმართმოყვარეობის ნიშნად მიწის ბელტი გადასცა. და ზღვაში გასასვლელი უჩვენა. არგონავტებმა მსხვერპლად ცხვარი შესწირეს. მაშინ თვით ღმერთი ტრიტონი გამოეცხადათ. „არგო“ მორევს მოარიდა და თეთრი კლდეების გაყოლებით ღია ზღვაში გაიყვანა. ტრიტონის ტბიდან არგონავტები მიცურდნენ კუნძულ კრეტამდე და იქ წყლის მომარაგება მოინდომეს, რათა ცურვა განეგრძოთ. მაგრამ კრეტის ნაპირზე მათ გადასვლას წინ აღუდგა სპილენძის ბუმბერაზი ტალოსი, რომელიც მინოსს თვით მეხთამტყორცნელმა ზევსმა აჩუქა. ტალოსი იცავდა კუნძულს, სამჯერ უვლიდა დღეში გარშემო და არავის უშვებდა ზედ. მაგრამ მედეამ თავისი ჯადოქრობით ტალოსი დააძინა. ბუმბერაზი დაეცა, დაცემის დროს ტალოსს გამოუვარდა სპილენძის ლურსმანი, რომელიც უმაგრებდა ერთადერთ ძარღვს, რომელშიც სისხლი ჩქეფდა. ბუმბერაზს შადრევანივით მოსკდა სისხლი, გამდნარ ტყვიასავით დაიღვარა იგი და ბუმბერაზმა სული განუტევა. ახლა არგონავტებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად გადასულიყვნენ კუნძულზე და მოემარაგებინათ წყალი, რამდენიც სურდათ.

კრეტიდან საბერძნეთს მიმავალ გზაზე გმირ ევფემეს ხელიდან გაუვარდა მიწის ბელტი, ტბაში ტრიტონმა რომ აჩუქა, ამ ბელტიდან შეიქმნა კუნძული, რომელსაც ბერძნებმა კალისტე შეარქვეს. მოგვიანებით მასზე ევფემეს შთამომავალნი დასახლდნენ და თერა უწოდეს.

ამის შემდეგ არგონავტებს ქარიშხალი შეხვდათ. ზღვაზე ქარიშხალთან ბრძოლა ბნელ ღამეში დაიწყო. არგონავტებს ეშინოდათ, რომ სადაცაა გემი ბრაგებს ან სანაპირო კლდეებს შეენარცხებოდა. უეცრად სივრცეში ოქროს ისარმა გაიელვა და ყველაფერი გაანათა, მას მეორე მოჰყვა, მერე მესამე აციმციმდა. ეს ღმერთი აპოლონი თავისი ისრებით გზას უნათებდა არგონავტებს. ისინი ანაფეს კუნძულს მიადგნენ და იქ დაელოდნენ ქარიშხლის ჩადგომას. როგორც იქნა ქარიშხალი ჩადგა, ზღვა დაწყნარდა და ზურგქარმა დაჰქროლა. „არგო“ წყნარად მიჰყვა ლაჟვარდისფერ ზღვას. გზაზე არგონავტებს სიძნელეები აღარ შეხვედრიათ და მალე სანატრელ ნავთსაყუდელს — იოლკოსს მიაღწიეს.

როცა არგონავტები იოლკოსს მიადგნენ, მდიდრული შესაწირავი უძღვნეს ღმერთებს, რომლებიც ამდენ განსაცდელში დაეხმარნენ. ზეიმობდა მთელი იოლკოსი და საყოველთაო სიხარულით ხვდებოდა არგონავტების დაბრუნებას. იოლკოსის მცხოვრებნი ადიდებდნენ დიდ გმირებსა და მათ ბელადს იასონს, რომელმაც მოიპოვა ოქროს საწმისი.

იასონი და მედეა იოლკოსში. პელიასის სიკვდილი

ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით

მუბანათმა პელიასმა სიტყვა არ შეასრულა, პირი გატეხა, არ დაუბრუნა იასონს მისი წინაპრების ძალაუფლება, რაც უკანონოდ ჰქონდა მიტაცებული. იასონმა წყენა გულში ჩაიმარხა და გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა მისთვის. მალე შურისძიების შემთხვევაც გამოჩნდა. იასონის ღრმად მოხუცებულმა მამამ, ესონმა შეიტყო, რომ მედეა დიდი ჯადოქარია, და მისი შემწეობით გაახალგაზრდავება მოიწადინა. თვითონ იასონმა სთხოვა ცოლს გაეახალგაზრდავებინა მამა. მედეაც დაჰპირდა, სურვილს შეგისრულებ, თუ ჰეკატე დამეხმარებაო.

შუაღამისას, ახალი მთვარე რომ გამოჩნდა, მედეა თმებჩამოშლილი და ფეხშიშველი, შავ სამოსში გამოწყობილი სახლიდან გავიდა. მიდამო ძილს მოეცვა, ყველგან ყრუ სიმშვიდე სუფევდა. უსიტყვოდ მიდის მთვარის შუქით გაცისკრვნებული მედეა. სამი გზის გასაყარზე შეჩერდა, ხელები აღმართა და

სამჯერ ხმამაღლა შესძახა. მერე დაბლა დაემხო და დაიწყო რაღაც შელოცვის ჩურჩული. ულოცავდა ღამეს, ციურ მნათობებს, მთვარეს, მიწას, გრძნებით კრავდა ქარებს, მთებსა და მდინარეებს. ტყეთა და ღამის ღმერთებს უხმობდა. დიდ ჰეკატეს ეეედრებოდა, მომისმინე და დამეხმარეო. უსმინა ჰეკატემ, ფრთოსანი დრაკონებით ეტლი მოაყენა. მედეა ეტლში ჩაჯდა და ათ დღე-ღამეს აგროვებდა ჯადოსნურ ბალახებსა და ფესვებს. მთებში, მდინარეებისა და ზღვის სანაპიროებზე. ხოლო როცა ესონის სახლში დაბრუნდა, ორი საკურთხეველი აღმართა: ერთი ჰეკატესათვის, მეორე — ახალგაზრდობის ქალღმერთისათვის. საკურთხევლების წინ ორი ორმო ამოთხარა და ზედ რძესა და თაფლში ამოვლებული შავი ცხვრები შესწირა მსხვერპლად წყვდიადისა და ჯადოქრობის ქალღმერთ ჰეკატეს. ამას გარდა მოუხმო ქვესკნელის მბრძანებელთ, ჰადესსა და პერსეფონეს, და სთხოვდა, ნუ წაართმევთო მოხუც ესონს სიცოცხლეს. მედეამ ჯადო-ბალახებზე დააწვინა მამამთილი და ჯადოქრობით ჩააძინა. სპილენძის ქვაბში მოხარშა ჯადოსნური სამსალა. ადუღდა წამალი და თეთრი ქაფი დაიყენა. ასწლოვანი ხის გამხმარი ტოტით ურევდა მედეა ჯადო-სითხეს. ტოტი ამწვანდა, ფოთლებით დაიფარა და მწვანე ნაყოფი გამოისხა. ყველგან, სადაც კი ჯადო-სითხე დაიღვრებოდა, ბალახი და ყვავილი იზრდებოდა. როდესაც დარწმუნდა, რომ სითხე მზადაა, მედეამ ესონს ყელის ძარღვები მახვილით გადაუჭრა, ძველი ბებრული სისხლი გამოუშვა, შემდეგ კი გაჭრილ ძარღვში თავისი ჯადოსნური წამალი ჩაასხა, და ო, სასწაულო! — მოხუცის მანამდე თეთრი თოვლივით ქათქათა თმა გაშავდა, გაქრა ნაოჭები და ლოყებზე ოდინდელი ვარდისფერი გამოკრთა. გაიღვიძა ესონმა და ნახა, რომ უწინდებურად ახალგაზრდა, ძლიერი და მხნეა.

მას შემდეგ, რაც მედეამ ესონისათვის ახალგაზრდობის დაბრუნება მოახერხა, მზაკვრული გეგმა შეადგინა, და გადაწყვიტა სამაგიერო მიეზღო პელიასისათვის, იასონი რომ მოატყუა და ტახტი არ დაუბრუნა.

მედეამ პელიასის ასულები დაარწმუნა, მამათქვენს გავაახალგაზრდავებო, და უფრო ნათლად რომ დაერწმუნებინა თავისი ჯადოსნობის ძალაში, ერთი მოზრდილი ცხვარი მოაყვანინა, აიღო და იმ ქვაბში ჩააგდო, სადაც ჯადოსნური სითხე იდგა. როგორც კი დაკლული ცხვარი ქვაბში ჩააგდეს, ქვაბიდან მაშინვე ცელქი ბატკანი ამოხტა. გაუკვირდათ პელიასის ქალიშვილებს ასეთი სასწაული და თანხმობა განაცხადეს, რომ მათი მამის გაახალგაზრდავებაც ეცადათ.

მედეამ ჯადო-სითხე მოამზადა, მაგრამ ისეთი კი არა, რითაც იასონის მამაა სიჭაბუკე დაუბრუნა. ამ წამალში აღარ იყო ჯადოსნური ძალა. მედეამ თავისი შელოცვებით პელიასი ჩააძინა, მის საწოლში მისივე ასულები მიიყვანა და უბრ-

ძანა მამისათვის ყელის ძარღვები გადაეჭრათ. მაგრამ ქალიშვილები ვერ ბედავ-დნენ მამისათვის ყელის გამოჭრას.

— სულმოკლენო! — შესძახა მედეამ. ახლავე იშიშვლეთ მახვილი, გამო-უშვით მამათქვენის ძარღვებიდან ბებერი სისხლი, მე კი ახალს ჩავასხამ.

ვერ ბედავენ პელიასის ასულები მამისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიყე-ნებას. ბოლოს თავები მიაბრუნეს და ერთიმეორის მიყოლებით დაუწყეს მამას მახვილის დაკვრა. გაიღვიძა მამამ, წამოიწია სასიკვდილოდ დაჭრილმა, მისუს-ტებული ხელები ასულებს გაუწოდა და კვნესით შესძახა:

— ო, ასულნო ჩემნო? რას აკეთებთ! რამ გაიძულათ, რომ საკუთარ მამაზე ხელი აღმართეთ?

ხელები დაუშვეს თავზარდაცემულმა ქალიშვილებმა. დგანან ფერწასულნი, გონება ეკარგებათ. მედეამ კი პელიასის ლოგინთან მიირბინა, ყელში თავისი დანა ჩასცა, დაკეპა და მდუღარე ქვაბში ჩააგდო. პელიასის საწოლ ოთახში გამოჩნდა ეტლი, რომელშიც შებმულნი იყვნენ ფრთოსანი დრაკონები, მედეა ჩაჯდა შიგ და პელიასის თავზარდაცემული ქალიშვილების თვალწინ სასახლი-დან გაქრა.

პელიასის შვილმა ადრასტემ მამას დიდებული გასვენება მოუწყო, გასვენე-ბის შემდეგ კი დაღუპულის პატივსაცემად ასპარეზობა გამართა. ამ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს საბერძნეთის უდიდესმა გმირებმა. მსაჯულად თვით ჰერ-მესი იყო. კასტორი, პოლიდევკე და ევფემე ეტლით სრბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ადმეტე და მოფსოსი — კრივში, ატლანტი და პელევსი — ჭიდაო-ბაში. სირბილში ყველას იფიკლემ გაუსწრო.

იასონმა მაინც ვერ მიიღო იოლკოსის ტახტი. ადრასტემ არ მისცა იოლ-კოსში დარჩენის უფლება, განდევნა იმის გამო, რომ მისმა ცოლმა მოკლა პე-ლიასი. იასონმა და მედეამ სამშობლო მიატოვეს და კორინთოში გადასახლდნენ.

იასონი და მედეა კორინთოში. იასონის სიკვდილი

ევრიპიდეს ტრაგედიის „მედეას“ მიხედვით

პელიასის მოკვლის შემდეგ იოლკოსიდან განდევნილი იასონი და მედეა კორინთოში მეფე კრეონტთან დასახლდნენ, მედეას ორი შვილი შეეძინა. თით-ქოს ბედნიერი უნდა ყოფილიყვნენ იასონი და მედეა უცხოეთშიც კი. მაგრამ ბედი არ უმზადებდა სიკეთეს არც ერთს, არც მეორეს. კრეონტის ასულის გლაკეს მშვენებით ტყვექმნილმა იასონმა გატეხა ფიცი, მედეას რომ მისცა

ჯერ კიდევ კოლხეთში, მაშინ, როცა მისგან ჯადოსნური საცხი მიიღო. უღალატა მას, ვისი წყალობითაც ჩაიდინა დიდი გმირობა და გლავკეს შერთვა განიზრახა. კრეონტი დათანხმდა თავისი ასული ცოლად მიეცა სახელგანთქმული გმირისათვის.

როდესაც მედეამ გაიგო იასონის ღალატის შესახებ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. უწინდებურად უყვარდა ქმარი. თითქოს უსულო ქვადა�ქცეული, ისე იჯდა დარდით დაღდასმული მედეა. არ ჭამდა, არ სვამდა, არ ესმოდა ნუგეშის სიტყვა; თანდათანობით შმაგი რისხვა ეუფლებოდა. მედეას დაუცხრომელი სული ვერ შერიგებოდა ეგზომ დამცირებას. განა შეეძლო კოლხეთის მეფის ამაყ ასულს, სხივთამთოველი ჰელიოსის შთამომავალს, მოთმენა იმისა, რომ მტრებმა იზეიმონ, გაიმარჯვონ, დასცინონ! არა, საშინელია რისხვის ჟამს მედეა, საზარელი იქნება თავისი სისასტიკით მისი რისხვა! ო! მედეა შურს იძიებს, სამაგიეროს გადაუხდის იასონსაც, გლავკესაც, მის მამას კრეონტსაც!

ყველაფერს წყევლის უსაშველოდ განრისხებული მედეა. წყევლის საკუთარ შვილებს, წყევლის იასონს. იტანჯება მედეა და ეკვედრება ღმერთებს, მეხის ერთი დაკვრით მოუღონ ბოლო. რა დარჩენია, შურისძიების გარდა, ამ ცხოვრებაში? სიკვდილს უხმობს მედეას, ის იქნება მის ტანჯვათა ბოლო, მხოლოდ სიკვდილი იხსნის უბედურებისაგან. რატომ მოექცა იასონი ასე სასტიკად მას, ვინც იხსნა, დაეხმარა, ჩააძინა დრაკონი, ხელში ჩაუგდო ოქროს საწმისი? ვინც მისი გულისათვის საფარში შეიტყუა საკუთარი ძმა და დაღუპა, იასონისავე გულისათვის მოკლა პელიასი? მედეა მოუხმობს ზევსსა და მართლმსაჯულების ქალღმერთ თემიდას, მოწმე იყავით, ნახეთ, რა უსამართლოდ მექცევა იასონიო. სულ უფრო და უფრო მტკიცდება მედეას გადაწყვეტილება — სამაგიერო მიუზღოს იასონს.

მაგრამ აი, მოდის კრეონტი და მედეას უცხადებს დაუყოვნებლივ დატოვოს კორინთოს საზღვრები. ეშინია კრეონტს მედეასი, იცის, რა სახიფათოც არის რისხვის ჟამს მედეა, რა ძლიერია მისი გრძნება. ხომ შეუძლია დაღუპოს მეფეც და მისი ასულიც?

მედეა კი, დროის მოგების მიზნით, ისეთ სახეს იღებს, თითქოს ემორჩილებაო კრეონტის ნებას, თითქოს ცნობს მის უფლებას, განდევნოს იგი კორინთოდან, მაგრამ სთხოვს მხოლოდ ერთ წყალობას — ნება დართოს დარჩეს კორინთოში კიდევ ერთი დღე. დათანხმდა კრეონტი, აზრადაც არ მოსვლია, რომ ამით დასაღუპავად გასწირა საკუთარი თავი. კრეონტი მედეას დაემუქრა, რომ სიკვდილით დასჯიდა მასაც და მის შვილებსაც თუ ამომავალი მზე კორინთოში მოუსწრებდათ. მედეამ იცის, რომ სასჯელის შიში არ უნდა ჰქონდეს. უფრო

ადრე დაიღუპება თვით კრეონტი, ტყუილად კი არ დაიფიცა ფერმკთალი ქალღმერთი სელენე და თავისი მფარველი ჰეკატე, რომ მტრებს სამაგიეროს გადაუხდიდა. არა, მედეა კი არა, მისი შეურაცხმყოფელნი ვერ გაექცევიან სიკვდილით სასჯელს. ნუთუ ის, ჰელიოსის შთამომავალი, სიზიფეს მოდგმისა და იასონის პატარძლის სასაცილო გახდება.

ამაოდ არწმუნებს მედეას იასონი, შენი და შენი შვილებით საკეთილდღეოდ ვირთავო გლავკეს, ჩვენი შვილები შემწეს და მფარველს იპოვნიან მომავალ ძმებში, თუ ღმერთები ახალი ქორწინებისაგან შვილებს მაჩუქებენო. მედეა ვერ ერწმუნება იასონის სიტყვებს, საყვედურობს ღალატის გამო და ემუქრება ღმერთების რისხვით, ქმრის მოსმენაც არ სურს. სძულს იასონი, ოდესღაც ასე რომ უყვარდა, სძულს ის, ვისთვისაც დაივიწყა მამა, ძმა, დედა, სამშობლო ქვეყანა. განრისხებული მიდის იასონი, უკან კი მიჰყვება მედეას დაცინვა და მუქარა.

ამ დროს კორინთოში ჩამოდის დელფოდან ტროიძენეს მიმავალი ათენის მეფე ეგეოსი. მეგობრულად ესალმება მედეას და ეკითხება, დაღონების მიზეზს. მედეა აუწყებს თავისი უბედურების ამბავს და სთხოვს მისცეს თავშესაფარი თავის სამეფო ქალაქ ათენში დევნილს, ქმრისაგან უკუგდებულს. ამასთანავე ჰპირდება ეგეოსს დახმარებას თავისი ჯადოქრობით მრავალრიცხოვანი შთამომავლობის გაჩენაში, რათა არ გადაშენდეს უშვილოდ, როგორც აქამდე იყო, ოღონდ უბედურ ქალს მისცეს თავშესაფარი. ეგეოსი ფიცს აძლევს მედეას გაგიჩენო თავშესაფარს. ფიცულობს დედამიწის ქალღმერთის გეას სახელს, მედეას პაპის ჰელიოსის და ოლიმპოს ყველა ღმერთის სახელს, რომ არ ჩაუგდებს ხელში მტერს. მხოლოდ ერთ პირობას უყენებს: მედეა მისი დახმარების გარეშე უნდა ჩავიდეს ათენში, რადგან ათენის მეფეს არ სურს უსიამოვნება მოუვიდეს კორინთოს მეფესთან.

მედეამ იპოვა თავშესაფარი და ახლა შეუდგა ჩაფიქრებული შურისძიების სისრულეში მოყვანას. გადაწყვეტილება მიიღო დაღუპოს არა მარტო კრეონტი და მისი ასული გლავკე, არამედ მოკლას საკუთარი შვილები, იასონის შვილები. მედეამ მოსამსახურე ქალის პირით უხმო იასონს. იასონი მოვიდა. მორჩილად აჩვენებს თავს მედეა. ისეთი სახე მიიღო თითქოს შეურიგდა თავის ბედს და იასონის გადაწყვეტილებას, მხოლოდ ერთსა სთხოვს: დაარწმუნოს კრეონტი და დაითანხმოს, რომ მისი შვილები კორინთოში დატოვოს. მოდიან შვილებიც. მათ დანახვაზე ტირის მედეა, ჰკოცნის თავის პატარებს, უყვარს შვილები, მაგრამ შურისძიების წყურვილი სიყვარულზე ძლიერია.

მაგრამ როგორ დაღუპოს გლავკე და კრეონტი? და იმ საბაბით, თითქოს

ცდილობს დაიყოლიოს გლავკე იასონის შვილების კორინთოში დატოვებაზე, მედეა გლავკეა საჩუქრად უგზავნის ძვირფას სამოსელს და ოქროს გვირგვინს. სწორედ ამ საჩუქარშია მთელი უბედურება. როგორც კი გლავკემ მედეას გამოგზავნილი სამოსელი ჩაიცვა, ტანში გაუჯდა საწამლავი, რითაც ეს სამოსი იყო გაჟღენთილი. სპილენძის სალტე'ავით მოუჭირა თავზე გვირგვინმა. სამოსი ტანსა სწვავს. საშინელ ტანჯვაში იღუპება გლავკე. საშველად მამა მიეშურება, ეხვევა უბედურ ასულს, მაგრამ შხამიანი სამოსი მასაც ეწებება. ცდილობს მოიშოროს, მაგრამ სამოსის ნაფლეთებთან ერთად ხელში რჩება ხორცის ნაგლეჯები. მედეას საჩუქრისაგან კრეონტიც იღუპება.

საზეიმო იერით ისმენს თავისი სასახლის კარებთან მდგარი მედეა კრეონტისა და საქორწილოდ გამზადებული მისი ასულის დაღუპვის ამბავს, მაგრამ მათმა დაღუპვამ ვერ მოუკლა მედეას შურისძიების წყურვილი. მან ხომ საკუთარი შვილების მოკვლაც გადაწყვიტა, რომ უფრო მეტად დატანჯოს იასონი! ახლა მედეას ამ საშინელი გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად აქეზებს ისიც, რომ იცის რა მძიმე ხვედრი ელით მის შვილებს, როცა კრეონტის ნათესავები შეიტყობენ მისი შურისძიების ამბავს. აჩქარებით შედის მედეა სასახლეში, მაშინვე მოისმის ბავშვების კვნესა და ყვირილი. მშობელმა დედამ მოკლა ღვიძლი შვილები. იასონი კი, შეშინებული იმით, რომ რაწამს კრეონტის ნათესავები კრეონტისა და მისი ასულის დაღუპვის ამბავს შეიტყობენ, შურისძიებით აღვსილნი მის შვილებს მოკლავენ, სასახლეში მიიჩქარის. სასახლის კარი დაგმანული ხვდება. იასონი კარის შემტვრევას ლამობს. უეცრად სივრცეში გამოჩნდება ღმერთ ჰელიოსის მიერ გამოგზავნილი ეტლი, რომელშიაც ფრთოსანი დრაკონებია შებმული. ეტლში მედეა ზის. ფერხთით უძევს დაკლული შვილების თავები და ტანი. იასონი ეკვედრება, გვამები მაინც დამიტოვე, რომ დავასაფლავოო, მაგრამ არც ამ ნუგეშს იმეტებს მისთვის მედეა და სასწრაფოდ მიაქროლებს თავის ჯადოსნურ ეტლს.

უსიხარულო იყო იასონის მთელი შემდგომი ცხოვრება. დიდი ხნით ვერსად იპოვა თავშესაფარი. ერთხელ, ისთმოსზე იმ ადგილის ახლოს გადიოდა, სადაც ნაპირზე ამოტანილი ზღვის ღმერთის პოსეიდონისადმი მიძღვნილი „არგო“ იდგა. დაღლილი იასონი „არგოს“ კიჩოს ჩრდილში წამოწვა დასასვენებლად და ჩაეძინა. დამშვიდებით რომ ეძინა, დახავსებული კიჩო ადგილიდან მოწყდა და მძინარე იასონი თავის ნამსხვრევებში ჩამარხა.

აგამემნონის სიკვდილი

ესქილეს ტრაგედიის „აგამემნონის“ მიხედვით

ტროაში სალაშქროდ წასვლის წინ აგამემნონმა თავის ცოლს კლიტემნესტრას სიტყვა მისცა, დაუყოვნებლივ შეგატყობინებ ტროას დაცემას და სისხლისმღვრელი ომის გათავებასო. მის მიერ გამოგზავნილ მსახურთ მთის მწვერვალებზე კოცონები უნდა გაეჩაღებინათ. ასეთ ნიშნებს, მთიდან მთამდე ცეცხლის შემწეობით გადაცემულთ, მოკლე ხანში უნდა ჩაეღწიათ მის სასახლემდე და კლიტემნესტრას სხვაზე ადრე უნდა გაეგო დიდი ტროას დაცემის ამბავი.

ცხრა წელი გრძელდებოდა ტროას ალყა. დადგა უკანასკნელი, მეათე წელიც, როდესაც, თანახმად წინასწარმეტყველებისა, ტროა უნდა დაცემულიყო. ახლა კლიტემნესტრას ყოველდღე შეეძლო მიეღო ტროას დაცემისა და ქმრის დაბრუნების ამბავი. მოულოდნელად რომ არ სტუმრებოდა აგამემნონი, კლიტემნესტრა ყოველ ღამე აგზავნიდა მსახურს მაღალი სასახლის სახურავზე. იქ მთელი ღამე თვალის მოუხუჭავად იდგა მონა და მზირა წყვდიადისათვის მიეპყრო. ზაფხულის თბილ ღამეებში, ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილში თუ ზამთარში, როცა ხელ-ფეხი სიცივით ითოშება და მაღლიდან თოვლი ცვივა, ფეხშოუცვლელად იდგა სახურავზე მონა. დღე დღეს მოსდევდა, დედოფლის მორჩილი მონა კი ყოველ ღამეს ელოდა დათქმულ ნიშანს. ელოდა კლიტემნესტრაც. მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ზეიმით შეხვედროდა ქმარს, — არა! დიდი ხანია იგი სხვისთვის ეგისთესთვის დაივიწყა. უცხო კაცს ანაცვალა ქმარი და იმავე

დღეს, როგორც კი დიდებამოსილი სამშობლოში დაბრუნდებოდა დაღუპვას უპირებდა.

ბაელი ღამე იყო. აი, ოდნავ ინათა აღმოსავლეთით. ახლოვდებოდა დილა. უეცრად მონამ შორეული მთის მწვერვალზე მოკაფე ცეცხლი შენიშნა. ეს იყო დიდი ხნის ნანატრი ნიშანი.

დაეცა დიდი ტროა. მალე დაბრუნდება შინ აგამემნონი. გაუპარდა მონას— ახლა დასრულდება ეს სამძიმო ღამის გუშაგობაო, საჩქაროდ დაეშვა სახურავიდან და კლიტემნესტრას აუწყა სასურველი ამბავი. მაგრამ განა სასიხარულო იყო ეს კლიტემნესტრასათვის?

ეპვის ჩრდილიც რომ არ დასცემოდა, კლიტემნესტრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს თვითონაც ძალიან გაახარა ამ ამბავმა, უხმო მონა ქალებს და ღმერთებისათვის სამადლობელი მსხვერპლის შესაწირავად წავიდა. გულის სიღრმეში კი მზაკვარი კლიტემნესტრა აგამემნონის დაღუპვის ზრახვას ფარავდა.

მალე ყველამ გაიგო, რომ დიდი ტროა დაეცა და ქალაქის მცხოვრებლებმა თავი შეიყარეს აგამემნონის სასახლესთან.

უხუცესებს სურდათ ეზოში დახვედროდნენ აგამემნონს, თუმცა ზოგჯერ ეპვი იპყრობდათ, მოახერხებდა თუ არა მათი ხელმწიფე ასე მალე დაბრუნებას. ეს ეპვი მალემსრბოლმა გაფანტა. შიკრიკმა მოქალაქეებს აუწყა, რომ აგამემნონი შორს აღარ იყო. კლიტემნესტრამ ყველას მხიარულად მოაჩვენა თავი. სასახლისაკენ გაეშურა, რათა ყველაფერი გაემზადებინა ქმრის შესახვედრად, მაგრამ შეხვედრისათვის კი არ ემზადებოდა, არამედ მკვლელობისათვის.

ბოლოს შორს აგამემნონის ეტლიც გამოჩნდა. იგი გამარჯვებულ ჯარს მოუძღოდა. ამაყად მოდიოდნენ ყვავილებითა და მწვანე რტოებით მორთული მეომრები და თან მოჰქონდათ აურაცხელი ნადავლი, მოჰყავდათ უთვალავი ტყვე ქალი. მეფის გვერდით ეტლში იჯდა პრიამეს ნაღვლიანი ასული, გრძნეული კასანდრა. ხმამაღალი შეძახილებით შეხვდა ხალხი მეფეს. შესახვედრად გამოვიდა კლიტემნესტრაც. მისი ბრძანებით სასახლის მთელი გზა პორფირის ქსოვილებით დაფარეს. როგორც ღმერთს, ისე ხვდებოდა კლიტემნესტრა თავის ქმარს. მეფეს კიდეც შეეშინდა, — ღმერთებს განვარისხებ, თუ ასეთი პატივი მივიღეო. აგამემნონმა სანდლები გაიხადა, სასახლეში შევიდა, უკან მზაკვარი კლიტემნესტრა მიჰყვებოდა და მოუთხრობდა, როგორ მოუთმენლად ელოდა, როგორ იტანჯებოდა განშორების წლებში. მაგრამ სასახლეში შესასვლელთან აგამემნონის ცოლი შეჩერდა და შესძახა:

— ზევსო! ზევსო! შეასრულე ჩემი ვედრება! დამეხმარე, რომ აღვასრულო ის, რაც განვიზრახე!

ამ სიტყვებით კლიტემნესტრა სასახლეში შევიდა.

მდუმარე მოქალაქეები სასახლესთან ირეოდნენ. დიდი უბედურების მძიმე წინათგრძნობა დაუფლებოდათ, არ იშლებოდნენ.

უეცრად სასახლიდან მომაკვდავი აგამემნონის საზარელი ყვირილი მოისმა. კლიტემნესტრამ აგამემნონი მაშინ მოკლა, როცა აბაზანიდან გამოდიოდა. ფართო გრძელი გადასაფენი შემოახვია, და მეფე ისე გაიხლართა შიგ, როგორც ბადეში, ამიტომ თავს ვეღარ იცავდა. ნაჯახის სამი დაკვრით მოკლა კლიტემნესტრამ მეუღლე.

სისხლიანი ნაჯახით ხელში და სისხლიანი სამოსით მოსილი გამოვიდა ხალხთან კლიტემნესტრა. თავზარი დასცა ყველა მოქალაქეს მისმა საზარელმა ბოროტმოქმედებამ, ქალი კი ისე ამაყობდა თითქოს დიდი გმირობა ჩაედინოს. მაგრამ თანდათან მასაც ეუფლება შიში. ეშინია, რომ ქმრის მოკვლისათვის პასუხისგება მოუხდება, ეშინია, რომ გამოჩნდება ვინმე, ვინც შურს იძიებს აგამემნონის მოკვლისათვის.

სასახლიდან ეგისთე გამოვიდა, სამეფო სამოსით მოსილი და ხელში სამეფო კვერთხით. საშინელმა დრტვინვამ მოიცვა ხალხი. ეგისთეს ნაკუწებად აქცევდნენ, კლიტემნესტრას რომ არ დაეცვა იგი. აგამემნონის დაღუპვით დამწუხრებული მოქალაქენი თანდათანობით დაიშალნენ. ეგისთე და კლიტემნესტრა კი სასახლეში შევიდნენ გახარებულნი იმით, რომ ასეთი დიდი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს და ხელთ იგდეს ძალაუფლება. მაგრამ არც მათ ეწერათ შურისგებისაგან თავის დაღწევა, მათაც ელოდათ სასტიკი სასჯელი, უწყალო ბედი რომ უქადდათ.

ორესზე შურს იძიებს მამის მკვლელობისათვის

ესქილეს ტრაგედიის „ქოეფორების“ მიხედვით

გავიდა მრავალი წელი აგამემნონის მოკვლიდან. ერთხელ სასახლესთან მის საფლავზე ორი ჭაბუკი მივიდა. ორთავეს მგზავრის სამოსი ეცვა. ერთ მათგანს, შესახედავად ასე თვრამეტი წლისას, წელზე მახვილი ერტყა, მეორეს კი, ცოტათი უფროსს, ორი შუბი ეკავა. უმცროსი სამარესთან მივიდა, თავიდან თმის კულული მოიჭრა და საფლავზე დადო. ეს იყო აგამემნონის შვილი ორესტე, აგამემნონის სიკვდილის დღეს რომ იხსნა მისმა ძიძამ და ფოკიდის მეფე სტროფიოსმა სამშობლოდან მოშორებით აღზარდა. ორესტეს მხლებელი კი იყო მისი მეგობარი, სტროფიოსის შვილი პილადე. ის იყო ორესტემ მსხვერპლი შესწირა თავის მამას, რომ სასახლის კარებში შავად მოსილი მონა ქალების ჯგუფი გამო-

ჩნდა. აგამემნონის საფლავისაკენ მოდიოდნენ. მათ შორის იყო მოკლული მეფის ასული ელექტრაც. მხევალი ქალების მსგავსად, მასაც ძაძები ემოსა და თმა შეჭრილი ჰქონდა. მეფის ასული არაფრით არ განირჩეოდა დანარჩენი მონა ქალებისაგან. ორესტე და პილადე აჩქარებით მიიმალნენ სამარესთან და ფარულად უთვალთვალებდნენ მხევლებს, აინტერესებდათ რას იზამდნენ. შავოსნები საფლავთან მივიდნენ და ტირილით სამჯერ შემოუარეს გარშემო. ისინი კლიტემნესტრას გამოეგზავნა, რადგან ღამით ცუდი სიზმარი ენახა და შიში დაუფლებოდა, რომ აგამემნონის სული ურისხდებოდა. მხევლებს მოკლულის სული უნდა დაეშოშმინებინათ. მაგრამ მხევლებს სიაგდათ კლიტემნესტრა აგამემნონის მოკვლისათვის, იმისთვისაც, რომ ჩაგრავდა და ავიწროებდა მათ. ჩაგრავდა კი იმიტომ, რომ ყველანი ტროელი ტყვეები იყვნენ და მათ დანახვაზე მოკლული ქმარი აგონდებოდა.

იმის ნაცვლად, რომ აგამემნონის სულისათვის დაწყნარება ეთხოვა ელექტრა მხევალთა რჩევით ღმერთებს შურისძიებას სთხოვდა. ელექტრას არც შეეძლო სხვაგვარად მოქცევა, — ქალიშვილს მთელი არსებით სძულდა მკვლელი დედა.

როცა მსხვერპლი შეწირეს და მხევლები წასასვლელად მოემზადნენ, ელექტრამ საფლავზე თმის კულული შენიშნა. თავის თმასთან მიამსგავსა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ორესტეს თმის კულული იყო. ხელში აიღო და ჩაფიქრდა: რატომ არ მოვიდა თვით ორესტე, რატომ გამოგზავნა მხოლოდ თმა? სწორედ ამ დროს წყნარად მიუახლოვდა ორესტე და გამოეხმაურა. ელექტრამ ერთბაშად ვერ იცნო ძმა. პატარაობის შემდეგ თვალითაც არ ენახა იგი. მაგრამ ორესტემ დას ის ნაქსოვი სამოსი უჩვენა, რომელიც ოდესღაც თვით ელექტრამ მოუქსოვა. გაუხარდა ელექტრას. ორესტემ უამბო, რომ ღმერთ აპოლონის ნებით იყო მოსული, დელფოში ღმერთმა უბრძანა შური ეძია მამის მოკვლისათვის დედაზე და ეგისთეზე. გონების წართმევით ემუქრებოდა აპოლონი ორესტეს, თუ ამ დავალებას არ შეასრულებდა. ორესტემ დას სთხოვა, ფრთხილად ყოფილიყო, და არავისთვის არ გაემხილა, რომ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა

ელექტრა სასახლეში შევიდა, გავიდა ხანი და კარზე ორესტემ და პილადემ დააკაკუნეს. გამოსულ მსახურს უთხრეს, კლიტემნესტრა უნდა ვნახოთ, საგულისხმო ამბავი გვაქვს გადასაცემიო. მსახურმა დედოფალი სასახლიდან გამოიხმო და ორესტემ მოახსენა: ფოკიდის მეფემ შემოგითვალა, შენი შვილი ორესტე მოკვდა და არ ვიცი გვამს რა ვუყოო. გაუხარდა კლიტემნესტრას: უკვე მოკვდა ის, ვისაც შეეძლო შური ეძია. კლიტემნესტრამ ქალაქში მყოფ ეგისთესაც შეატყობინა ორესტეს სიკვდილი, და ისიც სასწრაფოდ სასახლეში გამოეშურა, ისე

რომ მცველთა რაზმიც კი არ იახლა, ყველგან თან რომ დაჰყვებოდნენ. დასაღუ-პავად მიეშურება ეგისთე. როგორც კი სასახლეში შედგა ფეხი, ორესტეს ხელით განგმირული დაეცა. შეძრწუნებული მონა კლიტემნესტრასთან გაიქცა და საშ-ველად მოუხმო. ქალი მიხვდა, რომ მისი განკითხვის ჟამი დადგა, პასუხს აიებს მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

უეცრად დედასთან გასისხლიანებული მახვილით ორესტე შედის. კლიტემ-ნესტრა ძის ფერხთით დაემხო და შეწყალება შესთხოვა: მე ხომ დედა ვარ შენი, ჩემი ძუძუთი გამიზრდიხარო! ორესტეს არ შეეძლო შეწყალება, სიარულში უნდა მოეყვანა აპოლონის ბრძანება. ხელი სტაცა დედას და იქით წაათრია, სადაც ეგისთეს გვამი ეგდო და მასაც ბოლო მოუღო. ასე იძია შური ორესტემ მამისათვის.

სააახლესთან თანდათან შეგროვდა შეძრწუნებული ხალხი, ყველამ გაიგო ეგისთესა და კლიტემნესტრას მოკვლის ამბავი. არც ერთ მოქალაქეს არ აღძვრია გულში საძულველი ტირანის ეგისთესა და ვერაგი მკვლელის — კლიტემნესტ-რას სიბრალული. კარები გაიღო. ყველამ დაინახა ეგისთესა და კლიტემნესტ-რას გვამები, იქვე, მახვილამოწვდილი ორესტე იდგა. თავს დამნაშავედ არ თვლიდა ჭაბუკი, ასეთი მკვლელობა რომ ჩაიდინა: მან ხომ აპოლონის ნება შე-ასრულა, მოკლა მამის მკვლელები! მაგრამ ანაზდად ორესტეს შურისძიების ქალღმერთები — ერინიები გამოეცხადნენ. მათ თავებზე შხამიანი გველები იგრიხებოდნენ, თვალებიდან რისხვის ცეცხლს აფრქვევდნენ. აცახცახდა ორეს-ტე შეუბრალებული ქალღმერთების დანახვაზე. გრძნობდა თანდათანობით რო-გორ ეკარგებოდა გონება. მიატოვა სასახლე და ერინიების მიერ დევნილმა დელ-ფოს სამისნოს აპოლონის ტაძარს მიაშურა, იმედი ჰქონდა, რომ დაიცავდა ის ღმერთი, რომლის ბრძანებაც შეასრულა.

აპოლონი და ათენა-პალადა იხსნიან ორესტეს ერინიების დევნისაგან

ესქილეს ტრაგედიის „ევმენიდების“ მიხედვით

შურისმაძიებელი ერინიების დევნილი, დარდითა და ხეტიალით გაწამებუ-ლი ორესტე ბოლოს წმინდა დელფოში ჩავიდა და ომფალოსთან ჩამოჯდა. თვით აპოლონის ტაძარშიაც კი გაბედეს შესვლა მდევარმა ერინიებმა, მაგრამ იქ საშინელი ქალღმერთები ისართამტყორცნელმა აპოლონმა დააძინა, მათი ელდის მომგვრელი თვალები ღრმა ძილმა მოტეხა.

აპოლონი ერინიებისაგან ფარულად გამოეცხადა ორესტეს და ურჩია,

ათენს მიაშურე, ათენა-პალადას ძველებურ გამოსახულებას სთხოვე მფარველობაო. ღმერთმა დახმარება აღუთქვა უბედურ ორესტეს და გამყოლად თავისი ძმა, ღმერთი ჰერმესი მისცა. ორესტე ფეხაკრეფით გამოვიდა ტაძრიდან და ჰერმესის თანხლებით ათენს გაეშურა.

როგორც კი ორესტე წავიდა აპოლონის ტაძარში მიწიდან კლიტემნესტრას აჩრდილი ამოვიდა. მძინარე ერინიები რომ ნახა, გაღვიძება დაუწყო და საყვედურებით აავსო, რომ დევნა შეწყვიტეს და დედის მკვლელი მოასვენეს. კლიტემნესტრა აჩქარებდა ერინიებს განეგრძოთ დევნა, წამითაც არ მიეცათ მოსვენება ორესტესათვის. მაგრამ ღრმა ძილით ეძინათ ერინიებს, ძილში კვნესოდნენ, დროდადრო დაჰკიკინებდნენ, თითქოს ახლაც მისდევდნენ მკვლელს. ბოლოს, როგორც იქნა, გაიღვიძა ერთმა ერინიამ და სხვებსაც დაუწყო გამოღვიძება. გაშმაგდნენ ერინიები, როცა ნახეს, რომ ორესტე ხელიდან გასხლტომოდათ. აპოლონს უსაყვედურეს, დედის სისხლით დამძიმებული მკვლელი ხელიდან გამოგვტაცეო, მაგრამ აპოლონი ისრით დაემუქრა და შურისმგებელნი თავისი ტაძრიდან განდევნა, მძვინვარე რისხვით ანთებული ქალღმერთების დაუწყობელი გუნდი ორესტეს კვალს აედევნა.

ამასობაში ორესტე ათენს ჩავიდა, იქ ათენას ძველ ქანდაკებასთან ჩამოჯდა და ხელები მოჰხვია. მალე ერინიებიც გამოჩნდნენ. გაფაციცებით დაეძებდნენ ორესტეს. საშინლად განრისხებულნი მზად იყვნენ ნაკუწ-ნაკუწად ექციათ უბედური, მაგრამ ვერ გაბედეს ქალღმერთის წმინდა გამოსახულების შეურაცხყოფა.

ერინიების მრისხანე შეძახილების გაგონებაზე, ათენა მთელი თავისი მოციქიმე აღშურვილობით გამოეცხადა მათ. ერინიები მოითხოვდნენ ორესტეს გადაცემას, საშინელი ტანჯვით უნდა მოეკლათ დედის მკვლელი. ორესტე კი ქალღმერთს ევედრებოდა, მფარველობა გაეწია. მოაგონა თავისი მამა აგამემნონი, როგორ დაიღუპა მზაკვარ კლიტემნესტრას ხელით. განა თავისი ნებით იძია შური დედაზე? ის ხომ აპოლონის ბრძანებას ასრულებდა! ორესტე ათენას ევედრებოდა, თვით შენ გამასამართლეო.

ათენამ ისმინა ორესტეს ვედრება. მისი საქმის გადასაწყვეტად ათენელ უხუცესთაგან სამსჯავრო შეადგინა. ეს სამსჯავრო — არეოპაგი ამიერიდან დაუშლელად უნდა არსებულიყო და ჟამით ჟამამდე უნდა შეკრებილიყო იმ გორაკზე, სადაც ერთ დროს ბანაკად დადგა ამორძალთა ლაშქარი, თეზევსს რომ დაესხა თავს. ამ გორაკს იმ დროიდან არესის გორაკი ეწოდებოდა, რადგან ამორძალებმა სწორედ არესს შესწირეს მსხვერპლი.

სამსჯავროზე თავი მოიყარეს ათენას მიერ შერჩეულმა უხუცესებმა. მოი-

ერინიები სდევნიან ორესტეს (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

ტანეს ორი ურნა, რომლებშიც მსაჯულთ ხმის მიცემის დროს კენჭები უნდა ჩაეშვათ. დაიწყო გასამართლება. მთავარი მსაჯულის მოვალეობას თვით ქალ-ღმერთი ათენა ასრულებდა. ხალხი მოზღვავდა, ყველას სურდა გაეგო, რა გადა-წყვეტილებას გამოიტანდა სამსჯავრო. ერინიები ბრალს სდებდნენ ორესტეს და მის მკაცრად დასჯას მოითხოვდნენ. ორესტეს დამცველად გამოვიდა თვით ღმერთი აპოლონი. მშვიდად დაიწყო ლაპარაკი აპოლონმა. ჭაბუკის საქციელს ამართლებდა, რადგან მან შური იძია კლიტემნესტრაზე, რომელსაც საშინელი დანაშაული — ქმრის მკვლელობა — დიდი გმირის, მეფე აგამემნონის მკვლ-ელობა ჰქონდა ჩადენილი. დაბოლოს, ორესტემ ხომ მისი ნება აღასრულა! უხუ-ცესმა მსაჯულებმა მოუსმინეს ბრალმდებელთაც და დამცველსაც და კენჭის ყრაზე გადავიდნენ.

გადაწყვეტილება ასეთი იყო: თუ ხმათა ერთნაირი რაოდენობით იქნებ; მოთხოვნილი ორესტეს დასჯაც და გამართლებაც, მას გაამართლებენ. მსაჯულ-თა ხმები რომ დაითვალეს, მართლაც ხმათა რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა. ხმათა თანაბარი რაოდენობა იმიტომ აღმოჩნდა, რომ ორესტეს სასარგებლოდ ხმა მისცა თვით ათენამ, რომელმაც განაცხადა, რომ ხმას ვაძლევ ორესტეს სა-სარგებლოდ იმის გამო, რომ არ მყავს დედა და მყავს მხოლოდ მამა, — ღმერთი ზევსი.

ამრიგად, ორესტე გამართლდა და ერინიები იძულებული იყვნენ შეეწყვი-ტათ მისი დევნა.

საშინლად განრისხდნენ ერინიები, — სამსჯავრო მათ ართმევდა უდავო უფლებას, საშინელი წამებით დაესაჯათ დამნაშავენი. ისინი იმუქრებოდნენ, გავაპარტახებთ ატიკას და უბედურებათა ზღვაში ჩავძირავთო. მაგრამ ათენამ დააცხრო ქალღმერთების რისხვა: დაარწმუნა სამუდამოდ დარჩენილიყვნენ ატიკის წმინდა გამოქვაბულში, და დაჰპირდა, რომ ყველა ათენელი თაყვანსა სცემდა მათ.

მრისხანე ქალღმერთებმა თანხმობა განაცხადეს. ერინიები დიდი ზარ-ზეიმით წაიყვანეს მოქალაქეებმა ათენა ქალღმერთისა და მისი ქურუმების წინამძღოლობით მათთვის განკუთვნილ გამოქვაბულში — არესის ბორცვის ძირას.

იმ დროიდან ერინიები ატიკის მფარველნი გახდნენ, ხოლო ხალხი ამიერიდან მათ ევმენიდებს უწოდებდა.

ორესტე მიემგზავრება ტავრიდში აიღეთ ქმინდა გამოსახულების ჩამოსატანად

ევრიპიდეს „იფიგენია ტავრიდში“ მიხედვით

ორესტე გამართლდა, მაგრამ მაინც ვერ დააღწია თავი ერინიების დევნას. ყველა ერინია როდი ემორჩილებოდა ათენის არეოპაგის გადაწყვეტილებას. ზოგიერთი მათგანი მაინც განაგრძობდა ორესტეს დევნას, არ აძლევდა მოსვენებას არც დღე, და არც ღამე. ბოლოს, ტანჯვით ილაჯგაწყვეტილი ორესტე ისევ დელფოში ჩავიდა და აპოლონის ტაძარს შეაფარა თავი. იქ აპოლონმა შორეულ ტავრიდში ჩასვლა და ქალღმერთ არტემიდეს წმინდა გამოსახულების ჩამოტანა უბრძანა. ეს გმირობა სახიფათო იყო. ტავრიდში მცხოვრები ტავრების ტომი ამ გამოსახულებას მსხვერპლად სწირავდა ყველა უცხოელს, ვისაც კი ხელთ ჩაიგდებდნენ სანაპიროზე. ეს ხვედრი ელოდა ორესტესაც.

ორესტე მაინც გაეშურა შორეულ მხარეში. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა განწმენდილიყო ჩადენილი შეცოდებისაგან და თავი დაეღწია ერინიების დევნისათვის. ბედნიერი ცურვის შემდეგ ორესტე და მისი მეგობარი პილადე ტავრიდში ჩავიდნენ, გემი სანაპიროს კლდეებს შორის დამალეს და არტემიდეს ტაძარს მიაშურეს. ორესტემ რა იცოდა, რომ ამ ტაძრის ქურუმი იყო მისი და იფიგენია, სწორედ ის, ვისი მსხვერპლად შეწირვაც ოდესღაც ბერძნებს უნდოდათ არტემიდესათვის. ორესტემ და პილადემ დღისით ვერ გაბედეს არტემიდეს გამოსახულების გატაცება და ღამეს დაელოდნენ. მაგრამ მეგობრები მწყემსებმა შენიშნეს, თავს დაესხნენ, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილეს, შეკ-

იფიგენიას არტემიდეს ტაძარში მიჰყავს შებოჭილი ორესტე და პილადე
(ბ ა რ ე ლ ი ე ფ ი, ძვ. წ. II საუკ.).

რეს და მეფეს მიჰგვარეს. მეფემ გადაწყვიტა ორივე უცხოელი არტემიდესათვის შეეწირა მსხვერპლად.

დილით შებოჭილი ჭაბუკები ტაძარში მიიყვანეს. იფიგენიას ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ თავისი ხელით ღვიძლი ძმა უნდა დაეკლა. ღამით მძიმე სიზმარი ნახა, ვითომ მიწისძვრამ მისი მამის სასახლე დაანგრია, დარჩა მხოლოდ ერთი სვეტი, საიდანაც ქერა კულულები ეშვებოდა, მან გარეცხა სვეტი, და სამსხვერპლოდ გაამზადა. იფიგენიამ გადაწყვიტა, რომ მისი ძმა ორესტე დაიღუპა და განიზრახა განსვენებული ძმის პატივსაცემად მსხვერპლის შეწირვა. მსხვერპლის შეწირვის დროს მეფის მსახურებმა იფიგენიას შებოჭილი ორესტე და პილადე მოჰგვარეს. ქურუმმა ქალმა დაიწყო გამოკითხვა, საიდან იყვნენ და ვინ იყვნენ. რაკი გაიგო, ბერძნები ყოფილანო, მაშინვე აგამემნონის და თავის ძმის ორესტეს ამბავი ჰკითხა. სანუგეშო ვერაფერი უთხრეს ორესტემ და პილადემ.

ბოლოს, იფიგენიამ გადაწყვიტა მხოლოდ ერთი მათგანი მოეკლა, მეორესათვის კი საბერძნეთში წერილი გაეტანებინა ორესტესთან, რათა მის ძმას გაეგო, რომ იფიგენია ცოცხალია. მხოლოდ აქ გამოირკვა, რომ და-ძმა შეხვდა ერთიმეორეს. გაუხარდათ იფიგენიასა და ორესტეს ასეთი მოულოდნელი შეხვედრა. მაგრამ როგორ იხსნან თავი? რანაირად მოახერხონ გაქცევა?

იფიგენიამ ხერხს მიმართა. ტავრების მეფეს მოახსენა, არტემიდეს ქანდა-

�ba შერყვნილია, უნდა განიბანოს ქალღმერთის სახეც და მსხვერპლად შესაწირი ორივე უცხოელიცო. ტავრების მეფე დათანხმდა.

იფიგენია საზეიმო მსვლელობას გაუძღვა სანაპიროზე. იმ ადგილისაკენ, სადაც ორესტეს ხომალდი იყო დამალული. ტაძრის მსახურებს არტემიდეს გამოსახულება მიჰქონდათ, ხოლო მეფის მსახურებს შებოჭილი უცხოელები ორესტე და პილადე მიჰყავდათ. ზღვის პირას რომ მივიდნენ, იფიგენიამ მეფის მსახურთ ჩამოცილება უბრძანა, რადგან არ შეიძლება განბანვის საიდუმლო წესი ღვთისმსახურთა გარდა ვინმემ იხილოსო. როცა მსახურნი გაეცალნენ, იფიგენიამ სასწრაფოდ გაათავისუფლა ორესტე და მისი ერთგული მეგობარი და მათთან ერთად გემს მიაშურა. მეფის მსახურთ საეჭვოდ ეჩვენათ, რომ განბანვის წესი ასე დიდსანს სრულდებოდა. ნაპირზე მივიდნენ და ნახეს ხომალდი, რომლითაც ორესტე იფიგენიას წაყვანას აპირებდა. მეფის მსახურნი ორესტეს მისცვივდნენ, რომ ხელიდან გამოეგლიჯათ თავიანთი ქურუმი ქალი. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ორესტემ და პილადემ მეფის მსახურნი უკუაქციეს. ორესტე და მისი და თანამგზავრების თანხლებით გემზე ავიდნენ. მესაჭეები თავიანთ ადგილებზე დასხდნენ და გემი ზღვაში გავიდა. მაგრამ არ ეწერათ ტავრიდის ასე იოლად დატოვება.

საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ხომალდი ისევ ნაპირზე გამოაგდო. გემზე მყოფი ყველა ბერძენი დაიღუპებოდა, ტავრების ხელში რომ ჩავარდნილიყვნენ, მაგრამ დასახმარებლად ათენა-პალადა მოევლინათ. ტავრების მეფეს გამოეცხადა და უბრძანა საბერძნეთში გაეშვა არა მარტო ორესტე, მისი და იფიგენია და თანამგზავრები, არამედ არტემიდეს ტაძრის ყველა ქურუმი ქალიც. მეფე ქალღმერთის ნებას დაემორჩილა. ახლა იფიგენიას შეეძლო დაბრუნებულიყო სამშობლოში, საიდანაც ოდესღაც ქალღმერთმა არტემიდემ ტავრებთან ჩაიყვანა.

ბედნიერად იმგზავრა უკან ორესტემ. უბიფათოდ დაბრუნდა სამშობლოში, მოკლა ეგისთეს შვილი ალეტე, რომელსაც მის არყოფნაში ხელთ ეჭდო ტახტი. თავის ერთგულ მეგობარ პილადეს, რომელიც მზად იყო ტავრიდში მის მაგიერ მომკვდარიყო იფიგენიას სამსხვერპლო დანით, ორესტემ ცოლად მისცა თავისი და ელექტრა. იფიგენია კი გახდა ქურუმი არტემიდეს ტაძრისა, ატიკაში ათენის მახლობლად, ზღვის ნაპირას რომ ააშენეს.



ოიდიპოსი. მისი ბავშვობა, ახალგაზრდობა და თებეში დაბრუნება

I

სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის“ მიხედვით

თებეს მეფეს კადმოსის შვილს პოლიდორეს და მის ცოლს ნიუქტიდეს ჰყავდათ შვილი ლაბდაკე, თებეს ტახტის მემკვიდრე. ლაბდაკეს შვილი და მემკვიდრე იყო ლაიოსი. ერთხელ ლაიოსმა პისაში მეფე პელოპი ინახულა და დიდხანს დაჰყო მასთან სტუმრად. ლაიოსმა უმადურობით უპასუხა მასპინძელს სტუმართმოყვარეობისათვის. პელოპის შვილი ქრისიპე მოიტაცა და თავისთან თებეში წაიყვანა. განრისხებულმა და დანაღვლიანებულმა მამამ ლაიოსი დაწყევლა და უსურვა, ღმერთებმა ჩემი შვილის გამტაცებელი იმით დასაჯონ, რომ საკუთარმა შვილმა დაღუპოსო. ასე დაწყევლა ქრისიპეს მამამ ლაიოსი, და მამის ეს წყევლა უნდა აღსრულებულიყო.

შვიდჭიშკრიან თებეში დაბრუნებული ლაიოსი დაქორწინდა მენეკევსის ასულ იოკასტეზე. ლაიოსი დიდხანს მშვიდად ცხოვრობდა თებეში, და მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: შვილი არ ჰყავდა. ბოლოს ლაიოსმა გადაწყვიტა დელფოში წასვლა, რათა აპოლონისათვის ეკითხა უშვილობის მიზეზი. მკაცრი პასუხი მისცა აპოლონის ქურუმმა ქალმა პითიამ ლაიოსს:

— ლაბდაკეს შვილო, ღმერთები შეგისრულებენ სურვილს, გაჩუქებენ შვილს, მხოლოდ იცოდე: საკუთარი შვილის ხელით დაიღუპები, პელოპის წყევლა გიწევს!

თავზარი დაეცა ლაიოსს დიდხანს ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი უწყალო ბედის განაჩენისათვის. ბოლოს გადაწყვიტა, შვილი დაბადებისთანავე მოეკლა.

მალე ლაიოსს მართლა ეყოლა ვაჟი. სასტიკმა მამამ ახალშობილს ფეხები ღვედით შეუკრა, ტერფებში წვეტიანი რკინა გაუყარა, უბრძანა ყრმის დაგდება კითერონის ფერდობზე, რათა იქ გარეულ მხეცებს დაეგლიჯათ. მაგრამ მონამ არ შეასრულა მეფის ბრძანება. ბავშვი შეეცოდა და კორინთოს მეფის პოლიბოსის მონას გადასცა. ეს მონა სწორედ იმ ხანებში კითერონის კალთებზე მეფის ჯოგს მწყემსავდა. მწყემსმა ყმაწვილი პოლიბოსს მიპგვარა, პოლიბოსი უშვილო იყო და გადაწყვიტა ბავშვის საკუთარი შვილივით აღზრდა და მემკვიდრედ გამოცხადება. მეფე პოლიბოსმა ყმაწვილს, ჭრილობებისაგან დასიებული ფეხების გამო, ოიდიპოსი უწოდა.

ასე გაიზარდა ოიდიპოსი პოლიბოსისა და მისი მეუღლის მეროპეს სასახლეში. მეფე-დედოფალმა შვილად გამოაცხადეს და თვით ოიდიპოსიც მათ მშობლებად თვლიდა. გავიდა ხანი, ოიდიპოსი გაიზარდა და დავაჟკაცდა, ერთხელ ნადიმზე ერთმა შეზარხოშებულმა მეგობარმა მას ნაშვილები უწოდა, რამაც შეაძრწუნა ოიდიპოსი. ეჭვი შეეპარა. პოლიბოსთან და მეროპესთან მივიდა და დიდხანს ეხვეწებოდა გაემხილათ მისთვის დაბადების საიდუმლოება. მაგრამ არც პოლიბოსმა, არც მეროპემ არაფერი აუხსნეს. მაშინ ოიდიპოსმა განიზრახა დელფოში ჩასვლა და თავისი დაბადების საიდუმლოების გაგება.

უბრალო მგზავრივით გაემართა ოიდიპოსი დელფოსაკენ. სხივნათელმა აპოლონმა მისან პითიას პირით შეატყობინა:

— ოიდიპოს, საზარელია შენი ბედი! შენ მოკლავ მამაშენს, შეირთავ საკუთარ დედას, და ამ ქორწინებისაგან გეყოლება შვილები, დაწყეველილნი ღმერთებისაგან და შეძულებულნი ადამიანთაგან.

თავზარი დაეცა ოიდიპოსს. როგორ გაექცეს ბოროტ ბედს, როგორ დააღწიოს თავი მამის მკვლელობასა და დედის ცოლად შერთვას? ორაკულმა არ დაუსახელა მშობლები! ოიდიპოსმა გადაწყვიტა აღარ დაბრუნებულიყო კორინთოში. ვთქვათ, პოლიბოსი და მეროპე მისი მშობლებია? ნუთუ პოლიბოსს მოკლავს და მეროპეს ცოლად შეირთავს? ოიდიპოსმა განიზრახა უთვისტომო, უნათესავო, სამშობლოს მოკლებულ მოხეტიალე ყარიბად დარჩენილიყო.

მაგრამ განა შეიძლება გაექცეს ვინმე ბედისწერას? ოიდიპოსმა არ იცოდა, რომ რაც უფრო შეეცდებოდა გაქცეოდა თავის ბედისწერას, მით უფრო მტკიცედ წავიდოდა იმ გზით, რაც ბედმა განუჩინა.

უსახლკარო მგზავრივით წამოვიდა ოიდიპოსი დელფოდან. არ იცოდა, საით წასულიყო, და პირველსავე გზას დაადგა. ეს იყო თებეს მიმავალი გზა. ამ გზაზე ვიწრო ხეობაში, პარნასის მთის ძირას, სამი გზის შესაყარზე, ოიდიპოსს შემოხვდა ეტლი, მასში ჭაღარა, დიდებული სახის მოხუცებული იჯდა. ეტლს მაცნე

ოიდიპოსი ხსნის სფინქსის გამოცანას (ნ ა ხ ა ტ ი ლ ა რ ნ ა კ ზ ე).

მართავდა, უკან კი მსახურნი მოჰყვებოდნენ. მაცნემ უხეშად შეუძახა ოიდიპოსს, გზიდან ჩამოცლოდა, და შოლტი მოუქნია. განრისხებულმა ოიდიპოსმა კადნიერს გაარტყა და ეტლისათვის ჩავლა უნდოდა, როდესაც ბერიკაცმა ანაზდეულად თავზე კვერთხი დაჰკრა.

განრისხდა ოიდიპოსი, ანგარიშმიუცემლად მოხუცს თვითონაც ჩაარტყა თავში კვერთხი, და ბერიკაცი მკვდარი დაეცა. ოიდიპოსი მხლებლებს დაერია და ყველანი გაქლიტა, მხოლოდ ერთმა მსახურმა მოახერხა თავის დაღწევა და მიმალვა. ასე აღსრულდა ბედისწერის ბრძანება: ოიდიპოსმა თავისდა უნებურად მოკლა საკუთარი მამა — მეფე ლაიოსი. ეს მოხუცი სწორედ დელფოში მიმავალი ლაიოსი იყო, ლაიოსს აპოლონისათვის უნდა ეკითხა, როგორ დაეღწია თავის სფინქსისათვის.

ოიდიპოსმა დამშვიდებით განაგრძო გზა. მკვლელობაში თავს დამნაშავეღ არ გრძნობდა: პირველი ხომ არ დაესხა თავს, მხოლოდ თავს იცავდა. შეუჩერებლივ მიჰყვებოდა ალალბედზე არჩეულ გზას და ბოლოს თებეში ჩავიდა.

დიდი ვაება სუფევდა თებეში. კადმოსის ქალაქს ორი უბედურება დაატყ-

და. ტითონისა და ექიდნას ნაშიერი საშინელი სფინქსი თებეს მახლობლად სფინგიონეს მთაზე დასახლებულიყო და სულ ახალ-ახალ მსხვერპლს ითხოვდა. და კიდევ მონამ ცნობა მოიტანა, რომ ვიღაც უცნობმა მოკლა მეფე ლაიოსი. მოქალაქეთა მწუხარება რომ ნახა, ოიდიპოსმა განიზრახა უბედურებისაგან მათი დახსნა. გადაწყვიტა პირადად ენახა სფინქსი.

საშინელი სანახავი იყო ქალის თავიანი, უშველებელი ლომის ტანისა, ლომისავე ბასრი კლანჭებით აღჭურვილ თათებიანი და უზარმაზარი არწივის ფრთებიანი სფინქსი. ღმერთების გადაწყვეტილებით სფინქსი მანამდე უნდა დარჩენილიყო თებეში, ვიდრე ვინმე არ ამოხსნიდა მის გამოცანას. ეს გამოცანა სფინქსს მუზებმა გაანდეს. ყველა მგზავრს, ვინც კი ახლოს ჩაუვლიდა, სფინქსი ამ გამოცანას აძლევდა, მაგრამ არავის შეეძლო მისი ახსნა, და ყველა იღუპებოდა სფინქსის რკინისბრჭყალებიან თათებში. ბევრი სახელოვანი თებელი ცდილობდა თავისი ქალაქის დახსნას სფინქსისაგან, მაგრამ ყველა დაიღუპა.

ოიდიპოსიც მივიდა. სფინქსმა თავისი თავსატეხი უთხრა:

— მითხარი, ვინ დადის დილით ოთხ ფეხზე, შუადღისას ორზე და საღამოს სამზე? არც ერთი მიწიერი არსება არ იცვლის სახეს მასავით. როცა ოთხ ფეხზე დადის, მაშინ ნაკლები ძალა აქვს და უფრო ნელაც მოძრაობს, ვიდრეს სხვა დროს.

წამითაც არ დაფიქრებულა ოიდიპოსი, ისე უპასუხა:

— ეს ადამიანია! როცა პატარაა, მხოლოდ დილაა მისი სიცოცხლისა, მაშინ სუსტია და ოთხ ფეხზე დახოხავს. დღისით, ესე იგი, სიმწიფის ასაკში, ორ ფეხზე დადის, ხოლო საღამოს, ესე იგი, სიბერის დროს, სუსტდება დასაყრდენი სჭირდება და ჯოხს იყენებს, მაშინ სამ ფეხზე დადის.

ასე გამოიცნო ოიდიპოსმა სფინქსის გამოცანა. ხოლო სფინქსმა ფრთები აიქნია და კლდიდან ზღვაში გადაეშვა. ღმერთების მიერ გადაწყვეტილი იყო, რომ სფინქსი უნდა დაღუპულიყო, თუ ვინმე მის გამოცანას გამოიცნობდა. ასე გაათავისუფლა ოიდიპოსმა თებე უბედურებისაგან.

როცა ოიდიპოსი თებეში დაბრუნდა, თებელებმა მეფედ გამოაცხადეს. რადგან ადრევე დადგენილი იყო განსვენებული ლაიოსის მაგიერ დროებით ტახტზე მყოფი კრეონტის მიერ: ის უნდა გახდეს თებეს მეფე, ვინც სფინქსისაგან გვიხსნისო. თებეში რომ გამეფდა, ოიდიპოსმა ცოლად შეირთო ქვრივი დედოფალი იოკასტე. იოკასტეს ოიდიპოსისაგან შეეძინა ორი ასული — ანტიგონე და ისმენე, და ორი ვაჟი — ეტეოკლე და პოლინიკე. ასე აღსრულდა ბედისწერა: ოიდიპოსი გახდა საკუთარი დედის ქმარი, და მისგან ეყოლა ოთხი შვილი.

ოიდიპოსი თებეში

სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის" მიხედვით

ხალხის მიერ მეფედ გამოცხადებული ოიდიპოსი ბრძნულად განაგებდა თებეს. დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდნენ თებელები, მეფე-დედოფლის ოჯახურ სიმშვიდეს არაფერი არღვევდა. მაგრამ ბედისწერა ოიდიპოსს უბედურებას უქადდა და აი, დიდი განსაცდელი დაატყდა თავს თებეს. ისართმტყორცნელმა ღმერთმა აპოლონმა თებეს საშინელი სენი მოუვლინა. დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს ერთნაირად ხოცავდა შავი ჭირი. თებე თითქოს ერთიან სასაფლაოდ იქცა. ქუჩებსა და მოედნებზე დაუსაფლავებელთა გვამები ეყარა. კვნესა და გოდება გაისმოდა ყველგან. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებდით დედების და ცოლების ტირილს. მარტო საშინელი სნება კი არ მძვინვარებდა თებეში, — შიმშილიც მეფობდა, რადგან მიწა მოსავალს აღარ იძლეოდა, და ჯოგებიც ზედიზედ იხოცებოდა. თითქოს დიდი კადმოსის ქალაქის აღსასრული დადგა. ამაოდ სწირავდნენ მოქალაქეები ღმერთებს მსხვერპლსა და ამაოდ ევედრებოდნენ, დაგვიხსენითო. არ ესმოდათ ღმერთებს ლოცვა-ვედრება. სულ უფრო ძლიერდებოდა უბედურება.

ხალხი მოზღვავდა ოიდიპოს მეფესთან და შველა შესთხოვა. ევედრებოდნენ, გვასწავლე უბედურებისაგან თავის დაღწევის რაიმე ღონე. ხომ დაეხმარა ოიდიპოსი მოქალაქეებს და ქალაქი სფინქსისაგან იხსნა! მაშ ახლაც დაეხმაროს. ოიდიპოსს თვითონაც ტანჯავდა თავისი ქალაქისა და მოდგმის ბედი, და დელფოში უკვე გაგზავნა თავისი მეუღლის იოკასტეს ძმა, კრეონტი, რომ აპოლონისათვის ეკითხა, როგორ დაეღწიათ თავი უბედურებისათვის. კრეონტი მალე უნდა დაბრუნებულიყო და ოიდიპოსი მოუთმენლად ელოდა მას.

აი, მოვიდა კრეონტი და მოიტანა ორაკულის პასუხი. აპოლონმა ბრძანა იმის განდევნა ქალაქიდან, ვინც თავისი დანაშაულით ასეთი უბედურება დაატეხა თებეს. მოქალაქეებმა უნდა განდევნონ ან სიკვდილით დასაჯონ მეფე ლაიოსის სისხლის დამღვრელი. მაგრამ რანაირად მონახონ მეფე ლაიოსის მკვლელი? ის ხომ გზაში მოკლა ვიღაც უცნობმა, და ყველა მისი თანამგზავრიც დახოცა, ერთი მონის გარდა! ოიდიპოსმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ეპოვნა ლაიოსის მკვლელი. ვინც არ უნდა ყოფილიყო, სადაც არ უნდა ყოფილიყო დამალული, თუნდაც მის საკუთარ სასახლეში აფარებდეს თავს და მისი მახლობელი ადამიანი აღმოჩნდეს. ოიდიპოსმა კრებაზე მთელი ხალხი მოიწვია, მოსათათბირებლად, როგორ იპოვნონ მკვლელი. ხალხმა დაასახელა მისანი ტირესია, მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი შველაო. მოჰყავთ მისანი ტირესია. ოიდიპოსი

სთხოვს დაასახელოს ლაიოსის მკვლელი. რა უნდა უპასუხოს ტირესიამ? იცის, ვინც არის მკვლელი, მაგრამ დასახელება არ შეუძლია.

— ო, გამიშვი შინ, ჩვენთვის ორივესთვის უფრო მსუბუქი იქნება ის ტვირთი, რომელიც ბედმა გვარგუნა, — ეუბნება ბრმა ტირესია.

მაგრამ ოიდიპოსი პასუხს ითხოვს.

— საძაგელო, — შესძახა ოიდიპოსმა, — შენ არ გსურს პასუხის გაცემა! შენი ჯიუტობით ქვასაც კი განარისხებ.

დიდხანს ჯიუტობს ტირესია, დიდხანს უარობს მკვლელის დასახელებას, მაგრამ ბოლოს მეფის მრისხანე მუქარით გულმოსული მიახლის:

— ოიდიპოს, თვით შენ შებილწე ეს ქვეყანა, რომელსაც განაგებ! შენვე ხარ ის მკვლელი, რომელსაც ეძებ! შენდა უნებურად ცოლად შეირთე ის, ვისი თაყვანისცემაც გმართებს, ვინც ყოველ ჩვენგანს ყველაზე ძვირფასად მიგვაჩნია, შენ შეირთე შენი მშობელი დედა!

ამ სიტყვების გაგონებაზე ოიდიპოსი საშინლად განრისხდა ტირესიაზე.. მისანს მატყუარას ეძახის, სიკვდილით დასჯით ემუქრება, ეუბნება კრეონტმა ჩაგაგონაო ამის თქმა, რათა ჩემი ტახტი ხელთ იგდოსო. მშვიდად ისმენს ტირესია მეფის მრისხანე სიტყვებს, დარწმუნებულია, რომ სიმართლე თქვა. იცის მისანმა, რომ ოიდიპოსი, თუმცა თვალხილულია, სრულიადაც ვერ ხედავს მთელ იმ ბოროტებას, რასაც თავისდა უნებურად სჩადის. ოიდიპოსი ვერ ხედავს, სად ცხოვრობს, ვერ ხედავს, რომ თვითონვეა თავისი მტერი, თავისი ოჯახის მტერი. ვერავითარი მუქარა ვერ აშინებს ტირესიას. გაბედულად ეუბნება ოიდიპოსს, რომ მკვლელი აქ არის, მის თვალწინ. თუმცა უცხოელივით მოვიდა თებეში, მაგრამ ნამდვილად კი სწორედ თებელია. ბოროტი ბედისწერა მისწვდება მკვლელს. თვალხილული დაბრმავდება, მდიდარი გაღარიბდება, — თებედან განიდევნება, ყველაფერს დაკარგავს.

შეძრწუნებული უსმენდნენ მოქალაქენი ტირესიას. იცოდნენ, არასოდეს ამ მისნის ბაგეს სიცრუე არ დასცდენია.

რისხვით ანთებული ოიდიპოსი კი კრეონტს სდებს ბრალს, შენ ასწავლე ტირესიას ასე ლაპარაკი, იმუქრება. მოდის იოკასტეც. ოიდიპოსი უამბობს ყველაფერს, რაც ტირესიამ უთხრა, და ბოროტმოქმედებაში ბრალს სდებს მის ძმას. ეკითხება იოკასტეს, რანაირად მოკლეს ლაიოსი, და როგორ დააგდეს კითერონის კალთებზე ლაიოსის ერთადერთი შვილი. ყველაფერს უამბობს იოკასტე. ოიდიპოსს პირველი ეჭვი ეწვეთება გულში. რაღაც საზარელი მძიმე წინათგრძნობით ეკუმშება გული.

— ო, ზევსო! — შესძახა ოიდიპოსმა. — რისთვის გამწირე, რას მიმზადებ? ნუთუ თვალხილული მე კი არ ვიყავი, არამედ ბრმა ტირესია?

ოიდიპოსი გადარჩენილი მონის ამბავს კითხულობს, სად არის, ცოცხალია თუ არა და გებულობს, რომ ეს მონა ჯოგშია კითერონის კალთებზე. მაშინვე გზავნის კაცს მის მოსაყვანად. სრული სიმართლის გაგება სურს, რარიგ საზარელიც არ უნდა იყოს ეს სიმართლე.

როგორც კი მონის მოსაყვანად კაცი წავიდა, კორინთოდან მოვიდა შიკრიკი და მოიტანა პოლიბოსის სიკვდილის ამბავი. პოლიბოსი გარდაცვლილიყო სნეულებისაგან, მაშასადამე, შვილის ხელით არ დაცემულა პოლიბოსი. თუ ოიდიპოსი მისი შვილია, მაშასადამე ბედის განაჩენი არ შესრულებულა: ოიდიპოსს ხომ მამის მოკვლა ეწერა ბედის წიგნში. ან იქნება ოიდიპოსი არაა პოლიბოსის შვილი? ოიდიპოსს იმედი აქვს, რომ თავს დააღწევს იმას, რაც ბედმა დაუდგინა. მაგრამ შიკრიკი უქარწყლებს იმედს. ოიდიპოსს ეუბნება, რომ პოლიბოსი არ იყო მისი მამა. მან თვითონ მიუყვანა კორინთოს მეფე პოლიბოსს ბავშვი, რომელიც ლაიოსის მწყემსმა მისცა.

შეძრწუნებული უსმენს ოიდიპოსი შიკრიკს, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება საშინელი სიმართლე.

მაგრამ აგერ მწყემსიც. ჯერ არაფრის თქმა არ სურს, ყველაფრის დაფარვას ცდილობს. მაგრამ ოიდიპოსი საშინელი სასჯელით ემუქრება მწყემსს, თუ სიმართლეს დაფარავს.

შიში იპყრობს მწყემსს და აღიარებს, რომ ყმაწვილი, რომელიც ოდესღაც შიკრიკს მისცა იყო ლაიოსის შვილი, მამის მიერ სასიკვდილოდ გაწირული.

ო! როგორ სურდა ოიდიპოსს მაშინ უცოდველ ყმაწვილად მომკვდარიყო, როგორ საყვედურობს მწყემსს მისთვის, რომ არ გასწირა ყმაწვილი დასაღუპავად! ახლა ხომ ოიდიპოსისათვის ყველაფერი ნათელია. უკვე იცის იოკასტესაგან ლაიოსის სიკვდილის ამბავი. იცის, რომ თვითონ მოკლა მამა, ხოლო მწყემსის ნაამბობიდან ნათელი გახდა, რომ იგი მის მიერ მოკლული ლაიოსისა და იოკასტეს ღვიძლი შვილია. აკი აღსრულებულა ბედის ბრძანება, თუმცა ასე გულმოდგინედ ცდილობდა ოიდიპოსი თავის არიდებას, გაქცევას. სასოწარკვეთილი მეფე სასახლეში შედის. იცის მამის მკვლელია, საკუთარი დედის ქმარი, შვილები მისი შვილებიც არიან და ძმებიც დედის მხრით.

სასახლეში ოიდიპოსს ახალი უბედურება ელის. იოკასტემ ვერ აიტანა თავს დამტყდარი საშინელება და საწოლ ოთახში თავი ჩამოიხრჩო. დარდისაგან გაოგ-

ნებულმა ოიდიპოსმა იოკასტეს სამოსიდან ბალთები მოგლიჯა და ამ სამკაულებით თვალები დაითხარა. აღარ სურდა ეცქირა მზის სინათლისათვის, აღარ სურდა შვილების ხილვა, მშობლიური თებეს ყურება. ახლა მისთვის ყოველივე დაიღუპა, მეტად აღარ ელის სიხარული ცხოვრებაში. ოიდიპოსი კრეონტს ევედრება განდევნოს თებედან და იზრუნოს მისი შვილებისათვის.

ოიდიპოსის სიკვდილი

სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოსი კოლონოში“ მიხედვით

კრეონტმა არ განდევნა ოიდიპოსი თებედან. ერთხანს ისევ სასახლეში ცხოვრობდა, ყველასაგან ჩამოცილებული, თავისი დარდის პირისპირ დარჩენილი. მაგრამ თებელებს ეშინოდათ, რომ ოიდიპოსის თებეში ყოფნა უბედურებას დაატეხს მთელს ქვეყანას, ღმერთების ახალ რისხვას გამოიწვევს, მათ ბრმა ოიდიპოსის დაუყოვნებლივ განდევნა მოითხოვეს. ამ გადაწყვეტილებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ ოიდიპოსის შვილებს — ეტეოკლესა და პოლინიკეს, რადგან თვით უნდოდათ თებეს გამგებლობა. თებელებმა ოიდიპოსი განდევნეს, ხოლო ძალაუფლება მისმა შვილებმა და კრეონტმა გაინაწილეს.

ბრ-მა, მიხრწნილი ოიდიპოსი უცხო ქვეყანაში წავიდა. გარდუვალი დაღუპვა ელოდა მის ასულს, კეთილშობილსა და სულით ძლიერ ანტიგონეს, რომ არ ეკისრა მთელი თავისი სიცოცხლის მამისათვის შეწირვა. ანტიგონე გაჰყვა მამას განდევნილობაში. ქვეყნიდან ქვეყანაში დაჰყავდა უბედური ბერიკაცი, ზრუნვით მიუძღოდა მთებსა და ტყეებში, ინაწილებდა მის ყველა უბედურებასა და გასაჭირს, მძიმე გზის მთელ სიძნელეს.

ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ოიდიპოსი ატიკაში ქალაქ ათენში ჩავიდა. ანტიგონემ არ იცოდა სად მოიყვანა მამა. შორიახლო გამოჩნდა ამომავალი მზით გასხივოსნებული ქალაქის კედლები და კოშკები. იქვე დაფნის ჭალა იყო სულ ერთიანად ყურძნითა და უსურვაზით დახუნძლული. ჭალაში აქა-იქ ვერცხლისფრად ციმციმებდნენ მწვანე ზეთისხილები. ჭალიდან ბულბულების ტკბილი გალობა ისმოდა. მწვანე ველზე მოჩუხჩუხებდნენ ნაკადულები. ყველგან მოჩანდა თეთრად მოციმციმე ნარგიზის ვარსკვლავები და ყვითელი სურნელოვანი ზაფრანები. მწვანე ჭალაში დაფნის ჩრდილში ქვაზე ჩამოჯდა მრავალტანჯული ოიდიპოსი, ანტიგონემ კი დააპირა წასვლა იმის გასაგებად, თუ სად მოვიდნენ,

ან რა ადგილია ეს. გამვლელმა სოფლელმა ოიდიპოსს უთხრა, რომ ესაა ათენის მახლობლად მდებარე დაბა კოლონო, რომ ჭალა, რომელშიაც ოიდიპოსი ზის, ეკუთვნის ევმენიდებს, ხოლო მთელი მიდამო მიძღვნილია პოსეიდონისა და ტიტან პრომეთესადმი, ჭალიდან კი მოჩანს ქალაქი ათენი, სადაც ხელმწიფედ ზის ეგეოსის შვილი, დიდი გმირი თეზევსი. ეს რომ გაიგო, ოიდიპოსმა სოფლელს ხვეწნა დაუწყო, ვინმე გაგზავნოს მეფე თეზევსთან, რადგან სურს დიდი დახმარება გაუწიოს მეფეს, თუ დროებით თავშესაფარს მისცემს. ძნელი დასაჯერებელი იყო გლეხკაცისათვის, რომ ბრმა და დავრდომილ ბერიკაცს შეეძლებოდა დახმარება გაეწია ძლევამოსილ მეფე თეზევსისათვის. ეჭვით აღსავსე სოფლელი მაინც წავიდა კოლონოში, რათა იქ მოეთხრო ევმენიდების ჭალაში მჯდომი ბრმა მოხუცის ამბავი, თვითონ თეზევსს რომ ჰპირდებოდა დიდი დახმარების გაწევას.

ოიდიპოსი კი, რაწამს გაიგო, ევმენიდების წმინდა ჭალაში ვარო, მაშინვე მიხვდა, დასრულდა ჩემი მიწიერი ტანჯვა, უკანასკნელმა საათმა დაჰკრაო. დიდი ხანია უწინასწარმეტყველა აპოლონმა, მრავალი ძნელბედობისა და ხეტიალის შემდეგ დიდი ქალღმერთების წმინდა ჭალაში მოკვდებიო; ვინც თავშესაფარს მოგცემს, დიდ საჩუქარს მიიღებს, ხოლო ვინც გაგაგდებს, ღმერთების მიერ სასტიკად დაისჯება. მიხვდა ახლა ოიდიპოსი, რომ დიდი ქალღმერთები — ევმენიდები არიან, რომლებიც ასე შეუბრალებლად სდევნიდნენ მთელ სიცოცხლეში. ოიდიპოსს სჯერა, რომ დაბოლოს დაუდგა სიმშვიდის ჟამიც.

ამასობაში კოლონოს მცხოვრებლები ევმენიდების ჭალისკენ გამოეშურნენ, რათა გაეგოთ, ვინ გაბედა იქ შესვლა, როდესაც თვით ამ კუთხის მოქალაქენი მრისხანე ქალღმერთების სახელის წარმოთქმასაც კი ერიდებიან, გახედვასაც კი ვერ ბედავენ მათი საკურთხევლისაკენ. ოიდიპოსმა კოლონოელების ხმა როჰ გაიგონა, ახტიგონეს სთხოვა, ჭალის სიღრმეში წამიყვანეო, მაგრამ როდესაც კოლონოელებმა ჭალის შემბილწველი უწოდეს, გამოვიდა და კოლონოელთა კითხვაზე, ვინა ხარო, უპასუხა ვინც იყო. თავზარი დაეცათ კოლონოს მცხოვრებთ. ხედავენ ოიდიპოსს! ვინ არ იცოდა საბერძნეთში მისი საშინელი ბედი, ვინ არ იცოდა ის საშინელი დანაშაულობანი, რომელნიც ჩაიდინა ოიდიპოს მეფემ, ლაიოსის უბედურმა შვილმა, თავისდა უნებურად! ვერა, ვერ მისცემენ თავშესაფარს ოიდიპოსს, ღმერთების რისხვის ეშინიათ. არ უსმენენ არც ოიდიპოსის თხოვნას, არც ანტიგონეს მუდარას, და მოითხოვენ ბრმა ბერიკაცმა დაუყოვნებლივ დატოვოს კოლონოს მიდამოები. ნუთუ ვერც ათენში იპოვნის თავშესაფარს ოიდიპოსი, იმ ათენში, მთელს საბერძნეთში რომაა განთქმული, როგორც წმინდა ქალაქი, ბინას რომ უჩენს ყველას, ვინც დახმარებას ითხოვს?

ოიდიპოსი ხომ თავისი ნებით არ მოსულა აქ, მის მოსვლას ხომ მოქალაქეთა კეთილდღეობა უნდა მოჰყვეს! ბოლოს, ოიდიპოსი მოქალაქეებსა სთხოვს, თეზევსის მოსვლამდე მაინც დამაყენეთო. დაე, ათენის მეფემ გადაწყვიტოს დარჩეს ოიდიპოსი ატიკაში თუ განიდევნოს.

მოქალაქეები დათანხმდნენ, თეზევსისათვის დაეცადათ. ამ დროს შორს გამოჩნდა ეტლი, ეტლში ზის მანდილოსანი, რომელსაც სახეს უფარავს ფართოკიდეებიანი თესალიური ქუდი. ანტიგონე უყურებს და ეჩვენება, რომ ეს — მისი და ისმენეა. სულ უფრო ახლოვდება ეტლი, კიდევ უფრო დაჟინებით აკვირდება ანტიგონე და ცნობს ისმენეს.

— მამა! — ამბობს ანტიგონე. — ეხედავ, აქეთ მოდის შენი ასული ისმენე, ახლავე გაიგონებ მის ხმას.

ოიდიპოსთან რომ მივიდა, ისმენე ეტლიდან გადმოვიდა და მამას გადაეხვია.

— მამა, ჩემო უბედურო მამა! — შესძახა ისმენემ. — როგორც იქნა, ისევ გეხვევი შენ და ანტიგონეს.

უხარია ოიდიპოსს ისმენეს მოსვლა. ახლა ორივე ასული მასთანაა: ერთგული თანამგზავრი და შემწე ანტიგონე და ისმენე, რომელიც არასოდეს არ ივიწყებდა და მუდამ უგზავნიდა ცნობებს თებედან.

ისმენე ოიდიპოსს ეძებდა იმისათვის, რომ ყოვლად გულსაკლავი ახალი ამბები ემცნო. ოიდიპოსის შვილები პირველად ერთად განაგებდნენ თებეს, მაგრამ მერე უმცროსმა ძმამ ეტეოკლემ, ხელთ იგდო ძალაუფლება და პოლინიკე თებედან განდევნა. მაშინ პოლინიკე არგოსში წავიდა და იქ იპოვნა მოკავშირე. ახლა ჯარით მიდის თებეს წინააღმდეგ, რომ ან ხელთ იგდოს ძალაუფლება ან ბრძოლაში დაეცეს. ისმენემ უამბო მამას, აგრეთვე, რომ დელფოს ორაკულმა იწინასწარმეტყველა, გაიმარჯვებს ის, ვის მხარეზეც იქნება ოიდიპოსი. ისმენე დარწმუნებულია, მალე აქ გამოჩნდება კრეონტი, რომელიც ეტეოკლესთან ერთად განაგებს თებეს, ძალით უნდა ხელთ იგდოს ოიდიპოსი. ოიდიპოსს არ სურს არც ერთი შვილის მხარეზე ყოფნა. განრისხებულია, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლა მამისადმი შვილების ზრუნვაზე მაღლა დააყენეს. არ სურს დაეხმაროს შვილებს, რომელთაც ერთი სიტყვაც კი არ დაძრეს, როდესაც მათ მამას თებედან აგდებდნენ. ვერა, ვერ მიიღებენ მამის დახმარებას თებეს ტახტისათვის ბრძოლაში. ოიდიპოსი აქ დარჩება, ათენის მცველად.

კოლონოს მოქალაქენი ოიდიპოსს ურჩევენ თუ სამუდამოდ ათენს დარჩენა განუზრახავს, ევმენიდებს გულის მოსალბობად მსხვერპლი შესწიროს. ოიდიპოსი მოქალაქეებსა სთხოვს, რომელიმე მათგანმა იკისროს მსხვერპლის შეწირვა, რადგან მას ბრმასა და მოხუცებულს, ამდენი ღონე არ შესწევს. მსხვერპლის შეწირვას ისმენე კისრულობს და ჭალის სიღრმეში შედის.

როგორც კი ისმენე წავიდა, ჭალაში თავისი ამალის თანხლებით თეზევსი მოვიდა. გულღიად ესალმება ოიდიპოსს და თავშესაფარს ჰპირდება. თეზევსმა იცის, რარიგ მძიმეა უცხოელის ხვედრი, იცის რამდენი ძნელბედობა ხვდება ხოლმე წილად ყარიბ ადამიანს. თვითონვე გამოსცადა ცხოვრების მთელი სიმძიმე უცხო მხარეში და ამიტომ არ შეუძლია უარი უთხრას უბედურ მოხეტიალე ოიდიპოსს.

ოიდიპოსი მადლობას სწირავს თეზევსს, თავის მხრივ დაცვას ჰპირდება და აუწყებს რომ მისი სამარე მუდამ საიმედო ბურჯი იქნებაო ათენელებისათვის.

მაგრამ ოიდიპოსს ასე იოლად არ უწერია სიმშვიდის პოვნა. თეზევსის წასვლის შემდეგ თებედან მცირე რაზმის თანხლებით კრეონტი ჩამოდის. მისი მიზანია ოიდიპოსის ხელში ჩაგდება, რათა უზრუნველჰყოს თავისი და ეტეოკლეს გამარჯვება პოლინიკესა და მის მოკავშირეებთან ბრძოლაში. კრეონტი ცდილობს დაიყოლიოს ოიდიპოსი თებეში გაყოლაზე და ჰპირდება, სრულ სიმშვიდეში ცხოვრებას, ნათესავებსა და მახლობელთა შორის. მაგრამ ოიდიპოსის გადაწყვეტილება ურყევია. არცა აქვს კრეონტის იმედი. იცის, რაც აიძულებს სთხოვოს მას თებეში დაბრუნება. არა, არ წავა, არ მიანიჭებს გამარჯვებას მათ, რომელთაც ამდენი უბედურებისათვის გასწირეს.

ოიდიპოსის შეუპოვრობა რომ ნახა, კრეონტი დაემუქრა ძალით წაყვანას თებეში. ოიდიპოსს არ ეშინია ძალადობის — ახლა ხომ თეზევსისა და ყველა ათენელის მფარველობის ქვეშაა! მაგრამ კრეონტი ნიშნისმოგებით ეუბნება. შენი ასული ისმენე უკვე შეპყრობილია. კრეონტი ემუქრება, შენს ერთადერთ იმედსა და ნუგეშს, თავდადებულ ანტიგონესაც შევიპყრობთო. კრეონტს მაშინვე მოჰყავს სისრულეში თავისი გადაწყვეტილება, ანტიგონეს შეპყრობას ბრძანებს. ქალი ამაოდ უხმობს საშველად ათენელებს, ამაოდ იშველს ხელებს მამისკენ. ანტიგონე მიჰყავთ. ახლა ოიდიპოსი უმწეოა, ჩამოაშორეს ის თვალები, რომლებიც მის მაგიერ იხედებოდნენ. მოწმედ უხმობს ევმენიდებს, წყევლის კრეონტს და უსურვებს გამოსცადოს ისეთივე ხვედრი, როგორიც თვითონ გამოსცადა, — დაკარგოს შვილები. კრეონტი, რაკი ერთხელ ძალადობას მიმართა, შემდეგაც ძალადობით ცდილობს ფონს გასვლას. ხელს ჰკიდებს ოიდიპოსს და ძალით წაყვანას უპირებს. ოიდიპოსის ქომაგად გამოდიან კოლონოს მცხოვრებნი, მაგრამ ცოტანი არიან და არ შეუძლიათ კრეონტის რაზმთან შებრძოლება. ხმამაღლა უხმობენ მშველელს. მათ ძახილზე რაზმით მოდის თეზევსი.

თეზევსი აღშფოთებულია კრეონტის ძალადობით. როგორ გაბედა ოიდიპოსისა და მისი ასულების შეპყრობა აქ, ევმენიდების ჭალაში? ნუთუ ფიქრობს, რომ ათენში ხალხი გაწყდა, ნუთუ არაფრად აგდებს თეზევსს, რაკი აპირებს

ათენელთა მფარველობაში მყოფი ადამიანების წაყვანას? ნუთუ თებეში ასწავლეს ასე კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედება? არა! თეზევსმა იცის, რომ თებეში უკანონობას ვერ მოითმენენ. კრეონტი თვითონ არცხვენს თავის ქალაქს და თავის ხალხს. თუმცა ასაკით უკვე მოხუცია, მაგრამ უჭკუო ყმაწვილივით იქცევა. თეზევსი ითხოვს, დაუყოვნებლივ დააბრუნონ ოიდიპოსის ქალიშვილები. კრეონტი ცდილობს თეზევსის წინაშე თავისი საქციელის გამართლებას იმით, რომ არ ეგონა, თუ ათენელები თავშესაფარს მისცემდნენ მამის მკვლელს, რომელმაც საკუთარი დედა შეირთო. მაგრამ თეზევსი მტკიცედ დგას თავის გადაწყვეტილებაზე. მოითხოვს ოიდიპოსის ქალიშვილების დაბრუნებას და უცხადებს რომ არ წავა მანამ, ვიდრე აქ არ იხილავს ოიდიპოსის ასულებს. კრეონტი თეზევსის მოთხოვნას დაემორჩილა, დ ᲛᲐᲚᲔ ოიდიპოსი ხელახლა ეხვევა თავის ასულებს, მადლობას უძღვნის ათენის დიდსულოვან მეფეს და ღმერთებს მის კეთილდღეობას სთხოვს.

თეზევსი ოიდიპოსს მიმართავს:

— მომისმინე, ოიდიპოს: აქ, პოსეიდონის საკურთხეველთან, სადაც კრეონტის მოსელამდე ღმერთებს მსხვერპლს ვწირავდი, ერთი ყმაწვილი კაცი ზის, შენთან საუბარი სურს.

— ვინ არის ეს ყმაწვილი კაცი? — ჰკითხა ოიდიპოსმა.

— არ ვიცი. ყმაწვილი არგოსიდან მოვიდა. დაფიქრდი, ხომ არავინ გყავს არგოსში მახლობელი, — მიუგო თეზევსმა.

ეს რომ გაიგონა, ოიდიპოსმა შეჰყვირა:

— ო! ნუ მთხოვ, თეზევს, რომ ამ ყმაწვილს დაველაპარაკო! შენი სიტყვებიდან დავრწმუნდი, რომ ესაა ჩემი საძულველი შვილი პოლინიკე. მისი სიტყვა მხოლოდ ტანჯვას მომაყენებს.

— მაგრამ ის ხომ მოვიდა, როგორც მავედრებელი, — ამბობს თეზევსი,— უარს ვერ ეტყვი, ღმერთები გაგირისხდებიან.

პოლინიკეს აქ ყოფნა რომ გაიგო, ანტიგონემაც სთხოვა მამას, მოუსმინე, თუმცა მძიმე დანაშაული აქვს შენს წინაშე ჩადენილიო. ოიდიპოსი დათანხმდა მოუსმინოს შვილს, თეზევსი მის მოსაყვანად წავიდა.

შემოდის პოლინიკე. თვალებში ცრემლი უციმციმებს. გულამოსკვნით ტირის, ბრმა მამის დანახვაზე, ღატაკის სამოსელში გამოწყობილ მოხუცს ქარი ჭაღარა თმას უფრიალებს, სახეზე შიმშილისა და გაჭირვების დაღი აქვს დასმული. მხოლოდ ახლა მიხვდა პოლინიკე, რა სასტიკად მოექცა მშობელ მამას. ხელებს უწვდის და ევედრება:

— მამა, მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარი, ნუ მიიბრუნებ სახეს! მიპასუხე,

ნუ დამტოვებ უპასუხოდ! დებო, თქვენ მაინც დაარწმუნეთ, ნუ გამიშვებს მამა ისე, რომ ერთი სიტყვაც არ მაღირსოს.

ანტიგონე ძმას სთხოვს, უთხარი მამას, რისთვის მოხვედიო. დარწმუნებულია, მამა უპასუხოდ არ დატოვებს.

პოლინიკე მოუთხრობს, როგორ განდევნა უმცროსმა ძმამ თებედან, როგორ გაემგზავრა არგოსში, ითხოვა იქ მეფე ადრასტეს ასული და იპოვნა მოკავშირე, რათა დაიბრუნოს ტახტი, რომელიც კანონით მას ეკუთვნის, როგორც უფროსს.

— ო, მამაჩემო! — განაგრძობდა პოლინიკე. — ჩვენ ყველანი, ვინც თებეში მივდივართ, გაფიცებთ შენი სიცოცხლისა და შენი შვილების სახელით, წამოდი ჩვენთან. გევედრებით, დაივიწყე შენი რისხვა და დაგვეხმარე, რომ სამაგიერო გადავუხადოთ ეტეოკლეს, რომელმაც განმდევნა და წამართვა სამშობლო. აკი, თუ ორაკულები სიმართლეს ამბობენ, გამარჯვება მას დარჩება, ვისი თანამგზავრიც შენ იქნები. ო, მოიღე მოწყალება, მომისმინე! ღმერთებს გაფიცებ, წამოდი ჩემთან. შენს მშობლიურ სახლში დაგაბრუნებ, ხოლო აქ, ამ უცხო მხარეში შენ გლახაკი ხარ, ისეთივე გლახაკი, როგორიც მე.

ოიდიპოსი შვილს არ უსმენს. თხოვნა-ვედრება არ ჭრის. ახლა შვილს, პოლინიკეს, იმისათვის ესაჭიროება, რომ თებეს დაეუფლოს. ხოლო ადრე განა მანვე არ განდევნა თებედან? განა მან არ აქცია მოხეტიალე გლახაკად? განა მისი წყალობით არ არის ახლა ამ ძონძებში? ორივე შვილმა დაივიწყა ვალი საკუთარი მამის წინაშე, მხოლოდ ასულები დარჩნენ მისი ერთგულნი, მუდამ ზრუნავდნენ და პატივსაც სცემდნენ.

— არა, არ დაგეხმარები თებეს ფერფლად ქცევაში. ვიდრე თებეს აიღებ, თვითონ დაეცემი მტვერში, შენთან დაეცემა შენი ძმა ეტეოკლეც! — შესძახა ოიდიპოსმა. — ამიტომ ვთხოვ ღმერთებს რისხვა დაგატეხონ თავზე, რომ გახსოვდეთ, როგორ უნდა მშობელი მამის პატივისცემა. წადი უკუგდებული, აღარა გყავს მამა! თან წაიღე ჩემი წყევლა! მოკვდი ძმასთან ორთაბრძოლაში. მოკალი ის, ვინც შეგავიწროვა! ევმენიდებსა და არესს ვუხმობ, ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომის გამჩაღებელთ, სასტიკად დაგსაჯონ! მაშ წადი და აუწყე შენს თანამგზავრებს, რა საჩუქრები უძღვნა და დაუნაწილა ოიდიპოსმა თავის შვილებს.

— ო, ვაიმე! ო, მე უბედური! — იძახის გოდებით პოლინიკე. — განა შემიძლია მამაჩემის პასუხი ჩემს თანამებრძოლთ გადავცე? არა, უსიტყვოდ უნდა შევეგებო ჩემს ბედისწერას!

წავიდა პოლინიკე, ისე რომ პატიება და დაცვაც აღარ უთხოვია მამისათ-

ვის; წავიდა ისე, რომ არ უსმენია ანტიგონესათვის, რომელიც ეველრებოდა დაბრუნდი არგოსში და ხელი აიღე ომზე, რაც დაღუპვას გიქადით შენც, შენს ძმასაც და თებესაცო.

ახლო იყო ოიდიპოსის აღსასრულიც. მოწმენდილ ცაზე გაიელვა და გავარდა მეხი. ევმენიდების ჭალაში მყოფნი ერთიანად შეაძრწუნა ზეკვის მრისხანე ნიშანმა. აი, კიდევ იჭექა მეხმა. ისევ გაიელვა დამაბრმავებელმა შუქმა. ყოველი სულიერი შიშით შეირყა.

ოიდიპოსმა კი მოიხმო ასულები და უთხრა:

— ო, შვილებო! ჩქარა უხმეთ თეზევსს! ამ მეხით ზეკვი მაუწყებს რომ მალე ჩავალ პირქუშ ჰადესის სამეფოში. ნუ აყოვნებთ! კაცი გაგზავნეთ თეზევსთან. ჩემი აღსასრულის წამმა დაჰკრა!

თქვა ეს ოიდიპოსმა თუ არა, თითქოს მისი სიტყვის დასტურად ისევ იქუხა მეხმა. ისევ მოვიდა ევმენიდების ჭალაში თეზევსი. მისი ხმა რომ გაიგონა, ოიდიპოსმა უთხრა:

— ათენის მბრძანებელო! ჩემი აღსასრული დადგა. ზეკვის ელვა და მეხი მაუწყებენ ჩემს ბოლოს, და მინდა ისე მოვკვდე, რომ დაპირება შეგისრულო. თვითონვე წაგიყვან იმ ადგილზე, სადაც მოვკვდები, მაგრამ ნურავის ნუ გაუმხელ, სად არის ჩემი სამარე, შენს ქალაქს ის დაიცავს უკეთ, ვიდრე მრავალი ფარი და შუბი. თვით გაიგონებ იმას, რისი თქმაც აქ არ შემიძლია. დაიცავი ეს საიდუმლო მხოლოდ სიკვდილის წინ გაანდე შენს უფროს შვილს. მან კი თავის მემკვიდრეს უთხრას. წავიდეთ, თეზევს, წავიდეთ, შვილებო. ახლა მე ბრმა თქვენი წინამძღოლი ვიქნები, თვით მე კი ჰერმესი და პერსეფონე გამიძღვებიან.

თეზევსი, ისმენე და ანტიგონე ოიდიპოსს მიჰყვნენ. ოიდიპოსი თვალხილულივით გაუძღვა მათ. იმ ადგილას მივიდა, საიდანაც აჩრდილთა სამეფოში სულების ჩასასვლელი ხვრელი იყო, და იქ, ქვაზე ჩამოჯდა. სასიკვდილოდ გამზადებულმა ოიდიპოსმა ხელები მოჰხვია თავის ასულებს და უთხრა:

— შვილებო, დღეიდან მამა აღარ გეყოლებათ. უკვე სიკვდილის ღმერთი თანატოსი დამეპატრონა. აღარ გაწევთ მძიმე მოვალეობა ჩემზე ზრუნვისა.

ხმამაღალი ტირილით ეხვევიან ანტიგონე და ისმენე მამას. უეცრად მიწის სიღრმიდან მოისმა იდუმალი ხმა: „ჩქარა, ჩქარა, ოიდიპოს! რაღას აყოვნებ? ძალიან აგვიანებ!“ იდუმალი ხმის გაგონებაზე ოიდიპოსმა თეზევსი მოიხმო, ხელში თავისი ქალიშვილების ხელები ჩაუდო და შეევედრა, მფარველობა გაუწიეო. თეზევსმა დაიფიცა, თხოვნას შეგისრულებო. ოიდიპოსმა ასულებს გაცლა უბრძანა, არ უნდა ენახათ ის, რაც მოხდებოდა, და არც უნდა მოესმინათ ის საიდუმლო, რაც თეზევსისათვის უნდა გაენდო. გაეცალა ორივე და ცოტა რომ

გაიარეს, უკან მოიხედეს, რომ უკანასკნელად შეეხედათ მამისათვის, მაგრამ ოიდიპოსი აღარ იყო, მხოლოდ თეზევსი იდგა, თვალები ხელებით დაეფარა, თითქოს საშინელი მოჩვენება ენახოს. მერე ანტიგონემ და ისმენემ დაინახეს როგორ მოიყარა მუხლები თეზევსმა და დაიწყო ლოცვა.

ასე დაასრულა თავისი მრავალტანჯული ცხოვრება ოიდიპოსმა, და არც ერთმა მოკვდავმა არ იცოდა, სად ჰპოვა აღსასრული, სად არის მისი სამარე. უმტკივნეულოდ, დაუკვნესებლად წავიდა ჰადესის სამეფოში, წავიდა ისე, როგორც არ მიდის არც ერთი ადამიანი.

შვიდნი თებეს წინააღმდეგ

ესქილეს ტრაგედიის „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ და ევრიპიდეს ტრაგედიის „ფინიკიელი ქალის“ მიხედვით

ბრმა ოიდიპოსის თებედან განდევნის შემდეგ, ძალაუფლება მისმა შვილებმა და კრეონტმა გაინაწილეს. ყოველ მათგანს ქვეყანა უნდა განეგო მორიგეობით, თითო წლით. ეტეოკლემ არ ისურვა ძალაუფლების გაზიარება უფროს ძმა პოლინიკესთან, განდევნა შვიდჭიშკრიან თებედან და მარტო დაეუფლა თებეს ტახტს. პოლინიკე კი გაერიდა არგოსში, სადაც სამეფო ტახტზე ადრასტე იჯდა.

მეფე ადრასტე ჩამომავლობით ამითაონიდების გვარიდან იყო. ოდესღაც ორი გმირი, დიდი მისანი მელამპოსი და ბიანტი, გმირ ამითაონის შვილები, მეფე პროიტეს ასულებზე დაქორწილდნენ. ეს ასე მოხდა: მეფე პროიტეს ასულებმა ღმერთები განარისხეს და დაისაჯნენ იმით, რომ გონება დაკარგეს. გონებადაკარგული პროიტეს ასულები წარმოიდგენდნენ რომ ძროხები არიან და ბღავილით დაჰქროდნენ ტყეებსა და ველებში. მელამპოსმა იცოდა საიდუმლო, თუ როგორ შეიძლებოდა მეფის ასულთა განკურნება, მაგრამ მისი გამხელისათვის პროიტეს სამფლობელოების მესამედი მოსთხოვა. პროიტე არ დათანხმდა. უბედურება კიდევ უფრო გაძლიერდა, ავადმყოფობა სხვა ქალებსაც გადაეცათ. პროიტემ ისევ მელამპოსს მიმართა. მელამპოსმა უკვე ერთი მესამედი კი არა, ორი მესამედი მოსთხოვა: ერთი თავისთვის, მეორე კი თავისი ძმის ბიანტისათვის. სხვა გზა არა ჰქონდა პროიტეს, უნდა დათანხმებოდა. მელამპოსი ჭაბუკთა თანხლებით მთაში წავიდა, დიდი ხნის დევნის შემდეგ შეიპყრო ყველა შეშლილი ქალი, მათ შორის პროიტეს ქალიშვილებიც და განკურნა. პროიტემ თავისი ასულები მელამპოსსა და ბიანტს მიათხოვა.

მელამპოსს ეყოლა შვილი ანტიფატე, ანტიფატეს — ოიკლე, ხოლო ოიკლეს — ამფიარაე. ბიანტის შვილი იყო ტალაე, ხოლო ტალაეს ჰყავდა და-ძმა: ად-

რასტე და ერიფილე. როცა მელამპოსის და ბიანტის მემკვიდრეები, ადრასტე და ამფიარაე დავაქაცდნენ, მათ შორის შუღლი ჩამოვარდა. ადრასტეს მოუხდა სიკიონს გაქცევა, მეფე პოლიბოსთან. იქ მეფის ასული შეირთო და სიკიონის მეფე გახდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ადრასტე მშობლიურ არგოსში დაბრუნდა, შეურიგდა ამფიარაეს და ცოლად მისცა თავისი და ერიფილე. ადრასტემ და ამფიარაემ ერთიმეორეს ფიცი მისცეს, რომ მათს ყოველ დავაში მსაჯულად ერიფილეს აირჩევდნენ და უდრტვინველად შეასრულებდნენ მის გადაწყვეტილებას. რა იცოდა ამფიარაემ, რომ ეს გადაწყვეტილება გახდებოდა მისი და მთელი მისი გვარის დაღუპვის მიზეზი!

მეფე ადრასტეს სასახლესთან გვიან ღამით პოლინიკე მივიდა, იმედი ჰქონდა, რომ მასთან იპოვნიდა თავშესაფარსა და შემწეობას. სასახლესთან პოლინიკე შეხვდა ოინევსის შვილს, გმირ ტიდევსს, რომელსაც თავის სამშობლოში ბიძა და ბიძაშვილები მოეკლა და არგოსში გამოქცეულიყო. ორივე გმირს შორის გაიმართა სასტიკი დავა. შეუპოვარმა ტიდევსმა, ვერავითარ შეპასუხებას რომ ვერ ითმენდა, მყისვე იარაღზე იტაცა ხელი. პოლინიკემაც ფარი იფარა და მახვილი იშიშვლა. გმირები ერთმანეთს ეკვეთნენ. მრისხანედ დაიზრიალეს სპილენძით შემოჭედილ ფარებზე გმირთა მახვილებმა. ორი გაშმაგებული ლომივით იბრძოდა ბნელში ორი უზადო ვაჟკაცი. ადრასტეს ბრძოლის ხმაური ესმა და სასახლიდან გამოვიდა. მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ერთიმეორესთან გაშმაგებით მებრძოლი ორი ჭაბუკი იხილა. ერთს, პოლინიკეს, საჭურველის ზემოთ ლომის ტყავი მოესხა, მეორეს, ტიდევსს—უზარმაზარი ტახის ტყავი. ადრასტეს მოაგონდა ორაკულის წინასწარმეტყველება, შენი ასულები ლომსა და ტახს უნდა მისცე ცოლადო. საჩქაროდ გააზავა გმირები და სასახლეში შეიყვანა, როგორც სტუმრები. მალე ადრასტემ თავისი ასულები გაათხოვა. დეიპილე პოლინიკეს მისცა, არგეა — ტიდევსს.

ადრასტეს სიძეები რომ გახდნენ, პოლინიკემ და ტიდევსმა სთხოვეს მას, ჩვენს სამშობლოში მეფობა დაგვიბრუნეო. ადრასტემ დახმარება აღუთქვა მხოლოდ ერთი პირობით: რომ ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო ამფიარაეს, დიდ მისანს, წინასწარმეტყველსა და მეომარს. გადაწყვეტილება მიიღეს. პირველად შვიდპიშკრიან თებეს წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ. ამფიარაემ უარი თქვა ლაშქრობაში მონაწილეობაზე, რადგან იცოდა, რომ ამ ლაშქრობას გმირები ღმერთების ნების წინააღმდეგ აწყობდნენ. არ უნდოდა ზევსისა და აპოლონის საყვარელ გმირს მათი ნება-სურვილი დაერღვია. რა ღონისძიებით არ ცდილობდა ტიდევსი ამფიარაეს დაყოლიებას, მაგრამ გმირი მტკიცედ იდგა თავის ნათქვამზე. დაუოკებელი რისხვით აენთო ტიდევსი, სამუდამო მტრებად

იქცეოდნენ გმირები ადრასტეს რომ არ შეერიგებინა. ამფიარაე რომ დაეთანხმებინა ლაშქრობაში მონაწილეობაზე, პოლინიკემ ხერხს მიმართა. გადაწყვიტა, თავის მხარეზე გადმოებირებინა ერიფილე, რათა ქალს ამფიარაე თებეს წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლაზე დაეთანხმებია. იცოდა ერიფილეს ანგარების ამბავი და საჩუქრად დაჰპირდა, თებეს პირველი მეფის კადმოსის ცოლის ჰარმონიას ძვირფას ყელსაბამს. ერიფილე დახარბდა ძვირფას ძღვენს და გადაწყვიტა აეძულებინა ქმარი ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო. ამფიარაეს უარის თქმა აღარ შეეძლო. ერთ დროს ხომ თვითონვე დადო ფიცი, ჩემი ცოლის ყველა გადაწყვეტილებას დავემორჩილებიო. ასე გაგზავნა საკუთარმა მეუღლემ რაღაც ყელსაბამისათვის თავისი ქმარი დასაღუპად. რა იცოდა, რომ ამ ყელსაბამს უდიდესი უბედურებანი მოჰქონდა მისი მფლობელისათვის.

მრავალი გმირი დათანხმდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე. თებეს მიაშურეს პროიტეს ძალუმმა შთამომავლებმა, ღმერთივით ღონიერმა კაპანევსმა და ეტეოკლემ; სახელგანთქმული არკადიელი მონადირე ქალის ატალანტას ვაჟმა, ახალგაზრდა და მშვენიერმა პართენოპემ, სახელოვანმა ჰიპომედონტმა და მრავალმა სხვა გმირმა. პოლინიკე მიკენშიც წავიდა მოკავშირეთა საძებნელად. მიკენის მმართველი დათანხმდა ლაშქრობაში მონაწილეობაზე, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა დიდმა მეხთამტყორცნელმა ზევსმა, რომელმაც თავისი მრისხანე ნიშანი მისცა. მაინც დიდძალი ჯარი შეგროვდა. შვიდი ბელადი მიუძღოდა თებეს წინააღმდეგ სალაშქროდ დაძრულ გმირებს, ლაშქრის სათავეში ადრასტე იდგა. დასაღუპავად მიდიოდნენ გმირები. არ უსმინეს ბრძენ ამფიარაეს მუდარას, ხელი აეღოთ ამ ლაშქრობაზე. ყველანი მხოლოდ ერთი სურვილით იწვოდნენ: თებეს კედლებთან გამოეცადათ მკლავთა ღონე და ხმალთა კვეთება.

ჯარი სალაშქროდ დაიძრა. ამფიარაეც დაემშვიდობა თავის ოჯახს, გადაჰკოცნა თავისი ასულები, აგრეთვე ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი ალკმეონი და პატარა ამფილოქე, ძიძას რომ ჰყავდა ხელში აყვანილი. ლაშქრად წასვლის წინ ამფიარაემ ალკმეონი დააფიცა, შური ეძია დედაზე, რომელმაც მამა დასაღუპავად გაგზავნა. დარდით გათანგული ამფიარაე ეტლში ჩაჯდა. იცოდა, უკანასკნელად ხედავდა თავის შვილებს. ეტლში მდგარი ცოლს მიუბრუნდა, მახვილით დაემუქრა ერიფილეს და დასწყევლა იმისათვის, რომ სასიკვდილოდ გასწირა.

ჯარმა მშვიდობით მიაღწია ნემეის ხეობას. აქ წყურვილით გაწამებული მეომრები წყლის ძებნას შეუდგნენ. ვერსად ვერ იპოვეს წვეთი წყალი, რადგან ზევსის ბრძანებით ნიმფებს ყველა წყარო მიწით ამოეკოლათ. ზევსი ურისხდებოდა გმირებს, რომლებმაც ლაშქრობა მისი სურვილის წინააღმდეგ მოაწყეს.

ბოლოს მებრძოლებმა ნახეს ლემნოსის ყოფილი დედოფალი ჰიპსიპილე, რომელსაც ხელში ნემეის მეფის ლიკურგეს შვილი ოფელტე ეკავა. ჰიპსიპილე ლემნოსელმა ქალებმა მონად გაყიდეს იმისათვის, რომ თავისი მამა თოანტი გადაარჩინა მაშინ, როდესაც ყველა მამაკაცი გაჟლიტეს. ახლა ლემნოსის დედოფალი ლიკურგეს მხევალი და მისი შვილის ძიძა იყო. ჰიპსიპილემ ყმაწვილი ბალახზე დასვა და მეომრებისათვის წყაროს საჩვენებლად წავიდა, ტყეში რომ იყო შეუმჩნეველ ადგილას დაფარული. როგორც კი ჰიპსიპილე და მეომრები წავიდნენ, ბუჩქებიდან უზარმაზარი გველი გამოძვრა და მეფისწულს რამდენიმე რგოლად შემოეგრაგნა. ბავშვის ყვირილზე მოვარდნენ ჰიპსიპილე და მეომრები, საშველად გამოეშურა მეფე ლიკურგე და დედოფალი ევრიდიკე, მაგრამ გველმა მოასწრო ნორჩი ოფელტეს გაგუდვა. ლიკურგემ მახვილი იშიშვლა და ჰიპსიპილეს მივარდა. სიკვდილი არ ასცდებოდა ლემნოსელთა ყოფილ დედოფალს ტიდევსი რომ არ მიშველებოდა. გმირი მზად იყო ლიკურგეს შებმოდა, მაგრამ ადრასტემ და ამფიარაემ შეაჩერეს. არ დაანებეს სიახლის დაღვრა. მეომრებმა ოფელტე დაასაფლავეს და სამარესთან მოაწყვეს სამხედრო ასპარეზობა, რითაც საძირკველი ჩაუყარეს ნემეის ასპარეზობებს. ამფიარაე მიხვდა, რომ ოფელტეს სიკვდილი — წინასწარი ნიშანი იყო მთელი ლაშქრისათვის, იგი მოასწავებდა პოლინიკეს მომხრე გმირების დაღუპვას. ამფიარაემ ოფელტეს არქემოროსი, ე. ი. სიკვდილის წინამძღოლი უწოდა, და ისევ დაუწყო გმირებს ხვეწნა, ხელი აეღოთ თებეს წინააღმდეგ ლაშქრობაზე. მაგრამ მეომრებმა ისევ უარი უთხრეს, შეურყეველად წავიდნენ საკუთარი თავის დასაღუპავად.

ტყიანი კითერონის ხეობები რომ გაიარეს, გმირები ასოპის ნაპირებზე შვიდჯიშკრიან თებეს კედლებს მიადგნენ. ბელადებს ერთბაშად არ შემოურტყამთ ალყა თებესთვის. გადაწყვიტეს ტიდევსის გაგზავნა თებელებთან მოსალაპარაკებლად. თებეში რომ შევიდა, ტიდევსმა ყველა უწარჩინებულესი თებელი ეტეოკლესთან ნადიმზე ნახა თავმოყრილი. თებელებმა არც კი მოუსმინეს ტიდევსს, სიცილით ეპატიჟებოდნენ სუფრაზე. განრისხდა ტიდევსი და მიუხედავად იმისა, რომ მარტო იყო მტრებით გარემოცული, მალაღობელნი ორთაბრძოლაში გამოიწვია და ყველა სათითაოდ დაამარცხა, რადგან ათენაპალადა დაეხმარა თავის საყვარელ გმირს. რისხვით აევსოთ გული თებელებს და დიდი გმირის დაღუპვა განიზრახეს. მეონტისა და ლიკოფონის წინამძღოლობით ორმოცდაათი რჩეული მეომარი გაგზავნეს, რომ ტიდევსს მოულოდნელად დასხმოდნენ თავს იმ დროს, როდესაც მოალყეებთან გაბრუნდებოდა. არც აქ დაღუპულა ტიდევსი, ყველა ჭაბუკი გაწყვიტა, მხოლოდ ერთი მეონტი გაუ-

შვა ცოცხალი, ისიც ღმერთების ბრძანებით, რათა თებელებისათვის ბრძოლის ბედი შეეტყობინებინა.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღვივდა მტრობა არგოსიდან მოსულ გმირებსა და თებელებს შორის. შვიდივე ბელადმა მსხვერპლი შესწირა ღმერთ არესს, ბრძოლის ყველა ღმერთსა და სიკვდილის ღვთაებას თანატოსს. ხელები სამსხვერპლო სისხლში ამოავლეს და ფიცი დასდეს, ან დავანგრევთ თებეს კედლებს ან ბრძოლაში დაცემულნი სისხლით მოვრწყავთ თებეს მიწასო. არგოსელი გმირების ჯარი საიერიშოდ გაემზადა. ადრასტემ ლაშქარი დაანაწილა. შვიდსავე გმირს შვიდგან უნდა მიემართა, ყოველს თითო ჭიშკარი ხვდებოდა საიერიშოდ.

პროიტეს ჭიშკრის წინააღმდეგ შმაგი დრაკონივით სისხლმოწყურებული ძალუმი ტიდეევსი დადგა. სამი ფრთა უფრიალებდა მუზარადზე, ფარზე გამოსახული იყო ვარსკვლავიანი ცა, შუაში კი ღამის თვალი — მთვარე ქათქათებდა.

ბუმბერაზივით უზარმაზარმა კაპანევსმა თავისი რაზმი ელექტრას ჭიშკრის პირისპირ დააყენა. თებელებს ემუქრებოდა, თქვენს ქალაქს მაინც ავიღებ, თუმცა ღმერთებს ეს არა სწადიათო, ყოველი დამთრგუნველი მეხთამტყორცნელი ზევსიც კი ვერ შემაჩერებსო, ამბობდა კაპარევსი. მის ფარზე გამოსახული იყო ტიტველი გმირი ჩირაღდნით ხელში.

ეტეოკლე, პროიტეს შთამომავალი, ნეის ჭიშკრის პირდაპირ დადგა. მის ფარზეც იყო ემბლემა: ალყაშემორტყმული ქალაქის კოშკზე მეომარი იდგა, ხოლო მის ქვეშ ასეთი წარწერა იყო: „ვერ ჩამომაგდებს თვით ღმერთი არესი“.

ათენას ჭიშკრის პირისპირ იდგა ჰიპომედონტი. მის მზესავით მოელვარე ფარზე გამოსახული იყო ცეცხლისმფრქვეველი ტითონი. მძვინვარედ ქუხდა ჰიპომედონტის საბრძოლო შეძახილი, მის თვალთა მზერა სიკვდილით ემუქრებოდა ყველას, ვინც შებმას გაუბედავდა.

ჯერაც ჭაბუკი და მშვენიერი პართენოპე თავის გმირთა გუნდს ბორეადის ჭიშკრისაკენ გაუძღვა. მის ფარზე გამოსახული იყო სფინქსი, რომელიც კლანჭებით გლეჯდა თებელს.

გრძნეული ამფიარაე ჰომოლოიდის ჭიშკრებს ემუქრებოდა. ბრაზობდა ტიდეევსზე — ომის გამჩაღებელზე, ლანძღავდა მკვლელს, ქალაქთა ამაოხრებელს, მძვინვარების მაუწყებელს, ყოველნაირი ბოროტების მრჩეველს. სძაგდა ეს ლაშქრობა, საყვედურებით ავსებდა პოლინიკეს იმისათვის, რომ უცხოელები მოიყვანა მშობლიური ქალაქის დასანგრევად. იცოდა ამფიარაემ, რომ შთამომავალნი დასწყევლიან ამ ლაშქრობის მონაწილეებს. იცოდა ამფიარაემ ისიც. რომ თვითონაც მკვდარი დაეცემოდა ბრძოლაში, თებეს მიწა შთანთქავდა მის

გვამს. ამფიარაეს ფარზე არ იყო გამოსახული ემბლემა — მისი ერთი გამოხედვა ყოველგვარ ემბლემაზე უფრო შთამაგონებელი იყო.

უკანასკნელ, მეშვიდე ჭიშკარს ალყას არტყამდა პოლინიკე. მის ფარზე გამოხატული იყო ქალღმერთი, რომელიც შეიარაღებულ მებრძოლს მიუძღოდა წინ, ფარს კი ეწერა: „მე ეს გმირი გამარჯვებული მიმყავს თავის ქალაქში, თავისი მამების სახლში ვაბრუნებ“. ყველაფერი მზად იყო თებეს აუღებელი კედლების საიერიშოდ.

თებელებიც მზად იყვნენ შესაბმელად: ეტეოკლემ ყოველ ჭიშკარს მცველად სახელგანთქმული გმირი მიუჩინა. თვითონ ის ჭიშკარი აირჩია, რომელსაც მისი ძმა პოლინიკე მოადგა. ტიდევსის წინააღმდეგ გამოდიოდა ასტაქის ძლევამოსილი შვილი მელანიპე, კადმოსის მოკლული დრაკონის კბილებიდან ამოსული ერთ-ერთი მეომრის შთამომავალი. კაპანევსის წინააღმდეგ ეტეოკლემ გაგზავნა პოლიფონტე, რომელსაც თვით არტემიდე იცავდა. კრეონტის შვილი მეგარევსი თავისი რაზმით დადგა იმ ჭიშკართან, რომელსაც პროიტიდი ეტეოკლე უტევდა. ოინორის ძე ჰიპერბიოსი გაიგზავნა ჰიპომედონტის წინააღმდეგ, გმირი აქტორი — პართენოპეს წინააღმდეგ, ამფიარაეს შესახვედრად კი გაგზავნეს ლეისფენი, რომელსაც ჭაბუკის მუხლი და მოხუცის ჭკუა ჰქონდა. თებეს გმირებს შორის იმყოფებოდა აგრეთვე პოსეიდონის უძლეველი შვილი ძალუმი პერიკლიმენე.

ბრძოლის დაწყებამდე ეტეოკლემ მისან ტირესიას ჰკითხა, როგორი იქნებოდა ბრძოლის შედეგი. ტირესია გამარჯვებას დაჰპირდა მხოლოდ იმ პირობით, თუ კრეონტის შვილს მენეკევსს მსხვერპლად შესწირავდნენ არესს, რომელიც ჯერ კიდევ წყრებოდა კადმოსის მიერ მისი სახელობის დრაკონის მოკვლის გამო. როცა ჭაბუკმა მენეკევსმა ასეთი წინასწარმეტყველება გაიგო, თებეს კედელზე ავიდა, იმ გამოქვაბულისაკენ დადგა, სადაც ოდესღაც არესისადმი მიძღვნილი დრაკონი ცხოვრობდა, და საკუთარი ხელით გაიპო მკერდი. ასე მოკვდა კრეონტის შვილი. საკუთარი სურვილით მოიტანა თავი მსხვერპლად, რათა ეხსნა მშობლიური თებე.

თებელებს ყველაფერი გამარჯვებას უქადდა. მრისხანე არესის გულიც მოალბეს, ღმერთებს თებელთა მხარე უჭირავთ, რადგან ისინი ღმერთების ნიშნებს თვალს აპყრობენ და მათ ნებას ემორჩილებიან.

მაგრამ ადვილად როდი ერგოთ გამარჯვება თებელებს. ქალაქის კედლებს რომ გასცდნენ და აპოლონის საკურთხეველთან არგოსელთა ჯარს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს, მტრის იერიშს ვეღარ გაუძღეს და უკანდახევა მოუხდათ, ისევ ქალაქის კედლებს შეაფარეს თავი. არგოსელები უკუქცეულ მტერს

ფეხდაფეხ მიჰყვნენ და ქალაქის კედლებზე მიიტანეს იერიში. ზვიადმა კაპანევ-სმა, თავისი ზებუნებრივი ღონით დაიმედებულმა, კიბე შეუდგა გალავანს და ის იყო უკვე ქალაქში შეჭრას აპირებდა, მაგრამ ზევსმა არ ისურვა, რომ ვისმეს მისი ნების წინააღმდეგ ქალაქში შეეღწია. უკვე კედელზე მდგარ კაპანევსს ელვა სტყორცნა და სასიკვდილოდ დაჭრა. ერთიანად ცეცხლმოდებული, აბოლებული გმირი კედლიდან გადმოვარდა და არგოსელების ფერხთით დაეცა.

თებეს კედლებთან დაეცა აგრეთვე ჭაბუკი პართენოპე. ძალუმმა ჰერიკლი-მენემ კედლიდან კლდის ოდენა ლოდი ესროლა და თავში მოახვედრა. თავგასრე-სილი პართენოპე უსულოდ დაეცა.

არგოსელებმა უკან დახევა იკადრეს. დარწმუნდნენ, იერიშით თებეს ვერ ავიღებთო. ახლა კი შეეძლოთ ეზეიმათ თებელებს. თებეს კედელი ურყევი და შეუვალი იყო.

მაშინ მოწინააღმდეგეებმა გადაწყვიტეს პოლინიკე და ეტეოკლეს ორთა-ბრძოლაში გამარჯვებულს მიკუთვნებოდა თებეს ტახტი. ოიდიპოსის მოქიშპე შვილები საბრძოლოდ გაემზადნენ. თებეს ჭიშკრიდან გამოვიდა მოლაპლაპე აბ-ჯრით აღჭურვილი ეტეოკლე. პოლინიკე არგოსელებს გამოეყო და ძმას შეეგე-ბა. ახლა უნდა დაწყებულიყო ომი ძმათა შორის. ორივეს ერთიმეორის სიძულ-ვილით ჰქონდათ ანთებული გულები. ერთ-ერთი უსათუოდ უნდა დაცემულიყო. მაგრამ სხვას უქადდნენ ბედისწერის ულმობელი ქალღმერთები — მოირები. შურისმაძიებელ ეემენიდებს არ დავიწყებიათ ოიდიპოსის წყევლა, არ დავიწყე-ბიათ არც ლაიოსის დანაშაულობანი და არც პელოპის წყევლა.

ნადავლისათვის გამძვინვარებული მრისხანე ლომებივით ეკვეთა ერთიმეო-რეს ორი ღვიძლი ძმა და გაიმართა სასტიკი ორთაბრძოლა. ფარმომარჯვე-ბულნი იბრძვიან, სიძულვილით ანთებული თვალებით ფხიზლად ზვერავენ ერთმანეთის მოძრაობას. აი, წაიბორძიკა ეტეოკლემ, თვალის დახამხამებაში სტყორცნა შუბი პოლინიკემ და ბარძაყში დაჭრა. იფეთქა სისხლმა ჭრილობი-დან, მაგრამ შუბის გასროლის დროს პოლინიკემაც გაიშიშვლა მხარი და ეტეოკ-ლემ მაშინვე სტყორცნა მხარში შუბი. აბჯარს რომ მოხვდა შუბი გაიღუნა და ტარი მოტყდა. ეტეოკლე მახვილის ამარა დარჩა. სწრაფად დაიხარა, უზარმაზარ ლოდს დასტაცა ხელი და პოლინიკეს ესროლა. ლოდი შუბს მოხვდა და ერთია-ნად დაამსხვრია. ახლა ძმები მახვილის ამარა დარჩნენ. ფარი ფარს აჯახეს, იბრძვიან ძმები, ორივე დაჭრილია, სისხლმა შეღება მათი საჭურველი. სწრაფად დაიხია უკან ერთი ნაბიჯით ეტეოკლემ. არ ელოდა ამას პოლინიკე, წაბარბაცდა, ფარი ასწია, ეტეოკლემ კი ამ დროს მახვილი მუცელში ატაკა. პოლინიკე ძირს დაეცა, საშინელი ჭრილობიდან სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა, თვალებში

სიკვდილის ბინდი ჩაუდგა. ეტეოკლე გამარჯვებას ზეიმობდა, დაცემულ ძმასთან მიიკრა, საკურველის აყრა მოუნდომა. უკანასკნელი ძალები მოიკრიბა პოლინიკემ, წამოიწია და ძმას მკერდში მახვილი ჩასცა. ამ დარტყმასთან ერთად მისი სული ჰადესის პირქუშ სამეფოში გაფრინდა. მოკრილ მუხასავით დაეცა ეტეოკლეც ძმის გვამზე, და ძმათა სისხლით მიწა წითლად შეიღება. შეძრწუნებული შესცქეროდნენ თებელები და არგოსელები ძმათა ბრძოლის საზარელ დასასრულს.

დიდხანს არ გაგრძელებულა დაზაფება მოალყეებსა და ალყაშემორტყმულებს შორის. ახალი ძალით გაჩაღდა სისხლიანი ბრძოლა. ამ ბრძოლაში ღმერთები თებელებს მფარველობდნენ. დაეცა ჰიპოდემონტი, დაეცა პროიტიდი ეტეოკლე. უძლეველი ტიდევსი სასიკვდილოდ დაჭრა ძალუმმა მელანიპემ. თუმცა სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, ტიდევსმა მაინც იპოვა ძალა, რომ სამაგიერო გადაეხადა მელანიპესთვის, შუბით განეგმირა მოწინააღმდეგე. ათენა-პალადამ თვალი მოჰკრა მომაკვდავ, სისხლისაგან დაცლილ ტიდევსს და ზევსს სთხოვა ნება მიეცა ეხსნა გმირი და უკვდავება მიენიჭებია თავის რჩეულისათვის. ზევსმა ნება დართო და ათენაც დაჭრილისაკენ გაეშურა. მაგრამ ამ დროს ამფიარაემ მომაკვდავ მელანიპეს თავი მოჭკეთა და განწირულ ტიდევსს მიუგდო. გაშაგებულმა ტიდევსმა სტაცა ხელი გმირის თავის ქალას, დაამსხვრია და გარეული ნადირივით დიეწაფა მტრის ტვინს. შეძრწუნდა ათენა, ტიდევსის სიშმაგე და სისხლისმსმელობა რომ იხილა, ზურგი აქცია, ხოლო მომაკვდავმა ტიდევსმა მხოლოდ ესღა მოასწრო, ჩურჩულით შეევედრა გაბრუნებულ ათენას — ისმინე ჩემი უკანასკნელი სათხოვარი, ჩემს შვილს დიომედეს მაინც მიანიჭე უკვდავება, რაც მე ვერ მივიღეო.

თებელებმა დაამარცხეს არგოსელები, გაქლიტეს მათი ლაშქარი. დაიღუპა ამფიარაეც, რომელმაც გაქცევა სცადა. გრძნეული გმირის საბრძოლო ეტლს ბატონე მართავდა. ძალუმი პერიკლიმენე მისდევდა მისანს. უკვე წამოეწია პოსეიდონის შვილი დიდ წინასწარმეტყველს, უკვე მოუქნია შუბი, რომ ზურგში დაეკრა და გაეგმირა, მაგრამ ანაზნად იქექა ზევსის მეხმა, ეიპო მიწა და ამფიარაე თავის საბრძოლო ეტლიანად შთანთქა. ყველა გმირიდან მხოლოდ ადრასტე გადარჩა. თავის ქარავით სწრაფ რაშს არეიონს მოახტა და თავი ათენს შეაფარა, იქიდან კი არგოსში დაბრუნდა.

თებელები ზეიმობდნენ, თებე გადარჩა. მათ საზეიმო ვითარებაში დაკრძალეს თავიანთი დაღუპული გმირები, მაგრამ არგოსიდან მოსული ყველა გმირი და მეომარი, მათ შორის პოლინიკეც დაუმარხავი დატოვეს. დაუკრძალავად ეგდო ბრძოლის ველზე ნადირთა საძიძგნად პოლინიკე, თავის სამშობლოს წინააღმდეგ რომ აღმართა ხელი.

არგოსელი გმირების ცოლებმა და დედებმა გაიგეს, რომ დაღუპულები დაუსაფლავებლად დაყარეს. დარდით გულძოკლულებმა ადრასტე იახლეს და ატიკაში წავიდნენ, რომ თეზევსისათვის ეთხოვათ, იძულებული გაეხადა თებედას დაღუპულთა გვამები დასაკრძალავად მიეცათ ჭირისუფალთათვის. ელევსინში დემეტრეს ტაძართან თეზევსის დედას შეხვდნენ და ვედრებით მიმართეს, შვილს შეეხვეწე, არგოსელთა გვამები მოსთხოვოსო თებელებს. დიდხანს ყოყმანობდა თეზევსი, ბოლოს გადაწყვიტა დახმარებოდა ადრასტესა და არგოსელ ქალებს. სწორედ ამ დროს თებედან კრეონტის ელჩი მოვიდა და თეზევსს მოსთხოვა არ გაეწია დახმარება არგოსელი ქალებისათვის და ადრასტე ატიკიდან განედევნა.

განრისხდა თეზევსი. როგორ უბედავს კრეონტი, მორჩილებას რომ სთხოვს? განა საკუთარი გადაწყვეტილებების პატრონი თვითონ არ არის ათენის მეფე? მაშინვე დაძრა ჯარი, სასტიკად დაამარცხა თებელები და აიძულა გადაეცათ პატრონებისათვის ყველა დაცემული გმირის გვამი. ელევთეროსთან შვიდი კოცონი გააჩაღეს და ზედ შვიდი გმირის გვამი დაწვეს. ბელადთა გვამები კი ელევსინში გადაიტანეს და იქ დაწვეს, ხოლო მათი ფერფლი მათმა ცოლებმა და დედებმა სამშობლოში, არგოსში ჩაიტანეს.

მხოლოდ ღმერთის ელვით დამწვარი კაპანევსის ფერფლი დარჩა ელევსინში. წმინდა იყო კაპანევსის ფერფლი, რადგან თვითონ მეხთამტეხმა ზეუსმა მოკლა იგი. ათენელებმა უზარმაზარი კოცონი გააჩაღეს და კაპანევსის გვამი ზედ დაასვენეს. როცა კოცონი გაჩაღდა და ცეცხლის ენები გმირის გვამს შეეხნენ, ელევსინში მივიდა კაპანევსის მეუღლე, იფისის მშვენიერი ასული ევადნე. მან ვერ აიტანა საყვარელი ქმრის სიკვდილი. მდიდრული სამგლოვიარო სამოსი ჩაიცვა, ავიდა კლდის ბექობზე, პირდაპირ კოცონს რომ დასცქეროდა, და მოგიზგიზე ცეცხლში გადაეშვა.

ასე დაიღუპა ევადნე და მისი სული ქმრის სულთან ერთად ჰადესის პირქუშ სამეფოში ჩავიდა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სოფოკლეს ტრაგედიის „ანტიგონეს“ მიხედვით

არგოსელების დამარცხების შემდეგ თებელებმა მოაწყვეს ეტეოკლეს მეფური გასვენება, ასევე პატივი სცეს დანარჩენ გმირებს, ხოლო პოლინიკეს კი კრეონტისა და თებელების გადაწყვეტილებით მიწა არ აღირსეს, რადგან თებეს წინააღმდეგ უცხოელები მოიყვანა. მისი გვამი ქალაქის კედლებთან ეგდო მინ-

დვრად, მტაცებელ მხეცთა და ფრინველთა საჯიჯგნად. პოლინიკეს სული მარად სახეტიალოდ იყო განწირული, სიმშვიდეს ვერ ნახავდა მიცვალებულთა სულების სამეფოში.

იტანჯებოდა კეთილშობილი, ყოველგვარი მსხვერპლისათვის მზად მყოფი მისი და, ოიდიპოსის ასული ანტიგონე, როცა ხედავდა, რარიგ განწირული იყო შესაგინებლად მისი ძმის გვამი. ყველაფრის მიუხედავად განიზრახა თვითონ დაეკრძალა პოლინიკეს ცხედარი. ვერ შეაშინა ვერც კრეონტის მუქარამ, სიკვდილს რომ უქადდა ყველას, ვინც სამგლოვიარო წესის შესრულებით მიაბარებდა მიწას პოლინიკეს. ანტიგონე თავის და ისმენეს სთხოვდა შველას ძმის დასაფლავებაში. მაგრამ ისმენემ დახმარება ვერ გაბედა, კრეონტის რისხვის ეშინოდა. პირიქით დისთვის ხელის შეშლასაც კი ცდილობდა, თებეს მეფის ნებას ნუ გადაუდგებიო, თან მოაგონებდა, რა ხვედრიც ერგოთ დედას და ძმებს. ნუთუ ანტიგონეს სურს დაღუპოს თავიც და სხვაც?

ანტიგონემ არ დაუჯერა ისმენეს. გადაწყვიტა მარტოს მოეხადა ვალი ძმის წინაშე, მზად იყო უდრტვინველად აეტანა ყველაფერი, ოღონდ ძმის გვამი დაუკრძალავი არ დარჩენილიყო. ანტიგონემ შეასრულა კიდეც თავისი გადაწყვეტილება.

კრეონტმა მალე გაიგო, რომ მისი ბრძანება დარღვეულია. ერთმა გუშაგთაგანმა მოუთხრო: ვიღაც ფარულად მისულა პოლინიკეს გვამთან, ზედ მიწა დაუყრია და დაკრძალვის სათანადო წესი შეუსრულებიაო. საშინლად განრისხდა კრეონტი, წამებით სიკვდილით დაემუქრა გუშაგსა და მის ამხანაგებს, თუ არ იპოვნიდნენ მას, ვინც პოლინიკეს დაკრძალვის წესი შეასრულა. თვით ზევსის სახელს ფიცულობდა, ჩემ მუქარას სისრულეში მოვიყვანო.

გუშაგები იქით წავიდნენ, სადაც პოლინიკეს გვამი ეგდო. გვამიდან მიწა გადაყარეს და შორიახლო ბორცვიდან დაუწყეს თვალთვალი, რადგან აუტანელი სუნი იდგა. უეცრად შუადღისას ქარიშხალი ავარდა, მთელს მინდორზე მტვრის კორიანტელი დაატრიალა. ხოლო როცა ქარი ჩადგა, გუშაგებმა ნახეს გვამზე დახრილი ქალიშვილი, პოლინიკეს რომ დასტიროდა, და მისი ნაღვლიანი ხმა ისე ისმოდა, როგორც საწყალობელი გალობა ფრინველისა, რომელმაც ნახა, რომ ბოროტ ხელს მისი ბარტყები გაუტაცნია. ქალიშვილი უკვე ასრულებდა წმინდა სითხის დაქცევის წესს მიწისქვეშა ღმერთების საპატივცემოდ, როდესაც გუშაგებმა ხელი სტაცეს და კრეონტს მიჰგვარეს. ეს ქალიშვილი ანტიგონე იყო.

მრისხანედ მიმართა კრეონტმა ანტიგონეს და მოითხოვა, აღიარე დანაშაულიო. ანტიგონე არც აპირებდა თავისი დანაშაულის უარყოფას. მართალია, კრეონტის ბრძანება დაარღვია, მაგრამ სამაგიეროდ შეასრულა კანონი და ღმერ-

თების ნება. ანტიგონემ მოიხადა ვალი ძმის წინაშე, მისი გვამი მიწას მიაბარა. სიკვდილი არ აშინებს, კიდეც სწყურია, რადგან მისი სიცოცხლე მხოლოდ მწუხარებითაა აღსავსე. საშინლად განრისხებული კრეონტი სიკვდილით დასჯით ემუქრება არა მარტო ანტიგონეს, არამედ ისმენესაც, რადგან მისი აზრით ისმენეც ეხმარებოდა დას.

როგორც კი გაიგო, ისმენესაც უპირებსო დასჯას, ანტიგონეს ელდა ეცა ნუთუ დის დაღუპვის მიზეზიც გახდება? მსახურები ისმენეს მოსაყვანად წავიდნენ. აი, გამოჩნდა კიდეც კარის ზღურბლზე ისმენე. მას თვალთაგან ცრემლები სდის, დის დარდით გული ელევა. კრეონტის კითხვას მუდამ მოშიშარმა ისმენემ, რომელიც მიხვდა, რომ ანტიგონეს სიკვდილი ელის, ამჯერად საკმაო ნებისყოფა და სიმამაცე გამოიჩინა, და გადაწყვიტა დის ბედი გაეზიარებინა, მტკიცედ უპასუხა: მეც მივიღე მონაწილეობა ძმის ცხედრის დაკრძალვაშიო.

ანტიგონეს არ სურს, რომ სრულიად უდანაშაულო ისმენე მასთან ერთად დაისაჯოს. ამაოდ ეევედრება ისმენე:

— ო, დაო ნუ მკრავ ხელს, ნუ ამბობ, რომ არა ვარ ღირსი შენთან სიკვდილისა! განა აქვს აზრი ჩემს სიცოცხლეს უშენოდ? ნუ შეურაცხმყოფ!

ანტიგონე კი ეუბნება დას:

— არა, შენ არ უნდა მოკვდე ჩემთან ერთად! არ უნდა დაიბრალო ის რაც არ ჩაგიდენია! ჩემი სიკვდილიც საკმარისი იქნება! შენ სიცოცხლე აირჩიე, მე კი სიკვდილი!

ისმენე ეევედრება კრეონტს, შეიწყალოს ანტიგონე, ეევედრება დაფიქრდეს იმაზე, რომ სასიკვდილოდ სწირავს შვილის საცოლეს. მაგრამ კრეონტს გულს არ ულბობს მისი ვედრება. არ მივცემ ჩემს შვილს ჰემონს იმის ნებას რომ ცოლად შეირთოს დამნაშავე — აცხადებს კრეონტი. არა, ანტიგონე უნდა მოკვდეს, სიკვდილი დააშორებს მასა და ჰემონს. კრეონტი მსახურთ უბრძანებს წაიყვანონ ანტიგონე და ისმენე სასახლეში და იქ საიმედოდ დაამწყვდიონ, რომ გაქცევა ვერ შეძლონ. მსახურებს მიჰყავთ ოიდიპოსის შვილები. დგანან მდუმარე მოქალაქეები. თანაუგრძნობენ ანტიგონეს. იციან, რომ ქალიშვილმა გმირობა ჩაიდინა. მართალი იყო ანტიგონე, კრეონტს რომ უთხრა, ხალხი არ დამდებდაო ბრალს პოლინიკეს დასაფლავებისათვის, პატივმოყვარე კრეონტს რომ არ შეეკრა მათთვის ბაგეები სასჯელის შიშითო.

კრეონტის შვილი, ახალგაზრდა ჰემონი, როგორც კი გაიგო, რა ხვედრიც ელოდა მის საცოლეს, მაშინვე მამასთან მიიჭრა და ანტიგონეს შეწყნარება სთხოვა. ჰემონმა იცის, რომ ხალხს ეცოდება უდანაშაულო ანტიგონე, ხალხი დრტვინავს, რომ კეთილშობილური გმირობისათვის სიკვდილი ემუქრება. ჰემონი სთხოვს მამას, ნუ ჯიუტობ და აღიარე შენი დაბნეულობაო.

— თებეში არავინ თვლის ანტიგონეს დამნაშავედ! — თამამად ეუბნება ჰემონი კრეონტს. — მამაჩემო, ვხედავ, უსამართლობის ჩადენა გადაგიწყვეტია! შენ დაარღვიე თვით ღმერთების დადგენილი კანონი!

სულ უფრო და უფრო ცხარობს კრეონტი. ფიქრობს, რომ მხოლოდ ანტიგონეს სიყვარული ალაპარაკებს ასე მის ვაჟს. განრისხებული უყვირის:

— ო, შენ ისე აზროვნებ, როგორც ქალების საძაგელი მონა!

— არა, — უპასუხა ჰემონმა, — შენ ვერასოდეს ვერ ნახავ, რომ ბოროტ საქმეს თანაგრძნობით შევხვდე. მე თვით შენ გესარჩლები!

მაგრამ კრეონტი უკვე აღარ უსმენს ჰემონს, საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს ანტიგონეს დასჯა.

მამის საბოლოო პასუხი რომ მოისმინა ჰემონმა უთხრა:

—თუ ანტიგონე მოკვდება, სხვასაც გაიყოლებს.

მაგრამ კრეონტის მრისხანება უკვე საზღვარს გადასცდა. მეომრებს უბრძანა, მოიყვანონ ანტიგონე და აქვე, მისი შვილის თვალწინ მოუღონ ბოლო.

— არა, არ მოკვდება ანტიგონე ჩემს თვალწინ! — შესძახა ჰემონმა. — ვეღარასოდეს ვერ მნახავ, მამავ, დღეიდან! შეგიძლია მარტო იპარპაშო შენს მლიქვნელ მეგობრებს შორის!

ამ სიტყვებით წავიდა ჰემონი. ამაოდ აფრთხილებდნენ მოქალაქეები კრეონტს, რომ უბედურებას მოუტანდა ის განრისხება, რომლითაც მოცულია ჰემონი. ყოველივე ამაოა, ულმობელია კრეონტი.

აი, მოჰყავთ ანტიგონე, საშინელი სასჯელი განუმზადეს მას. კრეონტმა გადაწყვიტა ცოცხლად დამარხოს ლაბდაკიდების აკლდამაში. ანტიგონე თავის უკანასკნელ გზაზე აქერონტის ნაპირებისაკენ მიემართება. ცოცხლად ჩამარხავენ აკლდამაში. ადამიანებს შორის კი აღარ იქნება, არამედ მიცვალებულთა შორის, არც სიკვდილისა იქნება, არც სიცოცხლისა. არც ერთი მეგობარი არ ახლავს. დაუტირებლად მიჰყავთ სასიკვდილოდ, საკუთარ სამარეში. ეღარ შეხედავს დღის ნათელს.

ის იყო ანტიგონე გაიყვანეს, რომ ყმაწვილმა კრეონტთან ბრმა წინასწარმეტყველი ტირესია მოიყვანა. ავბედითი ნიშნები მისცეს ღმერთებმა თურმე მსხვერპლის შეწირვის დროს. ღმერთები განრისხებული არიან, რომ დაცემულის გვამი დასაფლავებული არაა, ფრინველები და ძაღლები დაათრევენ გახრწნილი გვამის ნაგლეჯებს. შმაგი სიჯიუტით შეპყრობილი კრეონტი არც ტირესიას რჩევას უსმენს, მიწას მიაბარეო პოლინიკეს გვამი. თვით ზევსის არწივმა რომ აიტანოს ოლიმპოზე, მეხთამტყორცნელს მიუტანოს გვამის ნაგლეჯი, მაშინაც დაუსაფლავებელი დარჩებაო. კრეონტი ბრალსა სდებს ტირესიას, მოსყი-

დული ხარ, ანგარების გამო მაძლევ ასეთ რჩევასო. განრისხებული ტირესია მრისხანედ მიმართავს კრეონტს, ყველაფერში თვითონვე ხარ დამნაშავე, ღმერთები შეურაცხყავი, ანტიგონე ცოცხლად დამარხე აკლდამაში, შეაგინე პოლინიკეს გვამი, დაარღვიე ღმერთების კანონიო. ამისათვის კრეონტს ღმერთები სასტიკად დასჯიან. მთელი მისი სახლი ძაძით შეიმოსება, სასჯელი დაატყდება მას, ვინც კრეონტს ყველაზე ძვირფასად მიაჩნია. სამაგიეროს გადაუხდიან ერინიები, რომელთაც შებრალება არ იციან. ვერაფერი ვერ იხსნის საშინელი სასჯელისაგან.

კრეონტი შეაშინეს გრძნეულ ტირესიას სიტყვებმა. შეცვალა თავისი ბრძანება, არ დაეკრძალა პოლინიკეს გვამი. თვითონ მიდის მინდორში და სათანადო წესს ასრულებს, ჰადესსა და ჰეკატეს ევედრება, ნუ განრისხდებით, ნუ დაგვატეხთ უბედურებას მე და თებესო. დაკრძალვის წესს რომ მორჩა, კრეონტი ამალის თანხლებით ლაბდაკიდების აკლდამისაკენ გაეშურა, რომ იქიდან ანტიგონე გამოიყვანოს. გვიანაა! ანტიგონეს საკუთარი სამოსიდან გაკეთებული მარყუჟით თავი ჩამოუხრჩვია. კრეონტმა აკლდამაში ნახა საპატარძლოს გვამთან დამხობილი ჰემონი. კრეონტი ამაოდ ეხვეწება შვილს გამოვიდეს აკლდამიდან. ჰემონი მამის თვალწინ მახვილით იგმირავს გულს. მკვდარი ეცემა საცოლის გვამზე. სასოწარკვეთილია კრეონტი— უკანასკნელი შვილი დაკარგა. მწარედ დასტირის მემკვიდრის გვამს.

ამასობაში შიკრიკმა კრეონტის ცოლს ევრიდიკესაც მიუტანა ცნობა, ჰემონის თვითმკვლელობის შესახებ. მშვიდად მოისმინა ევრიდიკემ საზარელი ამბავი და სასახლის შორეულ კუნჭულს მიაშურა. იქ შვილის მსგავსად გულში მახვილი ჩაიცა. როგორც კი ევრიდიკემ თავი მოიკლა, სასახლესთან კრეონტი მოვიდა, ხელში საკუთარი შვილის ცხედარი უპყრია. აქ, სასახლეში, ახალი საზარელი უბედურება ელის: ცოლის სიკვდილს აუწყებენ. მოტყდა კრეონტის ამაყი, პატივმოყვარე სული. იმედდაკარგული მოუხმობს სიკვდილს, იქნებ ამით მაინც ეშველოს, ბოლო მოეღოს მის ტანჯვას. კრეონტმა დაკარგა ყველაზე ძვირფასი ადამიანები.

ეპიგონების ლაშქრობა

სხვადასხვა ნაწარმოებთა მიხედვით

თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის შემდეგ ათი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში დავაქკაცდნენ თებესთან დაცემულ გმირთა შვილები. სამაგიეროს გადახდა განიზრახეს მამების დაღუპვისათვის და თებეს წინააღმდეგ

ახალი ლაშქრობა მოაწყვეს. ამ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ: ადრასტეს შვილი აიგიალევსი, ამფიარაეს ძე ალკმეონი, დიომედე ტიდევსის ძე, ფერსანდრე პოლინიკეს ძე, პრომაქე პართენოპეს ძე, სფენელე კაპანევსის ძე, ჰიპომედონტის შვილი პოლიდორი და მენესთევსის ვაჟი ევრიალე. სხვაგვარად მოხდა ეს ლაშქრობა. ღმერთები მფარველობას უწევდნენ ეპიგონებს (ასე ეწოდათ ამ ლაშქრობის მოთავე ბელადებს).

დელფოს ორაკულმა ეპიგონებს გამარჯვება უწინასწარმეტყველა, თუ ამ ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებდა ამფიარაეს შვილი ალკმეონი.

პოლინიკეს შვილმა ფერსანდრემ ითავა ალკმეონთან მოლაპარაკება, უარი რომ არ ეთქვა ლაშქრობაში მონაწილეობაზე. დიდხანს ყოყმანობდა ალკმეონი. ვერ გადაეწყვიტა თებეს წინააღმდეგ ლაშქრობა, ვიღრე არ შეასრულებდა თავისი მამის უკანასკნელ სურვილს — სამაგიერო გადაეხადა თავისი დედისათვის იმის გამო, რომ ამკარად სასიკვდილოდ გაგზავნა მამამისი, საკუთარი ქმარი. ფერსანდრემ თავისი მამის პოლინიკეს მსგავსად განიზრახა ალკმეონის დედის ერიფილეს გამოყენება. ფერსანდრემ ერიფილე მოისყიდა, თვით ათენა-პალადას ხელით მოქსოვილი კადმოსის ცოლის ჰარმონიას ძვირფასი სამოსით. ისევ შეცდა ერიფილე, მოიხიბლა ჰარმონიას სამოსით, ისე როგორც ოდესღაც მისივე ყელსაბამით იქნა მოხიბლული, და დაჟინებით მოითხოვა, რომ ალკმეონსა და მის ძმა ამფილოქეს მონაწილეობა მიეღოთ ახალ ლაშქრობაში.

ეპიგონების ლაშქარი არგოსიდან გავიდა. მრავალრიცხოვანი როდი იყო ეს ლაშქარი, მაგრამ მისი თანამგზავრი გამარჯვება უნდა ყოფილიყო. ჯარის წინამძღოლად აირჩიეს ტიდევსის შვილი დიომედე, ძალითა და სიმამაცით მამას რომ უტოლდებოდა. მხიარულად მიდიოდნენ გმირები, მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი შური ეძიათ მამებისათვის.

თებესთან ამფიარაეს ორაკულს ჰკითხეს, როგორი იქნება ბრძოლის ბედიო. ორაკულმა უპასუხა, რომ ხედავს ალკმეონს, ამფიარაეს დიდების მემკვიდრეს, ძლევაპოსილი რომ შედის თებეს ჭიშკარში. ეპიგონები გაიმარჯვებენ. მხოლოდ ერთი აიგიალევსი, პირველი ლაშქრობის დროს გადარჩენილი ერთადერთი გმირის, ადრასტეს შვილი, უნდა დაეცესო.

ბოლოს, ეპიგონების ჯარმა შვიდჭიშკრიან თებეს მიაღწია. ყველა გარეუბნის აოხრების შემდეგ, ეპიგონებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს. თებელები ბრძოლის ველზე ეტეოკლეს მძვინვარე შვილის, თავიანთი მეფის ლაოდამანტეს მეთაურობით გამოვიდნენ. ამ ბრძოლაში ლაოდამანტეს მახვილით დაეცა აიგიალევსი, მაგრამ ლაოდამანტესაც ჩაუქრო მზის ნათელი ალკმეონმა. დამარცხებულმა თებელებმა თავი შეურყეველ კედლებს შეაფარეს.

ალყაშემორტყმულმა თებელებმა მოალყეებთან მოლაპარაკება გამართეს, თვითონ კი ღამით, ტირესიას რჩევით, ფარულად თებედან გავიდნენ და. ცოლ-შვილიც თან წაიყვანეს. ჩრდილოეთისაკენ თესალიას მიაშურეს. გზად, ნიმფა ტელპუზას წყაროსთან, გრძნეული ტირესია გარდაიცვალა, ასე დიდხანს რომ ეხმარებოდა თებელებს და არა ერთხელ უხსნია განსაცდელისაგან.

დიდხანს მიდიოდნენ თებელები, ბოლოს ჰესტიოდიდში ჩავიდნენ და იქ თესალიის მხარეში დასახლდნენ.

თებე კი ეპიგონებმა აიღეს და მიწასთან გაასწორეს. მდიდარი ალაფი ჩაიგ-დეს ხელში და ერთმანეთს შორის გაინაწილეს. ნადავლის უკეთესი ნაწილი და მისან ტირესიას ასული, გრძნეული მანტო, დელფოს ორაკულს უძღვნეს.

მშვიდობით დაბრუნდნენ სამშობლოში გამარჯვებული ეპიგონები. პოლი-ნიკეს შვილმა ფერსანდრემ კი თებე განაახლა და ხელთ იგდო მისი მართვის სადავე.

ა ლ კ მ ე ო ნ ი

მოთხრობილია ჰომეროსის პოემის „ოდისეას" მიხედვით

თებეზე ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ალკმეონმა შეასრულა თავისი მამის ამფიარაეს ნებასურვილი და შური იძია თავის დედაზე მამის დაღუპვისა-თვის. საკუთარი ხელით მოჰკლა დედა ალკმეონმა. სიკვდილის ჟამს დედამ შეაჩვენა მკვლელი შვილი და შეაჩვენა ის ქვეყანაც, რომელიც მას თავშესაფარს მისცემდა.

განურისხდნენ ალკმეონს ქალღმერთები — შურისმაძიებელი ერინიები და სდევნიდნენ მას ყველგან, სადაც კი ცდილობდა თავის შეფარებას. დიდხანს დაე-ხეტებოდა უბედური ალკმეონი, ყველგან ცდილობდა მოენახა თავშესაფარი და განწმენდილიყო დაღვრილი სისხლის უწმინდურებისაგან. დაბოლოს, მივიდა არკადიის ქალაქ ფსოფიდაში. აქ ის განწმინდა მკვლელობის უწმინდურებისა-გან მეფე თეგეოსმა. ალკმეონმა ცოლად შეირთო თეგეოსის ქალიშვილი არსი-ნოე და ფიქრობდა დამშვიდებით ეცხოვრა ფსოფიდაში. მაგრამ ბედისწერას ეს ასე არ სურდა. დედის შეჩვენება მას ყველგან თან სდევდა. საშინელი შიმშილი და ჭირი გავრცელდა ფსოფიდაში. ყველგან სიკვდილი ბატონობდა. ალკმეო-ნმა მიმართა დელფოს ორაკულს, რომელმაც აცნობა მას, რომ უნდა დასტოვოს ფსოფიდა და მიაშუროს მდინარის ღმერთს აქელოეს, მხოლოდ იქ განიწმინდება იგი დედის მოკვლისაგან და იპოვის თავშესაფარს ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა მაშინ, როცა იგი დედამ შეაჩვენა. ალკმეონმა დატოვა

თეგეოსის სახლი, მიატოვა თავისი ცოლი არსინოე, შვილი კლიტიოსი და გასწია აქელოესაკენ. გზად მიმავალმა კალიდონში მოინახულა ოინევსი, რომელმაც გულღიად მიიღო. ალკმეონი მივიდა თესპროტებთანაც, მაგრამ ღმერთების შიშით მათ გააძევეს იგი თავისი ქვეყნიდან. დაბოლოს, ალკმეონმა მიაღწია მდინარე აქელოეს შენაკადებთან. იქ განწმინდა იგი მდინარის ღმერთმა აქელოემ დედის დაღვრილი სისხლის უწმინდურებისაგან და მიათხოვა მას თავისი ქალიშვილი კალიროე. ალკმეონი დასახლდა მდინარე აქელოეს შესართავთან კუნძულზე, რომელიც წარმოიშვა მოტანილი სილისა და ღერღისაგან. სწორედ ეს ის ქვეყანა იყო, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა მაშინ, როცა დედამ შეაჩვენა ალკმეონი.

ბედისწერა აქაც დევნიდა ალკმეონს. კალიროემ გაიგო ამბავი იმ ძვირფასი მძივებისა და თვით ათენა-პალადას მიერ მოქარგული ტანსაცმლისა, რომლებიც პოლინიკემ და მისმა შვილმა ფერსანდრემ ერიფილეს მიუძღვნეს. და მოითხოვა, რომ მისმა ქმარმა მას მოართვას ეს განძეული. კალიროემ როდი იცოდა, რომ ამ განძეულს სიკვდილი მოაქვს მისთვის, ვინც მას ფლობს. ალკმეონი გაემგზავრა ფსოფიდაში და მოსთხოვა თეგეოსს, რომ მისცეს მას მძივები და ტანსაცმელი. ალკმეონმა უთხრა თეგეოსს, რომ მას სურს ეს განძეულობა დელფოს ორაკულს მიუძღვნას, რომ ამით ისრების მფრქვეველი ღმერთის პატიება მოიპოვოს. თეგეოსმა დაუჯერა ალკმეონის სიტყვებს და გადასცა მას განძეული. მაგრამ ალკმეონის მონამ უთხრა თეგეოსს, თუ ვისთვისაც იყო განკუთვნილი მძივებიც და ტანსაცმელიც. განრისხდა თეგეოსი, მოიხმო თავისი ვაჟიშვილები პრონეესი და აგენოე და უბრძანა მათ ჩასაფრებოდნენ და თავს დასხმოდნენ ალკმეონს როცა იგი დაბრუნდებოდა აქელოეს შესართავისაკენ. მათ შეასრულეს მამის დავალება და მოჰკლეს ალკმეონი.

არსინოემ, ალკმეონის პირველმა ცოლმა, გაიგო თავისი ქმრის დაღუპვის ამბავი; მას ჯერ კიდევ უყვარდა იგი. გაუბედურებულმა ქალმა შეაჩვენა თავისი ძმები. ძმებმა კი წაიყვანეს იგი მეფე აგაპენორთან არკადიაში, დააბრალეს ალკმეონის დაღუპვა და სასიკვდილოდ გაიმეტეს.

კალიროემაც გაიგო ალკმეონის სიკვდილის ამბავი და გადაწყვიტა შური ეძია თეგეოსის შვილებზე და თვით თეგეოსზეც ქმრის მოკვლისათვის. მაგრამ ვინ უნდა გამზდარიყო შურისგების შემსრულებელი? კალიროეს ვაჟიშვილები, აკარნანე და ამფოტერი, ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვები იყვნენ და აკვანში იწვნენ. კალიროე შეეევედრა ზევსს, რომ მან ახლავე მძლავრ ჭაბუკებად გადააქციოს მისი ვაჟები. ზევსმა შეიწყნარა კალიროეს ვედრება. ერთი ღამის განმავლობაში გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ მისი შვილები. ისინი გაემგზავრნენ მეფე აგაპე-

ნორთან და დახოცეს იქ თეგეოსის შვილები. შემდეგ ფსოფიდაში მოჰკლეს თვით თეგეოსი. ასე მიუზღო თეგეოსს და მთელ მის ოჯახს სიკვდილი ძღვენმა, რომელიც ოდესღაც მიიღო ერიფილემ პოლინიკესა და ფერსანდრესაგან.

აკარნანემ და ამფოტერემ წაიღეს ძვირფასი მძივები და ათენას მიერ მოქარგული ტანსაცმელი და დედის თანხმობით დელფოს აპოლონს მიუძღვნეს. აკარნანე და ამფოტერე აღარ დარჩნენ საცხოვრებლად თავის სამშობლოში, ისინი გადასახლდნენ ქვეყანაში, რომელსაც აკარნანა — აკარნანია დაერქვა, და იქ დააარსეს ახალი სამეფო.



PHILIPPUS

ლექსიკონის აგებულება*

ცათა სწორ ტაძარს ემსგავსება ბერძნულ თქმულებათა და ხელოვნების ძეგლების საგანძური, საოცარია მისი სიღრმე, სირთულე, სიდიადე, გმირთა და გეოგრაფიულ სახელთა სიუხვე, რამაც გამოიწვია ბერძნულ თქმულებათა კრებულისათვის ლექსიკონის დართვის აუცილებლობა, მით უმეტეს რომ ქართულ ენაზე ასეთი შრომა ჯერაც არა გვაქვს.

ეს ლექსიკონი არ არის მარტოოდენ ამ წიგნის საცნობარო ნაწილი. დაინტერესებული მკითხველი აქ იპოვნის დამატებითსა და საკმაოდ სრულ ცნობებს ბერძენთა ღმერთებზე, გმირებზე და გეოგრაფიულ სახელწოდებებზე, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სფეროში ვაკვდებით.

შემდგენელი უპირველეს ყოვლისა ანგარიშს უწევდა ბერძნულ დაწერილობას, აგრეთვე ტრადიციას, ჩვენი ენის ბუნებას და საერთო ალღოს, რაც საშუალებას იძლევა ბერძნულ საკუთარ სახელთა სხვა ენაზე უფრო მოხერხებულად გადატანისას. მთავარი მაინც კლასიკური ბერძნულია. ვამბობთ და ვწერთ: კერბერი, ჰერაკლე, იაკინთე, სკილა, კენტავრი, კიკლოპი, ორფევსი (ნაცვლად ლათინური გამოთქმებისა: ცერბერი, ჰერკულესი, ჰიაცინთი, სცილა, ცენტავრი, ციკლოპი და სხვ.). ცხადია, ჩვენთვისაც სიძნელედ რჩება ის, რაც სიძნელეა სხვა ენებისათვის. ხშირად კიდევ ტრადიცია იმარჯვებს. ასე, სწორია: ატლასი, თესევსი, ჰელლენი, სისიფე, მაგრამ ვტოვებთ დამკვიდრებულ ფორმებს: ატლანტი, თეზევსი, ელინი, სიზიფე. ქართული მაინც უფრო ახლო დგას ბერძნულ ფორმებთან, ვიდრე რუსული, სადაც ადრევე დამკვიდრდა არასწორი ფორმები: Афродита, Икарий, Тезей, Борей, Крон, Афины, Фивы, Пелий, Пентей, Гилл (აფროდიტე, იკარიოსი, თეზევსი, ბორეასი, კრონოსი, ათენი. თებე, პელიასი, პენთევსი, ჰილასი). სადაც შესაძლებელია, აღდგენილია სწორი დაწერილობა, ნაცვლად დღემდე ხმარებული არაზუსტი ფორმებისა.

სახელთა დაწერილობაში ვემყარებოდით ს. ყაუხჩიშვილის მიერ შემუშავებულ პრინციპს.

* ლექსიკონი შეადგინა მწერალმა აკაკი გელოვანმა.

ლექსიკონის წყაროები

მითოლოგიური ლექსიკონის შედგენისას ძირითადად გამოყენებულია შემდეგი შრომები:

1. Мифологический словарь, Учпедгиз, Л., 1959, 1961.
2. Древнегреческо-русский словарь, сост. И. Дворецкий, М., 1960, I, II.
3. Ивашковский, С., Греческо-русский словарь, I—IV т., М., 1838.
4. D-r W. Pappe, Wörterbuch der Griechischen Eigennamen, Brannschweig, 1863—1870, I—II.
5. H. Brunn, Geschichte der Griechischen Kunst, I, II, Lpz., 1853—1859.
6. Autenricths Schulwörterbuch zu den Homerischen Gedichten, Leipzig und Berlin, 1904.
7. Fr. Lübkers Reallexikon des klassischen Altertums, Lpz., Ber., 1914, 1152 s.
8. Овидий, Метаморфозы, пер. Фета, СПБ., 1887.
9. Павсаний, Описание Эллады, т. 1—2, М., 1938—1940.
10. Троиский И., История античной литературы, 3 изд., Л., 1957.
11. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1950.
12. Краткий научно-атеистический словарь, Наука, М., 1964.
13. Леру. Словарь Гомера, М., 1904.
14. Meyers Neues Lexikon, in acht Bänden, Lpz., 1961—1964.
15. Homer, Ilias, Odyssee, verdentscht von Thassilo vov Scheffer, Lpz., 1938.
16. Lexikon der klassischen Altertumskunde, von Seyffert, Lpz., 1882, 732 s.
17. Reallexikon für Antike u. Christentum, Stuttg., 1950, I—VI.
18. С. Токарев, Ролигия в истории народов мира, М., 1964.
19. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, I—82 т.
20. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები (აკ. ურუშაძის თარ.), 1937, თბ., სახელგამი.
21. ელადის მუზა, რ. მიმინოშვილის თარგმანი, თბ., „ნაკადული", 1963.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

აპოლ. — აპოლონიოს როდოსელი
დემოსთ. — დემოსთენე
დორ. — დორიული (დიალექტი)
ეპ. — ეპირული
თუკიდ. — თუკიდიდე
ილ. — ილიადა
ლუკ. — ლუკრეციუსი
ოდ. — ოდისეა
ოვიდ. — ოვიდიუსი
პავს. — პავსანია
პინდ. — პინდარე
პლატ. — პლატონი („ფედრა")
პლუტ. — პლუტარქე
ქსენ. — ქსენოფონტე
ჰეს. — ჰესიოდე („სამუშაონი და დღენი")
ჰომ. — ჰომეროსი.

აბდეროსი — ჰერაკლეს მეგობარი გმირი. ჰერმესის (ზოგი ვერსიით პოსეიდონის) შვილი, დაგლეჯეს თრაკიის მეფის დიომედეს მერნებმა, რომლებიც ჰერაკლემ მიაბარა. მისი დაღუპვის ადგილზე შემდეგ ჰერაკლემ ააშენა ქალაქი აბდერა (ამჟამად ნესტო ან მესტო, თურქულად კარასუ). თრაკიის ამ განთქმულ ქალაქში ცხოვრობდნენ პროტაგორე, ლევკიპე, დემოკრიტე და სხვა გამოჩენილი ადამიანები.

აბდერიტები — აბდერის მცხოვრებნი.

აგამემნონი — გმირი, მიკენის მეფის ატრევსის ძე, არგოსის მეფე, მენელაოსის ძმა, აქაველთა ბელადი ტროას ათწლიან ომში. ცნობილია მისი ბრძოლა პარისთან, დავა აქილევსთან აპოლონის ქურუმ ქალ ქრიზესათვის და სხვ. ტროას ომიდან დაბრუნებული მეფე ვერაგულად მოკლა მეუღლემ, ეგისთეს საყვარელმა კლიტემნესტრამ მისთვის შური იძია შვილმა ორესტემ. თავდაპირველად იგი ითვლებოდა ღვთაებად.

აგაპენორი — 1. არკადიის ერთ-ერთი მხარის მეფე; 2. ანკეოსის შვილი, ელენეს ხელის მაძიებელი.

აგენოე — ფსოფიდის მეფის თეგეოსის ძე, მან ძმასთან ერთად მოკლა თავისი ყოფილი სიძე ალკმეონი.

აგენორი — 1. გმირი, ფინიკიის მდიდარი ქალაქის სიდონის მეფე, პოსეიდონისა და ლიბიის შვილი, იოს შთამომავალი, ევროპას, კადმოსის და ფოინიქსეს მამა. 2. ტროელი გმირი, ანტენორის შვილი.

აგლავრე — კეკროპის ერთ-ერთი ასული, რომელსაც ათენამ თავდახურულ კალათში მწოლი ახალშობილი ერიხთონიოსი მიაბარა და მისი ხილვა აუკრძალა. აგლავრემ და მისმა დამ პერსემ აღთქმა დაარღვიეს, ათენამ დასაჯა ისინი. მათ გონება დაკარგეს და კლდიდან ზღვაში გადაეარდნენ. სხვა ვერსიით ჰერსე ჰერმესმა შეიყვარა, აგლავრე კი ეჭვისა და შურის გამო ქვად იქცა.

აგრიე — ერთ-ერთი ტიტანი, რომელიც ტიტანებთან ოლიმპოს ღმერთების ბრძოლის დროს მოკლეს დიდმა ქალღმერთებმა— მოირებმა.

ადმეტე — 1. თესალიელი გმირი, ფერეს მეფე, კალიდონის ნადირობისა და არგონავტების ლაშქრობის მონაწილე. მას მენახირედ დაუდგა ღმერთი აპოლონი, გაუმრავლა ჯოგი და დაეხმარა შეერთო მშვენიერი ალკესტიდა, იოლკოსის მეფის ასული; 2. ევრისთევსის ასული, ჰერას ქურუმი ქალი, რომლის სურვილით ჰერაკლე გაემგზავრა ამორძალების ქვეყანაში ჰიპსიპილეს სარტყელის ჩამოსატანად (ჰერაკლეს მეცხრე გმირობა).

ადონისი (ფინიკიურად ადონ — ბატონი, ძვ. ებრაულად ადონაი — უფალი, მბრძანებელი) * — კვიპროსის მეფის კინირასის და მეთარმეს მშვენიერი ასულის მირას ვაჟი (ზოგი ვერსიით, მირა ასირიის მეფე თეია-

---

* ფრჩხილებში ჩასმულია საკუთარ სახელთა პირდაპირი მნიშვნელობა ძველ ბერძნულ ენაზე.

სის ასული იყო). უბადლო სილამაზის ჭაბუკი, რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა აფროდიტეს. ერთ-ერთი ნადირობის დროს დაგლიჯა გარეულმა ტახმა. ამის შემდეგ ზევსის ნებართვით, რომელიც აფროდიტემ გამოსთხოვა, ნახევარ წელს აფროდიტესთან ატარებს, ნახევარს კი ჰადესის სამეფოში. ერთ-ერთი ვერსიით ყრმა ადონისს მწყემსები ზრდიდნენ. აფროდიტე მოიხიბლა ბავშვის სილამაზით, ქვესკნელის მბრძანებელს პერსეფონეს მიაბარა აღსაზრდელად, პერსეფონემ დაბრუნება აღარ ისურვა, აფროდიტემ ზევსთან იჩივლა. ზევსის გადაწყვეტილებით ადონისი წლის ერთ მესამედს აფროდიტესთან ატარებს, მეორეს — მიწისქვეშა სამეფოში, მესამეს კი — თავის ნებაზე. სხვა ვერსიით ადონისი გარეულ ტახს მოაკლევინა ომის ღმერთმა არესმა. ქალებმა თმა შეიკრეს, ქალაქი გოდებამ შესძრა. ბუნებამ მოიწყინა და ზამთარი დადგა. თავდაპირველად ადონისი ფინიკიელთა ღვთაება იყო, მცენარეულობისა და ნაყოფიერების, გაზაფხულისა და ზამთრის, ჭკნობისა და გაფურჩქნის განსახიერება. ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნიდან ბერძენთა და მერე რომაელთა რელიგიაშიც შეიკრა. ქალაქ ბიბლოსში (ჰებალში) მისი დღესასწაული ეწყობოდა გაზაფხულზე, როცა ადიდებული მდინარე ადონისი მთის ქანებს ჩამორეცხავდა და სისხლის ფერს იღებდა.

• • • მშვენიერი ჭაბუკის სინონიმი; ა დ ო ნ ი ს ი ს ბ ა ღ ე ბ ი — დროებითი, წარმავალი, რაც მალე ჭკნება (ადონისის დღესასწაულზე კალათებით დაჰქონდათ ყვავილები, რომლებიც საღამომდე ჭკნებოდნენ) •.

ადრასტეა — 1. გმირი, იოლკოსის მეფის პელიასის ძე. მან განდევნა იოლკოსიდან მედეა და იასონი მისი მამის მოკვლისათვის, ხოლო მოკლული მამის პატივსაცემად დიდი ასპარეზობა გამართა; 2. ამითაონიდების შთამომავალი, არგოსის მეფე, ტალაეს ძე, მისი ასული ცოლად ჰყავდა ოიდიპოს მეფის უფროს ვაჟს პოლინიკეს. მონაწილეობდა შვიდთა ლაშქრობაში თებეს წინააღმდეგ. ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე თავისი დის ერიფილეს დახმარებით დაიყოლია ამფიარაე და დაღუპა, რადგან მის გარდა,. შვიდთა ლაშქრობის ყველა მონაწილე გმირი დაიღუპა.

ადრასტეა — 1. ზევსის გამზრდელი ნიმფა; 2. შერისძიებისა და სასჯელის ღვთაება, ჩვეულებრივ ნემესიდასთან ან კიბელასთან (იონიურ საბერძნეთში) გაიგივებული.

ადრიატიკის ზღვა—იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროსა და ილირიას შორის შეკრილი ზღვა, რომელმაც სახელწოდება მიიღო პოს შესართავთან მდებარე ქალაქ ადრიასაგან. მითის მიხედვით არგონავტები ამ ზღვით დაბრუნდნენ სამშობლოში.

აედონი (ბულბული, იადონი, მომღერალი) — ეთესოს მეფის პანდარეს ასული, თებეს მეფის ზეტესის მეუღლე. შერით ნიობეს უფროსი შვილის მოკვლა განიზრახა, მაგრამ შემთხვევით მოკლა საკუთარი ვაჟი — იტილოსი. ზევსმა იადონად აქცია, რომელიც მუდამ დასტირის დაღუპულ შვილს.

აელა — ამორძალთა ლაშქრის წინამძღოლი, რომელიც განგმირა ჰერაკლეს ისარმა.

აეროპე — მიკენის მეფის ატრევსის ცოლი, აგამემნონისა და მენელაოსის დედა.

ავგიე — ელიდის მეფე, ჰელიოსის ძე, რომლის ურიცხვი საქონლის სამყოფელი გაუწმენდელი იყო 30 წლის განმავლობაში. ერთ დღეში გაწმინდა ჰერაკლემ. პირობის თანახმად ამ სამსახურისათვის ავგიეს ჰერაკლესათვის უნდა მიეცა ჯოგის ნახევარი, მაგრამ პირობა არ შეასრულა, რისთვისაც

• სამი ეარსკვლავით გამოყოფილია ხატოვანი თქმები.

გიგანტ ალკინოესთან მებრძოლი ათენა (პერგამონის საკუთხევლის ფრიზი).

ჰერაკლემ სიცოცხლეს გამოასალმა (ჰერაკლეს მეექვსე გმირობა).

• • • ავგიეს ბოსელი, როგორც უწმინდურების, უყურადღებობის აღმნიშვნელი ხატოვანი თქმა, პირველად ჯერ კიდევ სენეკამ იხმარა იმპერატორ კლავდიუსზე დაწერილ სატირაში.

ავლიდი — სანაპირო ქალაქი ბეოტიაში. კლდის თავზე, აგამემნონის ფლოტის შესაყარი. აქ შესწირეს იფიგენია არტემიდეს, რათა ქალღმერთის წყრომა გაენელებინათ და ზღვაში გასულიყვნენ.

ავტოლიკე—ჰერმესისა და ქიონეს შვილი, ბერძენთა შორის უცბიერესი ოდისევსის პაპა დედის მხრით. მხიარული გმირი, ჰერმესივით განთქმული ქურდი, რომელიც პარნასზე დაასახლეს, მუზებს შორის, და ჰერაკლეს მასწავლებლობაც კი დააკისრეს. არგონავტებს ახლდა კოლხეთში. დააარსა ქ. სინოპე, სადაც დაწესდა მისი კულტი.

ავტონოე — პენელოპეს მოახლე, კადმოსის ასული, აქტეონის დედა, მონაწილეობდა პენთეუსის მკვლელობაში.

აზია, ასია (ასირიულ-ფინიკიურად ასუ — „მოციმციმე"; აღმოსავლეთი) — ძველთა წარმოდგენაში ასე ერქვა ქვეყნის მესამე ნაწილს. თავდაპირველად ეძახდნენ ლიდიის ერთ-ერთ ნაყოფიერ ველს, ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთით გადაშლილს, მერე მცირე აზიის დას. ნაწილს; 2. ოკეანიდა, პრომეთეს დედა; 3. პრომეთეს ასული რომლის სახელიც ეწოდა აზიას; 4. ერთ-ერთი ნერეიდა.

ათამანტი, ათამასი — გმირი, თესალიის მეფის ეოლოსის ძე, ორქომენის მეფე, ღრუბელთა ქალღმერთს ნეფელეს რომ შეუყვარდა და აჩუქა ქალ-ვაჟი — ფრიქსე და ჰელე. მეორე ცოლად ჰყავდა ღმერთ დიონისეს დედის, კადმოსის ასულის სემელეს და ინო, მასთანაც ორი შვილი ჰყავ-

და — ლეარქე და მელიკერტე. ათამანტეს ჰერამ გონება წაართვა, რადგან მასთან იზრდებოდა დიონისე, გონებადაკარგულმა ათამანტემ მოკლა თავისი შვილი ლეარქე, ხოლო მეუღლე და მეორე შვილი მელიკერტე ზღვაში გადაეშვნენ და იქცნენ ზღვის ღვთაებებად.

ათენა-პალადა—ძველ ბერძენთა უძველესი ღვთაება (ბეოძნულ პანთეონში ათენა ზევსის ასულად ითვლება, თუმცა მისი კულტი უფრო ადრინდელი წარმოშობისადაა მიჩნეული), იგი სიბრძნის, ხელოვნების, ხელოსნობის, ქალაქების, ომის მარად ქალწული ქალღმერთია. ათენა ითვლებოდა ატიკისა და ქ. ათენის მფარველ ღმერთად. მან ატიკას მიუძღვნა წმინდა ხე — ზეთისხილი, რომელიც ათენის ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა. მითები მოგვითხრობენ ათენას დაბადებაზე ზევსის თავიდან.

ათენას კულტის მთავარ ცენტრს ათენი წარმოადგენდა. აქ იდგა მის სახელზე აღმართული მრავალი ტაძარი, რომელთა შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული იყო — პართენონი. ამ ტაძარში იდგა გენიალური ბერძენი მოქანდაკის ფიდიას მიერ ოქროსა და სპილოს ძვლისაგან შექმნილი ქალღმერთის კოლოსალური (12 მ. სიმაღლის) ქანდაკება.

რომაულ პანთეონში ათენა მინერვას სახელითაა ცნობილი.

აიაქსი — ბერძენთა ორი სახელგანთქმული გმირი, ტროადის ომის მონაწილენი, ეანტეზად წოდებულნი: 1. აიაქს უფროსი. ეაკის პაპა, ბერძენთა შორის აქილევსის შემდეგ ულამაზესი, უსწრაფესი და უმამაცესი გმირი, ელენეს ხელის მაძიებელი, დიდად წოდებული, სალამინის მეფის ტელამონის შვილი. ცნობილია მისი შებმა ჰექტორთან, თავი იჩინა აქილევსის გვამთან გამართულ ბრძოლაში. როცა აქილევსის დედამ თავისი შვილის საჯურველი ბერძენთა უმამაცეს გმირს აღუთქვა, ოდისევსმა ტროადელი ტყვეები მოისყიდა და იარაღიც მას არგუნეს. გაშმაგებულმა აიაქსმა, თავი მოიკლა; 2. აიაქს უმცროსი, ლოკრიდის მეფის ოილევსის შვილი, შუბის უზადო მტყორცნელი, აქილევსის შემდეგ უსწრაფესი გმირი. თავი იჩინა პატროკლეს გვამისათვის გამართულ ბრძოლაში. პოსეიდონმა დაღუპა ზღვაში.

* * * აიაქსის და ოდისევსის დავა — რაიმე გადაუწყვეტელი კამათი.

აიგისთოსი — არგოსის მეფის ადრასტეს ვაჟი, თებეს წინააღმდეგ ეპიგონების ლაშქრობის მონაწილე. ამ ლაშქრობაში მხოლოდ ის დაეცა, რადგან მხოლოდ მისი მამა ადრასტე გადარჩა თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის დროს.

აიდოსი — იხ. ჰადესი.

აეეტი — ძველი კოლხეთის მრისხანე ღაძლიერი მეფე, მზის ღმერთის ჰელიოსის ძე, მედეას და აფსირტეს მამა. მისი მეფობის დროს მოხდა არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში.

აკამანტი — 1. დიდი გმირის თევზევსის ძე, ტროადის ომის მონაწილე; 2. ანტენორის შვილი, ტროადის ომის მონაწილე.

აკარნანე — ალკმეონის და კალიროეს შვილი, ერთ ღამეში დაეაკაცებული გმირი, რომელმაც ძმის — ამფოტერის თანხლებით შური იძია მისი მამის მკვლელზე ფსოფიდის მეფე თეგეოსზე და მის შვილებზე, მერე კი დააარსა სამეფო, რომელსაც ეწოდა მისი სახელი — **აკარნანია** (შუა საბერძნეთის დას.).

აკისი (აკიდი)—ფავნისა და ნიმფა სიმეფიდეს შვილი, ნიმფა გალატეს სატრფო. კიკლოპმა პოლიფემემ მიჯნურები ერთად რომ ნახა, დაედევნა. აკიდს კლდე სტყორცნა და გასრისა, ნაკადად მოსკდა კლდის ნაპრალიდან ჭაბუკის სისხლი, იქცა მდინარედ, რომელსაც მისი სახელი — **აკისი ეწოდა** (სიცილი—

აში) ხოლო თვით აკიდი იქცა მდინარის ღვთაებად.

აკრისიოსი — არგოსის მითიური მეფე, ლინკეუსის ძე, დანაეს მამა, პროიტეს ტყუპი ძმა, უნებურად მოკლული ბადროთი მისი შვილიშვილის პერსეუსის ხელით.

აკროკორინთო (მაღალი კორინთო) — აუღებლად ცნობილი მთა და ციხე-სიმაგრე ძველ კორინთოში.

აკროპოლისი (შიდაქალაქი) — ძველი საბერძნეთის ქალაქთა ცენტრალური გამაგრებული ნაწილი, ჩვეულებრივ აგებდნენ მაღლობზე.

**ალკესი

ალოადები — ოტოსი დ ეფიალტესი, ალოეის (სხვა ვერსიით პოსეიდონის) ბუმბერაზი შვილები, სიყრმიდანვე არაჩვეულებრივი ღონით გამორჩეულნი. მათ შებოჭეს ომის ღმერთი არესი და 13 თვე ჰყავდათ სპილენძის ბორკილებში, ვიდრე ზევსის ბრძანებით ჰერმესმა არ იხსნა იგი. ძმები გაამაყდნენ თავისი ძალით და ოლიმპოელ ღმერთებს ემუქრებოდნენ — ჰერასა და არტემიდეს მოგტაცებთო. აპოლონმა კადნიერნი ისრით განგმირა. ქვესკნელში ძმები სვეტებზე არიან მიჯაჭვული და ველური ჭოტები საზარელი კივილით აყრუებენ.

ალოესი (კალოს მფარველი) — დემეტრეს ზედწოდება. ალოა—დემეტრეს პატივსაცემი დღესასწაული ათენში.

ალპები (კელტ. „ალბ" მაღალი) — ევროპის უმაღლესი მთები, რომელთაც ბერძნები ძველთაგანვე იცნობდნენ. აქ გამოატარა ჰერაკლემ გერიონის ძროხები.

ალფეიოსი — პელოპონესის მთავარი მდინარე, მიედინება არკადიასა და ელიდაში, ერთვის იონიის ზღვას ოლიმპიასთან. თქმულებით, ამ მდინარემდე სდია ელიდელ ნიმფა არეთუზას მდინარის ღმერთმა, ოკეანისა და თეტიდას შვილმა, ალფეიოსმა, რომელსაც შეუყვარდა ნიმფა. არეთუზა არტემიდემ დამალა და წყაროდ აქცია. ღმერთი ალფეიოსი კი მდინარედ იქცა, ზღვის ქვეშ გაიკრა კუნძულ ორტიგიამდე, სირაკუზამდე, და იქ შეეერთდა წყაროს. ამ მშვენიერ მითს მასალა მისცა თვით მდინარემ, ალაგ-ალაგ მიწისქვეშ რომ იკარგება. სიცილიაში არეთუზას და არტემიდეს ერთად სცემდნენ თაყვანს, სალოცავიც ერთად აუშენეს ოლიმპიაში.

ამალთეა — ღვთაებრივი თხა, ზოგი ვერსიით ნიმფა, რომლის რძითაც გაიზარდა დედის მიერ კრეტაზე გადამალული ყრმა ზევსი.

ამბროსია და ნექტარი — ოლიმპოელი ღმერთების საკვები. ამბროსია საკმელია, ნექტარი — სასმელი, სიამისა და მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი. ამბროსიითა და ნექტრით კვებავდნენ ღმერთების რაშებსაც.

* * * უჩვეულოდ ტკბილი რამ; უმაღლესი ნეტარება.

ამითაონი — მესენიელი გმირი, მელამპოდისა და ბიანტეს მამა, იასონის ბიძა.

ამითაონიდები — ამითაონის შთამომავალნი, არგოს მეფის ადრასტეს წინაპრები.

ამიკოსი — ბებრიკების მეფე, პოსეიდონისა და ერთ-ერთი ბითვინიელი ნიმფის შვილი, შეუდარებელი მოკრივე, რომლის დამარცხება მხოლოდ პოლიდევკემ შეძლო.

ამონი — ზევსის ორაკული, მდებარეობს ლიბიის უდაბნოს ოაზისში, ეგვიპტის დასავლეთით; პირველად: ეგვიპტელთა ღვთაება.

ამორძალები — (ამაზონი, უძუძუებონი, ასე ეძახდნენ იმის გამო, რომ ადრეევ იწვავდნენ მარჯვენა ძუძუს, რათა მშვილდი მოხერხებულად ეხმარათ. ეტიმოლოგია საეჭვოა) — მეომარ ქალთა მითიური ტომი, რომელიც მცირე აზიაში მდ. თერმოდონტთან (დღევანდელი თერმე-ჩაი) მოსახლეობდა. თავს დაესხნენ ლიკიას, საიდანაც ბელეროფონტემ განდევნა, მერე პრიამეს სამშობლოში შეიკრნენ. ბრძოლა ჰქონდათ ჰერაკლესთან, თეზევსთან და სხვ.

ბრაზილიის ჯუნგლებში, სადაც მსოფლიოს უდიდესი მდინარე ამაზონთა სახელს ატარებს, დღესაც ცხოვრობს შუბისა და ნაჯახის ხმარებაში დახელოვნებულ ქალთა ტომი, რომელთაც „ამორძალთა" ტომს უწოდებენ.

ამფიარაე — გმირი, ოიკლეს და ჰიპერმნესტრას ძე, ალკმეონის და ამფილოქეს მამა, განთქმული წინასწარმეტყველი, ზევსისა და აპოლონის რჩეული, ღირსებით სავსე, კალიდონის ნადირობის და არგონავტების ლაშქრობის მონაწილე. ცოლად

ჰყავდა არგოსის მეფის გმირ ადრასტეს და, ხარბი ერიფილე, რომელმაც დაღუპა. ამფიარაე შვიდთა ლაშქრობის უბედურ ბოლოს გრძნობდა და არ სურდა მონაწილეობის მიღება. ბრძოლის ქარცეცხლიდან ზეესმა ოლიმპოზე აიტაცა.

ამფილოქე — ამფიარაეს შვილი, ალკმეონის ძმა, ეხმარებოდა ძმას დედის მოკვლაში, რათა შური ეძია თებეს ლაშქრობაში დაღუპული მამისათვის. მონაწილეობდა ეპიგონების ლაშქრობაში. დაეცა მოპსოსთან ორთაბრძოლაში. ერთ-ერთი თქმულებით, ტროას ომის მონაწილე.

ამფიონი — გმირი, ზეესის და ანტიოპეს ძე, ზეტესის ტყუპი ძმა. იზრდებოდა მწყემსის ქოხში მთებში. როდესაც ძმასთან ერთად თებეს მეფე გახდა, დაიწყო ქალაქის კედლის გამაგრება. მითი მოგვითხრობს ამფიონის ქნარზე დაკვრის საოცარ ხელოვნებაზე: მის სიმთა ეღერაზე ქვები კედლებზე თავისით ლაგდებოდნენ. ამფიონი სიპილის მეფის ტანტალეს ასულის, ნიობეს ქმრად ითვლება.

ამფიტრიონი — ალკეოსის შვილი, ტირინთოს ლეგენდარული მეფე, შემოაკვდა ბიძა ელექტრიონი, გააძევეს და ჩავიდა თებეში, სადაც კრეონტმა შეცოდებისაგან განწმინდა, სძლია ტელებოელთა ტომი. ამ ლაშქრობის დროს ზეესი მისი სახით გამოეცხადა მის ცოლს ალკმენეს და გახდა ჰერაკლეს მამა.

* * * სტუმართმოყვარეობის სინონიმი.

ამფიტრიტე — ზღვათა მბრძანებელ პოსეიდონის მეუღლე, ზღვის ღვთაების ნერევსის და დორიდას ასული. პოსეიდონთან ერთად მბრძანებლობს ზღვებზე, აწყნარებს პლანქტებს, მქუხარე ტალღებს, ეხმარება არგონავტებს.

ამფოტერი — ალკმეონის ძე, ერთ დღეში დაეაჟკაცებული გმირი, აკარნანეს ძმა (იხ. აკარნანე).

ანაფე — სპორადების ჯგუფის პატარა კუნძული, თერას აღმოსავლეთით, ეგეოსისა და კრეტის ზღვებს შორის. ამ კუნძულს ქარიშხლის დროს თავი შეაფარეს არგონავტებმა.

ანდროგეოსი — გმირი, კრეტის მეფის მინოსის და პასიფაეს ვაჟი. მონაწილეობდა ახლად დაარსებულ პანათენურ დღესასწაულებში, შეჯიბრის ყველა სახეობაში გაიმარჯვა, ეგეოსს შური აღძრა და მარათონის ხარს მოაკვლევინა. მამამისმა მინოსმა შური იძია. ათენს ალყა შემოარტყა და ხარკი დაადო: ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ კრეტაში უნდა გაეგზავნათ შვიდი ქალწული და შვიდი ჭაბუკი, რომელთაც მინოტავრი შთანთქავდა.

ანდრომედე და პერსევსი (რომი. კაპიტოლიუმი).

ანდრომაქე — „ილიადის“ გმირი ქალი, ასტიანაქსის დედა, ჰექტორის მეუღლე.

ანდრომედე — ეთიოპიის მეფის კეფეევსის და კასიოპეს ასული, ზღვის ურჩხულისაგან იხსნა პერსევსმა და ცოლად შეირთო. მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ თანავარსკვლავედს.

ანთე(ი)ა — ქალაქი მესენიაში; ქალაქი თესალიაში; სხვაა ანთე მირმიდონელთა ქალაქი.

ანკეოსი — უშიშარი მონადირე არკადიიდან, კალიდონის ტახზე ნადირობის მონაწილე. ტახმა დაფლითა.

ანტეია — ლიკიის მეფის იობატეს ასული, ტროიძენეს მეფის პროიტეს ცოლი, ამაოდ სცადა გმირ ბელეროფონტეს მოხიბლვა, და საწადელს რომ ვერ მიაღწია, ქმართან დაასმინა, დასაღუპავად გააგზავნინა.

ანტეოსი — ბუმბერაზი, პოსეიდონის და გეას (დედამიწის) შვილი, ლიდიის მბრძანებელი, რომლის ძლევა არაფის შეეძლო, რადგან თავის დედასთან-მიწასთან შეხებით მარად განახლებულ ძალას იძენდა. ჰერაკლემ მიწას მოსწყვიტა და ჰაერში დაახრჩო. მავრიტანიის ტინგისში დღესაც უჩვენებენ მის სამარეს.

• • • ცნობილი სიმბოლო გმირის ან ხალხისა, რომელიც მშობელი მიწის წიაღიდან იღებს ძალას.

ანტიგონე — ოიდიპოსისა და იოკასტეს გულკეთილი ასული, ბრმა მამის განუყრელი მეგზური, და-ძმის მოყვარული, ისმენეს და. როცა თებეს კედლებთან ძმებმა ეტეოკლემ და პოლინიკემ ერთმანეთი დახოცეს, ბიძამ მეფე კრეონტმა სიკვდილის მუქარით აკრძალა პოლინიკეს გვამის დაკრძალვა, ანტიგონემ მაინც დაკრძალა, რისთვისაც კრეონტმა ცოცხლად ჩაამწყვდია სამარხში, სადაც თავი ჩამოიხრჩო. ანტიგონეს გვამზე მკერდი გაიპო მისმა საქმრომ, კრეონტის ვაჟმა ჰემონმა. სხვა ვერსიით: კრეონტმა ჰემონს დააკალა ანტიგონეს მოკვლა, მაგრამ ჰემონმა დამალა. შემდეგ ეყოლათ შვილი, მაგრამ როცა ჰემონმა ყრმის ტანზე ნახა ოიდიპოსის შთამომავალთა მუდმივი ნიშანი — დრაკონი, კრეონტის შიშით მოკლა ანტიგონე და თავი მოიკლა.

ანტიოპე — 1. ამორძალი, არესის ასული, ჰიპოლიტეს და, თეზევსს რომ აჩუქა გამარჯვებულმა ჰერაკლემ; 2. მდინარის ღმერთ ასოპეს (ზოგი მითით ნიქტევსის) ასული, თებეს მეფის ლიკოსის მეუღლე, ზევსისაგან ეყოლა ამფიონე და ზეტესი, რის გამოც სახლის მიტოვება მოუხდა. თავი შეაფარა სიკიონის მეფეს ეპოპეუსს. ლიკოსმა სძლია ეპოპეუსს, ანტიოპე წაიყვანა და თავისი მეორე ცოლის მრისხანე დირკეს მხევლად აქცია. შვილები მწყემსმა აღზარდა. ზეტესი და ამფიონე გებულობენ, რომ ანტიოპე — მათი დედაა და დირკეს, რომელიც ანტიოპეს დასჯას მოითხოვდა, აკრავენ ხარის რქებზე. ეს მითი ბრწყინვალედაა ასახული ნეაპოლიტანის მუზეუმში დაცულ მარმარილოს ჯგუფში — „ფარნეზეს ხარი“.

აპატუ — სიცრუის ქალღმერთი, ქალღმერთ ღამის მიერ კრონოსის დასასჯელად შობილი ღვთაება.

აპოლონი — ღმერთი, ზევსისა და ქალღმერთ ლეტოს სხივთამთოველი ვაჟი, არტემიდეს ძმა (ტყუპის ცალი). ძლიერებითა და მშვენებით ოლიმპოელებში გამორჩეული. პოეზიის, მუსიკის და საერთოდ ხელოვნების მფარველი ღმერთი, ამავე დროს იგი მომავლის წინასწარმეტყველია. აპოლონი ითვლება აგრეთვე სინათ-

აპოლონი (ოლიმპოელი ზევსის ტაძრის დასავლეთი ფრონტონი).

ლისა და მედიცინის ღმერთად. იგი მოახალშენეთა და მწყემსთა ქომაგიცაა. მისი მუდმივი თანამგზავრია ცხრა მუზა. დაუდგენელია მისი სახელის სადაურობა: ზოგი ხეთელთა აპულუნასში ეძებს გასაღებს, ზოგი ბაბილონელთა აბეღუს კულტში, რაც „ეიშკარს“ ნიშნავს, ზოგის აზრით სახელი წარმოქმნილია ბერძნული სიტყვიდან „აპელლა“ — „ჯოგთა მფარველი“, ან „აპოლიმი“ — „დაღუპვა“ (ე. ი. „დამღუპველი“: მართლაც, ნიობეს შვიდი ვაჟი დაუწყვიტა, მარსიასს ტყავი გააძრო, ალოადები ისრით განგმირა). ბერძნები თვით ზეევსის ტაძარს არ მიმართავენ ისე ხშირად, როგორც აპოლონის სამისნოს დელფოში, სადაც მისი კულტის ცენტრი შეიქმნა. ბერძენთა ამ თითქმის ყველაზე უფრო პოპულარულ ღმერთს მრავალი ზედწოდება აქვს: წინასწარმეტყველი (დელფოს ორაკულის პირით მეტყველი), კითარედი (ოქროს კითარაზე დამკვრელი), მუზაგეტი (მუზების წინამძღოლი), პეანი (მკურნალი), ქვეყნიერების მომწესრიგებელი, ლიკეიოსი (მგელთამჭლეტელი), ფებუსი (რომაულად „სხივოსანი“), პითო (მისანი, აქედან პითია, პითიის აპოლონი), ვერცხლისმშვილდა, შორსმტყორცნელი, შურისმგებელი, მწყემსთა მფარველი... მზის ღმერთის ფუნქციები, ეტყობა, გვიან დაკისრეს, და ამ საქმეში პირველობა მაინც ჰელიოსს უნდა დაუთმოს.

• • • მშვენიერი ჭაბუკის სინონიმი.

აპოლონიოს როდოსელი (დაახ. ძვ. წ. 250) — დიდი ალექსანდრიელი სწავლული და ეპიკოსი, პტოლემაიოსების კარის მწერალი, საგმირო ეპოსით გატაცებულმა დიდხანს დაჰყო როდოსზე (აქედან ზედწოდება). შემორჩენილია მხოლოდ მისი მთავარი შრომა „არგონავტიკა“.

არაქნე (ობობა) — ლიდიელი ფეიქარი ქალი, რომელმაც ქსოვის ხელოვნებაში საპაექროდ ქალღმერთი ათენა გამოიწვია. ათენამ სძლია და ობობად აქცია.

არგეა — არგოსის მეფის ადრასტეს ასული, გმირი ტიდეუსის მეუღლე.

არგო — არგონავტების სახელგანთქმული ხომალდის სახელი.

არგოლიდა — კორინთოს ყელის სამხრეთით გადაშლილი მშვენიერი მხარე, პელოპონესის ცენტრში მდებარე ოლქი (სამხრ. საბერძნეთი). მითის თანახმად არგოლიდის პირველი მეფე იყო ინაქე.

არგონავტები (არგოს მეხომალდეები) — რჩეული ბერძენი გმირები, რომელნიც გაემგზავრენ შორეულ კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. მათი წინამძღოლი იყო ქ. იოლკოსის ყოფილი მეფის ესონის შვილი იასონი. პელიასმა, რომელმაც წაართვა ტახტი ესონს, დაიალა იასონს ოქროს საწმისის ჩამოტანა კოლხეთიდან. იასონმა შეკრიბა საბერძნეთის სახელგანთქმული გმირები და ხომალდი „არგო“ შორეულ კოლხეთში გაეშურა. ლაშქრობაში მონაწილეობდა 50 გმირი, მერე მათი ოდენობა გაიზარდა. მრავალი ხიფათისა და თავგადასავლის შემდეგ კოლხეთის მეფის გრძნეული ასულის მედეას დახმარებით არგონავტებმა ხელთ იგდეს არესის ჭალაში დაცული ოქროს საწმისი. ეს მოხდა ერთი თაობით ადრე ტროას ომამდე. მითში აისახა ბერძენთა პირველი ურთიერთობა კოლხებთან, რომელთა ქვეყანა ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა ოქროთი, სიუხვეთა და ძლიერებით.

არგოსი — არესტორის ძე, „არგოს“ მშენებელი, ზოგის აზრით ხომალდს მისი სახელი ეწოდა.

არგოსი — 1. ფრიქსესა და კოლხეთის მეფის აიეტის ასულის ქალკიოპეს ვაჟი, ათამანტეს შვილიშვილი, ეხმარება არგონავტებს. ზოგი „არგოს“ მშენებლადაც თვლის, 2. ზეევსის და ნიობეს ძე; 3. არგოლიდის დედაქალაქი.

არგუსი (იგივე პანოპტესი—მრავალთვალა) — აგენორის, ზოგი ვერსიით, ინაქეს შვილი. თავზე ერთი თვალი ჰქონდა, დანარჩენი ასი — მთელს ტანზე გაბნეოდა. საერთოდ კეთილ ბუმბერაზად ითვლებოდა, ურჩხულებს ხოცავდა; ჰერამ მიუჩინა დარაჯად ზევსის სატრფოს იოს, ზევსის ბრძანებით ჰერმესმა დაუძინებელი მცველი სალამურით ჩააძინა და თავი მოჰკვეთა. ჰერამ მისი თვალები ფარშავანგის კუდზე დაამაგრა (ვარსკვლავიანი ცის განსახიერება).

* * * ასთვალა არგუსი — დაკაძინებელი გუშაგი, ფხიზელი დარაჯი.

არეიონი — პოსეიდონის და დემეტრეს შვილი, არგოლიდის მეფის ადრასტეს ჯადოსნური რაში. თებეში დაღუპვისაგან იხსნა პატრონი — ერთადერთი გადარჩენილი გმირი შვიდთა ლაშქრობის დროს. ამ რაშზე ჰერაკლეც მჯდარა.

არეოპაგი (არესის ბორცვი) — გორაკი ძველ ათენში, სადაც თავს იყრიდა და საქვეყნო საქმეებზე თუ სამართალზე მსჯელობდა კეთილშობილთა საბჭო არეოპაგი. მითის თანახმად არეოპაგი დააწესა ათენაპალადამ, პირველად განიხილეს დედის მკვლელის ორესტეს საქმე, რომელიც გაამართლეს.

არესი (რომაელთა მარსი) — ზევსის და ჰერას მრისხანე ვაჟი, ომის შმაგი და დაუნდობელი ღმერთი, მოუსვენარი, ავი და სისხლით გაუმაძღარი, ამორძალთა და გმირთა ერთ-ერთი თაობის მამამთავარი. ზევსს სძულდა ეს სისხლისმღვრელი, რომლის სიამე მხოლოდ ხოცვა-ყლეტა და ხალხთა წყვეტაა. ბერძნებს არ უყვარდათ ომის ღმერთი, არც მისი კულტი გავრცელდა ძლიერ. ხელოვნებაში აისახა როგორც დიდებული, ზეიადი ვაჟკაცი, მუზარადიანი ან ხუჭუჭთმიანი, მახვილოსანი ჭაბუკი.

არეტე — ფეაკების მეფის ალკინოეს მეუღლე, დაეხმარა იასონსა და მედეას. მფარველობდა ოდისევსს.

არიადნე — კრეტის მეფის მინოსის ასული. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად კრეტელი ღვთაება იყო. მეფის ასულმა შეიყვარა გმირი თეზევსი, ლაბირინთში მინოტავრთან შესაბმელად მიმავალს ძაფის გორგალი მისცა, რომ გამოსასვლელი ეპოვნა, და ამით იხსნა; თეზევსს გაჰყვა ათენში, მაგრამ ღმერთების ნებით ნაქსოსის უდაბურ ნაპირზე მოუხდა დარჩენა და გახდა დიონისეს მეუღლე. იქცა ბუნებისა და მცენარეთა ღვთაებად. მისი კულტი გავრცელებული იყო კუნ. ნაქსოსზე.

* * * არიადნეს ძაფი — გზის მაჩვენებელი, მძიმე მდგომარეობიდან გამომყვანი რაიმე ღონისძიება ან საშუალება.

არიმასპები — მითიურ ცალთვალა ადამიანთა ტომი, მცხოვრებნი გრიფონების მეზობლად.

არკადია — მეცხოველეობითა და მიწათმოქმედებით განთქმული მხარე შუა პელოპონესში.

* * * არკადიული იდილია (ირონ.) — უზრუნველი, ბედნიერი ცხოვრება. „მეც დავიბადე არკადიაში“ — შილერის ცნობილი გამოთქმა.

არსინოე — არკადიის ქალაქ ფსოფიდის მეფის თეგეოსის ასული, ალკმეონის მეუღლე.

არტემიდე (რომაელთა დიანა) — ზევსის და ლეტოს ასული, აპოლონის ტყუპი და, დიდი დელოსელი ქალწული, ბერძენთა ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი ღვთაება, მონადირე, ცხოველთა მფარველი, ოლიმპოელთა შორის ათენას შემდეგ ყველაზე უფრო სუფთა და სასტიკი, არტემიდეს სახელთანაა დაკავშირებული მრავალი მითი: დელოსზე და-ძმის დაბადება, მოხეტიალე კუნძულის გაჩერება, ბუმბერაზ ტიტიოსის მოკვლა, ნიობეს ქალ-ვაჟის გაწ-

ყვეტა, აქტეონის ირმად ქცევა, მითი ორიონზე და სხვ.

არქემოროსი („სიკვდილის მეგზური") — ასე უწოდა ამფიარაემ ნემეის მეფისწულს ოფელტეს, რომელიც თებეს მიმავალი შვიდი გმირის თვალწინ გველმა გაგუდა. ეს იყო ოიდიპოსის ძმის პოლინიკეს მომხრე გმირთა დაღუპვის ნიშანი.

ასკლეპიოსი (რომაელთა ესკულაპი) — მკურნალი ღმერთი, აპოლონის შვილი. მკურნალობა ბრძენმა კენტავრმა ქირონმა ასწავლა. მკვდარს აცოცხლებდა, ამით დაირღვა ბუნების კანონი. ზევსმა მეხით განგმირა. განრისხებულმა აპოლონმა სამაგიეროდ გაქელიტა კიკლოპები, რომლებიც ზევსისათვის ელვის ისრებს კეერავდნენ. ზევსმა აპოლონი დასაჯა: მსახურად დაუყენა მოკვდავთ (მეფე ადმეტეს ემსახურა შვიდი წელი). ასკლეპიოსის ატრიბუტებია: სამგზავრო კვერთხი, გველი და მამალი. ცოლად ჰყავს ეპიონე, რომელმაც აჩუქა ორი ვაჟი და ორი ასული: ჰიგიეია (ჯანმრთელობა) და პანატეა (ყოვლის განმკურნავი).

ასოპე — 1. მდინარე ასოპის ღვთაება, რომელსაც ზევსმა ასული ეგინა მოსტაცა. იგი სიზიფეს დახმარებით ქალის დახსნას აპირებდა, მაგრამ საკუთარ სარეცელში ზევსმა მეხით განგმირა; 2. ქალაქი ლაკონიაში.

ასოპი — სამხრეთ ბეოტიის მთავარი მდინარე, მის სანაპიროზე იდგა შვიდჭიშკრიანი თებე.

ასტრეა (ვარსკვლავქალწული) — ასტრეოსისა და ეოსის, ზოგი ვერსიით ზევსის და თემიდას აისისფერი ასული, სამართლის ქალღმერთი, გაიგივებული დიკეესთან (იხ. ორები). ბრინჯაოს თუ რკინის საუკუნეში მიატოვა დედამიწა და მას შემდეგ ზევსის გვერდით ზის სასწორით ხელში; ქალწულის თანავარსკვლავედი.

• • • ასტრეას საუკუნე — ბედნიერების, სამართლის სუფევის ხანა.

ასკლეპიოსი (ლუვრის მუზეუმი).

ასტროსი — ტიტან კრიოსის და ევრიბიას შვილი, „კაციევარსკვლავი", რომელსაც ეოსთან შეეძინა ზეფირი, ბორეასი, ნოტი და სხვა ქარები, აგრეთვე ჰესპერი და სხვა ვარსკვლავები, ასტრეას მამა.

ატე, ატა (დორიულად უბედურება; სიგიჟე, წყენა)—ზევსის ასული, უბედურების, სიცრუის, შურისძიების, აეი ბედისწერის ქალღმერთი, ბოროტების შთამაგონებელი. როცა დიდი გმირი ჰერაკლე უნდა დაბადებულიყო, ატე ზევსის გონებას დაეუფლა და:

ჰერას საშუალება მისცა მოეტყუებინა იგი. განრისხებულმა ზეუსმა ოლიმპოდან გასტყორცნა და მას შემდეგ მხოლოდ ადამიანებს შორის თესავს შუღლსა და სიცრუეს.

ატალანტა — 1. არკადიელი მამაცი მონადირე ქალი, იასონის ასული. მამამ პართენიონის მთაზე დაადგო, არტემიდეს ნადირმა — ძუ დათვმა ძუძუ აწოვა, მონადირეებმა გაზარდეს, მამას დაუბრუნეს. ფეხმარდი მოისარი ქალი მონაწილეობს კალიდონის ნადირობაში და არგონავტების ლაშქრობაში. კალიდონის ნადირობაში მან პირველმა დაჭრა საშინელი ტახი და გამარჯვებისათვის დაწესებული ჯილდო — ტახის თავი — მას არგუნა მელეაგრემ, ამის გამო მოხდა უსიამოვნება, რომელმაც გამოიწვია ომი. გმირი მელანიონი დიდხანს ცდილობდა ქალწულის მოტეხვას, ბოლოს შეირთო და ეყოლა პართენოპა, თებეში შვიდთა ლაშქრობის დროს დაღუპული გმირი.

ატიკა—შუა საბერძნეთის, საკუთრივ ელადის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ოლქი, სადაც მითის მიხედვით კეკროპმა დააარსა ათენი და სხვა თერთმეტი ქალაქი.

ატლანტი, ატლასი — ტიტანი, იაპეტის შვილი, პრომეთეს ძმა, პლეადების და ჰესპერიდების მამა. ოლიმპოელებთან ბრძოლისათვის ზეუსმა დაკისრა ცის თაღის დაჭერა საკუთარი მხრებით.

ატრეუსი — მიკენის მეფე, დიდი გმირის პელოპის და ჰიპოდამიას შვილი, აგამემნონის და მენელაოსის (ატრიდების) მამა. ღმერთებმა დასწყევლეს ეს გვარი. ატრეუსი და თიესტე დედის ბრძანებით კლავენ გერ ძმას ქრისიპეს, პელოპი სწყევლის შვილებს. ძმები გადაიხვეწებიან მიკენში, სადაც ევრისთევსის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ატრეუსი ადის. ძმათა შორის ტახტისათვის ეთანხმოება ატყდება. შუღლი თანდათან ძლიერდება. ძმები აღარ ინდობენ ერთმანეთის ოჯახებს. ატრეუსს ძმის საბოლოოდ დაღუპვაში სურს გამოიყენოს მისივე შვილი ეგისთე, რომელსაც ავალებს თიესტეს მოკვლას. მაგრამ დავალების შესასრულებლად წასული ეგისთე შეიტყობს, რომ თიესტე მისი მამაა და კლავს თვით ატრეუსს. სახელგანთქმული ეგეოსის კულტურის ძეგლებს შორის აღმოჩენილია „ლომთა სამარხი“ და „ატრეუსის საგანძურად“ წოდებული სახლი.

ატრიდები — ატრეუსის შვილები, — სახელგანთქმული გმირები მენელაოსი და აგამემნონი.

ატროპოსი — მოირა, ბედისწერის ქალღმერთი, რომელიც გრძელ გორგალზე ახვევს ყველაფერს, რაც მისმა დებმა ადამიანებს დაუდგინეს.

აფარეუსი — მესენეს მეფე, სახელგანთქმული გმირების აფარეიდების — იდასისა და ლინკეუსის მამა.

აფარეიდები — აფარეუსის ვაჟები.

აფრიკა — ასე ეძახდნენ ბერძნები მხოლოდ ლიბიას, მერე ეს სახელწოდება თანდათან გავრცელდა მთელს კონტინენტზე. ბერძენთა წარმოდგენა ამ კონტინენტზე ფრიად შეზღუდული იყო და ეს აისახა მითებშიც.

აფროდიტე (ქაფში შობილი) — სიყვარულის, სილამაზის, ყვავილოვანი გაზაფხულის ქალღმერთი, რომაელები მას ვენერას უწოდებენ (თავდაპირველად ცის ღმერთად ითვლებოდა, რომელიც დედამიწაზე გზავნიდა წვიმას). მშვენიერებით ყოველ ქალღმერთზე აღმატებული, სინაზითა და სილამაზით ჰერაზე და ათენაზე გამარჯვებული, მისი ტახტი მაღალ მთაზე დგას. ღმერთსა და ადამიანს, ერთნაირად ხიბლავს და იმონებს თავისი ციური სილამაზით. ჰეფესტოს მეუღლედ ითვლება. აფროდიტეს შვილებად ითვლებიან ეროტი, ანტეროტი, ჰარმონია, დეიმოსი, ფობოსი, ჰერმაფროდიტი (ქალკაცა). წარმოშობით აზიელია, მაგრამ ბერძნებმა ხორცი შეასხეს და ეროვნულ

ქალღმერთად აქციეს. ლამაზი მითებია შექმნილი მის წარმოშობაზე, ერთ-ერთი მათგანით წარმოიშვა ზღვის ქაფში ურანოსის სისხლისაგან, რომელიც ზღვაში ჩაიღვარა. აქედანაა მისი ზედწოდება ანადიომენე — ზღვის ქაფიდან გამოსული. სხვა ვერსიით ზევსისა და ოკეანიდ დიონეს ასულია. მისი ზედწოდებებია: კიპრიდა (კვიპროსელი), პითოსელი, კითერეა, ზღვის დამწუნარებელი, ლემნოსელი. აფროდიტეს მთავარი საკულტო ადგილებია კვიპროსი, კუნ. კითერა, ერიქსი (მთა სიცილიაში). აფროდიტეს კულტშიაც შემორჩა ტოტემიზმის ნაშთები: მას უძღვნეს ბეღურა, მტრედი, დელფინი.

• • • სილამაზის სინონიმი.

აფსირტე — კოლხეთის მეფის აიეტის ძე, სილამაზისათვის ფაეთონად — მოციმციმე წოდებული. დაიღუპა თავისი დის მედეასა და იასონის ხელით.

აქელოე — 1. მდინარის ღმერთი. ჰერაკლემ სძლია, საცოლე წაჰგვარა სასტიკ ორთაბრძოლაში დამარცხებულ მეტოქეს; 2. აკარნანიის და ეტოლიის გამყოფი მთავარი მდინარე შუა საბერძნეთში, ერთვის იონიის ზღვას.

• • • სიუხვის რქა — ზოგი ვერსიით, ესაა რქა, ხარად ქცეულ აქელოეს რომ ჰოსტეხა ჰერაკლემ და ნიმფებმა ყვავილებით აავსეს.

აქერონტი — ქვესკნელის მდინარე, რომელზედაც ქარონს ნავით გადაპყავს მიცვალებულთა სულები (იხ. სტიქსი).

აქილევსი — ძველი ბერძენი გმირი, წარმოშობით თესალიელი. ტროას ომის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე და ჰომეროსის „ილიადას“ მთავარი გმირი, ქალღმერთ თეტიდასა და მოკვდავი მეფის პელევსის ძე (პელიდი). ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი დედამ განბანა მიწისქვეშა მდინარეში და უკვდავება მიანიჭა, მაგრამ განბანვის დროს წყალი არ შეხებია ქუსლზე, რომლითაც დედას ეჭირა, და სწორედ ქუსლისაკენ წარმართა ღმერთმა აპოლონმა პარისის ისარი და მოკლა იგი.

• • • აქილევსის ქუსლი — სუსტი ადგილი (პიროვნების, იდეის და სხვ.).

აქტეონი — თებეს მეფის კადმოსის ასულის ავტონოეს ვაჟი. მშვენიერი მონადირე ჰაბუკი, რომელიც შემთხვევით თავს წაადგა შიშველ არტემიდეს. განრისხებულმა ქალწულმა ირმად აქცია და საკუთარ ძაღლებს დააგლეჯინა (სხვა ვერსიით, ქალღმერთი განარისხა ტრაბახით, შენზე უკეთესი მონადირე ვარო). აქტეონის მამა არისტენისიც მონადირე იყო, მინდორ-ველების ღვთაება.

აქტორი — თებელი გმირი, მონაწილეობდა შვიდთა ლაშქრობის დროს თებეს დაცვაში, იბრძოდა ატალანტეს ვაჟის პანთენოპაეს წინააღმდეგ.

ბ

ბაკხუსი — ღვინის ღვთაება (იხ. დიონისე).

ბებრიკები — ბითვინიაში მცხოვრები პირქუში მეომარი ხალხი.

ბელე — ზევსისა და იოს ვაჟის, ეგვიპტის პირველი მბრძანებლის ეპაფის ძე, ეგვიპტოსისა და დანაოსის მამა.

ბელეროფონტი (ბელერის მკვლელი) — კორინთოს მეფის გლაუკესა და ეურიმედეს ვაჟი, საბერძნეთის სახელოვანი გმირი. სამშობლოში შემოაკვდა ერთ-ერთი მოქალაქე და იძულებული გახდა გადახვეწილიყო ტირინთოში, მეფე პროიტემ გაგზავნა თავისი ცოლის მამასთან იობატთან, რომელთანაც ყოფნის დროს მრავალი საგმირო საქმე მოახდინა: მოკლა ქიმერა, დაიმორ-

ჩილა პეგასი და სხვ. ბოლოს ძლიერ გაამაყდა და ზეკსმა ელვით განგმირა. არსებობს თქმულებები, რომელთა მიხედვით თავდაპირველად ზღვის ღვთაებად ითვლებოდა. საგულისხმოა, რომ ინგლისელთა სამხედრო გემს, რომლითაც ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე წაიყვანეს, „ბელეროფონტი" ერქვა.

ბეოტია — ოლქი შუა საბერძნეთში, რომლის მთავარი ქალაქია თებე.

ბიანტი — გმირი, დიდი მისნის მელამპეს ძმა, ამითაონიდი.

ბიბლინის მთები — თრაკიაში, რომლიდანაც სათავეს იღებს მდ. ნილოსი.

ბითვინია — ოლქი მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.

ბისტონები — თრაკიელთა ტომი, ცხოვრობდა ბისტონის ტბასა და ეგეოსის ზღვას შორის, აბდერის მხარეში.

ბორეადები — ქარის ღმერთის ბორეასის ფროთსანი ვაჟები — ძეტე და კალაიოსი, არგონავტების ლაშქრობის მონაწილე გმირები, განდევნეს ჰარპიები და ამით იხსნეს ნაოსანთა მასპინძელი მეფე ფინეესი.

ბორეასი — ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი; ჩრდილოეთის ქარის ღმერთი, ასტრეას და ეოსის (ვარსკვლავიანი ცისა და განთიადის) სასტიკი ვაჟი, „ათენელთა სიძე": გაიტაცა ათენის მეფის ერეხთეუსის ასული ორითია და ეყოლა ფრთოსანი ბორეადები. ათენელები მფარველად თვლიდნენ და როცა სპარსეთის მეფის ქსერქსეს ფლოტი დარდანელის სრუტეში სეპიადეს კონცხთან, ქარიშხალმა გაფანტა, ეს საქმე სიძის შემწეობას მიაწერეს, საკურთხეველიც აუგეს. მის სამყოფელად თრაკიას თვლიდნენ, მაგრამ მითების მიხედვით უფრო შორსაა საგულვებელი, ისე სუსხიანია მისი სამეფო და ისეთი ზედწოდება აქვს: აპარაქტია — ჩრდილოეთიდან მომავალი ცივი, ყოველის დამღუპველი ქარი.

ბოსფორი — კონსტანტინეპოლის სრუტე (თრაკიის ბოსფორი) და ქერჩის სრუტე (კიმერიისა).

ბუსირისი — ეგვიპტის სასტიკი მეფე, პოსეიდონისა (ზოგი ვერსიით ეგვიპტოსის) და ეპაფის ასულის ლისიანასეს ვაჟი, შეუბრალებლად ჰკლავდა ყველა უცხოელს, რადგან მისანმა ფრასიასმა ურჩია, ცხრაწლიანი გვალვა მაშინ შეწყდება, თუ ზეევსს ადამიანთა მსხვერპლს შესწირავო. მეფემ პირველად თვით ფრასიასი შესწირა ღმერთებს, შემდეგ კი მის რჩევას მიჰყვა, უნდოდა ჰერაკლეც ზეევსისათვის შეეწირა, მაგრამ დიდმა გმირმა მოჰკლა იგი.

გ

გალატე — ნერეიდა, ზღვის გრძნეული ბერიკაცის ნერევსის ასული. უყვარდა სიმეფიდის ვაჟი აკიდი. მშვენიერი ნერეიდა თავდავიწყებით შეუყვარდა კიკლოპ პოლიფემსაც. იგი სალამურის დაკვრით იქარვებდა დარდს. ერთხელ პოლიფემემ გამოქვაბულში თვალი მოჰკრა გალატესა და აკიდს, განრისხდა და დაედევნა მათ. გალატე ზღვაში გადაეშვა, ხოლო აკიდი მდინარის ღვთაებად იქცა (იხ. აკიდი).

განიმედი (მასიამოვნებელი) — დარდანის მეფისწული, ტროას მეფის ლაომედონტის (ზოგი ვერსიით ტროას მშენებლის ტროსის) ვაჟი, უჩვეულო სილამაზისათვის ზეევსმა თავის არწივს მოატაცებინა, ამბროზიის მიმწოდებლად და მაამებლად ჰყავს ოლიმპოზე (ილ. XX, 231). სხვაა განიმედა — ქალღმერთ ჰერას ზედწოდება.

გეა (მიწა) — ქაოსიდან შობილი ქალღმერთი დედამიწა, ყოველი არსის დედა, ურანოსის მეუღლე, ჰეკატონქეიერების, კიკლოპების და გიგანტების დედა. ჰომეროს-

თან უკვე ცნობილი ქალღმერთია, ესაა უძველესი, ძალუმი, უზარმაზარი, ყოვლისშობელი უკვდავი დედა.

გერიონი — სამთავიანი ბუმბერაზი, ქრიზაოროსის შვილი, მას ჰერაკლემ ძროხების ჯოგი მოსტაცა და მძიმე ბრძოლაში სძლია.

გიგანტები — 1. შორეულ დასავლეთში მცხოვრები ძალუმი და მოუსვენარი ბუმბერაზები, ზვიადნი, გოლიათური ძალისა და სიდიდის ქმნილებანი, რომელთაც ფეხების ნაცვლად ორი უზარმაზარი გველი ესხათ. ურანოსის და გეას ამ ტლანქმა შვილებმა

გიგანტი (ვატიკანი. მუზეუმის რელიეფი).

(პორფირიონი, ალკიონე, ეფიალტე და სხვ.) განიზრახეს ოლიმპოელი ღმერთების დამხობა და ბრძოლა გაუმართეს. ფლეგრეის ველზე ცეცხლოვანი მუგუზლები დაუშინეს ოლიმპოს (ვულკანური მოვლენების ახსნა). ზეუსმა ელვის ისრები გააჭედვინა კიკლოპებს, საშველად უხმო ასხელა ჰეკატონქეირებს, ჰერაკლეს და გაიმართა სასტიკი ბრძოლა (გიგანტომაქია). გაიმარჯვეს ოლიმპოელებმა, ამით აისახა ოლიმპოს ღმერთების კულტის გამარჯვება სხვა რელიგიებზე. გიგანტები არ უნდა ავურიოთ ტიტანებთან, რომლებიც ზეუსმა ადრევე დაამხო; 2. ღმერთების საძულველი, ალბათ ეპირში მოსახლე გიგანტების ტომი.

გლავკე — 1. კორინთოს მეფე, სიზიფეს ძე, საბერძნეთის დიდი გმირის ბელეროფონტის მამა; 2. ბელეროფონტის შვილიშვილი, აფროდიტემ მისსავე მერნებს დააგლეჯინა; 3. კორინთოს მეფის კრეონტის ასული, მედეამ მოწამლა ქორწილების დღეს. რადგანაც მის ქმარს იასონს უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

გლავკოსი — ზღვის ღვთაება, მეთევზეთა და მეზღვაურთა მფარველი (უფრო მეტად ცნობილია ბეოტიაში).

გორგონა (საშინელი, ზარდამცემი) — ზღვის საზარელი არსებანი, ქალის სახიანი ურჩხულები, რომელთაც თმის ნაცვლად გველები ჰყავთ თავზე დაზვინული. უფრო ცნობილია სამი და: სთენო, ეურიალე და მედუზა, ეს უკანასკნელი მოკვდავია. გორგონთა ერთი შეხედვისაგან ყოველი ცოცხალი არსება ქვავდება. სამივე ფრთოსანია. გორგონა მედუზა მოკლა პერსევსმა და თავი მოკვეთა, მოკლული სხეულიდან იშვნენ ფრთოსანი რაში პეგასი და ბუმბერაზი ქრიზაოროსი. მედუზას თავი პერსევსმა მრავალჯერ გამოიყენა განსაცდელში, ბოლოს კი უძღვნა ათენას, რომელმაც ფარზე მიიმაგრა. გორგოფონი—გორგონის მკვლელი. ათენას და ჰერმესის ზედწოდებაა (ეხმარებოდნენ პერსევსს); გორგონა ერქვა სპარტის მეფე ლეონიდეს ცოლსაც; გვიანდელ მითებში გორგონა—მშვენიერი ქალია, რომელმაც პოსეიდონს აჩუქა ორი შვილი: ქრიზაოროსი და პეგასი.

გრაიები (დედაბერი) — ზღვის დემონები, გორგონთა დები, სიბერის განსახიერებანი, დაბადებით ჭაღარები. სამნი არიან, სამივეს ერთი თვალი და ერთი კბილი აქვს. მორი-

გეობით იცავენ დების კუნძულისაკენ მიმავალ გზას. პერსევსმა წაართვა თვალი და აიძულა გორგონთა კუნძულისაკენ მიმავალი გზა ესწავლებინა.

გრიფონები — ლომის ტანიანი და არწივის თავიანი ფრთოსანი ურჩხულები, აღმოსავლური წარმოშობისა, აზიის უკიდურეს ჩრდილოეთში დარაჯობენ ოქროს საბადოებს. ჯვაროსნებმა საბრძოლო სიმბოლოდ აირჩიეს.

დ

დამასთე — ატიკაში კეფისის ველზე მცხოვრები ავაზაკი, რომელსაც პროკრუსტეს — „გამჭიმავს" უწოდებდნენ (იხ. პროკრუსტე).

დანაე — არგოსის მეფის აკრისიას ასული. ზევსისაგან, რომელიც ოქროს წვიმის სახით მოევლინა, შეა ვაჟი სახელგანთქმული გმირი პერსევსი.

დანაიდები — ლიბიის მეფის დანაეს 50 ასული. იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ სამშობლო, რადგან არ სურდათ თავისი ბიძაშვილების, ეგვიპტოსის ვაჟების ცოლობა. საბოლოოდ მათ თავი შეაფარეს არგოლიდას, მაგრამ ეგვიპტოსის ვაჟებმა დაამარცხეს არგოლიდის მეფე პელასგე და დანაიდები მაინც შეირთეს. დანაიდებმა ქორწილის ღამეს დახოცეს თავიანთი ქმრები, მართალია მათ ეს ამბავი ღმერთებმა სიცოცხლეში აპატიეს, მაგრამ სასჯელს ჰადესის პირქუშ სამეფოში იხდიან, ავსებენ უძირო ქვევრს.

• • • **დანაიდების შრომა** — ამაო, უნაყოფო საქმიანობა. გამოთქმა პირველად იხმარა ბერძენმა სატირიკოსმა ლუკიანემ. ზოგ ვერსიაში ლაპარაკია უძირო კასრზე ან ზოგადად ჭურჭელზე. ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის ბარელიეფზე სწორედ ძირგატეხილი ქვევრია გამოსახული.

დანაოსი — ეგვიპტის მეფის ბელეს ვაჟი, ეგვიპტოსის ტყუპი ძმა, ლიბიის მეფე, ორმოცდაათი დანაიდის მამა. როდესაც ეგვიპტოსის ვაჟების მიერ დევნილმა დანაოსმა თავისი ქალიშვილების თანხლებით თავი შეაფარა არგოლიდას, რომლის მეფე ეგვიპტოსის ვაჟებმა დაამარცხეს და იგი იძულებული გახდა მიეტოვებინა ქვეყანა, არგოსელებმა მეფედ დანაე აირჩიეს. მან ააგო არგოსის სიმაგრე, ასწავლა ხალხს ჭების ამოთხრა.

დარდანელის სრუტე — იხ. ჰელესპონტი.

დაფნა — ნიმფა, მდინარე ლადონის და გეს ასული, შეიყვარა აპოლონმა, დაედევნა და ნიმფა მარადმწვანე დაფნის ხედ იქცა.

დედალოსი — ნახევრადლეგენდარული ათენელი მხატვარი, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი. იგი მთელი რიგი ხელსაწყოების გამომგონებელიცაა. ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული მითი დედალოსისა და მისი შვილის იკაროსის შესახებ. დედალოსმა შურით მოკლა თავისი ნიჭიერი დისწული და იძულებული შეიქმნა გადახვეწილიყო კუნძ. კრეტაზე მეფე მინოსთან, რომელსაც აუშენა ცნობილი სასახლე-ლაბირინთი. მინოსი აღარ ელეოდა ხელოვანს და მან გაქცევა გადაწყვიტა. ბუმბულისაგან დაამზადა ფრთები, მიიმაგრა ცვილით და შვილთან ერთად გაფრინდა კრეტიდან, გზაში იკაროსი დაიღუპა. დედალოსმა ცხოვრების უკანასკნელი წლები ათენში გაატარა, სადაც შექმნა დ ე დ ა ლ ი დ ე ბ ა დ წოდებულ ხელოვანთა მთელი თაობა.

მითი დედალოსზე იმის მაუწყებელია, რომ ადამიანები უძველესი დროიდან ოცნებობდნენ ფრენაზე. საინტერესოა, რომ ანტიკურ სამყაროში სწორედ დედალოსის ფრთები იყო საოცნებოდ აღიარებული და არა მარტო მის მიერ შექმნილი ქანდაკებანი და ნაგებობანი.

დევკალიონი — 1. პრომეთეს შვილი, თავის მეუღლე პირასთან ერთად წარღენას გადარჩენილი, სპილენძის საუკუნის ერთადერთი ადამიანი. პრომეთეს რჩევით ააგო კიდობანი, რომელიც ცხრა დღე-ღამის შემდეგ პარნასზე (სხვა ვერსიით ოთრისზე) გაირიყა (აქედან აიღო ქრისტიანობამ არარატზე გარიყული ნოეს კიდობნის მითი). ზევსს საჩუქრად სთხოვეს დედამიწის ისევ დასახლება, ზევსმა სურვილი შეუსრულა და უბრძანა ზურგს უკან გადაეგდოთ ქვები. ქვები ადამიანებად იქცეოდნენ — ასე გაჩნდა დედამიწაზე ადამიანების ახალი მოდგმა; 2. მინოსის და პასიფაეს შვილი, კალიდონის ნადირობის მონაწილე.

დეიანირა — ჰერაკლეს მეუღლე, გმირი მელეაგრეს და, ოინევსის და ალთეას ასული. მისი ხელი ჰერაკლემ მოიპოვა მდინარის ღმერთ აქელოესთან სასტიკ ორთაბრძოლაში (რქა მოსტეხა ხარად ქცეულ ღმერთს, სიუხვის რქა). ეჭვით შეპყრობილმა უნებურად მოკლა ქმარი კენტაურ ნესოსის სისხლით გაჟღენთილი მოსასხამით.

დეიმოსი — ომის ღმერთის არესის ძე, ზოგი მითით მსახური. ელდის ღვთაება. მამის განუყრელი თანამგზავრი.

დეიპილე — არგოსის მეფის ადრასტეს ასული, ოიდიპოს მეფის უფროსი შვილის პოლინიკეს მეუღლე.

დელოსი — კიკლადის არქიპელაგის ერთ-ერთი პატარა კუნძული, განთქმული აპოლონისა და არტემიდეს კულტით, აპოლონის ტაძრითა და ორაკულით, ხელოვნების ძეგლებით.

დელფო — განთქმული უძველესი სალოცავი და სამისნო ფოკიდაში, თერმოპილის გზაზე, პარნასის მთასთან, კლდოვან ბექობზე. პირველი ტაძარი აშენდა ჯერ კიდევ ძვ. წ. IX საუკუნეში, მერე აპოლონის სამისნო, სადაც ორაკული ოქროს სამფეხზე მკითხაობდა. მითის თანახმად აპოლონმა თვითონ აირჩია ეს ადგილი ტაძრის ასაშენებლად, რადგან აქ მოკლა პითონი.

დემეტრე (ეგ მეტერ—დედამიწა ნაყოფის დედა, რომაელთა ცერერა) — ნაყოფიერების, მიწათმოქმედებისა და მოსავლის ქალღმერთი, კრონოსის და, რეას ასული, ჰადესის მეუღლის პერსეფონეს დედა. მის სამყოფელად ითვლებოდა თესალია, ელევსინი. ზევსისაგან ეყოლა მშვენიერი პერსეფონე, გაზაფხულის ქალღმერთი, პოსეიდონი ითვლება მის ქმრად, რაც ბუნებრივია: სისველის, წყლის გარეშე მოსავალი და ნაყოფიერება არ არსებობს. მოგვიანებით დემეტრეს კულტი აღრეულია კიბელასა და რეას კულტთან. მისი მთავარი მიწიერი განცდა — ჰადესის მიერ პერსეფონეს გატაცება ღა ზამთარ-ზაფხულის ცვალებადობის ახსნა მითებში ერცლადაა მოთხრობილი. დემეტრეს საკულტო ცენტრი იყო ელევსინი.

• • • ცერერას საჩუქრები — მიწის ნაყოფი, ბარაქა, სიუხვე.

დემოთოონტი — 1. თეზევსის და ფედრას შვილი, აკამანთეს ძმა, ათენის მეფე, ტროადის ომის მონაწილე. გაათავისუფლა თეზევსის დედა, თავისი დიდედა, მონაყოფილი ეთრა. შეიფარა დედისმკვლელი ორესტე და ევრისთევსის მიერ დევნილი ჰერაკლიდები. მთავარია მაინც მეუღლის ტრაგედია. ტროადან რომ ბრუნდებოდა, თესალიის მეფის სითონის ასული ფილიდა დანიშნა, მაგრამ შინ წავიდა საქმეების მოსაგვარებლად და რომ შეაგვიანდა, ფილიდამ თავი ჩამოიხრჩო, ნუშის ხედ იქცა და აყვავდა, როცა გმირი მოეხვია.

დემოფონტი — ელევსინის მეფის კეთეოსისა და მეტანეირას ვაჟი, რომლის აღზრდა იკისრა ქალღმერთმა დემეტრემ. მას სურდა ბავშვისათვის უკვდაეება მიენიჭებინა და ამიტომ ღამე ცეცხლში აწვენდა. დედამ დაინახა და შეშინებულმა დემეტრეს განზრახვაზე ხელი ააღებინა.

დიკე — მართლმსაჯულების დამცველი, სამართლიანობის ქალღმერთი, ზევსისა და თემიდას ასული.

დიომედე — 1. არგოსელი გმირი, ადრასტეს შვილიშვილი, ათენას რჩეული გმირის ტიდეუსისა და დეიპილეს ვაჟი. შვიდთა ლაშქრობის დროს სასიკვდილოდ დაჭრილი ტიდეუსისაგან ათენამ პირი იბრუნა რათა არ დაენახა მისი უმსგავსო საქციელი, მან მაინც მოახერხა ეთხოვა ქალღმერთისათვის თუ მას არა, მისი შვილისათვის მაინც მიენიჭებია უკვდავება, მაგრამ ათენამ ეს თხოვნაც არ შეუსრულა, თუმცა დიომედეს სახელი მაინც უკვდავყოფილია მისი საგმირო საქმეებით ტროას ომში. მან მოკლა გმირი რესი და გაიტაცა მისი ჯადოსნური ცხენები (ალბათ ამის გამო იყო ერთ დროს გაიგივებული თრაკიის მეფე დიომედესთან, არესის შვილთან. იხ. 2. კაციჭამია ცხენების პატრონთან). არგოსელი დიომედე ტროაში, ათენას დახმარებით, ებრძვის არესსა და მის სატრფო აფროდიტეს, მძიმე ჭრილობებს აყენებს ორსავე ღმერთს და მოჰკლავდა უდიდეს გმირს ჰექტორს, რომ გმირები ზევსს მეხით არ დაეზავებინა. გაიმარჯვა პატროკლეს გვამთან გამართულ ასპარეზობაშიც. მოიტანა ჰერაკლეს იარაღი, რაც აუცილებელი იყო გამარჯვების მოსაპოვებლად. სხვა გმირებთან ერთად იჯდა ხის ცხენში, ტროაში რომ შეიტანეს. დააარსა იტალიის ქალაქები. მერე გაქრა, მისი თანამგზავრები კი ფრინველებად იქცნენ; 2. თრაკიის მეფე, გმირი, არესის და კირენეს შვილი. ჰყავდა საზარელი, ველური, მოუთვინიერებელი მერნები, რომელთაც ადამიანის ხორცით კვებავდა. ჰერაკლემ სძლია მას, მერნები მოათვინიერა და ევრისთევსს მიჰგვარა (ჰერაკლეს მერვე გმირობა). დიომედე შემდეგ საკუთარმა მერნებმა შეჭამეს, თვით მერნები კი მთაში მხეცებმა დაგლიჯეს.

დიონისე (ნისის ღვთაება: ნისა მთაა, სადაც ბაკხუსმა ბავშვობა გაატარა) — ღვინისა და ვენახის ცნობილი ღმერთი, რომაელთა ბაკხუსი ან ბაკქი, მისი კულტი უფრო მდაბიო ხალხში იყო გავრცელებული. დედამისი სემელე, ალბათ გაზაფხულის მიწაა, რომელსაც ოქროს წვიმის სახით მოეელინა ზევსი, როგორც დანაეს.

დიოსკურები (ზევსის შვილები) — ციური ძმები, კასტორი და პოლიდეკე (რომაელთა პოლუქსი), ერთიმეორისათვის თავდადებული გმირები. სპარტის დედოფლის ლედას ვაჟები. პოლიდეკე ზევსის ძე იყო, ხოლო კასტორი ტინდარეოსის. უფრო გავრცელდა გვიანდელი ვერსია: ზევსი რომ ლედას გედის სახით მოეელინა, პირველი კვერცხიდან იშვა მშვენიერი ელენე, ხოლო მეორიდან — დიოსკურები. ზევსის და ლედას ძალუმი ვაჟები მებრძოლთა და მეზღვაურთა მფარველებია, რის გამოც ანძაზე მოკიაფე ღამის ციაგს მეზღვაურები „კასტორისა და პოლუქსის ცეცხლებს" ეძახდნენ, მათივე სახელი ეწოდა თანავარსკვლავედს. კასტორი მოკვდავი იყო, პოლიდეკე — უკვდავი. როცა ბიძაშვილმა, აფარიდმა იდასმა შუბით მოკლა კასტორი, პოლიდეკემ ორივე აფარიდი განგმირა, თვითონ კი ზევსს გამოსთხოვა უფლება, რომ ძმებს მორიგეობით ეცხოვრათ ოლიმპოზე და საიქიოში. ზოგი ვერსიით — ტყუპი ძმებია.

* * * დიოსკურები — განუყრელი ძმობის და მეგობრობის სინონიმია.

დირკე — 1. თებეს მითიური მეფის ლიკეს სასტიკი ცოლი; 2. მდინარე თებეს დასავლეთით. ამ მდინარეში გადააგდეს ზეტესმა და ამფიონემ მათი დედის—ანტიოპეს შემავიწროვებელი დედოფალი დირკე, მას შემდეგ, რაც ხარის რქებზე დააკრეს (ზოგი ვერსიით, დირკე ამ მდინარედ იქცა).

დიქტისი — 1. კუნძულ სერიფის მეფის

პოლიდექტეს ძმა, მეთევზე, რომელმაც იხსნა კიდობანში მყოფი დანაე და მისი ვაჟი პერსეევსი; 2. მაღალი მთა, საიდანაც ფუტკრებს კუნძულ კრეტაზე გადამალულ ყრმა ზევსისათვის თაფლი მიჰქონდათ.

დოდონი — ქალაქი ეპირში, ჩრდ. საბერძნეთის დას. ნაწილში. აქ დეკალიონმა ზევსის ტაძარი აღმართა, მერე თებედან მოფრენილმა მტრედმა ბრძანა, აქვე სამისნოც გამართეთო. აქედან ზევსის ზედწოდება დოდონელი.

დორიდა — ოკეანის ასული, ზღვის ღმერთ ნერევსის მეუღლე, მშვენიერი ნერეიდების დედა.

დორიელები — ბერძენთა ერთ-ერთი მთავარი ტომთაგანი, ჯერ პელოპონესში, მერე მცირე აზიაში მოსახლე ხალხი. სახელწოდება წარმოდგა მათი მამამთავრის, ელინის შვილის დორის სახელიდან.

დრაკონი — მფრინავი, მრავალთავიანი, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი, გამოქვაბულსა და შავ ჭაობებში მობინადრე, ყოველივეს რომ აოხრებს და ადამიანთა მსხვერპლს ითხოვს.

• • • დრაკონის კბილების დათესვა (კადმოსის მიერ მოკლული არესის დრაკონის მიხედვით) — განხეთქილების, შუღლის დათესვა.

დრიადები (ხე; მუხა) — ტყის კეთილი ნიმფები, ხეთა მფარველნი, ხეში ცხოვრობენ და ხესთან ერთად კვდებიან.

დრიოპე — ნიმფა, ღმერთ პანის დედა; 2 ექალიის მეფე ევრიტეს ასული (სხვა ვერსიით დრიოპსის ქალი), უყვარდა აპოლონს, ეყოლათ ამფისი, რომელმაც დააარსა ქალაქი ეტა. დაკავშირებულია დრიოპებთან.

დრიოპები — ეტასა და პარნასს შორის მობინადრე ტომი, დორიელებმა შეავიწროვეს და გაფანტეს (იხ. დრიოპსი).

დრიოპსი — გმირი, დრიოპების ეპინომი, მამამთავარი. მდინარის ღმერთ სპერქეიოსის და დანაიდ პოლიდორეს შვილი (სხვა ვერსიებით — ლიკაონ არკადიელისა და დიას, ან კიდევ აპოლონის და დიას ეაჟი) დრიოპები ყოველწლიურად მისტერიებით აღნიშნავდნენ თავიანთი წინაპრის დღესასწაულს.

ე

ეაგრე — მდინარის ერთ-ერთი ღვთაება, დიდი მომღერლის ორფევსის მამა.

ეაკე — ზევსის და მდინარის ღმერთ ასოპეს ასულის ეგინას შვილი, ეაკიდების პაპა. მისი თხოვნით ზევსმა ჭიანჭველები ადამიანებად აქცია და კუნძული ეგინა, რომელიც ჰერას „წყალობით" გაუკაცრიელდა, ხელახლა დაასახლა. ეაკე აპოლონთან და პოსეიდონთან ერთად აგებდა ტროას კედლებს. როცა დასრულეს მუშაობა, ილიონის კედელზე სამი გველი ავიდა. ღმერთების მიერ აგებულ კედლებზე გასული ორივე ქვეწარმავალი მოკვდა, მოკვდავ ეაკეს კედელზე გადასული კი ქალაქში შევიდა, ნიშნად იმისა, რომ ეაკის შთამომავალნი ტროას დაიპყრობდნენ, რაც აღსრულდა კიდეც. სიკვდილის შემდეგ ეაკე ქვესკნელის ერთ-ერთი მოსამართლეა (იხ. მინოსი, რადამანთე).

ეგვიპტე — თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ მდ. ნილოსსა და მის გარშემო მდებარე მხარეს, მხოლოდ უფრო მოგვიანებით გავრცელდა მთელ დღევანდელ ეგვიპტეზე. სახელწოდება მითის თანახმად მიიღო მითიური მეფის ეგვიპტოსის სახელის მიხედვით (იხ. ეგვიპტოსი).

ეგვიპტოსი — ეგვიპტის მითიური მეფე, ეპაფის ძის ბელეს ვაჟი, დანაოსის ძმა. მეფობდა იმ ქვეყანაში, რომელსაც ნილოსი რწყავდა და მის სამეფოს მისი სახელი

ეგვიპტე ეწოდა. ჰყავდა 50 ვაჟი, რომლებიც დანაიდებმა გაწყვიტეს. როცა გაიგო თავისი შვილების დაღუპვის ამბავი, კაეშანს გადაჰყეა. სხვა თქმულებით, გვალვისაგან ქვეყნის გადარჩენის მიზნით თავისი ასული აგანიპე შესწირა ღმერთებს, როგორც ორაკულმა ურჩია, თვით კი თავი ნილოსში დაიხრჩო. მედლებზე გამოსახულია დინჯი მეფე, რომლის ფერხთით ნიანგია, უკან — პირამიდები, კვარცხლბეკზე — იბისი, წმინდა ფრინველი.

ეგეოსი — გმირი, ათენის ლეგენდარული მეფე, პანდიონის შვილი, კეკროპის შვილიშვილი. დაიბრუნა ტახტი, მამამისს რომ წაართვეს მეტეონიდებმა. უშვილობით შეწუხებულმა დელფოს სამისნოს მიაშურა, საიდანაც ბუნდოვანი პასუხი მიიღო. უფრო გარკვეული პასუხის მისაღებად ტროიძენს წავიდა მეფე პიტთევსთან, რომელმაც აუხსნა მისნის ნათქვამი და საკუთარი ასული ეთრა მიათხოვა. ეთრას შეეძინა ვაჟი—დიდი გმირი თეზევსი, რომლის მამა პოსეიდონი იყო. ათენს დაბრუნებულმა ეგეოსმა მედეა შეირთო. დავაჟკაცებული თეზევსი მამასთან ჩავიდა, დახოცა მეტოქე პალანტიდები, განდევნა მედეა და მინოტავრის მოსაკლავად კრეტაზე გაემგზავრა. შეწუხებული ეგეოსი შვილს კლდეზე მდგარი უცდიდა, თვალი მოკრა შავ იალქნებს, რომელთა შეცვლაც თეზევსს დაავიწყდა, შვილი დაღუპული ეგონა და გადავარდა ზღვაში, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. თავდაპირველად ღვთაებად იყო ცნობილი.

ეგეოსის ზღვა — საბერძნეთსა და მცირე აზიას შორის გადაშლილი ვრცელი, კუნძულებითა და ნახევარკუნძულებით დასერილი ზღვა, რომელიც დიდ როლს თამაშობს ისტორიასა და მითოლოგიაში. სახელი ეწოდა ლეგენდარული მეფის ეგეოსის მიხედვით (იხ. ეგეოსი).

ეგიდა — ზევსის წამოსასხამი, გამოსახავს მისი გამზრდელი თხის ამალთეას ტყავსა და მისგან მომდინარე ქარიშხალსა და რისხვას. მსგავსი წამოსასხამი ათენასაც აქვს და აპოლონსაც, მაგრამ ზევსთან ეს უფრო ძალაუფლების სიმბოლოა, სხვები კი იყენებენ კიდეც (აპოლონი ჰექტორს იცავს აქილევსისაგან).

ეგინა — ქალაქი და კუნძული ეგეოსის ზღვაში, ატიკასა და არგოლიდას შორის, მითის თანახმად სახელწოდება მიიღო ზევსის სატრფოს ნიმფა ეგინას სახელისაგან, რომლის ვაჟი ეა

ევმენიდები (კეთილნი, მოწყალენი) — ასე უწოდეს სასტიკ ქალღმერთებს ერინიებს გულის მოსალბობად, მას შემდეგ რაც ათენში არეოსისადმი მიძღვნილ გამოქვაბულში დასახლდნენ.

ევმოლპე — თრაკიის მეფე, პოსეიდონისა და ნიმფა ჭიონეს ვაჟი, ელევსინელებს დაეხმარა ათენის წინააღმდეგ ბრძოლაში და დაიღუპა. ელევსინის მისტერიების დამაარსებელი, ევმოლპიდების (ატიკის კეთილშობილთა) მამამთავარი.

ევრიალე — 1. ერთ-ერთი გორგონა (იხ. გორგონა); 2. არგოსელი გმირის მენესთევსის ძე, ეპიგონების ლაშქრობის მონაწილე გმირი.

ევრიდიკე — ეს სახელი ერქვა დიდი მომღერლის ორფევსის, ნემეის მეფის ლიკურგესა და თებე'ს მეფის კრეონტის მეუღლეებს.

ევრინომე — ზღვის ქალღმერთი, ქარიტების დედა. ზღვის ტალღებიდან იხსნა მშვედელი ღმერთი ჰეფესტო, რომელიც დაბადებისთანავე ჰერამ ოლიმპოდან გადააგდო; 2. ოდისევსის მსახური.

ევრიპიდე — ბერძენ ტრაგიკოსთა ბრწყინვალე წარმომადგენელი (ძვ. წ. 480—404 წწ.), 92 დრამის ავტორი. შემორჩა 17 ტრაგედია და 1 სატირული კომედია „კიკლოპსი". მითოლოგიურ სიუჟეტებზე აგებული ტრაგედიებიდან ცნობილია: „მედეა", „ალკესტიდა", „ჰიპოლიტე", „ტროელები", „ბაკხელი ქალები", „ჰერაკლიტე", „ელექტრა", „ორესტე", „იფიგენია ტავრიდში", „იონი", „ჰერაკლიდები", „ფინიკიელები", „ელენე".

ევრიპილე — 1. პოსეიდონის შვილი, კუნძულ კოსის მეფე, მოკლა ჰერაკლემ ტროადან დაბრუნების დროს; 2. პოსეიდონის შვილი, კირენეს მეფე; 3. თესალიის მეფე, ორმოცი ხომალდით იდგა ილიონთან, დაჭრა პარისმა; 4. ტელეფოსის ვაჟი, მამაცი ტროელი გმირი, მოკლა მახაონი, ხოლო ტროას დაცემისას მიზიის ეს მამაცი მეფე ნეოპტოლემემ მოკლა.

ევრისთევსი — პერსეიდი, სფენელეესის შვილი, მიკენის უბადრუკი მეფე, რომლის ბრძანებითაც ზევსის შვილმა ჰერაკლემ 12 გმირობა მოახდინა. ამ პატიეს ჰერას მზა-

ევმენიდები (ანტიკური ბარელიეფი. ლუვრის მუზეუმი).

კვრობით მიაღწია. ჰერაკლეს სიკვდილის შემდეგ ჰერაკლიდების შევიწროვება დაიწყო, თეზევსთან ბრძოლაში დამარცხდა, ჰერაკლეს დედამ თვალები დასთხარა და მოკლა.

ევრისიხთონი — თესალიის ზვიადი მეფე, პატივს არ სცემდა ღმერთებს, მოკლა დემეტრეს საყვარელი ნიმფა დრიადე, რისთვისაც დაისაჯა, შიმშილის ქალღმერთი ესტუმრა და ჩაპბერა დაუოკებელი შიმშილი.

ევრიტე — 1. მელანევსის შვილი, თესალიის ექალიის მეფე, იოლეს და იფიტოსის მამა. სიტყვა ჰქონდა დადებული: ვინც მშვილდის სროლაში მძლევს, იოლეს ცოლად მივცემო. ჰერაკლემ სძლია, სიტყვა გატეხა, მერე გმირმა მოკლა და იოლე ძალით წაიყვანა. სხვა ვერსიით მოკლა აპოლონმა, რომელიც შეჯიბრში გამოიწვია; 2.

ერთ-ერთი გიგანტი, რომელიც ოლიმპოელებს პალენეზე შეება. ბრძოლის დროს მოკლა დიონისემ; 3. უძლიერესი კენტავრი, გმირ პეირითოოს ქორწილში მოინდომა პატარძლის გატაცება. გამართულ ბრძოლაში მოკლეს.

ევრიტიონი — 1. ბუმბერაზი გერიონის მწყემსი, მოკლა ჰერაკლემ; 2. კენტავრი.

ევროპა — სიდონის მეფის აგენორის ასული. უჩვეულო სილამაზით მოხიბლა ზევსი, რომელიც ხარის სახით მოევლინა და კუნძულ კრეტაზე გაიტაცა (პოსეიდონი ტალღებს უწყნარებდა). იქ ეყოლა ზევსისაგან მინოსი, რადამანთე (შემდგომ ქვესკნელის მოსამართლენი) და სარპედონი, ხოლო კრეტის მეფე ასტერიონისაგან, რომელსაც მისთხოვდა — სხვა შვილები. მითის თანახმად ევროპამ, როგორც ხმელეთმა მისი სახელი მიიღო. სინამდვილეში წარმოდგა ასირიულ-ფინიკიური სიტყვიდან „ერებ" (ბერძ. ერებოს), რაც დასავლეთს ნიშნავს, ან ბერძნული სიტყვიდან, რაც შორს გაზიდულს ნიშნავს; 2. დემეტრეს ზედწოდება.

ევრისი — ასტრეასა და ეოსის შვილი, აღმოსავლეთის ქარი.

ევროტასი — ლაკონიის მთავარი მდინარე. ამ მდინარის სანაპიროებზე იყო გაშენებული სპარტა.

ევტერპე (მომხიბლავი) — ლირიკული პოეზიის მუზა.

ევფემე — გმირი, პოსეიდონის შვილი, ჰერაკლეს დის ლაონომეს მეუღლე, არგონავტი, ტრიტონის ტბაში გმირს მშვენიერმა ყმაწვილმა მიწის ბელტი მისცა, გმირს ბელტი ხელიდან გაუვარდა და შეიქმნა ჟუნძული კალისტე, შემდეგში თეთრად წოდებული.

ევქსინის პონტო („სტუმართმოყვარე ზღვა")—ასე უწოდეს ბერძნებმა შავ ზღვას, როცა მისი მდიდარი და უხვმოსავლიანი სანაპიროები იხილეს. ადრე კი ეძახდნენ აქსინოსს — „სტუმართმოძულეს".

ეთერი — მარადიული შუქი, დედამიწის გარემომცველი სხივოსანი გარსი, რამდენადაც ყოველ არსს ბერძნები ხორცს ასხამდნენ, ეთერი წყვდიადისა და ღამის — ერებოსისა და ნიუქსეს შვილად ითვლებოდა.

ეთესო — უძველესი ქალაქი მცირე აზიაში, ეგეოსის ზღვის პირას, სამი ათასი წლის წინ აშენებული, აქ იყო არტემიდეს ტაძარი, შესული სამყაროს შვიდ საოცრებათა შორის.

ეთიოპია — ზანგებით დასახლებული ქვეყანა ეგვიპტის სამხრეთით, ლიბიის მეზობლად. მითოლოგიაში ეთიოპებს ეძახდნენ შავკანიან ბარბაროსებს, აფრიკელებს.

ეთრა — არგოლიდის მეფის პითეოსის ასული, ათენის მეფის ეგეოსის მეუღლე. ბერძნების საყვარელი გმირის თეზევსის დედა.

ეირენე — მშვიდობის ქალღმერთი, ზევსისა და თემიდას ასული, სიმდიდრისა და გაზაფხულის სიმეთა დედა.

ელადა, ჰელადა — პირველად: ქალაქი თესალიაში, ელინის დაარსებული ციხე-ბურჯი. მერე მისი სახელი მთელს საბერძნეთს ეწოდა.

ელევსინი — ქალაქი ატიკაში, ათენის ჩრდილო-დასავლეთით, დემეტრეს და პერსეფონეს კულტის გავრცელების მთავარი ადგილი. დემეტრეს სამლოცველოს ელევსინიონი ერქვა, მის დღეობას კი — ელევსინიები.

ელენე — თავდაპირველად ითვლებოდა მცენარეთა, შუქისა და ნაყოფიერების ღვთაებად, უფრო მოგვიანებით გახდა ბერძნული ეპოსის ყველაზე უფრო ცნობილი გმირი ქალი. ზევსისა და ლედას ასული. ჰომეროსის პოემებში — ზევსისა და ნემეზიდას ასულია, გვიანდელი ვერსიით — ოკეანის და თეტიდასი. მითი მოგვითხრობს: ნემეზიდა ზევსს გაურბოდა და ბატად იქცა, გედად ქცეული ზევსი დაედევნა. ნემეზიდამ დადო კვერცხი, საიდანაც გამოვიდა მშვენიერი ელენე. რაკი კვერცხი ლედამ

იპოვნა, ელენე საკუთარ ასულად გამოაცხადა (ევრიპ.). მეორე კვერცხიდან გამოვიდნენ ძმები — კასტორი და პოლიდევკეულედას კვერცხი გვიანდელი მითია. ადრე ელენე უშუალოდ ნემეზიდას ასულად ითვლებოდა. მრავალ ღმერთქალსა და გმირ ქალს შორის მშვენიერის სახელი მხოლოდ მან დაიმკვიდრა. ჯერაც სულ ნორჩი ელენე თეზეესმა და პეირითოომ გაიტაცეს. პეირითოეს მეუღლის საძებნელად ქვესკნელში დაეშვნენ, იქ გმირები ჰადესმა მიაჯაჭვა. ამასობაში ელენე ძმებმა დაიბრუნეს და მენელაოსს მიათხოვეს. ტროას მეფისწულმა პარისმა გაიტაცა, ამას მოჰყვა ტროას ათწლიანი ომი. მენელაოსის სიკვდილის შემდეგ ელენე სპარტიდან განდევნეს, როდოსზე გაიქცა, და იქ მოკლეს.

ელექტრა (სხვეოსანი) — 1. არგოსის მეფის აგამემნონისა და კლიტემნესტრას ასული (სოფოკლეს „ელექტრას“ გმირი), თავის ძმას ორესტეს დაეხმარა მამისათვის შურისძიებაში და ცოლად გაჰყვა ორესტეს მეგობარს პილადეს. 2. ოკეანის და თეტიდას ასული, ირიდას და ჰარპიების დედა; 3. ატლანტის და პლეიონეს ასული (პლეადა), იასიონის და დარდანის დედა. დარდანი ტროაში წავიდა, იქ დამკვიდრდა და გახდა ტროას სამეფო გვარის მამამთავარი.

ელექტრიონი — მიკენის მეფე, ჰერაკლეს დედის ალკმენეს მამა, ალკეოსის ძმა როცა პტერელაოსი ტაფიების ჯარით შეიჭრა მიკენში, შვილები დაუხოცა და ჯოგი გაიტაცა, ელექტრიონმა განიზრახა სამაგიეროდ დაელაშქრა ტაფიების ქვეყანა, სამეფო ძმისშვილს — ამფიტრიონს ჩააბარა და ცოლად თავისი ასული ალკმენე („ძლიერება“) მისცა. ამფიტრიონი ტაფიებს დაეწია და ჯოგი დაიბრუნა. ელექტრიონი შემთხვევით შემოაკვდა ამფიტრიონს.

ელიდა — ნაყოფიერი მხარე ძველ პელოპონესში ჩრდილო-დასავლეთით, იონიის ზღვის მხარე. ამ ოლქის დედაქალაქსაც ელიდა ერქვა.

ელინი — ელინთა ეპონიმი, სახელი მისცა თავის ტომს. ჰომეროსი ელინებს ეძახის მხოლოდ ელადის მცხოვრებთ, აქაველებთან ერთად ბერძენთა უდიდეს ტომს რომ შეადგენდნენ. მერე ის სახელი ყველა ბერძენზე გავრცელდა, მითი კი შეიქმნა უფრო მოგვიანებით ბერძენთა ციური ჩამომავლობის დადგენის მიზნით.

ელისეის (უფრო სწორად — ელისიის) **ველი** (მომჯადოებელი ველი) — ელიზეუმი, უკიდურესი დასავლეთის ნეტართა მხარე, სადაც ზევსის მიერ დასახლებულნი არიან მეოთხე საუკუნეში მცხოვრები გმირები: მენელაოსი, რადამანთე და სხვები. პინდარეს მიხედვით — ნეტართა კუნძულები.

ემპუსა — დიდი ქალღმერთის ჰეკატეს მსახური, ჰადესის სამეფოში მცხოვრები, სახედრის ფეხებიანი ზარდამცემი მოჩვენება. გაიტყუებს ხოლმე ადამიანს, სისხლს ამოსწოვს, შემდეგ კი შთანთქავს სხეულს. ზოგჯერ აიგივებენ ალფიტოს, აკოს და მორმოს აჩრდილებთან.

ენდიმიონი — მშვენიერი მითიური ჭაბუკი, მთვარის ქალღმერთის სელენეს სატრფო. ნაღვლიანი სელენე შემოიღლის ცას და კარიაში ლატმოსის მთის გამოქვაბულში ეშვება, სადაც მთვლემარე ენდიმიონი ეგულება. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ზევსმა ცაში გაიტაცა, იქ ჰერა შეუყვარდა და მეხთამტყორცნელმა მარადიული ძილით დასაჯა. სხვა მითებით სელენეს (ზოგჯერ არტემიდეს) საყვარელი მწყემსი ან მონადირეა. ქალღმერთმა ერთ გამოქვაბულში ჩააძინა და როცა ეშვება ციდან, ამ გამოქვაბულს მიაშურებს ხოლმე და შეეხვარის მძინარე ჭაბუკს. მარადიული ძილი და სიჭაბუკე სელენეს თხოვნით ზევსმა მიანიჭა. სხვა ვერსიით სელენეს სატრფო და 50 ასულის მამაა. ამ ჭაბუკის კულტი გავრცე-

ლებული იყო კარიაში და ელიდაში, სადაც მის სამარეს დღესაც უჩვენებენ.

• • • ლამაზი ჭაბუკი; ენდიმიონის ძილი — უღვიძებელი ძილი.

ენიო — მკვლელობათა მთესველი, ომის ქალღმერთი, ომის ღმერთის არესის თანამგზავრი. ზოგი მითით არესის და, სხვა ვერსიებით დედა.

ენკელადე — ოლიმპოელ ღმერთებთან პალენეზე მებრძოლი გველისფეხებიანი გიგანტი, ტითონის მსგავსი საზარელი არსება, მასავით სიცილიის ქვეშ დამარხული.

ენოპია — კუნძული რომელზედაც ზევსმა მდინარის ღმერთ ასოპეს ქალიშვილი ეგინა გაიტაცა. კუნძულს ამ უკანასკნელის პატივსაცემად ეგინა ეწოდა.

ეოლოსი — 1. ყველა ქარის მბრძანებელი, კორინთოს დამაარსებელის სიზიფესა და მინეის ორქომენის მეფის ათამანტეს მამა. ჰიპოტესის შვილი, ეოლიის კუნძულთა მბრძანებელი, რომელმაც ოდისევსი პატივით მიიღო. ნახევრად ღმერთი, ნახევრად პოეტური სახე, მას ყველა ქარი გამოქვაბულში ჰყავს ჩაკეტილი და თავისი სურვილისამებრ უშვებს; 2. გმირი, ელინის შვილი, ზევსის, ზოგი მითით, დეკალიონის შვილიშვილი. ეოლიელთა მრავალრიცხოვანი ტომის მამამთავარი; 3. პოსეიდონის და მელანიპეს ვაჟი.

ეოსი — ტიტან ჰიპერიონის და ტიტანიდ თეიას ასული. ჰელიოსის და სელენეს და. განთიადის ფრთოსანი, მშვენიერი, ვარდისფერთითებიანი ქალღმერთი, მისი სხეოსანი ეტლის გამოჩენაზე ყოველ არსებას სიხარული ავსებს.

ეპაფე — ზევსისა და იოს შვილი, დაიბადა ნილოსის ნაპირზე, კურეტებმა ჰერას ბრძანებით დამალეს, მაგრამ ზევსმა კურეტები დახოცა, ეპაფე გახდა ეგვიპტის მეფე, შეირთო ნილოსის ასული მემფისა, დააარსა ქალაქი მემფისი და ეყოლათ შვილი, ლიბია, რომლის სახელიც უწოდეს ლიბიას. იგი იყო მამამთავარი უდიდესი გმირთა თაობისა, რომელსაც ეკუთვნოდა ჰერაკლეც. მითი ეგვიპტური თქმულების გამოძახილია: იო შეესიტყვება ისიდას, ეპაფე—შავსა და თეთრ ნიშნიან ხარს აპისს, რომლის კულტის ცენტრიც მემფისში იყო.

ეპიგონები (მემკვიდრეები) — თებეს მოალყე გმირები, შვიდი ცნობილი გმირის შვილები, რომელთაც თებე მიწასთან გაასწორეს მხოლოდ შურისძიების მიზნით.

• • • ეპიგონი — რაიმე დიდი საქმის უსუსური მიმბაძველი, ბრმად მიმყოლი.

ეპიდავრი — 1. ძველი არგოლიდის ერთ-ერთი მხარის, ეპიდავრიის მთავარი ქალაქი, განთქმული საკურორტო ცენტრი, გაშენებული იყო სამი მხრიდან კლდეებით გარშემორტყმულ პატარა ნახევარკუნძულზე, კორინთოს ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აქ იყო ასკლეპიოსის ტაძარი და ქანდაკება. ასკლეპიოსის კულტი და მისი ემბლემა — გველი რომაელებმა გადაიღეს, როცა მარადიულ ქალაქში ჭირი გაჩნდა. ქალაქის პირდაპირ ჰერას ქანდაკება იდგა; 2. ქალაქი ლაკონიაში (ეპიდავრის ლიმერა), განთქმული კიკლოპური კედლებით, გამაგრებული აკროპოლისითა და ნავთსადგურით; 3. ქალაქი დალმაციაში.

ეპიმეთე — იაპეტის ძე, გმირი პრომეთეს უხასიათო, უნდილი ძმა. თუმცა პრომეთემ გააფრთხილა, ღმერთების საჩუქრები არ მიეღო, მაინც მიიღო პანდორა და ქვეყნიერება უბედურებით აავსო (იხ. პანდორა).

ეპირი — ძველი ელადის ჩრდილო-დასავლეთი მხარე.

ერატო (მომხიბლავი) — 1. სატრფიალო პოეზიის და ლირიკი მუზა; 2. ერთ-ერთი ნერეიდა.

ერგინე — 1. ორქომენეს მეფე, სასტიკი ტირანი, რომელმაც მძიმე ხარკი დაადო თებეს. ორთაბრძოლაში სძლია ჰერაკლემ და

იხსნა თებე; 2. არგონავტების ერთ-ერთი მესაჯე.

ერებოსი — მარადიული წყვდიადი, ქაოსის შვილი ნიუქსის (ღამის) ძმა და მეუღლე. ჰემერას (დღის) და ეთერის მამა.

ერეხთეუსი — ათენის მეფე, ერიხთონიოსის მემკვიდრე, მძიმე ომის წარმოება მოუხდა ქალაქ ელეუსინთან, რომელსაც თრაკიელები ეხმარებოდნენ. ათენის გადარჩენის მიზნით თავისი ქალიშვილი ქტონია ღმერთებს შესწირა მსხვერპლად. თვით იგი სამთითით მოკლა პოსეიდონმა. დაიღუპა ყველა მისი შვილიც, ერთი ასულის — კრეუზას გარდა.

ერიგონე — 1. ატიკელ იკარიოსის ასული, რომელმაც ერთგული ძაღლის დახმარებით, იპოვნა დიონისეს წინააღმდეგ ამხედრებულ მწყემსთა მიერ მოკლული მამის საფლავი და იქვე თავი ჩამოიხრჩო. დიონისემ სამივე ცაში წაიყვანა და თანავარსკვლავედებში მოათავსა (მენახირის, ქალწულის და მეძებარი ძაღლის თანავარსკვლავედი); 2. ეგისთეს და კლიტემნესტრას ასული. აფროდიტემ იხსნა ორესტესაგან, რომელმაც მოუკლა ძმა.

ერიდა (ერის, ერიოდოს — ბრძოლა) — განხეთქილების ქალღმერთი, არესის გაანუარელი და და თანამგზავარი, ღამის ასული, ჩხუბის, ქიშპობის, შიმშილის და სხვა უბედურებათა დედა. ღმერთებსა და ადამიანებს სძულდათ და ნადიმებზე არ იწვევდნენ. ასე მოხდა პელევსის და თეტიდას ქორწილშიც. შეურაცხყოფილმა ქალღმერთმა საქორწინო ნადიმზე შეისროლა ოქროს ვაშლი წარწერით: „უმშვენიერესს". შეიქნა დავა პირველობისათვის. დაობდნენ ჰერა, ათენა და აფროდიტე. რჩევა პარისს ჰკითხეს. პარისმა ვაშლი აფროდიტეს არგუნა, სამაგიეროდ აფროდიტემ პარისს მშვენიერი ელენე გაატაცებინა ტროაში. ამან გამოიწვია ბერძენთა ლაშქრობა და ტროას დამღუპველი ომი. ერიდა იქცა განხეთქილების სინონიმად. იცნობდნენ მეორე ერიდასაც, მის უფროს და, კეთილსინდისიერი შეჯიბრის ქალღმერთს, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ხელოსნები.

ერიდანი — მითოლოგიური მდინარე უკიდურეს ჩრდილოეთში.

ერიმანთოი — 1. იგივე ოლონოსი, პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთები. ერიმანთოს მხეცი — საზარელი ტახი, ქვეყნის მაოხრებელი ნადირი, ჰერაკლეს მოკლული; 2. მდინარე არკადიაში.

ერინიები (მრისხანენი, მძვინვარენი) — სინდისის ქეჯნისა და შურისძიების დაუძინებელი ქალღმერთები, „ფიცის დედები", რომაელთა ფურიები. დები არიან, სულ სამნი: ტისიფოსი, მეგერა და ალექტო. სამივე იშვა კრონოსის ხელით დაჭრილ ურანოსის (ცის) სისხლის წვეთებისაგან. ამრიგად, ზეესზე ხნიერნი არიან და ოლიმპოელებს „ყმაწვილებს", „მეტიჩრებს" ეძახიან, არც ემორჩილებიან. დასდევენ, ჩასძახიან, აგიჟებენ, კლავენ ან თავს აკლევინებენ დამნაშავეს, უფრო დედისმკვლელს. გამოსახავდნენ ბებერი დედაკაცების სახით, თავზე თმის მაგიერ გველები ეხვეოდნენ. ატიკაში გულის მოსაგებად ევმენიდებს („მოწყალეებს") ეძახდნენ. მითში ასახულია უძველესი წარმოდგენა მიცვალებულთა სულებზე და სისხლის აღება.

ერისიხთონი — თესალიის ზვიადი მეფე, დემეტრეს ჭალაში მოჭრა მუხა, მოკლა დრიადი, რისთვისაც შიმშილით დაისაჯა.

ერიფილე — არგოსის მეფის ადრასტეს და, გმირი მისნის ამფიარაუს ცოლი, ალკმეონის დედა, ჰარმონიას სამკაულებით მოხიბლულმა ქმარი თებეს წინააღმდეგ ლაშქრობაში გაგზავნა, რითაც დაღუპა და ამის გამო შვილმა ალკმეონმა მოკლა.

ერიქსე — დასავლეთ სიცილიის მეფე, პოსეიდონისა და აფროდიტეს ვაჟი, დაეცა ჰერაკლესთან ორთაბრძოლაში. სხვა ვერსიით მამა ამ გმირისა იყო ერეხთეუსის ძმა

ბუტესი, არგონავტი. როცა „არგო“ სირინოზების კუნძულთან მიცურავდა, მათი გალობით მოხიბლული გმირი ბუტესი ზღვაში გადავარდა, აფროდიტემ ლილიბეიონის კუნძულზე გაიყვანა და იქვე აჩუქა ერიქსე.

ერიხთონიოსი — 1. ცეცხლის ღმერთის ჰეფესტოს ძე, კეკროპის მემკვიდრე, მასავით მიწიდან შობილი და მასავით გველისფეხება, ოთხთვალა ეტლის გამომგონებელი, ათენის ტაძრის მშენებელი, პანათენური დღესასწაულების დამფუძნებელი, რომელსაც ღმერთების თანაბრად სცემდნენ თაყვანს. ათენის ბრძენი მეფე და მსაჯული, დაბადებიდანვე ათენა ზრდიდა და მფარველობდა. იგი იყო პირველი ფულის გამომგონებელი. ათენელებს სწამდათ, რომ მათი წინაპარი გველი იყო; 2. დარდანის შვილი, ილოსის პაპა, ტროას მშენებელ ტროსის მამა.

ეროსი, ეროტი (რომაელთა ამური) — სიყვარულის ღმერთი, აფროდიტეს ვაჟი. ზოგ მითში ქაოსიდან შობილი ყოვლის გამაცოცხლებელი დიდი ძალა—სიყვარული. ხელოვნებაში ეროსი ასახულია, როგორც ფრთოსანი თმახუჭუჭა ყმაწვილი, მშვილდით ხელში; ეროსის მამად ომის ღმერთი არესი ითვლება, რაც უკვე სიკვდილისა და სიყვარულის ერთნაირ ძლიერებაზე მიუთითებს.

ესაკი — ტროას მეფის პრიამესა და მდინარის ღმერთ გრანიკეს მშვენიერი ასულის ალექსიროეს ვაჟი, დიდი გმირის ჰექტორის ძმა, რომელიც მშვენიერ ჰესპერიას სიკვდილის გამო ზღვის ფრინველად იქცა. სიზმრის სწორუპოვარი ამხსნელი.

ესონი — კრეთეესის და ტიროს შვილი, თესალიის იოლკოსის მეფე, იასონის მამა, რომელსაც ტახტი ძმამ პელიასმა წაართვა (იხ. იასონი).

ესქილე — უძველესი ბერძენი ტრაგიკოსი (ძვ. წ. 525—456), მითოლოგიურ სიუჟეტებზე აგებული მისი 92 ტრაგედიიდან შემორჩენილია 7: „აგამემნონი“, „ქოეფორები“, „ევმენიდები“, „მაკედონელნი“, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“, „მიჯაჭვული პრომეთე“ და „სპარსელები“.

ეტეოკლე — 1. ოიდიპოსის უმცროსი შვილი, თებეს მეფე, თებედან განდევნა თავისი ძმა პოლინიკე, რომელმაც არგოსელები აიყოლია და მოაწყო შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ. ძმები ორთაბრძოლაში დაიღუპნენ; 2. პროიტეს შთამომავალი ღმერთებივით ძლიერი გმირი, იფისის ძე. თავდაპირველად გაიგივებული იყო ოიდიპოსის ძესთან, სინამდვილეში კი მისი მოწინააღმდეგეა, თებეს ლაშქრობის მონაწილე, ბრძოლაში ერთ-ერთი პირველთაგანი დაეცა.

ეტნა — სიცილიის უმაღლესი მთა და ვულკანი, არაბები დიებელს ეძახიან (ეშ-მაკს), ბერძნებმა კი ჰეფესტოს სამკედლოდ აქციეს.

ეტოლია — ძველი ელადის შუა დასავლეთი მხარე, თესალიასა და იონიის ზღვას შორის გადაშლილი ტყიანი, ნაყოფიერი ქვეყანა, რომლის მთავარი მდინარეა აქელოი. მითის მიხედვით, სახელწოდება ამ მხარეს მისცა ენდიმიონის შვილმა ეტოლმა, რომელიც ელიდიდან გაიქცა, დაიპყრო ან განდევნა ადრე მცხოვრები არაბერძენი ტომი. ეტოლიელები დიდხანს ითვლებოდნენ „ბარბაროსებად“, ე. ი. არაბერძნებად. ეტოლიაში მოხდა კალიდონის ტახტზე ნადირობა.

ეფიალტე — 1. ოტოსის ძმა (იხ. ალოადები); 2. ოლიმპოს ღმერთებთან პალენეზე მებრძოლი ერთ-ერთი გიგანტი, აპოლონმა ოქროს ისრით თვალი ამოუგდო, ჰერაკლემ კი მოკლა.

ეჭალია — უძველესი ქალაქი დას. თესალიაში, მესენიაში და ევბეაზე.

ეჭიდნა — გველქალა: ბერძნული მითოლოგიის საზარელი ურჩხული, ტიფონისა-

გან შვა ქიმერა, ჰიდრა, სფინქსი, კერბერი და სხვა ურჩხულები.

ეკო — მთის ნიმფა, არსებობს რამდენიმე ლამაზი თქმულება მის შესახებ. ერთ-ერთი მოგვითხრობს: როცა ზევსი ნიმფებთან დროს ატარებდა, ეკო ლაპარაკით იქცევდა ჰერას, განრისხებულმა ქალღმერთმა იგი დაამუნჯა და მხოლოდ უკანასკნელი სიტყვის გამეორების უნარი დაუტოვა. ეკოს შეუყვარდა მდინარის ღმერთ კეფისისა და ნიმფა ლავრიონას მშვენიერი, მაგრამ გულცივი ვაჟი ნარგისი. ზოგი ვერსიით ეკო ნარგისის სიყვარულით დადნა, გახმა და კლდედ იქცა, მხოლოდ ხმაღა დარჩა. კიდევ სხვა მითით შეიყვარა ღმერთმა პანმა, დიდხანს სდია, საწადელს რომ ვერ მიაღწია მწყემსებს დააგლეჯინა, უსულო ტანი კი მაინც ხმიანობს. ამ მითის სხვა ვერსიით პანმა საწადელს მიაღწია და ეკომ მას აჩუქა მშვენიერი ასული ინგა.

ზ

ზევსი (რომაელთა იუპიტერი) — რეასა და კრონოსის შვილი, ბერძენთა უზენაესი ღვთაება, ღმერთებისა და ადამიანების მამა და მეუფე, ციურ მოელენათა გამგებელი, მეხისა და ელვის მტყორცნელი, ეგიდის მპყრობელი, ოლიმპოელ ღმერთთა უმრავლესობისა და მრავალი გმირის მამა. ქვეყნიერების ბედ-იღბალს განაგებს, ქვეყნად აწესებს კანონებს და იცავს წესრიგს, იწვევს ჭექა-ქუხილს, სასტიკად სჯის დამნაშავეებს. ხელისუფლებისათვის ებრძვის ტიტანებს, მის დასასჯელად გეა-დედამიწის მიერ ნაშობ ტითონსა და გიგანტებს. ვარონი 300 ზევსს ითვლის, ციცერონი — სამს, იმდენად რთული და ნაირსახოვანია ეს ცათა მეუფე. ზევსის კულტის ადგილი იყო ოლიმპო, დოდონა და სხვა. მისი ატრიბუტებია ეგიდა (გამზრდელი თხის ამალთეას ტყავი), არწივი, ხარი, კვერთხი. ზედწოდებანი: არონიონი (კრონოსის შვილი), მეხთამტყორცნელი, გამარჯვების მომტანი (ვიქტორი, ნიკიფორე), შუქის მომცემი, სტუმართმოყვარეობის მფარველი (ქსენიოსი), სახელმწიფოს დამცველი (პოლიევსი), დამნაშავეთა დამსჯელი, კანონ-წესების დამდგენი, თუმცა ხშირად თვითონვე არღვევს მათ, თუნდაც ქორწინების საკითხში. მის შესახებ შექმნილ მითებში ძლიერ ბევრია ტოტემიზმის ნიშნები. ზევსის შვილებია: არესი, ჰება, ჰეფესტო (ჰერასაგან), ორები (თემიდასაგან), მუზები (მნემოზინასაგან), აპოლონი და არტემიდე (ლეტოსაგან), პერსევსი (დანაესაგან), დიონისე (სემელასაგან), ჰერმესი (მაიასაგან), მშვენიერი ელენე (ლედასაგან), ჰერაკლე — (ალკმენესაგან), დიოსკურები და სხვა მრავალი.

ზეტესი — ზევსისა და ანტიოპეს შვილი, ამფიონის ძმა, თებეს კედლების მშენებელი (იხ. ამფიონი).

ზეფირი — დასავლეთის მოალერსე ნიავ-ქარი, წვიმის ღრუბლებს რომ მიერეკება ცაზე, წარმოშობილი ასტრეასა და ეოსისაგან.

თ

თალეია — 1. კომედიის მუზა; 2. ქარიტი, ნადიმთა მფარველი; 3. ერთ-ერთი ნერეიდა, ნერევსის და დორიდის ასული.

თანატოსი — სიკვდილის ღმერთი, ძილის ღმერთ ჰიპნოსის ტყუპი ძმა, ღამის შვილი, იგი ხელში მახვილით, შავი მოსასხამითა და უზარმაზარი შავი ფრთებით გვერდს უმშვენებს მიცვალებულთა სამეფოში ჰადესს. სამარის სუსხი ჰქრის მისი ფრთებიდან, როცა იგი მომაკვდავის სარეცელთან მიფრინდება ხოლმე.

თეია — ტიტან ჰიპერიონის მეუღლე, რო-

მელმაც ქვეყანას მისცა შვილები მზე-ჰელიოსი, მთვარე-სელენე და წითლად შეფაკლული აისი — ვარდისფერთითება ეოსი.

თებე — 1. შვიდკიშკრიანი — ბეოტიის შთავარი ქალაქი, კადმოსის დაარსებული, ოიდიპოსის ქალაქი, რომლის წინააღმდეგ მოეწყო შვიდთა ლაშქრობა; 2. ასკიშკრიანი, სახელგანთქმული ქალაქი ძველ ეგვიპტეში. ნილოსზე; 3. ქალაქი აქაიაში, შედარებით უმნიშვნელო და „უკიშკრო".

თეგეოსი — არკადიის ქალაქ ფსოფიდის მეფე, რომელმაც შეცოდებისაგან განწმინდა ალკინოე და ცოლად მისცა თავისი ასული არსინოე.

თეზევსი — ათენელთა ყველაზე უფრო საყვარელი და გაღმერთებული ეროვნული გმირი. ანტიკურ ხანაში იგი რეალურ პიროვნებადაც მიაჩნდათ და პლუტარქეს მისი ბიოგრაფიაც კი აქვს დაწერილი. თეზევსისა და მისი აურაცხელი საგმირო საქმეების შესახებ ლეგენდების მთელი ციკლია შექმნილი. იგი ტროიძენეს მეფის ასულის ეთრასა და პოსეიდონის ძეა, თუმცა ათენის მეფის ეგეოსის შვილად ითვლება და მისი მემკვიდრეა.

თემიდა — 1. მართლმსაჯულების დამცველი ქალღმერთი, ცალ ხელში მახვილი უპირავს, მეორეში სასწორი. იგი ოლიმპოზე სათათბიროდ კრებდა ღმერთებს, ხოლო დედამიწაზე იწვევდა სახალხო კრებებს. დიდი გმირის პრომეთეს დედა.

• • • თემიდას სასწორი — მართლმსაჯულების სიმბოლო; თემიდას ტაძარი — სასამართლო; თემიდას ქურუმნი — მოსამართლენი.

თემისკირა — მეომარ ქალთა მითიური ტომის — ამორძალების სატახტო ქალაქი, რომელიც ძველ ბერძენთა წარმოდგენით მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ. თერმოდონტის (ახლანდელი თერმე-ჩაი) სანაპიროზე.

თერა — ვულკანური კუნძული კიკლადის არქიპელაგის სამხრეთ ნაწილში. ახლანდელი სანტორინი. მითის თანახმად იგი თავდაპირველად კალისტედ იწოდებოდა (იხ. ევფემე).

თერსიტე — ბერძენთა შორის ყველაზე უფრო უმსგავსი, ბოროტი, თავხედი და უზრდელი გმირი. შეეცადა აგამემნონს, სცემა ოდისევსმა, მოკლა აქილევსმა.

• • • ავი, საძაგელი ადამიანის სინონიმი.

თესალია — ერცელი მხარე შუა საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ოლიმპოდან თერმოპილამდე. მითის თანახმად აპოლონი, აქ თესალიაში, მეფე ადმეტეს სამსახურში განიწმინდა პითონის დაღვრილი სისხლის უწმინდურებისაგან. ძველი ბერძნების წარმოდგენით კიდევ ბევრი სხვა მითია დაკავშირებული ამ ოლქთან.

თესპროტები — ხალხი, რომელიც ცხოვრობდა ეპირში, საბერძნეთის ჩრდილო დასავლეთ მხარეში.

თესპროტი — ეპირის მეფე, რომელთანაც თავი შეაფარა მიკენიდან გამოქცეულმა თიესტემ.

თესტიოსი — არესის, ზოგი ვერსიით აგენორის ვაჟი, ეტოლიის მეფე, სპარტის მეფის ტინდარეს მეუღლის, მშვენიერი ლედას მამა. შვილები მელეაგრემ მოუკლა.

თეტიდა — ზღვის ქალღმერთი (ზოგი ვერსიით — ნიმფა), აქილევსის დედა. თვით ზევსი და პოსეიდონი ითხოვდნენ მის ხელს, მაგრამ მათ უწინასწარმეტყველეს, რომ თეტიდას შვილი მამაზე ძლიერი იქნებაო, და ამიტომ მიათხოვეს მოკვდავ პელევსს, თუმცა არ სურდა გამხდარიყო მისი მეუღლე, ხან გველის სახეს იღებდა, ხან ლომისას, ხან კი წყლად იქცეოდა.

თიესტე — დიდი გმირის პელოპის და ჰიპოდამიას ძე, მიკენის მეფის ატრევსის ძმა, ეგისთეს მამა (იხ. ატრევსი).

თოანტი — კუნძულ ლემნოსის მეფე,

როდესაც კუნძულის ქალებმა მამაკაცები გაჟლიტეს ღალატისათვის, მხოლოდ თოანტი გადაარჩინა მისმა ქალიშვილმა დედოფალმა ჰიპსიპილემ.

თრაკია — ასე ეძახდნენ ძველი ხალხები მაკედონიის, შავ და ეგეოსის ზღვებს შორის გადაჭიმულ ფართო და ძლიერ ქვეყანას. თრაკიელი იყო ორფევსი. თრაკიის ქალაქები იყო აბდერა, ფილიპოპოლი, აპოლონია.

ი

იაპეტი — ტიტანი, ურანოსის და გეას შვილი, ტიტან ოკეანის მამა, ქალღმერთ თემიდასთან ჰყავდა შვილები დიდი გმირი პრომეთე, ატლანტი და ეპიმეთე. მისი სახელი ეწოდა სატურნის მთვარეს. ეტყობა გვიან კაცობრიობის ეს წარმართი მამამთავარი ბიბლიურ იაფეტად იქცა, ზოგი მკვლევარი მათ უმართებულოდ აიგივებს (ველკერი, ბუტმანი).

იაკინთე — სპარტის მშვენიერი ახალგაზრდა მეფე, ღმერთ აპოლონის მეგობარი. შემთხვევით მოხვდა აპოლონის მიერ გატყორცნილი ბადრო. დამწუხრებულმა ღმერთმა მშვენიერ ყვავილად ჰიაკინთად — სუმბულად აქცია. მის სამარეზე იმართებოდა დღესასწაულები ჰიაკინთიები. სუმბულის ყვავილის ფურცლებზე ბერძნები ხედავდნენ წარწერას: აი-აი! (ვაი-ვაი!) მისი სახელი ეწოდება იაგუნდის ქვასაც.

იასონი, იაზონი — ბერძენთა დიდი გმირი, არგონავტების ლაშქრობის ხელმძღვანელი, იოლკოსის მეფის ესონისა და პოლიმედეს ვაჟი. იოლკის ტახტის კანონიერი მემკვიდრე. იზრდებოდა მთებში ბრძენ კენტავრ ქირონთან. დავიჟეაცებულმა მოსთხოვა ბიძას პელიასს მის მიერ მიტაცებული ტახტი. პელიასმა იმ იმედით, რომ გმირი დაიღუპებოდა, შორეულ კოლხეთში გაგზავნა ოქროს საწმისის ჩამოსატანად. იასონმა შეკრიბა საბერძნეთის უდიდესი გმირები და მოაწყო არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში, საიდანაც ბევრი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, კოლხეთის მეფის აიეტის ასულის მედეას დახმარებით გამარჯვებული დაბრუნდა. მაგრამ ტახტი მაინც ვერ მიიღო, დაკარგა ყოველივე. მის მიერ მიტოვებულმა მედეამ მასზე შური იძია, მოუკლა საცოლე და შვილები, და ბოლოს ეს დიდი გმირი საკუთარი გემის „არგოს“ კიჩოში ჩაიმარხა.

იდა — მთა ფრიგიაში (მცირე აზიაში); 2. მთა კრეტაზე.

იდასი — მესენეს მეფის აფარეესის ვაჟი, ლინკეესის ძმა, სწორუპოვარი მოკრივე, რომლის შიშითაც თვით დიოსკურები მუხის ფუღუროში დაიმალნენ. შუბით მოკლა ერთ-ერთი დიოსკური კასტორი, მეორემ პოლიდეევკემ კი ძმა — ლინკეესი მოუკლა. იდასი შეება პოლიდეევკეს, მაგრამ ზეუსმა ელვით განგმირა (იხ. აფარიდები).

იდეა — ზეუსის გამზრდელი ნიმფა (ადრასტეასთან ერთად).

ითაკა — ოდისეუსის სამშობლო კუნძული.

იკარის ზღვა — ეგეოსის ზღვის სამხრეთ ნაწილში. მითის თანახმად ეს სახელი ეწოდა მის ტალღებში დაღუპული, ათენელი მხატვრის დედალოსის შვილის იკაროსის პატივსაცემად

იკარიოსი — 1. ატიკის მცხოვრები, სტუმართმოყვარეობისათვის ღმერთმა დიონისემ ყურძნის ლერწი აჩუქა. მან პირველმა გააშენა ატიკაში ვენახი. იგი ამ ძვირფასი საჩუქრის მსხვერპლი გახდა. დიონისემ სიკვდილის შემდეგ თანავარსკვლავედთა შორის მოათავსა (იხ. ერიგონე); 2. ტინდარეს და ჰიპოკოონის ძმა, პენელოპეს მამა.

იკაროსი — 1. განთქმული ათენელი ხელოვანის დედალოსის ვაჟი, რომელიც

ზღვის ტალღებში დაიღუპა (იხ. დედალოსი); 2. კუნძული მცირე აზიის სანაპიროსთან.

• • • იკაროსის გაფრენა — თამამი, მაგრამ ამაო, საბედისწერო ნაბიჯი.

ილირია — ასე ეძახდნენ ბერძნები და რომაელები ადრიატიკის ზღვის სანაპირო მხარეს (საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთის). შორეული მხარე სადაც მითის მიხედვით თავისი სიცოცხლე დაასრულა თებეს დამაარსებელმა კადმოსმა.

ილოსი — 1. ტროას ძლევამოსილი მეფე; 2. დარდანის ვაჟი; 3. ტროსის და კალიროეს შვილი, ლაომედონის მამა, განიმედის ძმა, ილიონის დამაარსებელი.

იმარადი — თრაკიის მეფის ევმოპლეს ძე, რომელიც ელევსინის მეფეს ეხმარებოდა ათენის წინააღმდეგ ომში, დაეცა ერეხთეუსთან ორთაბრძოლაში.

ინაქე — 1. ოკეანის და თეტიდას ძე, იოს მამა, არგოსის დამაარსებელი და მისი პირველი მეფე, რომელმაც წარღვნის შემდეგ ხალხი ველზე გაიყვანა და ააშენა სიმაგრე, პოსეიდონის და ჰერას დავაში კეფისი ჰერას მიაკუთვნა. განრისხებულმა პოსეიდონმა მდინარე დააშრო (არგოლიდის გვალვის ახსნა). ზეუსს მოსთხოვა შეეწყვიტა მისი ასულის იოს დევნა. ზეუსმა ერინია შეუჩინა, და გმირმა თავი დაიღრჩო მდინარეში, რომელსაც მისი სახელი ეწოდა; 2. მდინარე არგოლიდაში.

ინო — თებეს მეფის კადმოსისა და ჰარმონიას ასული, ქ. ორქომენის მეფის ათამანტეს მეუღლე, ლეარქესა და მელიკერტეს დედა, დასაღუპად გაიმეტა თავისი გერები ფრიქსე და ჰელე. ინოსა და ათამანტეს ზეუსმა გასაზრდელად მიაბარა თავისი ვაჟი დიონისე, რომელიც შვა ინოს დამ სემელემ. ამით განრისხებულმა ჰერამ ათამანტეს გონება წაართვა, მან მოკლა ლეარქე, ხოლო სასოწარკვეთილი ინო თავისი მეორე ვაჟით ზღვაში გადაეშვა, სადაც ნიმფებმა მიიღეს და ზღვის ღვთაებებად აქციეს. ინო იქცა ზღვის ქალღმერთად ლევკოთეად („თეთრი ქალღმერთი"), ხოლო მელიკერტე—ღმერთ პალემონად. ლევკოთეა ქარიშხლის დროს მფარველობს მეზღვაურებს. მაგალითად ოდისევსს რიდე გადაუგდო და გადაარჩინა.

ლევკოთეა (კეთისოდოტის ქანდაკება).

იო — არგოსის დამაარსებლისა და მისი პირველი მეფის ინაქეს მშვენიერი ასული, ზეუსის სატრფო, რომელიც ზეუსმა ძროხად აქცია, რათა ჰერასაგან დაეფარა, მაგრამ ამით უფრო გაუმწარა ქალს სიცოცხლე. ბევრი ტანჯვის შემდეგ მიაღწია ეგვიპტეს, სადაც ზეუსმა ქალის სახე დაუბრუნა და შეეძინა შვილი ეპაფი გმირთა უდიდესი თაობის მამამთავარი.

მითის თანახმად იონიის ზღვას მისი სახელი ეწოდა.

იობატე — ლიკიის მეფე, ტირინთოს მეფის პროიტეს მეუღლის ანტეიას მამა (იხ. ბელეროფონტი).

იოკასტე — მენეკევსის ასული, თებეს მეფის ლაიოსის მეუღლე, ოიდიპოსის დედა, რომელიც ბედისწერის თანახმად მისი მეუღლე და მისი ოთხი შვილის დედა გახდა, როცა გაიგო, რომ მისი მეუღლე ოიდიპოსი მისი შვილია, თავი მოიკლა.

იოლე — ექალიის მეფე ეურიტეს ასული, რომელიც ჰერაკლემ ბრძოლით მოიპოვა, მაგრამ მისმა მამამ ეურიტემ დაარღვია პირობა და ასული არ მიათხოვა გმირს. ჰერაკლემ უფრო მოგვიანებით ექალია დალაშქრა, მოკლა ეურიტე, იოლე კი ტყვედ წამოიყვანა. ჰერაკლემ სიკვდილის წინ თავის შვილს ჰილეს პირობა ჩამოართვა, რომ იოლეს შეირთავდა.

იოლაოსი — გმირი, ჰერაკლეს ძმის იფიკლეს შვილი, იგი ჰერაკლეს დიდი მეგობარი იყო. ახლდა ლერნეს ჰიდრასთან შესაბმელად მიმავალ გმირს. მანვე შეიკვდლა ევრისთევსის მიერ დევნილი ჰერაკლიდები, ბოლოს კი შური იძია მეგობრის მტერზე— ევრისთევსზე.

იოლკოსი — ერთ-ერთი უძველესი ქალაქი თესალიაში (იხ. იასონი).

იონია — ასე ეძახდნენ ძველად მხარეს, რომელიც მოიცავდა თორმეტი იონიური ქალაქის (ქიოსი, თეოსი, კოლოფონი და სხვ.) პოლიტიკურ კავშირს. აქ მცხოვრები ტომის სახელი მიიღო იონიის ზღვამ.

ირიდა — ცისარტყელას ქალღმერთი, ოკეანიდ ელექტრასა და თაუმანტეს ასული, ჰარპიების და, ღმერთთა ოქროსფრთიანი შიკრიკი, სიტყვის სისწრაფით რომ დაჰქრის ცასა და მიწას შუა. მხოლოდ მაუწყებელია, ჰერას რჩეული შიკრიკია. მისი ზედწოდებაა — „ქრიზოპტეროსი" — ოქროსფრთიანი; ცისარტყელა.

ისთმოსი — ხმელეთის ვიწრო ზოლი, ზღვის გამყოფი ვიწრო ყელი (უფრო ცნობილია კორინთოს ისთმოსი — პელოპონესის და დანარჩენი საბერძნეთის შემაერთებელი). აქ მელიკერტეს პატივსაცემად ყოველ ორ წელიწადში იმართებოდა ისთმოს ასპარეზობა — დიდი შეჯიბრი ბადროს ტყორცნაში, ჯირითში, ჭიდაობაში. დააწესა თეზევსმა.

ისმენე — ოიდიპოსის და იოკასტეს კეთილი ასული, ანტიგონეს და.

ისტროსი — ასე ეძახდნენ ძველად დუნაის ქვემო წელს, მერე — მთელს დუნაის. იასონის „არგო" ისტროსის გზით ადრიატიკის ზღვაში ცხადია ვერ მოხვდებოდა, თუ გემს ზურგით არ გადაიტანდნენ. მითში აისახა იმ დროის ბერძენთა არასწორი წარმოდგენა ჯერაც უცნობ ქვეყნებზე.

იტალია — ასე ეძახდნენ ბერძნები თავდაპირველად ნახევარკუნძულის მხოლოდ უკიდურეს სამხრეთს, მერე ამ სახელით ცნობილი ადგილის საზღვარი ჩრდილოეთისაკენ წასწიეს, რომაელებმა კი მთელ აპენინის ნახევარკუნძულს იტალია უწოდეს. ნახევარკუნძულზე მოუხდა გავლა ჰერაკლეს როცა გერიონის ძროხებს მიერეკებოდა ევრისთევსთან.

იფიგენია — არგოსის მეფის აგამემნონის და კლიტემნესტრას ასული, ორესტეს და ელექტრას უფროსი და, ტავრის ტაძრის ქურუმი ქალი. ტროადის გზაზე მამამისმა არტემიდეს ირემი მოკლა. განრისხებულმა არტემიდემ სანაცვლოდ ასულის შეწირვა ითხოვა. გადამწყვეტ წამს ქალღმერთმა ქალიშვილი შველით შეცვალა. იფიგენია კი ტავრიდში (ყირიმში) ჩაიყვანა და გახდა მისი ტაძრის ქურუმი. აქ სამსხვერპლოდ მიყვანილი ორესტე შეიცნო და ძმა და მისი მეგობარი პილადე იხსნა სიკვდილისაგან, შემდეგ მათთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა.

იფიკლე — 1. ალკმენეს და ამფიტრიონის ძე, ჰერაკლეს ტყუპი ძმა, მის საგმირო საქმეთა და კალიდონის ნადირობის მონაწილე, დაეცა ჰიპოკოონტიდებთან ბრძოლაში; 2. პოდარკეს მამა, საქონლით მდიდარი, ფეხმარდი გმირი, მას შეეძლო ზღვის ზედაპირზე სირბილი. იოლკოსის მეფის პელიასის პატივსაცემად შვილის ადრასტეს მიერ მოწყობილ ასპარეზობაში სირბილში პირველი ადგილი დაისაკუთრა.

იფისი — 1 არგოსის მეფე, ალექტორის ძე, გმირ ეტეოკლეს და ევადნეს მამა. ეტეოკლე ბრძოლაში დაიღუპა, ევადნემ კი თავი დაიწვა თავისი ქმრის, გმირ კაპანევსის გვამთან.

იფიტე — 1. ქ. ექალიის მეფის ევრიტეს ძე, იოლეს ძმა, ექალიელი არგონავტი, სიგიეის მოვლის დროს ჰერაკლემ მოკლა. ოდისევსმა მისი ნაჩუქარი მშვილდით გაწყვიტა სასიძოები; 2. ტროელი არქეპტოლემეს მამა; 3. კვიპროსელი ჯაბუკი. ანაქსარეტე უყვარდა, ქალმა არ თანაუგრძნო, ვაჟმა მის კარზე ჩამოიხრჩო თავი, გულციელი ანაქსარეტე აფროდიტემ ქვად აქცია.

კ

კადმეა — შვიდკიბოკრიანი თებეს თავდაპირველი სახელი (იხ. კადმოსი).

კადმოსი — ძველი ბეოტიელი გმირი, სიდონთა მეფე აგენორის, ზოგი ვერსიით ფენიქსის შვილი. ევროპის, ფოინიქსესა და კილიქსეს ძმა. მან ააგო ქალაქი, რომელსაც კადმეა უწოდა, ხოლო მოგვიანებით კადმეაზე შეიქმნა თებეს ციხე-სიმაგრე და ქალაქსაც თებე ეწოდა. მითში კადმოსის შესახებ გვხვდება ტოტემიზმის ნიშნები: დრაკონის კბილებიდან მებრძოლთა ამოსვლა და კადმოსის ქცევა გველად.

კადუცეუმი — შიკრიკის კვერთხი, საკუთრივ ჰერმესის კვერთხი: დაფნის ფრთოსანი ჯოხი, რომელზედაც ორი გველია დახვეული.

კავკასიონი — უძველესი დროიდან დღემდე ამ სახელწოდებითაა ცნობილი დიდი თოვლიან-ყინულიანი ქედი, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთიდან ეკვრის და გაქიმულია ევქსინის პონტოსა (შავ ზღვასა) და კასპიის ზღვას შორის. ძველი ხალხები იცნობდნენ ორ გადასასვლელს: ალბანისა და სარმატის ჭიშკრებს. მითის თანახმად ამ კლდეზე იყო მიჯაჭვული საბერძნეთის უდიდესი გმირი პრომეთე. სიტყვა „კაკასოს“ პირველად იხმარა ესქილემ „მიჯაჭვულ პრომეთეში“.

კალაისი — ბორეასის ვაჟი, ძეტეს ძმა (იხ. ბორეადები).

კალიდონი — ძველი ქალაქი ეტოლიაში, გმირ კადმოსის დაარსებული, განთქმული თავისი კრემლითა და განსაკუთრებით — ველური ტახით, რომელზედაც ნადირობამ ეს კუთხე საანდაზოდ აქცია (იხ. მელეაგრე).

კალიოპე („ტკბილხმოვანი“) — ეპიური პოეზიის მუზა, „უწარჩინებულესი“ (ჰეს.).

კალიროე („მომხიბლავად მდინარი წყალი“) — მდინარის ნიმფა (ზოგი ვერსიით ოკეანის და მდინარის ღმერთ აქელოეს ასული), ანგარიშს უწევს თვით ზეუსი. აქელოემ ალკმენს მიათხოვა მეორე ცოლად, რომელთანაც შეეძინა აკარნანე და ამფოტერი — ერთ ღამეში დავაქაცებული გმირები. მათ დედის დავალებით შური იძიეს მამამისის მკვლელებზე.

კალისტე — მიწის ბელტისაგან შექმნილი კუნძული, რომელსაც მოგვიანებით თერა ეწოდა (იხ. თერა).

კაპანევსი — გმირი, ჰიპონიოსის ბუმბერაზი ვაჟი, თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშ-

ქრობის მონაწილე. ზევსმა კადნიერებისათვის მეხით განგმირა.

კასანდრა — ტროას მეფის პრიამეს და ჰეკაბეს მშვენიერი ასული, ტროის დაცემის შემდეგ აგამემნონმა მხეცლად წაიყვანა და მისმა ცოლმა, მოღალატე კლიტემნესტრამ მასთან ერთად მოკლა. კასანდრა დაჯილდოებული იყო მისნობის ნიჭით, რომელიც აპოლონმა მისცა. მაგრამ როცა ღმერთის ნებას არ დაჰყვა, იმით დაისაჯა, რომ არავინ უჯერებდა, რაც ტროელებს ძვირად დაუჯდათ (იხ. გადმოცემა ხის ცხენზე).

კასიოპე — ეთიოპიის დედოფალი, ანდრომედეს დედა, კეფევსის მეუღლე.

კასტორი — ერთ-ერთი დიოსკური (იხ. დიოსკურები).

კეიკოსი — 1. თესალიის ქ. ტრაქინეს მეფე, ჰერაკლეს მეგობარი, მან თავშესაფარი მისცა ჰერაკლეს ცოლ-შვილს, როცა გნირი იფიტეს მოკვლისათვის მონად გაპყიდეს; 2. ჰეფესტოსა და ნიმფას ვაჟი. ალკინოეს მეუღლე, ცოლ-ქმარი იმდენად ბედნიერად თვლიდნენ თავს, რომ ჰერასა და ზევსს ეტოლებოდნენ. ღმერთებმა ალკუნად (ქადრად) აქციეს. სხვა ვერსიით: კეიკოსი ზღვაში მოგზაურობიდან არ დაბრუნდა, ცოლი ალკუნად იქცა.

კეკროპი, კეკროპსი — ატიკის უძველესი ღვთაება, დედამიწის ქალღმერთ გეას გველისფეხა შვილი, ათენის პირველი ლეგენდარული მეფე. მისი სახელის მიხედვით ათენელები თავიანთ თავს კეკროპიდებს ეძახდნენ. მას მიაწერდნენ ათენის აკროპოლისის დაარსებას. ზოგი ერეხთეუსის შვილად თვლიდა, ზოგი კი წინაპრად.

კელეოსი—ელევსინის მეფე, მეტანეირას ქმარი, რომელსაც სასახლეში მოხუცი დედაკაცის სახით ესტუმრა ასულის დაკარგვით დამწუხრებული დემეტრე, პერსეფონეს დედა.

კენტავრი (ლათ. ცენტავრი, „ხარებზე მონადირენი")—ცხენკაცები, ადამიანთა თავმკერდითა და ცხენის ტანით, ძლიერნი, მეომარნი, მოისარნი, ტლანქნი, ავხორცნი და ღვინის მოყვარულნი (იხ. ლაპითები). მხოლოდ ბრძენი ქირონი გამოირჩეოდა, აგრეთვე კეთილი ფოლოსი. მითის წარმოშობას ხსნიან თესალიელთა ერთ-ერთი ტომის ცხენოსნობით.

კენტავრი და ეროსი (ლუვრის მუზეუმი).

კეოსი — კუნძული ეგეოსის ზღვაში (კიკლადის არქიპელაგში). ამ კუნძულთანაა დაკავშირებული მშვენიერი მითი კვიპროსის შესახებ.

კერბერი — ჯოჯოხეთის სამთავიანი ძაღლი, ტითონის და ექიდნას ნაშიერი, ზოგი ვერსიით 50 თავიანი. ჰადესის კარებს დარაჯობს. ჰერაკლემ შებოჭა და ევრისთევსს მიჰგვარა (ჰერაკლეს მეთერთმეტე გმირობა).

• • • ფხიზელი, სასტიკი დარაჯი (იხ. არგუსი); ავი ძაღლი.

კერები (განადგურება) — ღამის ნაშიერი კლანჭებიანი და ეშვებიანი ავსულები, ქვესკნელის საზარელი ღვთაებანი, ყოველი უბედურების მიზეზნი. სდევენ ჰექტორსა და აქილევსს.

კერინე — მხარე არკადიასა და აქაიას შორის. მითის თანახმად ამ მხარეში ბინადრობდა ქალღმერთ არტემიდეს მშვენიერი ფურ-ირემი, რომელიც ჰერაკლემ ევრისთევსს მიჰგვარა (მეოთხე გმირობა).

კერკიონი — ელევსინელი ბუმბერაზი, მოკლა თეზევსმა ათენისაკენ მიმავალ გზაზე.

კერკოპები — მაიმუნების მსგავსი ჯუჯები, რომელთაც ჰერაკლე აცინეს და ამით იხსნეს თავი, როცა გმირმა შეიპყრო და შეთოკა.

კეფალე — ჰერმესისა და კეკროპის ასულ ქერსეს ეაკი (სხვა ვერსიით ფოკიდის მეფე დეიონევსის, ეოლოსის ძის შვილი). ცოლად ჰყავდა მეფე ერეხთევსის ასული პროკრიდე. მშვენიერი ჯაბუკი და შეუდარებელი მონადირე განთიადის ქალღმერთმა ეოსმა შეიყვარა და გაიტაცა. ეყოლათ ვაკი ფაეთონი. როდესაც დაბრუნდა, სახეშეცვლილმა სიტყვით და საჩუქრებით შეძლო საკუთარი ცოლის მოხიბლვა. შეურაცხყოფილი ქალი გაიქცა, არტემიდეს მხლებელი გახდა, შემდეგ ქმარს შეურიგდა და აჩუქა ქალღმერთის ნაჩუქარი აუცდენელი შუბი და ძაღლი. სწორედ ამ შუბის მსხვერპლი გახდა. პროკრიდე იქცა მთვარედ, რომელიც მეუღლეს ხან დაემალება, ხან გამოეცხადება. კეფალეს არეოპაგმა მარადიული განდევნილობა მიუსაჯა. გმირი თებეში გადავიდა, ჯადოსნური ძაღლის შემწეობით განდევნა ტევმესის მელა, მონაწილეობა მიიღო ამფიტრიონის ლაშქრობაში ტელებოელთა წინააღმდეგ, საჩუქრად მიიღო კუნ. ტაფოსი, რომელსაც კ ე ფ ა ლ ე ნ ი ეწოდა. ბოლოს ლევკატის კონცხიდან გადაეშვა ზღვაში. ეოსის მიერ ამ გმირის გატაცებით ხსნიდნენ ბერძნები განთიადზე ეარსკვლავთა გაქრობას. ოდისევსის პაპა არკოსი კეფალეს და ძუ დათვის შვილად ითვლებოდა.

კეფევსი — 1. ეთიოპიის მეფე, ანდრომედეს მამა; 2. ლიკურგეს ვაკი, ანკეოსის ძმა, კალიდონის ნადირობის ერთ-ერთი გმირი; 3. ალეოსის შვილი, ქალაქ ტეგეის და მთელი არკადიის მეფე, არგონავტების ლაშქრობის მონაწილე, ოკი ვაკის მამა.

კეფისი — 1. მდინარე ფოკიდასა და ბეოტიაში. პარნასის მთის კალთებიდან მოედინება და კოპაისის ტბას ერთვის; 2. მდინარე ატიკაში, ათენის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ერთვის ფალერონის ყურეს; 3. მდინარე არგოლიდაში, ერთვის მდ. ინაქეს.

კვიპაროსი — 1. ტელეფოსის ვაკი, მშვენიერი ჯაბუკი, აპოლონის მეგობარი. უცაბედად მოკლა საყვარელი ირემი. დარდისაგან დამდნარი აპოლონმა მარადმწვანე კვიპაროსად აქცია, რომელიც ბერძენთათვის დარდის გამომხატველი სიმბოლოა; 2. მინიასის შვილი.

კვიპროსი — დიდი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, კრეტის აღმოსავლეთით, კილიკიისა და სირიის სანაპიროებთან, აფროდიტეს წმინდა კუნძული, სიმდიდრითა და კეთილისმყოფელი ჰავით ცნობილი. აქ იყო სპილენძის საბადოები (აქედან სპილენძის ლათინური სახელწოდება — კუპრუმი).

კიბელა (ბერძენთა რეა), — ფრიგიული ღვთაება, „დიდი დედა", ღმერთების დედა, მშობელი ყოველი იმისა რაც ცოცხლობს და იფურჩქნება. ეტლში ლომები და ავაზები შეუბამს და დააქროლებს მთად და ბარად.

კიზიკოსი — კუნძული, მთა და მილეტელთა კოლონია მარმარილოს ზღვაში (პროპონტიდში) ამჟამად გადათხრილია ვიწრო ყელი, რითაც მცირე აზიას უერთდებოდა. მითის თანახმად არგონავტები ამ კუნძულზე ეწვიენ მეფე კიზიკოსს, რომელმაც ისინი დიდი პატივით მიიღო.

კითარა — ოქროსსიმებიანი საკრავი, ღმერთ აპოლონის განუყრელი თანამგზავრი, აქედან მიიღო მან ზედწოდება კითარედი (კითარაზე დამკვრელი).

კითერე — არგოსის, მერე სპარტის კუთვნილი ძველი კუნძული (კერიგო), რომლის ნაპირებთან ზღვის ტალღების თოვლისფერი ქაფიდან იშვა აფროდიტე.

კითერონი — მთა და საზღვარი ატიკასა და ბეოტიას შორის, კორინთოს ყელის ჩრდილოეთით, ცნობილი გამოქვაბულებით, რომლებშიც ცხოვრობდნენ ნიმფები; 2. პლატეის მითიური მეფე, რომლის სახელიც ეწოდა ამ მთას.

კიკლოპები (მრგვალთვალანი) — 1. ურანოსის და გეას შვილები, ძალუმი ბუმბერაზები: ბრონტესი, სტეროპესი და არგესი. მიწის წიაღში ზევსს ელვის ისრებს უკედენ; 2. მიწიერი, ცალთვალა, ტლანქი, კაციჭამია ბუმბერაზების ტომი, რომლის ნიმუშია პოლიფემე, პოსეიდონის შვილი, რომელსაც ოდისევსმა ერთადერთი თვალი ამოსთხარა.

კიკნოსი (გედი) — მზე-ჰელიოსის ძის ფაეთონის მეგობარი, რომელიც უსაზღვრო კაეშანმა მოიცვა მეგობრის დაღუპვის გამო. ღმერთებმა ეს რომ ნახეს თეთრ გედად აქციეს; 2. აპოლონის მშვენიერი ვაჟი, მონადირე, ტბაში გადავარდა და მამამ გედად აქცია; 3. კოლონოს მეფე, პოსეიდონის შვილი, რომელიც გედმა გაზარდა. ლაომედონის ასული პროკლეა შვირთო, ეყოლა ტენესი და ჰემითეა; 4. პოსეიდონის შვილი (ზოგი ურევს წინა სახესთან), მეფე, ტროელთა მოკავშირე, აქილევსმა დაახრჩო, გვამი გედად იქცა; 5. სთენელოსის შვილი, ლიგურიელთა მეფე, აგრეთვე გედად ქცეული; 6. არესის ძე, ძარცვავდა და ხოცავდა თესალიაში მოხვედრილ ზღვაოსნებს. აპოლონის დაეალებით მოკლა ჰერაკლემ.

კილიკია — მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, კვიპროსის პირდაპირ, კაბადოკიისა და ლიკიის სამხრეთით მდებარე ძველი მხარე, მითებში ლაპარაკია კილიკიელ ავაზაკებზე, ზღვის მეკობრეებზე, რომელთაც განუთქვეს სახელი ამ მხარეს.

კილიქსი — სიდონის მეფე აგენორის ვაჟი, რომელმაც დააარსა საკუთარი სამეფო კილიკია (იხ. კილიკია).

კინთოსი — მთა დელოსზე. მითის თანახმად აქ შვა ლეტომ აპოლონი და არტემიდე.

კიოსი — მილეტელთა კოლონია მარმარილოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მითის თანახმად არგონავტ პოლიფემის მიერ ხალიბების ქვეყანაში დაარსებული სახელგანთქმული ქალაქი (ახლა ქალაქი გიო ან გემლიკი).

კირკე — ცნობილი კუნძულელი ჯადოქარი, ჰელიოსის ასული, კოლხეთის მეფის აიეტის და, ზოგი მის ასულად თვლის, დაღვრილი სისხლის სიბილწისაგან განწმინდა მედეა და იასონი. მოაჯადოვა ოდისევსი, რომელსაც აჩუქა შვილი ტელეგონე, თანამგზავრები კი ღორებად უქცია.

კლეოპატრე — 1. გმირ მელეაგრეს მეუღლე, მხოლოდ მან შეძლო გმირის დაყოლიება, რომ ეხსნა მშობლიური ქალაქი კალიდონი; 2. ბორეადების და, ფინეუსის მეუღლე.

კლიმენე — 1. ოკეანის და თეტიდას ასული. მზე-ჰელიოსთან ჰყავდა ვაჟი ფაეთონი; 2. იაპეტის მეუღლე, ეპიმეთეს და პრომეთეს დედა. ზოგი ვერსიით პრომეთეს ცოლი, ელინის და დევკალიონის დედა; 3. ნერევსის ასული; 4. მინიასის ასული, იასონის დედა; 5. ელენეს მხევალი, ტროაში რომ გაჰყვა; 6. ჰომეროსის დედა.

კლიო — ისტორიის და საგმირო ეპოსის მუზა.

კლიტემნესტრა — სპარტის მეფე ტინდარევსისა და მშვენიერი ლედას ასული,

აგამემნონის მეუღლე. ტროას ომიდან დიდებით დაბრუნებული ქმრის მოკვლისათვის მოკლა შვილმა ორესტემ, მის რჩეულ ეგისთესთან ერთად.

კლიტორსი — 1. ერთ-ერთი გიგანტი, რომელიც პალენეზე ოლიმპოელ ღმერთებს შეება; 2. არგონავტი.

კლოთო („მრთველი") — მოირა, ბედისწერის ქალღმერთი, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ძაფს ართავს (იხ. მოირები).

კოკალე — სიცილიის მეფე, რომელთანაც თავი შეაფარა კრეტიდან გაქცეულმა დედალოსმა (იხ. დედალოსი).

კოლონო — დაბა ათენიდან შვიდ კილომეტრზე, სადაც ევმენიდებისადმი მიძღვნილ ჭალაში აღსასრული პპოვა ოიდიპოსმა.

კოლხეთი — ძველი საქართველო (დაახ. ახლანდელი იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა), ამ ქვეყნის უძველესი სახელწოდებაა აია. ბერძნებისათვის ეს იყო ფასისით, აბსარით და სხვა მდინარეებით მორწყული, ბაღ-ვენახითა და ოქროთი განთქმული მდიდარი და ძლიერი, უხვი და მშვენიერი ქვეყანა, ამფითეატრიეთ რომ ერტყმოდა ევქსინის პონტოს (შავ ზღვას) აღმოსავლეთიდან, ბერძნებს კოლხეთთან უძველესი დროიდან ჰქონიათ ურთიერთობა, რომლის ძეგლადაც დატოვეს წარმტაცი მითი არგონავტებზე, ოქროს საწმისისათვის მოლაშქრე გმირებზე. კოლხებს ჰეროდოტე ძველ ეგვიპტელთა შთამომავლად თვლის: მათებრ შაეგვრემანები და შაეთმიანები არიანო (11,104). პირველად კოლხებს ახსენებენ ევმელოს კორინთელი, პინდარე და ესქილე. კოლხელთა ტომებად ითვლებოდნენ სანები, მაქელონები, ჰენიოხები, ლაზები და სხვ. ქალაქებიდან ასახელებენ დიოსკურიას, ფასისს და სხვ. მითი არგონავტებზე კოლხეთის ძლიერების უტკბნობი ძეგლია.

კოპრევსი — ევრისთევსის შიკრიკი, პელოპის შვილი.

კორინთო—ძველი დროის განთქმული საგაჭრო ქალაქი ისთმოს ყელზე, დააარსეს დორიელებმა IX საუკ. ძველი წელთაღრიცხვით.

კოსი — კუნძული მცირე აზიის დასავლეთ ნაპირზე (სპორადების ჯგუფში). ამ კუნძულის მცხოვრებლებთან ბრძოლა მოუხდა დიდ გმირ ჰერაკლეს.

კოციტოსი — 1. მდინარე ეპირში, ერთვის აქერუზის ტბას. სწორედ ამ ტბიდან ჩადიოდა ბერძენთა წარმოდგენით ერთ-ერთი გზა ჰადესისაკენ; 2. მიწისქვეშეთის მითიური მდინარე, სტიქსთან და ფლეგეტონთან ერთად ქმნის ქვესკნელის მდინარეთა სისტემას.

კრეონტი — 1. კორინთოს მეფე, ალკმენეს შვილების გამზრდელი, რომელსაც მისდა საბედისწეროდ თავი შეაფარეს იოლკოსიდან განდევნილმა იასონმა და მედეამ. ამ უკანასკნელმა მოწამლა ქალიშვილთან ერთად, რომელიც იასონს უნდა შეერთო; 2. მენეკევსის ძე, ლაიოსის სიკვდილის შემდეგ თებეში გამეფდა და ტახტთან ერთად ქვრივ დედოფალ იოკასტეს ხელსაც შეეპირდა მას, ვინც თებეს სფინქსისაგან იხსნიდა. ეს გააკეთა იოკასტეს შვილმა ოიდიპოსმა, რასაც მოჰყვა ცნობილი ტრაგედიების ჯაჭვი. ოიდიპოსის დაბრმავების შემდეგ კვლავ გამეფდა თებეში, ოიდიპოსის შვილთან — ეტეოკლესთან ერთად. როცა არგოსელმა გმირებმა თებეზე გაილაშქრეს, კრეონტის შვილმა მენეკევსმა ღმერთებს თავი შესწირა, მეორემ — ჰემონმა თავი მოიკლა თავისი საცოლის — ანტიგონეს გვამთან, კრეონტმა კი პოლინიკეს დაკრძალვის აკრძალვით მთელი თავისი მოდგმა დასაღუპავად გასწირა; 3. თებეს მეფე, მისი ასული მეგარა ჰერაკლეს ცოლია (ზოგის აზრით — იგივე იოკასტეს ძმაა).

კრეტა — საბერძნეთის უდიდესი კუნძული (260 კმ. სიგრძისა). ბევრი მითია დაკავშირებული ამ კუნძულთან. მაგალითად მასზე გაიზარდა დედის მიერ გადამალული ყრმა ზევსი, აქ აგებულია ზევსის ოქროს საკურთხეველი და სხვ.

კრეუზა — ათენის მეფის ერეხთეუსის ასული, რომელსაც აპოლონისაგან ჰყავდა შვილი იონი, იონიელთა ტომის მამამთავარი. ხოლო ქსუთოსთან ორი ვაჟი — დოროსი და აქაიოსი—დორიელთა და აქაველთა ცნობილი ტომების მამამთავარნი; 2. ტროის მეფის პრიამეს და ჰეკაბეს ასული, გმირ ენეასის მეუღლე.

კრონიონი (კრონიდი) — ასე ეძახდნენ კრონოსის შვილებს: ზევსს, პოსეიდონსა და ჰადესს.

კრონოსი — ურანოსისა და გეას (ცისა და მიწის) მრისხანე შვილი, უმცროსი ტიტანი, რომელმაც დაამხო მამა და ქვეყნიერების მბრძანებელი გახდა. შვილთა თავისი და რეა და ეყოლა ჰესტია, დემეტრე, ჰერა, ჰადესი, ზევსი, ეშინოდა შვილებსაც არ გაეწირათ ისეთივე ხვედრისათვის, როგორც თვითონ განუმზადა თავის მამას და ახალშობილთ ყლაპავდა, მხოლოდ ზევსი იხსნა რეამ. სიტყვა ქრონოსთან („დრო") სიახლოვეს მისცა დროის ღვთაების გაგება. ერთ-ერთი მითის თანახმად ნეტართა კუნძულზე სახლობს რადამანთესთან ერთად.

კურეტები — რეას ცხრა ნახევრადღმერთი ჰაბუკი, კუნძულ კრეტაზე თან დაჰყვებოდნენ ყმაწვილ ზევსს და ფარზე იარაღის ჟღარუნით ფარავდნენ მის ტირილს, რომ კრონოსს არ გაეგონა და არ ჩაეყლაპა. მერე ზევსმა ელვით განგმირა ყველანი, რადგან პერას წაქეზებით მოსტაცეს ვაჟი ეპაფე, იოსთან რომ ეყოლა. მოგვიანებით კრეტაზე კურეტებს უწოდებდნენ ზევსისა და რეას ქურუმებს.

ლ

ლაბდაკე — თებეს მეფის კადმოსის შვილიშვილი, ლაიოსის მამა.

ლავრიონა — ნიმფა, მშვენიერი ჰაბუკის ნარცისის დედა.

ლაიოსი — თებეს მეფის ლაბლაკეს ძე, მენეკევსის ასულის იოკასტეს მეუღლე, ოიდიპოს მეფის მამა. ლაიოსს აუხდა ბედის განაჩენი — შემთხვევით მოკლა შვილმა ოიდიპოსმა.

ლაკონია — ძველი დროის განთქმული მთიანი მხარე (ლაკედემონი) რომლის დედაქალაქი იყო სპარტა. მეომარი, საქმიანი ლაკედემონელები მოკლედ და სხარტად ლაპარაკობდნენ და ისტორიამ უკედავჰყო ეს ღირსება: ლაკონიური ეწოდა სხარტად მოკრილ სიტყვას.

ლამია — ფანტასტური არსება, ემპუზას მსგავსი ლანდი, ბავშვთა გამტაცებელი და სისხლის მწოველი, ვამპირის მსგავსად: ოდესღაც მშვენიერმა ზევსი მოხიბლა, ეჭვიანმა ჰერამ შვილები მოსტაცა. ლამია დარდისაგან შეიშალა, დამახინჯდა და იწყო ყმაწვილთა დაღუპვა. საბერძნეთში მისი სახელით დღესაც აშინებენ პატარებს.

ლაომედონტი — ილოსის და ეერიდიკეს შვილი, ტროას მეფე, ჰესიონეს მამა. აპოლონი და პოსეიდონი განურისხდნენ და ერთმა ჭირი გამოუგზავნა, მეორემ — ზღვის ურჩხული, რომელსაც მეფის ასული უნდა დაეგლეჯა, მაგრამ ჰერაკლემ იხსნა ასული. მეფემ ჰერაკლეც მოატყუა. გვიან გმირმა ტროა დაუნგრია. ასული კი წაიყვანა.

ლაპითები — მეომარი მითიური ხალხი თესალიაში (იხ. პეირითოე).

ლარისა — ძველი დროის რამდენიმე ქალაქი: თესალიაში, ასირიაში, ტროასთან.

ლატმოსი — მთაგრეხილი კარიაში, ლატმოსის ყურესთან. ცნობილია ენდიმიონის კულტით. ლატმოსის გამოქვაბულში ეშვებოდა მთვარე-სელენე.

ლაქესისი — მოირა, ბედისწერის ქალღმერთი, რომელიც არც კი უყურებს ისე ამოიღებს წილს ადამიანს ბედმა რომ განუჩინა.

ლეარქე — ორქომენის მეფის ათამანტეს და ინოს შვილი, სიგიეის დროს მამის ხელით მოკლული.

ლედა — ეტოლიის მეფის თესტიოს მშვენიერი ასული, სპარტის მეფის ტინდარეოსის მეუღლე, რომელსაც ზევსი გედის სახით მოევლინა. მას ზევსისაგან შეეძინა ქალ-ვაჟი მშვენიერი ელენე და პოლიდევკე, ხოლო ტინდარევსისაგან — კლიტემნესტრე და კასტორი, ზოგი ვერსიით მისი შვილები იშვნენ კვერცხებიდან. ერთი კვერცხიდან გამოვიდა მშვენიერი ელენე, მეორიდან — დიოსკურები.

• • • ლედას კვერცხიდან დაწყება — თავიდან დაწყება (პორაციუსმა თქვა ჰომეროსზე: ლედას კვერცხიდან კი არ იწყებს, ერთბაშად შეეყავართ საქმის შუაგულში).

ლეთა („დავიწყება") — დავიწყების მდინარე, ჰადესის სამეფოში, საიდანაც მიცვალებულნი სვამენ წყალს, რომ ყოველი ამქვეყნიური დაავიწყდეთ.

• • • ლეთას წყალი ხომ არ დაგილევია? — ყველაფერი დაგვიწყებია.

ლემნოსი — კუნძული ეგეოსის ზღვაში, მითოლოგიის მიხედვით, არგონავტების ლაშქრობის დროს მხოლოდ ქალებით იყო დასახლებული.

ლერნე — 1. ქალაქი არგოსის მახლობლად, არგოლიდის უბესთან (პელოპონესში); 2. ჭაობი, სადაც ჰერაკლემ მოკლა ჰიდრა.

ლესბოსი — მთიანი კუნძული ეგეოსის ზღვაში, მიზიის დასავლეთით. ცნობილ მითში ეს კუნძული პოეტური ნისლითაა დაბურული: აქ გაირიყა ორფევსის თავი და ქითარა, ამიტომ გახდა უკვდავ პოეტთა — საფოს და ალკეოსის. სამშობლო.

ლეტო — აპოლონის და არტემიდეს დედა. გიგანტი, ტიტან კეოსის ასული, ზევსის სატრფო. ეჭვიან ჰერას მიერ დევნილმა სახელოვანი ქალ-ვაჟი შვა მცურავ კუნძულზე, რომელიც იმ დროიდან გაჩერდა. ამავე კუნძულზე, რომელსაც დელოსი ეწოდებოდა დამკვიდრდა მისი კულტი.

ლიბია (ლიბის ქვეყანა) — ასე ეძახდნენ ბერძნები ეგვიპტის დასავლეთით გადაშლილ ქვეყანას, სადაც მითის თანახმად მეფობდა 50 დანაიდის მამა დანაოსი.

ლიდია — სახელმწიფო მცირე აზიაში, რომელიც სპარსელებმა გაანადგურეს ძვ. წ. VI საუკუნეში. მრავალი მითია დაკავშირებული ამ ქვეყანასთან.

ლიკაონი — 1. გმირი, პელასგეს შვილი, არკადიის ქალაქ ლიკოსუს მეფე, ჰყავდა მრავალი შვილი, რომელთაც მთელი პელოპონესი ქალაქებით დაამშვენეს. მითი მოგვითხრობს, რომ მან ერთ-ერთი ვაჟი დაკლა და გამოსაცდელად ღმერთებს მიართვა. განრისხებულმა ზევსმა მგლად აქცია, მთელი მისი სასახლე და სახლობა მეხით გადაბუგა, მხოლოდ ერთი შვილი დაუტოვა; 2. ლიკიელთა წინამძღოლი, აპოლონის მეგობრის პინდაროსის მამა.

ლიკეიონი — მთა არკადიაში, მესენის საზღვართან (პელოპონესში).

ლიკია — ქვეყანა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით (იხ. ლიკოსი).

ლიკომედე — კუნძულ სკიროსის მეფე, მის ქალიშვილებს შორის იზრდებოდა აქილევსი, მის ასულ დეიდამიასთან აქილევსს ეყოლა ნეოპტოლემე. ცნობილია იმითაც, რომ მოკლა გმირი თეზევსი, რომელიც ათენში მომხდარმა არეულობამ აიძულა თავი ამ კუნძულისათვის შეეფარებინა, რადგან იქაც სამფლობელოები ჰქონდა.

ლიკოსი — 1. მეფე პანდიონის შვილი, ათენიდან განდევნა ძმამ ეგეოსმა, წავიდა მცირე აზიაში და დააარსა ქვეყანა, რომელსაც მისი სახელი—ლიკია ეწოდა. გადაიტანა მისტერიები ელევსინიდან მესენიაში. მისივე სახელი ეწოდა ათენის ლიკეის (ლიცეის); 2. პოსეიდონისა და პლეადა

პელენოს შვილი, ერთხანს მართავდა თებეს ჯერ ლაბდაკეს, მერე ლაიოსის მაგიერ. მოკლეს ძმებმა ამფიონმა და ზეტესმა; 3. თებეს ტირანი, პოსეიდონის შვილი.

ლიკურგე — 1. თრაკიელ ედონთა მეფე, დიონისეს მტერი, დრიასის შვილი. ამალა გაუფანტა დიონისეს, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. ღმერთებმა შეიძულეს, ზევსმა დააბრმავა და სიცოცხლე მოუსწრაფა. გვიანდელი თქმულებით, ღმერთებმა თრაკიის მიწა მწირად აქციეს, ლიკურგე კი გააგიჟეს, საკუთარი შვილი დრიასი ვაზის ლერწად მოაჩვენეს და ნაჯახით მოაკლევინეს (ზოგი თქმულებით, ცოლ-შვილი მოკლა, მერე თვითონ მოიკრა ფეხი, რადგან ვაზად ეჩვენა). შვილის მკვლელი მეფე ხალხმა განდევნა პანგეონის მთაზე, სადაც დიონისეს ცხენებმა თუ ავაზებმა დაგლიჯეს. ამ მითში ხალხმა ასახა ის წინააღმდეგობა, რასაც დიონისეს კულტი შეხვდა; 2. ალკოსის და ნეაირას ვაჟი, კეფეუსის ძმა, ანკეოსის მამა, არკადიის მეფე, მოკლა ბეოტიის მეფე გმირი არეითოოსი, კომბლისმტყორცნელად ცნობილი უძლეველი ვაჟკაცი, და აართვა იარაღი, რაც გვიან ნესტორმა მოიპოვა; 3. სპარტელი კანონმდებელი (ისტორიული პირი) და სხვ.

ლინკევსი — 1. ეგვიპტოსის ძე, დანაიდ ჰიპერმნესტრას ქმარი, მხოლოდ იგი გადაურჩა დაღუპვას როცა დანაიდებმა ქმრები დახოცეს, რადგან მეუღლემ არ გაიმეტა სასიკვდილოდ; 2. მესენის მეფის აფარევსის ძე, გმირი, იდასის ძმა (იხ. აფარიდები). მახვილი თვალით მიწის გულში სწვდებოდა. ძმასთან ერთად მონაწილეობდა კალიდონის ნადირობასა და არგონავტების ლაშქრობაში.

ლინოსი — მითიური თებელი მგოსანი, აპოლონის და კალიოპეს შვილი, ორფეევსის მასწავლებელი. სხვა ვერსიით ორფეევსის ძმა, ჰერაკლეს მასწავლებელი, რომელიც გმირმა შემთხვევით მოკლა.

ლინქე (ფოცხვერი) — სკვითების მითიური მეფე, რომელიც დემეტრემ ფოცხვერად აქცია.

ლისიანასა — 1. ნერეევსის ასული; 2. ეპაფის ასული, რომელსაც პოსეიდონისაგან ეყოლა ბუსირისი, ეგვიპტის მეფე; 3. პოლიბოსის ასული.

ლირა — პოეზიისა და მუსიკის სიმბოლოდ ქცეული სიმებიანი საკრავი, რომლის გამოგონებასა და სრულყოფას მიაწერდნენ აპოლონს, ჰერმესს, ათენას, პანს და ა. შ., უფრო კი ჰერმესს. ცნობილი იყო სამ-, შვიდ- და რვასიმიანი ლირა (აქედან ლირიკა)

ლიქასი — დეიანირას შიკრიკი, ჰერაკლესთან რომ წაიღო ნესოსის სისხლით გაჟღენთილი მოსასხამი, სასიკვდილო შხამით გათანგულმა გმირმა უდანაშაულო ლიქასი კლდეს მიანარცხა.

მ

მაია („დედა") — ჰერმესის დედა, ზევსის ერთ-ერთი მეუღლე, ატლანტის და პლეიონეს ასული, პლეადის უფროსი და, მთის ნიმფა. იტალიელებმა რომაელთა ქალღმერთ მაიასთან გააიგივეს, ვულკანის მეუღლესთან, მიწის ნაყოფის ქალღმერთთან. რომში მისი დღესასწაული 1 მაისს იმართებოდა.

მაკარია (ნეტარება, ნეტარი მხარე, ველი) — 1. ჰერაკლეს ასული, რომელმაც ნებით მიიტანა თავი ღმერთების სამსხვერპლოზე, რათა და-ძმები გადაერჩინა. მისი სახელი ეწოდა მდინარეს, რომელიც ატიკაში მიედინება; 2. ქალაქი არკადიაში; 3. ადგილი ჰადესში და სხვ.

მალეა — 1. კონცხი ლესბოსის სამხრეთ კიდეზე; 2. პელოპონესის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდე, ზღვის ავაზაკთა სათარეშო, სანაოსნოდ სახიფათო.

მანტო — მისან ტირესიას ასული, აგრეთვე მისანი, ერძნეულ მანტიას და (აქედან მანტიკა, მკითხაობა).

მარათონის ველი — ატიკის ჩრდ. გაშლილი ველი, განთქმული ბრძოლით, რომელშიც ბერძნებმა სპარსებები დაამარცხეს (ძვ. წ. 490 წ.). მითოლოგიაში ეს მხარე უფრო ცნობილია იმით, რომ აქ ბინადრობდა ველური ხარი, რომელიც თეზევსმა მოათვინიერა და აპოლონს შესწირა.

მარპესა — ევენოსის მშვენიერი ასული, ერთდროულად შეუყვარდათ აპოლონს და ვმირ იდასს. ქალიშვილმა უპირატესობა იდასს მიანიჭა.

მარსიასი — თავდაპირველად მდინარე მეანდრის ამავე სახელწოდების შენაკადის ღვთაება ფრიგიაში, მცირე აზიაში, დიონისეს თანამგზავრი. როგორც ფრიგიული ღვთაება, დაკავშირებულია კიბელასთან. ბერძნული თქმულების მიხედვით იპოვნა ათენას მიერ დაგდებული სალამური და ვაეჯიბრა აპოლონს — კითარის დამკვრელ ღმერთს. აპოლონმა დაამარცხა, ტყავი გააძრო და კელენში ხეზე დაკიდა.

მეგარა — 1. ამ სახელით ცნობილია მრავალი ვმირი ქალი; ერთი მათგანი, ჰერაკლეს მეუღლე, თებეს მეფის კრეონტის ასული, შემდეგ ჰერაკლემ იოლაოსს მიათხოვა. ბოლოს ავადმყოფობის მოვლის დროს, შვილებთან ერთად მოკლა; 2. ვიწრო მხარე ისთმოსის ყელზე, ატიკის საზღვართან, იგივე მეგარიდა; 3. ამ მხარის მთავარი ქალაქი, შუა საბერძნეთში, ათენსა და კორინთოს შორის. აქ იყო დემეტრეს სახელობის სახელგანთქმული ტაძარი.

მეგერა (მრისხანე, წარბშეკრული) — ერთ-ერთი ერინია, ქთონიური ღვთაება, რისხვისა და შურისძიების განსახიერება. ხელოვნებაში გამოხატავდნენ ბებერ უსახურ დედაკაცად, რომელსაც თავზე თმის ნაცვლად გველები ეხვეოდა, გაალმასებული კბილებიდან ცეცხლს აფრქვევდა, ხელში შოლტი და ჩირაღდანი ეჭირა.

* * * ბოროტი, ანჩხლი, მოჩხუბარი დედაკაცი.

მედეა — კოლხეთის მეფის აიეტის ერძნეული ასული, იასონის და მერე ეგეოსის მეუღლე. მისი დახმარების გარეშე არგონავტებს ხელცარიელებს მოუხდებოდათ დაბრუნება სამშობლოში ან დაიღუპებოდნენ. უძველესი მითები მედეას მიერ შვილების მოკვლაზე არაფერს ლაპარაკობენ. ეს გვიანდელი ჩანამატია. პირიქით, მედეას უყვარდა შვილები და უნდოდა მათთვის უკვდავების მინიჭება, მაგრამ იასონმა შეუშალა ხელი. ბერძნები მედეას ქალღმერთის თანაბრად სცემდნენ თაყვანს. აჩრდილთა სამეფოში იგი აქილევსს შერთეს. მედეას შესახებ მითი დაედო საფუძვლად ევრიპიდეს უკვდავ ტრაგედიას, რომლის რეალისტურად გაშლამ დიდ ტრაგიკოსს ქალები გადაჰკიდა.

მედუზა — მოკვდავი გორგონა, რომელიც მოკლა პერსევსმა (იხ. გორგონა).

მელამპოსი — ამითაონის ძე, ქურუმი, ერძნეული, დიონისეს კულტის დამფუძნებელი. ორი გველი უწმენდდა ყურებს და იცოდა მხეცთა ენა.

მელანიპე (შავი ცხენი, შავ ცხენზე ამხედრებული) — 1. ასტაკოსის ძე, თებელი ვმირი შვიდთა ლაშქრობის მონაწილე. მოკლა ტიდეესი. ამფიარაოსმა მოჰკვეთა თავი დაჭრილს და ტიდეესს მიუგდო; 2. ერთ-ერთი ძალუმი ამორძალი, რომელიც ჰერაკლეს ტყვეობიდან ჰიპოლიტემ თავის ქამრის ფასად იხსნა; 3. მშვენიერი ჭაბუკი, რომელმაც არტემიდეს ქურუმი ქალი კომეთო შეაცდინა. ორაკულმა ბრძანა ორივეს მსხვერპლად შეწირეა და ეს წესად შემოიღეს; 4. მელანიპე („შავი ფაშატი") — ელინის შვილის ასული, პოსეიდონის მეუღლე; 5. ვმირ მელეაგრეს და.

მელეაგრე — კალიდონის მეფის ოინევსისა

და ალთეას შვილი, ტრაგიკული გმირი, რომლის დაბადებისთანავე დედამისს გამოეცხადნენ ერინიები და უწინასწარმეტყველეს: შენი ვაჟი მაშინ მოკვდება, როცა ეს მუგუზალი ჩაიწვებაო: დედამ მუგუზალი ჩააქრო და შეინახა. მელეაგრე დავაჟკაცდა, მოაწყო ნადირობა კალიდონის ტახზე, პირველობა მონადირე ქალს ატალანტას მიანიჭა, ბიძები გაწყრნენ, გმირმა მოკლა ბიძები, დედამისი გაშმაგდა, დასწყევლა შვილი, დასწვა მუგუზალი და მელეაგრე ბრძოლაში დაეცა. ამ უძველეს მითში აისახა დედის უფლებათა პირველობა. ენგელსმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ძმა შვილზე ახლობელია და დედა შვილს სწირავს.

მელპომენე (მელპო — „მღერა") — ტრაგედიის მუზა.

• • • სასცენო ხელოვნების სიმბოლო. მელპომენეს ქურუმი — მსახიობი.

მენადები („მძვინვარენი") — დიონისეს მხლებელნი, ბაკხელი ქალები.

მენეკევსი — 1. (უფროსი) თებელი, პანთევსის შვილიშვილი, კრეონტისა და იოკასტეს მამა; 2. (უმცროსი) კრეონტის შვილი, შვიდთა ლაშქრობის დროის გმირი. მისანმა ტირესიამ იწინასწარმეტყველა: თებე გაიმარჯვებს, თუ ღმერთებს კრეონტის შვილს შესწირავთო. მამამ გაქცევა ურჩია, მაგრამ მახვილით გაიპო მკერდი თებეს კედელზე. თებელებმა გაიმარჯვეს.

მენელაოსი — ატრიდი (ატრევსის ძე) აგამემნონის უმცროსი ძმა. მშვენიერ ელენეს ქმარი. გაბედულად იბრძოდა ტროას ომში, სძლია პარისს, რომელიც აფროდიტემ იხსნა. ბრძოლის ველიდან გამოიტაცა პატროკლეს გვამი, ხის ცხენში მყოფ მეომრებს ახლდა. შინ დაბრუნებული, როგორც ზევსის სიძე (ელენეს ქმარი), სიცოცხლეშივე გადასახლდა ელისეის ველზე.

მენესთევსი — ათენის მეფის ეგეოსის ძმის პენთევსის შვილი. ვიდრე თეზევსი ქვესკნელში იყო, მან ისევ იგდო ხელთ ათენის ტახტი.

მეროპე — 1. კორინთოს მეფის პოლიბოსის მეუღლე, ოიდიპოსის აღმზრდელი; 2. მეფე კიზიკოსის მეუღლის კლეტეს მამა; 3. ატლანტის ასული, მეშვიდე პლეადა. მუდამ შებურვილია, რადგან მოკვდავ სიზიფეს ერგო; 4. ჰერაკლიდის მეუღლეა.

მესენია — მხარე სამხრეთ-დასავლეთ პელოპონესში, ლაკონიასთან.

მეტანეირა — ელევსინის მეფის კელეოსის მეუღლე, რომელსაც დამწუხრებული ქალღმერთი დემეტრე ძიძად დაუდგა. მან დემეტრეს უნებურად შეუშალა ხელი საკუთარი ვაჟის — დემოფონტის უკვდავყოფაში.

მეტიონი — ათენის მეფე, ერეხთევსის შვილი, დედალოსის პაპა.

მეტიონიდები — მეტიონის ვაჟიშვილები, რომელთაც ათენიდან განდევნეს ეგეოსის მამა პანდიონი. გაწყვიტეს პანდიონის მემკვიდრეებმა.

მეტიდა (ჭკუა) — ოკეანისა და თეტიდას ასული, ზევსის პირველი მეუღლე. ზევსმა გადაყლაპა, რადგან უწინასწარმეტყველეს: შენი მეუღლე შობსო ჯერ ქალს, რომელიც ღონით და ჭკუით გაგიტოლდება, მერე კი ვაჟს, რომელიც დაგამხობსო. ზევსმა იგი გადაყლაპა. მეტიდა უკვე ელოდა ათენას, და ეს ქალწული ღმერთი ზევსის თავიდან იშვა, ვაჟი კი აღარ დაბადებულა.

მიდასი — ფრიგიის მეფე, რომელსაც მისივე თხოვნით დიონისემ მისცა უნარი ოქროდ ექცია ყველაფერი, რასაც ხელს შეახებდა. ღმერთებმა ამ დამღუპველი ძღვენის ჩამოსაცილებლად პაქტოლას წყალში გაბანვა ურჩიეს. მიდასმა აპოლონისა და პანის მუსიკალურ პაექრობაში უპირატესობა პანს მიანიჭა და აპოლონმა საჩუქრად ვირის ყურები უბოძა.

• • • მიდასის ყურები — საჩოთირო საჩუქარი, რასაც ულირსნი იღებენ.

მიზია — ქვეყანა მცირე აზიის ჩრდილოდასავლეთით.

მიკენი — უძველესი ქალაქი არგოლიდაში, აქ იყო მეფედ გმირი აგამემნონი. ე. წ. ეგეოსის დიდი კულტურის ერთ-ერთი ცენტრი.

მინიასი — ბეოტიაში დამკვიდრებულ ეოლიელთა ტომის — მინიელების მამამთავარი, ორქომენის მეფე, რომლის ქალიშვილები ღმერთმა დიონისემ სასტიკად დასაჯა. ღმერუებად აქცია.

მინოსი — მიღებული ტრადიციით: ზევსისა და ევროპას შვილი, კრეტის ძალუში და პირქუში მეფე, არიადნეს და ფედრას მამა, ზევსის რჩეული, რადამანთეს ძმა და მისებრ ქვესკნელის მოსამართლე — მას შემდეგ, რაც სიცილიაში, გაფრენილ დედალოსს დაედევნა და იქ მეფე კოკალეს ასულებმა აბაზანაში მოკლეს. ეს მეფე ათენიდან ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ იღებდა ხარკს შვიდ ასულსა და შვიდ ჭაბუკს, რომელთაც მინოტავრი შთანთქავდა. რაკი მინოსი ზევსის შვილია და კრეტის მეფე, მითები მას მიაწერენ ყველაფერს, რაც კი ამ კუნძულზე მომხდარა ტროას ომამდე, ე. ი. ორიოდე საუკუნის მანძილზე. ჰომეროსთან მინოსი დიდი კანონმდებელი, არიადნეს მამა და ქვესკნელის მოსამართლეა. შემდეგ პოეტებმა ბუნდოვანი ამბებით შეავსეს, მითოგრაფებმა კი მოახდინეს დუპლიკაცია, მოიგონეს მინოს პირველი და მეორე — ზევსის დიდი შვილი და მისი შვილიშვილი, პასიფაეს მეუღლე.

მინოტავრი (მინოსის ხარი) — ხარკაცა, კრეტის ლაბირინთში, კროსნოსში მობინადრე, ადამიანის ხორცით გამოკვებილი საზარელი ურჩხული. როცა მინოსმა პოსეიდონს მისივე ნაჩუქარი მშვენიერი ხარის ნაცვლად სხვა შესწირა, ზღვის მბრძანებელმა კუნძულს უბედურება დაატეხა: მინოსის ცოლს პასიფაეს შეეძინა მინოტავრი, რომელიც თეზევსმა მოკლა და ამით იხსნა ათენი ხარკისაგან.

მოირები (რელიეფი).

მირმიდონები (მირმექს—ჭიანჭველა) — თესალიის ერთ-ერთი მითიური ხალხი, ჭიანჭველებისაგან შექმნილი. ამ მითში აშკარაა ტოტემიზსის კვალი, ამას მოწმობს თვით სახელის ეტიმოლოგია (იხ. ეაკე).

მირტა — წმინდა მცენარე, გვირგვინად იყენებდნენ.

მირტილე—ჰერმესის და კლეობულეს ძე, ენომაეს მეეტლე. დაეხმარა ეტლით შეჯიბრში გმირ მეფე პელოპს, დაღუპა თავისი ხელმწიფე, გამარჯვებულმა პელოპმა გასამრჯელოს მიცემას თავი აარიდა და კლდიდან ზღვაში გადააგდო. მირტილემ დასწყევლა მისი მოდგმა (იხ. პელოპი).

მნემოსინე — აპოლონის თანამგზავრ ცხრა მუზის დედა.

მოირები (ხვედრი) — ბედისწერის ქალღმერთები, რომაელთა პარკები. ზევსის და თემიდას ასულები (ჰესიოდეს მიხედვით — თერების დები, ღამის ასულნი). ჯერ ერთს იცნობდნენ, გვიანდელ მითებში სამნი არიან: კლოთო, ლაქეზისი, ატროპოსი. პლატონმა ასე ახსნა: ლაქეზისი — წარსულია, კლოთო—აწმყო, ატროპოსი — მომავალი. უკავშირდებიან ერინიებს. თვით ოლიმპოელ ღმერთებს არ შეუძლიათ თავი დააღწიონ მათს ძალაუფლებას (იხ. ატროპოსი, კლოთო, ლაქეზისი).

მუზები (ლუვრის მუზეუმი. სარკოფარი).

მუზები (ჩაფიქრება) — პოეზიის, ხელოვნებათა და მეცნიერების ქალღმერთები, აპოლონის განუშორებელი თანამგზავრები, მნემოსინესა და ზევსის ასულები (სხვა ვერსიით — ურანოსისა და გეას). ცხრა დანი არიან, პარნასის მთაზე მობინადრენი, მფარველნი ხელოვნებათა (იხ. კალიოპე, ევტერპე, თალია, მელპომენე, ტერპსიქორე, ერატო, პოლიიმნია, ურანია). თაყვანს სცემდნენ განსაკუთრებით ოლიმპიაში, ჰელიკონსა და პარნასზე.

• • • პოეტური შთაგონება.

მოფსოსი — ლაპითი, ამიკოსის შვილი, არგონავტების მისანი, გვიან ლიბიაში გველმა დაგესლა.

ნ

ნარცისი — მშვენიერი ჭაბუკი, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია ნიმფა ექოს უიმედო სიყვარულს და ღმერთებმა იმით დასაჯეს, რომ საკუთარი თავი შეიყვარა, ტანჯვით დაღდასმული სიკვდილის ყვავილად — ნარგიზად იქცა.

ნაქსოსი — კიკლადის ჯგუფის ყველაზე დიდი და ნაყოფიერი კუნძული ეგეოსის ზღვაში. ხშირად უმღერიან ძველი პოეტები.

ნელევსი — პოსეიდონის და ტიროს შვილი, პილოსის მეფე. პელიასის ტყუპი ძმა. პილოსის დამაარსებელი და პილოსელ მეფეთა გვარის მამამთავარი. ჰერაკლეს უარი უთხრა იფიტოსის მოკვლისათვის შეცოდებისაგან განწმენდაზე, გმირმა თორმეტი

ნარცისი (კედლის მხატვრობა. ნეაპოლი).

შვილი მოუკლა გადარჩა. მხოლოდ ერთი, შემდეგში დაუშრეტელი სიბრძნით სახელგანთქმული გმირი ნესტორი. ზოგი მითი ნელევსს ოლიმპიური ასპარეზობის დამწყებად თვლის.

ნემეა — ხეობა და ქალაქი არგოლიდაში, პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ყოველ ორ წელიწადში აქ ზევსის პატივსაცემად ეწყობოდა საყოველთაო ზეიმი და შეჯიბრი. ამ დროს საბერძნეთში წყდებოდა შუღლი და ძმათა შორის ბრძოლა. ასპარეზობა დაკავშირებულია ჰერაკლეს სახელთან, ნემეის ლომის მოკვლასთან. სხვა ვერსიით, როცა თებეს წინააღმდეგ მოლაშქრე გმირთა თვალწინ ნემეის მეფისწული ოფელტე გველმა გაგუდა, არგოსელებმა ყმაწვილის სამარეზე ასპარეზობა გამართეს, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ნ ე მ ე ი ს ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ა ს.

ნემეზიდა — ნიუქსის (ღამის) ასული; ერთ-ერთი უძველესი ღვთაება. შურისძიებისა და სამართლიანობის ქალღმერთი, დამნაშავეთა დამსჯელი, ზოგჯერ გეას და აფროდიტეს სახეებს ერწყმის.

* * * ზღვევის, სამაგიეროს გადახდის სინონიმი.

ნერევსი—პონტის და გეას შვილი, დორიდას მეუღლე, 50 ნერეიდის მამა, ზღვის გრძნეული, ჭაღარა ბერიკაცი. ჰერაკლემ შებოჭა და აიძულა ჰესპერიდების ბაღისაკენ მიმავალი გზა ესწავლებინა.

ნერეიდები — ზღვის ბერიკაცის ნერევსის და ოკეანიდ დორიდას ასულნი, ზღვის ნიმფები, მისნობის უნარით აღჭურვილნი. უფრო ცნობილნი არიან ქალღმერთად აღიარებული ამფიტრიტე, პოსეიდონის მეუღლე და თეტიდა—ნერეიდების ფერხულის წინამძღოლი, აქილევსის დედა, ორითია და გალატე. დღემდე ცოცხლობს საბერძნეთში ნერეიდებისადმი რწმენა (ზღვაოსნებში).

* * * მშვენიერი, ჰაეროვანი, მხიარული ქალწულები.

ნესოსი — კენტავრი, რომელმაც ჰერაკლეს ცოლი დეიანირა გაიტაცა, გმირმა მოკლა დრაკონის სისხლით მოშხამული ისრით და ბოლოს მისმა სისხლმა იმსხვერპლა თვითონაც; 2. კუნძული სირაკუზთან, ევბეაზე და სხვ.; 3. ოკეანის და ტეთიდას ვაჟი.

ნესტორი — პილოსის ბრძენი მეფე, იასონის ბიძის ნელევსის შვილი, ევრიდიკეს მეუღლე, პერსევსის მამა. ჰომეროსი იცნობს უკვე ღრმად მოხუცს, ტკბილმოუბარსა და მრჩეველს. ახალგაზრდობაში კი იყო განთქმული გმირი, კალიდონის ნადირობის, კენტავრებთან ლაპითების ბრძოლისა და არგონავტების ლაშქრობის მონაწილე, რომელიც ადრე შემთხვევით გადარჩა სიკვდილს, როცა ჰერაკლემ ძმები გაუწყვიტა; არსებობდა რეალური ნესტორიც — მჭერმეტყველი, პოეტი, სოფისტი.

* * * „ნათელმეტყველი“ (ჰომ.). ბრძნად მოუბარი მოხუცი.

ნეფელე — ღრუბელთა ქალღმერთი. მას ორქომენის მეფე ათამანტესთან ჰყავდა ქალ-ვაჟი ფრიქსე და ჰელე.

ნიკე (გამარჯვება) — გამარჯვების ქალ-ღმერთი. იგი გამარჯვების მიმნიჭებელია მხოლოდ ომში კი არა, არამედ ყოველგვარ ასპარეზობაში. ნიკე გამარჯვების განსახიე-

ნიკე (პეონის ქანდაკება. ოლიმპია).

რებაა, ამიტომ იგი ზევსისა და ათენას მუდმივი თანამგზავრია. სახეით ხელოვნება-ში ნიკე ფრთოსანი ქალწულის სახითაა წარმოდგენილი, თავზე დაფნის გვირგვინი ადგას.

ნილოსი — 1. ეგვიპტის მთავარი „დედა-მდინარე", დედამიწის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე. ბერძნები ადრეევე იცნობდნენ (იხ. ეგვიპტოსი და` დანაოსი). ამბობენ, რომ სა-ხელწოდება წარმოსდგა ინდური სიტყვიდან „ნილას", რაც შავს ნიშნავს (მდინარეს შავი შლამის მთელი მთები მოაქვს). ხალხი ნი-ლოსის ადიდებას იზიდას ცრემლებს მია-წერდა. „ნილოსის სათავის ძებნა" შეუძლე-ბელი საქმის სინონიმად იქცა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში; 2. მდინარე ნილოსის ღვთა-ება, გამოსახავდნენ ბუმბერაზ, წვეროსან, წამოწოლილ მამაკაცად, რომელსაც ქალის მკერდი ჰქონდა, გარშემო კი მდინარის პა-ტარა ღმერთები — ბიჭუნები ეხვეოდნენ (ასეთი ქანდაკი რომში იპოვნეს).

ნიობე.

ნიმფა (პატარა ქალი) — მთათა, გამოქვა-ბულთა, ტყეთა, მდინარეთა, ველთა, წყა-როთა კეთილისმყოფელი და მშვენიერი მფარველნი, ზევსის ასულნი. ადამიანები უყვართ, მოღალატეს სჯიან. ცნობილია:

ნაიადები, დორეადები, დრიადები: წყალთა, მთათა, ხეთა და სხვ. არქმევენ ადგილთა სახელებსაც: კითერონიდები, ჰელიადები.

ნიობე — თებეს მეფის ამფიონის მეუღლე, ტანტალეს ასული. შვიდი ქალი და შვიდი ვაჟი ჰყავდა (სხვა ვერსიებით ექვს-ექვსი, ათ-ათი) ტრაბახობს და დასცინის ლეტოს, რომელსაც მხოლოდ ქალ-ვაჟი ჰყავს (აპოლონი და არტემიდე). ლეტომ შვილებს შესჩივლა, აპოლონმა ვაჟები დაუხოცა, არტემიდემ—ქალები. თვით ნიობე ცრემლ-ჩამომდინარე კლდედ იქცა.

ნისოსი — პანდიონისა თუ არესის ვაჟი, მეგარიდის მეფე. როცა სასტიკი მინოსი ათენის დასალაშქრავად მიდიოდა, დაიპყრო ყველა ქალაქი, ნისეის გარდა, სადაც ნისოსი გამაგრდა. მისმა ასულმა სკილამ შეიყვარა მინოსი და მამას მოაჭრა ოქროს თმა, რაზედაც იყო დამოკიდებული მისი სიცოცხლე. მინოსმა ქალაქი აიღო, მაგრამ მამის მკვლელი გადააგდო ზღვაში, ზოგი ვერსიით თვითონ დაიხრჩო თავი. ნისეის ველი — მეგარასთან; ნისეა — ქალაქი, რომელშიც ნისოსი იყო გამაგრებული.

ნიუქსი (ღამე) — ხორცშესხმული ღვთაება ბნელი ღამისა. ჰესიოდეს მიხედვით: ქაოსის ასული, ერებოსის და, რომელსაც იმავე ერებოსისაგან ეყოლა ეთერი და ჰემერე — ჰაერი და დღე; ჰომეროსის ნიუქსი უძლეველი ძალით ეუფლება ღმერთებსა და ადამიანებს.

ნიქტეუსი — პოსეიდონისა და პლეადა კელენოს შვილი, ანტიოპეს მამა, ხელთ იგდო თებეს ტახტი, მოკლა ეპოპეუსმა, მისი ასულის ქმარმა.

ნოტოსი (სამხ. ქარი) — სამხრეთის ნესტიანი ქარის ღმერთი, ასტროსის და ეოსის შვილი.

ო

ოდისევსი — ბერძენთა სახელოვანი გმირი, „ილიადისა“ და „ოდისეას“ გმირთა შორის ყველაზე უფრო მოხერხებული და ბედნიერი, მიუხედავად მის მიერ გადატანილი ყველა ძნელბედობისა.

ოვიდიუსი, პუბლიუს ოვ. ნაზონი (ძვ. წ. 43 წ. ჩვ. წ. 17 წ.). — დიდი რომაელი პოეტი.

ოიდიპოსი (სიმსივნე) — ასე უწოდეს გამზრდელებმა იმის გამო, რომ სასიკვდილოდ გადაგდებულ ბავშვს მამამ ფეხებზე რკინები დააკრა და ფეხები გასივებოდა, თებეს (ძველი კადმოსის) ბედშავი მეფე, ლაიოსის და იოკასტეს ძე, რომელსაც აუხდა მისნის საშინელი წინასწარმეტყველება — მშობელ მამას მოკლავს და დედას შეირთავსო. როცა სინამდვილეს ფარდა აეხადა, თვალები დაითხარა, მერე უმადური ვაჟები დასწყევლა და ეს წყევლა ხდება მთელი მათი მოდგმის უბედურებათა მიზეზი (იხ. ეტეოკლე, პოლინიკე, ანტიგონე).

ოიკლე — გმირ ამფიარაეს მამა, იგი ახლდა ჰერაკლეს ტროას აღების დროს და დაიღუპა ტროას მეფის ლაომედონტის ხელით.

ოინეუსი (ღვინის კაცი) — ეტოლიელთა მეფე (კალიდონში). მოსავლის დღეს მსხვერპლი არ შესწირა არტემიდეს, ქალღმერთმა სასჯელის ნიშნად გამოუგზავნა საშინელი ტახი, რომელიც მოკლა მისმა გმირმა ვაჟმა მელეაგრემ. მისი ასული დეიანირა ჰერაკლეს მეუღლე იყო. მისი შვილია გმირი ტიდეუსიც.

ოინომაოსი — ელიდის მეფე, ეტლის სრბოლის უზადო ოსტატი, არესის შვილი, ჰიპოდამიას მამა. იგი სასიძოებს ეტლით სრბოლაში ეჯიბრებოდა, სძლევდა და კლავდა. დაღუპა პელოპმა მისივე მეეტლის მირტილეს დახმარებით.

ოიჭალია — ქალაქი დას. თესალიაში; ქალაქი მესენიაში და ევბეაზე.

ოკეანე — წყალთა მეუფე, ურანოსისა და გეას შვილი, ტეთიდას მეუღლე, ოკეანიდებისა და მდინარეების მშობელი. მისი ასულია სტიქსიც. ძველ ბერძენთა წარმოდგენით ოკეანე დიდი მდინარეა, რომელიც გარს ერტყმის დედამიწას.

ოკეანიდები — ოკეანის ასულნი; ხმანარნარი ნიმფები, ახალი თაობების აღმზრდელნი. რიცხვით ათასი, ზოგი ვერსიით სამასი.

ოლიმპო („შუქის მთა") — ცა, ღმერთების სამყოფელი სადაც ზევსის ტახტი დგას. საკუთრივ ამ სახელწოდებით ცნობილია რამდენიმე მთა, საფიქრებელია მითის საფუძვლად აღებულია უმაღლესი მათგანი, თესალიასა და მაკედონიას შორის, მუდამ ღრუბლებით დაბურული, 3000 მეტრი სიმაღლისა.

*** * *** დიდების სავანე, ამაღლებული და ბრიალი მწვერვალი (ხელოვნებაში, მწერლობაში). ოლიმპოელი ღმერთი; დიდებული (ოლიმპოელი გოეთე). ოლიმპიური სიმშვიდე, სიდიადე, ნეტარება — უზენაესი, ციური საზრი ამ ცნებათა.

ოლიმპიური ასპარეზობა — ძველ ბერძენთა სახელგანთქმული სადღესასწაულო თამაშობანი. მითი მათ დაარსებას ჰერაკლეს მიაწერს, იმართებოდა ოლიმპიაში, ოლიმპიის წარმტაც ველზე, ზღვიდან ოცი კილომეტრის დაშორებით, ელიდაში, პელოპონესის დასავლეთ სანაპიროზე, იქ, სადაც ინახებოდა ხელოვნების შეუდარებელი ძეგლები, იყო საკურთხეველები, ტაძრები, წმიდა ჭალა ალთისი, კრონოსის ტაძარი. პირველი დიდი ასპარეზობა ჩატარდა ძვ. წ. 775 წელს და შეწყდა ახ. წ. 393 წელს, როცა ქრისტიანმა იმპერატორმა აკრძალა. ეს სახელგანთქმული პანელინური თამაში ამართებოდა ზევსის პატივსაცემად ყოველ ოთხ წელიწადში, წინასწარ იგზავნებოდა შიკრიკები და ცხადდებოდა საყოველთაო ზავი. მთავარი იყო შეჯიბრი ხუთჭიდში (სირბილში, ხტომაში, შუბის ტყორცნაში, ბადროს ტყორცნასა და ჭიდაობაში). ელინური კულტურის ეს დიდი ზეიმი ჩვენს დროშიც აღსდგა ძველი სახელწოდებით, და ძალისა და სილამაზის ამ დიდი ასპარეზობის სადღესასწაულო მსვლელობას ყოველთვის საბერძნეთის წარმომადგენლები უძღვიან წინ.

ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული ატლეტი (ბრინჯაო)

ომფალე — ლიდიის დედოფალი, რომელსაც ღმერთების ნებით მონად მიჰყიდეს დიდი გმირი ჰერაკლე. ზვიადი და თავხედი ქალი ყოველნაირად ამცირებდა გმირს, საქსოვ დაზგასთანაც კი სვამდა.

ომფალოსი—ფეტიში, წმინდა მრგვალი ქვა დელფოს აპოლონის ტაძარში. ძველად ბერძნებს სწამდათ, რომ ეს ქვა დედამიწის შუაგულში იყო, რადგან დედამიწა ერთ სიბრტყედ მიაჩნდათ.

ორაკული — 1. სამისნო, წმინდა ადგილი, სადაც მისნები ღმერთების სახელით გაურკვეველსა და ორაზროვან რჩევას იძლეოდნენ (დელფოს, დოდონის, დელოსის); 2. წინასწარმეტყველება, რომელსაც ორაკულები იძლეოდნენ.

*** * *** ბუნდოვანი სიტყვა, მრჩეველი, რომელსაც ბრმად უჯერებენ.

ორები — ზევსისა და თემიდას ასულნი, დროთა ცვლის, ამინდის, ნაყოფიერების ქალღმერთები, რომლებიც აღებენ და ხურავენ ცის კარებს. სამნი არიან. ევნომია (კანონიერება), დიკე (უფლება), ეირენე (ზავი), ისინი წესრიგს იცავენ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

ორესტე—გმირი, აგამემნონის ვაჟი, ელექტრას ძმა, შური იძია მამის მოკვლისათვის, მოკლა დედა (იხ. კლიტემნესტრა). სდევნიან ერინიები. მითი გამოყენებულია იმის ნიმუშად, როგორ იმარჯვებს მამის უფლება დედის უფლებაზე (კლიტემნესტრა არაა სისხლით ნათესავი ქმრისა, რომელიც მოკლა, და არ იდევნება, შვილს კი სდევნიან ერინიები იმის გამო, რომ სისხლით ნათესავია დედისა). ათენას არეოპაგმა ორესტე გაამართლა, რადგან მან დაიცვა მამის უფლებები.

* * * ორესტე და პილადე — უანგარო მეგობრების სინონიმები.

ორთროსი — საზარელი ორთავიანი ძაღლი, კერბერის და ლერნეის ჰიდრის ძმა, ექიდნას და ტითონის ნაშიერი, სფინქსის მამა, გერიონის საქონლის მცველი. მოკლა ჰერაკლემ.

ორითია — ათენის მეფე ერეხთევსის ასული, ბორეასის მეუღლე, ბორეადების დედა.

ორიონი — გმირი, ბეოტიელი ბუმბერაზი, მოციმციმე ბჯრით მოსილი. ყოვლის შემმუსვრელი გოლიათი, ერთ-ერთი ვერსიით პოსეიდონისა და ოკეანიდ ევრიალეს შვილია, შეუდარებელი მონადირე, შეურაცხყოფა მიაყენა ქიოსის მეფე ენოპიონის ასულს და მეფემ დააბრმავა. პოსეიდონმა ზღვის ზედაპირზე სიარულის უნარი მიანიჭა, დელოსზე ჩავიდა, იქ არტემიდემ ისრით განგმირა, ზოგი მითით მიწიდან ამოსულ უზარმაზარ მორიელს დააგესლინა, რადგან შეეხო ქალღმერთის პეპლოსს (გრძელ სამოსს). სხვა ვერსიით, ღმერთები განაირისხა იმით, რომ ჰელიოსმა მხედველობა დაუბრუნა, თვითონ კი მისივე და—ეოსი შეიყვარა. იქცა თანავარსკვლავედად, სდევნის პლეადას, რომელსაც ორიონის ამოსვლისას ფერი ეკარგება. იგივე მოსდის თვითონ მას, როცა ეოსი ამოდის. მიწისქვეშა სამეფოში ნადირობს იმ მხეცებზე, რომლებიც დედამიწაზე დახოცა.

ორონტი — 1. სირიის მთავარი მდინარე; 2. ასირიაში მცხოვრები ხალხი.

ორტიგია — 1. ლეტოს და, რომლის სახელიც ეწოდა ძველ დელოსს, არტემიდეს სამშობლო კუნძულს; 2. კუნძული სირაკუზთან. აქ შეუერთდა მდინარედ ქცეული ღმერთი ალფეოსი წყაროდ ქცეულ ნიმფა არეთუზას; 3. არტემიდეს ერთ-ერთი ზედწოდება.

ორფევსი — ლეგენდარული თრაკიელი მგოსანი, ნიმფა ევრიდიკეს მეუღლე, მუზა კალიოპეს შვილი, არგონავტების ლაშქრობის მონაწილე, რომლის სიმღერის ხმაზე ნადირები მოდიან, კლდეები იძვრიან, თვით ჰადესი იხიბლება და უთმობს მეუღლის სიცოცხლეს, მაგრამ გაუფრთხილებლობით ისევ კარგავს. არისტოტელე მის არსებობას უარყოფს, ხოლო პლატონი მისი ლექსის ფრაგმენტებსაც კი ასახელებს. ცნობილი იყო ძველ საქართველოშიც: „პრომეთევს და ორფევს თრაკი. ბრძენნი ელინთანი“ (გიორგი მონაზონი).

* * * უზადო მომღერალი, მგოსანი.

ორქომენი — 1. ლიკაონის ვაჟი, არკადიის ორქომენის დამაარსებელი; 2. ათამანტეს შვილი; 3. ზევსის და ჰესიონეს შვილი მინიასის მამა, ბეოტიის ორქომენის გამგებელი; 4. მიკენის მბრძანებელთა დედაქალაქი (ბეოტიაში); 5. ქალაქი არკადიაში.

ოსა — 1. მთა თესალიის სანაპიროზე. ეგეოსის ზღვის პირას, ოლიმპოსთან, სადაც გიგანტებმა ბრძოლა გაუმართეს ღმერთებს; 2. ზევსის შიკრიკი.

ოტი — ერთ-ერთი ალოადი, ეფიალტეს ძმა (იხ. ალოადები).

ოფელტე — ნემეის მეფის ლიკურგეს მცირეწლოვანი ვაჟი, რომელსაც ტყვედ გაყიდული ლემნოსელი დედოფალი ჰიპსიპილე ზრდის. გველმა დაახრჩო თებეს მიმავალ არგოსელ გმირთა დაღუპვის ნიშნად, გმი-

რებმა არქემოროსი („სიკვდილის წინამძღოლი“) უწოდეს.

ოქროს საწმისი — ტყავი ღვთაებრივი ვერძისა, რომლითაც ღრუბელთა ქალღმერთმა ნეფელემ დედინაცვლისაგან იხსნა თავისი ქალ-ვაჟი ფრიქსე და ჰელე. ბერძნები კოლხეთში ოქროს საწმისს ეძებდნენ და ოქროს მხარე იპოვნეს (იხ. არგონავტები). ფაზისის ველზე მდებარე არესის ჭალიდან საწმისი იასონმა გაიტაცა, მედეას დახმარებით და იოლკოსში ჩაიტანა.

პ

პავსანია — ცნობილი ბერძენი მწერალი და გეოგრაფოსი, ცხოვრობდა ახ. წ. II საუკუნეში. ბევრი იმოგზაურა. მისი „ელადის აღწერა“, მრავალი უზუსტობისა და შეცდომის მიუხედავად, ანტიკური ხელოვნებისა და კულტურის ერთ-ერთი ფასდაუდებელი წყაროა.

პალანტე, პალასი — 1. ერთ-ერთი ტიტანი; 2. გიგანტი, რომელიც ათენამ მოკლა და პატივიც დასდო: ზედწოდებად მისი სახელი აირჩია (პალადა); 3. ლიკაონის ვაჟი; 4. პანდიონის ძე, ეგეოსის ძმა. მისი 15 შვილი (პალანტიდები) თეზევსს ებრძოდა ათენის ტახტისათვის. თეზევსმა სძლია, დახოცა ძმები და ტახტი დაიკავა.

პალენე — ქალკიდონის ნახევარკუნძულიდან (მაკედონია) თრაკიის ზღვაში შეჭრილი ერთ-ერთი ნახევარკუნძული, თერმეისა და ტორონეის უბეებს შორის. მითის თანახმად სწორედ აქ შეებნენ ოლიმპოელ ღმერთებს გიგანტები.

პანათენური დღესასწაულები — ყველა ათენელის დღესასწაული, დიდი და მცირე მითის თანახმად დაწესა მეფე ერეხთეუსმა. მცირე პანათენეები იმართებოდა ყოველწლიურად, დიდი — ყოველ ოთხ თუ ხუთ წელიწადში ერთხელ. პირველი აღინიშნებოდა შეჯიბრით, მეორე — საზეიმო შემსელობით, ამასთან კლავდნენ ას ხარს (ჰეკატომბეიები), თანაც მართავდნენ დიდ ასპარეზობას. ძვ. წ. 566 წ. პიზისტრატემ დაუმატა შეჯიბრი ტანვარჯიშში, ძვ. წ. 446 წ. პერიკლემ — მუსიკალური პაექრობა. ეს დღესასწაულები ბერძენთა საერთო ზეიმად იქცა.

პანდარე — ეთესოს მეფის მეროპეს ძე, აედონის მამა. კრეტაზე, ზევსის ტაძრიდან ოქროს ძაღლი მოიტაცა, რისთვისაც ზევსმა ქვად აქცია.

პანდიონი — 1. კეკროპის შვილი, ათენის მეფე, განდევნეს მეტიონიდებმა, მეგარაში გარდაიცვალა. ითვლება ეგეოსის, პროკნეს, ფილომელას, პალანტის მამად. როგორც ათენის მეფეთა პირველი თაობა, ესეც ბუნდოვანი სახეა. მითოგრაფებმა დიდი შეალედები გაორებული სახეებით შეავსეს.

პანდორე (ყველასაგან დაჯილდოებული) — პირველი ქალი. ზევსის ბრძანებით ჰეფესტომ შექმნა, სხვა ღმერთებმა მშვენება და ცბიერება უბოძეს და პრომეთეს ძმას, ეპიმეთეს მიჰგვარეს. თან ყოველი სენითა და დარდით სავსე ყუთი გაატანეს. ყუთი რომ გახსნეს, ყოველგვარი უბედურება მოეფინა ქვეყნიერებას, მხოლოდ იმედი დარჩა ყუთში.

* * * პანდორას ყუთი — უბედურებათა წყარო.

პანი (რომაელთა ფავნი) — ზევსისა და არკადიელი ნიმფის კალისტოს შვილი (სხვა ვერსიით: ჰერმესის და ნიმფა დრიოპეს, ან ზევსისა და პენელოპესი), მხიარული არკადიელი ღმერთი. ტყის უდარდელი, ავხორცი, თხისფეხა, რქოსანი დემონი. მწყემსთა, მონადირეთა, მეფუტკრეთა, მეთევზეების მფარველი. შეუყვარდა ნიმფა, დაედევნა მას, ნიმფა ლერწმად იქცა, პანმა ამ ლერწ-

მისაგან სალამური გამოთალა და მისი დაკვრით იქარვებს დარდს. აპოლონს ეჯიბრება, ნიმფების ფერხულს მართავს. თუ ვინმემ ძილი დაუფრთხო, საზარელი ხმით ყვირის, ადამიანს აგიყვებს („პანიკური შიში"). ნამდვილი ბუნების შვილია, დიონისესა და სილენთან დაახლოებული, ზოგჯერ აფროდიტეს ამალაშია. მსხვერპლად სწირავდნენ თიკანს, ძროხას. მთავარი სამლოცველები ჰქონდა ტროიძენეში. არკადიაში დღესაც უჩვენებენ პანის ფეხით დასერილ ბილიკებს.

პართენოპე — არკადიელი გმირი, განთქმული მონადირე ქალის ატალანტას ძე, შვიდთა ლაშქრობის მონაწილე, მოკვდა პერიკლიმენესთან ბრძოლაში.

პარისი — ტროელთა მეფის პირმშვენიერი ვაჟი, ელენეს გამტაცებელი. სილამაზისათვის დავაში ათენასა და ჰერას წინაშე უპირატესობა აფროდიტეს მიანიჭა და ეს ქალღმერთია მისი მფარველი. სასიკვდილოდ დაჭრა აქილევსი, მაგრამ თვითონაც დაიჭრა ფილოქტეტეს მოწამლული ისრით და მოკვდა საშინელი წამებით.

პარნასი — მთიანეთი ფოკიდაში, კორინთოს უბისაკენ, უმაღლესი მწვერვალი 1460 მ. სიმაღლისაა. ესაა დიონისეს სამეფო, მუზების სამყოფელი, რომლის ძირას დელფოს ორაკულია და აპოლონის ტაძარი.

• • • მუზების, პოეტების საკრებულო; პარნასის ყვავილები — ლექსები; პარნასელი დები—მუზები.

პაროსი — კიკლადის ჯგუფის კუნძ. ეგეოსის ზღვაში, ძველთაგანვე განთქმული თეთრი მარმარილოთი.

პასიფაე — 1. კრეონტის მეფის მინოსის მეუღლე, ჰელიოსის ასული, აიეტის და, არიადნესა და ფედრას დედა. საზარელი მინოტავრი ამ დედოფალს ეყოლა პოსეიდონის მიერ მოგზავნილი ხარისაგან; 2. ატლანტის ასული, მისანი, ზოგი კასანდრასთან აიგივებს, ზოგიც მინოსის ცოლთან.

პატმოსი — კუნძ. სამოსის სამხრეთით, ეგეოსის ზღვაში.

პატროკლე — აქილევსის განუყრელი მეგობარი და თანამებრძოლი. გმირ ეაკეს ძმისშვილი. ბავშვობაში ერთი თანატოლი შემოაკვდა და მამასთან ერთად მოუხდა ფთიაში გაქცევა, პელევსთან, სადაც აქილევსთან ერთად იზრდებოდა და ეუფლებოდა ბრძოლის ხელოვნებას. მასთან ერთად მიიღო მონაწილეობა ტროას ომში, შეუპოვარ და უძლეველ გმირად ითვლებოდა, მაგრამ ჰექტორმა მოკლა. აქილევსი ამ დროს ბრძოლაში არ მონაწილეობდა, მისი იარაღი პატროკლეს ჰქონდა. გვამი ბერძნებმა გაიტაცეს, იარაღი კი ტროელებს დარჩათ. ფლორენციაში ნაპოვნი მარმარილოს ჯგუფი გამოხატავს განგმირულ, ტიტველ პატროკლეს, რომელიც მენელაოსს უჭირავს.

პაქტოლა — მდინარე ლიდიაში, ცნობილი ოქროს ქვიშით, რასაც მითი პოეტურად ხსნის: ამ მდინარეში ჩამოიბანა ღმერთების საჩუქარი ფრიგიის მეფემ მიდასმა, რომელიც რასაც შეეხებოდა ოქროდ აქცევდა.

პეგასი — მითიური ფრთოსანი რაში, ქრიზაორეს ძმა, იშვა მედუზას სისხლიდან, პერსევსმა რომ მოკლა. ამ პოეტურ მერანს სახელი ეწოდა იმ ოკეანის ტალღების მიხედვით, სადაც იშვა. ღმერთებთან დაფრინავს. გმირმა ბელეროფონტმა დაიმორჩილა.

• • • მერანი, პოეტური შთაგონების წყარო. ვინ შეკაზმავს პეგასს? ორაზროვნად: ვინ გახდება პოეტი?

პეირითოე — თესალიელი ლაპითების გმირი მეფე. კენტავრმა ევრიტიონმა ქორწილში პატარძლის გატაცება მოუნდომა, ატყდა ომი, ლაპითებმა და სტუმრებმა დაამარცხეს და განდევნეს ცხენკაცები. თეზევსის მეგობარია, ერთად გაიტაცეს ელენე, მერე პერსეფონეს მოტაცება განიზრახეს, ჰადესმა

კლდეს დააკრა. თეზევსი ჰერაკლემ იხსნა, პეირითოე კი ჰადესში დარჩა.

პელასგე — 1. პირველი კაცი არკადიაში, ლიკაონის მამა, პელასგების მამამთავარი; 2. **პ ე ლ ა ს გ ე ბ ი** — არკადიელი და პელოპონესელი გმირების მთელი პლეადა, რომლებმაც დემეტრეს დავალებით დაამყვიდრეს მიწათმოქმედება; 3. პოსეიდონის და ლარისას ვაჟი, აქეოსის ძმა.

პელევსი — ეგინელი გმირის ეაკის შვილი, აქილევსის მამა, „პელიონის ბატონი", გმირი თესალიელი მეფე, ტელამონის ძმა. მოკლა ღვიძლი ძმა, მერე — სიმამრი და იოლკოსში გაიქცა, სადაც მეგობარი მეფის აკასტოსის ცოლმა შეიყვარა, მაგრამ როცა ქალმა უარი მიიღო, ქმართან დაასმინა. მეფე აკასტოსმა უიარაღოდ დატოვა უდაბნოში კენტავრების დასაგლეჯად, მაგრამ ჰეფესტოს სანადირო დანამ იხსნა. ეპაექრებოდა ატალანტას, მონაწილეობდა კალიდონის ნადირობაში, არგონავტების ლაშქრობაში, პელიასის დაკრძალვის დროს გამართულ შეჯიბრში, ჰერაკლეს ლაშქრობაში ტროაზე... ყველაზე მეტად მაინც იმით განითქვა სახელი, რომ ზღვის ქალღმერთი თეტიდა შეირთო და გახდა აქილევსის მამა. ბერძნებს ამ ქორწინებით უნდოდათ დამტკიცებინათ მათი მეფეების ღვთაებრივი ჩამომავლობა.

პელიასი — პოსეიდონის შვილი, იოლკოსის მეფე, რომელმაც მიიტაცა ტახტი და ძმისწული, თავიდან მოცილების მიზნით, ოქროს საწმისის მოსატანად გაგზავნა. დაკეპეს საკუთარმა ქალიშვილებმა, რომელთაც მედეამ შთააგონა მამათქვენს ახალგაზრდობას დავუბრუნებო.

პელიონი — მთები ეგეოსის ზღვის პირას (იხ. ალოადები).

პელოპონესი (პელოპის კუნძული) — საბერძნეთის სამხრეთი ნაწილი. ახლა მორეა (ძვ. აქაია, არკადია, არგოლიდა, ლაკონიკა, ელიდა) (იხ. პელოპი).

პელოპი — სიპილის მეფის ტანტალეს ვაჟი, ნიობეს ძმა, ატრევსის მამა. აგამემნონის პაპა, პელოპონესის უძლიერესი მეფე, რომლის სახელიც მიიღო ამ ქვეყანამ. ღმერთების მიერ სასწაულებრივ გადარჩენილი ყრმა, რომელმაც ცბიერებით სძლია მეფე ენომაეს და მისი ასული ჰიპოდამია შეირთო. მეეტლე მირტილემ, რომელიც მან მოატყუა და მოკლა, დასწყევლა პელოპი და მისი მოდგმა, რასაც მოჰყვა ძმათა შუღლი, მკვლელობა, სისხლის აღრევა (იხ. ატრევსი, აგამემნონი). მითში პელოპის შესახებ შემორჩენილია ქალის ხელის ბრძოლაში მოპოვების უძველესი ჩვეულება.

პენეუსი — 1. მდინარის ღმერთი, მარადმწყვანე დაფნად ქცეული ნიმფას მამა; 2. მდინარე თესალიაში; მდინარე ელიდაში.

პენთევსი — თებეს მეფე, კადმოსის ასულის აგავას ვაჟი. მენადებმა ნადირად მიიღეს და დაგლეჯეს, რადგან ბაკხუსის კულტს დევნიდა.

პერიკლიმენე — პოსეიდონის ძლევამოსილი შვილი, თებეს იცავდა შვიდთა ლაშქრობის დროს, ახალგაზრდა გმირ პართენოპეს კლდისოდენა ლოდი დაკრა და მოკლა.

პერიფეტე — ბუმბერაზი ავაზაკი, ჰეფესტოს შვილი, მოკლა თეზევსმა.

პერსევსი — ზევსისა და არგოსის მეფის აკრისიოსის ასულის დანაეს ძე. აკრისიოსის მიერ ზღვაში გადაგდებულ კიდობანში მსხდომი დედა-შვილი იხსნა კუნძ. სერიფოსის მეფის ძმამ მეთევზე დიქტისმა. სერიფოსზე აღზრდილი პერსევსი უამრავ საგმირო საქმეებს სჩადის: მან მოკლა მედუზა, სძლია ზღვის ურჩხული, იხსნა ანდრომედე და სხვ. მან უნებურად მოკლა თავისი პაპა აკრისიოსი. მისი შვილი პერსევსი სპარსელთა წინაპრად ითვლება.

პერსეიდები — პერსევსის შვილები და შთამომავალნი (გმირი პერსევსი ითვლებოდა სპარსელთა მამამთავრის პერსეს მამად):

პერსეუსის თანავარსკვლავეედიდან ვარდნილ ვარსკვლავთა ნაკადი.

პერსეფონე — დემეტრეს ასული, ჰადესის მიერ ქვესკნელს გატაცებული ქალღმერთი, რომელიც წლის ნახევარს დედამიწაზე ატარებს და ნახევარს — ლანდების სამეფოში. როცა დედამიწას უბრუნდება მთელი ბუნება აყვავებას იწყებს. მისი გატაცების ადგილად ასახელებენ ელევსინს, სიცილიას, ოკეანეს და სხვ. გვიან, როგორც შიშისა და იდუმალების ქალღმერთი, ჰეკატეს კულტთან არიეს. რომში ჭკნობისა და აყვავების სიმბოლოს პროზერპინა უწოდეს. ქრისტიანობამ მისგან აიღო „სულის“ ცნება.

პიგმალიონი — 1. დიდი კეიპროსელი მხატვარი, აფროდიტეს ქურუმი, რომელსაც თავისი ხელით გამოქანდაკებული ქმნილება შეუყვარდა და სიყვარულმა ქანდაკება გააცოცხლა (სხვა მითით ღმერთებმა გაუცოცხლეს, უფრო აფროდიტემ, ე. ი. მაინც სიყვარულმა); 2. ტიროსის ლეგენდარული მეფე, დიდონას ძმა. სიმდიდრისათვის მოკლა დის ქმარი, აფრიკაში გაიქცა და იყიდა იმდენი მიწა, რამდენსაც გადასწვდებოდა წვრილ თასმად დაჭრილი ხარის ტყავი, აქ დააარსა ქ. კართაგენი.

• • • სულიერი ძალით სხვა ადამიანის გარდამქმნელი; საკუთარ ქმნილებაზე შეყვარებული (ან უპასუხოდ შეყვარებული) კაცი.

პიერია, პიეროსი — მაკედონის ან მისი ერთი მხარე, ოლიმპოს მთის ძირთან (ჰელიკონის მთასთან მუზების თაყვანისცემის დამამკვიდრებელსაც პიეროსი ერქვა); პიეროსი ამ მხარის — ემათიას მეფე იყო, თავის ცხრა ასულს ცხრა მუზის სახელი უწოდა და შეაჯიბრა მათ სიმღერაში, მაგრამ დამარცხდნენ და ღმერთების ნებით კაჭკაჭებად იქცნენ. პ ი ე რ ი დ ე ბ ს ეძახდნენ პიეროსის ასულებს, ზოგჯერ თვით მუზებსაც; პ ი ე რ ი ი ს ხ ე ო ბ ა — მაკედონიაში, თესალიის ჩრდილოეთით.

პითია — დელფოს ცნობილი მისანი, აპოლონის გრძნეული მკითხავი.

პითონი — აპოლონის სახელთან დაკავშირებული საზარელი გველეშაპი (პითია—მკითხავი, პითიები—აპოლონის ქურუმები, პითო—მისივე სამისნო). ეს იყო გეას (მიწის) საშობი ურჩხული, წყვდიადის ღვთაება, რომელიც სდევნიდა აპოლონის დედას ლეტოს, აპოლონმა მოკლა იგი და იმავე ადგილზე სამისნო დააარსა. მითში აისახა ნათლის გამარჯვება ბნელზე, სიკეთისა — ბოროტებაზე.

პილადე — ფოკიდის მეფისწული, ორესტეს მეგობარი. მეფე სტროფიოსისა და აგამემნონის დის ვაჟი, რომელიც ორესტეს პირსა და ლხინში თან ახლდა, ბოლოს შეირთო ორესტეს და ელექტრა.

• • •უანგარო მეგობარი.

პილოსი — ასე ეძახდნენ ძველთაგანვე პელოპონესის სამ ქალაქს. ერთი მათგანი, ოლიმპოდან ელიდისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. მეორე ტრიფილიაში, ალფეიოსის სამხრეთით. მესამე კი — მესენიის სამხრეთ ნაწილში მდებარე, სახელგანთქმული იმით, რომ პავსანიას მოწმობით აქ იყო ტკბილმოუბარი ნესტორის სამშობლო.

პინდარე (ძვ. წ. 518 — 446 წწ.) — ძველი ბერძენი პოეტი, სახოტბო ლექსების სწორუპოვარი ოსტატი, პაექრობებში მუდამ გამარჯვებული. შემოგვინახა ბევრი ძვირფასი თქმულება.

პირა — დიდ წარღვნას გადარჩენილი ერთადერთი ქალი, დევკალიონის მეუღლე (იხ. დევკალიონი).

პისა — ელისი, ქალაქი ელიდაში, დას. პელოპონესში, მდ. ალფეიოსის ხეობაში.

პითევსი — არგოლიდის ტროიძენეს მეფე, დიდი გმირის თეზევსის დედის ეთრას მამა. ყრმა თეზევსი მასთან იზრდებოდა.

პლანქტები — ორი კლდე, რომლებიც ქმნიდნენ ვიწრო სრუტეს, მათ შორის არავის შეეძლო მშვიდობით გავლა, მხო-

ლოდ არგონავტებმა გაიარეს ღმერთების შემწეობით (იხ. სიმპლეგადები).

პლეადა (შვიდვარსკვლავედი) — ატლანტის და ოკეანიდ პლეიონეს მშვენიერი ასულები, რომელთაც ორიონი დასდევდა, ვიდრე ზევსმა ორიონთან ერთად ვარსკვლავებად არ აქცია (მაია, ელექტრა, ტაიგეტე, ალკიონე, კელენო, სტეროპე, მეროპე). ჰიადები და ჰესპერიდები — მათი დედა. ზოგი თქმულებით, ჰიადების დაღუპვით დანაღვლიანებულთ თვითონ ითხოვეს ვარსკვლავებად ქცევა, პირველი ზევსს უყვარს. მაია—ჰერმესის დედა, ელექტრა — დარდანის, ტაიგეტე—ლაკედემონის, მეროპე მოკვდავ სიზიფეს არგუნა ბედმა.

პლუტარქე (ახ. წ. 46—120 წწ.)—ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი, გამოჩენილ ბერძენ და რომაელ გმირთა და სარდალთა შედარებითი ბიოგრაფიების ავტორი.

პოდარკე (ფეხმარდი) — ტროას მეფის ლამომედონტის ვაჟი, რომელიც გამარჯვებულმა ჰერაკლემ შეიბრალა და არ მოკლა, მისმა დამ ჰესიონემ გამოისყიდა და ამის შემდეგ პრიამე ანუ ნაყიდი ეწოდა (იხ. პრიამე).

პოლიბოსი — 1. სიკიონის მეფე, ოიდიპოსის აღმზრდელი, ადრასტეს პაპა (მას უანდერძა სამეფო), სოფოკლემ „ოიდიპოსში“ კორინთოს მეფედ გახადა; 2. პენელოპეს სასიძო; 3. ეგვიპტის თებეს მბრძანებელი.

პოლიდევკე — ზევსისა და ლედას ძე, უკვდავი დიოსკური, რომელმაც ძმასთან საზიარო ბედი აირჩია (იხ. დიოსკურები).

პოლიდექტე—სერიფოსის მეფე, დანაეს ხელის აბეზარი მთხოვნელი, რომელიც პერსევსს დასცინის, გვირმა მედუზის თავი უჩვენა და გააქვავა.

პოლიდორე — 1. პრიამეს უმცროსი შვილი, შეუდარებელი მორბენალი, შეება აქილევსს, რომელმაც სასიკვდილოდ დაჭრა; 2. კადმოსის შვილი, თებეს მეფე; 3. გმირ ჰიპომედონტის უღირსი შვილი, ეპიგონი.

პოლიმნია (პიმნებით მდიდარი) — ლირიკული პოეზიის და წმინდა საგალობლების მუზა.

პოლინიკე — ოიდიპოსის უფროსი ვაჟი. რომელმაც მიიმხრო არგოსელები და მოაწყო შვიდთა ლაშქრობა მშობლიური ქალაქის წინააღმდეგ (იხ. ეტეოკლე).

პოლიფემე — 1. პოსეიდონის შვილი, კიკლოპებს შორის ყველაზე ცნობილი, ოდისევსს რომ თანამგზავრები შეუჭამა და ოდისევსმა ერთადერთი თვალი ამოსთხარა (იხ. ავრეთვე, აკიდი); 2. ლაპით ელატოსის შვილი, ჰერაკლეს მეგობარი და სიძე. კენტავრებისა და ლაპითების ბრძოლის მონაწილე.

პოლიქსენე — ელადის მეფე, რომელსაც ტელებოელთა მეფემ მიკენიდან გატაცებული საქონლის ჯოგი ჩააბარა.

პოლუქსი — 1. პოლიდევკეს ლათინური სახელწოდება (იხ. დიოსკურები); 2. მოხუცი ლემნოსელი ქალი, რომელმაც თავის დედოფალს არგონავტების სტუმრად მიღება ურჩია.

პორფირიონი — პალენეზე ოლიმპოელ ღმერთებთან მებრძოლი ერთ-ერთი გიგანტი. იგი ზევსმა მიწას დასცა, ხოლო ჰერაკლემ განგმირა.

პოსეიდონი (რომაელთა ნეპტუნი. ეტიმოლოგია გაურკვეველია. ჰოფმანის ახსნით: „დედამიწაზე ეტლით მსრბოლი“) — კრონოსის და რეას შვილი. ზევსის, ჰერასა და ჰადესის ძმა, ამფიტრიტეს მეუღლე, ზღვის მრისხანე ღმერთი, რომელიც სამთითის დაკვრით ისევე არეკავს დედამიწას, როგორც ზევსი — ეგიდით ან მეხით. აქედანაა მისი ზედწოდება: „მიწისმრყეველი“, „დედამიწის შემზანზარებელი“ (ენოსიგეოსი). განუზომელ როლს თამაშობს ბერძნულ მითოლოგიაში (იხ. თეზევსი, ტრიტონი, მინოტავრი, მინიასი, ოტოსი). იგი ცხენთა მფარ-

ზღვის ღმერთები (რელიეფი. რომი).

ველ ღვთაებადაც ითვლებოდა. თავდაპირველად მიწის, მერე პელოპონესელთა ზღვის ღმერთი იყო, თაყვანს სცემდნენ მეთევზეები, მერე მისი კულტი დორიელებსა და იონიელებში გავრცელდა. ამ მრისხანე ღმერთს გამოხატავდნენ ზევსის მსგავსად, ოღონდ უფრო პირქუშად, ხელში სამთითი ეჭირა, მის ამალას შეადგენდნენ ტრიტონები, დელფინები, ზღვის ცხენები — ჰიპოკამპები...

პრიამე — ლაომედონტის ძე, ჰესიონეს ძმა. ჰეკაბეს მეუღლე. სახელი ეწოდა მას შემდეგ რაც ჰერაკლემ ტროა აიღო და ლაომედონტის ვაჟებიდან მხოლოდ მას შეუნარჩუნა სიცოცხლე (იხ. პოდარკე). ჰყავდა 50 შვილი (მათ შორის ჰექტორი, კასანდრა, პარისი). მოკლა აქილევსის ვაჟმა ნეოპტოლემემ.

პროიტე — გმირი, ამითაონიდების სიმამრი, არგოსის და ტირინთოს მეფე, აკრისიოსის ტყუპი ძმა. ეს ძმები ერთმანეთს დაბადებიდანვე მტრობდნენ, შუღლი თანდათან გაძლიერდა. პროიტიდები მისი ასულები არიან.

პროკნე — ათენის მეფის პანდიონის ასული, თრაკიის მეფის ტერევსის მეუღლე, ფილომელეს და (იხ. ფილომელე).

პროკრიდე — ჰერმესის ძის კეფალეს მეუღლე, რომელიც თავისი ეჭვიანობის მსხვერპლი გახდა (იხ. კეფალე).

პროკრუსტე (გამჭიმავი) — იგივე დამასტე, ზოგი ვერსიით პოლიპემონი, ბუმბერაზი და ბოროტი ავაზაკი, რომელიც მოკლა თეზევსმა.

* * * **პროკრუსტეს სარეცელი** — ყალიბი, დადგენილი შაბლონი; ნორმა, რომელშიაც ძალით ჩაჰყადავენ ამა თუ იმ აზრს, იდეას.

პრომეთე (წინასწარმეტყველი, ეინც წინასწარ აზროვნებს, ზოგი მეცნიერის აზრით: სანსკრიტული „პრამათიუს“ — „ვინც უხახუნებს ხეზე ხეს“ ან „პრამანთა“ — ჯოხი, რითაც აჩენენ ცეცხლს — დაედო საფუძვლად ტიტანის სახელს) — კაცობრიობის კეთილისმყოფელი ტიტანი, კაცთა მოდგმის ქომაგი. კაცობრიობის ეს კეთილი გენია, ტიტან იაპეტის და ნიმფა კლიმენეს შვილია (სხვა ვერსიებით: ევრიდემონტის და ჰერას, ურანოსის და კლიმენეს, იაპეტის და ასიის, ან თემიდას შვილი). ატლანტის ძმა, დევკალიონის მამა, წინასწარმეტყველი, რომელმაც ოლიმპოდან ცეცხლი მოიტაცა და ადამიანებს მოუტანა, ათენას და ჰეფესტოს მეგობარია. იგი ტიტანებზე ღმერთების გამარჯვების შემდეგ ზევსს გადაუდგა: სამსხვერპლო ხორცი ადამიანებს არგუნა, ძვლები კი — ღმერ-

თებს. ეს კეთილშობილი, გაუტეხელი ტიტანი ებრძვის ზევსს, რომელმაც კავკასიონზე მიაჯაჭვა, მაგრამ სასჯელად ეს არ აკმარა: ყოველ დღე ტითონის ნაშიერი არწივი ძიძგნიდა ტიტანს, მაგრამ იგი მორალურად გამარჯვებული გამოდის ამ ხანგრძლივი ბრძოლიდან. პრომეთეს ღვაწლი გენიალურად გამოხატა ოვიდიუსმა: „პრომეთემ მიწა წყლით დაასველა და გამოძერწა ადამიანი, რომელსაც ღმერთის სახე მისცა, და იმ დროს, როცა მხეცები თავს სულ დაბლა ხრიან, მიწაზე, ადამიანებს შეუძლიათ ამაყად ასწიონ თავი, ცას გაუსწორონ თვალი და ვარსკვლავებს უყურონ". საბოლოოდ პრომეთე უმხელს ზევსს საიდუმლოს, რადგან მეხთამტყორცნელი აღარ მართავდა ტირანულად ქვეყნიერებას და იცავდა ადამიანებსა და კანონებს. მის ბორკილებს ამსხვრევს დიდი გმირი ჰერაკლე და პრომეთე თავისუფლდება, ხოლო ტანჯეათა სახსოვრად ბორკილის რგოლს ატარებს.

• • • ადამიანის სიდიადის სიმბოლო; პრომეთეს ცეცხლი — ამაღლებული მიზნის ნაპერწკალი, ანთებული ადამიანის გულში — ბნელის სიძულვილის და მოძალადეთა დამხობის საფუძველი.

პრომეთეია — ათენელთა საზეიმო სრბოლა ჩირაღდნებით ხელში, ცეცხლის მომტან პრომეთეს პატივსაცემად. აკადემიის სამსხვერპლოზე ანთებული ცეცხლი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიეტანათ ქალაქში, რათა წმინდა ცეცხლით შეეცვალათ შერყვნილი ძველი ცეცხლი.

პროპონტიდა (წინა ზღვა) — მარმარილოს ზღვა, რომელიც თრაკიის ბოსფორით შავ ზღვას უერთდებოდა, ჰელესპონტით კი — ეგეოსის ზღვას. ბერძნები კარგად იცნობდნენ ამ ზღვას. აქ გაიარეს არგონავტებმა.

პსოფისი — 1. ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ არკადიაში, ცნობილი კიკლოპური აკროპოლისით, აფროდიტეს სამლოცველოთი და ალკმეონის სამარხით. ამ მიდამოებში ბინადრობდა ერიმანთოს ტახი; 2. ერიქს სიცილიელის ასული, ჰერაკლეს სატრფო, ეყოლათ ორი შვილი.

რ

რადამანთე — 1. კრეტის მეფე მინოსის ძმა და ორეული. მოკვდავთა შორის ყველაზე უფრო სამართლიანი კაცი, რომელიც მისმა მამამ ზევსმა (ევროპისაგან) ქვესკნელის მსაჯულად დანიშნა, მინოსთან და ეაკთან ერთად. ცნობილია აგრეთვე როგორც ჰერაკლეს აღმზრდელი.

• • • სამართლიანი ადამიანი, უანგარო მსაჯული.

რარიის ველი — ელევსინის მახლობლად მდებარე ველი, რომელიც მეფის ახალგაზრდა ვაჟიშვილმა ტრიპტოლემოსმა გადახნა და მიწაში ქალღმერთ დემეტრეს მიერ მიცემული პურის მარცვალი ჩათესა: მითის თანახმად ამით ჩაეყარა საფუძველი მიწათმოქმედებას.

რეა (დედა-ქალღმერთი) — კრონოსის მეუღლე, ურანოსისა და გეას ასული, ჰესტიას, დემეტრეს, ჰერას, ჰადესის, პოსეიდონის და ზევსის დედა (კრონიდებისა). მთავარი თაყვანისცემის ადგილია კრეტა, სადაც ერთ გამოქვაბულში შვა ზევსი. მითის მიხედვით, შვილთამჭამელ ურანოსს, რომ არ ესმინა ბავშვის ტირილი, კურეტები ფარ-ხმალს აყღარუნებდნენ (ქურუმთა საკულტო ცეკვა). რეას კულტი ადრევე გაითქვიფა ნაყოფიერების მეორე ქალღმერთ კიბელასთან (იხ. კიბელა).

როდოსი — ყველაზე უფრო აღმოსავლე-

თი კუნძული ეგეოსის ზღვაში, 18 კილომეტრზე კარიის სანაპიროდან. აქ იდგა 32 მეტრი სიმაღლის ჰელიოსის ბრინჯაოს ქანდაკება (როდოსის კოლოსი), ქვეყნიერების ერთ-ერთი საოცრება, რომელიც მიწისძვრამ დაანგრია ძვ. წ. 290 წელს. როდოსი ითვლებოდა ჰელიოსის კულტის ცენტრად.

ს

სალამინი — კუნძული ატიკის სანაპიროსთან, ელევსინის პირდაპირ. მითის თანახმად აქ მეფობდა გმირი აიაქსი, კალიდონის ნადირობის მონაწილე გმირი ტელამონის ძე.

სარპედონი — 1. ზევსის და ევროპის შვილი, მინოსის და რადამანთეს ძმა. ძმის მიერ შევიწროებული სარპედონი კრეტიდან ლიკიაში გადავიდა. სიკვდილის შემდეგ ქვესკნელის მოსამართლეა; 2. ზევსისა და ლაოდამეას ძე, ლიკიელთა წინამძღოლი, ილიონთან პატროკლემ დასცა, ჰიპნოსმა ჩააძინა და ლიკიაში დაკრძალეს. მითოგრაფებმა ეს ორი გმირი შეაერთეს და მისი დღეგრძელობა იმით ახსნეს, რომ ზევსმა სამი კაცის სიცოცხლე მისცაო; 3. გმირის სახელი ეწოდა მთებს ლიკიასა და თრაკიაში.

სატირები — ტყის დემონები, თხაკაცები, ტყის უმდაბლესი ღვთაებანი, მხიარული, ავხორცი, ზარმაცი და მუდამ მთვრალი თანამგზავრები, რომლებიც დიონისეს გამზრდელ სილენს დაჰყვებიან, რომ სახედრიდან არ გადმოვარდეს. ადრეული ხელოვნების ძეგლებში თხის ფეხები აქვთ და თხის კუდი, მოგვიანებით გამოხატავდნენ მშვენიერ ჭაბუკებად (პრაქსიტელის სატირი), ტირსით ხელში დაეხეტებიან, ნიმფების ფერხულს მართავენ. ადრე სილენებში ურევდნენ. ძველ საბერძნეთში წარმოდგენის — ტრიალოგიის, შემდეგ სატირთა კოსტუმებით გამოწყობილი მსახიობები გამოჰყავდათ (კომიკური ქორო, აქედან სატირა— სასტიკი დაცინვის გამომხატველი ნაწარმოები).

• • • მთვრალი, მსუნაგი, სასაცილო არსებები.

საუკუნეები — ბერძენ და რომაელ მწერლებთან ძლიერ პოპულარული თქმულების მიხედვით, კაცთა მოდგმის ისტორია იყოფოდა ხუთ მთავარ საუკუნედ: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, გმირთა და რკინის საუკუნეებად. ბერძენთა წარმოდგენა ოქროს საუკუნეზე, აგრეთვე ნეტართა კუნძულებზე, საითაც გადასახლდნენ სიკვდილის შემდეგ გმირთა სულები, ნასესხები უნდა იყოს აღმოსავლეთიდან. ოქროს საუკუნეში ადამიანები საყოველთაო ბედნიერების მორევში ცურავდნენ, არ იცოდნენ დარდი და ღმერთებივით ნებივრობდნენ, ხანგრძლივი სიცოცხლის შემდეგ კი წყნარად იძინებდნენ. მომდევნო, ვერცხლის საუკუნეში კრონოსის ხანა შეცვალა ზევსის მეუფებამ, ცხოვრების დონე დაეცა. ადამიანები აღივსნენ ამპარტავნობით და ზევსმა ეს მოდგმა გაქრიტა. ღმერთთა სწორ გმირთა მოდგმა სისხლისმღვრელ ბრძოლებში გაწყდა. სპილენძის და რკინის საუკუნეებში ცხოვრება იმდენად მძიმე და აუტანელი გახდა, რომ სამართლის ქალღმერთმა ასტრეამ მიატოვა დედამიწა და ზეცას შეაფარა თავი.

სილენე — მთვარე, სახემკრთალი და ოქროსგვირგვინიანი ფრთოსანი ქალღმერთი, ტიტან ჰიპერიონისა და თედას, სხვა ვერსიებით პალანტის ან ჰელიოსის, ასული, რომელსაც უყვარდა მშვენიერი ჭაბუკი ენდიმიონი. ზოგი ვერსიით ეტლში ხარები უბია. მართლაც, ხარის რქებსა ჰგავს ახალი მთვარე, ამითვე ხსნიან ხარისსახა ზევსის მიერ ევროპის გატაცებას. მითის მიხედვით, მზე რომ ამოდის, მთვარე ჩადის. ზოგ მკვლევარს ენდიმიონი მზის სახედ მიაჩნდა, მთვარეს რომ უერთდება ოკეა-

ნეში. ელიდაში გავრცელებული მითის თანახმად, ენდიმიონსა და სელენეს 50 შვილი ჰყავდათ (ოლიმპიური ციკლის 50 მთვარის თვე).

სემელე — კადმოსის ასული, ზევსის სატრფო, ღმერთ დიონისეს დედა, რომელსაც მისივე თხოვნით, ჰერამ რომ შთააგონა, ზევსი გამოეცხადა მთელი თავისი სიდიადით. მოკვდავმა ქალმა ვერ გაუძლო და დაიწვა, მის წიაღში უკვე ჩასახული დიონისე კი ზევსმა ბარძაყში შეინახა.

სერიფოხი, სერიფი — კუნძული კიკლადის ჯგუფიდან. ამ კუნძულზე გამორიყეს ზღვის ტალღებმა გმირი პერსევსი და მისი დედა დანაე.

სთენელოსი — 1. პერსევსის და ანდრომედას ძე, ევრისთევსის მამა; 2. კაპანევსის და ევადნეს ვაჟი, ეპიგონების ლაშქრობის და ტროას ომის მონაწილე, გმირ დიომედეს თანამებრძოლი; 3. ჰერაკლეს მეგზური.

სთენო (ძლიერი)—უძლიერესი, უკვდავი გორგონა.

სიდონი—ძველ ფინიკიელთა სახელგანთქმული ქალაქი.

სიზიფე—ეოლოსის შვილი, პლეადა მეროპეს მეუღლე, ბელეროფონტეს მამა, კორინთოს მშენებელი და მეფე, მოკვდავთა შორის ყველაზე უფრო მოხერხებული, რომელმაც თვით სიკვდილის ღმერთი თანატოსი მოატყუა და ჰადესიდან ამოსვლაც კი მოახერხა. ცბიერ ოდისევსს ენათესაეება. ჰომეროსი ახასიათებს როგორც მანკიერ, ხარბ ადამიანს. კორინთოს ყელზე კედელი აღმართა, ხარკს ართმევდა ყველას, ვინც ატიკიდან პელოპონესში მიდიოდა, ან კლავდა. საიქიოში სასტიკად დაისაჯა: მთის მწვერვალისაკენ მიაგორებს უზარმაზარ ლოდს, რომელიც თითქმის ბოლომდე ატანილი, უკანვე უგორდება.

• • • სიზიფეს შრომა — უნაყოფო, ქანცის გამწყვეტი შრომა.

სიკიონი — ქალაქი ჩრდ. პელოპონესში, კორინთოს ყელთან.

სილენოსი — დიონისეს აღმზრდელი, მცირეაზიური წარმოშობის სახე, ელიდასა და არკადიაში ფრიად პატივცემული დემონი, ნახევრად ღმერთი, ნახევრად კაცი, ჰერმესის, ზოგი ვერსიით პანის შვილი. გრძნეული, მუდამ მთვრალი, იმ რუმბიეით მრგვალი, სახედარზე მჯდომს ყოველთვის წინ რომ უდევს, რათა ღვინო არ შემოაკლდეს. ასე დაატარებენ მთიდან მთამდე სატირები. ვინც მძინარს შებოჭავს, ნატვრას აუსრულებს. ადრე თელიდნენ უთვალავი სილენოსა და სატირის მამად, ვერც არჩევდნენ სატირებისაგან.

სიმპლეგადები (შეჯახებული კლდეები)— პლანქტები, მოძრავი კლდის კედლები, რომელთა შორის, მათი დაუსრულებელი

სიზიფე (ნახატი კერამიკულ ლარნაკზე).

შეჯახების გამო, ფრინველთაც კი არ შეეძლოთ გაფრენა, და თვით მტრედებიც რომელსაც ზევსისათვის ამბროსია მიჰქონდათ, ხშირად იღუპებოდნენ. ღმერთების შეწევ-

ნით, არგონავტებმა განულეს. ძველი ბერძნების წარმოდგენით მდებარეობდნენ შავი ზვის შესასვლელში.

სინისი — ფიქვთამდრეკელი, ჰაბუკ თეზევსის მიერ მოკლული ბუმბერაზი, ორ ფიქვს რომ მოხრიდა, გამქელებს მიაბამდა და ხლეჩდა. თეზევსმა ასევე დასაჯა თვით სინისი.

სიპილე — 1. მთა ლიდიაში, მაგნესიასთან; 2. ქალაქი ამ მთასთან; 3. ნიობეს და ამფიონის შვილი, მოკლა აპოლონმა.

სირინოზები — ზღვის მშვენიერი ქალწულები (ჰომეროსთან ორნი, გვიანდელ თქმულებებში სამნი), რომლებიც ცხოვრობდნენ კირკეს კუნძულსა და სკილას კლდეებს შორის და თავიანთი ჯადოსნური სიმღერებით ხიბლავდნენ, ღუპავდნენ მეზღვაურებს. ოდისევსმა თანამგზავრებს ყურები ცვილით ამოუვსო, თვითონ კი თავი ანძაზე მიაბმევინა და ასე გადარჩა დაღუპვას, სირინოზები კი, რომელთა სიცოცხლე მხოლოდ მანამ ეწერათ, სანამ რომელიმე მეზღვაური უვნებლად ჩაუელიდათ, ზღვაში გადავარდნენ და კლდეებად იქცნენ (სხვა ვერსიით მათი დაღუპვა მოხდა მას შემდეგ, რაც არგონავტების მხლებელმა ორფევსმა თავისი ჯადოსნური სიმღერით დაფარა მაცდურთა გალობა). გამოსახავდნენ ფრთოსან, წელქვემოთ თევზის ქერტლით დაფარული ქალების სახით. ფრინველთა ფეხები დემეტრემ გამოასხა, რადგან ჰადესის მიერ გატაცებული ასულის — პერსეფონეს ძებნაში დახმარება არ გაუწიეს.

• • • მაცდური, ლამაზი, ხმით მომხიბლავი ვინმე.

სირინქსი — ნიმფა, რომელიც პანმა შეიყვარა და გამოედევნა. ნიმფა ლერწმად იქცა, რომლიდანაც პანმა სალამური გააკეთა.

სიცილია—ხმელთაშუა ზღვის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი კუნძული, რომლის ეულკანებმაც საგრძნობი როლი ითამაშეს ბერძენთა მითოლოგიური სახეების დასახლებასა და საქმეებში. ევროპის უდიდესმა ვულკანმა ეტნამ მეოცნებე ხალხს საშუალება მისცა აქ დაესახლებინა ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული ტიფონი. აქვე გამოუპედა ზევსს ისრები ჰეფესტომ და სხვ.

სკვითები — ახლანდელი რუსეთის სამხრეთ სტეპებზე ნახევრად მომთაბარე, ნახევრად მიწათმოქმედი ხალხი იმ დროებისა, როცა ბერძენთა წარმოდგენით ჰერაკლე პრომეთეს ხსნიდა და არგონავტები მზიურ კოლხეთში მოემართებოდნენ. ჰეროდოტეს აზრით, ტანეისიდან ტირიამდე, ე. ი. დონიდან დნესტრამდე ბინადრობდნენ. მერე ეს ხალხი გაქრა. მათი იარაღი იყო დანა, მშვილდ-ისარი, მახვილი, აბჯარი. ჰქონდათ ძვირფასი ლარნაკები. ამონათხარი მატერიალური კულტურის ძეგლები არ ამართლებენ წარმოდგენას სკვითების ველურობაზე. ურთიერთობა ჰქონიათ ბერძნებთან, ჰყოლიათ ღმერთები: პაპაი—ზევსი, არტიმნასი—აფროდიტე და სხვ.

სკვითია — სკვითების ქვეყანა, გაშლილი უდაბნო, ციი მხარე ეოლგის, დონისა და აზოვის სანაპიროებზე.

სკილა და ქარიბდასი—ორი ურჩხული შუაგულ ზღვაში. სკილა ფორბასის და ჰეკატეს ასულია, ექვსთავიანი და თორმეტფეხიანი გველეშაპი, იტალიასა და სიცილიას შორის სრუტეში მობინადრე. კლდეში ცხოვრობს, ძაღლივით ყეფს, ექვსივე ხახა გაუღია, წყალთან ერთად ნთქავს და ამოანთხევს გემებსა და ადამიანებს. ზოგი მითი ლაპარაკობს სკილას (სცილას) სილამაზეზე, გლავკეს სიყვარულზე და კირკეს ეშვიანობაზე, ზოგი კი — პოსეიდონის სიყვარულზე და ამფიტრიტეს ეშვიანობაზე. ამ „ლამაზი“ ურჩხულის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა მეორე, მისებრ საშინელი ქარიბდასი. ვინც სკილას გადარჩება, ქარიბდას ჩაუვარდება. ერთი მითის მიხედვით, როცა კრეტის მეფე მინოსმა ათენი დალაშქრა და უკან

ბრუნდებოდა, მეგარის მეფის — ნისოსის ასულმა სკილამ შეიყვარა, მინოსმა ეს ქალი საკვეს მიაბა და ქალი ურჩხულად იქცა.

• • • სკილასა და ქარიბდასს შორის მოხვედრა — ორ დამღუპველ საფრთხეს შორის მოხვედრა.

სკიროსი — კლდოვანი კუნძული ევბეას აღმოსავლეთით.

სოლიმები — ლიკიის ჩრდილოეთ საზღვარზე მობინადრე ხალხი.

სოფოკლე (დაახ. ძვ. წ. 496 — 406) — გენიალური ბერძენი ტრაგიკოსი, მიიღო ბრწყინვალე განათლება, მიაღწია მაღალ სახელმწიფოებრივ მდგომარეობას, დაწერა ასზე მეტი დრამა, შემონახულია მხოლოდ 7: „ანტიგონე", „ოიდიპოს მეფე", „ოიდიპოსი კოლონოში", „ელექტრა", „ტრაქინელი ქალები", „ფილოქტეტე" „აიაქსი". სიუჟეტებს ესქილესავით მითებიდან იღებდა, მისი ტრაგედიები, ღრმა და მონუმენტალურია.

სტიმფალიდები, სტიმფალის ფრინველები — არკადიაში (ახლანდელი იარაკა) ქალაქ სტიმფალის მიდამოებში მობინადრე სპილენძის ფრთებიანი მტაცებელი ფრინველები. არგონავტებს ეს მტაცებლები თავს დაესხნენ კუნძულ არეტიაზე, კოლხეთთან, და სპილენძის ფრთები დაუშინეს. არკადიაში სტიმფალის ტბიდან ჩასასვლელი იყო მიწისქვეშა მღვიმეებში, რამაც საბაბი მისცა ბერძნებს შეექმნათ მითი სტიმფალიდებზე.

სტიქსი — ასე ეძახდნენ არკადიის ერთ შხამიან ნაკადს. სიცოცხლისათვის საშიში მისი წყალი კლდიდან ეფსკრულში რომ იფრქვეოდა, ზლიდა ყველაფერს, ცხენის ფლოქვის გარდა, აქედან ეწოდა სტიქსი ჰადესის წმიდა მდინარეს, რომლის ურყევ „საზარელ ფიცს" (ოდ. V, 186) ვერ გატეხდა ვერც ერთი ღმერთი, ხოლო თუ გატეხდა მთელი წლით ეგდო უძრავად, მერე კი ცხრა წლით იდევნებოდა როგორც ღვთაება. სტიქსი ოკეანისა და ტეთიდას ასულია, ქვესკნელის, წყვდიადის, ელდისა და ზარის განსახიერება (სტიგეინ—საზარლობა, სუსხი). ცხოვრობდა უკიდურეს დასავლეთში, დიდებულ სასახლეში, რომლის ვერცხლის გუმბათი ცას ებჯინება. თვით ღმერთები ერიდებიან, მხოლოდ, ერიდა არ ერიდება წმიდა წყლისათვის შეირბენს ხოლმე ქამიდან ქამემდე. ქალღმერთის ფერხთით იღებს სათავეს შავბნელი მდინარე სტიქსი. კრონოსის და ზევსის ბრძოლაში ზევსს დაეხმარა, რისთვისაც ოლიმპოს მბრძანებელმა ფიცის ქალღმერთის პატივი უბოძა.

სფინქსი (მკვლელი, მგუდავი) — 1. ქიმერისა და ორთროსის შვილი, ურჩხული, ფრთოსანი ლომქალი, რომელიც თებეს გზაზე იჯდა კლდეზე და გამვლელებს გამოცანებს აძლევდა. ვინც ვერ ამოხსნიდა, ლომის თათებით გლეჯდა.

• • • სფინქსი — რაღაც გამოუცნობი, სიზმარეული, მტანჯველი. სფინქსის ამოცანა — ამოუხსნელი რამ.

ტ

ტავრიდი — დღევანდელი ყირიმი. ამ მხარის ხალხი სკვითების მიერ შევიწროებულ კიმერიელებად მიაჩნდათ. ადამიანის მსხვერპლად შეწირვას მიაწერდნენ.

ტალაე — არგოსის მეფე, ადრასტეს პართენოპეს და ერიფილეს მამა, არგონავტი.

ტალოსი — 1. ზევსის ნაჩუქარი სპილენძის ბუმბერაზი, რომელიც კუნძულ კრეტას დღეში სამჯერ უვლიდა გარშემო და არავის უშვებდა ზედ. კრეტაზე ჩასული არგონავტების მსხვერპლი შეიქნა.

ტანტალე, ტანტალოსი — 1. ლიდიის,

ზოგი ვერსიით სიპილის მეფე (ფრიგიაში), თუმცა კორინთოს და არგოსის მეფედაც ითვლება, ზოგი მითით ზევსის შვილია, პელოპისა და ნიობეს მამა, ატრეუსისა და თიესტეს პაპა, რომლის საზარელი დანაშაული ბავშვის მოხარშვა ატრეუსმაც გაიმეორა. ყოველ მოკვდავზე მეტად უყვარდა ზევსს, მაგრამ ყველა მის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო სასტიკად დაისაჯა ჰადესის სამეფოში. პინდარე ჩამოთვლის მის ოთხ დარღს: ქვას, ზევსმა რომ დაჭიდა, შიმშილს, წყურვილს და სრულ უიმედობას, რაც ყველაზე მძიმეა; 2. ნიობესა და ამფიონეს ვაჟი.

• • • ტანტალეს ტანჯვა — უსაზღვრო ტანჯვა ადამიანისა, რომელიც „ველარ ეზიარება სიხარულს“ (პინდარე).

ტარტაროსი — 1. საზარელი ქვესკნელი, სავსე მარადიული წყვდიადით, იმდენადვე ღრმაა, რამდენადაც მაღალია ცა. სპილენძის გრდემლი ცხრა დღე იქროლებდა მის ფსკერამდე. გარშემო რკინის პიშკრებიანი კედელი ეკვლება, პოსეიდონმა რომ ააგო. იქ ჩააგდო ზევსმა დამარცხებული კრონოსი და ტიტანები, რომელთაც ასხელა ბუმბერაზები დარაჯობენ; 2. ეთერისა და მიწის შვილი, ქვესკნელის ხორცშესხმული ღვთაება.

ტევმესო — მთა ბეოტიაში, ცნობილი საკვირველი მხეცით, ღმერთებმა რომ მიუგზავნეს დამსჯელად თებელებს იმისათვის, რომ კადმოსის შემკვიდრეებს ტახტი წაართვეს. კეფალემ დაადევნა არტემიდეს ნაჩუქარი ძაღლი. ზევსმა ორივე ქვად აქცია.

ტეთიდა — ურანოსისა და გეას (ცისა და მიწის) ასული, ტიტანიდა, ოკეანის და და მეუღლე, მდინარეთა და 3000 ოკეანიდის დედა. წყალთა სტიქიაა ხორცშესხმული ამ ქალში, გვიან ისიდას სახეში რომ გაითქვიფა. შეიფარა ჰერა, ვიდრე ზევსის მეუღლე გახდებოდა.

ტელამონი — 1. ეგინის მეფის ეაკეს ძე, პელევსის ძმა, ჰერაკლეს მხლებელი ტროასთან და ამორძალებზე ლაშქრობაში, არგონავტების ლაშქრობის და კალიდონის ნადირობის მონაწილე. მამაცი მეომარი, არც მოხერხება აკლდა; 2. ატლანტის მეტსახელი.

ტელებოელები (ტაფიები) — ასე ეძახდნენ პელოპონესის სანაპიროზე მდებარე კუნძულ ტაფოსზე მცხოვრებ ტომს. ტელებოელთა სახელი მიიღო მთელმა არქიპელაგმაც.

ტელემოსი — ევრიმოსეს შვილი, გრძნეული კიკლოპი, წინასწარმეტყველი.

ტენარის კონცხი (თანამედროვე მატაპანი) — კონცხი ძველ ლაკონიკაში, პელოპონესის (და მთელი საბერძნეთის) უკიდურესი სამხრეთი წერტილი, სადაც აგებული იყო პოსეიდონის სახელობის ამავე სახელწოდების სამლოცველო. აქვე იყო უფსკრული, რაც მითის მიხედვით წარმოადგენდა ქვესკნელის სამეფოში ჩასასვლელს. აქ ვამოიტანეს ნაპირზე, ლეგენდის თანახმად, დელფინებმა პოეტი არიონი.

ტერეუსი — არესის შვილი, თრაკიის მეფე, დაეხმარა ათენის მეფეს პანდიონს, „განდევნა შემოსეული ლაბდაკიდები, ითხოვა მისი ასული პროკნე, მერე მისი და ფილომელა წამოიყვანა და თავის ტყვედ აქცია. საშინელი სამაგიერო მიუზღეს ცოლმა და ცოლისდამ — მოკლეს მისი შვილი და კერძის სახით მიართვეს. ტერეუსი დაედევნა მათ და იქცა ოფოფად.

ტერპსიქორე („ცეკვის მოყვარული“) — ცეკვისა და ფერხულის მუზა.

ტიდეუსი — თებეს წინააღმდეგ შეიდთა ლაშქრობის მონაწილე, ათენა-პალადას რჩეული გმირი, კალიდონის მეფის ოინეუსის შვილი, ტროას გმირ დიომედეს მამა. მოკლა ბიძა და გაქცევა მოუხდა, არგოსის მეფე ადრასტეს ჩაესიძა, იბრძოდა მასთან ერთად. მელანიპეს ხელით სასიკვდილოდ დაჭრილს ათენა მიუახლოვდა, უკვდავების

მისანიჭებლად და დაინახა გმირი მტრის თავისქალიდან ტვინს ჭამდა, ქალღმერთმა ზიზღით ზურგი აქცია.

ტითონი (წვა, აკვამლება) — ხახიდან ცეცხლის მფრქვეველი ურჩხული, გეას და ტარტაროსის ნაშიერი, მიწის ცეცხლოვან ძალთა უკანასკნელი ბუმბერაზი, სიკვდილის ხორშაკის განსახიერება, რომელიც ადრე მცირე აზიის მიწის წიაღში ცხოვრობდა, მერე კი, როცა სიცილიასა და იტალიაში ვულკანებს მიაგნეს იქ გადაასახლეს. ეტნის წიაღში გდია შებოჭილი. ზევსთან ბრძოლაში დამარცხებული, ცეცხლს აფრქვევს და მიწას არყევს. უჩვეულო ღონის ხელ-ფეხი აქვს, ასი დრაკონის თავი და ცეცხლისმფრქვეველი თვალები. ხახიდან ხან ღმერთების ხმა ამოსდის, ხან ხარის ბღავილი, ხან ძაღლის ყეფა, ხანაც გველივით სისინებს. ეს არსება დაეპატრონებოდა ცასა და მიწას, მაგრამ ურჩხულს ზევსი შეება. მიწა შეზანზარდა, ზღვასა და ხმელეთს ცეცხლი მოედო. ქვესკნელი შეირყა. სძლია ტითონმა ოლიმპოელებს, ყველა ღმერთი გაიქცა, უცხო მხარეში სხვადასხვა ცხოველებად გადაიქცნენ, მხოლოდ დიდი ზევსი დარჩა ბრძოლის ველზე. ტითონმა ზევსსაც სძლია, ხელ-ფეხის ძარღვები ამოჭკვეთა, კილიკიის ერთ გამოქვაბულში დააგდო, ჰერაკლემ მოიტაცა, დაუბრუნა, განახლდა ბრძოლა, მეხით განგმირა ზევსმა ტითონი. ექიდნასთან გაჩინა ურჩხულები — ქიმერა, კერბერი, ლერნეს ჰიდრა, თებეს სფინქსი, არწივი, რომელიც პრომეთეს ძიძგნიდა. ქვეყანას დაღუპავდნენ ტითონის ნაშიერნი ჰერაკლეს და სხვა გმირებს რომ არ მოეკლათ; 2. სირიის მდინარე ოროტეს ძველი სახელწოდება; 3. ვარსკვლავი; 4. მშვენიერი ჭაბუკი, რომელიც კეფალესა და ორიონის მსგავსად გაიტაცა ვანთიადის ქალღმერთმა ეოსმა, ზევსს მისთვის უკვდავება გამოსთხოვა, მაგრამ მარადიული სიჭაბუკე კი არ უთხოვია, — ამიტომ დაბერდა. მათი შვილი მემნონი ტროელებს ეხმარებოდა, მოკლა ანტილოქე, დაეცა აქილევსის ხელით. ტითონის სილამაზე ნიმუშად მოჰყავს პოეტ ტირტეოსს.

ტინდარე — სპარტის დეენილი მეფისწული, მშვენიერ ელენეს, დიოსკურებისა და კლიტემნესტრას დედის — ლედას მეუღლე, ოთხიდან მხოლოდ კასტორი და კლიტემენესტრაა მისი, პოლიდევკე და ელენე კი — ზევსის შვილებია. ძმამ — პიპოკოონტმა ტახტი წაართვა, ჰერაკლემ დაუბრუნა. როცა მშვენიერ ელენეს მთხოვნელები მიაწყდნენ, ოდისევსის რჩევით სასიძოებს ფიცი დაადებინა, ქალის წამყვანს ყველა დანარჩენი ძმურად დაეხმარებაო. ამიტომ დაეხმარა მთელი საბერძნეთი მენელაოსს, როცა ელენე პარისმა გაიტაცა ტროაში. კეთილი რჩევის სამაგიეროდ ოდისევსს თავისი ძმისწული პენელოპე შერთო. ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვა დაავიწყდა, აფროდიტე განურისხდა, ელენეს და კლიტემნესტრას ქორწილზე უბედურება დაწყევლა. ამას დაემატა დიოსკურების დაღუპვა. ტახტი მენელაოსს დაუთმო.

ტინდარიდები — ტინდარეს ვაჟები, დიოსკურები — კასტორი და პოლიდევკე.

ტირესია — სახელოვანი ბრმა თებელი მისანი, მანტოს მამა. შვიდი წლისამ აბაზანაში შიშველი ათენა იხილა და ამისათვის დაბრმავდა. დედა ქალღმერთს შეევედრა, მხედველობა დაუბრუნეო, მაგრამ ათენას ეს აღარ შეეძლო, სამაგიეროდ მისცა მისნობის ნიჭი, გონებრივი შორსმჭვრეტელობა, და ასწავლა ფრინველთა ენა. თებეში ტირესიას ღმერთთა თანაბარად სცემდნენ პატივს. მისი ასულიც მისანი იყო.

ტირინთი — ძველი დროის ცნობილი ქალაქი არგოლიდაში, პელოპონესის აღმოსავლეთ ნაწილში (ძვ. წ. XIV საუკ.), მიკენის უძველესი კულტურის ცენტრი, შუქი მოჰფინეს შლიმანის გათხრებმა, 1884—1885

წლებში. აქ დაიბადა ჰერაკლე.

ტირსი—დიონისესა და მისი თანამგზავრების სუროთი შემკული კვერთხი.

ტიტანები — ურანოსის და გეას შვილები, ოლიმპოელთა მოწინააღმდეგეები, უფროსი თაობის ღმერთები, ჰეკატონქეირების და კიკლოპთა და-ძმები, სულ 12 (6 ქალი, 6 კაცი); ოკეანე, ტეთიდა, თეა, რეა, თემიდა, მნემოსინა, კოიოსი, კრიოსი, ჰიპერიონი, ფოიბე, იაპეტი, კრონოსი. ტიტანებმა დაამხეს ურანოსი და ტახტზე დასვეს კრონოსი, რომელიც თავის მხრივ მისმა შვილმა ზევსმა დაამხო. ბრძოლაში ზოგი ტიტანი ზევსს მიემხრო. ზევსმა მხოლოდ ასხელა ჰეკატონქეირების დახმარებით შეძლო მათი დამხობა და ურჩნი ტარტაროსში გადასტყორცნა.

* * * ნიკითა და სიდიადით გამორჩეული გენიალური ადამიანი.

ტიფისი — არგონავტების მესაქე.

ტიხე (რომაელთა ფორტუნა) — შემთხვევის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის ქალღმერთი, სახელმწიფოს მფარველი, ოკეანის და ტეთიდას ასული, ხელში ცვალებადი ბედის ნიშნად ბურთობი უჭირავს, სიუხვის ნიშნად კი — ამალთეას რქა. ფორტუნას გამოსახავენ ბორბალზე მდგომს და თვალახვეულს.

ტმოლი — 1. მთა ძველ ლიდიაში, განთქმული ღვინითა და ოქროთი; 2. ლიდიის მეფე, ომფალეს ქმარი, ტანტალეს მამა; 3. ტმოლის მთის ღვთაება (ოვიდ.). პანისა და აპოლონის მუსიკალურ პაექრობაში მსაჯულის როლს მეფე ტმოლი ასრულებდა. ინგლისელი მეცნიერის ჰაიდ კლერკის აზრით, ამ მარად თოვლიანი მთის სახელი წარმოდგება ქართული სიტყვიდან „თოვლი".

ტრაქინე — დეიანირას სამყოფელი ქალაქი, აქ კვდება ჰერაკლე.

ტრიპტოლემოსი — ელევსინის მითიური მეფე, გუთნის გამომგონებელი, მიწათმოქმედების მამამთავარი, ქვესკნელის მსაჯულთაგანი.

ტრიტონი — პოსეიდონის და ამფიტრიტეს ბუმბერაზი შვილი, რომლის სახელი ჰქვია ბეოტიის ერთ-ერთ მდინარეს, ორმაგი თევზის კუდი აქვს, ცხენის ფეხები, ხშირად ნერეიდებს ახლავს, ნიჟარის საყვირს ახმიანებს. პინდარე მოგვითხრობს მითიურ ტრიტონის ტბის ამბავს. ეს ტბა ლიბიაშია, გასასვლელი ვერ უპოვნეს არგონავტებმა.

ტროა იგ. ილიონი — ნახევრად ლეგენდარული ქალაქი-სიმაგრე, მცირე აზიის დასავლეთ ნაპირთან, დაახ. 4000 წლის წინ აშენებული (ნანგრევები აღმოაჩინა, შლიმანმა 1870 — 1890 წლებში). ტროას ომი 9 წელს გაგრძელდა და დასრულდა მეათე წელს ილიონის დანგრევით.

ტროიძენე, ტროისენე — ქალაქი არგოლიდაში, გმირი თეზევსის დედის სამშობლო.

უ

ურანოსი (ცა) — ბერძენთა უძველესი და უზენაესი ღვთაება, ზეცის განსახიერება, გეას (დედამიწის) შვილი და მეუღლე. კრონოსის და ტიტანების, კიკლოპების, ასხელა ჰეკატონქეირების, ოკეანის, რეას და სხვათა მამა. ძალაუფლების დაკარგვის შიშით შვილები ქვესკნელში დაამწყვდია. მისი სისხლისაგან იშვნენ ფურიმაძიებელი ერინიები, ნიმფები და საზარელი გიგანტები. ზღვაში გადავარდნილი ხორციელი ნაწილისა და აქაფებული სისხლიდან კი — აფროდიტე.

ურანია (ციური მოვლენა, ცისფერი) — 1. ასტრონომიის მუზა; 2. აფროდიტეს ეპითეტი.

ფაეთონი, ფაეთონტი (სხივოსანი) — ჰომეროსთან ეს მხოლოდ ჰელიოსის ზედწოდებაა (ოდ. XXIII, 246). ასე ერქვა დღესაც, ჰელიოსსაც, განთიადის ქალღმერთის ერთ-ერთ ცხენსაც, მოგვიანებით შეიქმნა მითი ჰელიოსის შვილზე ფაეთონზე, რომლის სახელიც ეწოდა ჩვენს დროში ეტლს.

ფასისი, ფაზისი — რიონის ძველი სახელწოდება. ბერძენთა ცნობით, ამ მდინარეზე 120 ხიდი იყო. ამ მრავალშენაკადიანი მდინარის შესართავს ამშენებდა ქალაქი ფაზისი (ახლანდელი ფოთის მახლობლად).

ფეაკები (იგ. კერკირა)—სტუმართმოყვარე ალკინოეს სამეფო კუნძული იონიის ზღვაში, ითაკის ჩრდ., სადაც გულთბილად შეხვდნენ ოდისევსსა და არგონავტებს.

ფეგევსი — ალფეოსის შვილი, ფეგეის მეფე (არკადიაში), ალკმეონს რომ ჩამოსწმინდა შეცოდება. მერე კი სხვა დანაშაულისათვის მოაკვლევინა; 2. ენეასის მეგზური.

ფედრა — პასიფაეს და მინოსის ასული, არიადნეს და, თეზევსის მეორე ცოლი, ევრიპიდეს ტრაგედიის გმირი.

ფენიქსი — ეგვიპტური მითოლოგიის ცნობილი ფრინველი, რომელიც ყოველ 500 წელში თავს იწვავდა, რომ ფერფლიდან ხელახლა აღმდგარიყო.

• • • ფენიქსივით ფერფლიდან აღდგაო იტყვიან რაიმე დაღუპულზე, რაც ხელახლა აღორძინდა.

ფთია, ფთიე — ძველი მხარე და ქალაქი თესალიაში, აქილევსის საბრძანებელი.

ფილომელე, — ათენის მეფის პანდიონის ასული, თრაკიის მეფის ტერეუსის მეუღლის პროკნეს და. დასთან ერთად შური იძია ტერეუსზე, რომელმაც სასტიკად შეურაცხყო და ენა ამოჭკვეთა. იქცა მერცხლად, რომელსაც გულზე სისხლის წითელი ლაქა აქვს.

ფილოქტეტე — ჰერაკლეს მეგობარი, განთქმული მოისარი, რომელმაც ტროას წინააღმდეგ 7 გემი გამოიყვანა. ტენედოსის კუნძულზე გველმა უკბინა, საშინელი სუნი სდიოდა, ბერძნებმა გზაში დატოვეს. მაქაონმა განკურნა და ჰერაკლეს ნაჩუქარი ისრით განგმირა პარისი. დაბრუნების შემდეგ იტალიაში დააარსა ქალაქები.

ფინეუსი — 1. თრაკიის ერთ-ერთი მხარის მეფე, აგენორის ძე. მას პირველ ცოლთან — ბორეასის ასულ კლეოპატრასთან ჰყავდა ორი შვილი, მეფე დარდანის ასულ იდეამაც ორი შვილი აჩუქა. იდეას ჩაგონებით ფინეუსმა კლეოპატრას შვილები დააბრმავა, რისთვისაც ღმერთებმა მოუვლინეს ჰარპიები, ბორეადებმა ჰარპიები განდევნეს და იხსნეს უბედურებისაგან. იგი მეორე დანაშაულის — ზევსის საიდუმლოს გაცემის გამო ღმერთებმა დააბრმავეს. სხვა თქმულებით, ღმერთებმა ფინეუსი დაბრმავეს იმისათვის, რომ ფრიქსეს კოლხეთის გზა ასწაელა. არის ასეთი ვერსიაც: ზევსმა არჩევანი შესთავაზა, ან სიკვდილი ან სიბრმავე. ფინეუსმა მეორე ამჯობინა. ამაზე ჰელიოსი განრისხდა: უმზეოდ სიცოცხლე რად ისურვეო და ყოველისშემმუსვრელი ჰარპიები მიუგზავნა. სხვა ვერსიით, ბორეადებმა დააბრმავეს, რადგან მათი და მიატოვა; 2. ბელეს შვილი, ეგვიპტოსის და აეფევსის ძმა, ანდრომედეს პირველი საქმრო, რომელმაც არ ისურვა დანიშნულის დათმობა. პერსევმა მედუზის თავი უჩვენა და გააქვავა.

ფინიკია — ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადაშლილი უძველესი ზღვაოსნობის განთქმული ქვეყანა (სახელწოდება ბერძნულია). ბერძნებივით და ეგვიპტელებივით მდიდარი პოეტური მითოლოგია არა ჰქონიათ პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ფინიკურ ქალაქებს, მაგრამ

მათს ბაალს (მბრძანებელს), ადონისს (ბატონს), მოლოხს, ასტარტას ბევრი რამ აქვთ საერთო ბერძ, და სხვა ხალხთა უძველეს ღმერთებთან.

ფიტალე — ატიკელი გმირი, დემეტრემ სტუმართმოყვარეობისათვის ლეღეის ხე აჩუქა, სამაგიეროდ დემეტრეს კულტი დამკვიდრა ელევსინში. მისმა შვილებმა — ფიტალიდებმა განწმინდეს თეზევსი ატიკის გზაზე მოკლულ ავაზაკთა სისხლის სიბილწისაგან.

ფლეგრეის ველი — კრატერებით დაფარული ველი კამპანიაში, სადაც ძველთაგანვე ცხელი წყაროების შადრევნები ჩქეფდა. აქ გაიმართა გიგანტებისა და ღმერთების ბრძოლა.

ფობოსი და დეიმოსი — არესის და აფროდიტეს შვილები, ომის ღმერთის მხლებელნი, შიშისა და გამოღვიძებული ელდის ღმერთები.

ფოინიქსე (ძოწისფერი) — აგენორის ვაჟი, ევროპის მამა, ფინიკიელთა მითიური მეფე, სხვა თქმულებით ევროპის ძმა, რომელიც ზევსის მიერ გატაცებულ დას დაეძებდა. დაარსა სამეფო და სახელი მისცა ფინიკიელებს.

ფოკიდა — შუა საბერძნეთის ერთ-ერთი მხარე.

ფოკოსი — 1. კორინთელი გმირი, ორნიტიონის, ზოგი ვერსიით, პოსეიდონის შვილი, ფოკიდის ეპონიმი, ანტიოპეს ქმარი, განკურნა ეს ქალი სიგიჟისაგან; 2. ეგინელი ეპაესა და ნიმფა ასამათეს შვილი. მოკლეს ძმებმა (მამის მხრით) ტელამონმა და პელევსმა, რომლებიც ამის გამო განიდევნენ.

ფოლოსი — სტუმართმოყვარე და კეთილი კენტავრი, ბრძენ ქირონის ნათესავი, რომელიც დიონისეს ნაჩუქარი რჩეული ღვინით გაუმასპინძლდა ჰერაკლეს, სუნით მოიზიდა სხვა კენტავრები და ომი აუტეხეს. ამ ბრძოლაში ჰერაკლეს ქირონი შეშოკვდა.

ფონევსი, ფონოსი (მკვლელი. ფონოსმკვლელობა; მსხვერპლი).—სიკვდილის ღმერთი, მეტადრე მკვლელებისა, ტროასთან რომ მძვინვარებდა.

ფრასიასე — კვიპროსელი მისანი (იხ. ჰერაკლე ეგვიპტეში).

ფრიგია — ფრიგიელთა ტომით დასახლებული ეროელი მხარე მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში. სხვადასხვა დროს ემორჩილებოდა კიმერიელებს, ლიდიელებს, სპარსელებს, მაკედონიელებსა და რომაელებს. გადმოცემით, აქ გამოიგონეს ეტლი, ხალიჩების ქსოვა და სხვ.

ქ

ქალკიდა (ქალკისი) — ძველი გამაგრებული ქალაქი კუნძულ ევბეის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე, საბერძნეთს ხიდით უერთდება.

ქაოსი — ყოფიერების პირველი საწყისი, რომელმაც შვა თვით გეა (დედამიწა), ეროსი, ტარტაროსი, ერებოსი და ღამე; პირველია უნაპირო სივრცე, უსაწყისო დროის სიღრმეში შობილი ქვეყნიერების შექმნამდე, კვერცხის ფორმის ნისლოვანი ქარსით გარშემოცული. გარსი გაიყო და გაჩნდა ცა და მიწა. ამ მითში აისახა ძველ ბერძენთა მინიშნება სამყაროს წარმოშობის მატერიალისტურ საწყისზე.

• • • უწესრიგობა, არეულობა, უთავბოლობა, კაცი რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს (საქმეში, სახელმწიფოს ცხოვრებაში).

ქარიტა, ქარიტები (რომაელთა გრაცია)— მშვენიერების, ბედნიერებისა და მოხდენილობის ქალღმერთები, ორქომენეს ძველი ღვთაებანი (პირველად—ნაყოფიერების ქალღმერთები). ზევსის და ჰერას (ზოგი ვერსიით ევრინომეს) ასულნი. სულ სამნი არი-

ან: ევფროსინე (სიხარული), აგლაია (ელვარება) და თალია (ფერი), აფროდიტეს, აპოლონის და დიონისეს მხლებელნი, რომელთაც ცეკვა-სიმღერითა და უმწიკვლო მშვენიერებით ყველგან ხალისი და სიამე შეაქვთ.

* * * მშვენიერი ქალი.

ქარონი — ერებოსის და ღამის ზოგი ვერსიით სტიქსის შვილი, მიცვალებულთა გადამყვანი აქერონტის ტალღებში. პირქეში, ჭუჭყიანი ბერიკაცი, საბერძნეთში ახლაც დაფრინავს ერთი შავი ფრინველი, სახელად ქარონტასი.

ქერსე — 1. სალამინელთა მეფე კვიპროსზე; 2. გორგონის მამა; 3. ადგილი კირენაიკეში.

ქთონია — 1. ერეხთეუს ათენელის ასული, მსხვერპლად შესწირა მამამ ღმერთებს, რათა ელევსინის დღესასწაულზე გამარჯვებული გამოსულიყო; 2. დემეტრეს ზედწოდება.

ქთონიური ღმერთები (ქთონ—მიწა) — მიწასთან ან ქვესკნელთან დაკავშირებული ღვთაებანი: ჰადესი, დემეტრე, პერსეფონე, ჰეკატე...

ქიმერა — ტიფონისა და ექიდნას ასული, საარაკო, სამთავიანი ურჩხული, სფინქსის და ნემეის ლომის დედა, ლომის თავმკერდი აქვს, გველის კუდი, თხის ტანი, ცეცხლისმფრქვეველია და ელდისმომგვრელი. ბელეროფონტმა მოკლა ლიკიის მეფის დავალებით. ბუნაგად დებენ უფრო ლიკიის ომ ადგილს, სადაც მიწა გაიპო, ამით ახსნეს ჩამქრალი ვულკანის საიდუმლო. არაერთხელ აისახა ხელოვნებაში.

* * * მოგონილი, ცარიელი, არარეალური, ფუჭი ფანტაზიის ნაყოფი.

ქირონი — პელიონის მკვიდრი, კენტავრებს შორის ყველაზე უფრო ბრძენი და კეთილი თესალიელი ცხენკაცი, პოსეიდონის შვილი და ამდენად პოლიფემეს ძმა. იხსნა თავისი ნათესავი პელევსი, გაზარდა და გაწვრთნა მისი ვაჟი აქილევსი, ჰერაკლემ რომელსაც სხვა კენტავრებთან მოუხდა ბრძოლა, უცაბედად დაჭრა მოშხამული ისრით. დატანჯულმა ცხენკაცმა უკვდავება დათმო და პრომეთეს ნაცვლად ჰადესში ჩავიდა.

ქლორიდა — ყვავილების ქალღმერთი, პერსეფონეს ასული, პოსეიდონის მეუღლე ლეტოს თანაბრად სცემდნენ თაყვანს და კიდეც გაითქვიფა მის კულტში. სხვა ვერსიით ტირეზიას ასულად ითვლებოდა, ნესტორის დედად.

ქოეფორები (სამსხვერპლო სითხე) — მსხვერპლის შემწირავნი, ასე ეწოდება ესქილეს ერთ-ერთ ტრაგედიას.

ქრიზაორე (ოქროს მახვილოსანი) — პოსეიდონისა და მედუზას შვილი, გერიონის და ექიდნას მამა, პეგასის ძმა.

ქრისიპე — ნიმფა აქსიონესა და პელოპის შვილი, მოკლეს მამით ძმებმა ატრეევსმა და თიესტემ (იხ. ატრეევსი).

ქსანთი — 1. ეპირის ერთ-ერთი პატარა მდინარე; 2. ლიკიის მთავარი ქალაქი.

ძ

ძალა და ძალაუფლება — ზევსის მსახურნი, ღონისა და ძლიერების ხორცშესხმული განსახიერებანი, ზევსის ბრძანებით ეხმარებოდნენ ჰეფესტოს კავკასიონზე პრომეთეს მიჯაჭვაში.

ძეტე — ქარების ღმერთის ბორეასისა და ათენის მეფის ერეხთეუსის ასულის ორითიას ფრთოსანი ვაჟი, კალაისის ძმა (იხ. ბორეადები).

ხალიბები — მდინარე ირისის შესართავის აღმოსავლეთით მოსახლე ძველი ხალხი მცირე აზიის ჩრდილოეთ სანაპიროზე. დახელოვნებულნი იყვნენ რკინის დამუშავებაში (აქედან ფოლადის ბერძნული სახელწოდება — ხალიპსი).

ჰ

ჰადესი, აიდესი (უხილავი, ბნელეთი) — 1. ქვესკნელის პირქუში ღვთაება, რომაელთა პლუტონი, კრონოსის და რეას შვილი. ზევსის, დემეტრეს, ჰერას, პოსეიდონის ძმა, სამყაროს გაყოფის დროს ზევსს დედამიწა შეხვდა, ჰადესს — მიწისქვეშეთი. ზის პირქუში ჰადესი თავის ტახტზე, ფერხთით სამთავიანი ძაღლი კერბერი უზის, გვერდით—პერსეფონე. თავდაპირველად ეს სახელი ეწოდებოდა მხოლოდ ღმერთს, შემდეგ გავრცელდა საიქიოზეც; 2. იგ. ტარტარი, სიკვდილის სამეფო. მის დანისლულ ველებზე მხოლოდ ასფოდელები იზრდებიან, მიცვალებულთა სულები დაეხეტებიან. ჰადესში მარადიული მწუხრია, აღსავსე ურჩხულებით, ღამურებით, დემონებით, სუსხითა და ქვეწარმავლებით.

ჰარპია (ქსანთოსი).

ჰარმონია (თანხმობა) — 1. არესის და აფროდიტეს მშვენიერი ასული, თებეს პირველი მეფის, კადმოსის მეუღლე. კადმოსის და ჰარმონიას ქორწილში მოწვეული იყო ყველა ღმერთი. მეფემ პატარძალს ჰეფესტოს ნახელავი ყელსაბამი მიართვა. უბედურება მოჰქონდა ამ სამკაულს მისი მფლობელისათვის. საბედისწერო როლი ითამაშა მან შვიდთა ლაშქრობაში და შემდეგაც (იხ. ალკმეონი); 2. ელექტრას ასული, დარდანის და (დედის მხრივ).

• • • ჰარმონიას ყელსაბამი — უბედურების მომტანი საჩუქარი.

ჰარპიები — მყრალი და გაუმაძღარი ფრთოსნები, ქარიშხლის განსახიერებანი, ჰომეროსთან ლამაზნი, მერე მახინჯი სახით გვევლინებიან: დათვის ყურები აქვთ, მრუდე ნისკარტი, ქორის კლანჭები, ყოველივეს ნთქავენ, ადამიანებსაც იტაცებენ, ყველგან სიკვდილი და შიში შეაქვთ. (აელო, ოკიპიტე, კელენო). ბორეადები დაედევნენ არგონავტების ლაშქრობის დროს, უნდა მოეკლათ, მაგრამ ღმერთებმა შეაჩერეს. ანტიკურ სურათებზე ფრთოსანი ქალების სახით არიან გამოსახულნი.

ჰება (რომაელთა იუვენტა) — მარად ნორჩი ყმაწვილქალობის იდეალი, ზევსის და ჰერას მშვენიერი ასული, ქალღმერთი, ნექტარი და ამბროსია მიაქვს ღმერთების სუფრაზე, ცეკვავს აპოლონის კითარის ხმაზე, ემსახურება ჰერას, ხოლო ჰომეროსის აპოთეოზის შემდეგ მისი ცოლია ოლიმპოზე. მეტსახელად დიას და განიმედას ეძახიან. მის ტაძარში შესული მონა თავისუფლდებოდა. გენიალურმა კანოვამ შექმნა ჰებას მშვენიერი ქანდაკება.

• • • — სინორჩისა და სილამაზის სინონიმი (ჰებასავით იფურჩქნება).

ჰებროსი — თრაკიის მთავარი მდინარე, ერთვის ეგეოსის ზღვას ჩრდილოეთიდან.

ჰეკალე — მოხუცი ქალი, რომელმაც მარათონის ხართან შესაბმელად მიმავალი თეზევსი კარგად მიიღო. თეზევსმა მისი კულტი დააწესა.

ჰეკატე—ბერძენთა უძველესი სახალხო ღვთაება, ტიტან პერსესის და ტიტანის ასულ ასტერიას ასული (დედად ასახელებენ აგრეთვე ჰერას და დემეტრეს, მამად— ზევსს და ტარტაროსს (ჰადესს). უფრო სარწმუნოა ეს უკანასკნელი ვერსია, მეტადრე რომ ჰეკატე ქვესკნელში დააქროლებს ზარდამცემ ეტლს და წყვდიადს ანათებს ჩაუქრობელი ჩირაღდნით. ესაა მოჩვენებათა, ღამის ლანდების, სულთა გამომწვევი ქალღმერთი, გამოსახავენ სამთავიანი ახალგაზრდა ქალის სახით, სამივე ხელში ანთებული ჩირაღდანი უჭირავს. ადამიანთა შემწეა ომში და გზაში. ჯერ კარიული ღვთაება იყო, მერე მცირე აზიაში გავიდა, ელადაში არც ისე ადრეა გადასული, მაგრამ მალე იქცა ეროვნულ ღვთაებად.

ჰეკატონქეიერები — ასხელიანი ბუმბერაზები, რომელთაც გიგანტომაქიაში — ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლაში ღმერთების მხარე ეჭირათ.

ჰელესპონტი (ჰელესპონტოს — ჰელეს ზღვა) — ახლანდელი დარდანელი, ეწოდა ოქროს ვერძიდან გადმოვარდნილ ჰელეს, ფრიქსეს დის სახელი (იხ. ჰელე).

ჰელე — თესალიის მეფის ათამანტესა და ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ასული, რომელსაც დედის მიერ გამოგზავნილი ვერძით თავი უნდა დაეღწია სამსხვერპლოდან, ვერძიდან გადმოვარდა და ზღვაში ჩავარდა, რომელსაც მისი სახელი ეწოდა.

ჰელიოსი (მზე) — მზის ღმერთი, ტიტან ჰიპერიონის ყოვლისმხილველი. ძალუმი, სხივთამთოველი შვილი, ოქროს ეტლით რომ სერავს ყოველდღე საბიფათო ციურ გზას, დაისის ჟამს ოკეანეში ჩაეშვება, ოქროს ნავით გადაცურავს ოთხივე რაშიანად ოკეანეს და დილით ისევ შეჰყვება ეიურ ფრიალო ბილიკს ცეცხლოვანი რაშებით, რომელთაც ძალუმი ხელით მართავს. რაკი ყველაფერს ხედავს, ფიცის მოწმედ უხმობენ.

ჰეკატე, არესი და გიგანტი (პერგამონის საკურთხევლის ფრიზი).

ჰელიადები — ჰელიოსის ასულები. როცა მათი ძმა მამის მზიური ეტლით სრბოლაში დაიღუპა, იმდენი იტირეს, რომ ღმერთებმა ჭადრებად აქციეს, მათი ცრემლები კი — ქარვად.

ჰელიკონი — მშვენიერი ტყიანი მთა ბეოტიაში, სადაც იყო აპოლონის და მუზების ჭალა (აქედან მუზების ზედწოდება ჰელიკონიდები).

ჰემერა — ერებოსის და ღამის ასული, დღის ქალღმერთი, — სიხარულის მომგვრელი ნათელი დღე.

ჰემონი — 1. თებეს მეფის კრეონტის ერთ-ერთი ვაჟი, ადრინდელი ვერსიით სფინქსმა დაახრჩო. სოფოკლე ხდის ანტიგონეს საქმრად, რომელიც საცოლეს გვამთან მკერდს იპობს.

ჰერა — ბერძენთა უძველესი ღვთაება, კრონოსის და რეას უფროსი ასული, ზევსის და, მერე მისი მეუღლე (რომაელთა იუნონა). როგორც ზევსის ცოლი, სამყაროს უზენაესი დედოფალია და ღმერთების დედოფალი. მფარველობს ქორწინებასა და მელოგინე ქალებს. განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ სპარტაში, კორინთოში, ოლიმპიაში და არგოსში, სადაც აგებულია მისი ცნობილი ტაძარი. ბევრი მითით ჰერაში აისახა ჩვეულებრივი ადამიანური თვისებები, დედოფლის ეგოისტური განცდები. მითებში მის შესახებ ხშირად გვხვდება ტოტემიზმის გადმონაშთები, მაგალითად მას გამოსახავდნენ ცხენის თავით. რაც მიუთითებდა იმაზე, რომ იგი ბერძენთა უძველესი ღვთაებაა. მისი ზედწოდებებია ხარისთვალა, არგოსელი, თმამშვენიერი, ოქროსსანდლებიანი, პატივცემული, ქალბატონი და სხვ.

ჰერაკლე (რომაელთა ჰერკულესი) — ბერძენთა უდიდესი ეროვნული გმირი, ადამიანის დევგმირული ძლიერების უზენაესი იდეალი, იმდენად სისხლხორცეული ბერძენი, რომ რომაელებმა სხვა ვერაფერი მოუხერხეს, მხოლოდ სახელი ოდნავ შეუცვალეს. ჰერაკლეს მამა იყო ზევსი, რომელიც ალკმენას ქმრის ამფიტრიონის სახით გამოეცხადა. თავდაპირველად ჰერაკლე, აპოლონის მსგავსად, მზის ღმერთად ითვლებოდა. მისებრ დახელოვნებული მოისრე, მკურნალი, ბოროტების რისხვა, ურჩხულთა მხოცავი და სნებათა შემყრელი იყო, ბევრი რამ ჰქონდა საერთო ბაბილონელთა ღმერთკაც გილგამეშთან და ფინიკიელთა მელკარტთან. გილგამეშივით ებრძვის ბოროტებას, განიწმინდება და ღმერთად იქცევა. ჰომეროსთან ჰერაკლე უკვე ჩამოყალიბებული ეროვნული გმირია, მაგრამ მხოლოდ პოეტმა პინდარემ შემოსა ლომის ტყავით და მისცა ხელში მრისხანე, მაგრამ უბრალო იარაღი — კომბალი, რითაც უკვე უჯაროდ ებრძვის ბოროტებას. იმდენი გმირობა მიეწერება, წიგნში აღწერილი თორმეტის გარდა, რომ ციცერონი ეკვს ჰერაკლეს ითვლიდა, ვარონი ორმოცდა სამს. ესაა ადამიანის ტიტანური ძალის ტრიუმფალური ეპოპეა, რომელშიაც ხალხმა ჩააქსოვა ღრმა და მშვენიერი აზრი: თვით ღმერთები იხსნა ადამიანმა დამხობისაგან,— ღმერთებზე ძლიერია ადამიანი. საგმირო საქმეთა უმეტესობა შეასრულა ჰერას მზაკვრობით, მიკენის უბადრუკი მეფის ევრისთევსის ბრძანებით, აქედან მიიღო ალბათ სახელიც: „ჰერას დევნის წყალობით სახელგანთქმული“.

* * * ჰერაკლეს შრომა — უჩვეულო, მძიმე საქმე; ჰერაკლეს სვეტებამდე მისვლა— უკიდურეს საზღვრამდე მისვლა; ჰერაკლეს გმირობა — უჩვეულო საგმირო საქმე.

ჰერაკლიდები — ჰერაკლეს შვილები და შთამომავალნი, უმთავრესად მისი შვილი ჰილოსი (ბრძოლაში დაეცა), ჰილოსის შვილი კლეოდევსი, მისი ვაჟი არისტომაქე, ჰერაკლეს ასული მაკარია (ძმების გულისათვის ევრისთევსთან ბრძოლის წინ თავი ღმერთებს შესწირა) და სხვები, რომელთა შთამომავალნი უკვე ისტორიულ პიროვნებებად იქცევიან.

ჰერმები — ასე ეძახდნენ თავდაპირველად ჰერმესის ბიუსტს (თავმკერდის გამოსახულებას), რითაც თავდებოდა ოთხწახნაგოვანი სვეტი ქვემოთ ვიწრო და ზემოთკენ მსხვილი. რომში და მერე შუა საუკუნეებში ეს სახელწოდება გავრცელდა საერთოდ სვეტებზე დამდგარ სხვა ღმერთებისა და გმირების ბიუსტებზეც.

ჰერმესი (რომაელთა მერკური) — 1. ზევსისა და ატლანტიდ მაიას შვილი, ღმერთებისა და პირველ რიგში ზევსის მაცნე და მისი შიკრიკი. ამავე დროს გამომგონებელთა, მწყემსთა, ვაჭართა, ქურდების, მეზღვაურთა, ტანმოვარჯიშეთა, მგზავრთა და გზათა მფარველი ღმერთი, ბრძნული სიტყვის

ღმერთი, ადამიანთა დამაძინებელი, მიცვალებულთა სულების საიქიოს გამცილებელი („ფსიქოპომპოსი“). იგი ფრთოსანი სანდლებით დაჰქრის ქვეყნიერების ოთხსავე მხარეს და არა მარტო მოახსენებს ზეკვის ნებას, არამედ აგვარებს კიდეც საქმეებს, გონიერი, ძლიერი და სწრაფია. გმირებს ეხმარება და თვითონაც ახდენს გმირობას. როგორც გზათა მფარველს, მთავარ გზებზე ბიუსტები დაუდგეს (ჰერმები). მისი სახელიდან წარმოდგა „ჰერმეტული“ და სხვ.; 2. ერთ-ერთი პლანეტოიდი.

ჰესიოდე — დიდი ბერძენი მწერალი, ცხოვრობდა ძვ. წ. VII საუკუნეში, ტრიალებდა ღარიბთა წრეში, თვითონაც იწვნია უსამართლობა. თავის ნაწარმოებში „სამუშაონი და დღენი“ მოგვცა მრავალი ცნობა ბერძენთა ყოფაზე, ხოლო „თეოგონიაში“ — ღმერთების გენეოლოგია.

ჰესიონე — 1. ოკეანის ასული, ოკეანიდი, პრომეთეს მეუღლე; 2. ტროის მეფის ლაომედონტის ასული. როცა ტროის კედლების მშენებელ პოსეიდონსა და აპოლონს ლაომედონტმა საზღაური არ გადაუხადა, ზღვათა მბრძანებელმა ქვეყანას მოუვლინა საშინელი ურჩხული, რომელსაც უნდა შეეჭამა ჰესიონე. ჰერაკლემ ურჩხული მოკლა, მაგრამ ლაომედონტმა ჰერაკლეც მოატყუა. მაშინ ჰერაკლემ მეფე და მისი შვილები დახოცა, ჰესიონე კი გმირ ტელამონს მისცა.

ჰესპერი, ჰესპეროსი — დაისის ვარსკვლავი; ასტრეას და ეოსის შვილი, ღამის საქორწინო მსვლელობის წინამძღოლი.

ჰესპერია (დასავლეთი) — 1. დასავლეთი ასე ეძახდნენ ბერძნები იტალიას, ან მთელს დასავლეთ ევროპას; 2. ნიმფა (იხ. ესაკი).

ჰესპერიდები — ატლანტის ზოგი ვერსიით ჰესპერის ასულები, რომელთა ბაღშიც, უკიდურეს დასავლეთში, ოქროს ვაშლები იზრდებოდნენ (ჰერაკლეს ერთ-ერთი გმირობა იყო მათი მოტაცება). სულ ოთხნი არიან: ჰესპერია, ერითეა, ეგლე და არეთუზა).

• • • ჰესპერიდების ვაშლები — მიუწედომელი და ძვირფასი რამ.

ჰესტია — კრონოსისა და რეას ასული, რომაელთა ვესტა. კერის, ოჯახის, ქალაქთა სახელმწიფოთა მფარველი.

ჰესტიოდიდი — თესალიის ერთი მხარე.

ჰეფესტო, ჰეფესტოსი (რომაელთა ვულკანი) — ბერძენთა ცეცხლის ღმერთი, მჭედლობისა და ხელობათა ღვთაება. დაბადებისთანავე უსახური ბავშვი ჰერამ ოლიმპოდან გადაისროლა, ჰერასთან შერიგების შემდეგ ისევ ოლიმპოზეა. მის სამკედლოში ქურა თავისთავად იბერება, კიკლოპები ემსახურებიან. ამ ღმერთის კულტი უფრო ვულკანურ ადგილებში გავრცელდა (ლემნოსზე, სიცილიაში). სამკედლო ეტნაზე აქვს, სიამოვნებით ატარებს დროს ლემნოსზე, სადაც დაეცა, ოლიმპოდან მეორედ გადაგდებული, უკვე მამა ზეკვსის მიერ, როცა დედას ჰერას გამოესარჩლა. გვიანდელი თქმულებით სწორედ ამ დროს დაკოჭლდა. ულამაზოსა და მუდამ გამურულს ცოლად ჰყავს მშვენიერი აფროდიტე. ხატავენ ძალუმი მამაკაცის სახით.

ჰექტორი — სახელგანთქმული ტროელი გმირი, ილიონის მეფის პრიამეს და ჰეკაბეს უფროსი შვილი, ანდრომაქეს ქმარი, ასტიანაქსის მამა. ჰომეროსის პოემაში მეომრისა და სამაგალითო მეუღლის იდეალია. მამაცი, შეუპოვარი, სამშობლოსათვის თავდადებული, მუდამ ბრძოლის ველზე ტრიალებს და ბერძენთა უპირველეს გმირებს ებრძვის. მისი მთავარი საგმირო საქმეებია დაჭრილ სარპედონის დაცვა, აიანტ ტელამონის ძესთან ორთაბრძოლა, ბერძენთა ხომალდების დაწვა. მეგობრის, — პატროკლეს დაღუპვით გამძვინვარებული აქილევსი ბრძოლაში ჩაება და მოკლა ჰექტორი, რომლის გვამიც ეტლით ათრია. მაგრამ აფროდიტემ დაიცვა დაზიანებისაგან. მისივე დახმარებით

მამამისმა გმირის გვამი მიიღო და პატივით დასწვეს.

ჰიადები (წვიმიანნი) — კაშკაშა ხომლი ორიონის თანავარსკვლავედში, რომლის ამოსვლისას იწყება წვიმიანი დრო, ჩასვლისას — ხვნის დრო. ამიტომ თვლიდნენ ნიმფებად, რომლებიც წვიმით კვებავენ დიონისეს (ნისის ღვთაებას) და ზევსს (დოდონელი ნიმფები). ამიტომ ზევსმა მარად მანათობელ ვარსკვლავებად აქცია. ამბობენ, ძმის — ჰიასის დაღუპვის გამო დარდით იქცენნო ვარსკვლავებად. პლეადების დებად თვლიან, მათებრ შვიდნი არიან: კლეა, ალკიონა, ამბროსია, დიონა (ზევსის დოდონელი ცოლი) და სხვ.

ჰიდრა (წყლის გველი) — ცხრათავიანი გველეშაპი, ლერნეს ჭაობის საშინელება, ექიდნის და ტიფონის ნაშობი. მოკრილი თავის ადგილზე ახალი ამოსდიოდა. ჰერაკლემ მუგუზლებით დასწვა და მოკლა. მის შხამში ნაწრთობი ისრებით განუკურნებელ ჭრილობებს აყენებდა ბოროტ ძალებს, ბოლოს კი თვითონაც მისი მსხვერპლი გახდა (იხ. ნესოსი).

• • • ურჩხული, ტლანქი, საზარელი რამ (მბრძანებელთა ხროვა და სხვ.).

ჰილახი (ტყის ბიჭი) — აღმოსავლური წარმოშობისა და ბერძნულ მითოლოგიაში გვიან შესული სახე: ჰერაკლეს საყვარელი მშვენიერი ჭაბუკი, დრიოპთა მეფის თიოდამანტეს და ნიმფა მენოდეკეს შვილი. არგონავტების ლაშქრობის დროს წყალს იღებდა და ზღვის ნიმფებმა გაიტაცეს, ჰერაკლე მის ძებნაში არგონავტებს ჩამორჩა.

ჰილე, ჰილოსი — ჰერაკლეს ვაჟი, ბრძოლაში დაეცა ისთმოს ყელზე, ათი წლით ადრე ტროას ომამდე — ატრეესის მომხრე ექემოსთან ორთაბრძოლაში.

ჰიმენე — აპოლონის და ნიმფა ურანიას, სხვადასხვა ვერსიებით კალიოპეს ან ტერპსიქორეს, დიონისეს და აფროდიტეს შვილი. დიონისეს მსგავსად მხიარული ღმერთი, ქორწინების ღვთაება, ყვავილწნულითა და ჩირაღდნით ხელში.

• • • ჰიმენეის ბორკილი — ქორწინება.

ჰიმეროტი — სიყვარულის ღვთაება.

ჰიმეტეს მთა — ძველთაგანვე თაფლითა და მარმარილოთი ქებული მთა ატიკაში, ათენის სამხრეთით.

ჰიპერბორეელები — სადღაც ბორეის მიღმა „ნეტართა მხარეში" მცხოვრები ხალხი. ასე შორს იმისათვის ცხოვრობდნენ, რომ სუსხიანი ქარი ვერ მისწვდენოდათ.

ჰიპერიონი (სიმაღლის შვილი) — 1. მზის ღვთაება, მიწიდან აღმა მიმავალი, ურანოსის და გეას შვილი, ჰელიოსის, ეოსის. და სელენას მამა; 2. ჰელიოსი.

ჰიპერმნესტრა — ლიბიის მეფის დანაოსის უმცროსი ასული, როდესაც მისმა დებმა დანაიდებმა ქმრები დახოცეს, მან თავის მეუღლეს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ჰიპნოსი — ძილის ღმერთი, სიკვდილის ტყუპი ძმა, ძალუმი ალეგორიული ღვთაება, რომელმაც თვით ზევსი მისი ნების წინააღმდეგ ორჯერ ჩააძინა.

ჰიპოდამია — 1. პიზის მეფის ენომაეს მშვენიერი ასული, პელოპის მეუღლე, ატრეესის და თიესტეს დედა; 2. თეზევსის მეგობრის პეირითოეს ცოლი, დღემოკლე მშვენიერი დედოფალი, რომლის ქორწილზეც მოხდა გმირების ბრძოლა კენტავრებთან.

ჰიპოთოონტი — პოსეიდონის და კერკიონის ასულის ალოპეს ვაჟი. ჰიპოთოონტიდების გმირი მბრძანებელი, კერკიონმა რომ უკანონო ვაჟის დაბადების ამბავი გაიგო, ალოპე დაამწყვდია, მაგრამ პოსეიდონმა აქცია წყაროდ, რომელსაც ელევსინში დღესაც უჩვენებენ. ყრმა ალოპემ დაადგა ფაშატი აწოვებდა ძუძუს, მწყემსებმა გაზარდეს. თეზევსმა რომ კერკიონი დაამარცხა და მოკლა, ელევსინის ტახტი ამ ჭაბუკს გადასცა.

ჰიპოკრენი („ცხენის წყარო") — მუზების შთაგონების წყარო ჰელიკონის მწვერვალზე, ბეოტიაში, პეგასმა ფეხი დაკრა კლდეს და ნაპრალიდან გადმოსკდა ეს ჯადოსნური ნაკადი.

ჰიპოლიტი — 1. ამორძალების დედოფალი, არესის ასული, ჯადოსნური ქამრის მფლობელი, ჰერაკლემ რომ წაართვა; 2. თეზევსისა და ერთ-ერთი ამორძალის ჰეროსის (ჰიპოლიტეს) მშვენიერი ვაჟი, განთქმული მონადირე. შეუყვარდა დედინაცვალს ფედრას. ვაჟმა უარყო, ქალმა ქმართან დაასმინა, თეზევსმა დასწყევლა შვილი და პოსეიდონს სთხოვა დაესაჯა. ერთხელ, როცა ჰიპოლიტე ზღვის პირას ეტლს მიაქროლებდა, ტალღებში პოსეიდონის ხარი გამოჩნდა, ცხენები დაფრთხნენ, გმირი ათრიეს და მოკლეს. როცა სინამდვილე გაირკვა, ფედრამ თავი მოიკლა; 3. ერთ-ერთი გიგანტი.

ჰიპომედონტი — გმირ ადრასტეს ძმა, სახელოვანი გმირი, თებეს წინააღმდეგ ლაშქრობის მონაწილე, ძმასთან ერთად დაიღუპა.

ჰიპსიპილე — ლემნოსის დედოფალი. როცა ლემნოსელმა ქალებმა ქმრები გაქლიტეს მამაკაცთაგან მხოლოდ თავისი მამა გადაარჩინა სიკვდილს. როცა არგონავტები კუნძულს მიადგნენ, ჰიპსიპილე იასონის სატრფო გახდა და ეყოლა მისგან ევნეოსი. გვიან ლემნოსელმა ქალებმა მამის გადარჩენისათვის მონად მიჰყიდეს ნემეის მეფეს ლიკურგეს, ვაჟის ძიძად ჰყავდა და არგოსელმა გმირებმა იხსნეს მეფის მახვილისაგან, როცა უმაწვილი ოფელტესი გველმა გაგუდა.

ჰომეროსი — გენიალური ბერძენი პოეტი, რომლის სამშობლო ქალაქის პატივს შვიდი ქალაქი ისაკუთრებდა. ცხოვრობდა ძვ. წ. IX საუკუნეში. მისი უკვდავი პოემებია „ილიადა" და „ოდისეა", სადაც ადგილი ჰპოვა ბერძენთა გმირების, ღმერთების, იმ დროის გეოგრაფიულ სახელწოდებათა უდიდესმა უმრავლესობამ.

საკუთარ სახელთა საძიებელი *

ა

აბდეროსი 149, 303
აგამემნონი 7, 219, 258 — 261, 263—4, 266, 303
აგაპერონი 297 — 8, 303
აგენოე 297, 303
აგენორი 126 — 7, 129, 130, 133, 303
აგლავრე 303
აგრიე 171, 303
ადმეტე (თესალიის მეფე) 38, 149, 150—3, 205, 226, 254, 303
ადმეტე (ევრისთევსის ასული) 154 — 5, 303
ადონისი 57 — 8, 303
ადრასტე (პელიასის ძე) 254, 304
ადრასტე (ამითაონიდი) 280 — 6. 289, 290, 295, 304
ადრასტეა 23, 238, 304
ადრიანე იმპერატორი 16
აედონი 134, 304
აელა 155, 304
აეროპე 217 — 18, 304
ავგიე 147 — 8. 304
ავტონოე 44, 131, 305
ათამანტი 75 — 6, 223 — 5, 305
ათენა (ათენა-პალადა) 25, 33, 41, 45 — 8, 52, 97 — 8, 101, 103, 107 — 8, 112 — 13, 115, 119, 130 — 1, 139, 141, 144, 148, 158 — 9, 162 — 3, 170 — 1, 177 — 9, 181—4, 188, 191—2, 195, 228—9, 235, 238, 262 — 5, 267, 285, 289, 295, 297 — 8, 306
აიაქსი 5
აიგიალევსი 295, 306
აიდოსი 23 (იხ. ჰადესი)
აიეტი 14, 15, 16, 224, 236, 238—9, 240—9, 306
აკამანტე 204, 306
აკარნანე 297 — 8, 306
აკიდი (აკისი) 214 — 15, 306
აკრისია 104 — 6, 115 — 16, 307
ალეტე 267
ალექსიროე 220, 307
ალთეა 205, 307
ალკეოსი 74, 154, 307
ალკესტიდა 38, 150 — 3, 307
ალკიდე 140 (იხ. ჰერაკლე)
ალკინოე 250, 307
ალკიონევსი 170 — 1, 307
ალკმენე 138 — 9, 140, 166, 177, 179, 217
ალკმეონი 284, 295 — 7, 307
ალოესი 40, 308 (იხ. ალოადები)
ალოპე 194
ალპენორე 136
ამალთეა 23, 27, 121, 308
ამითაონი 14, 226, 308
ამიკოსი 232, 308
ამირანი 12, 13
ამფიარაე 282 — 7, 289, 295, 308

* საძიებელში ლექსიკონიდან მითითებულია მხოლოდ ასახსნელი სახელების გვერდები.

ამფიდამანტე 162, 236
ამფილოქე 284, 295, 309
ამფიონი 132 — 4, 136, 309
ამფიტრიონი 138 — 9, 140, 183, 309
ამფიტრიტე 28, 198, 250, 309
ამფოტერი 297 — 8, 309
ანდროგეოსი 197, 309
ანდრომაქე 310
ანდრომედე 5, 110, 111 — 13, 115, 156, 310
ანკეოსი 205, 233, 310
ანტეია 117 — 18, 310
ანტეოსი 161 — 2, 194, 310
ანტიგონე 271, 275—9, 280 — 2, 290—4, 310
ანტიოპე (ასოპეს ასული) 132 — 4, 310
ანტიოპე (ამორძალი) 155, 200 — 1, 310
ანტიფატე 282
აპატე 22, 310
აპიანე 13, 16
აპოლონი 25, 35 — 9, 40, 42 — 4, 48 — 9, 50 — 1, 78, 83 — 4, 97, 128 — 9, 133—6, 141, 150, 156, 164—5, 171, 180, 191—3, 197, 206 — 7, 213, 216, 225, 227—8, 233, 252, 261 — 4, 268 — 9, 270, 276, 283, 298, 310
აპოლონიოს როდოსელი 14, 17, 223, 311
არაქნე 46 — 8, 311
არგეა 283, 311
არგოსი 227, 311
არგოსი (ფრიქსეს ძე) 16, 236, 240—2, 311
არგუსი 34, 312
არეიონი 289, 312
არესი 39, 40, 48, 51 — 2, 116, 129, 130, 153, 155, 224, 240 — 1, 245, 247, 263, 265, 280, 286 — 7, 312
არესტოსი 227
არეტე 250, 312
არიადნე 12, 197 — 9, 200, 243, 312
არისტოტელე 16
არსინოე 296 — 7, 312
არტემიდე 11, 25, 40, 43 — 5, 52, 57, 83, 131, 134—5, 137, 144—5, 155, 171, 182, 203 — 4, 266 — 7, 312
არქემოროსი 285, 313 (იხ. ოფელტე)
არქიტელე 166
ასკლეპიოსი 42, 313
ასოპე 99, 132, 285, 313
ასტაქი 287
ასტრეა 22, 68, 313
ატე 138 — 9, 313
ატალანტა 205, 284, 314
ატლანტი 28, 74, 109, 110, 160 — 1, 163, 254, 314
ატრეესი 217 — 19, 314
ატროპოსი 27, 314
აფარეესი 215, 314
აფროდიტე 25, 40, 51 — 5, 58, 126, 197, 199, 219, 234, 238, 241, 314
აფსირტე 15, 239, 245, 248 — 9, 315
აქელოე 165 — 6, 296 — 7, 315
აქილევსი 5, 315
აქსიონე 217
აქტეონი 44 — 5, 131, 315
აქტორი 287, 315

ბ

ბაკხესი 213, 315 (იხ. დიონისე)
ბატონე 289
ბელე 101, 315
ბელეროფონტი 117 — 19, 120, 315
ბიანტი 282 — 3, 316
ბორეასი 11, 22, 125, 187—8, 227, 315
ბოქორიშვილი ლ. 16
ბუსირისი 162 — 3, 316

გ

გალატე 214 — 15, 316
განიმედი 26, 156, 238, 316
გეა 21, 23, 33, 62, 74, 91, 161 — 2, 170, 256, 316

გერიონი 156 — 8, 161, 317
გლავკე (სიზიფეს ძე) 117, 317
გლავკე (იასონის საცოლე) 254 — 7, 317
გლავკოსი 231 — 2, 317
გლანიკე 220

დ

დამასთე 194, 318 (იხ. პროკრუსტე)
დამასიქტონი 136
დანაე 104 — 6, 112, 318
დანაოსი 101 — 4, 318
დაფნა 37 — 8, 318
დედალოსი 188 — 9, 190, 194, 318
დეკალიონი 87 — 8, 319
დეიანირა 159, 165 — 7, 171 — 5, 178, 319
დეიმოსი 51, 319
დეიპილე 283
დემეტრე 23, 61 — 8, 97, 123, 290, 319
დემოთოონტი 204, 319
დემოფონტი 64, 178 — 9, 319
დერეკვინი გ. 6
დიკე 27, 175, 320
დიომედე (ტიდეუსის ძე) 52, 289, 295, 320
დიომედე (ბისტონთა მეფე) 149, 153, 320
დიონისე 60, 75 — 9, 80 — 1, 83, 133, 171, 186, 200, 211, 320
დირკე 133 — 4, 320
დიქტისი 105, 115, 320
დრიადე 67 — 8, 321
დრიოპე 81, 321
დრიოპსი 321

ე

ეაგრე 207, 321
ეაკე 30, 89, 100 — 1, 321
ეგეოსი 191 — 7, 200, 256, 322
ეგეიპტოსი 101 — 3, 321
ეგინა 99, 100, 322
ეგისთე 219, 258, 260 — 2, 267, 276, 322
ევადნე 290, 322
ევმოლპე 180 — 1, 323
ევნომე 166
ევრიალე 109, 295, 323
ევრიდიკე (ორფევსის მეუღლე) 207 — 9, 210 — 12, 323
ევრიდიკე (ლიკურგეს მეუღლე) 285, 323
ევრიდიკე (კრეონტის მეუღლე) 294, 323
ევრინომე 59, 323
ევრიპიდე 6, 177, 254, 265, 282, 323
ევრიპილე 137, 149, 169, 323
ევრისთეუსი 139, 141 — 9, 153 — 5, 158, 160, 162 — 3, 178 — 9, 217, 231, 323
ევრიტე (ევბეის მეფე) 164 — 5, 171 — 3, 176, 323
ევრიტე (კენტავდი) 202, 324
ევრიტიონი 157, 324
ევროპა 126 — 8, 188, 324
ევროსი 22, 324
ევროტი 113
ევსევი კესარიელი 11
ევტერპე 39, 324
ევფემე 235, 251 — 2, 254, 324
ეთერი 21, 324
ეთრა 191 — 2, 194, 324
ეირენე 25, 324
ელენე 5, 86, 203 — 4, 215, 219, 324
ელექტრა 261, 267, 286, 325
ელექტრიონი 137 — 8, 325
ემპუსა 31, 325
ენდიმიონი 69, 325
ენიო 51, 326
ენკელადე 171, 326
ეოლოსი 116, 326
ეოსი 22, 47, 51, 68, 69, 73, 170, 181, 230, 326
ეოსფოროსი 69
ეპაფე 34, 70, 94, 101, 162, 326
ეპიმეთე 99, 326
ერატოსთენე 14
ერატო 39, 326
ერგინე 141, 326
ერებოსი 21, 327

ერეხთეესი 11, 179, 180 — 1, 157—8, 327
ერიგონე 80, 327
ერიდა 22, 327
ერინეა 30
ერისიხთონი 67, 68, 327
ერიფილე 283, 295, 297, 327
ერიხთონიოსი 179, 180, 184, 328
ეროსი 21, 37, 53, 58, 59, 83, 112, 238, 240, 328
ესაკი 220, 328
ესონი 14, 225 — 7, 252 — 3, 328
ესქილე 6, 17, 88, 101, 258, 260, 262, 282, 328
ეტეოკლე (ოიდიპოსის ძე) 271, 275, 278, 280, 282, 284 — 9, 290, 295, 328
ეტეოკლე (პროიტიდი) 269, 328
ეფიალტე 40, 328
ექიდნა 25, 142 — 3, 193, 271, 328
ექო 10, 54 — 7, 329

ვ

ვირგილიუსი 6

ზ

ზევსი 9, 10, 13, 22 — 9, 31, 33 — 4, 36—9, 42 — 8, 50 — 2, 58 — 9, 61 — 3, 65, 72, 74 — 9, 85 — 9, 90 — 9, 100 — 9, 110 — 18, 120 — 9, 132 — 3, 135, 138, 140, 142 — 3, 146, 151 — 9, 161 — 3, 165 — 9, 170, 172 — 9, 183, 188, 194, 196, 198, 215 — 18, 224, 227, 231 — 8, 243, 250 — 1, 255, 259, 264, 274, 281, 283 — 4, 286, 288 — 9, 291, 293, 297, 329
ზეტესი 132 — 4, 329
ზეფირი 22, 329

თ

თალეია 39, 329
თანატოსი 22, 31, 107, 116 — 17, 120, 150, 152 — 3, 281, 286, 329
თეია 22, 329
თეგეოსი 296 — 8, 330
თეზევსი 149, 154 — 5, 159, 178, 191 — 9, 200 — 3, 227, 243, 263, 276 — 9, 281, 290, 330
თემიდა 10, 26, 91, 94, 96, 109, 110, 255, 330
თესპროტი 219, 330
თესტიოსი 215, 330
თეტიდა 33, 59, 70, 77, 97 — 8, 220, 330
თიესტე 217 — 18, 330
თოანტი 229, 285, 330

ი

იამბე 64
იაპეტი 91, 109, 331
იაკინთე 23, 331
იასონი 14, 15, 205, 225 — 9, 230 — 2, 234, 236 — 7, 239, 240 — 9, 250 — 2, 254—7, 331
იდასი 215 — 16, 331
იდეა 23, 331
იდმონი 46, 331
იკარიოსი 79, 80, 331
იკაროსი 188 — 9, 190, 331
ილიონე 136
ილოსი 123, 332
ამარადი 180 — 1, 332
ინაქე 93, 332
ინო 75 — 6, 131, 223, 332
იო 33, 93 — 4, 101 — 2, 332
იობატე 119, 120, 333
იოკასტე 268, 271, 273 — 4, 333
იოლაოსი 124, 143, 164, 178 — 9, 205, 217, 333
იოლე 164, 172 — 3, 175 — 6, 333
იორდანე 165
ირიდა 26, 33, 65, 234, 333
ისმენე (ამფიონის ძე) 136
ისმენე (ოიდიპოსის ასული) 271, 277 — 8, 281 — 2, 291 — 2, 333

იფიგენია 265 — 7, 333
იფიკლე 139, 141, 143, 254, 334
იფისი 290, 334
იფიტე 164, 171, 334

კ

კადმოსი 44, 75, 79, 86, 128 — 9, 130 — 2, 134, 223, 245, 268, 270, 272, 284, 287, 293, 334
კალაისი 188, 227, 233, 334
კალიოპე 39, 207, 334
კალიროე 156, 297, 334
კაპანევსი 264, 286 — 8, 290, 295, 334
კასანდრა 259, 335
კასიოპე 110, 111, 112, 335
კასტორი 12, 203 — 5, 215 — 16, 227, 233, 245, 254, 335
კეიკოსი 171, 335
კეკროპი 175, 180, 335
კელეოსი 63 — 4, 335
კერბეი 25, 30 — 1, 158, 210, 335
კერი 22
კერკიონი 193 — 4, 336
კეფალე 181 — 3, 336
კეფევსი 110 — 13, 115, 336
კეპაროსი 206 — 7, 336
კიზიკოსი 230 — 1, 336
კილიკსე 128, 337
კირკე 249, 250, 337
კლეოპატრე (მელეაგრეს მეუღლე) 206, 337
კლეოპატრე (ფინევსის მეუღლე) 233, 337
კლიმენე 70 — 1, 74, 337
კლიო 39, 337
კლიტე 231, 236
კლიტემნესტრა 219, 258 — 9, 260 — 4, 337
კლიტიოსი 171, 338
კლოთო 27, 338
კოკალე 190, 338
კოპრევსი 141, 178, 338
კრეთევსი 14, 225
კრეონტი (თებეს მეფე) 138, 141, 271 — 3, 275, 277 — 9, 287, 290 — 4, 338
კრეონტი (კორინთოს მეფე) 254 — 7, 338
კრეუზა 181, 339
კრონოსი 22 — 3, 25 — 6, 33, 61, 85, 91, 94, 121, 126, 170, 339
კუნი ნ. ა. 5, 7, 17, 18

ლ

ლაბლაკე 268, 339
ლავრიონა 54, 339
ლაილაპა 182 — 3
ლაიოსი 268 — 9, 270 — 4, 276, 288, 339
ლამია 32, 339
ლაოდამანტე 295
ლაომედონტი 155 — 6, 158 — 9, 339
ლაკესისი 27, 339
ლეარქე 76, 340
ლედა 215, 227, 232, 340
ლეისფენი 287
ლეოსი 196, 285
ლერმონტოვი მ. 6
ლეტო 35 — 6, 43, 45, 50, 83, 133 — 5, 137, 141, 146, 340
ლიკაონი 87, 340
ლიკე 133 — 4, 154
ლიკომედე 204, 340
ლიკოფონი 285
ლიკურგე 76 — 7, 285, 341
ლინკევსი 103 — 4, 215 — 16, 227 — 8, 251, 341
ლინოსი 140, 341
ლინკე 66 — 7, 341
ლისიანასა 162, 341
ლიქასი 122 — 4, 341

მ

მაია 48, 50, 51, 341
მაკარია 178, 341
მანტო 134, 296, 342
მარპესა 216, 342
მარსიასი 40 — 2, 342

მეგარა (ჰერაკლეს მეუღლე) 141, 164
მეგაპენთე 116
მეგარეული 287
მედეა 15, 195, 237, 239, 241 — 9, 250—7, 342
მედოსი 195
მედუზა 106, 108 — 9, 110 — 11, 114 — 15, 118, 159, 342
მეთიონი 191
მელამპოსი 226, 282 — 3, 342
მელანიპე 155, 287, 289, 342
მელეაგრე 159, 165, 204 — 6, 227, 245, 342
მელიკერტე 76
მელპომენე 39
მენეკევსი 268, 287, 343
მენელაოსი 5, 219, 343
მენესთეული 204, 295, 343
მეონტი 285
მეროპე 231, 343
მეროპე (პოლიბოსის მეუღლე) 269, 343
მეტანეირა 64, 343
მეტიდა 45, 343
მიდასი 80 — 1, 84, 343
მითრიდატე 13, 16
მინიასი 31, 77, 100, 148, 154, 188 — 9, 190, 197 — 9, 243, 251, 344
მინოსი 30, 128, 344
მინოტავრი 189, 198 — 9, 200, 344
მირონი 12, 41
მირტილე 30, 125, 217, 344
მიქაბერიძე 17
მიქელ-ანჯელო 12
მნემოსინე 39, 344
მოსხოსი 126
მოფსოსი 241 — 2, 254, 345

ნ

ნარცისი 10, 54 — 7, 345
ნელეული 148, 345
ნემეზიდა 22, 346
ნერეული 28 — 9, 59, 161, 346
ნესოსი 167, 173, 175 — 6, 346
ნესტორი 148, 202, 346
ნეფელე 223 — 4, 347
ნიკე 26, 177, 347
ნიკიპე 217
ნიობე 134 — 7, 348
ნიუესი 69, 348
ნიუქტიდე 268
ნოტოსი 22, 87, 348

ო

ოდისეული 5, 214, 348
ოედიპული 6, 17, 21, 33, 37, 44, 46 — 7, 53 — 4, 57, 77 — 8, 80, 89, 104, 116, 123, 128, 181, 188, 206 — 7, 212, 220, 252, 348
ოიდიპოსი 7, 86, 268 — 9, 270 — 9, 281—2, 291 — 2, 348
ოიკლე 168, 282, 348
ოილეული 235
ოინეული 158, 165 — 7, 204, 206, 283, 287, 297, 348
ოინომაოსი 123 — 5, 217, 348
ოკეანე 21, 23, 29, 33, 59, 70, 91 — 2, 157, 349
ომფალე 165, 167 — 8, 171, 349
ორესტე 7, 258, 260 — 7, 350
ორთროსი 25, 157, 350
ორითია 11, 187 — 8, 227, 350
ორფეული 30, 140, 207 — 9, 210 — 12, 227 — 8, 233, 250, 350
ოტი 40, 350
ოფელტე 285, 350

პ

პაესანია 137, 351
პალანტე 196, 351
პალექტონი 102
პანდარე 121, 123, 134 — 5, 351

პანდიონი 184, 191, 351
პანდორე 98 — 9, 351
პანი 81 — 4, 351
პართენოპე 284, 286 — 8, 295, 352
პარისი 204, 352
პასიფაე 189, 352
პატროკლე 352
პეგასი 109, 118 — 19, 120, 352
პეირითოე 159, 201 — 3, 205, 352
პელასგე 102, 353
პელევსი 98, 202, 205, 254, 353
პელიასი 14, 38, 225 — 8, 244, 252 — 4, 353
პელიოსი 230
პელოპი 122 — 6, 217, 268, 288, 353
პენევსი 37 — 8, 353
პენეოსი 147
პენელოპე 3
პერდიკე 188
პერიკლიმენე 148, 287 — 9, 353
პერიფეტე 192, 353
პერსევსი 104 — 9, 110—18, 138, 217, 353
პერსეფონე 30 — 1, 58, 61, 63, 65 — 7, 116, 122, 159, 203, 205, 208 — 9, 253, 281, 354
პიგმალიონი 53 — 4, 354
პითია 139, 141, 165, 180, 223, 268 — 9, 354
პითონი 35 — 8, 354
პილადე 260 — 1, 265 — 7, 354
პინდარე 117, 123, 225, 354
პითაგორე რეგინელი 12
პითევსი 191, 354
პირა 87 — 8, 354
პლატონი 6, 11
პლუტარქე 191, 355
პოდარკე 169, 355
პოლიბოსი 269, 274, 283, 355
პოლიბოტი 171
პოლიდევკე 12, 203 — 5, 215 — 16, 227, 232 — 3, 245, 254, 355
პოლიდექტე 105 — 6, 114, 355
პოლიდორე 268, 355
პოლიდორი 295
პოლიმნია 39, 355
პოლინიკე 271, 275, 277 — 9, 280, 283 — 5, 287 — 9, 290 — 5, 297, 355
პოლიფემე 214, 355
პოლისთენე 218
პოლისფენე 218
პოლიქსენე 138, 355
პოლუქსი 229, 355
პომპეუსი 13
პორფირიონი 171, 355
პოსეიდონი 9, 23, 25, 28 — 9, 47 — 8, 68, 74, 97, 110 — 11, 119, 125, 128, 148—9, 156, 161 — 2, 169, 171, 179, 181, 183, 191 — 3, 198, 225, 230, 257, 276, 279, 287, 355
პრაქსიტელე 12
პრიამე 169, 204, 220, 259, 356
პროიტე 155, 282, 284, 286, 356
პროკნე 184, 186 — 7, 356
პროკრიდე 181 — 3, 356
პროკრუსტე 193, 356
პრომაქე 295
პრომეთე 7, 12, 13, 34, 88 — 9, 90 — 9, 109, 237, 242 — 3, 356
პრონევსი 297
პროტოე 117 — 18
პტერელაოსი 137 — 8

უ

ქუკოვსკი ვ. 6

რ

რადამანთე 31, 100, 128, 140, 357
რაფაელი 12
რეა 23, 33, 357
რეტოსი 113
რესი 30

ს

სარპედონი 128, 358
სელენე 9, 22, 69, 73, 170, 256, 358

სემელე 75, 79, 131, 359
სიზიფე 30, 116 — 17, 289, 256, 359
სილევსი 168
სილენოსი 76, 80, 359
სინისი 192 — 4, 360
სიპილე 136, 360
სიმეფიდა 214
სირინქსი 83, 360
სკილა და ქარიბდასი 250, 360
სკირონი 193 — 4
სკოპასი 12
სოკრატე 11
სოფოკლე 6, 17, 137, 171, 268, 272, 275, 290, 361
სტეინო 109
სტრაბონი 14, 16, 17
სტროფიოსი 260
სფენელე 295
სფენელეესი 138—9
სფენელოსი 154
სფინქსი 270 — 2, 276, 278, 361

ტ

ტალაე 282, 361
ტალოსი 188, 251, 361
ტანტალე (ამფიონეს ძე) 136, 362
ტანტალე (თიესტეს ძე) 218
ტანტალე (სიპილის მეფე) 120 — 3, 125. 134 — 5, 209, 361
ტარტაროსი 21, 24 — 5, 51, 91, 96, 362
ტეთიდა 22, 362
ტელამონი 100, 169, 205, 231 — 2, 240, 362
ტელემოსი 214, 362
ტელეუზა 296
ტერეუსი 184—7, 362
ტერპსიქორე 39, 362
ტიდეუსი 283, 285 — 7, 289, 295, 362
ტითონი 24, 25, 92, 118, 142 — 3, 193, 232, 271, 287, 363
ტინდარე 215, 219, 363
ტირესია 134, 140, 272 — 4, 287, 293 — 4, 296, 363
ტიფოსი 228, 231, 364
ტიციანი 12
ტიხე 27, 364
ტრიპტოლემოსი 30, 66—7, 364
ტრიტონი 28, 251 — 2, 364

უ

ურანია 39, 364
ურანოსი 21 — 3, 53, 170, 364
ურუშაძე აკ. 14

ფ

ფაეთონი 70 — 3, 365
ფაიდიმე 136
ფედროსი 11
ფერეკიდე 16
ფერეტი 14, 226
ფთია 205, 365
ფიდიასი 12
ფილირა 225
ფილომელე 184 — 7, 365
ფილოსტრატე II 13
ფილოქტეტე 177, 365
ფინეუსი 112 — 4, 233—5, 241, 365
ფლაბიუს არიანესი 13
ფობოსი 51, 366
ფოინიქსე 128, 366
ფოლოსი 146, 366
ფოონი 171
ფრასიასე 162, 366
ფრიქსე 16, 17, 223 — 5, 227, 236, 239, 240 — 1, 247
ფრონტისი 247

ქ

ქალკიოპე 16, 224, 239, 271 — 2
ქაოსი 21, 366

ჭარიკლო 225
ქარიტი 60
ჭარონი 31, 32, 150, 208, 210, 367
ქერსე 181, 367
ქთონია 181, 367
ქიმერა 25, 118 — 19, 367
ქირონი 42, 98, 147, 225 — 6, 367
ქრიზაორე 156, 367
ქრისიპე 217, 268, 367

უ

უაუხჩიშვილი სვ. 9, 290

შ

შექსპირი 6
შილერი 6

ძ

ძალა 89, 90, 367
ძალაუფლება 89, 90, 367
ძეტე 188, 227, 233, 367

ხ

ხოშტარია ნ. 17

ჯ

ჯიქია სერგი 15

ჰ

ჰადესი 23, 25, 29, 30 — 1, 42, 48, 56, 58, 61 — 6, 91, 95, 104, 108 — 9, 115 — 17, 122 — 5, 130, 150, 152, 158, 160, 175, 183, 187, 203, 205, 208 — 9, 217, 253, 281, 289, 290, 294, 368
ჰარმონია 131 — 2, 284, 295, 368
ჰებე 26, 177, 368
ჰეკალე 196, 369
ჰეკატე 32, 209, 239, 242 — 5, 282—3, 294, 369
ჰელე 223 — 4, 369
ჰელიოსი 9, 22, 62, 69, 70 — 4, 147, 157 — 8, 170, 218, 224, 228, 236, 250, 255 — 7, 369
ჰემერა 21, 369
ჰემონი 292 — 4, 369
ჰერა 10, 14, 23, 26, 33 — 5, 40, 51, 54, 59, 60 — 1, 75, 93, 97, 100, 135, 138—9, 141, 154—5, 158, 161, 164, 169, 170 — 1, 177, 228, 238 — 9, 242, 244, 250, 370
ჰერაკლე 7, 13, 30, 34, 38, 137, 139, 140 — 9, 150 — 4, 157 — 9, 160 — 9, 170 — 9, 190, 196, 200, 204, 217, 227—9, 230 — 1, 245, 251, 370
ჰერმესი 30, 34, 40, 48—9, 50—1, 60, 65, 75 — 6, 88, 95, 97, 99, 103 — 4, 107—8, 112, 115, 121 — 2, 125, 141, 149, 159, 164 — 5, 177, 181, 210, 217, 223, 225, 263, 281
ჰერკულესი 12
ჰეროდოტე 11, 14
ჰესიოდე 11, 17, 24, 85, 371
ჰესიონე 91, 155 — 6, 169, 371
ჰესპერია 220, 371
ჰესტია 23, 52, 371
ჰესტი 180
ჰეფესტო 13, 25, 45 — 6, 59, 60—2, 70—2, 89, 90 — 2, 98, 122, 141, 144, 158, 171, 160, 238 — 9, 371
ჰექტორი 220, 371
ჰიდრა 25, 143, 166, 372
ჰილასი 173, 231 — 2, 372
ჰილე 171 — 3, 175—9, 372
ჰიმენე 51, 59, 112, 372
ჰიმეროტი 53, 372
ჰიპერბიოსი 287
ჰიპერიონი 22, 372
ჰიპემნესტრა 103, 372
ჰიპნოსი 22, 31, 169, 170, 277, 372
ჰიპოდამია 123 — 5, 171, 202—3, 217, 372
ჰიპოთოონტი 194
ჰიპოლიტე 153 — 6, 373
ჰიპომედონტი 284, 286—7, 289, 295, 373
ჰიპსიპილე 229, 285, 373
ჰომეროსი 5, 6, 11, 17, 21, 78, 116 — 17, 212, 296, 373

გეოგრაფიული სახელთა საძიებელი

ა

აუდილი 168, 305
აზია 93, 126, 161, 305
ათენი 6, 11, 178 — 9, 180, 194 — 7, 199, 200 — 4, 256, 263, 265, 267, 275 — 7, 279, 289, 290, 306
აია 14
აკარნანია 298, 306
აკროკორინთო მთ. 118, 307
ალპები 158
ალფეოსი მდ. 147, 308
ანაფე კუნძ. 252, 309
ანთე(ი)ა ქ. 310
არგოლიდა 93, 101 — 2, 191, 219, 311
არგოსი ქ. 101 — 4, 115, 138 — 9, 277, 279, 280 — 3, 286, 295, 311
არეტია 235 236, 240
არკადია 48, 84, 144, 203, 205, 216, 296—7, 312
ასოპი ქ. 313
ატიკა 47, 79, 149, 154, 179, 181, 184 — 5, 187, 194, 196 — 7, 200 — 1, 203 — 4, 265, 267, 275, 277, 290, 314
აფრიკა 157, 314
აფსაროსი ქ. 15
აქელოე მდ. 297, 315
აქერონტი მდ. 30 — 2, 152, 160, 293, 315

ბ

ბათუმი 15
ბეოტია 43, 77, 129, 223, 315
ბიბლინის მთ. 93, 316
ბითვინია 232, 316
ბისტონის ტბა 149, 316
ბოსფორის სრუტე 14, 93, 316

გ

გალია 158
გიბრალტარის სრუტე 11, 157
გონიო ქ. 15

დ

დარდანელის სრუტე 224
დელოსი კუნძ. 35—6, 39, 43, 190, 319
დელფოს სამისნო 35 — 9, 43, 50, 128 — 9, 141, 223, 227, 256, 261 — 2, 268 — 9, 270, 272, 277, 295 — 8, 319
დიოსკურია ქ. 12
დიქტისი მთ. 23, 321

ე

ეგეოსის ზღვა 105, 322
ეგვიპტე 34, 78, 94, 102, 162 — 3, 321
ეგინა კუნ. 99, 100 — 1, 322 (იხ. ენოპია კუნ.)
ეგრისი 15
ედონი 77, 322
ევბეა 164, 171 — 3, 322
ევენო მდ. 167, 322
ევროპა 148, 161, 324
ევროტასი მდ. 74, 213, 324
ეუფრატი მდ. 74
ექსინის პონტო 144, 154, 235, 248
ეთესო ქ. 121 — 2, 134, 168, 324
ეთიოპია 110, 324
ელადა 6, 9, 324
ელევსინი ქ. 63 — 6, 180, 194, 290, 324
ელიდა 11, 138, 147 — 8, 325
ელისეის ველი 325
ენოპია კუნძ. 99
ეპიდავრი ქ. 42, 192, 326
ეპირი 219, 326
ერიდანი მდ. 74, 161, 249, 327
ერიმანთო მთ. 327
ერიფიის კუნ. 157
ესპანეთი 158
ეტნა მთა 215, 328
ეტოლია 165, 205, 215
ეფირე ქ. 116
ექალია 164 — 5, 171 — 3, 328

ვ

ვანი 17

თ

თებე 13, 44, 75, 86, 132 — 3, 135 — 6, 140 — 1, 163, 183, 205, 268, 270 — 3, 277 — 9, 280 — 3, 285 — 7, 290 — 1, 294 — 5, 330
თემისკირა 154, 200, 330
თერა 252
თერმე-ჩაი 12 (იხ. თემისკირა)
თერმოდონტი 12
თესალია 14, 38, 67, 159, 171, 201 — 2, 205, 296, 330
თრაკია 77, 149, 180, 184 — 6, 207, 211, 233 — 4, 331

ი

იდა მთა 73, 220, 331
ითაკა 5, 331
იკარის ზღვა 190, 331
ილირია 131, 249
ილისი მდ. 11
იოლკოსი 38, 205, 225 — 8, 244, 252, 254, 333
იონიის ზღ. 158, 333
ისთმოსი 125, 192, 193, 203, 257, 333
ისტროსი მდ. 145, 248 — 9, 333
იტალია 158, 333

კ

კადმეა 131, 134, 334 (იხ. თებე)
კავკასიონი 12, 13, 16, 68, 73, 89, 93, 236, 242, 334
კალიდონი 165—6, 200, 204 — 6, 397, 334
კალისტე 252, 334 (იხ. თერა)
კანეიონეს მთ. 174
კარია 69
კასტალიის წყარო 39
კებნერი მდ. 220
კეოსი 206 — 7. 335
კერინე 146, 336
კეფისი მდ. 54
კვიპროსი 53, 57
კითერე 53, 337
კითერონი 44 — 5, 73, 140 — 1, 269, 273, 337
კიკნოსი 74, 337
კილენი მთ. 48
კილიკია 128, 337
კინთოს მთ. 36, 135, 337
კიოსი 232, 337
კიტისორე ქ. 15 (იხ. ქუთაისი)
კოლონო 203, 275 — 8, 338
კოლხა 15 (იხ. კოლხეთი)
კოლხეთი 12, 13, 14, 16, 17, 188, 224, 227, 234 — 9, 240, 243, 247, 249, 255, 338
კორინთო 116 — 7, 125, 195, 203, 254—6, 256, 269, 274, 338
კოსი კუნძ. 169, 170 — 1, 338
კოციტოსი მდ. 30, 338
კრეტა 23, 36—7, 63, 121 — 2, 228, 148—9, 188 — 9, 190, 196 — 7, 251—2, 338
კრისო ქ. 37
კრომონი ქ. 193

ლ

ლაკონია 159, 203, 339
ლარისა ქ. 115, 339
ლატმოსი მთ. 69, 339
ლეთა მდ. 30, 340
ლემნოსი კუნძ. 92, 229, 230, 340
ლერნე 143, 166 — 7, 170, 173, 175, 177, 340
ლესბოსი 212, 340
ლეშხვა მთ. 16
ლიბია 109, 157, 161, 251, 340
ლიდია 46 — 7, 120, 137, 167, 340
ლიკაბეტი მთ. 180
ლიკეიონი მთ. 149, 340
ლიკია 118 — 19, 120, 340
ლიკოსური ქ. 87

მ

მალეა 147, 341
მარათონი 149, 193, 196, 342

მეგარა 193, 343
მესენია 215, 343
მიზია 154, 231 — 2, 344
მიკენი 137 — 8, 141 — 2, 145 — 9, 155—6, 160, 162, 196, 217 — 19, 284, 344
მოსქი მთ. 92

ნ

ნაქსოსი კუნძ. 28, 200, 345
ნემეა 142, 167, 284, 346
ნილოსი მდ. 34, 93, 101, 347
ნისოს ველი 61—2, 76, 162

ო

ოეტა მთ. 176—7
ოლიმპია ქ. 11, 170
ოლიმპო 10, 12, 23—7, 33, 39, 40, 46—7, 50—4, 57, 59, 60, 63, 65, 75, 78, 81, 85 — 7, 91 — 4, 97, 89, 104, 107, 113, 120 — 2, 131, 136, 138 — 9, 146, 148, 156, 160, 171, 173 — 4, 176, 178—9, 183, 185, 212, 217, 219, 234, 239, 240, 256, 293, 349
ორონტი მდ. 74, 350
ორქომენი ქ. 75, 77, 236, 350
ორქომენი ქ. (მინიის) 141, 223, 350
ოსა მთ. 40, 73, 80, 350

პ

პალენე 170, 180, 351
პართენონი 12
პარნასი მთ. 73, 87 — 8, 269, 352
პაროსი კუნძ. 111, 154, 190, 352
პატმოსი 57, 352
პაქტოლა მდ. 46, 352
პელიონი მთ. 40, 42, 73, 225, 353
პელოპონესი 49, 123 — 5, 149, 250, 353
პიერია 49, 354
პილოსი 49, 50 — 1, 148, 354
პირენე მთ. 118 — 19
პისა ქ. 3, 124 — 5, 148, 268, 354
პლანქტები 14, 15, 250, 354
პლევრონი ქ. 205
პლოტიის კუნძ. 234
პროპონდიტა 230, 357
პსოფისი ქ. 146, 357

რ

რარიის ველი 66, 357
როდანოსი მდ. 249
როდოსი კუნძ. 101, 357

ს

სალამინი კუნძ. 205, 358
საბერძნეთი 6, 9, 10, 12, 42, 48, 51, 87, 89, 101, 117, 123 — 5, 175, 181, 215, 219, 227, 231, 243 — 4, 252, 276
საქართველო 8, 12, 13, 15
სერიფოსი 105, 114, 359
სვანეთი 16
სიდონი ქ. 126 — 8, 359
სიკიონი ქ. 283, 359
სიმპლეგადები 14, 234 — 5, 359 (იხ. პლანქტები)
სიპილი ქ. 120 — 4, 360
სიპილი მთ. 120, 137, 360
სიმოისი მდ. 61
სიცილია 171, 190 — 1, 214, 360
სკვითია 34, 66 — 7, 360
სკიროსი კუნძ. 204, 361
სპარტა 213, 215, 219
სტიმფალიის მთ. 144, 361
სტიქსი მდ. 23, 30, 32, 71—2, 75, 208—11, 361
სტრობილი მთ. 13

ტ

ტაერიდი 265, 267, 361
ტაიგეტი მთ. 216

ტევმესო 183, 362
ტენარის კონცხი 159, 362
ტირენიის ზღ. 249
ტირინთო ქ. 116 — 17, 141, 144, 148, 155, 158, 164, 166—7, 171, 177, 363
ტმოლი მთ. 46, 73, 83—4, 364
ტრაქინე ქ. 171 — 2, 174, 364
ტრიტონის ტბა 251
ტროა 5, 6, 14, 15, 26, 52, 86, 123 — 4, 155 — 6, 168 — 9, 204, 220, 258 — 9, 261, 364
ტროიძენე ქ. 191 — 2, 195, 198, 256, 364

ფ

ფასისი (ფაზისი) 224, 237, 244—5, 247, 365
ფერე ქ. 149, 150 — 1, 226
ფინიკია 126, 128, 365
ფლეგრეის ველი 366
ფოკიდა 260 — 1, 366
ფრიგია 40, 42, 366
ფსოფიდა 296 — 8

ქ

ქალკიდა 366
ქსანთი მდ. 61, 367
ქუთაისი 15

შ

შავი ზღვა 14, 15

ჰ

ჰებროსი მდ. 212, 369
ჰელესპონტი 224, 369
ჰელიკონი მთ. 39, 73, 369
ჰესტიოდიდი 296, 371
ჰიმეტე მთ. 181, 372
ჰიპოკრენის წყ. 39, 373

ს ა რ ჩ ე ვ ი

	33·
წინასიტყვაობა .	5
ძველი ბერძნული მითები და საქართველო	8

ნაწილი პირველი

ღმერთები და გმირები

ღ მ ე რ თ ე ბ ი

სამყაროსა და ღმერთების წარმოშობა	21
ზ ე ვ ს ი .	22
დაბადება . . .	22
ზევსი ამხობს კრონოსს. ოლიმპოელი ღმერთების ბრძოლა ტიტანებთან .	23
ზევსის ბრძოლა ტითონთან	24
ოლიმპო . .	25
პოსეიდონი და ზღვის ღვთაებანი	28
პირქუშ ჰადესის (პლუტონის) სამეფო	29
ჰ ე რ ა	33
ი ო	34
ა პ ო ლ ო ნ ი	35
დაბადება .	35
აპოლონის ბრძოლა პითონთან და დელფოს ორაკულის დაარსება	36
დ ა ფ ნ ა	37
აპოლონი ადმეტთან	38
აპოლონი და მუზები	39
ალოეის ვაჟები	40
მარსიასი .	40
ასკლეპიოსი (ესკულაპი)	42
ა რ ტ ე მ ი დ ე	43
აქტეონი	44
ათენა-პალადა	45
დაბადება	45

არაქნე	46
ჰერმესი	48
ჰერმესი იტაცებს აპოლონის ძროხებს	49
არესი, აფროდიტე, ეროსი, ჰიმენე	51
არესი	51
აფროდიტე	52
პიგმალიონი	53
ნარცისი	54
ადონისი	57
ეროსი	58
ჰიმენე	59
ჰეფესტო	59
დემეტრე და პერსეფონე	61
ჰადესის მიერ პერსეფონეს გატაცება	61
ტრიპტოლემოსი	66
ერისიხთონი	67
ღამე, მთვარე, განთიადი და მზე	68
ფაეთონი	70
დიონისე	75
დაბადება და აღზრდა	75
დიონისე და მისი ამალა	76
ლიკურგე	76
მინიას ქალიშვილები	77
ტირენიის ზღვის მეკობრენი	78
იკარიოსი	79
მიდასი	80
პ ა ნ ი	81
პანი და სირინქსი	83
პანისა და აპოლონის პაექრობა	83

გ მ ი რ ე ბ ი

ხუთი საუკუნე	85
დეკალიონი და პირა (წარღვნა)	87
პ რ ო მ ე თ ე	88
პ ა ნ დ ო რ ე	98
ე ა კ ე	99
დ ა ნ ა ი დ ე ბ ი	101
პ ე რ ს ე ვ ს ი	104
დაბადება	104
პერსევსი კლავს გორგონა მედუზას	106
პერსევსი და ატლანტი	109

პერსევსი ათავისუფლებს ანდრომედეს 110
პერსევსის ქორწილი 112
პერსევსის დაბრუნება სერიფოსზე 115
პერსევსი არგოსში 115
სიზიფე 116
ბელეროფონტი 117
ტანტალე 120
პელოპი 123
ევროპა 126
კადმოსი 128
ზეტესი და ამფიონი 132
ნიობე 134
ჰერაკლე 137
დაბადება და აღზრდა 137
ჰერაკლე თებეში . 140
ჰერაკლე ეერისთევსის სამსახურში 141
ნემეის ლომი (პირველი გმირობა) 142
ლერნეს ჰიდრა (მეორე გმირობა) . 143
სტიმფალიის ფრინველები (მესამე გმირობა) 144
კერინეს ფურ-ირემი (მეოთხე გმირობა) . 144
ერიმანთოს ტახი და კენტავრებთან ბრძოლა (მეხუთე გმირობა). 146
მეფე ავგიეს ბოსელი (მეექვსე გმირობა) 147
კრიტოსის ხარი (მეშვიდე გმირობა) 148
დიომედეს რაშები (მერვე გმირობა) 149
ჰერაკლე ადმეტესთან 149
ჰიპოლიტეს სარტყელი (მეცხრე გმირობა) 153
ჰერაკლემ იხსნა ჰესიონე, ლაომედონტის ასული 155
გერიონის ძროხები (მეათე გმირობა) 156
კერბერი (მეთერთმეტე გმირობა) 158
ჰესპერიდების ვაშლები (მეთორმეტე გმირობა) 160
ჰერაკლე და ევრიტე 164
ჰერაკლე და დეიანირა 165
ჰერაკლე ომფალესთან 167
ჰერაკლე იღებს ტროას . . . 168
ჰერაკლე ღმერთების მხარდამხარ ებრძვის გიგანტებს . 170
ჰერაკლეს სიკვდილი და მისი მიღება ოლიმპოს ღმერთთა კრებულში 171
ჰერაკლიდები . 177
კეკროპი, ერიხთონიოსი და ერეხთეესი 179
კეფალე და პროკრიდე 181
პროკნე და ფილომელე 181
ბორეასი და ორითია 187

დედალოსი და იკარიოსი 188
თ ე ზ ე ვ ს ი 191
დაბადება და აღზრდა . . 191
თეზევსის საგმირო საქმეები ათენისაკენ მიმავალ გზაზე 192
თეზევსი ათენში . 194
თეზევსის მოგზაურობა კრეტაზე 197
თეზევსი და ამორძალები 200
თეზევსი და პერითოე. 201
ელენეს მოტაცება. თეზევსი და პერითოე განიზრახავენ პერსეფონეს გატაცებას. თეზევსის სიკვდილი 203
მ ე ლ ე ა გ რ ე 204
კ ვ ი პ ა რ ო ს ი 206
ორფევსი და ევრიდიკე 207
ორფევსი მიწისქვეშა სამეფოში 207
ორფევსის სიკვდილი 211
ი ა კ ი ნ თ ე 213
პოლიფემე, აკიდი და გალატე 214
დიოსკურები, კასტორი და პოლიდევკე 215
ატრეესი და თიესტე 217
ესაკი და ჰესპერია 220

ნაწილი მეორე

ძველი ბერძნული ეპოსი

ა რ გ ო ნ ა ვ ტ ე ბ ი

ფრიქსე და ჰელე 223
იასონის დაბადება და აღზრდა 225
იასონი იოლკოსში . 225
იასონი აგროვებს თანამგზავრებს და კოლხეთში სალაშქროდ ემზადება. 227
არგონავტები ლემნოსზე . . 229
არგონავტები კიზიკოსის კუნძულზე 230
არგონავტები მიზიაში 231
არგონავტები ბითვინიაში (ამიკოსი) 232
არგონავტები ფინევსთან 233
სიმპლეგადები . 234
კუნძული არეტია და კოლხეთში ჩასვლა 235
ჰერა და ათენა აფროდიტესთან 238
იასონი აიეტთან . . 239
არგონავტები დახმარებისათვის მეღეას მიმართავენ 241
იასონი ასრულებს აიეტის დავალებას 244
მედეა ეხმარება იასონს ოქროს საწმისის გატაცებაში . 247
არგონავტების დაბრუნება 248

იასონი და მედეა იოლკოსში. პელიასის სიკვდილი 252
ასონი და მედეა კორინთოში. იასონის სიკვდილი 254

აგამემნონი და მისი შვილი ორესტე

აგამემნონის სიკვდილი . 258
ორესტე შურს იძიებს მამის მკვლელობისათვის . 260
აპოლონი და ათენა-პალადა იხსნიან ორესტეს ერინიების დევნისაგან 262
ორესტე მიემგზავრება ტაურიდში არტემიდეს წმინდა გამოსახულების ჩამოსატანად 265

თებეს ციკლი

ოიდიპოსი. მისი ბავშვობა, ახალგაზრდობა და თებეში დაბრუნება 268
ოიდიპოსი თებეში 272
ოიდიპოსის სიკვდილი 275
შვიდნი თებეს წინააღმდეგ 282
ანტიგონე . 290
ეპიგონების ლაშქრობა 294
ალკმეონი . . . 296
მითოლოგიური ლექსიკონი 290
საკუთარ სახელთა საძიებელი 374
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 383

Н. А. Куп

Легенды и мифы древней Греции

(на грузинском языке)

რედაქტორი ნ. თალაკვაძე
მხატვრული რედაქტორი ს. ბოტკოველი
ტექრედაქტორი მ. ასათიანი
კორექტორი თ. ხატიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VIII-65 წ. ქაღალდის ზომა 70 × 90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 24,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,55. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 306.

ფასი 1 მან. 5 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, კამოს ქ. № 18.
Издательство Ганатлеба, Тбилиси, ул. Камо № 18

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.